ვლადიმერ
გაგლოითი

გამოლვიძება

რომანი

თბილისი, „მერანი“, 1987

გამოჩენილი ოსი მწერლის ვლადიმერ გაგლოევის რომანში „გამოღვიძება“ აღწერილია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მთაში მცხოვრები ოსი ხალხის ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, თითოეულ მტკაველი მიწისათვის, ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის.

ოსურიდან თარგმნა ელენე გაშარულმა

4702047200 — 218
Ბ ——————— 106 — 87
М 604 (08) — 87

© გამომცემლობა „მერანი“

პირველი ნაწილი

ჯანღი იწვა ხეობებში

პირველი თავი

ეშმაკის კლდე

1.

წვიმს და წვიმს. გადაღებას აღარ აპირებს. პაწაწინა ნაკადულები თავაწყვეტილ მდინარეებად იქცნენ. თავქვეში ქვა-ღორღს ისეთი ღრიალით მიარახრახებენ, თითქოს მოსისხლე მტერს მისდევენ და რაკი ვერ ეწევიან, გაავებულები, დაჯანღულები პიტალოებზე ეხეთქებიან. მათი ხვნეშა და ვიშვიში მთის წვერზეც ადის. სველი ღრუბლები ხეობებში ჩამხობილა და ისეა ჩამობნელებული, კაცმა არ იცის, შუადღეა თუ მოსაღამოვდა.

შეწუხდა ძანგი. თავით ფეხამდე გალუმპულს სიცივემ ძვლებში გაატანა. გათოშილი კბილს კბილზე აცემინებს. მთელი სხეული უკანკალებს, დღესაც მარტო დარჩა. მისი ყონაღი დოლათი დილითვე წავიდა აულში. ჩქარა ამოვალო, დაიბარა, მაგრამ ჯერაც არა ჩანს.

ორი თვეა, რაც ძანგი ალდარ ელოითი ძანხოთს დაუდგა მოჯამაგირედ. მას შემდეგ დოლათი ათჯერ მაინც ჩავიდა აულში. ძანგი გაჩუმებულია, ან კი რას ეტყვის, როცა იცის, ავადმყოფი დედა ღვთის ანაბარა ჰყავს მიტოვებული. მაგრამ დღეს ხომ დაინახა, ნიაღვარს მიაქვს ქვეყანა. თანაც ეს დაწყევლილი ნისლი, ნაჯაფარი კალოს ხარივით დაგდებულა მიწაზე. ასი თვალი და ყურია საჭირო, ცხვარი არ ასხლტეს, თორემ, ღმერთმა ნუ ქნას, უგუნური პირუტყვი ეშმაკის კლდეზე გადაიჩეხება.

სიტყვაძუნწი და გულჩათხრობილია დოლათი. ისე, მარჯვე და აზრიანი ვაჟკაცია, მაგრამ ერთთავად რაღაცაზე ფიქრობს, თითქოს გაუნელებელი ცეცხლი უნთია გულში. პირს ღიმი არ ეკარება.

„ოჰ, ეს უპატრონო წვიმა... ცოტა ხნით მაინც გადაიღებდეს, ფარას დავაქუჩებდი. დღეს თუ უხათაბალოდ გადავრჩი, შიმშილსა და

სიცივეს არად ჩავაგდებ. ახლაც, ღმერთმა იცის, ფარა სრულადა მყავს თუ მაკლია?.." — წუხს ძანგი.

მთებიდან ქარმა ჩამოუბერა, სველი ნისლი ფრთებზე აიტაცა და მაღლა-მაღლა ასწია. ცხვარმა ბაკებისკენ იბრუნა პირი. მწყემსი გვერდით მიჰყვა ფარას.

სწრაფად იწყო ჩამობნელება. ძანგმა ფარეხის კარი ყურთამდე გააღო და შიგ ჩადგა. სათითაოდ მიუშვა ცხვარი და სწრაფად გადათვალა. გული დაიმშვიდა, სამწყემსური სრულად იყო. მალე მან ბინაში ცეცხლი გააჩაღა. სველი ტანსაცმელი იქვე, კერასთან მიფინა, თვითონ მშრალ ნაბადში ჩათბუნდა.

გვიანი ვახშმობა გადავიდა და მაშინღა გამოჩნდა დოლათი.

— მაპატიე, ძანგ, დამნაშავე ვარ, ასეთ დელგმაში მარტო რომ დაგტოვე. ბარემ ვჩქარობდი... ი ტიალი ხევი ადიდდა, ხიდი წაიღო. სადილობას აქეთ გაღმა ნაპირზე ვეხირე. მეტი გზა რომ აღარ მქონდა, გადარეულ მდინარეს ვეკვეთე. ღვარცოფმა გამიტაცა, ქვებზე მაწყვიტა, რის ვაი-ვაგლახით გამოვედი... ფეხი ვიტკინე! ძლივძლივობით ამოვაღწიე ბინამდე.

— არა გრცხვენია, დოლათ, რა ბოდიშებს მიხდი, ბიჭო. მადლობა ღმერთს, მშვიდობით გადარჩი, საფრთხეში ჩაგიგდია თავი.

— ვდარდობდი, ცხვარი არ აუსხლტეს-მეთქი.

— ხვთის მადლით, ამჯერად უვნებლად გადავრჩით.

დოლათმა შვებით ამოისუნთქა.

— დედაშენი როგორღაა?

— შენი მტერი იყოს ისე, აქამდე ფეხზე მაინც იდგა, ახლა ლოგინად ჩავარდა. აღარ ვიცი, რა წყალს მივცე თავი?

— ვინ პატრონობს?

— არავინ. არის მარტო, მოუვლელი.

— ეგრე არ შეიძლება, დოლათ, უნდა მოიფიქრო რამე.

— ბარემ ვფიქრობ, მაგრამ რომ ვერაფერი მომიფიქრებია. დავანებო აქაურობას თავი?.. შიმშილით ამოვწყდებით. არადა, რა წყალში ჩავვარდე.

ძანგმა ჯოხით ცეცხლი მოჩხრიკა და შეშა დაუმატა.

— უპატრონოდ ცოდვაა ავადმყოფი. ცოლი უნდა შეირთო, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. შენ რას იტყვი?

— მაგაზე მეც ვფიქრობ, მაგრამ... — დოლათს სიტყვა გაუწყდა.

— ალბათ, საცოლე ჯერ ვერ ამოგირჩევია?

— როგორ არა...

— მაშ რაღა გიშლის ხელს?

— ქალბატონი არ უშვებს.

— ქალბატონი? ვინ ქალბატონია?..

— ჩვენი ალდარის, ძანხოთ ელოითის ქალი, აგუნდა.

— მერე, რა უფლებით?

— მოახლედ წაიყვანა. სანამ მე თვითონ არ გავთბოვდები, ვერ გავუშვებო.

— ვთქვათ და მთხოვნელი არ გამოუჩნდა ქალბატონს, როდემდე ეყოლება ტყვეობაში შენი საცოლე?

— მთხოვნელი იმდენი ჰყავს, რომ... საიდან არ აკითხავენ. ძანხოთზე უფრო შეძლებული ალდარის შვილები ერთმანეთს ეცილებიან, მაგრამ მამის ნებიერა ღიმილის ღირსად არავის სცნობს. შარშან თავად ერისთავის მემკვიდრეს სტკიცა უარი.

— ჭირვეული ყოფილა.

— ო, არა, კეთილია და თანაც ანგელოზივით ლამაზი. სიმღერებს თხზავენ მასზე, მზეს ადარებენ, ზეციურ ანგელოზს უსწორებენ. ამაყი და თავნება კია, სასიძოებს დასცინის.

— როგორც ეტყობა, შინაბერად დარჩება.

— რათა, ჯერ თავის შესაფერს არ შეხვედრია, თუმცა, რომ ვთქვათ, რა ეჩქარება, რა, მამამისის ქონება დედამიწაზე აღარ ეტევა, იმის მამულებს, ბაღებს და ვენახებს ერთი კვირა ვერ მოივლი ფეხით. ახლა რამდენი აული უხდის ღალას? მის ნახირს და ცხვრის ფარებს ხომ მთები ვეღარ იტევს. თბილისსა და გორში დუქნები აქვს, მთელი წელიწადი გამოულევლად ყიდიან ხორცს, ყველს, ერბოს, მატყლს. საკუთრის გარდა ხელმოკლე გლეხებისაგან იაფად შესყიდულ ყველსა და ერბოსაც ყიდის. ხუთი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს. ბიჭები ვაჭრობაში დაასაქმა. მოჯამაგირეებს ნახევარ ხელფასს არ უხდის. უჩივიან, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი დააკლეს. ან კი რას დააკლებენ, ბოქაულიდან მოყოლებული გუბერნატორამდე ყველა დაქრთამული ჰყავს, ვინ რას გაუბედავს!

— ახლა კი მესმის, რატომ ყოფილა მისი ქალიშვილი ასე გატუტუცებული, — ღვარძლიანად შენიშნა ძანგმა.

— მამას ძალიან უყვარს, მის სურვილს წინ არ აღუდგება, არც არაფერს ზოგავს მისთვის.

— დაეხსენი, დოლათ, ეგენი ბედნიერი ხალხია. ცხოვრება მოყირჭებიათ, რა ჩვენი საქმეა მათი განსჯა. საცოდავ დედაშენს მიხედე, ხვალვე წადი ქალბატონთან, აუხსენი მდგომარეობა. თუ შენს გასაჭირს არაფრად ჩააგდებს, გულქვა ყოფილა, ასეთები პატივისცემის ღირსიც არ არიან. რაც ჩქარა წამოვა იქიდან შენი საცოლე, მით უკეთესი თავისთვისაც და შენთვისაც.

დოლათმა არაფერი თქვა, ძანგი მართალია. ავადმყოფი დედის უპატრონოდ დატოვება არ შეიძლება. დილითაც ეხვეწებოდა, ჩქარა ჩამომაკითხე, შვილო, მეშინია, მარტოს არ ამომხდეს სული, თვალების დამხუჭავი რომ არავინ შემესწროს, სირცხვილია, სალექსოდ გაგხდის ხალხი, გარეთ აღარ გამოგესვლებაო.

სახლსაც მოაკლდა პატრონის ხელი, ჩამოფხავდა საცოდავად, ყავარი გამოსაცვლელია. ავდარში შინაც ისე წვიმს, როგორც გარეთ. ეზოსაც ღობე მოერღვა და სოფლის პირუტყვი თავისუფლად დათა-

რეშობს შიგ. ერთი კალთისოდენა ახო აქვთ და ისიც მოსახნავი დარჩა შარშან, შეშის მოსატანადაც ვერ მოიცალა. რა ქნას? — წუხს დოლათი, ყოველივე ამას ახლა დედის ავადმყოფობა დაემატა და სულ აებნა თავგზა. შემოდგომაზე ყიზლარში თუ გააყოლეს ცხვარს, მაშინ კი მართლა დაიღუპება. დედას ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწრებს. ახლა ხანდახან მაინც ჩადის შინ, ღმერთმა უშველოს ძანგს, ხელს უწყობს, მაგრამ ყიზლარიდან როგორ ჩამოვა. არა, ხვალ დილითვე წავა ქალბატონთან, შეეხვეწება, დაუთმოს საცოლე, თუ არადა თვითონ მაინც დაანებებს მოჯამაგირეობას თავს და წავა შინ, მიხედავს მომაკვდავს.

— დაწექი, დოლათ, ძილის დროა. ჯოჯოხეთური ამინდი იდგა დღეს, შენც ჩემზე ნაკლებ არა ხარ დაღლილი. — კიდევ შეუმატა ცეცხლს შეშა ძანგმა და იქვე კერის პირას ნაბადზე მიწვა.

დილით დოლათი თავის საქმეზე წავიდა, მაგრამ სადილობამდე უკანვე ამოვიდა.

— რა ვქნა, მოგდევდა ვინმე, თუ?.. რა ჩქარა ამოხვედი? — გაკვირვებული შეეგება ძანგი. — რა ქენი?

— არაფერი. ქალბატონი შინ არ დამხვდა. აცირუხსმა მითხრა დიდი ბატონი და ის შესხდნენ ცხენებზე და თავიანთი ჯოგების დასათვალიერებლად მთაში წავიდნენო. რა ვიცი, რა მოეპრიანებათ, აქაც არ ამოვიდნენ-მეთქი, ვიფიქრე და მაშინვე წამოვედი. — ძლივს ითქვამდა დოლათი სულს. — ხომ არ ყოფილან?

— არ ყოფილან... შენ კი მდევარი ხომ არ მოგდევდა? როგორ გირბენია, სულს ვეღარ იბრუნებ.

— ხომ გაგიგონია, საწყალ კაცს ქვა ალმართში მოეწევაო. ჯერ არ იცნობ ალდარს, არც მისი მათრახის გემო იცი და...

— ერთი არ უნდა, გაუწყრეს ღმერთი, — სახეზე წამოენთო ძანგი. ამასობაში ფარა კარგა შორს წასულიყო, ძანგმა დოლათი ბინაზე დატოვა, თვითონ კი ფარას გაეკიდა.

ზაფხულის მზემ გზა გაიშუალა. ცხვარმა მყინვარისაკენ წაიწია. მყინვარიდან დაძრული ნაკადულები ხეობისაკენ მირაკრაკებენ, დასიცხული ცხვარი წყალს მიეტანა. ასი თვალი და ასი ყურია საჭირო, თორემ ცხვარი ყეყეჩია, ერთი თუ გადაეშვა მყინვარში, სხვებს ვეღარ შეაჩერებ, თან გადაჰყვებიან. ძანგმა ფარას უყელა. უკან გამოაბრუნა. მაძღარი და დაწყურებული პირუტყვი მყინვარს ქვემოთ, მზის გულზე დაეყარა.

შუადღე გადავიდა. ძანგმა გუდიდან მომცრო პინა ამოიღო. ყველაზე კარგი მეწველი ცხვარი დაიჭირა და პინაში ჩამოწველა. აქაფებულ რძეში ხმელი მჭადის ნატეხები ჩაფშვნა და ჭამა დაიწყო. უცებ დოლათის ყვირილი შემოესმა:

— ძანგ! ძანგ! მოდის, აგუნდა მოოდიის...

ძანგი წამოდგა. დაინახა, დოლათი ბორცვზე იდგა და ქუდს უქნევდა. ქვევით, საცალფეხო ბილიკს გახედა, ბევრი ათვალიერა, არავინ ჩანდა. მერე ადგილი იცვალა, მაღლობზე ავიდა და ხელით მოიჩრდი-

ლა თვალები, კვლავ გახედა ხეობას. ახლაც ვერაფერი დაინახა. კაცი-შვილი არ ჭაჭანებდა. ბუნება მიყუჩებულიყო, მხოლოდ დოლათის ძახილს იმეორებდნენ მთები:

— მოოდიიის! მოოოდიიის!

„რა ვქნა, რა ღმერთი გაუწყრა, გაგიჟდა ნამდვილად“, — გაიფიქრა და მის მოძრაობას დაუკვირდა. დოლათი ქუდით ანიშნებდა, საით გაეხედა. თურმე ძანგი საწინააღმდეგო მიმართულებით იყურებოდა. გაიხედა და ხეობის უბეში მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე ცხენი შენიშნა. ისარივით მოფრინავდა, მხედარი რაღაცას ყვიროდა, მაგრამ ძანგმა ვერაფერი გაარჩია.

— ცხენი!.. ცხენიიი!.. — გვიანღა მისწვდა ძანგის სმენას, მაგრამ რად უნდა ცხენი, ან რომელ ცხენს ახსენებს, ვერ მიხვდა.

— თუ ცხენი დაეკარგა და ეძებს, მაშინ აქეთ რატომღა მოაგელვებს? რა ვქნა, აქ რაღაც სხვა ამბავი ხომ არ არის? — ამის თქმა მოასწრო და მხედარიც მთლიანად გამოჩნდა. ცხენი ისე მოქროდა, თითქოს დოღში პირველობაზე გაუშვიათო.

— გაგიჟდა, თუ რა ამბავია, ამ გზაზე ცხენის ჭენება სად გაგონილა?! სიკვდილი ხომ არ მოენატრა ვიღაცაა, ეს უბედური.

დაფეთებულ ცხენს ფაფარში ჩაფრენოდა მხედარი და მის შეჩერებას აღარც ცდილობდა. ცხენმა ეშმაკის კლდისკენ იბრუნა პირი. ახლა კი მიხვდა ძანგი, რომ დამფრთხალი ცხენი მხედრიანად სიკვდილისკენ მიექანებოდა.

— ძანგ! ძანგ! რა იქენი, იღუპება, უშველე!.. — დოლათის სასოწარკვეთილი კივილი მაშინ გაიგონა ძანგმა, როცა ის უკვე ცხენის შესახვედრად გარბოდა. მგლის მუხლი გამოიბა, კლდის თავზე თუ არ აასწრო, მერე გვიან იქნება. ფრთები გამოისხა, მალე კლდის თავზე აივაკა, დამფრთხალ ცხენს გახედა და მუხლები მოეკვეთა, ველარ მიუსწრებს...

ეშმაკის კლდე თითქოს საგანგებოდ აღმართულა. ვიწრო ველი თავზე ქამარივით აკრავს. ველის ორივე ნაპირი ხმლის პირივით ნალესი კლდითაა შემორტყმული. კლდე თანდათან ვიწროვდება და ხეობას თითქმის ძირამდე ჩასდევს. უძირო, ჩაბნელებული ხეობა მაღლიდან საშინელი დასანახავია, ქვევიდან სალ კლდეებს მდინარისთვის გზა გადაუღობიათ და შუაში ტბა წარმოქმნილა. ზემოდან ტბა შავად მოჩანს. ზაფხულში მყინვარის ნაჟურით პირთამდე ლიცლიცდება. ნაპარბი წყალი კი ნაპრალებში პოულობს გზას და რახრახით ეშვება ციცაბოზე. მზის სხივი ვერ ატანს ტბის სიღრმეს, ამიტომაა, რომ წყალი ყოველთვის ყინულივით ცივია და შავი.

ბევრი მწყემსი და საქონელი ჩაჩეხილა ამ წყეულ ტბაში, კლდის თავზე გამავალ ვიწრო ქობას ხალხმა მაცდური გზა უწოდა, პიტალოს კი — ეშმაკის კლდე.

ძანგი ხედავს, ცხენი სწორედ მაცდური გზისკენ მიქრის. რამდე-

ნიმე წუთში მხედრიანად ტბაში ჩაიჩეხება. მაგრამ ფიქრის დრო სადღაა, სწრაფად ამუშავდა გონება და მიიღო გადაწყვეტილება — ეშმაკის კლდემდე მიასწროს დაფეთებულ ცხენს, მხედრის ბედი იმაზეა დამოკიდებული, ვინ მიასწრებს მაცდურ გზამდე.

და ძანგი ელვასავით გაქანდა. დამფრთხალ ცხენს ეჯიბრება. კი არ მირბის, მიფრინავს, აღარაფერს ერიდება, იმასღა ფიქრობს, მიასწროს. გადაარჩინოს ადამიანი. ოფლი წურწურით ჩამოსდის, თუმცა ამას სულაც ვერ გრძნობს.

ცხენის თქარათქური მოესმა. უკან არ მოუხედავს. ამის დრო არ იყო. უნდა გაუსწროს, აი მთავარი! უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მაცდურ გზამდე მიასწრო ცხენს.

მაგრამ აქ კიდევ ერთი დაბრკოლება შეხვდა. გზა მეტად ვიწრო და მოკლეა, დამფრთხალი ცხენის შეკავება ასეთ პატარა მონაკვეთზე შეუძლებელია. თვითონაც საფრთხე ემუქრება, ან კლდეზე მიაჭყლეტს ცხენი, ან ეშმაკის კლდეზე გადაიყოლებს.

ტვინი გამალებით მუშაობს, რა მოიფიქროს? და უცბად გაუნათდა გონება, ერთადერთი გამოსავალი იპოვა: მაცდური გზის მარცხნივ კედელივით აყუდებულ ქიმზე შედგეს და გაჭენებული ცხენიდან აიტაცოს მხედარი. ეს ძალიან გაბედული გადაწყვეტილებაა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. თვალის დახამხამებაში კლდის თავზე მოექცა და მოხერხებული ადგილი დაიკავა. ან ჩანაფიქრს შეასრულებს, ან ისიც დაიღუპება. ზურგით კლდეს მიეყრდნო, ცალი ხელი კლდის შვერილს მოხვია და თავი განგებას მიანდო.

სწორედ ამ დროს ცხენის ფრუტუნიც მოისმა. ძანგმა მთელი ძალღონე მარჯვენა მკლავში გადაიტანა, მარცხენა უფრო მტკიცედ შემოაჭდო კლდის ქიმს და ცხენის ფაფარში ჩაფრენილ მხედარს დასტაცა ხელი.

ქალის კივილი და უფსკრულში ჩაჩეხილი ცხენის ჭიხვინი ერთდროულად გაიგონა ძანგმა და თვალთ დაუბნელდა.

გონს რომ მოვიდა, თავი სტკიოდა, ყურები უწიოდა. მარჯვენა ხელში რაღაც ეჭირა, მარცხენათი ისევ კლდის ქიმს იყო ჩაფრენილი. უნდა დაინახოს რა უჭირავს ხელში, მაგრამ თვალებზე რაღაც ეფარება. ფრთხილად გაინთავისუფლა მარცხენა ხელი და სახეზე მოისვა. თვალებს არ დაუჯერა. ოქროსფერი კულულები ეფინა მხრებზე, სახეზე, თავზე. გულწასული ქალი ხელში ჰყავს ატატებული. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა. მაღალ შუბლზე ყორნისფერი წარბები გაწოლილა, ტანსაცმელი ვაჟისა აცვია. მხოლოდ ქუდი არ ახურავს. ქალიშვილს გრძნობა დაჰკარგოდა. მაცდურ გზაზე ჩაყვანა დაუპირა, მაგრამ გაინძრა თუ არა, მხარში ისეთი ტკივილი იგრძნო, ეგონა, გონებას დაკარგავო. მოაგონდა, მხედარს რომ მისწვდა, შეეშინდა, კლდეს არ შეეაწყვიტოო და თვითონ მიარტყა მხარი.

ამ დროს აქოშინებული დოლათიც მოვარდა. ასეთი შეშინებული

პირველად ნახა ძანგმა. თვალის გუგები გაფართოებოდა. ტუჩებს უმწეოდ აცმაცუნებდა, ხმას კი ვერ იღებდა.

— რას გამოთაყვანებულხარ, ბიჭო, გამომართვი, მოჰკიდე ხელი.

— ცოცხალია? — ხმის კანკალით იკითხა დოლათმა.

— ცოცხალია, აიყვანე, მხარი დავარტყი და განძრევა არ შემიძლია.

დოლათმა ქალი ფრთხილად აიყვანა ხელში.

— აგუნდა! აგუნდა! — ჩასძახა მან.

— ველზე დააწვინე და გაიქეცი, მყინვარიდან პატარა ყინული მოარბენინე, — ისევ ძანგი მოეგო გონს.

დოლათი მყინვარისკენ გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ აგუნდა შეინძრა, თვალი გაახილა.

— სადა ვარ? — იკითხა უღონოდ.

— ნუ გეშინიათ, გადარჩით, — უპასუხა ძანგმა.

— ვინ ხარ, საიდან მომევლინე მხსნელად?

— ძანგს მეძახიან, მწყემსი ვარ თქვენი.

ქალიშვილმა მადლიერი თვალებით შეხედა მხსნელს.

— გმადლობ, ძანგ! — უღონოდ წარმოთქვა მან და ისევ დახუჭა თვალები. ფერი თანდათან მოუვიდა, სუნთქვა გაუხშირდა.

ძანხოთიც გამოჩნდა. ცხენიდან ფეთიანივით ჩამოხტა, შვილი უვნებელი რომ დაინახა, მუხლები მოეკვეთა, ძანგმა წამოაყენა.

— ნუ გეშინიათ, გადარჩა! ერთი ეგ არის, ცხენი დაიღუპა...

ძანხოთმა ცხენის დაღუპვა არად ჩააგდო. იგი თავის წილ ღმერთებს მადლობას სწირავდა, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი ცოცხალი გადარჩა.

სანამ დოლათი მყინვარის ნატეხს მოიტანდა, აგუნდა სულ გამოკეთდა, ძანხოთმა იგი ცხენზე შემოისვა და ძანგს არც დამშვიდობებიან, ისე დაეშვნენ თავქვე.

2.

იმ ამბის შემდეგ ორ კვირაზე მეტი გავიდა. ძანგს მხარი მოურჩა. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გახსენებია აგუნდა. ცხოვრება ისევ თავისი გზით წავიდა. ერთი ის იყო, დოლათი დარდობდა, ღამეებს თეთრად ათენებდა. ოხრავდა, შინ წასვლა ვეღარ მოახერხა. ძანგისა ერიდებოდა. ვეღარც აცირუხსს მიაწვდინა ხმა. აღარ იცის, რა ქნას, საქმეზე გული აიცრუა, ერთთავად დაღვრემილი და დაჯავრიანებულია.

ერთ დილით მთის მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე მხედარი გამოჩნდა, დოლათმა შორიდანვე იცნო ძანხოთის მსახური სარმათი.

— ძანგ, გაიხედე, ვიღაც მოდის? სარმათია მგონი, ალდარის მსახური. ძაღლის სისხლშია განათლული. ბოროტია ძალიან. სასიკეთოდ არ მოდის. გული რაღაც ავს მიგრძნობს, — ჩაილაპარაკა დოლათმა და უცნაურად გაფითრდა.

— მობრძანდეს, აბა ერთი გაბედოს რამე. ამას ხედავ! — ძანგმა თვალით კომბალზე ანიშნა. — ხმის ამოღებას ვერ მოასწრებს, ისე ჩავჩრი ყელში.

ამასობაში სარმათმაც ამოივაკა. თითქოს უნაგირზე მატყლით გატენილი ტომარა დებულიყოს, რომელზედაც პატივზე გალაღებული, გაფიქვინებული გოგრა ყანყალებდა, მოზრდილ კარტოფილისტოლა ცხვირზე თხილისსიმსხო მეჭეჭი აჯდა. მწარაბალივით წვრილ თვალებს ვერაგულად აცეცებდა. ბუხარული კრაველის ქუდი, შავი ჩოხა-ახალუხი, გვერდზე დამბაჩა და ხმალი — ალდარის გამონაცვალი თუ იყო. ცხენიდან არ ჩამოსულა, არც მისალმებია მწყემსებს.

— ძანგი რომელია? — იკითხა როგორღაც აგდებით.

— მე, — თავშეკავებით მიუგო ძანგმა. — რა მოხდა?

— ერთი თოხლი დაიჭირე და უკან გამომყე.

— სად? — შეკრთა ძანგი.

— მიწაში! — მიახალა სარმათმა, — ალდარი გეძახის.

— რა მინდაო?

— ეგ თვითონ ალდარსა ჰკითხე...

ძანგმა ერთი მოზრდილი თოხლი დაიჭირა და ყელზე ქამარი მოაბა.

— დოლათ, აბა შენ იცი, ცხვარი არ დაგეფანტოს, მე მალე ამოვალ, მოშივდებოდათ მუქთამჭამელებს. ამ საცოდავ ცხვარს დაუბნელებენ მზეს.

— მაგის ძვლები გაეჩხიროთ ყელში, ო, როგორ მეზიზღება ეს ჯორი, ესა... წადი, ძანგ, დარდი ნურაფრისა გექნება.

უხალისოდ შეაღო ალდარის ჭიშკარი ძანგმა. მსახურნი მარდად მიდი-მოდიოდნენ. ეტყობოდათ, რაღაც დიდი საქმისათვის ემზადებოდნენ. ძანგმა ცხვარი თუთაზე მიაბა.

— აქ მოიცადე, ბიჭო, ალდარს მოვახსენო, — ცალყბად გადმოუგდო სარმათმა ძანგს და რუმბივით წაგორდა სასახლისაკენ.

ძანგი ამ ორი თვის წინათაც იყო აქ, თუთის ქვეშ ხალიჩაზე წამოწოლილ ალდარს ელაპარაკა. მათი საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. დაჯექიო არ უთხრა, ვერც ის გაიგო, რამდენს უნიშნავდა ჯამაგირს, რასაც სხვებს ვუხდი, შენც იმდენს მოგცემო და ეზოდან პირდაპირ ცხვარში გაისტუმრა.

მაშინ აქაურობა კარგად ვერც დაათვალიერა. სად იყო ამის დრო, ახლა კი მეტი რა საქმე აქვს... მარჯვნივ ორსართულიანი სასახლე ყელმოღერებული გედივით დგას, მეორე სართულს მთელ სიგრძეზე შუშაბანდი გასდევს, ფანჯრებზე ასული ვაზის ტოტები მწვანე მტევნებით არის დახუნძლული...

ალდარმა კარი გამოაღო და ძანგი რომ დაინახა, მისკენ წამოვიდა. ეტყობოდა, მსუყე სადილის შემდეგ კარგად გამოიძინა, მთქნარებით იკრავდა ახალუხის ღილებს.

წლებმა თავის დაღი დაასვა ელოითი ალდარს. ოდესღაც ხშირი და გრუზა თმა ღერღერ გასცევიდა. გასუქდა. თავისა და შუბლის გა-

საყარი აღარც კი ეტყობა, ჭაღარაშერეულ წარბებქვეშ ფოსოებში ღრმად ჩამსხდარი თვალები სიცივით შეშინებული მწვანე ხვლიკივით მოუსვენრად ცმუკავენ. გაფანჩულ ულვაშებს არწივის ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირი გუშაგივით ადგას. ულვაშები თამბაქოს ბოლით შემურვია.

— გამარჯობა, ბიჭო. ჩემი აგუნდა სიკვდილს გადაარჩინე და მე იმ დღეს მეტისმეტი მღელვარებით მადლობაც ვეღარ გითხარი, — ალდარმა ულვაშებში ჩაიღიმილა. — ძალიან ყოჩაღი ბიჭი ჩანხარ.

— თქვენი ქების ღირსი არა ვარ, ალდარო, ისეთიც არაფერი ჩამიდენია.

— რას ამბობ, შენ ნამდვილად საგმირო საქმე ჩაიდინე, ასეთი რამ მე მხოლოდ ზღაპრებში გამიგონია, დღეს წვეულება მაქვს. როგორც ჩემი ერთგული მოჯამაგირე, მინდა ჩემს მეგობარ ალდარებს გავაცნო შენი თავი, დაე, იმათაც გადღეგრძელონ. აბა, თქვენ იცით, საკლავი დაკალით მე სხვაც ბევრი საქმე მაქვს, წავალ, მივხედავ, — ესა თქვა ალდარმა და მარანში შევიდა.

სარმათმა დანები გამოიტანა. ის იყო ძანგმა თოხლი წამოაქცია, რომ ქალბატონის მოახლემ მოირბინა:

— ქალბატონი გიხმობს, — მიმართა ძანგს.

— მერე, საკლავს რა ვუყო? — დაიბნა ჭაბუკი.

— წამოდი, წამოდი, გელოდება.

— წადი, ბიჭო, ქალბატონის სურვილი შეუვალია, საკლავს უშენოდაც მოვუვლით, — უთხრა მას სარმათმა.

საფეხურების თვლით აუყვა კიბეს, გოგომ ფართო ოთახში შეიყვანა.

— აქ მოიცადე, — უთხრა და თვითონ თითის წვერებზე მეორე ოთახში გავიდა.

ძანგი მოჯადოებულივით იდგა. ოთახი მდიდრულად და გემოვნებით იყო მორთული. გაოცდა, პირველად ხედავდა ასეთ ოთახს, თვალებს აცეცებდა, კედელზე ჩამოკიდებული დიდი სპარსული ხალიჩა იატაკამდე სწვდებოდა. ხალიჩაზე ვერცხლითა და ოქროთი მოქედილი თოფები, ხანჯლები, ხმლები ეკიდა. იარაღს თავზე დატოტვილი ირმის რქები დაჰყურებდა. ტოტებზე ვერცხლით მოოქვილი ჯიხვის რქის ყანწები ეკიდა, ოთახის შუაში დიდი მაგიდა იდგა, რომელსაც ათასფრად მბზინავი ძაფით ამოქარგული სუფრა ეფინა, გარშემორიგებული რბილი სკამებიც აბრეშუმით იყო გაწყობილი. იატაკზეც ხალიჩა ეგო, მოპირდაპირე კედელზე ხელმწიფის სურათი ეკიდა. ოთახში კიდევ ბევრი ნივთი იყო, რომლებიც არც არასოდეს ენახა ძანგს და არც მათი სახელი და დანიშნულება იცოდა.

კარი გაიღო და მოახლემ ძანგი იხმო.

— მობრძანდით! — თავით ანიშნა, საით უნდა წასულიყო. ძანგი მორჩილად მიჰყვა, მესამე ოთახიც გაიარეს, გაიღო მეოთხე, შედარებით მომცრო ოთახის კარი.

თავის სიცოცხლეში ძანგს არაფრისა შეშინებია. პირდაპირ შებმია დაჭრილ ნადირს, მაგრამ შიში კი არ უგრძვნია. ახლა რისიღა შეეშინდა?! აკანკალდა, შუბლი ოფლით დაეცვარა, თვალები დააჭყიტა და, დასწყევლოს ღმერთმა, ენაც ჩაუვარდა.

ოთახში სარკის წინ მზეთუნახავი იდგა. შუაზე გაყოფილი თაფლისფერი თმის ნახევარი მხრებზე ეყარა, მეორე ნახევარი მარცხნივ მკერდზე ჰქონდა დაშვებული და თითქმის კოჭამდე სწვდებოდა. ნატიფ სახეს ზღვისფერი თვალები ეშხსა მატებდა, გადატკეცილ შუბლზე ბერცხლის ფრთებივით გაფრენოდა წარბები. ნატიფი პატარა ცხვირი სიფრიფანა ნესტოებით და ყაყაჩოს კოკორივით ტუჩები ანგელოზს ამსგავსებდა. წვრილ წელზე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, სარტყელი ჰქონდა შენასკვული, ეს იყო აგუნდა, რომელიც ორი კვირის წინ ძანგმა უთუო სიკვდილს გადაარჩინა.

ასეთი მზეთუნახავი აქამდე არ ენახა ძანგს. მისმა დამატყვევებელმა მზერამ ოთახის შუაგულში უსწრო ვაჟს და იქვე გაყინა, ვეღარც იქით წადგა ნაბიჯი და ვეღარც აქეთ. იდგა გაქვავებული და თავბედს იწყევლიდა, ეს რა მემართებაო. ქალიშვილი თვალს არ აშორებდა, ეს კიდევ უფრო აბნევდა ისედაც დადამბლავებულს. ქალიშვილი კი არც არაფერს ეკითხებოდა, არც დაჯდომას სთხოვდა. დაჟინებით უყურებდა ძანგს და მის არსებაში თითქოს რაღაც ხდებოდა. იმანაც პირველად დაინახა ასეთი სანდომიანი სახის ვაჟკაცი. მართლაც ეშხიანი იყო ძანგი. ხშირი წამწამებით შემოჯარული შავი, დიდრონი თვალები ტყის ტევრში უძირო ცა რომ მზით გაბრწყინდება, იმას მიუგავდა. სწორი და ნატიფი ცხვირი, კოკობი შავი ულვაშები საღი და შაქარივით თეთრი კბილების ელვარებას უწყობდა ხელს. ხვეული თმის კულულები ეყარა მაღალ შუბლზე, ძველი ახალუხიც კი ვერ ფარავდა მისი საროს ტანის მშვენებას. მაღალი იყო, ფართო გულმკერდითა და განიერი მხარბეჭით. ხელები ნაზი ჰქონდა, თითები გრძელი და მოქნილი, თითქოს მას თავის სიცოცხლეში შავი საქმე არასოდეს ეკეთებინოს. „ღმერთო, რა ლამაზია“, — გაივლო გულში აგუნდამ და უფრო დააკვირდა. წარმოიდგინა ძვირფას ჩოხა-ახალუხში, მესტებში გამოკვართული ძანგი და გული საამოდ აუტოკდა.

ძანგი ისევ გახევებული იდგა. უყურებდა აგუნდას და უკვირდა, მიწიერი ადამიანი და ასე ლამაზი, დედამიწაზე მოვლენილი ანგელოზი თუ არისო.

აგუნდამ აბრეშუმის ცხვირსახოცი განგებ დააგდო ძირს, ძანგს არც შეუმჩნევია. აგუნდამ უბრძანა — აიღეო.

ამ ბრძანებაში იყო რაღაც მეტად დიდი და გამოუცნობი ძალა და ძანგმა მოახერხა ცხვირსახოცის აღება.

ქალბატონმა მეორედაც გადააგდო ცხვირსახოცი.

— აიღე! — ბრძანა ამაყმა ქალიშვილმა.

ძანგმა ისევ მიაწოდა მბრძანებელს ცხვირსახოცი.

ქალმა იგი მესამედაც გადააგდო.

— აიღე! — გაისმა მისი ჭირვეული ბრძანება.

— არ ავიღებ!

— აიღე...

— თქვენ თვითონ აიღეთ, დაიხარეთ და აიღეთ, წელი არც თქვენ გეტკინებათ, — ძანგმა პირდაპირ თვალებში შეხედა აგუნდას.

— არ იღებ, ხომ? მაშ მე თვითონ ავიღებ, — აგუნდა ცხვირსახოცს დასწვდა და გაიცინა.

ძანგი შეკრთა, დამცინისო, იფიქრა და წასასვლელად მოემზადა.

— რა გნებავთ, ქალბატონო? ნუთუ იმიტომ მიხმეთ, რომ დამცინოთ? — ძანგი ამ სიტყვებზე მიბრუნდა და კარისკენ წავიდა.

— შეჩერდი, არ გაბედო წასვლა!

— ან მითხარით, რისთვის დამიძახეთ, ან წავალ, არა მცალია, — შუბლი შეიკრა ვაჟმა.

აგუნდამ შვებით ამოისუნთქა, გამოუთქმელი გრძნობა დაეუფლა. მის ცხოვრებაში რაღაც ცვლილება მოხდა, მაგრამ რომ ეკითხათ, რა არის, რა გრძნობა დაგეუფლაო, ვერაფერს უპასუხებდა.

— ამაყი ყოფილხარ, მზეჭაბუკო!

— რა ვქნა, ასეთი დავიბადე!

— შენს ვაჟკაცობას შვენის ეგ სიამაყე.

— კარგია, რომ მიხვდით... ადამიანისთვის თავი ტალახის სატკეპნად არ უბოძებია ღმერთს. ჰა, მითხარით, რა გნებავთ? საკლავი მელოდება გარეთ.

— საკლავს სხვებიც მიხედავენ. დაჯექი! — უცბად სადღაც გაქრა ქალის სიამაყე. ვაჟს სკამი მიუწია.

— დასაჯდომად არ მცალია, თანაც ჩემი ტანსაცმელი გერმის სუნით არის გაჟღენთილი და თქვენი ოთახის ჰაერს წაახდენს.

— დაჯექი, დაჯექი! სალაპარაკო მაქვს შენთან.

მეტი რა გზა იყო. ძანგი ძვირფას სკამზე დაჯდა. ქალიშვილი წინ დაუდგა და მოურიდებლად ჩახედა თვალებში. ეშმაკურმა ღიმილმა გაუბადრა სახე.

— მაპატიე, ქალბატონო, ისე მიყურებთ, თითქოს დათვის ბელი დაგეჭიროთ. გეყოფათ დაცინვა!

— მიხარია, რომ ასე ამაყი ხარ! — აგუნდამ ვაჟის წინ დაიდგა სკამი და დაჯდა. — ასეთად მყავდი წარმოდგენილი.

— რისთვის დამიძახეთ?!

— მადლობა მინდა გადაგიხადო, — აგუნდას ხმა დაეთაფლა.

— ღვთის წყალობა ნუ მოგაკლდეთ, კარგად გადამიხადეთ მადლობა, მეყოფა.

— სხვებისნაირი მეგონე. შენ კი სხვა ყოფილხარ, მიყვარს ამაყი ადამიანები... არ შედრკი... არ შეგეშინდა...

— მერე, რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— იცი რა? ცხვირსახოცი მესამედაც რომ აგეღო, ჩირადაც აღარ ჩაგთვლიდი, კინწისკვრით გაგაგდებდი...

შეკრთა ვაჟი. „ამასთან სიფრთხილეა საჭირო, თორემ ავს შევეყრები. ძაღლებს დააგლეჯინებს ჩემს თავს“. — გაიფიქრა და უსიამოვნოდ შეეჭმუხნა შუბლი, რა ქნას, როცა არ შეუძლია სიცრუე, ვინმეს წინაშე ქედის მოხრა? ხმა არ ამოიღო, ასეთ დროს ყველაზე კარგი საშუალება დუმილია.

— მინდა იცოდე, ჯერ ამ ოთახში უცხო მამაკაცს ფეხი არ შემოუდგამს. გიხაროდეს, ეს უფლება პირველმა შენ მოიპოვე.

„რაღა მაინცდამაინც მე? რა განიზრახა ამ წყეულმა?“

— ქალბატონო, ძალიან სუფთაა და ძვირფასად მორთული თქვენი ოთახი, უფრო ლამაზი მისი პატრონია. საწყალ მწყემსს არ შეჰფერის ქალბატონის გვერდით ჯდომა. ვაითუ ოთახი გაგიჭუჭყიანო, ნება მომეცით, წავიდე.

— ვისაც შეჰფეროდა, იმათ ამ ოთახისკენ გზა ვერ გამოიგნეს...

— ქალბატონო, მართალია, მე სტუმარი ვარ და თქვენ მასპინძელი, როცა ინებებთ, მაშინ მიბრძანებთ წასვლას, მაგრამ ვბედავ და გთხოვთ, დამრთეთ ნება, წავიდე. მთაში ვარ წასასვლელი, ამხანაგი მარტო დავტოვე.

— ჩემთან ყოფნა ასე ჩქარა მოგწყინდა? ცოტა ხანს აქ მომიცადე, ახლავე მოვალ, — მარდად წამოდგა ქალიშვილი და მეზობელ ოთახში გაუჩინარდა.

მახეში გაბმული ჩიტივით გრძნობს თავს ძანგი.

„თუ მხოლოდ მადლობის სათქმელად დამიბარა, მაშ ცხვირსახოცით რად დაიწყო? ან რას ნიშნავს მისი სიტყვები — მესამედაც რომ აგეღო, კინწისკვრით გაგაგდებდიო. რატომ? რა დავუშავე? მადლობის მაგიერია, სიკვდილს გამოვტაცე?“ — გონება აერია ისედაც დაბნეულ ვაჟკაცს.

კარი გაიღო და აგუნდა შემოვიდა. ხელში კაცის ტანსაცმელი ეკავა.

— ძანგ, — პირველად მიმართა სახელით, — ესენი ჩაიცვი!

— რა საჭიროა, ქალბატონო, — შეკრთა ძანგი.

— ჩაიცვი, ჩაიცვი. დღეს მამამ სტუმრებთან უნდა წარგადგინოს, ეს ჩემი სურვილია და თუ არ შემისრულებ, ძალიან მეწყინება.

— გმადლობთ, ქალბატონო, მაგრამ ეს ტანსაცმელი საწყალი მწყემსისთვის როდია მოგონილი, არც დამმშვენდება.

— აიღე, ასეთი თავნება ვარ, მინდა დღეს ყველაზე მშვენიერი ვაჟკაცი შენ იყო წვეულებაზე... ჩაიცვი, არ მაწყენინო.

ქალიშვილმა ძალით მიაჩეჩა ძანგს ტანსაცმელი და თვითონ ისევ გვერდით ოთახში გავიდა.

ქალბატონის სურვილი შეუვალია. ძანგმა სწრაფად გაიძრო ძველი ტანსაცმელი და ახლებში გამოეწყო, თითქოს მის ტანზე შეეკერათ. ძალიან დამშვენდა ახალი სამოსი.

აგუნდა შემოვიდა. ვაჟის მშვენებით მოიხიბლა. ფართოდ გახელილ თვალებს ვეღარ აცილებს.

— ვინც ვაჟკაცია, შეგედაროს ახლა!

— აგუნდა, წავალ, მამაშენმა აქ რომ მომისწროს, რას იტყვის, უხერხულია.

— რა უნდა თქვას. მის ქალიშვილს ართობ, რა მოხდა, პირიქით, მადლობას გეტყვის.

— დიდ პატივად ჩავთვლი, თუკი მე, უბირი მწყემსი შევძლებ თქვენს გართობას.

— ძანგ, მითხარი შენი ამბავი, ვინ ხარ, სადაური?

— მოსაწყენი და მძიმე ზღაპარია... მე მგონი, ჩემი ამბავი არ გაგართობთ, პირიქით, გულს დაგიმძიმებთ.

— ძალიან გთხოვ, მიამბე. მინდა, შენს შესახებ ყველაფერი ვიცოდე.

ძანგმა დაიწყო თავისი მძიმე და გაუხარელი ცხოვრების თხრობა. ქალიშვილი გაფაციცებით უსმენდა. ვაჟმა თხრობა დაამთავრა. კარგა ხანს ხმა არ ამოუღია აგუნდას, მერე მოულოდნელად ჰკითხა:

— ძანგ, არ გინდა ჩვენთან იმსახურო?

— განა თქვენთან არ...

— ვერ გამიგე, აქ, ჩვენთან, სასახლეში, ჩემი ძმები სულ გარეთ არიან შენ აქ იქნები და მამაჩემის ქონებას დაიცავ. რას იტყვი?..

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მომზადებული არ იყო ძანგი და შეკრთა. მის მდგომარეობაში მყოფი ამაზე უკეთესს რას ინატრებდა, მაგრამ ყოველ წუთს იმ ხალხში ტრიალი, ვინც ესოდენ სძულს, მის ძალ-ღონეს აღემატება. არა, რაც უფრო შორს იქნება მათგან, უკეთესია.

— დიდი მადლობა, ჩემო ქალბატონო, მაგრამ ცხვარში მირჩევნია.

— ცხვარში გირჩევნია? ნუთუ არ მოგბეზრდა?

— მომბეზრდა, მაგრამ მაინც იქ მირჩევნია, იქ თავისუფალი ვარ. რა ვქნა, მიყვარს თავისუფლება.

— ძალიან მეწყინა, მაგრამ თავისუფლებას ძალით ვერ წაგართმევ. ის მაინც მითხარი, რითი გცეთ პატივი, რას ისურვებ? მამაჩემი შენთვის არაფერს დაიშურებს.

— ძანგმა თავისი ქალბატონი გადაარჩინა და განა ამაზე მეტი საჩუქარი არსებობს?

— მარტო ეგ არ გეყოფა, ნუ ხარ გაუბედავი, მამაჩემი ყოველთვის კი არ არის ხელგაშლილი. შეიძლება ცხვრის ფარა გაჩუქოს, ან მიწა. უარი არ უთხრა.

„მიწა! ღმერთო, ამაზე დიდი საჩუქარი რაღა იქნება“. — გაუელვა თავში ძანგს და ათასი რამ გაიფიქრა: მიატოვებს მოჯამაგირეობას, პატარა სახლს აიშენებს, ცოლს შეირთავს და იცხოვრებს ისე, როგორც ყველა ცხოვრობს. ოცნებამ გაიტაცა. და თავის მომავალ ბედნიერებას ზემოდან გადმოხედა...

უცბად დოლათი გაახსენდა. ის რაღას იზამს? გულგატეხილი, უიმედო როგორ მიატოვოს? აულში ჩამოსვლის საშუალება რომ მოესპოს, ხომ გადაირია ვაჟკაცი.

— ქალბატონო, მე ჩემი ადამიანური მოვალეობა მოვიხადე, ბედნიერი ვარ თქვენი მადლობის ღირსად რომ ჩამთვალეთ. ბედნიერების გამოსახატავად არც ჭკუა მყოფნის და არც ენა მემორჩილება. თქვენს საკადრის სიტყვებს ვერ ვპოულობ, ერთი სათხოვარი კი მაქვს მართლა... — ძანგმა სათქმელი ვეღარ დაამთავრა.

— თქვი, ყველაფერს შეგისრულებ.

— თუ ასეა, მაშინ ჩემი ამხანაგი დოლათი გადმოაყვანინე ალდარს. რომ იცოდეთ, როგორი ერთგულია თქვენი და რა დიდი ბედნიერება იქნება მისთვის.

ჩაფიქრდა აგუნდა.

— ჩემი მოახლის საქმროა დოლათი, კარგი ბიჭია, მაგრამ ძალიან გაუბედავი და მორცხვია, არ მიყვარს ასეთები, შენ რატომ არ გინდა ჩვენთან? იქნებ, სხვა რამე გაქვს გულში? თქვი, ნუ გრცხვენია.

— არაფერი. მე მხოლოდ თქვენი სიკეთე მინდა და თუ მაინცდამაინც მსახური გინდათ, დოლათი ზედგამოჭრილია, ძალიან კარგი ბიჭია, თქვენს სიკეთეს არც ის დაივიწყებს და არც მე.

— კარგი, იყოს შენი ნება, მხოლოდ იცოდე, მაწყენინე.

— ასე უკეთესი იქნება, ქალბატონო, — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა ძანგს, მაგრამ ვეღარ მოასწრო, სწორედ ამ დროს მოისმა ძანხოთის ბოხი ხმა. — მაპატიეთ, აგუნდა, ალდარი მობრძანდება.

— მოიცა, ძანგ! — მაგრამ ძანგს მისი სიტყვები აღარ გაუგონია, გარეთ გავარდა. კარში ძანხოთს შეეჩეხა, ის თავის სტუმრებთან ერთად მოდიოდა, ზარხოშად იყვნენ. ეტყობოდათ, სუფრიდან წამომდგარიყვნენ, არაყის სუნმა დაჰკრა ძანგს.

3.

ჯერ ისევ მაღლა იყო მზე, რომ აულის ბოლოდან ზანზალაკების ჟღარუნი მოისმა. ძაღლები აყეფდნენ. ატყდა გნიასი, მალე ალდარ ძანხოთის ეზოს სამი ფაეტონი მოადგა. მსახურნი ფაცაფუცით გამოცვივდნენ გარეთ და ჭიშკარი ყურთამდე გააღეს. ცხენები ეზოში დააურვეს.

ალდარის ვაჟები ხმაურით გადმოხტნენ ფაეტონიდან, მათ მოჰყვნენ ცოლები, დედა, დიდი ქალბატონი.

ეზო ხმაურით აივსო, მეინახენიც გარეთ გამოეფინენ, მოსულებს შეეგებნენ. თითქოს მთელი საუკუნის უნახავები შეხვდნენ ერთმანეთს, ბოლო აღარ უჩანდა ხვევნა-კოცნას, მოკითხვას.

დიდი ქალბატონი, ჭაღარა დალალების სწორებით ეხვეოდა ქალიშვილს და სიხარულის ცრემლს ღვრიდა. ღვთისმშობელს მადლსა სწირავდა, მისი აგუნდა ხიფათს რომ გადაარჩინა. მალე ყველანი შინ შევიდნენ.

ძანგი მოშორებით იდგა და იქიდან უყურებდა კეთილშობილთა მოქმედებას.

მსახურებმა ფრთები გამოისხეს, სასახლეში შერბოდნენ და გამორბოდნენ. ძანგი უხერხულად იდგა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა.

მზე ჩავიდა, ალდარის ვაჟმა გარეთ გამოსვლა ინება. ძანგი რომ დაინახა, მასთან მივიდა. შექეიფიანებულს თვალები შესიებოდა, სახე აწითლებოდა.

— შინ მობრძანდი, სტუმარო, განზე რატომ გამდგარხარ?

— მე იქ შემოსვლა არ მეკუთვნის, ალდარო.

— რატომ არ გეკუთვნით? მობრძანდი, მობრძანდი!.. მოიცა, შენ ვინა ხარ, ვერ გიცანი?

— მოჯამაგირე ვარ თქვენი, ცხვარსა ვმწყემსავ.

— მოჯამაგირეო! — იღრიალა ახალგაზრდა ალდარმა და ბრაზით წამოენთო.

— დიახ, მოჯამაგირე!

— მერე აქ რას დაყუდებულხარ, შე უბედურო, გაინძერი.

— რო არ ვიცი, რა გავაკეთო?!

— არ იცი ხომ, ვირიშვილო, მუქთად ჭამა ხომ იცი? როგორც ვატყობ, მამაჩემმა ნებაზე მიგიშვათ და სეირნობთ ხომ? მაცადეთ, ტილიანებო, მალე ჩამოვალ და კისერზე ცხრაპირ ტყავს აგაძრობთ.

— მაპატიე, ალდარო, მე მუქთად არავის ლუკმა შემიჭამია. რატომ ნებულობთ ჩემს შეურაცხყოფას?

— შეგიჭამია, ძაღლისშვილო და სიტყვას ნუ მიბრუნებ!

— არ გეკადრებათ.

— რაო? მე არ მეკადრება? — ცოფები წამოყარა ახალგაზრდა ალდარმა. — უ, შე ღორის ტილო, შენა. — მუშტი მოუქნია, ძანგი გვერდზე გახტა. მერე იფიქრა, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო და წასვლა დააპირა.

— ფეხი არ გადგა!

შეჩერდა ძანგი.

— მომიახლოვდი!

ძანგი მიუახლოვდა.

— ვისი ჩოხა გაცვია?

— ნაჩუქარია.

— მერე ვინ გაჩუქა? თუ მოპარულია?

— ნუ ყვირით, ხალხი გვიყურებს, თქვენმა დამ მაჩუქა.

— უყურეთ ამ ვირს! ახლავე გაიხადე.

ძანგმა მიმოიხედა. მოახლეები შეგროვდნენ და უყურებენ რა მოხდება, რითი დამთავრდება კამათი. ბატონიშვილი ძანგს თავისკენ ექაჩება, ცდილობს ჩოხა გააძროს. სწორედ მაშინ აგუნდას ფარეშმა ძანგის ძველი ტანსაცმელი გარეთ გამოიტანა. ძანგმა ალდარი გვერდით გასწია. ქალს თითქმის გამოსტაცა ხელიდან ტანსაცმელი და მარანში შევარდა. იქ სწრაფად გამოიცვალა ნაჩუქარი ჩოხა-ახალუხი, დაკეცა და ალდარს მიართვა.

— აი, თქვენი ტანსაცმელი!

აგუნდას პირისფარეშმა ალდარს გააგებინა საქმის ვითარება. მან ვეღარ გაბედა ტანსაცმლის გამორთმევა, მაგრამ არც იხტიბარი გაიტეხა.

— მერე მაგ ტილიან ტანსაცმელს ვინ ჩაიცვამს, იყოს შენი.

— არ არის საჭირო, ყველას თავის საკუთარი ტყავიძველა შვენის.

— ჩაიცვი! თუ ჩემმა დამ გაჩუქა, იყოს შენი.

— არ მინდა. მაინც არავინ დაიჯერებს, რომ ჩემია და რად მინდა, მოწმედ ვინ დამიდგება, რომ ნაჩუქარია და არა მოპარული.

— ერთი უყურეთ ამ გუდამშიერს, რა გულზვიადი ყოფილა.

— რა ვქნა, ასეთი გავუჩენივარ ღმერთს.

— მე შენ ცხვრის რქასავით მოგგრეხ, პირუტყვო! დამაცადე! — დაემუქრა ახალგაზრდა ალდარი ძანგს. — თუმცა შენ მართალი ხარ, ვირს ცხენის უნაგირი არ მოუხდება! — ძანგს ხელიდან გამოგლიჯა ტანსაცმელი და ალესილი ნაჯახით ნაკუწ-ნაკუწ აქცია, აქეთ-იქით მიყარ-მოყარა და მერეღა შებარბაცდა შინ.

ძანგმა აღარ იცის, როგორ გაეცალოს აქაურობას, ალდარის ნების გარეშე წასვლა არ ეგების, არადა რა ქნას. ალდარი ძანხოთი კი სუფრაზე ილხენს და იქ შესვლა ვერ გაბედა.

დაბნელდა, სასახლეში მხიარულებამ იმატა, არეული ხმები საქონლის ბღავილს უფრო ჰგავს ვიდრე სიმღერას. ამ ხმას ძაღლები ყეფით აძლევენ ბანს. დაქანცული ფარეშები ფეხზე ძლივს დგანან, მაგრამ სტუმრების პატივისცემაში მაინც ერთმანეთს ეჯიბრებიან. ზოგი არაყს მიარბენინებს, ზოგი ღვინოს, ზოგიც ცეცხლზე მწვადებს აშიშხინებს, ზოგი ხაშლამას ხარშავს, ზოგიც ბარაქიან ხაბიძგინებს აცხობს. ქეიფი ეშხში შევიდა. ძანხოთს გვიანღა გაახსენდა ძანგი. აქ მომგვარეთო, იყვირა.

არ უნდოდა ძანგს ხალხში გამოჩენა, მაგრამ ვინ დაუჯერა.

მეინახენი მეტისმეტად მხიარულობენ, განსაკუთრებით რძლები. ისინი დედამთილ-მამამთილის გულის მოსაგებად ერთიმეორის დაჯაბნას ცდილობენ, ეტყობათ, შარბათივით ღვინო ცეცხლად მოსდებიათ და აღარ ესმით, რას აკეთებენ.

ძანგის შემოსვლა არავის შეუნიშნავს, დგას კარებში და მოქეიფეებს ათვალიერებს. აგუნდას მზერა დაიჭირა, მან თავიდან-ფეხამდე შეათვალიერა და დამნაშავესავით ჩაღუნა თავი.

— ალდარო, მეძახდით?

ალდარმა დაინახა ძანგი, წითელი ღვინით შეავსო ყანწი და მისკენ მიბრუნდა:

— მოხვედი, მწყემსო? მომიახლოვდი!

ძანგმა რამდენიმე ნაბიჯი წადგა წინ.

— კეთილშობილნო, — ალდარის ბოხმა ხმამ დაჯაბნა მეინახეთა ყაყანი. — მომისმინეთ, კეთილშობილნო, ჩვენში ბევრია შურიანი და ბოროტი. ჩემი ცხოვრება და სიმდიდრე შურთ და ათასნაირ ჭორს მივრცელებენ, ვითომც მე მოჯამაგირეებს ცუდად ვექცეოდე, მე,

ელოითი, დიდი ძანხოთი, ვითომც ხელფასს ვაკლებდე, ჩემი მტრები ამბობენ, რომ მოჯამაგირეები არ დამინდობენ და ცეცხლზე დასაწვავადაც გამიმეტებენ. ო, დიდებულებო, კეთილშობილნო, დამიჯერეთ, ყოველივე ეს ჭორია. აი ამის ცოცხალი მაგალითი, ჩემი მოჯამაგირე, მწყემსი, — ძანხოთმა ხელით ანიშნა ძანგზე. — ხომ ხედავთ, სწორედ ამან საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო და ჩემი ქალიშვილი — თავისი ქალბატონი დაღუპვისაგან იხსნა. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ჩემს მოჯამაგირეებსა და მსახურებს სიცოცხლეზე მეტად ვუყვარვარ, პატივს მცემენ. მაშ, ვინ ამბობს ელოითი ძანხოთი მსახურებს და მოჯამაგირეებს ცუდად ექცევაო? — ალდარმა მეინახეებზე გამჭოლი მზერა მოატარა. თითქოს მათ შორის მტერს ეძებდა. მერე ცალ-ცალკე ისე გაუყარა თვალში თვალი, თითქოს მწვადის ნაჭრებს აგებდა შამფურზე.

უხერხულად იგრძნეს სტუმრებმა თავი. ხმას არავინ იღებდა. მხოლოდ ხანდახან ზოგიერთს ღვინით დაბერილი ძარღვი თუ აუთამაშდებოდა კისერზე.

ძანგმა ალდარის ლაპარაკიდან ვერაფერი გაიგო. იცოდა, რომ იგი ძალზე პატივმოყვარე იყო და ვინც ურჩობას შებედავდა, ცოცხლად დასამარხად გაიმეტებდა. პირსისხლიან მხეცზე უარესის ჩადენასაც არ დაერიდებოდა. ძანგი მაინც ვერ მიხვდა, მტრების ხსენება რად დასჭირდა ალდარს.

— მაშ ასე, უფალნო, თქვენს წინაშე ელოითი ძანხოთი სირჩას უძღვნის თავის მოჯამაგირე მწყემსს.

— ეკუთვნის, ეკუთვნის! — იღრიალა ალდარის ვაჟმა, — ჰა, ჰა, ჰა! დღეს მე მაგას ჩემი ჩოხა-ახალუხი გავაძვრე, რატომ არ თქვი, პირუტყვო, ჩემი და თუ გადაარჩინე? პარდონ, არ ვიცოდი!.. ჰა-ჰა-ჰა!

— გამოართვი ალდარს სირჩა, ბიჭო!

— დიდი მადლობა, ალდარო, რომ სირჩის ღირსად მცანი, ძანგმა ალდარს სირჩა გამოართვა. — სირჩა ჩვენში დიდი პატივია და ვღებულობ; მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა ვთქვა, ალდარო, თქვენ ბრძანეთ, თითქოს მე ახალგაზრდა ქალბატონი იმიტომ გადავარჩინე, რომ ალდარის ერთგული ვარ და სიცოცხლეზე მეტად მიყვარს იგი. მაპატიეთ, მაგრამ ეს ასე სულაც არ არის. მე სიცრუე არ მახასიათებს. ჩემთვის უცხოა ორპირობა. პირდაპირ გეტყვი, ქალბატონი გადავარჩინე. რადგან ის პირველ რიგში ადამიანია, მის ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, იმასაც გადავარჩენდი, გაჭირვებული ადამიანისათვის დახმარება ყველას ვალია!.. სირჩაზე მადლობას მოგახსენებთ.

ძანხოთს სახეზე შეეტყო, ძანგის სამადლობელი არ ესიამოვნა. სასმისი ბოლომდე დააცლევინა. ცარიელი ყანწი მსახურს გადაუგდო და გაატანინა.

ალდარის სირჩის შემდეგ ძანგმა ისე იგრძნო თავი, თითქოს გამდნარი ტყვიით სავსე სასმისი გამოეცალა.

— ბედნიერი ხარ, ძანხოთ, ასეთი ერთგული მოჯამაგირეები რომ გყავს... ჩემები კი, ჭირმა გაწყვიტოს, ერთიმეორეზე უბედურები და

ზარმაცები არიან, მათრახი არ სცილდებათ ზურგიდან, მაგრამ ვერ გამიტეხია. აი შენი მოჯამაგირესავით ერთგული მეც რომ მაშოვნინა, — თვალების პარპალით თქვა ერთმა სტუმარმა.

— მეც ეგრე, — სიტყვა შეაწყვეტინა მეორემ, — ჩემს მსახურთ, სახადიც შეყრიათ, ერთთავად საჭმელად დაუღიათ პირი. შიმშილით ვიხოცებითო, ყვირიან. დაიხოცნენ და აღარ გადარჩნენ. თუმცა არც ეს აკლიათ. მართლა ბუზებივით იხოცებიან ეს ოხრები, შარშანს აქეთ თხუთმეტი მაინც მოკვდა, სასაფლაოზე ადგილი აღარ ჰყოფნით. შენ მართლა ბედნიერი ხარ, ძანხოთ, რა თავგანწირვა გიჩვენა მოჯამაგირემ, მშურს პირდაპირ, მოდი დამითმე, იქნებ ჩემებს ჭკუა ასწავლოს.

— არა, მე დამითმობს და სამაგიერო პატივისცემით კმაყოფილი დარჩება, — სიტყვა ჩამოართვა პირველმა ალდარმა.

— მე მუქთად როდი ვთხოულობ. ჩემი მეძებარი ათ მოჯამაგირეს სჯობია, მთელ ხეობაში იმისთანა არც მოიძებნება.

— შენს მეძებრებზე ამბობ მაგას? მაშ ჩემს ყორანაზე რაღა ვთქვა! ათ მგელს ერევა ერთად.

— რას ამბობ, განა იმას ძაღლი ეთქმის? სიბერით გაქუცულს პირში ერთი კბილი აღარ უხირია.

— რატომ ნებულობ, ალდარო?

— იცით რა, კეთილშობილებო, ძაღლები თქვენთვის დაგვილოცნია. ფულის ქისები მოსინჯეთ, უკეთესია, — ესროლა სიტყვა ძანხოთის უფროსმა ვაჟმა მოკამათეებს.

— თანახმა ვარ!

— მეც!

— რამდენი?

— ხუთი თუმანი.

— ექვსი!

— შვიდი!

— რვა!

— ცხრა!

„რას ნიშნავს ეს? ხუმრობენ, თუ?.. მე ალდარის ყმა არ ვყოფილვარ, მაშ, რა უფლებით ვაჭრობენ ჩემზე? ბატონყმობა ხომ არ არის, რომ ადამიანები ძაღლებზე გაცვალონ, რა ხდება?!“

ფასს თანდათან მაღლა უწევენ. ძანგს გული ბოღმით ევსება, მარწუხებივით შემოაჭდო თითები შავტარიან ხანჯალა დანას.

— გეყოფათ! წყეულიმც იყავით ხალხის ცოდვით!

აგუნდამ საღვინეს წამოავლო ხელი და ერთმანეთში აირია დალეწილი ჭურჭლის ხმაური და ქალების შეკივლება.

გონზე მოვიდა აღშფოთებული ძანგი, თითები შეუშვა ხანჯალს და ორი ნახტომით გარეთ გავარდა.

მირბოდა, მირბოდა და წინ ვერაფერს ხედავდა. არც არაფერი ესმოდა, მხოლოდ ყურში ზარივით რეკდა: „გეყოფათ, წყეულიმც იყავით ხალხის ცოდვით!.. ძანგს ვერ გაეგო, ეს აგუნდას ყვირილი იყო თუ მისი საკუთარი გულის მწვავე ამოკვნესა.

4.

ძანგმა გადაწყვიტა ალდარს გასცლოდა. ამხანაგი მწყემსები არ დაეთანხმნენ. განსაკუთრებით ხანში შესული თავჩობანი გრისი.

— გაეცლები? მერე მაგით რა გამოვა? არა, გაქცევა არ ივარგებს, სისულელეს ჩაიდენ.

— წაუსვლელობაც არ იქნება, მეშინია, გრის, სადმე რომ შეეხვდე იმ ღვთისფეხისმჭამელებს, სისხლი დაიღვრება. თქვენ რაღაზე გაგხვიოთ ხიფათში?

— წადი, კი არავინ გიჭერს, მაგრამ ასე არა, შენი შრომის საფასური კაპიკიც არ შეარჩინო სისხლისმსმელს.

— იმ შემთხვევის შემდეგ, მე იმისი არაფერი მინდა. ბალღამად არწყიოს ჩემი სისხლი.

— ძუნწსა და დამწვარს ნაცარი გამოართვი და თვალებში შეაყარეო. ვიცი, მესმის შენი გულისტკივილი, მაგრამ რა ვქნათ, ასეთია ხელმოკლე კაცის ბედი. პირი თევზივით წყლითა აქვს სავსე, ხელები შებორკილი, მოთმინების მეტი წამალი არ არის.

ძანგი გაჩუმდა.

მეორე დღეს თვითონ ალდარი ეწვია მეცხვარეებს. მიესალმა, ცხვარი მოიკითხა. ვითომ არაფერიც არ მომხდარიყოს. მწყემსებს ბოღმა ყელში უჭერდათ, მაგრამ ხმა ვერ ამოიღეს, ძანხოთიც არავის იწვევდა სალაპარაკოდ. ისევ ძანგი წამოდგა წინ.

— წასვლა მინდა თქვენგან, ალდარო, ანგარიში გამისწორეთ!

— წასვლაო? — შეკრთა ძანხოთი და გამჭოლი მზერა ესროლა ძანგს.

— ჰო, წასვლა.

— სად აპირებ?

— ქვეყანა დიდია, ცარიელი კაცი ვარ, საითაც მოვისურვებ, ყველგან გზა ხსნილია ჩემთვის.

— ჩვენ რა გაწყენინეთ?

— იცით, რაც მაწყენინეთ. ერთსა გთხოვთ, ჩვენ ცხვარზე ვიყავით მორიგებული, მაგრამ მე ახლა ფული მირჩევნია.

— მტკიცეა შენი გადაწყვეტილება?

— რა თქმა უნდა.

ძანხოთი გაჩუმდა, მერე მეცხვარეებს დაუცაცხანა.

— რა პირები დაგიღიათ, გაინძერით, ლამის მზე საშუადღეოზე გადავიდეს, თქვენ კი ცხვარი საძოვარზე ჯერ არ გაგიშვიათ. — მწყემსები დაიფანტნენ, მხოლოდ ძანგი დარჩა.

— პასუხს ველოდები, ალდარო!

— ყური დამიგდე, ბიჭო, არ მინდა შენი გაშვება. დარჩი, ხელფასს მოგიმატებ.

— ვერ დავრჩები.

— ვიცი, ნაწყენი ხარ. ღმერთია მოწამე, არ მინდოდა... უმცროსი ხარ და მოთმენა გმართებს.

— უმცროსი ვარ, მაგრამ პირუტყვი არ ვარ, გამყიდოს ვინმემ, ჩემი მომეცი და წავალ!

ძანხოთი უჩვეულოდ მოლბა.

— იმ ღამის ამბავი შენზე ნაკლებად არც ჩემს აგუნდას სწყენია. ალიყური შენ გაგაწნეს და იმას ეტკინა. ავად გამიხდა.

— ქალბატონს ჩემთვის არაფერი დაუშავებია.

— არა, რა უნდა დაეშავებინა, პირიქით, შენგან დიდადაა დავალებული. ძმას წაეჩხუბა და სახლიდან გააგდო.

— არ მოქცეულა კარგად, ჩემი გულისთვის ძმას არ უნდა წაჩხუბებოდა, რა ვარ მე, ადამიანის სახელის ღირსადაც არ მცანით.

— კარგი, კაცო, უფლისწული ხომ არა ხარ, რაც იყო იყო, არადა, მიბრძანდი, ვინ გიჭერს. ხომ არ გგონია, შენისთანას ვეღარ ვიშოვი? მაგრამ ნუთუ ჩემს ქალს აწყენინებ? ის ამას ვერ გადაიტანს, დარჩი, აზრიანი ბიჭი ხარ, გეტყობა. ხელფასსაც მოგიმატებ და თუ ისურვებ სასახლეში გადმოგიყვან მსახურად.

— ?!

— შენ ჩემი საყვარელი ქალიშვილი სიკვდილს გადაარჩინე, ვალდებული ვარ სამაგიერო გიზღო, კარგი, ჰო, დარჩი, ცოდვაა გოგო!

ძანგი ჩაფიქრდა. გადაწყვეტილებას ვერავინ შეაცვლევინებს, მაგრამ ახლა როგორღაც მოულბა გული, მიხვდა, მამა ბოდიშის მოსახდელად აგუნდამ გამოგზავნა, ამან გატეხა მისი სიკერპე, ამაყი ალდარი მის წინაშე თავს იხრის და ეს შემთხვევით არ ხდება. მართალია, ის დავალებულია, მაგრამ რომელი მოჯამაგირისგან არ არიან ალდარები დავალებულნი და ვის უხრიან ქედს.

არადა გრისისა არ იყოს, სადაც წავა, ღმერთმა იცის, უკეთეს ყოფაში ჩავარდება? აქ სიტყვით აწყენინეს, იქ, იქნებ ხარივით გუთანში შეაბან.

— კარგი, დავრჩები... ქალბატონს გადაეცით... მისი ხათრით... ერთი სათხოვარი მაქვს, აგუნდამაც იცის, დოლათი გადაიყვანეთ ხელზე მოსამსახურედ, ის მართლა ძალიან ერთგულია თქვენი.

— თუკი ასე გინდა, გადავიყვან, — დაეთანხმა ძანხოთი. — მხოლოდ. ახლა წამოდი და შენს ქალბატონს თვითონვე უთხარი, რომ რჩები.

— მაგას ნუ მთხოვ, ალდარო.

— ასე დამაბარა აგუნდამ.

— მართალია, მაგრამ ვერ წამოვალ.

ძანხოთი შეკრთა.

— ეგ როგორ, ჩემს სიტყვას არაფრად აგდებ?

— როგორ არა, მაგრამ თქვენ გინდათ, ერთ ლოყაში სილა გამაწნათ და მე მეორე მოგიშვიროთ?

— როგორ მიბედავ! მე შენ გიჩვენებ, ძაღლისშვილო!

— თავი დამანებე, ალდარო, მე შენი არაფერი მმართებს, ახლავე წავალ.

— სად წამიხვალ, ბოქაულს ყურით მოვათრევინებ შენს თავს.

— მაგითი რას მოიგებთ, ან თქვენ, ან თქვენი ქალი?

— კარგი, მაშ, ვნახოთ! — დაემუქრა ალდარი და ცხენზე ძლივს აბობღდა.

მეორე დღეს საქმე სხვანაირად დატრიალდა. სადილობა გადავიდა. მოულოდნელად აგუნდა თავისი პირისფარეშით გამოჩნდა. დამეხილივით დარჩა ძანგი. რას იფიქრებდა, ამაყი და თავნება აგუნდა საცოდავ მწყემსთან ბოდიშის მოსახდელად მოვიდოდა.

დოლათი ბედნიერებით სანთელივით დადნა. აღარ იცის, რა ქნას. ქალიშვილების წინაშე ბავშვივით დაიბნა, რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ენა დაება. ხმის ამოღებას ვერ ახერხებს.

— ძანგ, შენს მეგობარს რაღაცის თქმა უნდა და ვერ მოუხერხებია. მიეხმარე, გამაგებინე, რა უნდა?

— ხმა ამოიღე, ბიჭო, ახლა გჭირდება ვაჟკაცობის გამოჩენა, ამოღერღე ორიოდე სიტყვა, რაღა კარგი დღისთვისღა ინახავ. — წასჩურჩულა ძანგმა დოლათს.

— აგუნდა... ხომ კარგად ბრძანდებით... ჯანმრთელად... — ძლივს გაიხსნა კრიჭა.

ქალიშვილს შეებრალა მორცხვი დოლათი და დაუყვავა.

— ღმერთმა კარგად გამყოფოს, რა მიჭირს. კარგად ვარ... დოლათ, შენ მხოლოდ ის მითხარი, მე გაინტერესებ თუ შენი აცირუხსი. რა ლამაზია აქაურობა, სამოთხეა ნამდვილი... ნანა! რამდენი ყვავილებია?

— ყვავილები მართლა არ გვაკლია, საჭმელად რომ ვარგოდეს, ჩვენს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა, — გაიცინა დოლათმა.

— ღმერთს ყველაფერი საჭმელად როდი გაუჩენია, დოლათ, ასე რომ ყოფილიყო, ცხოვრებას ფასიც არ ექნებოდა. აბა იფიქრე, ასეთი მშვენება რომ არ მეხილა და ისე ჩავჩეხილიყავ უფსკრულში, ცოდვა არ ვიქნებოდი?.. ძანგ, მომიწყვიტე რამდენიმე ყვავილი!

ძანგი შეკრთა. ძანხოთის მუქარა ჯერაც არ დავიწყებია და ახლა ქალბატონის გამოჩენამ სულ დააბნია.

— მაპატიე, ქალბატონო!.. დავიბენი...

— ეჰ, იქნებ ტყუილად შეგადარე შავარდენს! ჩემმა მოსვლამ ერთს ენა დაუბა, მეორე დაიბნა. ჰა-ჰა-ჰა! ხედავ, აცირუხს, ვითომ გასათხოვარი ქალიშვილები არიან და მოსატაცებლად მოვედით, ისე არ მისდით ფერფური?

— არ მოგელოდით, ქალბატონო, — ამოილუღლუღა დოლათმა.

— აბა, იმ დღეს რომ მპირდებოდი ძალიან ლამაზ ადგილებს გაჩვენებო, ხომ არ დაგავიწყდა? მაშინ ვერაფერი ვნახე, იმ ოხერმა ცხენმა ხომ ნახეთ, რა მიყო. წამოდით, მაჩვენეთ, სად ჩაიჩეხა ის სატიალო.

— არა, ჩემო ქალბატონო, ნუ ინებებ იქ წასვლას, მე ვიცი, ძალიან საშიშია. ამბობენ, ასასვლელში ეშმაკი ზისო.

— ჰა-ჰა-ჰა! გიჟი ხარ, აცირუხს, გიჟი. ეშმაკი, ქაჯი, ჯადო, უხსენებელი!.. სულ ერთიანად ჩაჩეხა ძანგმა უფსკრულში, წამოდი, წამოდი, შენი თვალით ნახავ და დარწმუნდები. წამოდით, ჰა!

— ორივეს წამოსვლა არ იქნება, ქალბატონო! ეშმაკის კლდე კარგა მოშორებითაა და ცხვარს უპატრონოდ ვერ დავტოვებთ, — შებედა ძანგმა.

— შენ წამოდი, დოლათი დარჩეს ცხვართან.

უარი ვერ უთხრა ძანგმა.

წავიდნენ. ძანგი გაოცებული შეჰყურებდა აგუნდას. ამ ორიოდე დღის წინ ეშმაკის მაცდურ ქალად მოეჩვენა, ახლა სავსებით მიწიერი ადამიანი იყო. ვაჟი ადარებდა იმ გულზვიად აგუნდასა და ამას, შვლის ნუკრივით რომ მიკუნტრუშობდა ყვავილების ხალიჩაზე და მის ოქროს წკრიალივით სიცილს მთები ეხმაურებოდნენ. იმ აგუნდასა და ამას შორის საერთო ვეღარაფერი დაინახა.

აგუნდა დროდადრო ლამაზ ყვავილებს რაღაც დიდი სინაზით წყვეტდა. უცებ ქარივით გაქროლდა.

— დამეწიე! — მიაძახა ძანგს.

— შენი ქალბატონი სულ ასე მხიარულია? — ჰკითხა ძანგმა აცირუხსს.

— მხიარულია, მაგრამ ასეთი მხიარული არასოდეს ყოფილა.

— მოცლილია და... აღარ იცის, რითი გაერთოს, ზარმაცის მეგობარი მოწყენილობაა.

— დედას გეფიცები, ძანგ, არა ხარ მართალი, აგუნდა სულაც არ არის ეგეთი, ამაყიც არის, გულზვიადიც, მაგრამ კეთილია, სამართლიანი, სულაც არა ჰგავს თავის ახლობლებს.

— ჯერ ასეთია, მაგრამ გათხოვდება და კატასავით მაშინ გამოაჩენს ბრჭყალებს.

— მე კი ვფიქრობ, რომ არასოდეს გათხოვდება.

— ვითომ რატომ?

— ძნელია აგუნდას გულის დაპყრობა, მისი გაგება. გული მიგრძნობს, სიყვარული დაღუპავს მას. ხანდახან მეშინია კიდეც, ოცნებით ხატავს საქმროს, აი ისე, ზღაპარში რომ გამიგონია... ნამდვილად ბავშვივით სუფთა და უმანკოა.

— რა იქენით? გუთნეულის ხარებივით ძლივს რომ ადგამთ ფეხებს? — მოისმა აგუნდას ხმა.

ძანგმა და აცირუხსმა ფეხს აუჩქარეს.

ეშმაკის კლდეზე ავიდნენ. აცირუხსი გაჯიუტდა, ახლოს მისვლა ვერ გაბედვინეს. აგუნდა კი მაცდურ გზას შეუყვა. ძანგი გვერდით მისდევდა, ზედ გადასავარდნ ქიმზე დადგნენ.

— ქალბატონო, კიდეზე ნუ დგებით, — ხმის კანკალით აფრთხილებს აცირუხსი...

— ნუ გეშინია, აცირუხს, აქ პირველად როდი ვარ.

— სხვა დროსაც ყოფილხართ? — გაიოცა ძანგმა.

— ბევრჯერ, წეღან განგებ ვთქვი, არ ვყოფილვარ-მეთქი, — ქალიშვილმა მკლავები არწივის ფრთებივით გაშალა და ხმამაღლა შესძახა, — ჰე, ჰე, ჰეი! ჯოჯოხეთის მოციქულებო, დადგა თქვენი აღსასრული, თქვენზე ძლიერი და მოხერხებული აღმოჩნდა მიწიერი ადამიანი, მიულოცეთ! მიულოცეთ!..

ჩაბნელებული უფსკრულიდან ათასმა ხმამ გაიმეორა ქალიშვილის სიტყვა „მიულოცეთ! მიულოცეთ!“

ძანგს თმა ყალყზე დაუდგა. ქალიშვილის მკლავს წაეტანა და უფსკრულის პირიდან გამოიტაცა.

— იწამეთ ღმერთი, ქალბატონო, წავიდეთ აქედან, ერთხელ გადაგარჩინეთ ხიფათს, მეორედ ნუ...

— ნუ გეშინია, ძანგ, ეს კლდე ან ჩემი ბედნიერებაა ან უბედურება, დაე, იყოს ერთ-ერთი.

— ქალბატონო!

— ძანგ, ძალიან გთხოვ, ქალბატონს ნუ მეძახი, მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ვერ ვიტან, ქალბატონს რომ მეძახიან. მე ქალბატონი კი არა, აგუნდა ვარ, შენ მწყემსი კი არა — ძანგი ხარ.

— არა, ჩემო ქალბატონო, თავიდანვე ასე მოეწყო ცხოვრება, ქალბატონებმა და მსახურებმა თავთავიანთი ადგილი იციან.

აგუნდა ღელავდა, ვერ ისვენებდა, პატარა ბავშვივით ცმუკავდა.

— ქალბატონო, დედა ღვთისას გაფიცებთ, გამოდით მანდედან, ღმერთო, შენ უშველე... გამოდით აქეთ, გადავარდებით!

— ნუ გეშინია, აცირუხს. აქ მე მეორედ დავიბადე. მაცადე, ვუყურო ჩემს დამბადებელს! — დაამშვიდა აგუნდამ პირისფარეში და გაიცინა.

— აცირუხსი მართალია, წავიდეთ აქედან! — ძანგმა ცეცხლოვანი თვალები შეანათა ქალიშვილს.

აგუნდა შეაკრთო ამ თვალების ელვარებამ, თითქოს შიგ გულში ეოხვდა ნაღვერდალი.

— ეჰ, საბრალო აცირუხს, რა გესმის? აქ, სწორედ ამ მაცდურ ველზე გაიხსნა ჩემთვის ცისკარი. მე აქ ვპოვე გულისსწორი...

— ხუმრობა ხუმრობაა, მაგრამ წავიდეთ აქედან, — ძანგმა გაბედულად მოჰკიდა მკლავში ხელი ქალბატონს და ძალით გამოაცილა უფსკრულს.

— რა არის, ქალბატონო, ლამის სული გამეყაროს, რატომ მაშინებთ?

— ნუ, ჩემო აცირუხს, ნუ, ყველაფერი გულთან ახლოს ნუ მიგაქვს, თორემ, მალე დაბერდები. აბა, გაიქეცი და ლამაზი ყვავილების თაიგული შემიკონე.

— რამდენსაც ისურვებთ, ქალბატონო. მხოლოდ აღარ გაჯიუტდეთ, თორემ, დედას გეფიცები, ალდარს მოვახსენებ. — თითით დაემუქრა აცირუხსი.

— კარგი, კარგი, აცირუხს, შენ მხოლოდ ლამაზი თაიგული გამიკეთე...

— ეგ ჩემზე იყოს, — თქვა აცირუხსმა და ყვავილებს შეერია ძანგმა ფეხს აუჩქარა.

— რა გეჩქარება, ძანგ?

— დოლათი მარტოა.

— რა უშავს, ბავშვი ხომ არ არის.

ცოტა ხანს მდუმარედ მიდიოდნენ გვერდიგვერდ.

— რას გაჩუმებულხარ, ძანგ?

— რა ვიცი, რა ვთქვა?

— არ გიკვირს ჩემი ამბავი?

— სიმართლე რომ არ დაგიმალოთ, მიკვირს.

— მაშ, რატომ არაფერს მეკითხები?

— რაზე?

— თუნდაც იმაზე, იმ ღამეს რომ გყიდდნენ.

ძანგმა არაფერი თქვა.

— ვიცი, ძალიან გაწყენინეს. მე მაპატიე.

ისევ არ ამოიღო ხმა ძანგმა.

— დაჩაგვრას არავის აპატიებ. ეგ მომწონს შენში. შენს ადგილზე შეც ეგრე მოვიქცეოდი.

— ალდარი ამოვიდა ჩემთან, ბოდიში მომიხადა. რატომ დასჭირდა, არ ვიცი.

— მე გამოვგზავნე.

— ასე რომ არ მოქცეულიყავ, ჩემს თვალში ფასს დაკარგავდი, კინწისკვრით გაგაგდებდი...

— მეორედ მესმის თქვენგან ასეთი მუქარა, რას ნიშნავს ეგ?

ქალიშვილი დაიხარა და ყელყელა ყვავილი მოწყვიტა, ეშმაკურმა ღიმილმა გაუპო ალისფერი ბაგე.

— ეგ მხოლოდ მე ვიცი.

— რა სულელურ კითხვებს ვბედავ, არა? მოჯამაგირეს ვინ მისცა უფლება, ქალბატონს კითხვებს აძლევდეს. კეთილშობილთა ჩანაფიქრის ამოცნობა რა ჩვენი საქმეა. პირუტყვი როდის ეკითხება პატრონს — რას გაკეთებინებს, საით წაიყვანს, დასაკლავად, გასაყიდად თუ...

— კარგი, გთხოვ ნულარ გაიხსენებ იმ ამბავს.

— მაპატიე, რა ვქნა, სიცრუე და ორპირობა უცხოა ჩემთვის.

— რაკი ჩემი აზრის გაგება გინდა, გეტყვი: შენ რომ თავი მოგეხარა და ის შენი დამცირება უხმოდ გადაგეყლაპა, ნამდვილად დავკარგავდი რწმენას, სამუდამოდ ამოგიღებდი გულიდან. ახლა სხვაა. შენ დამანახვე. რომ დედამიწაზე მარტო პირუტყვები კი არა, ადამიანებიც ცხოვრობენ.

— კარგი ხალხი ბევრია, თქვენ არ იცნობთ, თორემ...

— შეიძლება, მაგრამ ვისი ქალბატონიც მე ვარ, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, მათ შორის არ შემხვედრია ნამდვილი ადამიანი, ისე, შეიძლება უბრალო ხალხში ბევრი იყოს მამაცი, გაბედული, მაგრამ მე

არავის ვიცნობ. მხდალსა და ლაჩარს კი პატივს არა ვცემ. ისეთებიც არიან, რომლებსაც ქონებაც ბევრი აქვთ, არც შეხედულება აკლიათ, მაგრამ მაინც არ არიან გულწრფელნი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცრუობენ, პირში ერთგულებას გეფიცებიან, პირსუკან კი შენს სისხლს დალევენ. ნამუსზე და ვაჟკაცობაზე აღარაფერს ვამბობ. წარმოიდგინე, ისინი თავიანთ თავს კეთილშობილს უწოდებენ.

— არ ვიცი, რა გიპასუხო. შენ ჭკვიანი ხარ, განათლებული, ძლიერი. მაპატიე, თუ ისე ვერ გამოვთქვა ჩემი აზრი...

— რას ამბობ, ძანგ, შენ საოცარი ადამიანი ხარ, არ დამცინო, ლირფი არ გეგონო, მაგრამ რა ვქნა, გული თხოულობს შენთან საუბარს, შენს ნახვას...

— ჩემი სამყარო ეს მაღალი მთებია, ჩემი საქმე — სხვისი პირუტყვის მწყემსვა. შენი ფიქრი სხვაა. სხვა გარემოში ხარ გაზრდილი, თუ დაიჯერებ, მიკვირს კიდეც, როგორ ვბედავ შენთან საუბარს.

— სიმდიდრე არ მაკლია, მაგრამ გული შვებას მაინც ვერ გრძნობს. ასე მგონია შეცდომით ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე. სხვა სამყარო, სხვა ცხოვრება იზიდავს ჩემს გულს, რა არის ეს, ვერ გამიგია. ხანდახან მეჩვენება, რომ ფრთას გავშლი და გავეცლები ამ ცხოვრებას, მაგრამ ფრთამოტეხილი ჩიტივით აფრენას ვერ ვახერხებ. გალიაში ვარ დატყვევებული.

ჭრელა-ჭრელა ყვავილებისგან აცირუხსს დიდი თაიგული შეეკონა და ამასობაში წამოეწია კიდეც ქალბატონს.

— ქალბატონო, შინ წასვლის დროა, ალდარი შეწუხდება.

— მივდივართ, მივდივართ, — თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა, ისე შეიშმუშნა აგუნდა.

მერე აცირუხსს ფუთა გამოართვა და ძანგს შეაჩეჩა ხელში.

— უარი არ მითხრა, ძალიან მეწყინება... ვნახოთ, მოგეწონება? ჩემი შეკერილია. იცოდე, თუ არ ჩაიცვამ, გაგებუტები.

ძანგი ისე დაიბნა, ხმა ვეღარ ამოიღო, გოგოები კი უკვე თაქვეში ნუკრებივით მიხტოდნენ.

„ჩემი შეკერილია“, ცხადად მოესმა ძანგს აგუნდას სიტყვები. რაღაც ეჭვები გაუღვიძა ამ სიტყვებმა. „ვინ ვარ მე მისთვის? სიკვდილს გადავარჩინე, მართალია, მაგრამ საჩუქარს მსახურის ხელით ვერ გამოგზავნიდა? საკვირველია, როგორ იკადრა ჩემთან ლაპარაკი? ის ცისკარივით ცაზეა, მე კი ბნელ ხაროში ტალახში ვფორთხავ“.

ძანგმა ხელის კანკალით გახსნა ფუთა, დიდხანს ათვალიერებდა ახალ მოთელილ ნაბდის ქუდს, ჩოხა-ახალუხს, მოსირმულ საწვიკეებს და ტყავის უძიროებს.

5.

დოლათი სასახლეში გადაიყვანეს. ძანგი მარტო დარჩა თავის ფიქრებთან. მეორე ამხანაგი გრისი ჭკვიანი და გულკეთილი ადამიანია,

მაგრამ ერთთავად თავისი მშიერი ბავშვების დარდი აწუხებს და ძანგისთვის არა სცალია.

აგუნდას ამბავი დაავიწყდა კიდეც. მხოლოდ ის უხარია, რომ დოლათს ხელი შეუწყო, სურვილი აუსრულა. ალბათ ძალიან ბედნიერია, ყოველდღე ხედავს თავის აცირუხსს.

რა იცოდა ძანგმა, რომ კიდევ უფრო საოცარი ამბავი ელოდა. ერთ კვირა დღეს აგუნდა მარტოდმარტო ეწვია.

ქალიშვილის მოსვლა გაუხარდა, თუმცა, ვისმე რომ ეკითხა, რატომ გაგიხარდაო, პასუხს ვერ გასცემდა. იფიქრა, ნეტავ რა აქვს განზრახულიო და მისალმებისთანავე ჰკითხა:

— უბრალოდ არ გაირჯებოდით, ქალბატონო, მოხდა რამე?

— წუხელ უემური სიზმარი ვნახე. თითქოს მთიდან ლოდი დაგორდა და ქვეშ მოგიყოლა, შემეშინდა და მთელი ღამე თვალი აღარ მომიხუჭავს, — ამის თქმაზე ქალიშვილს ღაწვები აეწვა.

— მაღალმა ღმერთმა სიხარული ნუ მოგაკლოს, აგუნდა, ვითომც მართლა ზვავიდან ამოგეყვანე...

— ჩემი საჩუქარი არ მოგეწონა? რატომ არ გაცვია?

— ღირსი არა ვარ თქვენი ყურადღებისა. რა ვიცოდი, დღეს რომ ინებებდი მობრძანებას, თორემ...

— ხვალაც ამოვალ... კარგი?

— ნებართვას მე მთხოვ?

— რა ვიცი, იქნებ შენ არ გესიამოვნება?

— რას ამბობ, აგუნდა!

— შინ ვეღარ ვჩერდები, სულ შენთან მინდა... თუ თავი არ მოგაბეზრე.

— ნუ ამბობ მაგას, მამაშენი...

— გუშინ ქალაქს წავიდა, ორ კვირას მაინც დარჩება იქ.

— დოლათი როგორ არის? აკეთებს რამეს?

— თვალსა და ხელში წინწალი გასდის. მერცხალივით დაფრინავს. ბაბა ძალიან კმაყოფილია.

— შენ?

აგუნდამ არ უპასუხა, თითქოს მისი შეკითხვა არც გაეგონოს. მერე ძანგს პირდაპირ თვალებში შეხედა და მოულოდნელად ჰკითხა:

— შეყვარებული გყავს?

— არა.

— არც არავინ გყვარებია?

— სამაგისოდ ჯერ არ მომიცლია.

აგუნდამ შვებით ამოისუნთქა.

— რატომ მეკითხები?

— ისე...

— ხომ არავის მირიგებ?

— ვილაცას დაუფრთხე ძილი.

— მე? რას ამბობ? გოგოებს ჩემნაირები არ მოსწონთ.

— ვითომ რატომ?

— ყველა ქალიშვილი ცხოვრებაზე ოცნებობს, მე კი ჩემთვისაც არაფერი მაბადია, ხომ ხედავ, ცის ქვეშ ვცხოვრობ. ლოდია ჩემი სასთუმალი, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ მუხთალ წუთისოფელში მარტოდმარტო ვარ. მკერდში გული ფეთქავს და სიყვარულის უფლება არა მაქვს.

— სიყვარულის უფლება ყველასა აქვს.

— ამ დაწყევლილ ქვეყანაზე სიყვარულიც ფულზე იყიდება. ზოგჯერ ისე ძვირი ჯდება, რომ მყიდველი წელში წყდება, სიყვარულის მაგიერ ხშირად გულისტკივილი შერჩება ხელში. ვიცი ჩემი მდგომარეობა და სიყვარული არც მაგონდება.

აგუნდა დადუმდა, გული რაღაცნაირად ეკუმშებოდა, მერე მთებს მოავლო თვალი და ყველაზე მაღალზე შეაჩერა მზერა.

— ძანგ, აგერ იმ მწვერვალიდან თუ გადმოგიხედია ოდესმე?

— როგორ არა...

— მე კი არა.

— გინდა?

— მინდა.

ძანგმა ფარა ამხანაგს ჩააბარა და აგუნდასთან ერთად შეუდგა აღმართს.

ძალიან მხიარული და ბედნიერია აგუნდა, პატარა ბავშვივით ყველაფერზე იცინის, მწვერვალზე ისე ავიდნენ, დაღლა არც ერთს უგრძვნია. ლამაზმა ბუნებამ მოხიბლა ქალიშვილი, თვალები უბრწყინავს, ცმუკავს, ერთი სიტყვით სიცოცხლეს შესტრფის.

სამხრობა გადასული იყო, ძანგმა სოფლის თავამდე რომ ჩააცილა, ხვალაც ამოვალო, დაუბარა აგუნდამ და პასუხისთვის არ დაუცდია, გაიქცა.

სიტყვა არ გატეხა აგუნდამ, მეორე დღესაც ესტუმრა მეცხვარეებს. მას შემდეგ თითქმის ყოველდღე ამოდის. ძანგი მიეჩვია და მოუთმენლად ელის მის გამოჩენას.

ყოველი შეხვედრის შემდეგ ვაჟი ფეხქვეშ უფრო მყარ ნიადაგს გრძნობს, რაღაცნაირად დამშვენებული ეჩვენება ქვეყანა. ქალიშვილმა დაარწმუნა, რომ ისიც სხვებივით ადამიანია და მის გულში გაიღვიძა იმედის ნაპერწკალმა, აგუნდა მას ესაუბრება არა როგორც მოჯამაგირეს, არამედ როგორც ტოლი ტოლს. უკვირს ძანგს, საიდან აღმოაჩნდა ამდენი გამბედაობა, რომ ასე თავისუფლად და თამამად ელაპარაკება ალდარის ქალს.

ასე გაგრძელდა თითქმის მთელ თვეს.

ერთხელ საღამოთი ბინაზე ცეცხლი გააჩაღა გრისმა და ვახშმის თადარიგს შეუდგა. ძანგი კერის პირას იჯდა და ფიქრებს მისცემოდა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ძანგ? ხომ არ გიკვირს ყოველდღე რისთვის ამოდის ქალბატონი? შენი აზრით რა უნდა?

— აბა, მე რა ვიცი...

— მა ვინ იცის, ბიჭო, მოერიდე, შვილო, მოერიდე, ხათაბალაში არ გაგახვიოს.

— რის ხათაბალაში? — შეკრთა ძანგი.

— რა ვქნა, მე მასულელებ, თუ მართლა არ გესმის?

— რა უნდა მესმოდეს? თქვი, რა გინდა?

— მე რა მინდა, ქალბატონს უყვარხარ.

— მე?..

— დიახ, შენ. კეთილშობილი საქმროები ახლოს არ გაიკარა და შენზედ შეაჩერა არჩევანი. გაფრთხილდი, შვილო, მაგის მამა და ძმები ჭიაყელასავით გაგსრესენ. ცათამბჯენ კოშკში ზის მზეთუნახავი, ნუ შეეცდები მის დასაკუთრებას, მაინც ვერ შესწვდები და დაიფერფლები.

კიდევ რაღაცას არიგებდა გრისი, მაგრამ ძანგს აღარაფერი გაუგონია. აზრები თავში ჩიტის ბარტყებივით აფარფატდნენ. ფიქრებმა აიტაცეს, ოცნების ზღვაში შეაცურეს.

„ქალბატონს უყვარხარ“. — მე ვუყვარვარ? მერე, განა ასეთი რამ შეიძლება? უსახლკარო მწყემსი მზეთუნახავმა აგუნდამ რისთვის შეიყვარა? რატომ ამომარჩია იმდენ საქმროებს შორის მე, უბირი მწყემსი? არა, არა! ეს არ შეიძლება! არა!

გაახსენდა, ამას წინათ აგუნდა გვერდით მიუჯდა და მხარზე მიაყრდნო თავი. ძანგს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ მომძლავრებული გრძნობა დაიოკა და მშვიდად უთხრა აგუნდას:

— თუ დაიღალე, ნაბადს გაგიფენ, წამოწექი.

— არა, არა, ასე იჯექი, არ გაინძრე, მე ლამაზ სიზმარში ვარ და არ გამაღვიძო, გეხვეწები, ხმას ნუ იღებ, ნურც ნურაფერს მკითხავ.

აგუნდამ თვალი მილულა, მწყაზარ სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა. ძანგი უყურებდა და პირველად შესწირა ღმერთს მადლობა, ამ ქვეყანაზე რომ გააჩინა. დუნია თავისი ეგონა, მაშინ არ უფიქრია, რომ აგუნდა უყვარს, ამას როგორ გაბედავდა.

ბევრი იშფოთა იმ ღამეს გულმა და გონებამ, ყოველმხრივ აწონ-დაწონეს მდგომარეობა, მაგრამ ყველგან გზა იყო მოჭრილი, ძარღვებ-ჩაწყვეტილი გული მივიდა დასკვნამდე: „იღუპება ქალი, თუ მართლა გიყვარს, თუ მართლა ძვირფასია შენთვის, ერთხელ იხსენი სიკვდილიდან, იხსენ — მეორედაც“.

6.

იმ დღეს დაიგვიანა აგუნდამ, ძანგი ღელავდა, მალ-მალე იყურებოდა გზისკენ. რაც დრო გადიოდა, ავი ფიქრები უფრო ეძალებოდა.

მზე ჩადიოდა, აგუნდა მოსახვევში რომ გამოჩნდა, ვერხვებთან დაქვეითდა, ცხენი საძოვარზე მიუშვა და თვითონ მწყემსების ბინისკენ გამოემართა.

ძანგის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა, ქალიშვილს მკაცრად მოქცეოდა.

აგუნდამ შორიდან დაუძახა ძანგს.

— სად ხარ, ძანგ, ძე მოვედი, დავიღალე, მომეშველე!

— რა ძალა გადგათ, ქალბატონო, რა დროს გინებებიათ ამობრძანება, საცაა მზე ჩავა, უსაქმურობით შეწუხებულმა, აღარ იცით რით შეიქციოთ თავი.

— რატომ მედიდგულები, ძანგ? არ გიხარია ჩემი მოსვლა?

— რად უნდა მიხაროდეს, დილიდან დაღამებამდე მამაშენის ცხვარს დავდევ, საღამოთი მუხლები მეკვეთება დაღლილობით.

— ძალიან დაიღალე? ჩემი ძანგი დაიღალა! — პატარა ბავშვივით მოეფერა აგუნდა.

— ახლავე შინ წაბრძანდით! მე სხვებივით ვერ დამიმორჩილებთ...

აგუნდა შეკრთა, მუხლმოკვეთილი ჩაიკეცა, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, ხელისგულები ღაწვებზე შემოიდო და სადღაც შორს, სივრცეს გაუშტერა თვალი.

— უხეშად ნუ მოექცევი, ბიჭო, ხომ არ დაგავიწყდა, ვისი შვილია? რად გინდა, რომ აწყენინო, — ყურში ჩასჩურჩულა გრისმა გულმოსულ ძანგს.

ძანგი თავის ნათქვამს უკვე ნანობდა. გრისმა ცხვარს წინიდან დაუარა, ძანგი კი აგუნდასთან მივიდა და მის გვერდით მუხლებზე დაეშვა.

— აგუნდა... ქალბატონო... მაპატიე... ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერაფერი გამიგია, ყოველდღე რისთვის მოდიხართ აქ. რა გინდათ, რას ეძებთ?

— რას ვეძებ? გინდა გაიგო?.. სიკვდილს!.. — და მთლიანად ძანგისკენ შებრუნდა ქალი. იგი ტიროდა. ძანგი გაითანგა, თითქოს ის მძიმებად ასხმული ცრემლები მის გულს დაეყარა, მაგრამ არ უნდოდა აგუნდასათვის ეჩვენებინა თავისი სისუსტე.

— გამიგე, აგუნდა, არ არის ლამაზი, ყოველდღე რომ აქ ამოდიხარ, ხალხი რას იტყვის? არ მინდა, ვინმემ შენზე აუგი თქვას...

— მერე რას ვაკეთებ ცუდს?

— არაფერს, მაგრამ ხალხი ხომ იცი...

— ხალხი! რა საქმე მაქვს ხალხთან, დე, თქვას ვისაც რა მოესურვება, ვისი რა საქმეა, სად მივდივარ? რისთვის მივდივარ?

— ხალხი კიდევ არაფერი, მამაშენმა რომ გაიგოს, ფათერაკს გადაეყრები.

— ნუ მოილაჩრე თავი, გეყოფა! აღარ ამოვალ! — უფრო უმატა ტირილს, — არც შენ ყოფილხარ იმათზე უკეთესი...

— დიახ, ქალბატონო, იმათზე უკეთესი კი არა, შეიძლება ყველაზე უარესიც ვარ! შეგიძლია დამცინო, გამაგდო, ძაღლები მომისიო, ცხრაპირი ტყავი გამაძრო! ყველაფერს მოვითმენ! ღმერთი იყოს შენი მფარველი! მარტო ერთი დაგავიწყდა! ღატაკ, უსახლკარო მწყემსსაც აქვს მკერდში გული. როცა მას ფეხით შედგებით, კვნესის, ტკივილით იკუმშება! მძულხართ ყველანი, შენც, მამაშენიც, შენი ძმებიც! ყველანი, ვინც ბავშვობა და ჭაბუკობა წამართვა, ვინც სიცოცხლე მოიწამ-

ლა. ახლა წადი, გადაეცი მამაშენს, სულაც არ მეშინია მისი, არც სხვეების!

ძანგს ეგონა აგუნდა სილას გააწნავდა. სასტიკად გალანძღავდა, მაგრამ ასეთი არაფერი მომხდარა. ვაჟის სიტყვებზე კი არ გაბრაზდა. დამშვიდდა, ცრემლები შეიმშრალა და სიყვარულით სავსე თვალები ვაჟს შეანათა.

— მე კი მეგონა...

— რა გეგონა? შენ მოცლილი ხარ და გასართობს ეძებ. მე კი ცეცხლი მიკიდია და ცოცხლად ვიწვი. გეხვეწები, ნუღარ მიმატებ ცეცხლზე ნავთს. რა დაგიშავე ისეთი, სასიკვდილოდ რომ მიმეტებ.

აგუნდამ შვებით ამოისუნთქა.

— მაშ მე წავალ...

გვერდიგვერდ დაუყვნენ დაღმართს. ძანგი ჩქარობს, სანამ დღის სინათლეა, ტყეს გააცილოს ქალი.

აგუნდაც ჩქარობს, ბორცვაკზე წაიფორხილა. ძანგმა ხელი შეაშველა. დენმა დაუარა მთელს სხეულში. ქალის ხელიდან სითბო, სიცოცხლე იღვენთებოდა ვაჟის გულში. კიდევ გაუცურდა ქალს ფეხი, ძანგმა ვერ გაიგო, როგორ აღმოჩნდა აგუნდა მის მკერდზე. ცივი ოფლით დაეცვარა შუბლი, წამით ძალუმად ჩაიკრა გულში, მაგრამ სწრაფად მოეგო გონს. მკერდიდან მოიშორა.

— მაპატიე, ქალბატონო... ასე გვიან არ უნდა წამოსულიყავი.

კარგად იყო ჩამობნელებული, ხევში რომ ჩავიდნენ. ძანგმა ცხენს უნაგირი დაუჭირა.

— ხომ არ მოგეშველო, აგუნდა?

— ჰო, — მოესმა ძანგს ქალის დათაფლული ხმა.

როგორც კი ძანგი აგუნდას ხელს შეეხო, თავბრუ დაესხა. გონს რომ მოეგო, აგუნდას მკლავები ყელზე ეხვია.

— ძანგ, ჩემო სიცოცხლევ... ჩემი ბედის საოცნებო ვარსკვლავო, მიყვარხარ, მიყვარხარ და უშენოდ სიცოცხლეს ეშმაკის კლდეზე გადაჩეხვა მირჩევნია.

— აგუნდა! — აღმოხდა ვაჟს, მაგრამ ისე, რომ ხმა მის მეტს არავის გაუგონია, ყველაფერი დაავიწყდა. ამქვეყნად არსებობდა მხოლოდ აგუნდა, რომელიც მის მკლავებში გათანგულიყო და ბედნიერების ცრემლებით ალბობდა ძანგის ცეცხლოვან მკერდს.

ძანგი ნაზად უკოცნიდა ცრემლიან თვალებს... მან, დიდი ხანია იგრძნო, რომ ადრე თუ გვიან გული სიყვარულს ვეღარ დაიოკებდა და ადიდებული მდინარესავით ნაპირზე გადმოხეთქავდა. აი სწორედ ახლა დადგა ის დრო, სიყვარულმა იმარჯვა და ვაჟი ფეხქვეშ გათელა.

პირველი თავდავიწყებიდან ისევ ძანგი გამოერკვა.

— აგუნდა, ჩემო სიცოცხლევ! ამ ბედნიერებას ვერ გაუძლებს გული! აგუნდა, გონს მოდი. ეს არ შეიძლება, გესმის? არ შეიძლება! ვინ მე და ვინ შენ, ვერ მოგწვდები ცის მნათობს...

— ნუ, ნუ მეუბნები, არაფრის გაგონება არ მსურს, ძანგ; ჩემო

ყველავ. მიყვარხარ... მიყვარხარ და ეს არის მთავარი. — აგუნდას ხმა უკანკალებდა, მთელი სხეული ციებიანივით უთრთოდა.

— ჩვენი სიყვარული ბეწვის ხიდზე ჰკიდია. გამიგონე. აგუნდა! ნუ დაიღუპავ თავს, მე შემიბრალე. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ.

— დაე, რაც მოსახდენია, მოხდეს. მზად ვარ ჯოჯოხეთში წამებისთვის, თუნდაც ხალხმა მომკვეთოს, მერე რა, შენ თუ გეყვარები. მე მაინც ბედნიერი ვიქნები. ნურაფერს მეტყვი, ჩემი გადაწყვეტილება ურყევია, უსაზღვროა ჩემი შენდამი სიყვარული.

— მომისმინე, აგუნდა. — აგუნდა კანკალებდა, ძანგმა ჯუბაჩა გაიძრო და ბეჭებზე მოახურა.

— გითხარი, მიყვარხარ, მორჩა და გათავდა... არ გინდა, რომ მიყვარდე? მაშ რად გადამარჩინე. დაე, დავღუპულიყავ. შენ ხომ არ გაგიცნობდი, იქნებ, არ გიყვარვარ?

— აგუნდა, ჩემო მანათობელო ვარსკვლავო, თუ ამქვეყნად ბედნიერება ვისმე უნატრია და ნატვრა ასრულებია, ეს. ალბათ, მარტო მე ვარ. მიყვარხარ. არა, კი არ მიყვარხარ, სიცოცხლე ხარ ჩემი. შენ მზე ხარ. მზის სიყვარული ხომ არ არის აკრძალული, ჰოდა, მეც შემიყვარდი. ჩემდა უნებურად შემიყვარდი. მაგრამ მომავალი მაშინებს, ხვალინდელ დღეს ვხედავ, ის ეშმაკის კლდეზე უფრო საშიშია. არ იფიქრო, ჩემს სიცოცხლეს ვუფრთხილდებოდე, იგი შენ გეკუთვნის, მეტი არაფრის შემოთავაზება შემიძლია, ის კი, როგორც მოგესურვოს. ისე მოიხმარე. შენ მედარდები, მეშინია, ჩემს გულზე ნასათუთარი ნაზი ყვავილი ყინვამ არ დააზროს. მეშინია, აგუნდა, მეშინია, სამუდამოდ არ დაგკარგო.

— არაფრის გაგონება არ მსურს. ვიცი, რაც მომელის, ამაზე უკვე ეფიქრე... არ მეშინია!..

— იმიტომ, რომ გაჭირვება არ გამოგიცდია.

— შენ ეგრე გგონია, ძანგ! — თუმცა, მართალი ხარ. დიბა-ატლასებში დავდივარ, ყველაფერი თავზე საყრელი მაქვს, რა მაკლია. არა? და შენ ფიქრობ, რომ ესაა ყველაფერი? რა იცი, რომ დატყვევებული თუთიყუშივითა ვარ. ის სასახლე გალიაა ჩემთვის. უშენოდ ჩირადაც არ მიღირს მდიდრული ცხოვრება... ნებიერად გაზრდილი თავნება და ჯიუტი ვარ, ასე გამზარდეს. მამას გამორჩევით ვუყვარვარ. მეც მიყვარდა, ყველაზე სამართლიანი, ძლიერი და კეთილი მეგონა. როცა წამოვიზარდე, მივხვდი, მუხთალი ყოფილა ცხოვრება. ჩვენს ოჯახში პირში ერთმანეთს ეფლიდებიან, ზურგს უკან კი ყველა ცრუობს.

ვიზრდებოდი და თანდათან მკვეთრად ვგრძნობდი ჩემი დაწყეველილი ოჯახის სიყალბეს. ვგრძნობდი და სიძულვილიც მემატებოდა. სიყალბე, სიცრუე სიკვდილის დღესავით მძულს. მშობლის აუგი არ ეგების, მაგრამ მე ვფიქრობ, ამ ერთხელ მაქვს უფლება, გადაგიშალოთ გული, მამაჩემი მარტო უცხოებს კი არა, დედასაც ატყუებს. ქალაქს გაგზავნა, ბიჭებს მიხედეო, თვითონ კი აქ სიძვის დიაცთან ატარებს დროს.

ცრუობენ ჩემი ძმებიც. ყველანი იმას ცდილობენ, მეტი წაჰგლიჯონ მამას. განა მარტო ჩვენები? ვისაც კი ვიცნობ, ყველა ცრუობს. კეთილშობილებად მოაქვთ თავი, სინამდვილეში კი ფლიდები და გაიძვერები არიან. ასე გასინჯე, ჩვენი მსახურებიც კი არ არიან გულწრფელნი.

რამდენი დიდგვაროვანი მთხოვნელი გავისტუმრე უარით. ისინი შენი ფრჩხილის ფასადაც არ მიღირან, დიდი ურვათით[1] უნდოდათ ჩემი შეძენა. წარმოგიდგენია, სილამაზეში ცვლიან პირუტყვს, ძვირფასეულობას. იმას კი არავინ ფიქრობს, რომ გულის ყიდვა არ შეიძლება, ჩემი ყიდვა თუ შესაძლებელია, გამოდის, რომ ნივთი ვყოფილვარ!..

ეს არის ჩემი ამბავი, ვცხოვრობ ოთხ კედელშუა. ოცნებით შევქმენი ჩემი საქმროს სახე — ვინც არ ატყუებს და არც ტყუვდება, ვინც თავის ვაჟკაცობას ტალახში არავის ამოასვრევინებს, ვინც სიმდიდრისა და სილამაზის წინაშე მუხლებზე არ ხოხავს. დიდხანს ველოდე ჩემი ოცნების რაინდს. იგვიანებდა, მაგრამ ახლა გამოჩნდა. ეს შენ ხარ. ვაჟკაცობით დაიპყარი ჩემი ამაყი გული. ვგრძნობ, ვის წინააღმდეგაც ავმხედრდი... გამიძნელდება იმ საზოგადოებიდან გასვლა, სადაც გავიზარდე, მაგრამ არ მეშინია — ხელს ვიღებ ყველაფერზე. ისინი იუკადრისებენ, რომ დავწიხლე და უპირატესობა მოწინააღმდეგე საზოგადოების წარმომადგენელს მივანიჭე, კბილით დაგლეჯენ ქვეყანას. მესმის, ყველაფერი მესმის, ძალიან გაგვიძნელდება... მაგრამ დაე, მოხდეს მოსახდენი. ვიცი, რაც ოსეთში არასდროს მომხდარა, ის მე პირველმა მოვიმოქმედე, საკუთარი ფეხით გეახელი და გითხარი, რომ მიყვარხარ, ჩემი სიყვარული წმინდაა და მტკიცე. დიდხანს მეძინა, ახლა შენ გამაღვიძე...

ძანგი გულისყურით ისმენდა აგუნდას ამბავს და გული ეწურებოდა.

— ხელს ნუ მკრავ, ძანგ, ნურც განმსჯი. ურცხვი და უწესო ნუ გეგონები. ვგრძნობდი, შენ სიყვარულში ვერასოდეს გამომიტყდებოდი. მეც ვეღარ შევძელი მისი დაფარვა. გითხარი ჩემი სათქმელი, ახლა შენი თქვი. ერთს კიდევ გეტყვი, თუ ლაჩრობა შეგამჩნიე, ისევ ეშმაკის კლდესთან მივა ჩემი გზა.

— აგუნდა, ჩემო ცის ნათელო, ეშმაკის კლდესთან რა გინდა, ერთხელ ვაჯობე იმას, თუ მეორედაც იქით წავა შენი გზა. მაშინ მარტო არა, მე და შენ ერთად.

აგუნდა მკერდზე მიესვენა ძანგს.

ხეობაში ღამემ დაისადგურა. ბინდის საბანი გადაეფარა დედამიწას, თითქოს ავი თვალისგან იფარავდა წმინდა სიყვარულს. მხოლოდ ცაზე გაბნეული ვარსკვლავები ერთიმეორეს თვალის ჩაკვრით ანიშნებდნენ, სადღაც მთის ძირში ბილიკს ქვემოთ, ხეობის უბეში ცეცხლად ანთებულ სიყვარულზე.

---

[1] ურვათი — საცოლის გამოსასყიდი.

ღამე იყო წყნარი. მთის ნიავმაც, თითქოს შეყვარებულთა შეწუხებას ერიდებაო. სადღაც ზეგანზე წასთვლიმა. მხოლოდ დროდადრო სულ ახლოდან მიკიოტის კივილი არღვევდა ბუნების მყუდროებას.

ტრფობის ცეცხლიდან პირველი აგუნდა გამოერკვა.

— ძანგ, ჩემო სიყვარულო. შინ წასვლის დროა.

ძანგმა ბავშვივით აიტაცა ხელში სატრფო და ფრთხილად მოსინჯა ბილიკი. ნეტარებით მთვრალი თითქოს ბურანში მიდის. მიდის და ღმერთს შესთხოვს. ეს გზა უსასრულოდ გაგრძელდეს.

გვიანი ვახშმობა გადასული იქნებოდა, აულამდე რომ მიაღწიეს. აქ ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში ძანგმა სატრფო, ღამე მშვიდობისა და ძილი ნებისა უსურვა.

ბედნიერებით მთვრალმა ვერც კი გაიგო, როგორ აათავა აღმართი. გრისს არ ეძინა, ამხანაგს ელოდა.

— ბიჭო, როგორც გიყურებ, აღარა ხუმრობ. ყურებამდის გიწია სიყვარულის ცეცხლმა, ჰა! რა გითხრა, შვილო, მეტ ბედნიერებას ვერც ინატრებს მიწიერი ადამიანი, ერთი მხრით მიხარია, მეორე მხრით არა, მეშინია... ძალიან დიდი ჭიაკოკონა დაანთე და ვაითუ შიგ ჩაიწვა.

— ჩავიწვა და ჩავიწვა, თუ ხვთისაგან ეგ არის ჩემი წერა, დაე, ჩავიწვა.

7.

იმ ღამის შემდეგ აგუნდა ბინაზე აღარ ასულა. ძანგი საღამოთი ფარას თეოზე ტოვებდა, თვითონ კი თავქვე ეშვებოდა, აულის თავში, ცაცხვქვეშ სატრფო ელოდა.

ერთ საღამოს ჩვეულებრივად მივიდა დათქმულ ადგილზე, თითქმის დილამდე იცადა, მაგრამ ამჯერად აგუნდა არ გამოჩენილა. არც მეორე დღეს მოვიდა. ძანგი საგონებელში ჩავარდა: „რატომ არ მოდის, ხომ არაფერი ეწყინა, ავად ხომ არ არის?..“

რა იცოდა, რომ უბედურება მოხდა, უბედურება კი მართლა ისეთი იყო, მთებმა ნაპერწკლები დააკვესეს.

სარმათი ძაღლივით ერთგული იყო ალდარისა. მისი თვალი შორს ჭვრეტდა, ყური ყვავილის სუნთქვასაც იჭერდა. ალდარის ეზოში ბალახის გაფაჩუნებაც ესმოდა. თაგვი კუდის მოქნევას ვერ გამოპარებდა. ხვთისაგან დარისხული ერთთავად თვალებში შესციცინებდა პატრონს. მისი დასმენით საბრალო მსახურებს მათრახით ცხრაპირ ტყავს აძრობდნენ ბეჭებზე. აგუნდას სძულდა სარმათი. რამდენჯერ სთხოვა მამას, გააგდეო, მაგრამ ალდარს სჭირდებოდა ერთგული მსახური, აფასებდა. გრძნობდა, რომ ზარალზე მეტი სარგებლობა მოჰქონდა. ეზოში დაბმული ძაღლივით ჰყავდა. ამიტომ ქალიშვილს სურვილი ვერ შეუსრულა. სარმათს აგუნდასი ეშინოდა და გულის სიღრმეში მის სიკვდილს ნატრობდა.

შურისძიების დრო სწორედ ახლა დაუდგა.

ალდარი ქალაქს წავიდა, სარმათმა ცხრა ყური გამოიბა, თვალს

ალარ ახამხამებდა, სრულიად იოლად შენიშნა, საღამოთი სადღაც მიდიოდა პატარა ქალბატონი და შუალამისას ბრუნდებოდა. გულმა რეჩხი უყო. დაუყარაულდა და ბოროტი გული კინაღამ სიხარულით გაუსკდა. ახლა კი იცოდა, როგორ ეძია შური.

ალდარი ქალაქიდან დაბრუნდა. სარმათმა დრო შეურჩია და შხამის წვეთ-წვეთად გამოწურვას შეუდგა.

— ჩემო ალდარო, ამდენი წელია ერთგულად გემსახურები.... იცით, რომ თავი არ დამიზოგია თქვენი ოჯახისთვის. ვფიქრობ არ დამცინებს თქვენი გული, — წამით ხმა ჩაუწყდა, მაგრამ მალე განაგრძო: — თუმცა მე თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუკი თქვენი სიკეთისთვის თაფლის სანთელივით ბოლომდე ჩავიწვი, მაგრამ ეს ალარ მოხერხდება, ბედი არა მქონია. მივდივარ თქვენგან.

— რა ამბავია? — გაიკვირვა ძანხოთმა. — გაწყენინა ვინმემ?

— არა, მაგრამ გთხოვ, გამიშვა, ნუ მკითხავთ ნურაფერს. — ალდარს ცნობისმოყვარეობის ცეცხლი წაეკიდა.

— რას ეშმაკობ, სარმათ, თქვი, რას მიედ-მოედები? თვალი თვალში გაუყარა.

— ნუ შათქმევინებ, ალდარო. შენგან იმიტომ მივდივარ, რომ ენა არ მიბრუნდება, არ შემიძლია ვთქვა. მირჩევნია სამუდამოდ დავდუმდე. არ მინდა თქვენსა და აგუნდას შორის უსიამოვნება ჩამოვაგდო.

— როგორ უსიამოვნება? რა უსიამოვნებაზე ამბობ? გარკვევით მითხარი!

სარმათმა თითქოს ენა გადაყლაპა.

— შენ გეუბნები, თქვი, რას გაქვავდი?

— ო, ღმერთო, დიდებულო, რა შეგცოდე, მე რად მარგუნე ამ მძიმე საქმის გაკეთება, — ამოიგმინა გაიძვერა მსახურმა. — არ შემიძლია, მირჩევნია დანა ჩამცე გულში. როგორ ვთქვა? ან როგორ დამიჯერებთ? — სარმათმა ქარქაშიდან ხანჯალა დანა ამოაძრო და ალდარს გაუწოდა, — ჰა, მომკალით!

— ტყუილი არასოდეს გითქვამს, არც არასოდეს არაფერი დაგიმალავს, ვიცი, თქვი.

— თქვენი მონა ყოველთვის მართალს მოგახსენებდათ. მაგრამ ახლა მეშინია, ვაითუ სიმართლით გული ვატკინო ჩემს ალდარს. თუმცა ნამუსი არ მაძლევს უფლებას, დაგიმალო, რაც ჩემმა თვალებმა ნახეს და რაც ჩემმა ყურებმა გაიგონეს. ჩემი ნათქვამი ძნელი მოსასმენია, ნუ დამატეხთ თქვენს რისხვას, მომისმინეთ. თქვენი ქალი და მწყემსი გუშინღამ ერთად...

— რაო?..

— ჩემი დასავსები თვალებით დავინახე, აულის თავში ცაცხვებქვეშ...

— სტყუი?! — გველნაკბენივით წამოხტა ძანხოთი. — ხმა ჩაიკმიწდე, ძაღლის ნაშობო!

— გი[illegible]არი, ალდარო, გეწყინება-მეთქი.

— დაიკარგე აქედან, სანამ წელები არ დაგაყრევინე. — იღრიალა ალდარმა და ხანჯალი დააძრო. — მოგსპობ, შე უდღეურო!

სარმათი ელვასავით გაქრა.

მეხდაცემული დარჩა ალდარი. პირველად არ დაიჯერა მსახურის ნათქვამი. იცოდა აგუნდას კეთილი თვალით რომ არ უყურებდა. მაგრამ როგორ გაბედა მოსაკვეთად კუნძზე თავის დადება? თუ ჭკუაზე აფრაკად არ არის, რამ აფიქრებინა ეს? არა, აქ რაღაც ამბავია. ჩაფიქრდა. მართლაც და ძალიან ზრუნავს მისი ქალი მოჯამაგირეებზე. ვაითუ... ამიტომ... არა, სიკვდილს გამოსტაცა ხელიდან, სამაგიეროს უძღვნის კეთილი გულით. მაგრამ ვაითუ შეუყვარდა?! არა, არა, ეს როგორ შეიძლება! მაგრამ თუ მაინც... ყველაფერი შეიძლება მოხდეს... ალდარს თავიდან ფეხამდე ჟრუანტელმა დაუარა. ჭინჭრის დასუსხულივით აეწვა ბეჭები. იქნებ სჯობდეს პირდაპირ აგუნდას ჰკითხოს, ის ხომ მამას არაფერს უმალავს.

კიბე დაფეთებულმა აირბინა და პირდაპირ ქალიშვილის ოთახში შევარდა.

აგუნდა მოახლეს რაღაცას ეჩურჩულებოდა. ალდარის მოულოდნელმა გამოჩენამ შეაწყვეტინა სიტყვა. აგუნდა საბანში გაეხვია. აცირუხსი შეხტა და კინაღამ სკამიდან გადავარდა.

— ხომ არაფერს ინებებდით, ალდარო? — სხვა ვეღარაფერი მოახერხა მოახლემ.

— მოიწყდი თავიდან!

აცირუხსი შეშინებული გავარდა გარეთ.

ძანხოთმა კარი ჩაკეტა და დოინჯშემოყრილი წინ დაუდგა შვილს. ასე იდგა რამდენიმე წუთს, მერე ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. დაბოღმილს დანა პირს არ უხსნიდა.

აგუნდა მიხვდა, რომ მამა ძალიან გაჯავრებული იყო.

— ბაბა, რა არის, რად ხარ გაჯავრებული?

ძანხოთი შვილის საწოლის წინ სკამზე მოწყვეტით დაეშვა. იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, თითები ნერვულად ჩააწნა ერთმანეთს და მუხლებშუა მოწყვეტით ჩაუშვა. თავიც, თითქოს მკლავებს გამოაჯავრაო, მკერდზე ჩამოუვარდა. სიტყვებს ვერ პოულობს. რა თქვას და საიდან დაიწყოს? ეშინია, ვაითუ მსახურის ნათქვამი მართალი გამოდგეს და მაშინ ხომ მიწა გაუსკდება. მაგრამ აღარც მოთმენა შეუძლია, სარმათის მიერ ჩაწვეთებული სამსალა მოედო ძანხოთს და ნელ-ნელა სწამლავს. როგორც იყო ამოღერღა:

— შვილო, ხომ იცი, რომ ჩემს ბიჭებზე მეტად მიყვარხარ, შენა ხარ ჩემი ყველაზე დიდი სიხარული, იმედი...

— ვიცი, ბაბა, ვიცი და აკი მეც ძალიან მიყვარხარ, — არ დააყოვნა პასუხი აგუნდამ.

— თუ გიყვარვარ, მაშინ ნურაფერს დამიმალავ...

— რად მეუბნები მაგას, ბაბა?

— გუშინღამ აულის თავში ცაცხვებთან ჩვენს მოჯამაგირესთან იყა-

ვი? არა, ისე არ გამიგო, იქნებ... რაიმე საქმეზე... იქნებ მადლობა უნდა გეთქვა, შენი გულისთვის თავი რომ გასწირა.

მიხვდა აგუნდა, რასაც ეკითხებოდა მამა და სირცხვილით ლამის დაიწვა. იცოდა, ადრე თუ გვიან ამ ამბავს გაიგებდა მამა, მაგრამ ასე ჩქარა არ ელოდა, არც მზად იყო პასუხისთვის. ახლა მეტი რა გზა ჰქონდა, სიმართლე უნდა ეთქვა.

— ვიყავი, ბაბა, — ჩაიჩურჩულა ქალმა.

— რატომ?

— ბაბა...

— თქვი, რა გინდოდა?

საბანქვეშ შეშინებული ბარტყივით ჩაიღვენთა აგუნდა.

— თქვი, რატომ იყავი?

— მიყვარს, ბაბა...

— რაო? — რა თქვი?

— ძანგი...

— შენ?.. ძანგი?

— ჰო, ბაბა...

— ხმა ჩაიწყვიტე! — იღრიალა ძანხოთმა. რკინის უროსავით მძიმე შუშტმა აგუნდას თავზე წრე მოხაზა და ჰაერში გაიყინა.

— ბაბა... აპატიე შენს შვილს... თვითონაც არ ვიცი, როგორ მოხდა.

ალდარმა ისევ აღმართა მუშტი, მაგრამ შვილის შეხება მაინც ვერ გაბედა და ისევ საკუთარ მუხლებზე დაანთხია ჯავრი.

— დამკალი! უდანოდ დამკალი მშობელი მამა! მოვკლავ, ცოცხალს არ გავუშვებ.

— მაშინ ჯერ მე მომკალი, ბაბა!

— გაჩუმდი. უნამუსოვ!

— ბაბა, ჩემო, ბაბა, — ლოგინში წამოჯდა და მამამისს მკერდზე შიესვენა აგუნდა. — შემიყვარდა, არ არის ჩემი ბრალი. გულმა არა ჰკითხა გონებას. რა ვქნა, ასე მოხდა, შეგიძლია დამსაჯო... — მწარედ ატირდა ქალი.

— ვინ შეგიყვარდა, უბედურო?! ოსეთში რაც არ მომხდარა, შენ როგორ იკადრე იმის გაკეთება? რას იტყვის ხალხი, ელოითი დიდი გვარის ასული თავის მამის მოჯამაგირეს დაუჯდა ხასადო. ო, ღმერთო დიდებულო, რად მოვესწარი ამ დამცირებას.

— ჩემო ბაბა. შენ თვითონ არ ამბობდი, ვისაც თვითონ ამოირჩევ, იმას გაგატანო? არ მომატყუო, ბაბა, არ მომატყუო!

ალდარი დამეხილივით დარჩა. მართალი იყო აგუნდა, ჰქონდა ნათქვამი, ვისაც ჩემი ქალიშვილი შეიყვარებს, იმას გავაყოლებო. აი სად წამოყო თავი იმ ხუმრობამ.

— მერე, მე ის გითხარი, ჩემივე მოჯამაგირე შეიყვარე-მეთქი? საქმრო შენსავე წრეში უნდა ამოირჩიო, უბედურო.

— კეთილშობილთაგან არავინ მომეწონა.

— არავინ მოეწონა!.. კარგი, მაშ მე თვითონ მოგიძებნი! — ლოგინზე მიაგდო ქალიშვილი. — ამ სიტყვებზე ალდარი გაცეცხლებული შეტრიალდა და კარი გაიჯახუნა.

8.

მეორე დილით დოლათი ღამიანად დაადგა თავზე მძინარე მწყემსებს.

— ძანგ, ადექი, ალდარი გიბარებს სასწრაფოდ.

— რა მინდაო?

— ძალიან გაჯავრებულია, მუქარითა და ჩხუბით იკლებს იქაურობას.

— მერე მე რა შუაში ვარ?

— არაფერი ვიცი, ძანგ, თორემ ხომ იცი, არ დაგიმალავდი.

— მაინც რაო, რა მინდაო?

— სინდისს გეფიცები, არაფერი ვიცი...

ალდარი ეზოში ბოლთას სცემდა. ეტყობოდა, ძალზე ღელავდა, სახეზე სისხლი აწვებოდა. ძანგი რომ დაინახა, თვალები დააკვესა. ხმა არ ამოუღია, ანიშნა მომყევიო და წინ წაუძღვა.

შეფიქრიანებული ძანგი მორჩილად მიჰყვა ალდარს. სარდაფში ჩავიდნენ, ალდარმა კარი ჩარაზა და იღრიალა:

— მშივრის ნაშიერო, ღორის ტილო, იცი სად მიძვრები? — ისედაც გადმოკარკლული თვალები, კიდევ უფრო გადმოკარკლა და მახვილივით დაუტრიალა ძანგს გულში.

— რაზე მიწყრებით, ალდარო, არ მესმის?

— კარგად გესმის, გუდამშიერო, და მითხარი, რა საერთო გაქვს ჩემს ქალთან?

ახლა კი მიხვდა, ღვთის რისხვა დაატყდა თავს, თავის მართლება უნაყოფო იქნებოდა, მაინც სცადა:

— არაფერი, ალდარო. მე არც თქვენი ქალის და არც თქვენს წინაშე დანაშაული არ მიმიძღვის, არსად არ მივძვრები, სხვისი არაფერი შინდა, ჩემი შრომით ვირჩენ თავს. სიკვდილს გადავარჩინე და მადლობა მითხრა.

— ხმა, კრინტი, ნეტავ არ გადარჩენილიყო, ამ სირცხვილს ავცდებოდი!

— ჩვენ შორის არაფერი მომხდარა, ალდარო, ან კი როგორ იფიქრეთ, ვინ მე, ვინ თქვენი ქალი... მივდიოდი, ხომ გახსოვთ, თქვენ არ გამიშვით, არ ვიცი, ახლა რას მოითხოვთ ჩემგან?

ძანხოთი კარგა ხანს უსიტყვოდ ანთხევდა ნაღველს, მერე მარცხენა ულვაში აუტოკდა. ძანგმა იგრძნო, ალდარი ჯავრის ამოყრაზე ფიქრობდა და ყურადღება დაძაბა.

ძანხოთს მუშტის დატრიალება აღარ დასჭირვებია, მისი სიბრაზე ცრემლებს გადმოჰყვა, დიდი ალდარი ბავშვივით ტიროდა.

— წყეული კახპა. იმდენ კეთილშობილ მთხოვნელებს შორის შენ როგორ ამოგარჩია, ბოგანო?.. არ ვიცი, არ ვიცი...

— არაფერი მესმის, ალდარო, ორი ხელი მაქვს და ისიც შენ გემსახურებიან.

— ძირში წაგკვეთ ორივეს. გველის წიწილო! — იღრიალა ალდარმა, — მე ყველაფერი ვიცი, თვითონ მითხრა ჩემმა ქალმა.

— ჩემგან რას მოითხოვთ?

ძანხოთმა ჯიბიდან ოქროთი გატენილი ქისა ამოიღო და ძანგს წინ დაუდო.

— აგერ ფული. წაიღე. მთელი სიცოცხლე ალდარივით იცხოვრებ, წადი აქედან, გადამარჩინე სირცხვილს.

— პირდაპირ მითხარით, რას მოითხოვთ ჩემგან?

— დაარწმუნე ქალბატონი, რომ არ გიყვარს.

— არ მესმის...

— იმის პირისფარეში აცირუხსი ხომ იცი, გაეარშიყე. აგუნდა გაიგებს და შეგიძულებს. იცოდე, არ ინანებ...

ძანგი მიხვდა, რასაც მოითხოვდა მისგან ალდარი. სიცივემ დაუარა სხეულში, ასეთი უმსგავსობა მართლა მოუკლავდა გულს აგუნდას.

— ალდარო, ძელზე რომ ჩამომკიდოთ, ასეთ სამარცხვინო საქმეს მაინც არ ჩავიდენ, არც ლამაზია და არც შენი ქალის გადასარჩენად ვარგა. სჯობს სხვა გამოსავალი მოვნახოთ. დღესვე წავალ და ცხრა მთას იქით გადავიკარგები.

— მაგაზე ვიფიქრე, მაგრამ ის კახპა ისეთი ჯიუტია, სახლიდან გაიქცევა, მოგძებნის.

— მართალი ბრძანდებით, თავს არ იცოცხლებს.

— სირცხვილს სიკვდილი სჯობია, მოკვდეს!

— არა, თქვენს წინადადებას ვერ მივიღებ, მე უსინდისობას ვერ ჩავიდენ.

— ძალით ჩაგადენინებ. ძაღლისშვილო, არადა ამ სარდაფში ამოგხდება სული.

— ეგ უფრო ადვილი იქნება ჩემთვის.

— მაშ, დალპი აქ, ტილიანო! — ალდარი ვარეთ გამოვარდა და კარი ჩარაზა.

სევდა მოეძალა, ახლა გაახსენდა მოხუცი მეცხვარე გრისის დარიგება, ფრთხილად იყავი. სიყვარულმა უბედურება არ მოგიტანოსო. ან უნდა მოკვდეს, ან აგუნდა გაიხადოს ხატად, ორივე ძნელია. მაგრამ ძანგი მზად არის მოკვდეს, თუ აგუნდა ბედნიერი იქნება. აგუნდამ ხომ უთხრა, ჩემი წმინდა სიყვარული ან სიკვდილს მოგიტანს ან ბედნიერებასო. ბედნიერება არ მოუტანა. პირველი დარჩა...

ძანგს ასე არასოდეს უნატრია სიცოცხლე. ნუთუ ამ ბნელ სარდაფში ჩაქრება მისი მზის სხივი? თავი დაუმძიმდა. ყურებს გუგუნი გაუდის, მაგრამ არა. ძანგი ასე უბრალოდ არ დათმობს სიცოცხლეს. სარდაფის კედლებში გასაქცევ გზას ეძებს... სიპი ქვით ნაშენ კედელს

გაანგრევდა, მაგრამ ცარიელი ხელით?! მკერდით ეკვეთა, დადუღაბებულ ქვებს ძვრაც ვერ უყო, სველ მიწაზე დაემხო.

სათვალავი აერია. აღარ იცის რამდენჯერ გათენდა და დაღამდა, მისი მომკითხავი არავინაა.

კლიტეში გასაღები გადატრიალდა, ძანგი ფეხზე წამოხტა. ნიავი მშიერი მგელივით შეიჭრა სარდაფში. ძანგმა ხარბად შეისუნთქა სუფთა ჰაერი.

— ჩქარა, ძანგ!

— რა არის?

— გაიქეცი, ბიჭო, სანამ გუშაგი გაიღვიძებს, მოასწარი, თორემ მერე გვიან იქნება. — აჩრდილმა მკლავზე მოჰკიდა ხელი და გარეთ გაიყვანა, მერე სასახლის უკან ალდარის ბაღზე გადაატარა და სამშვიდობოს გაიყვანა.

— აბა, ახლა შენ იცი, მე აღარ გჭირდები. წადი, გაეცალე აქაურობას, თორემ დაიღუპები, გახსოვდეს, მკვდარი ხარ. თუ სინდისს გადაუდექი და ცოცხლად მოგვევლინე, იცოდე, ალდარი შენთან ერთად რამდენიმეს დაგვმარხავს. აცირუხსმა მითხრა შენი ამბავი, შემეხვეწა გადაარჩინეო.

— გმადლობ, დოლათ, შენს სიკეთეს არ დავივიწყებ.

— არც მე, აცირუხსის შერცხვენა რომ არ იკადრე.

— აგუნდა სად არის?

— ალდარმა კინაღამ მოკლა. თქვენი ამბავი სასახლეში გარეშეთაგან მხოლოდ მე და აცირუხსმა ვიცით. ალდარს ამბის გახმაურებისა შეეშინდა და ქალიშვილი ქალაქში წაიყვანა, სარმათს შენი მოკვლა უბრძანა. მიწაში ჩაფალით, ისე რომ არავინ გაიგოსო. მე მათი ლაპარაკი მოვისმინე, ეს დღეები სულ სარმათთან გავატარე. საშუალება არ მივეცი. წუხელ ვიხელთე დრო, ღვინოში ბანგი შევაპარე და გასაღები ამოვაცალე ჯიბიდან.

— თუ გაგიგეს, ჩემი გულისთვის ხიფათს გადაეყრები, — შეშფოთდა ძანგი.

— გასაღები ისევ ჯიბეში ჩავუდე. გამექცაო. ვერ იტყვის, ერთი გამოსავალი დარჩა, ვითომ შენ მოკვდი და დაგმარხა. თუ კაცი ხარ, არ გამოჩნდე, გახსოვდეს, მკვდარი ხარ.

ძანგი ძმურად გადაეხვია დოლათს და გზას გაუდგა.

9.

დღე დეკიანში იმალებოდა ძანგი. ფიქრები ფუტკრებივით ეხვეოდა და აღარ იცოდა, რა მოემოქმედა. ფიქრობდა, ფიქრობდა და ერთ დასკვნამდე მივიდა: უგუნური იყო მისი სიყვარული. აგუნდას პირველი გატაცება გაუვლის. იქნებ სიყვარული სიძულვილად შეეცვალოს. ძანგიც შეეცდება ყველაფერი დაივიწყოს. პირველად გაუძნელდება,

მაგრამ თანდათან გაუვლის ტკივილი. ეს წუთით ხდებოდა, მერე სიყვარულის გრძნობა მოზღვავდებოდა და აგუნდას მეტი აღარაფერი ახსოვდა.

ძალიან იტანჯებოდა ძანგი. გახდა, მელანივით შავი წვერი წამოეზარდა, ყველაფრის იმედი დაკარგა.

ერთ საღამოს ქვემოდან მომავალი დოლათი დალანდა. ზარივით დარეკა გულმა. წინ შეეგება მეგობარს.

— დოლათ, მითხარი, რა მოხდა? ნურაფერს დამიმალავ.

— ცუდი ამბავია, ძანგ. — ამოიოხრა დოლათმა. — აგუნდა იქ, ქალაქში... მდიდარ კაცზე გაათხოვეს, დღეს ჩამოვიდნენ, ამაღამ აქ ქორწილი ექნებათ.

— ქორწილი? რა ქორწილი, დოლათ? — დაიკვნესა ძანგმა.

— აგუნდას ქალაქში არ მოუსურვებია ქორწილი. დღეს შუადღისას ჩამოვიდნენ და ამაღამ იქორწილებენ.

— აგუნდა თანახმაა?

— ალბათ...

— იქნებ ძალით გაათხოვეს?

— არ ვიცი. არა მგონია. ჩემი თვალით დავინახე, საქმროს ხელკავით მიჰყვებოდა და გულიანად იცინოდა...

— წყეულიმც იყოს ადამიანი! — ამოიგმინა ძანგმა და გიჟივით გავარდა ბინიდან. მირბის, მირბის და, თვითონაც არ იცის სად და რისთვის მირბის, არაფერს ხედავს, ვერაფერს ამჩნევს. მხოლოდ ერთგან წამოჰკრა ფეხი და მერე ვეღარაფერი გაიგო.

გრძნობაზე რომ მოვიდა, თავი სტკიოდა. მყინვარის ნაჟურის ჩახრამულში ჩავარდნილა. ძლივს ამოფორთხდა. გაგლეჯილი მუხლი და ბეჭები ეწვოდა. ტანისამოსიდან მტვერი ჩამოიბერტყა.

მაღლიდან თეთრი, ქათქათა მთვარე დანათოდა. საით წავიდეს? ყველაფერი დამთავრდა, აქ აღარაფერი ესაქმება. „წავალ, ვივლი სადამდეც ფეხები მიმიყვანს". — გაიფიქრა და თავი ფეხებს მიანდო. მიდის, მიდის დაუფიქრებლად, სადა აქვს ფიქრის თავი. გული ამოგლეჯილი აქვს. ტვინი გაყინული. მაგრამ მაინც მიდის და ჰოი საკვირველებავ, ფეხებმა თავის ნებით მიიყვანეს ეშმაკის კლდესთან. არ ახსოვს, რამდენ ხანს იდგა ქიმზე, მერე ნელ-ნელა მოეგო გონს და იქვე კლდის თავზე ჩაიკეცა.

„რამ მომიყვანა აქ? რისთვის მოვედი? ნამდვილად მოჯადოებული ადგილია. ეშმაკის კლდეს ტყუილად არ დაარქმევდა ხალხი. ვაი შენ, ჩემო თავო, რა სულელი ვყოფილვარ. როგორ დავიჯერე, როგორ ვიწამე წმინდა სიყვარული... მაინც რისთვის მოვედი ამ დაწყევლილ ადგილზე? ვითომ რა სიკეთე მახსოვს ამ კლდისა? ო, ო, როგორ არა, ბევრი, ძალიან ბევრი სიკეთე მახსოვს. აქ ვიგრძენი პირველად სიცოცხლის მშვენიერება. აქ ვიხილე ტკბილი და საოცარი სიზმარი. ნეტავ არასოდეს გამღვიძებოდა. ვიცი, გაქრა ის სიზმარი და მასთან ერთად

გაფრინდა ჩემი სიცოცხლეც. მხოლოდ მცირე ხანს დამრჩება გულში, მეტი არაფერი. ახლა კი წავალ, საით? რა მნიშვნელობა აქვს, სულ ერთია, ოღონდ აქაურობას გავცდე...“

წამოდგა, მაგრამ კინაღამ ისევ ჩაიკეცა, ქალი მორბოდა. სულს ძლივს ითქვამდა, მთვარის შუქზე თეთრებში გამოწყობილი ქალი ეშმაკი ეგონა, გული გაეყინა, თმა ყალყზე დაუდგა, ეშმაკი ქალის სახით მოევლინა. ჯერ გაშრა, შეშინდა, მერე გამბედაობა მოიკრიბა. სწრაფად ამუშავდა გონება: „მაინც აღარ ღირს სიცოცხლე და თუ სიკვდილია. ამ ეშმაკთან ერთად!“ — გაიფიქრა და ეშმაკის შესახვედრად გაიქცა. ხელი მოხვია. ეშმაკმა უღონოდ წამოიკივლა და ვაჟის მკერდს უგრძნობლად მიესვენა.

მთვარემ ღრუბლის ლეჩაქი გვერდზე მიაგდო და ქვეყანას თეთრად გადმოეღვარა. ძანგმა სახეში ჩახედა გულზე მიყრდნობილ ეშმაკს.

„დედაო, წმინდა მარიამ, ეშმაკი აგუნდას სახით!“ — ცივი ოფლის წვეთებით დაეცვარა შუბლი. „სიკვდილი რომ არ გამძნელებოდა, აგუნდას სახით გამომეცხადა ეშმაკი — გაიფიქრა ძანგმა და უგონო ქალს დააკვირდა. — ის არის, ის...“ — კიოდა გული, აგუნდა შეიშმუშნა.

— აგუნდა!... აგუნდა!.. რა გინდა ამ დროს აქ!

— სიცოცხლეს გამოვექეცი... ძალით მათხოვებდნენ და ეშმაკის კლდიდან გადავარდნა ვარჩიე. ახლა აღარავის აქვს ჩემზე უფლება. ახლა შენი ვარ, ძანგ, მომეხვიე. — ძანგი მიხვდა, რომ აგუნდა ბოდავდა, ეგონა, ეშმაკის კლდიდან გადავარდა და ახლა საიქიოში შეხვდა სატრფოს.

— აგუნდა! ჩემო სიყვარულო. მე ვარ. შენი ძანგი, — გულში ჩაიკრა გულწასული ქალი და ადგილზე დატრიალდა სიხარულით. — ღმერთო დიდებულო, ცხადში ვარ თუ სიზმარში? აგუნდა, ჩემო ყველავ, გაახილე თვალი, მე ვარ, მე!

აგუნდა ნელ-ნელა მოეგო გონს. ძანგს შიშისაგან გაფართოებული თვალები შეანათა და ხელიდან დაუსხლტა. უკან-უკან წავიდა და კლდეს მიეყრდნო.

— არ მომეკარო, — იკივლა მან. — შენ ძანგი კი არა ეშმაკი ხარ.

— მე ვარ, აგუნდა, შემომხედე, შენი ძანგი ვარ.

— არა, არა, თუ მე ცოცხალი ვარ, შენ ძანგი არ იქნები, სარმათმა მითხრა, მოკვდა და დავმარხეო...

— მკლავდნენ. მაგრამ შენს უნახავად სიკვდილი არ მოვისურვე

— არ მატყუებ?

— არა, აგუნდა, მე ვარ, აი ჩემი ხელი.

— მაშ აქ რას აკეთებ?

— რისთვისაც შენ მოხვედი, მეც... მე უფრო მქონდა აქ მოსვლის მიზეზი. აგუნდა თხოვდებაო, გახარებულიაო, მითხრეს. არა მწყენია, აგუნდა, ოღონდ შენ იყავ ბედნიერი... ვიფიქრე, ასე აჯობებს, აღარ გავახსენებ-მეთქი თავს.

— არა, არა, ეგ არ გაბედო. ძანგ. მე უშენოდ მაინც მოვკვდები. იმიტომ გამოვიქეცი. გახსოვს, სწორედ აქ ამიტაცე პირველად ხელში და სიკვდილიც აქ მინდოდა, რომ საიქიოში წმინდად შეგხვედროდი. — გულში იხუტებდა ძანგი სატრფოს, კოცნით უმშრალებდა ცრემლებს. აგუნდა ხან ტიროდა, ხან იცინოდა.

— ძანგ, ჩვენი ამბავი სინამდვილეს კი არა ზღაპარს უფრო ჰგავს, ხომ ხედავ. ღმერთი გვიმართავს ხელს. წავიდეთ აქედან, გავიქცეთ!

— მოგვძებნიან, აგუნდა. მოიცა, გაიხადე კაბა.

აგუნდამ მორჩილად გაიხადა საქორწილო უმტვერო თოვლივით თეთრი კაბა. ძანგმა დახია იგი, ხანჯალა დანით ნეკი გაიჭრა და სისხლში ამოსვარა, მერე კლდიდან გადაუძახა, თავსაბურიც ზედ მიაყოლა.

— ახლა გეძებოს მამაშენმა. აბა, დავემშვიდობოთ ჩვენს კეთილისმყოფელ ეშმაკის კლდეს, აგუნდა.

— მშვიდობით, ხიფათიანო კლდევ, ჩვენი ბედნიერების უტყუარო და ერთადერთო მოწმევ!

ქალ-ვაჟმა უღრანი ტყისკენ აიღეს გზა.

მეორე თავი

ლტოლვილები

1.

დღე და ღამე იყრიბოდა. ძანგმა და აგუნდამ დატოვეს გამოქვაბული და პირი მთებისკენ იბრუნეს.

წუხანდელ გულდამძიმებულ ღრუბლებს მთელი ღამე ცრემლი ეწურათ, ახლა ხეობებში პირქვე ჩამხობილან და თითქოს ტირილით დაოსებულებს ღრმა ძილით ჩასძინებიათ.

გუშინ საღამოს ხეობიდან რომ უყურებდნენ მთებს, გზა არც ისე შორი და ძნელი ეჩვენებოდათ. ახლა კი აღმართზე უსასრულოდ გაგრძელდა ბილიკი. თანაც სველ ბალახზე ფეხი უცურავთ და ძალიან ნელა მიიწევენ წინ. ჩქარობენ, გათენებას უნდა გადაასწრონ მთაზე, თორემ საშიშია, ალდარის კაცებმა არ იცნონ. რაც უფრო მაღლა მიიწევენ, ბინდი თანდათან იცრიცება. ახლა უკვე გზასაც ხედავენ. ფეხს აუჩქარეს, უღელტეხილს უახლოვდებიან. პირიქითიდან ქარმა დაუბერა, წინ გაიყარა ღრუბლის ქულები და ხეობებში ჩაჩქმურა. მოკრიალებულ ცაზე თითო-ოროლა დაგვიანებული ვარსკვლავი გამოჩნდა. აღმოსავლეთიდან ცის კიდეზე წითლად შეიღება შერჩენილი გაუფერულებული ნისლი. გათენდა.

ლტოლვილებმა უღელტეხილზე შეისვენეს, ძანგმა ჩოხა გაიძრო და

ნამიან მოლზე გაფინა. აგუნდა გვერდით მოისვა. კარგა ხანს ისხდნენ ხმის ამოუღებლად და სადღაც შორს ხეობის სიღრმეს გაჰყურებდნენ. ხეობა უზარმაზარი მატყლის ბარდანასავით ნისლით არის გატენილი. არაფერი ჩანს — არც მათი აული, არც კლდეები, არც საძოვრები. არც მინდვრები, არც ხევხუვები. დაიხუჭა, სინათლე გამოეცალა, ნისლმა დაბინდა ის ბოროტი და ყველაფრის დამნახავი თვალი, რომელსაც აგერ სამი დღე ემალებიან ლტოლვილები. ამან რაღაც დიდი იმედი მისცა მათ.

გრძნობს აგუნდა, იმ მძიმე, სველმა ნისლმა დაიტანა მისი უდარღელი და მხიარული ბავშვობა, ქალიშვილობის ბობოქარი და უძილო ღამეები. და აი სამუდამოდ სცილდება იმ წყეულ ქვეყანას, რომლისგანაც თავის დაღწევის იმედი გადაწურული ჰქონდა. სცილდება, გარბის, მაგრამ რომ არ იცის, საით? ყველაფერი ავი სიზმარი ჰგონია. უნდა გაიღვიძოს, მაგრამ არ ეღვიძება. რაღაც გამოუცნობ ძალას მიენდო, რომელმაც მთიდან დაქანებული ზვავივით თან გაიტაცა და წინ მიაქანებს. არ სურს ამ ძალას წინ აღუდგეს, საით მიაქანებს, როდის დაანარცხებს სალ კლდეს — არც ამაზე ფიქრობს, არც უნდა, რომ იცოდეს, რადგან არ ეშინია იმ ხვალინდელი დღისა. იცის, გრძნობს მისი გული. სხეული, რომ ყველგან და ყველაფერში გვერდით ეყოლება ძანგი, ჯოჯოხეთიდან ეშმაკებს კლანჭებიდან გამოჰგლიჯა სატრფო და აი ახლა თავის ღონიერ მკლავებში ატატებული გაჰყავს ბეწვის ხიდზე. იქითა ნაპირზე სიცოცხლისკენ, სინათლისკენ, თავისუფლებისკენ მიისწრაფის, ვინ იცის, იქნებ პეპელასავით დღემოკლე იყოს აგუნდას ოცნება, მაგრამ დაე, ასე იყოს, სამაგიეროდ რაც დღე ექნება, ბედნიერი, ლამაზი და თავისუფალი იქნება.

ძანგი ხვდება, რომ აგუნდა თავის ყმაწვილქალობას სამუდამოდ ეთხოვება, ეთხოვება იმას, რაც თავის ხანმოკლე ცხოვრებაში კარგი ან ცუდი შეხვდა. გრძნობს, რომ იმ საზოგადოებას ზურგი შეაქცია და სამუდამოდ ამოიკვეთა იქიდან ფეხი, სადაც გაიზარდა, სადაც მისი წმინდა და უმანკო გული მახეში გაბმული ჩიტივით გალიის კედლებს ასე თავგამეტებით აწყდებოდა და სადაც სისხლის ცრემლები ღვარა.

გრძნობს ძანგი, აგუნდა სიყვარულმა დააბრმავა, გულმა დაჯაბნა გონება. ჯერ ვერც კი მიხვედრილა ხვალ რა მოელის და ეშინია ძანგს, ვაითუ ტალღამ, რომელმაც თავის ფრთებზე აიტაცა გამოუცდელი ქალიშვილი, შუამდე რომ მიიყვანოს, ცხოვრების ეკლიან გზაზე დააყენოს. სათუთად გაზრდილმა ვერ გაუძლოს გაჭირვებას და ადრეულ გაზაფხულზე წინამასწრობელა ენძელასავით დააზროს ყინვამ, სიცოცხლე მოუსპოს, ანდა ინანოს, ახალგაზრდობაში დაუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯზე. თუმცა რა, ხვალზევით გინდაც მოეგოს ჭკუას, უკან დასახევი გზა მაინც მოჭრილია. მშობლიური ოჯახისთვის მკვდარია იგი. გუშინდამ გრისმა მოუტანა ამბავი, ეშმაკის კლდის ტბაში იპოვეს აგუნდას სისხლიანი საქორწილო თავსაბური. მოუკვდა ალდარს ქალი.

სადღაც, ძანგის ცარიელი სამარესავით, აგუნდას სამარეც გაითხარა[1]. მკვდრეთით კი არავინ აღმდგარა. რომ დაბრუნდეს, ხალხი მაინც აღარ მიიღებს, კუდიანობას დასწამებს, ისევ დამარხავენ.

იმ ორ ცარიელ სამარეს ადიდებს ძანგი. იმათ უშველეს, რომ მდევარი არ დაადევნეს. ისინი უადვილებენ მას კვალის დაფარვას. მაგრამ ჯერ მაინც საშიშია, ვინმემ რომ იცნოს, ალდარს აცნობებს და იმ შიშმა ააჩქარა.

მზემ თვალი გამოაჭყიტა. ნისლმა თითქოს დაისვენაო, ხის კენწეროებს გამოეხსნა და ზლაზვნით შეუყვა იმავ გზას, საიდანაც გუშინ ჩაეშვა ხეობაში, მთის მწვერვალებს დაუბრუნდა და გამჭვირვალე საბურველად შემოეხვია თავს.

ძანგმა და აგუნდამ დაუბრკოლებლად გადალახეს უღელტეხილი. ხეობას მაღალი მთის ძირამდე ტყე გასდევდა, რომელიც დაბლა ხშირი და დაბურული იყო, მაღლა-მაღლა კი თხელდებოდა. მთის ძირში მდინარის ნაპირს რიყიანი ბილიკი მიჰყვებოდა. ამ დროს აქ გამვლელი არავის უნახავს. მთის სოფლები იმდენად დიდი მანძილითაა ერთმანეთთან დაცილებული, რომ ასე ადრე ამ გზაზე ვერც ერთი მხრიდან ვერ მოაღწევს მგზავრი. ამიტომ ძანგი და აგუნდა სრულიად დამშვიდებულები მიჰყვებიან გზას. შუადღისას სამი მგზავრი შემოხვდათ. ლტოლვილებს ცხენების ფლოქვების თქარათქური შორიდანვე მოესმათ და გზის ქვემოთ გადაუხვიეს, ბუჩქებს მოეფარნენ. როცა ცხენოსნებმა გაიარეს, მაშინღა გააგრძელეს გზა.

მზემ გზა გაიშუალა. მხრები შეიჩეჩა და ისე ძალუმად დააჭირა, რომ დედამიწას სული შეუხუთა. მგზავრებს ნაბიჯი დაუმძიმდათ, სახეზე წურწურით ჩამოსდით ოფლი. აგუნდა დაიღალა, ძანგმა ბავშვივით აიყვანა ხელში და გზიდან მოშორებით, წყაროსთან მიიყვანა. დაისვენეს. გრისის გამოტანებული ღარიბული საგზალი გაშალეს და ისამხრეს.

ისევ გზას გაუდგნენ. საღამოს მიჰყვნენ ერთ აულში, ასე ითქმის, თორემ ხუთიოდე მიწური რა აულია, თითქოს ნამდურავად არიანო, ისე დაშორებიან ერთიმეორეს სახლები. აულის განაპირას შეჩერდნენ. ხალხში გამოჩენა ვერ გაბედეს. სხვა მხრით გასასვლელი გზა არ ჩანდა. აულს ორივე მხარეზე სალი კლდეები ეკრა. შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს მთებს ერთიმეორესთან შეერთება უნდათ, მაგრამ შუაში გაჩხირული აული უშლით ხელსო. კარგა ხანს ელოდნენ, იქნებ გარეთ ვინმემ გამოიხედოსო, მაგრამ აული თითქოს დაცარიელებულიყო. გაბედეს და გზა განაგრძეს, ისე გასცდნენ ამ უცნაურ აულს, რომ ძაღლსაც არ დაუყეფია.

მეორე აული სულ ახლოს დაინახეს. ის ცოტა უფრო დიდი მოეჩვენათ. ხეობის მოსახვევში პირველად კარტოფილის ნათესი და ქერის ყანები გამოჩნდა, აულის ახლოს გუბურაში ბავშვები ჭყუმპალაობდნენ, მათი ჟრიამული შორს ისმოდა. მგზავრებს ყურადღებაც არ მიაქციეს. აულის თავშივე ძაღლების ხროვა გამოენთო. მთის აულებში

[1] ოსეთში შინმოუსვლელ მიცვალებულს სამშობლოში საფლავს უთხრიან.

უცხო სტუმარი იშვიათად გამოჩნდება. მეზობელ აულის მაცხოვრებლებს კი სცნობენ. ძაღლები უცხო სტუმრის სუნს შორიდანვე იკრავენ და ისე გაკაპასდებიან ხოლმე, რომ იმათი დაწყნარება ერთი დავიდარაბაა. დროზე თუ არ მიეშველნენ, ცხენიდან ჩამოიღებენ მხედარს. ახლაც ერთმა დაიყეფა და მას მთელი აულის ძაღლებმა მისცეს ბანი.

ძანგი შეშფოთდა, ამ წუთში ადამიანები კი არა, ძაღლები იყვნენ საშიშნი. აგუნდას წინ ჩამოეფარა. ძაღლების ხროვა გნიასით მოექანებოდა, წინ დიდი ბომბორა ნაგაზი მოუძღოდა. თითქოს მთელი ქვეყნის ნაღველი გულში ჩაუგუბებიაო, სისხლმოწყურებული, ავისმომასწავებელი ყეფით მორბოდა, რომ ამ უცხო მგზავრებზე დაენთხია ჯავრი.

ძანგმა ვეღარაფერი მოისაზრა და თოფი გადმოიგდო მხრიდან. დასახვედრად მოემზადა. ამის დანახვაზე ბომბორა ნაგაზი კიდევ უფრო გაავდა, იუკადრისა სამსხვერპლოს კადნიერება და ზედ შეაფრინდა. კაცმა იმარჯვა და თოფის კონდახი პირდაპირ მკერდში ჩასცხო. ბომბორა ნაგაზი ჰაერში ერთი გადატრიალდა და მიწას დაენარცხა. სხვა ძაღლებმა წინამძღოლი რომ მიწაზე დაგდებული დაინახეს, შეცბნენ, ვეღარ გაბედეს იერიშზე გადასვლა. ხმაურზე ხალხი გარეთ გამოეფინა. ძაღლები დაფანტეს. მხოლოდ ის ბომბორა ნაგაზი დარჩა უძრავად ძანგი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

— არ მინდოდა... პირდაპირ ყელში...

— ახია მაგაზე, პატრონის მკვდრებს დააკვდეს, — მიაწყევლა ცისფერთვალება გამხდარმა ქალმა. — ამას წინათ ერთი სტუმარი ცხენიდან ჩამოიღო, მთელი აული მოგროვდა, ძლივს მოვაშორეთ. მთელი თვე ფეხზე ვეღარ წამოდგა უცხო კაცი.

— რამდენი ვეჩიჩინეთ მაგის პატრონს, ან მოაშორე აულს ან დააბიო, ვითომც არ გაუგონია. ქონების დარდი არ ასვენებს, — ცისფერთვალება ქალს სიტყვა ჩამოართვა მეორე შემოსწრებულმა.

— ოხრად დაურჩეს ნაარმი ქონება. აქეთ თვითონ ამოგვხადა სული, იქით მაგის სატიალო ძაღლმა. ამის შიშით უცხოს ვერ გაუვლია აულში. თქვენ ალბათ გეჩქარებათ, ამდენ ხანს კი გაგაჩერეთ.

— ნამდვილად გვეჩქარება, ღმერთი ხეირს მოგცემთ, აულიდან გაგვაცილეთ.

— ახლა ნუღარ გეშინიათ, — დააიმედა იმ ცისფერთვალა ქალმა, — შორიდან მომავალ მგზავრებს ჰგავხართ, საით გაგიწევიათ.

— თირსის ხეობიდან ვართ. ცხვარი აგვისხლტა ფარას და აგერ სამი დღეა მუხლში გავწყდით, ხომ არაფერი გაგიგიათ?

— არაფერი, შვილო, ჩემი კაციც მეცხვარეა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— ამ ხეობაში არის კიდევ სხვა აული?

— არის მაშ, ვალაგყაუ.

— აბა, მაშ იქაც ვიკითხავთ, მოგეხსენებათ, მოჯამაგირეები ვართ...

— იკითხეთ, გენაცვალე, იკითხეთ, შეიძლება იციან რამე. — ამ ლაპარაკით შევიდნენ აულში.

— შინ შემოდით. შვილებო, პურ-მარილს ნუ დამიწიხლავთ. — ერთი მიწურის წინ შეაჩერა ქალმა მგზავრები.

— პურ-მარილზე მადლობა მოგვიხსენებია, დედი, გვეჩქარება. დაგვღამდება და გზას ვეღარ გავიგნებთ.

— მაშ ცოტა მოიცადეთ, კარგა მანძილი გაქვთ გასავლელი, ე წალღი ცოდვაა, ეშიება. — ქალმა მგზავრები გზაზე დატოვა, თვითონ შინ შევიდა.

ძანგმა თვალი მოავლო აულს. გზის ქვემოთ ციხეა რიყის ქვით ნაშენი, ქვითკირის გალავანი, სიღრმეში ორსართულიანი სახლი, წითელი კრამიტით გადახურული — სხვა სახლებს შორის შესამჩნევად გამოირჩევა. პატარა ბიჭმა სირბილით ამოათავა აღმართი და იმ ეზოში ვაუჩინარდა.

ქალიც გამოჩნდა. ქერის ხმიადი და ჭყინტი ყველის ნახევარი ეჭირა ხელში.

ის იყო, წასვლა დააპირეს, მაგრამ ცოტა ხნის წინ პატარა ბიჭმა რომ შეირბინა ჭიშკარში, იქიდან ერთი ახალგაზრდა, მაგარი აგებულების კაცი უწმაწური გინებით გამოვარდა. კაცს წივილ-კივილით მოსდევდა ჯალაბი.

— ვაიმე, ძაღლის პატრონი! — იყვირა ქალმა და შიშით აცახცახდა. — გაიქეცით, შვილებო, თორემ არ დაგინდობთ ეგ სისხლისმსმელი.

მაგრამ გასაქცევი აღარსაით იყო. ძანგმა აგუნდა ქალთან დატოვა, თვითონ კი იმ გააფთრებულ მოძალადეს, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა, წინ გადაუდგა. ძანგი შეზარა მომხდურის გაფანჩულ წარბებქვეშ გადმოკარკლულმა ბოროტმა თვალებმა, სწორედ ასეთი თვალები ჰქონდა იმ ძაღლს, წეღან ძანგს რომ კინაღამ ყანყრატო გამოაგლიჯა. კეტმომარჯვებული კაცი წინ დაუდგა.

— ვისი ძაღლი მოკალი, მე შენი დედა და მამა!.. — იღრიალა და კეტი მოიქნია. ძანგმა იმარჯვა, გვერდით გადახტა და დარტყმა აიცდინა. სამაგიეროდ მომხდურმა თავი ვეღარ შეიმაგრა და ზედ გზაზე გაიშხლართა. ისევ მალე წამოხტა და ხანჯალი იძრო. ქალები დაწიოკდნენ. ძანგმა საფრთხე იგრძნო, თოფი გადმოიგდო მხრიდან და კაცს დაუმიზნა.

— ახლოს არ მოხვიდე, თორემ გესვრი.

— უყურეთ ამ ოხერ-ტიალს, ძაღლი მომიკლა, ახლა მე მიპირებს ჩემსავე კარზე მოკვლას. მე შენ გიჩვენებ... — დაჭრილი დათვივით იღრიალა ბრაზით დორბლმორეულმა და ძანგისკენ გაიწია.

— არ მომეკარო-მეთქი, გითხარი! ჩააგე ხანჯალი და ადამიანურად მოვილაპარაკოთ.

ხმაურზე მთელმა აულმა მოიყარა თავი. თავკაცებმა გააკავეს მოჩხუბრები.

— რა არის, თომა, რატომ არ დაეხსნები მგზავრებს? შენმა ძაღლმა კინაღამ დაჭამა და რა ექნათ. რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, დაბმული იყოლიე-თქო, ვგრძნობდით, რომ ვიღაცას უბედურებას მოსწევდით. — უსაყვედურა წელში მოხრილმა თეთრწვერა მოხუცმა თომას.

— ეგ შენ არ გეკითხება, დაიკარგე აქედან, — თვალები დაუბრიალა ძაღლის პატრონმა მოხუცს.

— ჰო, შენს მეტს ვიღას რა ეკითხება. აგვიგდე მასხრად აული, აღარც სირცხვილი, აღარც მორიდება! ხალხი ხომ არ აიყრება შენი გულისთვის?

— თხუთმეტი ცხვარი გადამიხდია, — აყვირდა ძაღლის პატრონი და კვლავ ძანგისკენ გაიწია. — ჩემი ძაღლის ჯაჭვზე დაგაბამ იცოდე, ან თხუთმეტი ცხვარი, ან შენ მის ჯაჭვზე!

— კი მაგრამ, შენს ძაღლს რომ შეეჭამე, ვინ ისდიდა ჩემი სისხლის ფასს? მიპასუხე! — არ დაუთმო ძანგმა. — ვინ მოგცა უფლება ხალხის დასაჭმელად ძაღლი აუშვა?!

— ჩემი ძაღლის ფასიმეთქი, ვირიშვილო, თორემ აქვე დაგაყრევინებ წელებს.

— დაეხსენ საწყალ კაცს, ხომ ხედავ, არაფერი გააჩნია, აული ძეგიგროვებს შენი ძაღლის ფასს, შენთვის სულ ერთი არ არის? — ისევ ის მოხუცი დაუდგა წინ.

აგუნდა აქამდე შეშინებული ბარტყივით ცახცახებდა, იმ ქალს ეფარებოდა. მამასახლისი იცნო, ბევრჯერ უნახავს თავიანთ ეზოში. უყურეთ ერთი ამ ღაჩარს, რა დიდი გული ჰქონია. ველარ მოითმინა, უცბად იფეთქა მასში გვაროვნულმა სიამაყემ. დაავიწყდა თავისი მდგომარეობა და ძაღლის პატრონთან მიიჭრა.

— მოიცა, მოიცა, შენ ელოითი ძანხოთის მოურავი თომა ხარ? თომამ უცნობის შეკითხვა ვერ გაიგონა.

— აჰა, ორნი ყოფილხართ? ძალიან კარგი, მაშინ შენ დარჩები ჩემი ძაღლის ადგილზე, ეს კი წავა და თხუთმეტ ცხვარს ამომიყვანს. ბა ჰა, ჩქარა ჯაჭვზე!

— მე კი ეფიქრობ, ეგ ჯაჭვი შენ თვითონ დაგჭირდება, — დაემუქრა აგუნდა.

— ვინა ხართ, აღარ იტყვით?

— ალდარის მწყემსები. ცხვარი დავკარგეთ. კვალი აქამდე მოდის. საკვირველია, აქ შენი ძაღლის შიშით ცაში ფრინველი ვერ გადაიფრენდა და ცხვარი როგორ გაატარეს ქურდებმა? თუ შენი ძაღლი დაბმული იყო და პატრონი ბოროტმოქმედებს ეხმარებოდა? — აგუნდას ხათქვამმა შეაშფოთა მოძალადე.

— ენა გააჩერე!

— დააცა, თომა, თქვას ბოლომდე სათქმელი, — გამოექომაგა მოხუცი აგუნდას.

— ვთქვი, რაც მინდოდა, დადა![1] რას იტყვი, ჩვენ ორს შორის რომელს გვიტოვებ მძევლად? რას გაჩუმდი? თუ ჯერ ვერ მოეგე ჭკუას? ერთ-ერთი ჩვენგანი აქ დარჩება, მეორე ალდართან წავა და მოახსენებს, როგორ გააპარე მისი ცხვარი.

თომა გაშრა, ძაღლი დაავიწყდა. თუ ალდარის ცხვარი დაიკარგა და კვალი აქამდე მოვიდა, ნამდვილად მას დააბრალებენ. მართალია, ქურდობის მონაწილე არ არის, მაგრამ ამას ვინ უყურებს, ალდარი არ დაიჯერებს, ქურდობას დააბრალებს და თავიდან მოიცილებს. მაშინ, ღამე გადასწვავენ მის სასახლეს მეზობლები. შეშინდა.

— რას გაჩუმდი, რომელს გვიტოვებ ძაღლის მაგიერ? ხომ ხედავ, ღამდება, გვიანდება, გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, ალდარი ამბავს ელის. — პირდაპირ თვალებში შეხედა აგუნდამ ძაღლის პატრონს.

— წადით, მე არ გიშლით, მოძებნეთ თქვენი ცხვარი, მაგრამ, ბიჭო, შენ რომ თქვი, ძაღლი დაბმული გყავდაო, არ არის მართალი, ხალხმა იცის, რომ ჩემს ქედანას არ ვაბამდი.

— ხალხს ღამით სძინავს, საიდან იცის, იმ მაღალი გალავნის შიგნით რა ხდება.

— კარგი, კარგი, გეყოფა, შენ, ბალღო, ძალიან გრძელი ენა გქონია. წადით და თუ რამე შეიტყვეთ, აქეთ ჩამოიარეთ.

— გზები სხვაგანაც არის. შენთან ჩამოვლა სულაც არ არის აუცილებელი, აგდებით უპასუხა აგუნდამ და ძანგს თვალით ანიშნა წავიდეთო.

აულს რომ გასცდნენ, აგუნდას სიცილი აუტყდა.

— ხომ ასე უნდოდა, ძანგ!

— ეგ წყეული მამაშენს იცნობს. ვაითუ... რა ვიცი.

— მართალია, მაგრამ ხომ ნახე, მეტი გზა არ იყო.

— რა გაბედული ყოფილხარ, აგუნდა? არ დაგაკვირდნენ, თორემ ადვილად შეამჩნევდნენ, რომ შენ მწყემსი კი არა, ქალბატონი ხარ. ცოტაც და ნიღაბს ჩამოგვაცლიდნენ.

— ვეღარ მოვითმინე, მაპატიე, ძანგ, დამავიწყდა, ვინ ვარ ახლა მე...

მზე ჩავიდა და მგზავრებმაც ვალაგყაუს მიატანეს, აული ხეობაში სოლივით შეეჭრილ მთის კალთებს მიჰკვროდა და ხეობას ორად ჰყოფდა.

სინათლით აულში შესვლა ვერ გაბედეს, ცნობისმოყვარე თვალს მოერიდნენ. დაიწყება გამოკითხვა, საიდან? საით? რატომ? გადაწყვიტეს აულის განაპირას დალოდებოდნენ საღამოს, მერე რომელიმე ოჯახში ითხოვდნენ ღამის გასათევს. გზის ზემოთ სათივის ძირში ჩამოსხდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ცხენების ფეხის თქარათქური შემოესმათ. თივის ზვინს მოეფარნენ. მალე გამოჩნდნენ ცხენოსნები. მხიარულ ყაყან-

---

[1] დადა— პაპა.

ზე ეტყობოდათ შექეიფიანებულები იყვნენ. პირდაპირ მდინარეში შეაგელვეს ცხენები და რამდენიმე წუთის შემდეგ აულის ვიწრო შუკებში მტვრის ბუღი ააყენეს.

— დავიღუპეთ, ძანგ, — გაფითრდა აგუნდა, — ესენი ჩვენი გზირები არიან, ის, ცხენივით რომ ხვიხვინებს, მოურავია — ფარსი. მიცნობს. ეს სამი აული ჩვენ გვეკუთვნის. აქ თავდება საზღვარი, ახლა მომაგონდა, მამა ხშირად ახსენებდა აქაურობას.

აულში აღარ მიესვლებოდათ. ბინდბუნდში მარცხნივ გაუხვიეს და წყალგაღმა გავიდნენ. კარგა მანძილით გასცდნენ ვალაგყაუს და დაღლილ-დაქანცულებმა შარშანდელ თივის ბულულში გაათიეს ღამე.

2.

ორი კვირა გავიდა, რაც აგუნდა და ძანგი ტყე-ღრეში დაეხეტებიან. რამდენი ხეობა აათავეს, რამდენი მთა გადაიარეს, მაგრამ გზას დასასრული აღარ უჩანს. ერთ ხეობას გაივლიან, მეორე დაიწყება, პირველზე უფრო ღრმა და ბნელი. ერთ მთას გადაივლიან, მეორეს წააწყდებიან, პირველზე ციცაბოს და ძნელად ასავალ-ჩასავალს, სიღრმეში ხეობები თანდათან უკაცრიელდება, ხანდახან მთელ დღეს ივლიან და სულიერს ვერ შეხვდებიან, ამ მიყრუებულ ხევხუვებში გადმოკიდებული სალი კლდეები შიშის ზარსა სცემს აგუნდას.

თუმცა ხეობის სამარისებური დუმილი და სიცივე, ეს ჰაერში ჩამოკიდებული უზარმაზარი ლოდები ისე არ აშინებს, როგორც ის, რომ ძანგი დღითიდღე იცვლება, სახეზე უზომო ტანჯვა ეხატება, რაღაც გამოუთქმელი ნაღველი უღრღნის გულს. რაც უფრო დრო გადის გზის გაგნებაც უჭირთ, თითქოს ენა ჩაუვარდაო, ხმას აღარ იღებს. სანამ აგუნდა არ დაელაპარაკება, მიდის თავჩაქინდრული, მდუმარე. რას გაჩუმებულა, რატომ არ იტყვის? მათი ბედი ხომ ერთია, მაშ თავის ნაღველს რატომ არ უზიარებს აგუნდას? იქნებ არ ენდობა? რატომ? ვაითუ ნანობს და ამაში აგუნდას ადანაშაულებს. ამის გაფიქრებაზე შეკრთა. მოაგონდა, ძანგს რომ თვითონ გამოუტყდა სიყვარულში. ის კი ეწინააღმდეგებოდა, უმტკიცებდა, ეს შეუძლებელიაო. შეეშინდა. სიყვარულის ტკბილმა გრძნობამ აიტაცა... აიტაცა და აქ ხეობების ვიწროებში შემოაქროლა, ალბათ ალაპლაპებული ცეცხლი ჩანელდა და ფერფლი ცივ კლდეებს შორის თოვლის ფიფქივით იფანტება.

ეჭვი გველის წიწილივით აფუთფუთდა და პირდაპირ ტვინში შეუღიტინა, ვაითუ შეცდა და ძანგი ის არ არის, ვინც მას ეგონა. ვაითუ მის მიერ სიყვარულით შექმნილი არწივის სახე მხოლოდ მოჩვენება იყო? იქნებ მართლა შეცდა გამოუცდელი გული და გარშემო მყოფთა შორის მბჟუტავი ნაპერწკალი ცეცხლის ალად მიიჩნია, თავნება ქალბატონმა კი ფარვანასავით კოცონში ჭკრა თავი. ან შეიძლება, ძანგი, მისი მიზეზით ასეთი სიძნელეები რომ შეხვდა, შეშინდა და ახლა სინანული უსიებს ნაღველს.

ეს გულის მომკვლელი ეჭვი თანდათან ძლიერდებოდა და სადაცაა გადმოხეთქავდა.

იმ დღეს საღამო ხანს ძანგმა შვლის ნუკრი მოკლა. ბინა ხეობის მყუდროში მდინარის ნაპირზე დაიდეს. სანამ ძანგი ნანადირევს დასტრიალებდა, აგუნდამ ხმელი ნარიყი მოაგროვა და ცეცხლი გააჩაღა. შეწვეს მწვადები. აგუნდამ ხელსახოცში გამოკრული საგზალი გაშალა. ვახშამი მალე მოათავეს. ამასობაში კარგად ჩამობნელდა, მაგრამ ისინი ისევ ისე ისხდნენ და ცეცხლს ეფიცხებოდნენ.

ხეობაში შემაძრწუნებელი სიბნელე ჩამოწვა, მხოლოდ ცაზე, თითქოს საფლავის თავზე ღადარი გაუქექიათო, ვარსკვლავები ნაპერწკლებივით ბრწყინავდა. დროდადრო კოცონიდან ავარდნილი ნაღვერდალი ჰაერში წრეს ხაზავდა და ღამის ლუსკუმას ანათებდა. მთის ხმაურიანი მდინარე რაღაც გრძელ მელოდიას აღარ ათავებდა. უცხო ფრინველმა შხუილით გადაუქროლა ცეცხლს თავზე, თავისი დაუპატიჟებელი სტუმრობა ორჯერ თუ სამჯერ გაიმეორა და მერე სადღაც გადაიკარგა. სულ ახლოდან რომელიღაც ნადირმა ისე დაიჩხავლა, თითქოს ყელში დანა გაუყარესო.

აგუნდას ტანში გაბურძგლა, თითქოს ბეჭებზე შხამიანი გველი გაუსრიალდაო, ისე შეხტა მაღლა. მუდარის თვალით შეხედა ძანგს, ცეცხლის შუქზე მის სახეზე აღბეჭდილმა გულგრილობამ სასო წარუკვეთა ქალს. ძანგი იჯდა და ცეცხლს მისჩერებოდა, თითქოს არაფერი გაუგონიაო.

აგუნდას ათასგვარი ელდა აერია თავში, რატომღაც წარმოიდგინა, რომ ამ საფლავივით ბნელ ხეობაში მარტოდმარტოა, გარშემო ავ სულებს გაუმართავთ ჩარბუზანა და მისკენ მოიწევენ. შიშმა მოიცვა მისი არსება და მოულოდნელად კივილმა გაკვეთა ხეობაში ჩამდგარი დუმილი.

ამ ხმამ ტყვიასავით გაუარა ძანგს გულში, დაფეთებული წამოვარდა და საყვარელი არსება ხელში აიტაცა.

— ნუ გეშინია, აგუნდა, მე შენთან ვარ, ჩემო სიცოცხლე!

ციებიანივით კანკალებდა აგუნდა. კრიჭა შეეკრა და ხმას ვეღარ იღებდა, როდის-როდის დაწყნარდა.

ისევ დაიჩხავლა ნადირმა. აგუნდამ სახე ძანგის მკერდში ჩამალა.

— გარეული ძაღლია, ნუ გეშინია...

— მაგისი კი არა, შენი შემეშინდა.

— ჩემი? რატომ?

— მომეჩვენა, რომ ცეცხლის პირზე დაყუდებულ ლოდად იქეცი და აღარაფერი გესმოდა.

— მაპატიე, ჩემო სიხარულო, საფიქრებელმა წამიღო და მართლა დამავიწყდა, სად ვიყავი.

— ვიცი. აგერ რამდენი დღეა იტანჯები. ალბათ ნანობ შენს საქციელს, მე იმიტომ არაფერს მეუბნები. რა დაგემართა, ნუთუ ვაქაცობა არ გყოფნის პირდაპირ მითხრა...

— რას ამბობ, აგუნდა?

— რასაც ვგრძნობ, ძანგ. მართალია, ღონე არა მაქვს, მაგრამ სიმაყე ჯერ არ დამიკარგავს. თუ ჩემმა სიყვარულმა შენ დარდი და ვარამი მოგიტანა, დეე მოკვდეს ეს სიყვარული.

— ეგ რა თქვი, აგუნდა, შენი სიყვარულით მთვრალივით ვარ გაბრუებული. — ძანგმა გულში ჩაიკრა აკანკალებული ქალი და კოცნით დაუფარა სახე.

— თავი დამანებე, ძანგ, მე ნაძალადევი არაფერი მინდა.

— რას ამბობ, აგუნდა?

— მოგბეზრდი, აღარ გიყვარვარ.

— მე მომბეზრდი?

— დიახ, მე რომ არ გადაგყროდი, შენ შენსავით ღარიბ ცოლს ითხოვდი, და ახლა ასეთ გაჭირვებას არ გამოცდიდი.

— მხოლოდ მაგიტომ მემდური?

— და ეგ არაფერია? გატყობ, რომ გული აიცრუე. პირველად მეფერებოდი, თვალებში შემომციცინებდი, ახლა აღარც კი მელაპარაკები. დაგავიწყდა, რომ მე შენთან ვარ. სულ რაღაცაზე ფიქრობ. თუ ნანობ, მითხარი, მე მოვუვლი ჩემს თავს. — აგუნდა ატირდა.

ძანგს გული მოუკვდა. აი თურმე რაში ყოფილა საქმე, ცრემლიანი თვალები დაუკოცნა.

— ნუ, გენაცვალე, ნუ, ცრემლებს რა ხელი აქვს შენთან. ეგ რამ გაფიქრებინა, მეორედ აღარ გამაგონო, მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლეე, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. — ეფერება ძანგი, ხუჭუჭა თმის კულულებს უკოცნის აგუნდას.

აგუნდა აღარ ტირის. მხოლოდ ხანდახან ამოისლუკუნებს.

— რატომ არ გამანდობ შენს ფიქრებს, ძანგ? განა შენი ფიქრი მე არ მეკუთვნის? მარტო რატომ უნდა რჩებოდე ჩვენს საერთო საფიქრალთან? მე კი ეჭვები მახრჩობს. — აგუნდამ ყელზე მკლავები შემოაჭდო ქმარს და ცხელი კოცნით დადაღა.

— მაპატიე, ჩემო წილო მზევ, ვტყუი, ეს რამდენიმე დღეა ფიქრმა გამტანჯა. ლამის შენც კი დამავიწყდი.

— რაზე ფიქრობ, რა არის ისეთი, მე რატომ არ მეტყვი?

— არა, კი არ გიმალავ, ბავშვობიდან მარტო ვიყავი, მივეჩვიე მარტო ფიქრს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ფიქრი აიწეწება და მის გამოხსნას ვეღარ ვახერხებ. ახლა სწორედ ასეა ჩემი ფიქრი აწეწილი. — ამოიოხრა ძანგმა.

— მე რატომ არ უნდა ვიცოდე? თუ არ მენდობი? ან იქნებ ჩემი იმედი არა გაქვს?

— მაშ ვიღას ვენდობი, აგუნდა, ან ვისი იმედი მაქვს თუ არა შენი. ხომ ხედავ, რა მდგომარეობაში ვართ. კაცი ვარ, ვფიქრობ, შენ რომ მომენდე, ვარ თუ არა ვალდებული ადამიანურად შეგინახო? მაგრამ როგორ? სად ვიცხოვროთ? — აი რაზე ვფიქრობ. ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერაფერი გადამიწყვეტია. ხომ ხედავ, ორი კვირაა ტყე-ღრეში ნა-

დირივით დავეხეტებით. როდემდე? ჯერ ცოტ-ცოტას რაღაცას ვშოულობთ. ხან ნადირს მოვკლავ, ხან კეთილი ადამიანები გვინაწილებენ ხმელა პურს. მაგრამ ხვალ? თვითონ გაჭირვებული ხალხი დახმარებას არ გვამადლის, მაგრამ როდემდე? ზაფხული მიიპარება, თოვლი რომ ჩამოყაროს, გზები ჩაიკეტოს, რა გვეშველება? ხან ვიტყვი, დავსახლდეთ-მეთქი სადმე. მაგრამ როგორ, რითი? არც მასალა, არც იარაღი, ცარიელი ხელით რა გავაკეთო, ან ვინ მოგვცემს სამოსახლოს, ხან ვიტყვი, მოჯამაგირედ დავუდგე ვისმე, მაგრამ ამ კლდეებზე მაცხოვრებელ გაჭირვებულ ხალხში სად ვიშოვო სამუშაო, ისიც ამ დროს. საით წავიდე, არც ძმა მყავს, არც ბიძაშვილი, ვინ შეგვივრდომებს? ამ წყეულ ქვეყანაზე რისთვის გავჩნდი, თუკი წილი არ მექნებოდა. ზედმეტი ვარ ალბათ, ვინ შემიფარებს, ისიც მოტაცებული ცოლით. ჩემი დარდი ბარემ არა მაქვს, შენ მედარდები, ვაითუ საკადრისად ვერ შეგინახო. უკვდავების ყვავილი ვიპოვნე და მეშინია, ხელში არ ჩამიჭანეს. შენ თუ დაგკარგავ, მორჩა ჩემი სიცოცხლეც. ახლაც გიყურებ და დღითიდღე ხელში მადნები. პირდაპირ შემოხედვისა მრცხვენია. რატომ დაგტანჯე ასე სასტიკად. არაფერი მინდა, სიცოცხლეზე ვიტყოდი უარს, ოღონდაც შენთვის მყუდრო თავშესაფარი მაშოვნინა, რომ დაგესვენა. აი, ჩემო სიხარულო, ჩემი ფიქრი ეს არის.

ძანგის მუხლებზე მოკალათებული აგუნდა ყურადღებით ისმენდა აღსარებას. შერცხვა, როგორ შეიტანა ეჭვი ძანგის გულწრფელობაში, რატომ ატკინა გული ძვირფას ადამიანს, ისედაც დარდიანს და შეწუხებულს, რაღა ეს უნდოდა. ნეტავ შეეძლოს რითიმე შეუმსუბუქოს ქმარს მდგომარეობა, მაგრამ რა შეუძლია? არაფერი. გრძნობს, რომ მომავალი კარგს არაფერს ჰპირდება, მაგრამ მისი სიყვარული ისე ძლიერია, რომ სულაც არ ნანობს.

— ძანგ, რა იქნება, სხვა ქვეყანაში რომ წავიდეთ?

— საით, აგუნდა? სად წავიდეთ? ჩვენს სამშობლოში ზედმეტები ვართ და სხვა ქვეყანაში ვის რაში ვენაღვლებით.

— მაპატიე, რომ ჩემმა სიყვარულმა შვების მაგიერ ტანჯვა მოგიტანა, ძანგ.

— მე მეუბნები მაგას? შენ მაპატიე, აგუნდა, მე რა მიჭირს, დაჩვეული ვარ გაჭირვებას. რაც მე გამომიცდია, იმაზე მეტი არც გაჭირვება არსებობს და არც ტანჯვა. შენ მედარდები.

— მე რა, რაკი ღმერთს ასეთი ბედი მოუცია, ყველაფერს ავიტან.

— ბარემ, თუ ჩვენი დახლართული გზის დასაწყისს მივაგენით, მაგრამ სად ვეძებოთ, სად?

აგუნდამ არაფერი უპასუხა. მინელებულ კოცონზე შეშის დამატებაც აღარ გაახსენდათ.

— ძანგ, მოდი ძაუგში წავიდეთ, — დუმილი დაარღვია აგუნდამ. — გამიგონია ბარაქიანი მხარეაო, პური ბევრია, საქონელი, ბადილაათი, თუღანთი, კუბატთი. მათი სიმდიდრის ამბავი ქვეყანაზეა გავარდნილი.

ამაზე ძანგმაც იფიქრა და ახლა აგუნდას აზრს ახალი ძალით ჩაეჭიდა.

— რა ვიცი.

— ვცადოთ. იქ უფრო უშიშრად ვიქნებით. თანაც ბარის სოფლებში სამუშაოს ადვილად ვიშოვით.

— მაშ მივდივართ! — ღიმილმა გაუბადრა სახე ძანგს.

— მივდივართ! — უპასუხა აგუნდამ და მკერდში ჩაეკრა საყვარელ ადამიანს. ძანგმა თავისი ჩოხა გაუშალა აგუნდას.

— დავიძინოთ, აგუნდა, ხვალ გრძელი გზა გველის.

ნადირი აღარ ჩხაოდა. ცეცხლის შუქს რომ უცხო ფრინველი ეტანებოდა, ისიც სადღაც გაქრა. მხოლოდ ჩამუქებულ ცაზე ვარსკვლავები თითქოს დახტოდნენ, მოთქმად აღარ ისმოდა მთის ჩქარი მდინარის სალ კლდეებზე ტყლაშუნი.

3.

დილით ადრიანად გაუდგნენ გზას. საღამოს ბინდს შეჰყვნენ ერთ აულში. ათვალიერებენ და უკვირთ, როგორ ცხოვრობს, რითი ახერხებს თავის გატანას სალ კლდეებზე მერცხლის ბუდესავით მიკრული აული. შუაზე პატარა ხევი ჩამოდის, გაღმა ნაპირი შედარებით ვაკეა და საცხოვრებლად უფრო ხელსაყრელი, სახლებიც მკვიდრადაა ნაგები, ციხეც მაღალია. გამოღმა სამი ბანიანი მიწური ფუტკრის სკებივით მიჰკვრია ერთიმეორეს. ციხე პატარაა, თითქოს მშენებლებს ამ კლდეების დახარჯვისა შეშინებიათო. აქეთა უბანი უკაცრიელი ჩანს. გაღმიდან ხმაური მოისმის. სახლებიდან ცამდე ადის კვამლი.

მდინარეზე საცალფეხო ხიდი აღებული იყო.

ძანგმა ფონი ეძება, მაგრამ ვერ იპოვა და ისევ იმ სამი მიწურისკენ წავიდნენ. მაღლა ასასვლელად საფეხურები გამოეჭრათ კლდეში. პირველი სახლის კარზე მიაკაკუნეს. მალე ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ძანგი მიესალმა.

— თუ ღმერთი გწამს, გზა მიგვასწავლე, შორიდანა ვართ, ჩრდილოეთში მივდივართ და მგონი ავცდით...

— აჰ, მართლა აგრევიათ გზა. ამ ხეობიდან ჩრდილოეთში ჩიტიც ვერ გადაფრინდება, სხვა ხეობაში გადის გზა, აი, შორს ხედავთ მთას? ის უნდა გადაგევლოთ. იქ რამდენიმე აულია, მოკლე გზაზე დაგაყენებენ.

— შინ შემოიყვანე სტუმრები, ქარუმ, რას გააჩერე გარეთ, — მოისმა შიგნიდან ხმა.

— მაპატიეთ, ლაპარაკს შევყე და... მობრძანდით, მობრძანდით, იკადრეთ ჩვენი პურ-მარილი.

— პურ-მარილზე მადლობა მოგვიხსენებია, სანამ სინათლეა, იქნებ მოვასწროთ ხეობაში გასვლა.

— არა, არა, შორი გზაა, თვალნათლივ გასვლას ვერ მოასწრებთ, გადაიჩეხებით სადმე.

ამასობაში გარეთ გამოვიდა ძლიერი აგებულების შუახნის კაცი, ცხვრის ტყავის ქუდი ეხურა, რომელსაც მატყლის ყურები ყინულის ლოლუებივით ეკიდა. პატრონის თვალები ნაღვერდალივით აკვესებდა.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა მას ძანგი.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ, შინ მობრძანდით. ახლა წასვლის დრო აღარ არის, რასა ბრძანებთ, ცალოითებმა რომ გაიგონ, სტუმრები ეზოდან გააბრუნესო, სალექსოდ გაგვხდიან.

აღარ გაჯიუტებულა ძანგი, მასპინძელს შინ შეჰყვნენ. ეზოში სიპი ქვა იყო დაგებული, სკამებიც ქვაში გამოეკვეთათ, სახლიც ქვით იყო ნაგები. აგუნდას მოეჩვენა, რომ ადამიანებიც ქვისგან იყვნენ გამოთლილები.

— ცოტა ხანს დაბრძანდით ნიავზე, დაისვენეთ, — ძანგმა თოფი უმცროს მასპინძელს მიაწოდა. თვითონ აგუნდას გვერდით ქვის სკამზე ჩამოჯდა.

— ბიჭო, მიდი, პატარძალს უთხარი, ვახშმის თადარიგი დაიჭიროს, — გააფრთხილა უფროსმა უმცროსი.

უმცროსი მაშინვე შინ შევიდა.

— საწყენად ნუ მიიღებთ ჩემს ცნობისმოყვარეობას, წელიწადი ისე გადაბრუნდება, უცხოს ვერ დავინახავთ, ხანდახან აღარც კი გვჯერა, რომ ქვეყანაზე ჩვენს მეტი სხვაც ცხოვრობს. რა ამბავია, რისთვის მიდიხართ ჩრდილოეთში?

— წყეული იყოს საწყალი კაცის დაბადების დღე. დავისეტყვეთ, მარცვალი პური ვეღარ შევიტანეთ სახლში. დავრჩით მშივრები. გაჭირვებამ გვაფიქრებინა ჩრდილოეთში გადასვლა. რა ვიცი, იქნებ სამუშაო ვიშოვოთ.

— ეჰ, საწყალ კაცს ქვა აღმართშიც ეწევა. უბედურება დაბადებიდანვე თან სდევს, — სიტყვა ჩამოართვა მასპინძელმა. — ჩრდილოეთში სამუშაოს იშოვით აუცილებლად.

— გეტყობათ, თვითონაც ხელმოკლედ ხართ, სახნავ-სათესი არსადა ჩანს.

— ხელმოკლედ და როგორ. ამ სალ კლდეებში ვართ მომწყვდეული და განძრევის საშუალება არა გვაქვს. ჰო, იმას გეუბნებოდით...

მაგრამ სათქმელი ვეღარ დაამთავრა, გარედან ვიღაცის ყვირილი მოისმა. მალე ჭიშკარში შემოვარდა აღელვებული ახალგაზრდა, მას სტუმრები არც შეუმჩნევია, უფროს ძმასთან მივარდა.

— დადო, რა იქენით, კაცო, ყელსა გვჭრიან! სავის ლეკვებმა ჩვენი სათივე გათიბეს, ჩქარა იარაღი! — თვალები სისხლში უტრიალებდა და მეტისმეტი მღელვარებით ლამის ბუდიდან ამოსცვივნოდა, პასუხისთვის აღარ დაუცდია, სახლში შევარდა და თვალის დახამხამებაში შეიარაღებული გაჩნდა ეზოში.

დადო ჭიშკარში მიეწია ძმას და იარაღი აართვა, ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, ძანგმა ვერაფერი მოისაზრა.

მალე სულ უმცროსი ძმაც შეიარაღებული გამოიჭრა გარეთ.

— ჭკვიანად, უგუნურებო!

— გაგვიშვი, დადო, გაგვიშვი, ჯავრს ნუ შეგვაჭმევ მტრისასა. ცოლ-შვილს ყელებს გვიჭრიან! გაგვიშვი, ერთხელ დავიხოცოთ!

— ჭკვიანად-მეთქი. ახლა მაგის დრო არ არის. დილა გათენდეს, აქ არ ვიქნებით?!. უგუნურებო, ადათს რატომ წიხლავთ, ოჯახში სტუმრები გვყავს, თქვენ კი საჩხუბრად იწევთ, თქვე უხეიროებო, ჯავრს ვეღარ ერევით! შევრცხვით და მოვითხარეთ! აბა, ბოღმას კბილი დააჭირეთ, დაიმორჩილეთ თავი. — დადოს საყვედურმა გონებაზე მოიყვანა ძმები. — შედით შინ, სტუმრებს მიხედეთ, წესსა და რიგს ნუ არღვევო.

ძმებმა დაირცხვინეს. ეზოში მხრებჩამოყრილები იდგნენ და აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ.

ძანგი მიხვდა, რომ ძმებს რაღაც ხიფათი შეემთხვათ და გადაწყვიტა, საჭიროების შემთხვევაში გვერდში ამოდგომოდა.

— მასპინძლებო, ვხედავ რაღაც გიჭირთ, თუ ჩემი დახმარებაა საჭირო, მზად ვარ.

— ღმერთმა ხეირი მოგცეს, ძმაო, მადლობელი ვართ შენი ვაჟკაცობის და იმედისა, მაგრამ ტეხთის გვარი სტუმარს არასოდეს ავალებდა თავის საქმის გაკეთებას, იმდენი ვაჟკაცობა კი აქვთ, რომ თავი არავის დააჩაგვრინონ. თქვენ სტუმრები ხართ, ჩვენ მასპინძლები, ჰოდა, დავიცვათ სტუმარ-მასპინძლობის წესები.

გაშალეს სუფრა. ვახშამზე ძანგი გრძნობდა, რომ ძმები მართალია სუფრას უსხდნენ, მაგრამ ფიქრით სულ სხვაგან იყვნენ, გულში ცეცხლი უტრიალებდათ და ლუკმაც სალი კლდის ნატეხივით გადადიოდათ ყელში.

სულ ახალგაზრდა რძალმა, რომელსაც ეტყობოდა, ფეხმძიმედ იყო, სუფრა აალაგა. აგუნდა ამჩნევდა, რომ ქალი შიშით ცახცახებდა, მამაკაცების ლაპარაკზე ფერფური მისდიოდა.

ვახშმის შემდეგ ძანგმა იკითხა:

— მაპატიეთ კაცნიერება, სტუმარს არ შეშვენის ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ვხედავ, რაღაც დიდი დარდი ჩაგვარდნიათ გულში, ხვალ ისე რომ წავიდე, ვერ გავიგო თქვენი ამბავი, არ ვიცი, რა დამემართება.

— შენ შენი დარდიც გეყოფა, ჩვენი აღარ გეჭირვება, მაგრამ თუ მაინც გინდა გაიგო, გეტყვი. აულში ორი გვარი ვცხოვრობთ: გამოღმით ჩვენ — ტეხთი და გაღმით — ცალოითი. ჩვენ სამნი ძმანი ვართ, ისინი თხუთმეტი ოჯახია. წინათ სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, მეგობრულად ვცხოვრობდით. ხანდახან გამოგვერეოდა უთანხმოება, მაგრამ ასეთები რომელ აულში არ არის. მაგრამ ოჯახში ერთი მახინჯი ყოველთვის გამოერევათ, სწორი უთქვამს ხალხს, ცალოითების გვარში საკი დედამ კი არა შავმა გველმა შობა. უხიაგია, ავყია, ბოროტი, შხა-

მიანი. ერთხელ სუფრაზე მამაჩემისთვის შეურაცხყოფა მიუყენებია, მამაჩემს უსაყვედურია, ამაზე უფრო გაცხარებულა ის ძაღლის ნაშობი. ყველაფერს აქვს საზღვარი. ერთხელაც ვეღარ მოითმინა მამამ და სავი ლეკვივით გალახა. ღონიერი იყო მამა, სავი მიხვდა, პირისპირ ვერაფერს დააკლებდა მას, თანაც არც მოგვარეები უთანაგრძნობდნენ და დაშოშმინდა, მაგრამ ის წყენა არ დავიწყებია.

ერთხელ მამა ნადირობიდან აღარ დაბრუნებულა. დაიკარგა. რა დაემართა, დღესაც არ ვიცით, თუმცა ვეჭვობთ, სავიმ მოკლა ღალატით.

მამის სიკვდილის შემდეგ ჩვენი სათიბი დაისაკუთრა, ობოლ ბავშვებს რას შეგვეპუებოდა. დედა მძიმე მუშაობით დაავადმყოფდა და ისიც გამოგვეცალა ხელიდან. ჩვენ კი მაინც არ დავიხოცეთ, ვაი-ვაგლახით დავიზარდეთ და მამულის დაბრუნება მოვითხოვეთ. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ იმ ღვთისპირისმკაწრავ სავის შვიდი ლეკვი გამოეზარდა, მამაზე უარესები, ავყიები, ღვთის ფეხისმჭამელები, ქურდები, ავაზაკები, არაფერს ერიდებიან. მაგათი შიშით საქონელი საძოვარზე ვერ გაუშვია ხალხს. მაშინვე გააქრობენ. თვეობით არიან შინიდან დაკარგულები. მამა ავკაცობაში ხელს უწყობს, რა უჭირთ რა, ზამთარ-ზაფხულ გამოულეველი აქვთ ნაქურდალი სასმელ-საჭმელი.

ნაქურდალ საქონელს გაწყვეტენ და აგერ აულის თავში, მყინვარის ნაპრალში ჩაყრიან. იქ გაიყინება და როცა საშიშროება გაივლის, ღამღამობით თითო-თითოდ ჩამოზიდავენ სახლში. მაგათი დასაწვავი სახლი სულ ლეშის სუნად ყარს.

ჰო, სიტყვა გამიგრძელდა, იმას გეუბნებოდი, შარშან კაცი მივუგზავნეთ, რომ ჩვენი სათიბი დაგვიბრუნონ, პასუხიც კი არ იკადრეს, მაგრამ ჩვენც კაცები ვართ, სათიბი გავთიბეთ და თივა ჩამოვზიდეთ. იყო ერთი გაწევ-გამოწევა, მაგრამ ჩვენც არაფერი დავუთმეთ. ახლა ისევ თავიანთი გაუჭენეს. გაუთიბიათ ჩვენი...

— კმარა, დადო, სირცხვილს ვეღარ შევჭამთ, — თვალებიდან ცეცხლები დააკვესა უმცროსმა ძმამ.

— ნუ ფიცხობ, ბალღო, ყველაფერი მოგვარდება, — დაამშვიდა დადომ ძმა.

— ეჰ, რას იზამთ, მარტო თქვენ არა ხართ ამ დღეში, ყველგან ასეა, ძალმომრეობისა და უსამართლობის დრო დადგა, საით გაიქცეს კაცი, აღარ იცის, — დაეთანხმა დადოს ძანგი.

— ძნელია მგლებთან მგლური ცხოვრება, მაგრამ მეტი რა გზაა. ცხოვრება თავისას მოითხოვს. ბრძოლაა საჭირო. ლაპარაკით შეგაწყინეთ, შუაღამე გადავიდა, მოისვენეთ, ხვალ დიდი გზა გაქვთ გასავლელი.

ბნელ ოთახში ტკბილად სძინავს აგუნდას. ძანგს მის ფერხთით მიუდვია თავი, მაგრამ რული არ ეკარება. წინა ოთახიდან ძმების ჩურჩული ისმის. ჩურჩული ხანდახან ხმამაღალ ლაპარაკში გადადის, მერე ისევ დაუწევენ ტონს. ძანგი გრძნობს, რომ ძმები ხვალინდელ დღეზე ბჭობენ, საკითხი მეტად რთულია, სიკვდილ-სიცოცხლის სასწორი სა-

ით გადაიწონება, იმაზეა ახლა მათი ბედი დამოკიდებული. ეს კი ხვალ დილით გადაწყდება. გრძნობს ძანგი, ავი საქმე დატრიალდება. წვეთ-წვეთობით დაგუბებულ ნაღველს ვეღარ იტევს გული, სულ მცირე მიზეზია საკმარი, რომ თოვლის ზვავივით იხუვლოს და მოთმინების ჯებირი მიამსხვრ-მოამსხვრიოს. გაიელვებს მახვილი, იწივლებს ტყვია, ხანჯლის წვერი იტყვის საბოლოო სიტყვას. ღმერთო, შენ დაიფარე! თუ ხიფათი დატრიალდა, შვიდის წინააღმდეგ სამნი რას გახდებიან? არა, შორიდან ყურება არ ივარგებს, გვერდში ამოუდგება მათ ძანგი. ასეთ გაჭირვებაში რომ მიატოვოს, მთელი სიცოცხლე დატანჯავს სინდისის ქენჯნა. ამ გადაწყვეტილებით ჩაეძინა.

ღამიანად ადგა ძანგი, თავის გადაწყვეტილება მასპინძლებს გაუზიარა, დადომ შორს დაიჭირა მისი წინადადება.

— სიკეთე და სიხარული ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ძვირფასო სტუმრებო, მაგრამ შენს წინადადებას ვერ მივიღებთ. გუშინაც გითხარით, ქვეყანაზე თავი მოგვეჭრება. ტეხთებმა ერთი ღამე გაათევინეს სტუმრებს და... არა, არა, ეგ შეუძლებელია, რა საკადრისია ჩვენი ჭირი სხვას გადავკიდოთ. შენი ვაჟკაცობა საამაყოა, მაგრამ აქ ვერ გამოვიყენებთ, ჩვენ თვითონ... მერე კიდევ, დღეს გინდაც არაფერი მოხდეს, ხვალ მოხდება, ან ზეგ. თქვენ კი მშიერი ჯალაბი გელოდებათ. საფიქრებელი უჩვენოდაც არ გაკლიათ.

რიჟრაჟზე ძანგი და აგუნდა დაემშვიდობნენ კეთილ ხალხს და გზას გაუდგნენ.

4.

თედოთიყაველი[1] სახელგანთქმული მონადირე ბესოლთი ცოფანი ხეობის ვიწროში, მოხერხებულ ადგილზე მოეწყო, თოფი შემართა და ნადირის გამოჩენას დაელოდა. აქ წყაროზე დილით ადრე იციან ჩამოსვლა ირმებმა.

მზემ ისევ დააცხუნა, თითქოს ტყეს ცეცხლი წაეკიდაო, ხეობას სიცხის ბუღი ჩამოაწვა. უთვალავი ბუზი და კოღო ტრიალებს ცხელ, რძისფერ ბუღში და მათს ზუზუნს ყურთასმენა მიაქვს. იქვე ახლოს ქვის ქვეშ, თუ მიწის ნაპრალში შემალული ჭრიჭინობელა ჭრიჭინით აყრუებს არემარეს. ფრინველები, ცხოველები და ქვეწარმავალნი ჩრდილში შემალულან და მზის გადაწვერას ელიან. შეწუხდა ცოფანი. ბუზანკალებმა და კოღოებმა შეუტიეს, მშიერი მგლებივით ეტანებიან სახეზე. მოიქნევს ხელს, გაფანტავს, ისევ შეესევიან.

კისერი აეწვა, ნაკბენი ემწარა და მარჯვენა ხელი ისე მარჯვედ მოიქნია, სისხლით გაბერილი კოღო დანაშაულის ადგილზე შემოაკვდა. სწორედ ამ დროს, ხეობის გაღმა, მდინარის გასწვრივ საცალფეხო ბილიკზე ბუჩქი შეინძრა. მონადირეს კისრის ტკივილი გადაავიწყდა. და-

[1] ოსური აულები ძირითადად გვაროვნული დასახელებები იყო, ამიტომ აული ხშირად გვაროვნულ სახელწოდებას ატარებდა.

ძაბული უყურებს იმ ადგილს, სადაც წუთის წინ ფოთლები შეირხა. „ნადირი თუ ჩამოდის წყალზე“, — გაიფიქრა და ჩახმახი ფეხზე შეაყენა. უნდა მოიცადოს, სანამ ნადირი მდელოს გამოცდება და წყალს დაეწაფება. უყურებს, უყურებს, მაგრამ ფოთლები აღარ ირხევა, არც მსხვერპლი ჩანს. მალე მდელოზე ვიღაც შავწვერულვაშიანი კაცი გამოჩნდა. მან მიდამო დაზვერა, მერე ვიღაცას ხელი დაუქნია. მეორეც დაინახა, უფრო ახალგაზრდა. წყაროსთან მივიდნენ. ხელ-პირი დაიბანეს, დასხდნენ და ისამხრეს, ცოტა შეისვენეს და ისევ იმავე ბილიკს დაადგნენ.

„ვიხ უნდა იყვნენ, ამ უდაბურ ხეობაში რა საქმე აქვთ? ვითომ მონადირეები იქნებიან? მერე ერთი თოფის მეტი რატომ არა აქვთ? თუ ეძებენ რამეს, ასეთი სიფრთხილე რაღა არის?“ თვალი გააყოლა საით წავლენო, მაგრამ ვეღარ დაინახა, ნადირიც აღარ გამოჩნდა. ცოფანმა ადგილი მოინაცვლა.

ძზე გადაიხარა. კოღოები და ბზიკები უფრო გათავხედდნენ. შეუტიეს და შეუტიეს ცოფანს. ის იყო ნაბიჯი გადადგა, უფრო მოფარებულში დააპირა გადასვლა, რომ ქალის კივილმა შეაკრთო, თითქოს გაქვავდაო, ადგილიდან ვეღარ დაიძრა. „გასაგებია, წეღანდელი უცნაური მგზავრები ყაჩაღები ყოფილან. ალბათ, ქალი მოიტაცეს“. — გაიფიქრა და საიდანაც ხმა მოესმა, იქით გაიქცა. კარგა ხანს ირბინა. პატარა ველზე რომ გავიდა, მოპირდაპირე მხარეს ხის ქვეშ წაქცეული ქალი დაინახა. სისხლში ცურავდა, მის გვერდით ახალშობილი ბალახებში ფართხალებდა.

შეკრთა მონადირე. ქალი არ ინძრეოდა, ბავშვი კი ჩხაოდა, გულმა რეჩხი უყო, მიუახლოვდა. ქანდაკებასავით ესვენა მშობიარე ქალი, გაფითრებულ სახეზე ეტყობოდა, რომ წვეთი სისხლი აღარ ედგა. თვალები ჩასცვენოდა. თმა მკერდზე ჩამოშლოდა. მიხვდა მონადირე, რომ ამ უბედურის თავს კარგი ამბავი არ იყო. მშობიაობის დროს ძარღვები დააწყდა ალბათ და აგერ ახლა სისხლისაგან დაცლილი თვალდათვალ ქრება.

დაიბნა კაცი, რა უშველოს უცხო ქალს, რომელიც მის თვალწინ ღაფავს სულს.

— ჰე, ჰე, ჰეი! ვინა ხართ ქრისტიანი, მოგვხედეთ!

მონადირის ხმა ხევებმა გაიმეორეს. ჯერ ექო ისევ ისმოდა, რომ ტყიდან ვიღაც გამოვარდა.

— რა გაგიჭირდათ, ნუ გეშინიათ, აქა ვართ!

მონადირეს გაეხარდა ადამიანის ხმის გაგონება, იცნო წეღანდელი მგზავრები. სანამ ხმას ამოიღებდა, შავწვერულვაშიანმა ამხანაგს ბავშვზე ანიშნა:

— მიხედე, ბუზები შეჭამენ, — თვითონ წყაროსკენ გაიქცა და თვალის დახამხამებაში ქუდით მოარბენინა. აპკურეს გულწასულს. მომაკვდავი თითქოს ოდნავ შეინძრა, მაგრამ თვალის გახელა ვერ შეძლო.

— ვაიმე, ძანგ, ჩვენი მასპინძლის რძალია! — იყვირა აგუნდამ,

ბავშვი ძანგს შეაჩეჩა, თვითონ ჩოხა გაიძრო და ქალს წააფარა. მერე გვერდით მიუჯდა და გულზე მიისვენა.

ქალმა უღონოდ შეარხია ტუჩები. აკანკალებული ხელით მოძებნა შვილი, რომ ვერ იპოვა, შეშფოთდა, თვალები გააჭყიტა, უცხო ადამიანების დანახვაზე ტუჩები აუცახცახდა, ძლივგასაგონად ამოიგმინა:

— შვილი!.. შვილი!.. ნუ მომიკლავთ...

— ნუ გეშინია, ჩემო დაო, აქ არის შენი ბავშვი. — ძანგმა დაანახვა დედას შვილი. — წუხანდელი თქვენი სტუმრები ვართ. ნუ გეშინია.

ქალმა ძანგს შეხედა, მერე აგუნდაზე შეაჩერა თვალი.

— ჰო, თქვენა ყოფილხართ, გიშველათ ღმერთმა...

— კი მაგრამ, რა მოხდა? აქ რამ მოგიყვანა?

მომაკვდავმა თვალები დახუჭა. გვიან-გვიან შეძლო ხმის ამოღება:

— ღმერთო, საფლავშიც ნუ მოასვენებ სავის ყაჩაღ შვილებს! თქვენი წამოსვლის შემდეგ, ჩემი კაცი და მაზლები თივის ჩამოსატანად წავიდნენ. ის ყაჩაღები ჩაუსაფრდნენ. ატყდა აყალმაყალი, ჩვენებმა ოთხი მოკლეს, მაგრამ ისინი მეტნი იყვნენ, სამივე აკუწეს... მერე ჩვენ დაგვერივნენ. ცოცხალი აღარავინ გაუშვეს... მარტო მე შევძელი თავის დაღწევა. აქამდე ვირბინე, და აი ხომ ხედავთ.. ჩემი შვილი თქვენ გებარებოდეთ... — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გაფითრებულ ტუჩებზე შეეყინა სიტყვა.

აგუნდა აქვითინდა. ცოფანმა ქუდი მოიხადა. მიცვალებულს თვალები დაუხუჭა.

მხოლოდ ძანგი არ განძრეულა. თითქოს ამ უბედური ქალის წინაშე დანაშაული იგრძნო. იცოდა, იქ დიდი ხიფათი დატრიალდებოდა. რატომ არ დარჩა, რატომ არ ამოუდგა გაჭირვებულ ძმებს გვერდში? ახლა მიხვდა, რომ ძმებმა ყველაფერი წინდაწინ იცოდნენ. დიდი ხანია ამ დღისთვის ემზადებოდნენ. იცოდნენ და იმიტომ არ მიიღეს უცხო სტუმრის დახმარება.

— მაპატიეთ, არ გიცნობთ, ვინა ხართ, სადაურები, მაგრამ უნდა მომეხმაროთ. საბრალო ქალმა ჩვენს თვალწინ დალია სული. წესიც ჩვენ ავუგოთ, აულში წავასვენოთ. იქ ჩვენს სასაფლაოზე დავასაფლავებთ. ბარემ მერიდება, გზას ადგახართ, მაგრამ მეტი გამოსავალი არ არის.

ცოფანმა და ძანგმა საკაცე შეკრეს. მიცვალებული ზედ დაასვენეს და აულში წაიღეს.

თედოთიყაუში გაიკვეს უპატრონო მიცვალებულის ამბავი. მოტირალმა ქალებმა გულწრფელი ცრემლებით დაიტირეს უსამართლობის კიდევ ერთი მსხვერპლი. მერე იგი თავიანთ სასაფლაოზე განმარტოებით დაასაფლავეს.

დილით ადრე ცოფანმა აულის ბოლომდე გააცილა სტუმრები.

— ამ ხეობას მიჰყეთ. სულ ბოლომდე რომ მიხვალთ, მარცხნივ შეუხვიეთ. ბილიკს დაადექით. აგერ შორს, მაღალი მთა რომ მოჩანს,

თიზმაგხოხს[1] ეძახიან, თუ მარჯვედ ივლით, საღამომდე მიატანთ. გზაში შემოგაღამდებათ და ღამეს ცარგას ბადანში გაათევთ. მერე იქაურები დაგაყენებენ გზაზე.

ძანგი და აგუნდა დაემშვიდობნენ ცოფანს და გზას გაუდგნენ.

მესამე თავი

ღმუოდა ჟარიშხალი, კვნესოდნენ ფთეები

1.

იმ წელს უცბად მოთავდა შემოდგომის თბილი ამინდები. ხალხმა ზამთრისთვის მომზადება ვერ მოასწრო. ხეობებში და მთებზე ტყვიისფერი ღრუბლები ჩამოწვა და ცა ცივი ცრემლებით მოჰყვა ტირილს. ორი დღე განუწყვეტლივ იწურა ცრემლი. მერე ბურხოხის წვერიდან მოიწმინდა, წვიმის წვეთები თოვლის ფიფქებად იქცა და თეთრ ფთილებად დაიწყო თოვა.

იმ დილით ღამიანად ადგა საგო და გარეთ გამოვიდა. კოჭამდე დაედო თოვლი.

„ასე თუ ითოვა, გაზაფხულამდე ვეღარ ჩამოვიტან იმ სატიალო თივას“, — გაიფიქრა დაჯავრიანებულმა და ისევ შინ შებრუნდა. კერიაზე ცეცხლს აღვივებდა ახსარაგონი.

— დედაკაცო, იმ ოხერა თივის ჩამოსატანად წავსულიყავით-მეთქი; თორემ ძალიან ხვავრიელად თოვს და ვაითუ მერე სულ ჩაიკეტოს გზა.

ახსარაგონმა ცეცხლი გააჩაღა და სადილის თადარიგს შეუდგა. საგომ ტყავისძველა წამოისხა და პირუტყვს ერთი იღლია თივა შემოუტანა.

ისადილეს თუ არა, საგო და ახსარაგონი მთაში წასასვლელად მოემზადნენ.

— ბაბა, მეც წამოვალ, ცოტას მაინც მოგეხმარებით, — მოესმა საგოს ქალიმათის ხმა.

— არა, შვილო, საკაცო საქმეზე შენი წანწალი აღარ შეიძლება, — მიეფერა შვილს საგო. — აქაურობას მიხედე, მერე სამხარი მოგვიმზადე.

— ნანა, შენ დარჩი შინ, მე გავყვები ბაბას.

— მამას დაუჯერე, გოგო; გასათხოვარი ქალი ხარ და ქვეყანა დაგეცინებს, საკაცო საქმეზე დაჰყავთო. ქალაბიჭას დაგიძახებენ.

— რა არის დასაცინი? ვითომ ვაჟკაცებზე ნაკლები რითი ვარ? რითი მჯობიან, საქმეში ჩამოვუვარდები თუ ჯირითში?

---

[1] თიზმაგხოხი — მკაცრი მთა.

— არც ჯირითია ქალის საქმე. ჭკუაზე მოდი, თავს ნუ გაგვიდა და საერთოდ არა გნახო ბიჭებში გარეული, ხალხის ენა ქვასა ხვრეტს, ვინ იცის, რას იტყვიან, რას მოგიგონებენ.

— ვინც რა უნდა ისა თქვას, მე ვიცი, რაც არის ჩემი ქალიმათი და ეგა კმარა, — სიტყვა გააწყვეტინა ცოლს საგომ.

— ყველაფერი შენი ბრალია. გაანებივრე გოგო და თავს იმიტომ გაუვიდა, — უსაყვედურა ახსარაგონმა საგოს.

— მერე რა, მართლაც რითია ჩემი გოგო სხვების ბიჭებზე ნაკლები. ბაბა ენაცვალოს, ეს რომ ცხენს გამოაქროლებს, ლამის მტერს თვალი დაუდგეს. არა, შვილო? — საგომ ხელი მოხვია ქალიმათს.

— კი, ბაბა, არც სხვების ბიჭებს გავუშვებ წინ და არც სირცხვილს გაჭმევ.

— გესმის, დედაკაცო. შენ კი ხალხის ენაო... ხალხი კი არა, ზოგიერთებს შურთ, რომ კაი გოგო გვყავს და თავს ქვას ახლიან. აბა, შვილო, ჩვენ მივდივართ და შენ იცი, ძროხა გარეთ არ გაუშვა, საქონელმა არ ურქინოს, წყალი არ დაგავიწყდეს, კასრით დაუდგი. მალე მოგვიგებს, მერე ხბოს გავყიდი და ისეთ კაბას გიყიდი, ქვეყანას თვალი შენზე რჩებოდეს.

ქალიმათს თვალები გაუბრწყინდა.

— მართლა, ბაბა?

— ჰო, გენაცვალე, შენს მეტი ვინა გვყავს. ყველაფერი შენთვის არ გვინდა? დედას ნუ ებუტები, კარგი უნდა შენთვის და იმიტომ გარიგებს.

— როდის ვებუტები, ბაბა განა მაგდენი არ მესმის?

— დედისერთა ხარ, შვილო და მინდა ყველაზე კარგი იყო, — ცრემლი მოერია ახსარაგონს. — ლაპარაკს შევყეთ და იმაზე კი არა ვფიქრობ; რომ გვიანდება.

აფუსფუსებულმა ახსარაგონმა თავშლის ყურები გულზე გადაიჯვარედინა და უკან გაიკრა. კედლიდან თხის ბალნის საკუთარი ხელით დაგრეხილი საბელი ჩამოიღო და ქმარს მიჰყვა.

ქალიმათმა ჭიშკრამდე მიაცილა მშობლები. კარგა ხანს გაჰყურებდა გადასუდრულ გზაზე მიმავალთ და როცა თვალს მიეფარნენ, მერღა შევიდა შინ.

დედის სიტყვები ისევ ყურში უდგა: „გასათხოვარი ხარო". „გასათხოვარი!" — ზარივით დაირეკა ის ერთი სიტყვა. შეკრთა. ათრთოლდა. რაღაც გამოუცნობი, მაგრამ მეტად სასიამოვნო გრძნობა დაეუფლა მთელ მის არსებას, გრძნობა, რომელმაც შეძრა და ააფორიაქა ქალწულის გული. აუ, გასულა ბავშვობის ხანა. დადგა ქალიშვილისთვის უცხო, ჯერ შეუცნობი, მაგრამ სატკბილოსავით მიმზიდველი, ოცნებისთვის ლამაზი დრო, როცა სიცოცხლითა და იმედით გულსავსე ქალწულს ღამით ძილი სადღაც, ცხრა მთის იქით გაურბის. დაჰყურებს კერას ქალიმათი და ლადარში მიმალული ნაკვერცხალივით ღვივის მის გულში ჩაბუდებული ტკბილი ოცნება...

ხელმოკლე ოჯახისთვის ურავათის გადახდა გაუჭირდა და ეს იყო მიზეზი, რომ გვიან დაიდგა გვირგვინი საგომ. ღმერთს ეხვეწებოდა — ბიჭი მაჩუქეო, მაგრამ გაურისხდა ღმერთი და ბიჭის მაგიერ გოგო მისცა. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ იმ ყოვლისშემძლე უფალმა აღარც გოგო გაიმეტა და აღარც ბიჭი. საგოს კი მხარის მიმცემი, მძიმე საქმეში ხელისშემშველებელი უნდოდა. მაგრამ ხვთის წინაშე ვის რა ძალა აქვს. გული გაიმაგრა: „გოგოა, მაგრამ ისე გავზრდი, რომ ვაჟკაცები დაჯაბნოს“. მართლაც, წამოიზარდა თუ არა ქალიმათი, საგომ ბიჭივით ამოიყენა გვერდში. მისთვის საგანგებოდ გააკეთა ნაჯახი, ცელი. ასწავლიდა იარაღის ხმარებას, ცხენზე ჯდომას.

ბუნებით გამბედავი და ჭარჯვე ქალიმათი ძმასავით ამოუდგა მამას მხარში და ყველა საქმეში ეხმარებოდა. ახლა როგორი ხელსაქმე იცოდა!

„ღმერთმა ქალის სახით გამბედავი ვაჟკაცი მისცა საგოს, ნეტავი იმას, ვის ოჯახშიც ეგ დატრიალდება“, — ისმოდა ხშირად აულში.

მთელი აულის თვალია ქალიმათი. განსაკუთრებით მოხუცებსა და თავის ტოლ ბიჭებს უყვართ, სხვა ქალიშვილებს ქალიმათი გამჭრიახი ენებითა და კეთილი გულით ჩრდილავს.

და აი ახლა, თითქოს უკან დარჩა წარსული. ბავშვობის დღეები დაფრთიანებული მერცხლის ბარტყებივით გაუფრინდა ხელიდან. ეს თან უხარია ქალიმათს და თან თითქოს სწყინს კიდეც.

თხუთმეტი წელი... რა არის თხუთმეტი წელი? სად თავდება ადამიანის ბავშვობა და სად იწყება მოწიფულობა? არა, ქალიმათისთვის ჯერ არ დამთავრებულა ბავშვობა. თუ თვითონ ქალიშვილს არ უნდა დაიჯეროს, რომ დადგა დრო უფრო სანატრელი და უფრო მნიშვნელოვანი!

მაგრამ ზარივით რატომ რეკს დედის სიტყვები: „გასათხოვარი ქალი ხარ უკვე“ — ბავშვობასა და ქალიშვილობას შორის ასე გაბედულად რომ შეიჭრა და დააშორა ერთმანეთს. წინ რა იქნება? ფიქრობს ქალიმათი, მაგრამ მის გონებას არ შეუძლია ბურუსით მოცული მომავლის განჭვრეტა, ხვალინდელი დღე ხან ზარავს, ხან თვით ისწრაფის მისკენ.

„მართალია ნანა, ბიჭებთან ღლაბუცი აღარ შემფერის. ახლა კი მივხვდი, ცხენზე ჯდომას რატომ მიშლიან. მაგრამ ვინც რა უნდა თქვას, ჩემს არფანს არ დავთმობ“.

ამ ფიქრებში იყო ქალიმათი, რომ მამის დანაბარები გაახსენდა. მაშინვე ძროხასთან გაჩნდა. შორს არ ჭირდებოდა წასვლა, მიწური შუაზე ლასტით იყო გაყოფილი, ნახევარში თვითონ ცხოვრობდნენ, მეორე ნახევარში ძროხა გარამი და ქალიმათის არფანი ნებივრობდნენ.

— არფან, ჩემო არფან, გაიგონე, ნანამ რა მითხრა? ცხენმა ყურები დაცქვიტა, თითქოს ესმოდა პატრონის ლაპარაკი. შენი ტოლი ქალიშვილისათვის ცხენზე ჯდომა აუგიაო. ნეტავ არც დამდგარიყო ეს დღე. არფან, ჩემო მეგობარო, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, სადა-

ვეს რომ მოვწევ და ადგილს მოწყდები, ასე მგონია, ფრთები გამოშესხა და თვითონ მივფრინავ-მეთქი. ნეტავ გაისად რაღიძუარის დღეობაზე ერთხელ კიდევ გვეცადა ღონე. არ დაგთმობ, არფან, არ დაგთმობ. არავის ხელში არ ჩაგაგდებ, შენ ჩემი მეგობარი ხარ და ასე დარჩები. ხომ ასეა, არფან. — ცხენმა ჭკვიანი თვალები დაბლა დახარა, თითქოს ნათქვამს უდასტურებსო. ქალიმათმა მას მკვრივი ჩიჩვირი დაუკოცნა. თავზე აღვირი წამოაცვა და წყალზე ჩაუძღვა. არც ძროხა დაივიწყა. კასრით ამოიტანა წყალი და წინ დაუდგა. მერე საბძლიდან ერთი იღლია თივა გამოიტანა და ბაგაში ჩაუყარა. — ჭამე, გარამ, ჭამე, რომ კარგი ხბო მოიგო. თუ არა, ბაბა რომ კაბას შემპირდა, სხვა დამასწრებს და დავრჩები ისე, გესმის? არ გესმის? აბა თავს რაზე აქნევ? ასეა ხომ?

მერე ქალიმათმა მიწური დააკრიალა. ორმოდან ერთი პინა კარტოფილი ამოიღო, გარეცხა, ცხელ ღადარში შეყარა და ისევ ფიქრს შისცა თავი.

ეზოდან ხმაური მოისმა. მერე ვიღაცამ შეჰკივლა. იმას სხვებმა შისცეს ბანი და ატყდა მოთქმა და გოდება.

ლამაზი სიზმრებიდან უცბად გამოფხიზლდა ქალიშვილი. თავში იტაცა ხელი. ვაიმეო, — იკივლა. კარი გაიღო და ელდა ეცა. საკაცეზე დედ-მამა დაინახა. თვალთ დაუბნელდა და აღარ გაუგონია არც მეზობლების წივილ-კივილი და არც ბიძაშვილების მოთქმა-გოდება. იდგა გაოგნებული და მხოლოდ საკაცეს ხედავდა. მერე ერთი საშინლად დაიგმინა და გულშეღონებული მოცელილივით ჩაიკეცა.

2.

სიკვდილმა დაიმკვიდრა საგოს ოჯახში. გამოჩორკნილი ფიცრებით შეკრულ კუბოში ახსარაგონი წევს. ტახტზე კი მკვდარივით გაფითრებული საგო ჯერაც ვერ მოსულა გონს. დამეხილი ქალიმათი უზის კუბოს გვერდით. ჩამოხოკილ ფიქალ ღაწვებზე ადგილ-ადგილ სისხლი შეშრობია. უყურებს დედის უსიცოცხლო სახეს და გულში უსაზღვრო სიცარიელეს გრძნობს. ხანდახან შეხედავს მოზარეებს, მაგრამ არც არაფერი ესმის და არც თვითონ ტირის. ეზოში ხალხი ირევა. ქალიმათმა დაინახა, გარამი რომ გაიყვანეს და თოვლზე წამოაქციეს. შადრევანივით ითქრიალა სისხლმა. სრულიად გულგრილად ამოიღეს და გადააგდეს ის ხბო, რომლის ფასადაც მამა აბრეშუმის კაბის ყიდვას შეჰპირდა ქალიმათს, მერე დედა სასაფლაოზე წაიღეს. სასაფლაოდან დაბრუნებული ხალხი ჭამად დასხდა. შენდობა უთხრეს მიცვალებულებს. დღეგრძელობა უსურვეს დარჩენილებს და საღამოთი ყველა თავ-თავის გზით წავიდ-წამოვიდა. სახლში ქალიმათი, საგო და რამდენიმე ხანში შესული კაციღა დარჩნენ.

ახსარგონის დასაფლავების მეორე დღეს საგომ დაილაპარაკა. თივის ჯაურა დასცურებოდათ. რომელმაც საგო ქვეშ მოიქცია, ახსარაგონი კი ბეგზე გადაიყოლა. ეს იყო და ეს. საგო უყურებდა ქალიმათს

და თხილის სიმსხო ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა გადატეტკვილ-ლოყებზე. ვინ იცის, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა მოყვარული მამის გულში, რომელიც ყოველ განძრევაზე ნახევარ სიცოცხლეს კარგავდა.

საგოს მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ახსარაგონის შვიდი რომ გადაიხადეს, იმ ღამეს პირიდან სისხლი წასკდა და დილამდე სული აღარ გაჰყვა.

ისევ მოგროვდა აული. ისევ თავიდან დაიწყო მოთქმა-გოდება. ქვეყანა ცოდვით აივსო. გარეთ კი თოვდა და თოვდა. ორი დღე გადაუღებლად ითოვა და სამი არშინი თოვლი დადო. აული თოვლმა მოიქცია ქვეშ და მეზობელი მეზობელთან აღარ მიუშვა. თოვლს ვინა ჩიოდა, ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ კარის გაღებასაც ვეღარავინ ბედავდა. მიცვალებული დაუმარხავი დარჩა. გამოდარებას დაელოდნენ, რომ საბრალო საგო თავისი წილი მიწისათვის მიებარებინათ.

ქალიმათი მამის კუბოს გადაფოფრებია, თითქოს არ უნდა, ეს ერთადერთი ძვირფასი ადამიანიც ხელიდან გაუშვასო. მხოლოდ მაშინ ჩამოსწევს თავს, როცა ერდოდან ქარი ღრიალით ჩამოვარდება და მიწურს შემოურბენს. ქალიმათი, თითქოს მგელი ეცაო, შიშით წამოიკივლებს, მერე ვერხვის ფოთოლივით აკანკალდება და გაოგნებული ისევ მამის გაცივებულ ცხედარს დაემხობა.

ქარიშხალი ჩადგა. ხალხმა სასაფლაომდე გაკვალა გზა. როგორც იქნა, მიაბარეს მიწას საგო. კიდევ გაიშალა ქელეხის სუფრა, კიდევ მოიხსენიეს მიცვალებულები, კიდევ ადღეგრძელეს ცოცხლები და დაიშალა ხალხი.

ქალიმათს არ გაუგია მამის გასვენება. ხურვება დაემართა და უგონოდ იყო. საგოს ძმამ, ვანომ შინ გადაიყვანა დაობლებული ძმისწული და ცოლს შეეხვეწა:

— ქომიანა, თუ ღმერთი გწამს, მიმიხედე ამ ცოდვის შვილსა.

ქომიანა გვერდით უზის ქალიმათს და შუბლზე ცივ ტილოს უცვლის მალიმალ. სიცხე კი სულ მაღლა-მაღლა იწევს. თითქოს ცეცხლი უკიდიაო, იწვის ქალიმათი.

— ნენა, ნენა, სად მიხვალ? მეც წამიყვანე. მეშინია, მარტო არ დამტოვო. მომეცით, ჩემია ხბო! ბაბამ კაბა უნდა მიყიდოს... კაბა... კაბა... ნანაა!.. მიშველე, ჩემი კაბა შეჭამეს!.. — ბოდავს ქალიმათი. ქომიანას ცრემლებით კალთა ევსება.

მეოთხე დღეს სიცხემ დაუწია ქალიმათს და მკვდარივით ჩაეძინა. დილით მზის პირველი სხივი ქალიმათის ბალიშზე დაეცა. გაახილა თვალი, ისევ დახუჭა. „სადა ვარ?“ — იკითხა. მაგრამ არავინ უპასუხა. ისევ გაახილა თვალი და ოთახში მიმოატარა მზერა. „თუ ჩვენი სახლია, მზე საიდან შემოდის. ჩვენს სარკმელში მზეს არასოდეს შემოუხედია. არა, უცხო სახლში ვარ. მოიცა. მოიცა, თითქოს მეცნობა აქაურობა. მაგრამ რომ ვერ ვიგონებ, ვისია ეს სახლი? ფეხზე რაღა დამემართა? ან თავი რატომ მიბჟუის, თითქოს ფუტკრებს ჩემს ყურებში დაუბუდიათო“.

ძლივს წამოსწია თავი. ფეხთით ვიღაც უწევს. ვინ არის ნეტავ?

ქალიმათმა ფეხის განთავისუფლება სცადა. ის ვიღაც შეინძრა და გვერდი იცვალა. იცნო ქალიმათმა ძალუა. „რა ვქნა, ეს ქომიანაა, მაგრამ სად არის ნანა, არც ბაბა ჩანს, რატომ დამტოვეს მარტო?"

ქალიმათს უცბად ყველაფერი გაახსენდა. თვალწინ წარმოუდგა საკაცე. შიხვდა, რატომ იყო ბიძის სახლში. გული ამოუჯდა და აქვითინდა, დიდი ხნის დაგუბებულ ცრემლებს გზა მისცა.

ქომიანა წამოხტა.

— როგორა ხარ, გენაცვალე, — შუბლი ხელისგულით მოუსინჯა და თვალებში სიხარულის ნაპერწკალმა იელვა. — დიდება შენ, ღვთისმშობელო დედავ, წმინდაო მარიამ, გადაგვირჩინე ეს საცოდავი გოგო. რამდენი დღეა, პირში ლუკმა არ ჩაგსვლია, არა გშია, თავს შემოგევლე? — ამ სიტყვებით მან კიდობნიდან პური ამოიღო, ჯამზე ცხელი რძე დაასხა და ქალიმათს მიუტანა, — ჭამე, შვილო, ჭამე, თორემ დასუსტდები.

ყლუპ-ყლუპით სვამდა ქალიმათი რძეს. თვალებიდან კი ისევ შეუჩერებლად ჩამოსდიოდა ცრემლები, რომლებიც რძის ჯამში გამდნარი ტყვიის წვეთებივით ცვიოდა.

ქალიმათმა მთელი ზამთარი ვეღარ აილაგა ლოგინი. მხოლოდ გაზაფხულზე შეძლო ადგომა. გარეთ გამოვიდა და სახლის გვერდზე მყუდროში მიჯდა. თვალს აღარ აშორებს თავის სახლს. თუმცა რაღა სახლია, ეტყობა იმ დიდთოვლობას ვერ გაუძლო დამპალმა თავხეებმა და სახურავი ჩაწვა. ახლა მათი სახლი მკვდარი ცხენის ზურგივით მოჩანს შორიდან. ეზოში სულიერი არ ჭაჭანებს. გული აუჩუყდა ქალიმათს. ჯოხის ბჯენით გაუყვა გზას. სახლის კარი ჯვარედინი ფიცრით აუჭედიათ. ეზო მირეულ-მორეულია. კედელზე მიაყუდა ჯოხი. აიღო ცოცხი და დერეფანი გამოგავა. მერე ფიცრები ააძრო კარს და შინ შევიდა. უცნაური სიცივე ეცა. მიწის იატაკი თხუნელებს დაეთხარათ. კერიის გამჭვარტლული ერდოდან საკიდ ჩანგლამდე აბლაბუდაში იყო გახლართული. ერდოდან ნადენ თოვლის წყალს ნაცარი დაესველებინა.

გულმა შემოჰკვნესა ქალიმათს, მუხლებმა უმტყუნა და კერიასთან კუნძზე ჩაიკეცა.

„რა მეშველება, როგორ ვიცხოვრებ?" — გმინავს უთვისტომო ქალიშვილი და გული ეწურება. სახლს სახლი აღარ ეთქმის, არცრა სხვა აბადია, რა ქნას? ეს ფიქრი ტვინს უხვრეტს ისედაც დასუსტებულს. „რაც იქნება, იქნება. შეეჭიდება ცხოვრებას, სოფელი დიდია, დამეხმარებიან..." მთელი ზამთარი ფიქრობდა ქალიმათი, როგორ დაეყენებინა ფეხზე დანგრეული ოჯახი და მამის კერა არ გაეციებინა. მაგრამ შედგა თუ არა სახლში ფეხი, ელდა ეცა. მის იმედებს უცბად მოეკვეცა ფრთები და დაბნეული მწვავე სინამდვილის პირისპირ აღმოჩნდა. იგრძნო, რა ტანჯვის ცხოვრებაც ელოდა და მოეჩვენა, რომ ჯერ ისევ შემოდგომით მოწყდა მთის წვერს და მას შემდეგ მიექანებოდა უფსკრულისკენ. ახლა კი დაასკდა დედამიწას და ყველაფერი გათავდა.

„ხალხი დამეხმარება“, — გაიფიქრა და ამ აზრმა რაღაც იმედი ჩაუსახა გულში. მერე კედელ-კედელ ხელის ცეცებით გამოვიდა გარეთ. კარი გადმორაზა და ბიძის სახლისკენ წალასლასდა.

წარბშეკვრით დაუხვდნენ ბიძა და ძალუა.

— რამ ჩაგიყვანა იმ დასაწვავ სახლში, გოგო! — კითხვა შეაგება ქომიანამ ქალიმათს.

— რა ვიცი, მივალაგ-მოვალაგე...

— რაღა არის მისალაგ-მოსალაგებელი, რაზე იკლავ თავს?

— მაშ რა ვქნა, თქვენც როდემდე შეგაწუხოთ? ჩემი კუთხე ხომ მინდა.

ვანო მიხვდა ძმისშვილის გადაწყვეტილებას და უჩვეულოდ მოეფერა.

— ქალიმათ, შვილო, პატარა აღარა ხარ. აბა, დაფიქრდი, როგორ იცხოვრებ მარტო, ან რით, ფიქრობ?

— ხალხი დამეხმარება, — გააწყვეტინა ქალიმათმა.

— ხალხის იმედი ნუ გაქვს, ვისაც დახმარება შეუძლია, ის არ დაგეხმარება და ვისაც არაფერი აბადია, იმას შენც არ დაემდურები. მერე კიდევ, შვილო, არც სახლი გაქვს, არც საქონელი გყავს, საჭელი შენ არა გაქვს და სათესლე. კაციან ოჯახებს უჭირთ ცხოვრება და შენ რის იმედი გაქვს? თანაც ხალხი რას იტყვის, ვანომ ობოლ ძმისშვილს არ უპატრონაო. სალექსოდ გინდა გამხადო? ვინ გაიგონა გასათხოვარი ქალის მარტო ცხოვრება. ათას რამეს მოგიგონებენ. იყავი ჩვენთან, რაც შეგვიძლია, არაფერს მოგაკლებთ. რას ვიზამთ, ბარემ კარგი იყო, ჩემს საწყალ ძმას კერა არ გასცივებოდა, მაგრამ ღვთის განგებას წინ ვინ აღუდგება! გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი, მოგეწონება და გაჰყვები, ჩვენ ხელს არ შეგიშლით.

მართალს ამბობდა ვანო. თუმცა საგოს არ უყვარდა უფროსი ძმა. ხარბმა და გაუმაძღარმა, მამის სიკვდილის შემდეგ, ბევრი უსიამოვნება მიაყენა ბუნებით კეთილსა და მშვიდობისმოყვარე საგოს. მამულის უკეთეს ნაწილს ვანო დაეპატრონა. საოჯახო ქონებიდანაც ბევრი არაფერი არგუნა ძმას, ამასაც ჯავრობდა საგო, მაგრამ რა ექნა, თავს ხომ არ მოიჭრიდა, ძმის სისხლს ხომ არ დაღვრიდა და ხელი ჩაიქნია.

იცოდა ეს ქალიმათმა, მაგრამ ახლა ვანოს ეშმაკობამ გაჭრა. გული მოულბო.

„რა არ ხდება ქვეყანაზე, ალბათ, ნანობს თავის საქციელს და დანაშაულის გამოსყიდვა უნდა, ან რა გასაკვირია, ბიძას რომ ობოლ ძმისწულზე გული შესტკიოდეს“, — ფიქრობდა ქალიმათი.

დარჩა ბიძასთან. იმ გაზაფხულზე ძმის ნაფუძარი ვანომ გადახნა.

ცუდად არავინ ექცეოდა ქალიმათს. თუმცა ვაჟკაცივით საქმიანი მკაში არავის უდებდა ტოლს და თიბვაში. ახლა ოჯახში? რას არ აკეთებდა მისი ორი ხელი.

ქალიმათი სასურველ სარძლოდ ითვლებოდა. დღე არ გავიდოდა, რომ მთხოვნელი არ მისვლოდა, მაგრამ ვანო ხმას არავის აღებინებდა.

— რა მეჩქარება, რა, პური აკლია თუ წყალი. იყოს ჯერ, გათხოვებას მოესწრება, — ამ სიტყვებით აბრუნებდა შუამავლებს.

არც ქალიმათი ჩქარობდა გათხოვებას. ბიძის ოჯახს შეეჩვია. მარტო ერთი რამ აწუხებდა: ვანო ხარბი კაცია. დედ-მამისაგან იმდენი არაფერი დარჩა, მაგრამ მაინც ცდილობს როგორმე სხვებზე უკეთ იცხოვროს. ერთთავად სხვისი შურს, ერთთავად გამდიდრებაზე ოცნებობს.

3.

შემოდგომის ნისლი რომ ხეობებში ჩაწვება და ადგილიდან აღარ იძვრის ხოლმე, ისე ჩაემხო კალათჯინში[1] ყუნცელი და დილას აქეთ თავი აღარ აუღია მაღლა. ხშირად ემართება ასე. განსაკუთრებით მაშინ, როცა გაჯავრებულია, ან რაღაც ავს რასმე ფიქრობს.

ასეთ დროს თუ ვინმემ გაბედა მისი შეწუხება, ვაი იმის ბრალი. ისეთ ჯოხებს გადაუჭერს, რომ... იციან ოჯახის წევრებმა და აკი იმიტომ ერიდებიან. ის კი არა, კედლის ნაპრალში დაბუდებული ჭრიჭინობელა, რომელიც დღედაღამ ჭრიჭინით აყრუებს ქვეყანას, თითქოს შეშინდაო, ისიც ხმაგაკმენდილი გალურსულა სადღაც.

ზის ყუნცელი. ტყავკაბის კალთები მუხლებზე აუკეცია. ცხვრის ტყავის ქუდი წარბებამდე ჩამოუფხატებია. და ვერ გაიგებს კაცი, თვალები განგებ აქვს მოჭუტული თუ სძინავს. მკლავები მოტეხილი ტოტებივით გადაუყრია კალათჯინზე და დანა პირს არ უხსნის.

ოჯახის წევრები გრძნობენ, რომ ყუნცელს რაღაც მძიმე გადაწყვეტილების მიღება განუზრახავს, მაგრამ ფიქრები ერთმანეთში ერევა და სწორ დასკვნამდე ვერ მისულა.

მართლა აერია გონება ყუნცელს.

...მშობლებმა კარგაძალი ქონება დაუტოვეს. თვითონაც ჭკუა მოიხმარა და ახლა ის ქონება ერთიათად აქცია. მაგრამ რა, დრო თვალსა და ხელს შუა გაეპარა. ხანში შევიდა, მოტყდა და ვის დაუტოვოს ამდენი დავიდარაბით ნაშოვნი ქონება? აი ეს არის ახლა ყუნცელის თავსატეხი.

შვილები ბარემ ბლომათა ჰყავს, მაგრამ ნეტავ მათ მაგიერ ერთი მარჯვე ვაჟკაცი ეჩუქებინა იმ დალოცვილ ღმერთს. ხუთი ქალი გაათხოვა, ხუთივეზე კარგი ურვათი აიღო. კიდევ მიუმატა თავის ქონებას, მაგრამ რისთვის უნდა. ვის დაუტოვოს მემკვიდრეობა? გაბას? დაიწვას მისი დაბადების დღე! თუ ჭკუა არ დაჰყვებოდა, ნეტავ სულაც არ დაენახა ყუნცელს თავის ბედზე ბიჭი. სად არ ატარა, მაგრამ გაბას არაფერი ეშველა. ნატამალი ჭკუა არა აქვს. ცოლის შერთვის დრო ბარემ მოუვიდა, ყუნცელიც მოწადინებულია, ვის არ მიუგზავნა კაცი, ურვათსაც დიდს იმეტებს, მაგრამ გასათხოვარი ქალების მშობლები

[1] კალათჯინი — სავარძლის მსგავსი საუფრო სკამი.

გაიგებენ თუ არა, რომ გაბა სულელია, ხმასაც არ აღებინებენ. დრო კი მიდის. ყუნცელსაც ჯანი აკლდება, წინანდელივით აღარ შეუძლია ცხვრის ფარებისა და ნახირის მიხედვა. მართალია, მოჯამაგირეები ჰყავს, მაგრამ კაცმა თავის ქონებას თვითონ თუ არ მიადევნა თვალი, სხვას რაში ენაღვლება. აქამდის ყველას ეშინოდა მისი. მოულოდნელად დაატყდებოდა თავზე მწყემსებს და ვაი იმას, ვისაც წამოწოლილს მიასწრებდა. ახლა კი იშვიათადღა ადის მთაზე და ეშმაკმა იცის, რას აკეთებენ მოჯამაგირეები. ჯერ კიდევ არაფერი, თვალი უხელია და მაინც რიდი აქვთ, რომ მოკვდება, მაშინ რა იქნება? მის ქონებას დაიტაცებენ მშივრის შვილები. გაქრება ყუნცელის ნაამაგარი.

რა ქნას? დარდმა ლამის გაათავოს. სადარდებელი როგორ არა აქვს, კერა უცივდება. გაბას დაცოლშვილიანების იმედი ჯერ არ გადაუწყვეტია. იქნებ ვინმე გამოჰყვეს. თვითონ გაბა, მართალაა, ვერაფერი სასიძოა, მაგრამ ქონება ხომ აქვს. თუ რძალს შვილი ეყოლა, მეტი რაღა უნდა ყუნცელს. დამშვიდებული ჩავა სამარეში. თუკი ვინმე გამოჰყვება, ურვათს ბარემ არ მოერიდება... ფიქრობს ყუნცელი, რომელ აულშია ნამყოფი, სად იცნობენ და სად არა. სადაც იცნობენ, თვითონ ვერ ბედავს მისვლას, სადაც არ იცნობენ, იქ თვითონაც არავის იცნობს. უცებ რაღაც მნიშვნელოვანი გაახსენდა. შარშან სოხთაში იყო შორეულ ნათესავებში. ერთი ლამაზი გოგო ნახა. ძალიან აქეს, ვაჟკაცებს არ ჩამოუვარდებაო. მაგრამ როგორ? სულელი გაბას ამბავი რომ გაიგონ, ჯოხით იფრენენ.

ისევ აერია ფიქრები, ისევ დახუჭა თვალები. და აი ვერაგული გადაწყვეტილება მიღებულია. ბოროტმა სხივმა იელვა წვრილ თვალებში, გუგები გაუფართოვდა და ოთახის კუთხიდან კუთხეში იწყეს ხტომა.

„გადაწყდა!“ — გაიფიქრა და კალათჯინიდან წამოდგა.

ოჯახმა შვებით ამოისუნთქა. არავინ იცოდა, რაზე ფიქრობდა ყუნცელი, მაგრამ ყველამ იგრძნო, რაღაც მეტად მნიშვნელოვანი საქმე გადაწყდა.

4.

ერთ საღამოს ვანომ შინ უცხო კაცი მიიყვანა. ძვირფას სტუმარს თვალებში შესციცინებდა. ცოლს ანიშნა, აბა შენ იცი, როგორ სუფრას გაშლიო, თვითონ საკლავი წამოაქცია.

უცხო სტუმარი ყუნცელი იყო, მუშტრის თვალს არ აშორებდა ქალიმათს.

დილით ყუნცელი გაისტუმრეს, ქალიმათმაც გაიგო, რომ ბიძას დაუკითხავად გადაეწყვიტა მისი ბედი, ყუნცელის ვაჟზე დაენიშნა. უარზე დადგა, თავს მოვიკლავ და ვისაც არ ვიცნობ, იმას არ გავყვე ბიო. მაგრამ ბიძამ ხმაც არ ამოაღებინა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვანოს ახალმა მოყვრებმა მდიდრული ურვათი გამოგზავნეს. საქონელს „სიძეც“ მოჰყვა. მშვენიერი ვაჟკაცი — თვალადი, ტანადი, თავდაჭერილი, ზრდილი. ერთი სიტყვით დასაწუნი არაფერი ჰქონდა. ქალიმათმა რომ დაინახა, თვალთ დაუბნელდა. სწორედ ასეთად ჰყავდა წარმოდგენილი საქმრო. და აი როგორ შოულოდნელად აუსრულდა ოცნება. ვაჟი შინ დაბრუნდა, ქალიმათი დაღონდა. გული იმას გაჰყვა.

მას შემდეგ გზისკენ დააწყდა თვალები, მაგრამ იმან ფეხი აიკეეთა და ქორწილამდე აღარ გამოჩენილა.

წაიყვანეს ქალიმათი.

გახარებული იყო, ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ობოლ-ოხერს ასეთი საოცნებო ბედი მისცა და გააბედნიერა.

მაყრიონი დილით, მზე რომ ამოიწვერა, მაშინ შევიდა თედოთიყაუში. იქუხა თოფმა. პირველად წვრილფეხობა შეეგება მათ. უცებ საიდანღაც გაბა გაჩნდა. უჩვეულოდ აბრიალებდა თვალებს, პირიდან დორბლებსა ჰყრიდა.

— პატარძალი მომიყვანეს, ვარაიდა-რაიდა! გამიშვით, უნდა ვაკოცო! — ამ სიტყვებით ქალიმათს საკოცნელად მიეტანა. ქალის მაყრებმა იუკადრისეს. ერთი მათგანი ცხენიდან ჩამოხტა და გაბას ხელი ჰკრა:

— იქით, სულელო, როგორ ბედავ!

— ჩემი ცოლია, ბაბამ მე მომიყვანა. მომეცით, ჩემია... — აზლუქუნდა გაბა.

გაბა წაიყვანეს. შეშინებული ქალიმათი ვერხვის ფოთოლივით ირთოდა. მაყრებმა დაამშვიდეს:

— ნუ გეშინია, გიჟი ყოფილა, საბრალო, კი არ უნდა გეწყინოს.

მაყრიონი ყუნცელის ოჯახში მივიდა, მულებმა ქალიმათი ციმციმ შეიყვანეს შინ. მთელი ღამე გზაში იყავი, დაიღლებოდიო. ქალის მაყრები სუფრაზე მიიწვიეს და თამბაქოს წვენშერეული ღვინით ისე დაათვრეს, ფეხზე ერთიც ვეღარა დგებოდა.

5.

ქორწილია ყუნცელის ოჯახში.

თავი და ბოლო არ უჩანს სუფრას. ლიახვის წყალივით უხვად მოდის ლუდი, არაყი. ჭედილას ფეხშოს ოხშივარი ასდის. გულსავსე ხაბიძგინებს კბილები დაუკრეჭიათ. ყველაფერი ბარაქიანად არის, მაგრამ პირს ღიმი არავის მოსდის. ფანდირს უკრავენ და შორიდან მისი ჰანგი ისე ისმის, თითქოს დასაღუპად განწირული მშველელს უხმობსო. არც სიმღერა ეწყობა.

უფროსები სადღეგრძელოებს წელავენ.

უმცროსები „ამინო“ უდასტურებენ.

მაინც შევიდა ქორწილი ეშხში. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მიჰყვა.

სუფრის თავში ზის ყუნცელი და მისი მოწკურული თვალები ავდარში შემციენული ხვლიკებივით დახტიან. თავისი თავით ასე კმაყოფილი არასოდეს ყოფილა. ყველაფერი ისე ოსტატურად მოაწყო, რომ ეჭვიც არავის შეპარვია და ყუნცელი ახლა პურ-მარილით ცდილობს ხალხის თვალის ახვევას.

ჯერჯერობით საქმე კარგად მიდის. მექორწილენი ჭამა-სმაში გაერთვნენ. ყუნცელს ისინი სულაც არ ეჭაშნიკება, მაგრამ მეტი რა გზაა. ახლა უნდა ეფეროს ყველას, რომ გაბას სიგიჟე არავინ წააძახოს. თუმცა რა, გაბა, მართალია, გიჟია, მაგრამ ამოდენა ქონება აღარაფერს ნიშნავს?

ჭკვიანებიც აგერ ბესოლაანთ ცოფანის ბიჭები არიან. ვაჟკაცობაში იმათ ვინ შეედრება, ან თვალტანადობაში, ახლა იმათი სიტყვა-პასუხი, მაგრამ ვის ჭირდება იმათი ვაჟკაცობა, როცა შინ კატა არაფერს შეუჭამთ და გარეთ ძაღლი. მამა სადღაც უფსკრულში ჩაიჩეხა. საფლავის მიწაც არ ეღირსა. შვილებსაც ეგრე დაემართებათ. სად არის სამართალი, ღატაკ ცოფანს უნდა ჰყოლოდა ასეთი შვილები? აფსუს, ყუნცელისა უნდა იყვნენ ისინი, რომ ქვეყანა ლეკური ნაბადივით მოეთელა. აგერ ახლაც სუფრის ბოლოში სხედან, არც ცეკვავენ, არც მღერიან, წეღანსაქეთ რაღაცაზე ტუტუნებენ, ნეტავ რა აქვთ ამდენი საჩურჩულო?!

ფანდირის ხმა ხეობას ეფინება.

გახშირდა ლხინი.

სადღეგრძელოებიც აღარ ილევა.

სიმღერას სიმღერა მოსდევს.

ბედნიერებით გაბრუებული ქალიმათი კუთხეში მორცხვობს. მუ-ლები თავს ევლებიან, ნუგბარ-ნუგბარ საჭმელებს სთავაზობენ. უკვირს ქალიმათს. თავის აულში ბევრი პატარძალი უნახავს, მაგრამ ვაჟიანნი ასე არავის ევლებოდნენ თავს. „ნეტავ ის სად არის? ცალი თვალით მაინც დამანახვა. ძალიან მორცხვია. თუმცა რა, ერთხელა ვნახე, ხეირიანად არც დამლაპარაკებია.

ოჰ, ნეტავ მალე დამთავრდებოდეს ქორწილი. როგორ დავიღალე, მუხლები მეკვეთება, სადაცაა ჩამომეძინება. ნეტავ ის ახალგაზრდა ქალი რად არის დაღონებული? ამათი ნათესავი იქნება, მაგრამ რომ არ გამეცნო? ისე კი, რაღაცნაირად მიყურებს, თითქოს ჩემს წინაშე დანაშაული მიუძღოდეს. რამდენი ხანია ფანჯარას არ სცილდება. წეღან, თითქოს, რაღაც უნდა ეთქვა. ნეტავ რა უნდა? ღმერთმა იცის.

საკვირველია, ფანდირის ხმა მოთქმად რად მესმის? რა ხალხია, მომიყვანეს და ჩამკეტეს აქ. სხვები მხიარულობენ, მე კი... სადა თქმულა, ჩემს ქორწილში ერთხელ მაინც არ ვიცეკვო, თვალი ხომ არ მეცემა, გამიყვანონ გარეთ.

ესეც ჩემი დედამთილი. თითქოს არც ეს არის გახარებული. პირ-

დაპირ არ მიყურებს. ქალს რაღაც უთხრა. იქნებ გარეთ გავიდნენ, სხვა-დან და პირში შემომცქერიან. გიშველათ ღმერთმა, ძლივს არ მომ-შორდნენ? მაგრამ ამას რა უნდა?"

ფანჯარასთან რომ ახალგაზრდა ქალი იდგა, ქალიმათთან შევიდა. კარი შიგნიდან ჩარაზა.

— სისხლისმსმელები. ნეტავ შემეძლოს და ერთი ჟანგიანი დანით დამახოცინა ყველა!

„ვაიმე, რაშია საქმე? რაღაც აწუხებს, მაგრამ რა?"

— არა ვარ კარგი მახარობელი, ჩემო დაო, მაგრამ მაინც ყველა-ფერი უნდა გითხრა, მომისმინე, თორემ საცაა, ის ჯადოები ისევ მო-გაკითხავენ.

„რა უნდა მითხრას... ო, ღვთისმშობელო დედაო, რა ცუდს მითქ-ვამს გული!.."

— ობოლი ხარ, ვიცი. მეც ობოლი ვიყავი და ამათ მიყიდეს. შენი ტუჩიანი მული ჩემი დედამთილია. ძალით სიყვარული არ შეიძლება და არც მე შემიყვარდნენ. შენი მდგომარეობა უარესია, ბეჩავო. ყუ-რი მიგდე, მხოლოდ დედ-მამის ხსოვნას გაფიცებ, ჩემი სახელი არ ახსენო, თორემ ცოცხლად დამწვავენ. თუმცა, თუ გაიგებენ, გაიგონ, არ მეშინია. ახლა ჩემთვის სულ ერთია ყველაფერი.

„ჩქარა, თქვი, რას მიმზადებს ბედი? თქვი, თორემ გასკდა გული!"

— შენი საქმრო ის არ იყო, ვინც დაგნიშნა. დილას რომ წინ გი-ჟი შემოგეგებათ, იმისთვის მოგიყვანეს. იცოდნენ, რომ გენახა, არ გაჰყვებოდი და მის მაგიერ სხვა გაჩვენეს. გარეთაც იმიტომ არ გიშ-ვებენ, რომ სიმართლე არავინ გითხრას. მე არ შემიძლია გაჩუმება და გითხარი ყველაფერი. ახლა შენ იცი. როცა დაბნელდება, გარეთ გა-გატარებ და მაშინ გაიქეცი. არაფერი მკითხო, ვიღაც მოდის...

თავზარი დაეცა ქალიმათს. დედამიწა დატრიალდა. თვალები აუჭ-რელდა. რა ბილწი და საზიზღარი ყოფილა ქვეყანა. ნუთუ ყველაფერი სიცრუეა? სიცოცხლეც, სიყვარულიც? აქაც მოტყუვდა. პირველად ვინც ნახა, ვისთანაც ოცნებით უკვე ააშენა ოქროს კოშკები, ვისაც გულში ათასი საალერსო სახელი შეარქვა, თურმე სულაც არ არსებუ-ლა. ცაზე მრავალთა შორის ყველაზე ძლიერ რომელიც ბრწყინავდა, ის ვარსკვლავი მოწყდა და ქალიმათის ოცნებასა და იმედებთან ერ-თად მიწაზე დაენარცხა! დაენარცხა და წვრილად დაიმსხვრა. თავზარ-დაცემულს თითქოს სიცოცხლე გაეყარა. დაბნელდა მისთვის ქვეყანა, ჩაქრა მზე...

ისევ მოგროვდნენ „ყარაულები". აქეთ-იქიდან ელაპარაკებიან, მაგრამ ქალიმათს არც არაფერი ესმის და არც არაფერს ხედავს. თვა-ლები დახარა და დედამიწას დააჩერდა. იმედის პატარა ბეწვს ეძებს, მაგრამ ხელჩასაჭიდს ვერაფერს აგნებს. შველასაც არავის თხოვს!

მოგვიანებით ტახტზე თავის საქორწილო თეთრი აბრეშუმის შალს მოჰკრა თვალი და ოდნავ დამშვიდდა.

— თუ შეიძლება, ცოტა ხანს მარტო დამტოვეთ. — სულ დაავი-

წყდა, რომ უფროს მულებს ხმა არ უნდა გააგონოს.[1] ტუჩიანი მული ვიშვიშს მოჰყვა.

— ღმერთო მომკალი, როგორ გამოვშტერდი,.. ნუ გვერიდები, თავს შემოგევლე, თუ რამე გინდა...

— არა, როგორღაც თავი მტკივა...

— კი, გენაცვალე, კი. ცოტა ხანს წაიძინე და გაგივლის. ვარდის, წამოდი, ქალო, ცოტა დაისვენოს.

ქალიმათი მარტო დარჩა. კართან მიიჭრა და ჩარაზა.

მერე დედაბოძზე მუხის სოლი დალანდა და შვებით ამოისუნთქა. თავშალი აიტაცა ტახტიდან... სასიკვდილოდ გაიმეტა თავი...

6.

მექორწილეებს სასმელმა თავი წაართვა. ვისაც რა ეპრიანება იმას აკეთებს. ზოგი მღერის, ზოგი ცეკვავს, ზოგიც ლაპარაკად ქცეულა, ფანდირიც თითქოს დამთვრალაო, ხმას უფრო და უფრო უწევს.

გამხიარულდა ყუნცელი. ეს დიდებული ქორწილი მთელ ხეობაში დიდხანს არ დაავიწყდებათ. მერიქიფეს დაუძახა, ჯიხვის ყანწი მოითხოვა. ფეხზე წამოდგა და მექორწილეთა ყურადღება მიიქცია.

— ხალხო, ძვირფასო სტუმრებო! — ცის ქუხილივით გაისმა მისი ხმა, მაგრამ იმ წუთში ვიღაცის წამოკივლებამ გაუწყვიტა სიტყვა.

— მიშველეთ, პატარძალმა თავი ჩამოიხრჩო!

თითქოს ფუტკრის სკაში წყალი ჩაასხესო, ისე აირია ხალხი და დამფრთხალი ფარასავით მიაწყდა სახლს.

ყუნცელს სავსე ყანწი ხელიდან გაუვარდა. გველივით გაძვრა ხალხში და შინ შევარდა. ოთახი სავსე იყო ქალებით და მათ წიოკს ყურთასმენა მიჰქონდა.

— დაიკარგეთ აქედან! — იღრიალა ყუნცელმა. ქალები გაჩუმდნენ. ზოგი გარეთ გაიპარა.

ლოგინზე პირაღმა წევს პატარძალი. სანთლისფერ სახეზე სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობა. მხოლოდ დროდადრო გალურჯებულ ტუჩებს უღონოდ აცმაცუნებს. მოშვილდულ წარბებქვეშ თვალები გადმოკარკვლია, ყელზე ყულფის კვალი აჩნია.

მულები გარს ახვევიან და წყლით აბრუნებენ გულწასულს. მკერდს უზელენ. ყუნცელს შერცხვა, პატარძალი რომ ამ ყოფაში დაინახა. გვერდით მიბრუნდა და ჯავრი შვილებზე გადმოანთხია.

— რაღას ყარაულობდით, ვირებო, ხომ გაგაფრთხილეთ, მარტო არ დატოვოთ-მეთქი?!

— ცოტას წავიძინებო და... ვინ იფიქრებდა...

— ვინ იფიქრებდა! ვინ იფიქრებდა! ამას, რომ რამე დაემართოს, თქვენი ხელით გაითხარეთ საფლავები! — დააბრიალა თვალები ყუნ-

[1] რძალი ოჯახის უფროსს ხმას არ აგონებდა.

ცელმა და კარი შიგნიდან ჩარაზა, რომ მისი სირცხვილი აღარავის დაენახა.

გარეთ მთვრალი ხალხი ბობოქრობდა. საქორწილო სუფრა გადაატრიალეს და ყუნცელის დოვლათ-ბარაქა ნაგავსა და მტვერში აირია. ყუნცელმა ადრევე დაიჭირა თადარიგი. ქალის მაყრები თამბაქოსწვენშერეული ღვინით დაათრო და კარგა ხანია დარბაზში „მოასვენა“; შაგრამ წივილ-კივილზე დაბანგულებმა მაინც გაიღვიძეს და გაიგეს, ქალიმათი მოკლესო.

— სად არის ჩვენი ქალი, ვინ მოკლა? — ყვიროდნენ ისინი და შიგნით მიიწევდნენ.

ბარსაგმა მოსალოდნელი ხიფათი იგრძნო და ხასანას მოეთათბირა. მათ ახალგაზრდობა შეკრიბეს და გააფრთხილეს:

— ბიჭებო, ხომ ხედავთ შევრცხვით, მაგრამ სისხლს მაინც ნუ დაკაღვრევინებთ. ყუნცელის მომხრეები ამოხოცავენ დაბანგულ მაყრებს, ცოდვა ჩვენ დაგვედება კისრად.

სწორედ ამ დროს გაბა გამოჩნდა. დილით ყუნცელმა საბძელში შეაგდო: — ხალხს ფეხებში ნულარ აებლანდები, სულელო, აგერ თივაზე დაეგდე და საღამომდე ჩემმა თვალებმა გარეთ არ გნახოს, თორემ თირკმელებს გაგაყრევინებ ცემით, — დაემუქრა და გარედან კლიტით დაუკეტა კარი. გაბა ჭუჭრუტანიდან იყურებოდა ეზოში. უკვირდა, ამდენი ხალხი რისთვის მოგროვდა. რატომ მღერიან, რა უნდათ? მერე დაიღალა და თივაზე მიეძინა. ყვირილზე გაეღვიძა. ეცა ჭუჭრუტანას. ეზოში ერთი გაწევ-გამოწევა და ყვირილია. გაბამ იფიქრა, ალბათ, დილას რომ ცოლი მომიყვანეს, იმას მართმევენო და ლომს წამოავლო ხელი. საბძლის კარი გამოამტვრია და გამოვარდა. არეულობაში დრო იხელთა, ერთ მაყარს მიეპარა და ჯოხი სთხლიშა თავში. მეორედ რომ აღმართა ხელი, მაჯაში სწვდა ვიღაც და ყბაში ლაზათიანი სილა გააწნა.

— მომკლეს, ბაბა! — იღრიალა გაბამ და მიწაზე გაიშხლართა.

ზორაანთ ხანჯლები დააძრეს. ახალგაზრდები ქალის მაყრებს გარს შემოეხვივნენ და მათთან არავის უშვებენ.

— ვინც ამათ ბეწვსაც კი გაუმრუდებს, ჩვენთან ექნება საქმე. — ხანჯალი აალაპლაპა ხასანამ და წინ გადაუდგა ზორაანთ რჩეულებს.

ზორაანთ იგრძნეს, რომ ხალხი სტუმრებს მიემხრო და რაღა გზა ჰქონდათ, ხანჯლები ჩააგეს.

კარი გაიღო და ყუნცელი ცოფიანივით გამოვარდა.

— რა შფოთი ატეხეთ, გუდამშივრებო, კარგად არის თქვენი ქალი, არავისაც არ მოუკლავს.

— შეგვიშვით, ვნახოთ! — ისევ შიგნით იწევენ მაყრები.

— რა არის, ყუნცელ, ნამუსი აღარა გაქვს? შეუშვი, ნახონ თავიანთი და, საგვარეულომ ამათ ჩააბარა ეგ ქალი. აღარც სირცხვილი, აღარც ნამუსი! — უსაყვედურა ძაქომ ყუნცელს.

— ხალხის პატივისცემა და რიდი აღარა აქვთ, ძაქო და მასხარად

გვიგდებენ. ის არ კმარა, რომ ასე სასტიკად მოატყუეს, ახლა საცემრადაც იწევენ? — წინ წამოდგა ხასანა.

ამისი ეშინოდა ყუნცელს და არ ასცდა. უხათაბალოდ ვერ მოაგვარა საქმე. პატარძალიც უმიზეზოდ არ იხრჩობდა თავს. ბეწვზე გადარჩა. ახლა ქალის მაყრებმა რომ გაიგონ საქმის ვითარება, ხომ დაიღუპა. ყველაფერი. ჩხუბითა და აყალმაყალით არაფერი გამოვა, ისევ დაყვავება აჯობებს, — გაიფიქრა ყუნცელმა და მოლბა.

— ჭეშმარიტებას ამბობ, ძაქო, მაგრამ ჩვენც რაში ვტყუით, მართლა ხომ არ მოგვიკლავს მაგათი ქალი? მოდით და ნახეთ, შვილო, ვინ გიშლით...

ხალხმა გზა მისცა ქალის მაყრებს.

ყუნცელი თავის შეკავებას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ბოროტი მზერა ესროლა ხასანას.

— შენ კიდევ, მშიერი ცოფანის ლეკვო, ვინა ხარ? ამოგეღება კი ხმა? არც სახელი გაქვს და არც გვარი. დედაშენმა სადღაც უდაბურ ხევში დაგაგდო და ისიც არავინ იცის, ვისი ოხერი ხარ! ახლავე დაიკარგე ჩემი არემარიდან!

გახელდა ხასანა. გულს ისარივით დაესო ყუნცელის ნაბოდვარი. თავში აუვარდა სისხლი.

— ვის ეუბნები მაგეებს?

— ძაღლის ნაშობს, რომელიც ჩემს ეზოში ოღრინება!

— ბებერო მგელო! მე შენ გიჩვენებ, ვისი ნაშობიცა ვარ! — ხანჯალზე გაიკრა ხელი და იქვე შუაზე გააპობდა ყუნცელის ბოროტებით სავსე გულს, ძაქოს რომ მარჯვენა არ გაეკავებინა.

— რას შვრები, ხასანა, როგორ ბედავ მამის ტოლ კაცზე ხელის აღმართვას?

— გამიშვი, ძაქო, მოვკლა ეგ ბებერი მგელი, ეგა. პირველი არ არის მაგისგან ცილისწამება და დაცინვა. თუმცა დასაცინი თვითონ არის ეგ უბედური, ვიღაცის ობოლი ქალი თავის დორბლიანსა და სულელ შვილს მოუყვანა და გგონია, სინდისის ქენჯნას გრძნობს?

— ჩემი სულელი შვილი მაინც თქვენზე უკეთესია. ჯერ დედათქვენს მიხედეთ, მშიერს რომ ძვრება სული, მერე ჩემს შვილზე ილაპარაკეთ.

გახელდა ყუნცელი, სიძეებს უხმობს, ცოფანის ლეკვები თუ ვერ დაძღნენ, ძვლები მაინც მიუყარეთო.

— ძაღლი შენა ხარ და შენი საჭმელიც სალაფავია. ცოფანას შვილებს არ უნდათ შენსავით სხვისი შრომით გამდიდრება. დედაჩვენიც არასოდეს მოსულა შენთან პურის სათხოვნელად და ენა ჩაიგდე, თორემ თუ კიდევ გიხსენებია მისი სახელი, აი ეს ხალხი იყოს მოწმე, უკან ჩაგთხრი ნათქვამს. შე სისხლისმსმელო, შენა!

— მემუქრები კიდეც? ვაი, შე ტილიანო! რა იქენით, ზორაანო, ხომ ხედავთ რეები მაკადრა ცოფანას ლეკემ. გვარის უფროსის ლან-

ძღვა იგივე თქვენი ლანძღვაა, თქვე გასაწყვეტებო, და როგორ უთ-შენთ, როგორ?

— ყუნცელ, იყუჩე, ერთი უბედურება უკვე მოხდა შენს ოჯახში და მეორეს ნუღარ ეძებ, — ძაქომ მართალი თვალები მახათივით გაუ-ყარა ყუნცელს გულში, — იყუჩე-მეთქი, მოთმინებიდან ნუ გამოიყვან ხალხს, თორემ შენს სუფრაზე სისხლის წვიმა წამოვა, კახპა დედაკა-ცივით ნუ იცი რატრატი. იმიტომ დაგვპატიჟე. რომ ხიფათში გაგვხ-ვიო? უმცროსი როცა ცდება, უფროსი ჭკუას არიგებს, შენ კი...

— მერე, მე ხომ არაფერს... — თავი მოიკატუნა ყუნცელმა. — ჩე-ში შვილი რომ უბედურია, ჩემზე მეტად ვინ განიცდის ამას და ვილა-ცის ლეკვი რატომ მადგამს იარაზე ფეხს?

— შენი ბრალია ყველაფერი. აბა, ბიჭებო, სახლებში წადით. და-ისვენონ მასპინძლებმა. ჰო, ამ საცოდავ ქალს მიხედეთ. რამე რომ დაე-შართოს, სალექსოდ გაგვხდიან. სტუმრებსაც უგდეთ ყური. კარგი მას-პინძელი სტუმარს არავის აცემინებს. ეს აქამდე უნდა გცოდნოდა, ყუნცელ!

ძაქოს სიტყვები დანასავით უსერავდა გულს ყუნცელს, მაგრამ რა ეთქმოდა. ხალხი დაიშალა, თითო-თითოდ წავიდ-წამოვიდნენ, დაცა-რიელდა ეზო. გადაყირავებულ სუფრებზე მხოლოდ აულის ძაღლებს გაემართათ ჩარბუზანა.

7.

დიდი ხანია უკანასკნელი ნაღვერდალიც ჩაიფერფლა. ფანჯრიდან საცხე მთვარე შემოიჭრა, კერიაზე სიბნელეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა და აჯობა კიდეც. განათდა მიწური.

შუაღამე გადავიდა, მაგრამ ძილი არავის ეკარება. ხან ერთი იცვ-ლის გვერდს, ხან მეორე.

გრძნობს ყიზმიდა, რომ არა სძინავთ ბიჭებს. მიზეზიც იცის, მაგ-რამ აგერ ამდენი ხანია ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტია, უთხრას თუ არა სიმართლე. ენა გაუხმეს ყუნცელს. ცხოვრობდნენ ტკბილად, მშვი-დად, რამდენი წელი მალა საიდუმლო და ახლა როგორ გამოტყდეს. ვინ იცის, მათთვის ახალ ამბავს როგორ მიიღებენ შვილები. საღამოთი აღელვებულები მოვიდნენ. დანა კბილს არ უხსნიდათ. არაფერი უთქ-ვამთ, მაგრამ რას გამოაპარებენ დედას. მეზობლებში გადავიდა. უთხ-რეს, ყუნცელმა ხასანას წააყვედრა ღობის ძირში ნაშობოო. გული გა-დაუქანდა ყიზმიდას. იცის ასეთ ნაცილს არავის აპატიებენ მისი შვი-ლები. ჯერ ეგონა დაიძინებენ და იქნებ დაავიწყდეთო, მაგრამ ხედავს, რომ არც ერთს არ ეკარება რული. სიმართლის გაგება უნდათ, მაგრამ ვერ უბედავენ დედას შეკითხვას.

ყიზმიდა ფიქრმა შორს გაიტაცა... ერთი თვისა იქნებოდა ბარსაგი, როდესაც ცოფანი სანადიროდ წავიდა. სადილობამდე უკანვე დაბრუნ-და. უცნაური ბოხჩა ეჭირა ხელში.

— დედაკაცო[1], გამომართვი ჩქარა, თორემ მოკვდება.

— რა არის, კაცო? — გაოცდა ყიზმიდა.

— ბავშვი, ქალო, ხეობაში ვიპოვე...

— რა ვქნა, ხომ არ შეიშალე, რის ბავშვი, რა ბავშვი?

— გამომართვი, ძუძუ მიეცი და ყველაფერს გეტყვი.

ყიზმიდამ გამოართვა ბოხჩა. გაშალა და ახალდაბადებული ბავშვი რომ დაინახა, კინაღამ გული შეუღონდა. ბავშვი ტირილითა და სიცივით გალურჯებულიყო. ოდნავღა აცმაცუნებდა ტუჩებს. ყიზმიდამ სავსე ძუძუ ძალით ჩაუდო პირში. ორი-სამი ყლუპი ხელით ჩააწველა. და ბავშვმა მერეღა დაუწყო წოვა.

გულზე ეფონა ცოფანს, მძიმედ დაეშვა სკამზე და ზღაპარივით დაიწყო.

— დიდი საცოდაობა ვნახე, დედაკაცო! ენა არ მიბრუნდება მის სათქმელად...

მას შემდეგ რამდენი წელიწადი გავიდა. ყიზმიდა საიდუმლოს ღრმად ინახავდა. ახლა რა ქნას?

და ადგა დედა. ტანთ ჩაიცვა, კვარს მოუკიდა.

— რატომ არ გძინავთ, შვილებო?

— ძილი გაგვიკრთა, ნანა...

— ო, ღვთისმშობელო, გული გაუხეთქე იმას, ვინც ჩემს ბიჭებს ძილი დაუკარგა. ვიცი, რადაც გაგიკრთათ ძილი. შვილებო. მომისმინეთ, გეტყვით სიმართლეს.

ყიზმიდამ შვილებს ზღაპარივით უამბო ცოფანის მონათხრობი, მხოლოდ ის დაუმალა, ვისი გვარისა იყო ქალი, არ დასცალდა ეთქვაო.

— მიჭირდა ძალიან. ერთს რომ გაწოვებდით ძუძუს, მეორე ჩხავილით იკლებდა ქვეყანას. ნათხოვარი რძით გამოგზარდეთ. როცა მოგნათლეთ, ერთს ხასანა დაგარქვით, მეორეს ბარსაგი. მამათქვენი ხელმოკლე იყო. მიწა არა გვქონდა. ნადირობაში კი ტოლი არა ჰყავდა იმ ცხონებულს. ნანადირევით გვარჩენდა. ერთხელ ჯიხვზე წავიდა სანადიროდ და აღარ დაბრუნებულა, დავკარგე მკვდარიც და ცოცხალიც. დავრჩით ულუკმაპუროდ ცარიელ სახლში. მაგრამ მადლობა ღმერთს, არ დავხოცილვართ. როგორც იყო გამოგზარდეთ, დანარჩენი ხომ თქვენ თვითონ იცით. მართალია, მდიდრები არა ხართ, მაგრამ ჯანი გაქვთ და ვცხოვრობთ ქვეყანაზე. ამ ამბავს საფლავში ჩავიტანდი, მაგრამ ყუნცელს ამოუწყდეს ოჯახი...

— ბაბამ რომ ბავშვი იპოვა, რომელი ჩვენთაგანია, ნანა? — ამოიკვნესა ხასანამ.

— არა თქვა, ნანა, არ მინდა ვიცოდე, რომელი გვიპოვა ბაბამ. — წამოიძახა ბარსაგმა, თითქოს იმის დაკარგვისა შეეშინდა, რაც დღევანდლამდე ყველაზე ძვირფასი ებადათ. — ხასა, დაივიწყე, რაც გვითხრა ნანამ, არავინაც არ უპოვია ბაბას. ჩვენ ერთად დავიბადეთ...

---

[1] ოსეთში ცოლი და ქმარი სახელით არ მიმართავდნენ ერთმანეთს.

— ორივე ჩემი ხართ, დედა გენაცვალოთ. ერთი ძუძუ გაწოვეთ. ერთნაირად გაგზარდეთ. არასოდეს განმისხვავებიხართ. ერთი გული მაქვს, ორად გავყავი, ნახევარი შენ, ხასანა და ნახევარი შენ, ბარსაგ. როგორც ჩემი ორი თვალისა და ორი ხელის განსხვავება არ შემიძლია, ისე თქვენი. კარგი ვაჟკაცები დამეზარდეთ, თავს შემოგევლოთ დედა, ბევრი შეძლებული ოჯახი ინატრებს თქვენისთანებს. ხალხს უყვარხართ, ბოროტ ენას კი ნუ აჰყვებით, შვილებო.

ყიზმიდამ არ თქვა, ნაპოვნი რომელი მათგანი იყო, მაგრამ ხასანა მიხვდა, ის ბავშვი თვითონ იყო. ყუნცელმა ხომ წააძახა: „ოხერ-ტიალო, ღობის ძირას დაგდებულოო“.

— ვინ იყო ის ქალი?

— ვერ გავიგეთ, შვილო, იმ დღესვე საკაცით ჩამოასვენა მამათქვენმა და დავასაფლავეთ.

— სად?

დედა მიხვდა, რასაც მოითხოვდა ხასანა.

— დილაზე გაჩვენებთ.

— მთვარიანი ღამეა, ნანა...

აღარაფერი თქვა დედამ.

სასაფლაოზე, ბესოლაანთ საგვარეულო სამარხის ახლოს განცალკევებულ სამარეს დაადგნენ თავზე. ხასანა დაიხარა და საფლავის მიწას ხელით შეეხო. ბოღმა ყელში აწვებოდა და ახრჩობდა. აი მისი მშობლის საფლავი. ბავშვობაში რამდენჯერ უთამაშია ამ სამარესთან. საფლავი რომ გამოცალკევებულია, ეს დიდი ხანია შეამჩნია, მაგრამ მიზეზი არასოდეს უკითხავს. ნეტავ ვინ იყო და რამ მიიყვანა უღრან ტყეში? ვინ მოძებნოს, ვის მოჰკითხოს დედის სისხლი? ვინ იყო მამამისი? სად არის ახლა? კითხულობდა ხასანა, მაგრამ ცივი სამარე დუმდა, საიდუმლო მძიმე ლოდქვეშ გათანგულიყო სამუდამოდ.

— ნათელში იყავ, ჩემო უცნობო დაო, კვდებოდი და შვილზე ფიქრობდი მაინც. აი გაგიზარდე ვაჟკაცი. მაპატიე, თუ ვერ შევძელი ბევრის გაკეთება. რა ვქნა, მეც არ ვიყავი ბედნიერი. სიღარიბემ გატეხა ჩემი ჯანი. — ყიზმიდამ მოსახვევის ყურით ამოიწმინდა ცრემლი, — შვილო, ორიოდ ცრემლი დააგდე დედას.

ყიზმიდამ შვილს სახელით არ მიმართა, მაგრამ ხასანა მიხვდა, რომ დედის სიტყვები მას ეკუთვნოდა. გაქვავდა გული, ცრემლის გამოწურვა ვერ შეძლო.

— მაპატიე, ნანა, არც სახელი ვიცი შენი და არც გვარი. ამ დაწყევლილ ქვეყანაზე დამტოვე ბრმა. როცა თვალი გავახილე, ჩემი აკვნის კამარაზე ნანა დავინახე დამხობილი. ეს არის ჩემი დედა. შენ კი ამიერიდან ჩემი გულის დარდი იქნები მხოლოდ.

მთვარე ცის კაბადონზე მიცურავდა. ქვემო უბნიდან მამლის ყივილი მოისმა. ყიზმიდამ შვილებს წინ გაუსწრო.

8.

ბნელ ოთახში ერთ საწოლზე წვანან დედამთილი და რძალი. გუშინდელი ამბის შემდეგ დუდუმ ახლოს აღარავინ გააკარა რძალს და მას შემდეგ სულ ეჩურჩულება.

— ეგეთი რამ აღარ გააკეთო, შვილო. სიცოცხლე ერთხელ ეძლევა ადამიანს, მერე რა ლამაზია იგი. შენ კი საკუთარი ხელით ისწრაფებდი, როგორ შეიძლება? ეჰ, მეც ბევრჯერ მივსულვარ თვითმკვლელობამდე. მაგრამ მერე მიფიქრია, რადა, რისთვის გავწირო თავი? ის მოკვდეს, ვინც ჩვენ თავის მოკვლა გვაფიქრებინა. ასე არ არის, რძალო? შენ იმათ ჭკუით უნდა აჯობო. გაგაცურეს? გააცურე. ბერიკაცი მე შომანდე. შენს ცოდვას მისი კისრიდან ამოვიღებ. მეც ეგრე მომატყუეს. მამაჩემმა ნივთივით გამყიდა, დავბერდი და ჩემი სული და გული მაინც არ მიეკარა ამ უბედურს. მრცხვენია, რომ ვთქვა, მაგრამ რა ვქნა, საკუთარი შვილებიც კი არ მყვარებია. ჩემი ქალები მამასავით უგულოები და გაუმაძღარი მგლები არიან. ვერც იმათ გამიგეს გულისტკივილი. თუმცა რა იმათი ბრალია, ასეთი მამისაგან სხვანაირი შვილები არ გამოვიდოდნენ. ბიჭი — გიჟი, მემკვიდრე უხდოდა და ვერ მივეცი. დამახრჩო საყვედურით. შეხც მემკვიდრისათვის გიყიდი. კისერი მოსტყდეს. მეგონა ერთი ვიღაც დაბდური, უშნო და უბედური იყავი. რომ დაგინახე, გული მომიკვდა. ახლა ხომ ყველაფერი იცი. შეატყობინე ბიძაშენს, ჩამოვიდეს, ურვათი დააბრუნოს და წაგიყვანოს. ეგეთმა ბიძამ სისხლი არწყიოს. იცოდა ყველაფერი, იმიტომ მოითხოვა ორმაგი ურვათი. საქონელი რომ დაინახა, მგელივით დაეხარბა, ველარ ძღებოდა.

ქალიმათს ეგონა, ბიძამისიც მოატყუეს და ახლა ამ ამბავს რომ გაიგებს, ჩამოეჭრება ყუნცელს, ურვათს უკან მიუყრის და ძმისწულს შინ წაიყვანსო. მაგრამ თურმე ქვეყანა სიცრუეზე ყოფილა დამყარებული. ახლა რა ქნას? გაიქცეს? სად?

კვნესის გული.

ფიქალ ღაწვებს შანთივით კვალავს მწველი ცრემლი.

— კარგი, გენაცვალე. გეყოფა ამდენი ტირილი, — დუდუმ მკერდზე მიიკრა ქალიმათი. — ჩემი ცოცხალი თავით შენი გაუბედურების ნებას არავის მივცემ. ვიცი, რომც გაიქცე. ბიძაშენი თმით მოგათრევს უკან. შენს ფასად აღებულ მსუქან ლუკმას აგრე უბრალოდ არ დათმობს. ჰო, მაგრამ რა მოეფიქრო, ჩემო საცოდავო რძალო, რა გიყო! რომ ვიცოდე, შინ უკეთესი მდგომარეობა გექნება. მე თვითონ დაგაბრუნებდი, მაგრამ მეშინია, ვაითუ იქ უფრო უბედური იქნე. — დუდუ გაჩუმდა. მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. — დარჩი, შვილო, — უთხრა მან ქალიმათს მოულოდნელად. — დარჩი, ასე აჯობებს. ჩემი საცოდავი შვილისა ნუ გეშინია, ის არაფერს გავნებს. იმან ცოლისა არაფერი იცის, უნდა მეთქვა კაცისთვის, მაგრამ ვერ გავბედე. ჰოდა, აი ჩავდექით შენს ცოდვაში. შენს მამამთილსა ჰგონია, რომ მემკვიდ-

რეს გაუჩენ. ეგ უბედური, ეგა, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ისეა მაგის საქმე. რას იზამ, ჯერჯერობით იცხოვრე ჩვენთან, მერე ღმერთია მოწყალე. ცას ხომ არ შევაბერდებით და რაც გაგვაჩნია შენი არ იქნება? რაც გინდა, ის გააკეთე. იქნებ ღმერთმა ცოდვად ჩამითვალოს ოჯახისადმი ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ რაც იქნება, იქნება. მეცოდები ობოლ-ოხერი ასე რომ მოგატყუეს. ახლა დაიძინე, გენაცვალე, ხვალ სტუმრები გვეყოლება. შენი მაყრებიც, შენი ჭირი იმათ, ისე გაიპარნენ, არც დაგემშვიდობნენ.

როგორ არა, ქალიმათთან უფროსი მაყარი ძიბულა იყო, თუ გინდა წაგიყვანთო. მაგრამ ქალიმათი გაქვავდა. თითქოს ყელის სიმები ჩაუწყვიტესო, ხმა ვერ ამოიღო. ახლაც ასეა, განძრევა არ შეუძლია, თორემ ამ სატიალო სახლიდან შორს გაიქცეოდა, ჰო, მაგრამ, სად წავიდეს, საით გაიქცეს? მისთვის ყველგან დახშულია კარი. მართალი თქვა დუდუმ. მეტი გზა არა აქვს, უნდა დარჩეს. იმ გიჟს ახლოს არ მიიკარებს, მერე იქნება უშველოს თავს. მწარე ნაღველი გადაყლაპა ქალიმათმა და ბედის უსაჭო ნავს მიანდო თავი.

მეოთხე თავი

აჰ შეწყდა უსასრულო გზა

1.

ზეცის ბინადრებს უწოდებენ ამ ხეობაში ცარგასბადანის[1] მკვიდრთ. და მართლაც, თითქოს ღმერთზე შურისსაძიებლად აღზევებული მიწიერი მამაცნი და ძალგულოვანნი დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ დაღლილან და კავკასიონის ერთი მაღალი მწვერვალის თიზმაგხოხის ძირში დასასვენებლად გვერდიგვერდ მიწოლილანო, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს მწვერვალის ფერდობზე ერთიმეორეზე მიტყუპებული ბანიანი მიწურები.

აულში სამი გვარი ბინადრობს: სლონათი, ცომაითი და გალუანთი. სამივე გვარს თავ-თავისი ციხე აქვს.

კოშკები ყველაზე მეტად მომხდური მტრისაგან თავის დასაცავად ესაჭიროებოდათ. როცა მოძალადე გამოჩნდებოდა, დიდი და პატარა ციხე-კოშკებს შეაფარებდა თავს. სათოფურეებთან ადგილს დაიჭერდნენ გვარის საუკეთესო ვაჟკაცები და მტერს ციხესთან ახლოს არ უშვებდნენ. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდნენ.

და დგანან ამაყად საუკუნიდან საუკუნემდე — ცარგასბადანის ცი-

[1] ცარგასბადანი — არწივის საბუდარი.

ხე-კოშკები. თუმცა ახლა ისე ხშირად აღარავის სჭირდება ისინი. რაც ოსეთი რუსეთს შეუერთდა, ბოლო მოეღო გარეშე მტრის თავისუფალ თარეშს. მაგრამ აული მაინც ამაყობს მათით. მამა-პაპიდან მოყოლებული თავიანთი ციხეებივით, თავს არავის უხრიან — არც გარეშე მტერს, არც თავხედ ალდარებს და არც ბუნების სიმკაცრეს.

კოშკებზე მაღალი თიზმაგხოხია. მახვილივით ალესილ წვერზე ცა წამოუგიაო თითქოს. დგას და ამაყად დაჰყურებს ფეხქვეშ გართხმულ ქვეყანას. ავი და დაუნდობელი, თითქოს ნაწყენია, რომ მიწიერმა ადამიანებმა გაბედეს და მარადიული მყუდროება დაურღვიეს, ამიტომ გაბოროტდა და აულს მუდამ შიშის ზარს სცემს. ხან სეტყვას მოუვლენს და მარცვალს არ შეატანინებს შინ, ხან ნიაღვარს დაუშვებს და პირწმინდად წაალეკინებს მიწის ბარაქას. ზამთარში კი იმდენ თოვლს დააყრის, რომ გზაფხულამდე მეზობელი მეზობელთან ვეღარ მიდის. ხანდახან თითქოს გაიბუტაო, თავზე ღრუბლის სქელ საბურველს მოიბურავს და ტირის, ტირის ჩუმად. როცა ცრემლად დაიცლება, ერთი შეუბერავს ღრუბლებს, აქეთ-იქით გაფანტავს და ისევ ამაყად ჩახედავს აულს. როცა თიზმაგხოხი კარგ ხასიათზეა, სიცილიც იცის. მაშინ რამდენიმე ხანს მზიანი დარი დგება.

მზიან ამინდში შინ ვინ გაჩერდება. დიდი და პატარა ყველა საქმეს აშურებს, მოხუცებსაც გაუთენდებათ ხოლმე. ჯოხის ბჯენით ნიხასში[1] გავლენ, იქ ნალესი ქვის სკამებზე უფროს-უმცროსობის მიხედვით ჩარიგდებიან და იწყება ბჭობა.

გაზაფხულზე, როცა კაცები თავიანთი მწირი მიწის პატარა ახოებს დაამუშავებენ და ქერის თესლს მიწას მიაბარებენ, საქმე აღარაფერი აქვთ. მოწეული ჭირნახული ახალ წლამდე არც ერთ ოჯახს არ მიჰყვება. ამიტომ შრომისუნარიანი მამაკაცები მთის იქით ჩრდილოეთ ოსეთში გადადიან, იქ ბარის სოფლებში, შეძლებულ ოჯახებში მოჯამაგირეებად იწყებენ მუშაობას. მერე შრომის საფასურად ქერით გატენილ ტომრებს აჰკიდებენ ცხენებს და შინ გამოეშურებიან, რომ თიბვაზე არ დაუგვიანდეთ.

მთების გადმოლახვა და საპალნიანი ცხენებითა და სახედრებით შინ დაბრუნება მთელი აულის დღესასწაულია.

ეჰ, რამდენი პურის მზიდავი აღარ დაბრუნებულა შინ, რამდენი მათგანი ჩაჩეხილა უფსკრულში და ცოცხალიც დაკარგულა და მკვდარიც. ღროზე უნდა გადმოასწრონ, სანამ კლდეს თავის ნაჟური შეეყინება, ან შემოდგომის წვიმა საცალფეხო ბილიკებს ჩარეცხავს, თორემ რაკი თოვლს დასდებს, ვინღა გაბედავს წამოსვლას ან ვინ გადმოასწრებს იმ დაწყეველილ მთებზე და თუ მაინც გაბედა ვინმემ, შენი მტერი, რაც იმან ოჯახი ვეღარ ნახოს, ცხენიან-საპალნიანად სალი კლდის დამრეცებს დააკვდება ხოლმე.

ახლა კი მთელი სოფელი გახარებულია, ღვთის შეწევნით საშოვარ-

---

[1] ნიხასი — საკრებულო.

ზე წასულები შინ მშვიდობით დაბრუნდნენ. სოფლის თავკაცები ნიხასში გალეულ სკამ-ქვებზე უფროს-უმცროსობის მიხედვით ჩამორიგდნენ. ჩრდილოეთიდან გადმოსული ახალგაზრდები კი ფეხზე დგანან და ისე ყვებიან შორი ქვეყნის ამბებს.

ამ მოხუცთაგან ისეთი არავინ არის, ვისაც ახალგაზრდობაში ის მთები რამდენჯერმე არ დაელაშქროს. ჭირნახული ხომ მათაც უჭირდათ. თავიანთი ხუთი თითივით იციან მთებში გამავალი ბეწვის ხიდივით საშიში ბილიკები. იციან სად უფრო სახიფათოა, სად ზავის შიშია. იციან ხეობიდან მთამდე რამდენი ხნის სავალია, სად უნდა დაისვენონ, რომელი სალოცავი ახსენონ, როდის შეჰღაღადონ ვასთირჯის, რომელსაც მთის წვერზე თავისი ნიში აქვს, იქიდან იწყება ხიფათიანი გზა, ყველაზე მეტად ცარგასბადანელ მგზავრებს ესაჭიროებათ ვასთირჯის დახმარება. აქაურებს სხვა ანგელოზებზე მეტად ვასთირჯი სწამთ, ღმერთისა კი არაფერი სჯერათ. იტყვიან ხოლმე — მიწიერთაგან ყველაზე ახლოს ჩვენა ვართ ღმერთთან, მაგრამ ის რატომღაც თვალს გაარიდებს, არც ჩვენს ლოცვა-ვედრებას ისმენს და არც ჩვენს შესაწირავს იღებსო. ჰოდა, მათაც ზურგი შეაქციეს. მარტო მოსავლისა და საქონლის ანგელოზებს — ვაცილასა და თუთირს ლოცულობენ, თიზმაგხოსა და წვერის ანგელოზსაც დაუნთებენ წელიწადში თითო თაფლის სანთელს, დანარჩენი ანგელოზები სათვალავშიც არ არიან.

სხედან ცარგასბადანელი ბრძენკაცები გადაჯაჭვული თეთრწვერა მთებივით, ერთიმეორის გვერდით და მოგონებებს ბოლო აღარ უჩანს. ახალგაზრდობის დღეთა გახსენებაზე სისხლი აჩქეფდა ძარღვებში. იქ, ჩრდილოეთში ცნობილ მემამულეებს თუღანთ, ბადილათ, ყუბადთ თვალუწვდენელი მამულები აქვთ. არც კლდიდან გადაჩეხვისა ეშინიათ, არც ქვის დაგორებისა, იმ დალოცვილ მხარეში ზაფხული გრძელია, ზამთარი — მოკლე და თბილი. ახლა რა სიმინდი მოდის! თითო ძირს სამი-ოთხი ტარო აყრია. ოქროსფერი პურის ყანები?! იმ პურის ყანების მკა, ლეწვა, სიმინდის თოხნა რამდენ ძალას მოითხოვს და ამ მოხუცთა ახალგაზრდობა. ჯანი და ღონე წაიღო წლის სამყოფი ლუკმისათვის ბრძოლამ. რიჟრაჟზე ამდგრები შუაღამემდე მუხლში ჩახრის დროს ვერ მოიხელთებდნენ. განსაკუთრებით სიმინდის თოხნა უჭირდათ, მაგრამ შემოსული პურის ყანაში კი, გაგიხარიათ, დატრიალდებოდნენ, წელში გაიშლებოდნენ.

ბრძენკაცები კმაყოფილები არიან უმცროსებისა. უხარიათ მათი წარმატება. ჩრდილოეთში გადასასვლელი საცალფეხო ბილიკი ცარგასბადანელთა სასიცოცხლო გზაა, ახალგაზრდობის ძალისა და ვაჟკაცობის გამოცდის გზაა, ვინც ამ გამოცდას გაუძლებს, ოჯახის მარჩენლად ჩაითვლება, განსაკუთრებული ავტორიტეტი ემატება ტოლებს შორის, ხოლო უფროსები მის სიტყვას ანგარიშს უწევენ.

გაბო და ძაბეგი ტოლები არიან. ჯერ პირტიტველა ბიჭებს საულვაშე არც კი ამწვანებიათ. საშოვარზე რომ მიდიოდნენ. მაშინ შეუს-

რულდათ თოთხმეტ-თოთხმეტი წელი. ახლაც გვერდით გამდგარან და უფროსების ლაპარაკში არ ერევიან, მაგრამ ყველაფერი ესმით, გული სიხარულით ევსებათ და ბედნიერების ღიმილი აღარ შორდებათ სახიდან.

ნიხასში მყოფ მამაკაცებზე ნაკლებად არც ქალები არიან გახარებულები. ქალს უფლება არ აქვს მამაკაცების ლაპარაკში ჩაერიოს ან თავისი აზრი გამოთქვას, ის კი არა, ქალებმა მამაკაცებს ხმა არ უნდა გააგონონ, რძლები კი უფროსებს სულაც არასოდეს დაელაპარაკებიან.

მაგრამ დღეს სხვა დღეა. სიხარულმა დაჯაბნა ადათი და ხანდახან რძლების მიიარული გადაძახილები ნიხასამდეც აღწევს. აულის თავკაცები გრძნობენ ამ ხმებს იქით რა სიხარული იმალება და ყურს ყურუებენ, ვითომც არაფერი ესმით.

საშოვრიდან დაბრუნებულებმა უფროსებს თავიდან ბოლომდე რომ უთხრეს თავიანთი ამბავი, სლონათი გვარის უხუცესმა ბერდიმ დაკოჟრებული ხელისგული თეთრ წვერზე ჩამოისვა და თიზმაგხოხისკენ შებრუნებულმა პირჯვარი გადაისახა.

— დიდება უფალს და ვასთირჯის, ვინც თქვენ კეთილ გზაზე გატარათ. ახლა აღარაფერი გვეჭირს, იქნება ლუკმა არ მოგვაკლდეს მთელი წელი. ცოტაოდენი ქერიც გავლეწეთ. არც პირუტყვს მოსვლია ზიანი, მართალია, ამას წინათ ძეჯის სამი ცხვარი მყინვარში ჩაიჩეხა და ილასის ძროხაც მთიდან დაგორდა, მაგრამ ეს არც კია ჩასათვლელი ზარალში. ღვთის შეწევნით ეს დანაკლისი ერთიორად აგვინაზღაურდება გაისად.

— დიდება უფალს, დიდება უფალს, — პირჯვარი გადაისახეს სხვებმაც.

— ბერდ, შენ ჭკუა არ გესწავლება, ყველაფერი გესმის, მაგრამ რას იტყვი, ბიჭები მშვიდობით დაგვიბრუნდნენ, ჭირნახულიც ბლომად გადმოიტანეს, ვასთირჯის სახელი არ ვახსენოთ?

— აუცილებლად, ილას... წესი წესია, ვენაცვალე იმის მადლსა, მაშრის იმედით ვისტუმრებთ ხოლმე, ვასთირჯი სხვა დროსაც დაიფარავს ჩვენს ხალხს, მაგრამ ჯერ ცოტა დაისვენონ, შინაურები მოისიყვარულონ. თანაც ხვალ სათიბში გავდივართ, ბალახი გადამწივდა. ახლა წვიმა თუ წამოვიდა, ცარიელზე დავრჩებით, ამ ზამთარს პირუტყვი შიმშილით გაგვიწყდება.

ყველა დაეთანხმა ბერდის.

მზე ჩასვლას აპირებდა, ქვა-სკამიდან, რომ წამოდგა ბერდი.

— სიტყვა გაგვიგრძელდა, გვეყოფა, ხვალ სათიბზე ვართ გასასვლელები, შინ წადით, ცელები მოამზადეთ, დაისვენეთ. ვასთირჯი კი, ვენაცვალე იმის მადლსა, მოიცდის, თიბვას მოვათავებთ და ვახსენებთ იმის სახელს.

— ღვთის პირით ლაპარაკობ, ბერდ, შინ წასვლის დროა, ნახირი მოდის. მიხედვა უნდა, — დაეთანხმა უფროსებს ილასი და თვალებზე ხელი მოიჩრდილა. მზე უშველებელი წითელი ბურთივით სწრაფად

მიგორავდა დასავლეთისაკენ. დაბლა, ხეობა უკვე ბინდში ეხვეოდა. ცარგასბადანისაკენ ძომავალნი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ბილიკი კი გველის ქერქივით გაუფერულებულიყო. აულის ბოლოს ამ გზაზე ორი მგზავრი გამოჩნდა. — აქეთ მოდიან, — ჩაილაპარაკა ილასმა და ხელი დაუშვა.

უფროსებმა გზას გააყოლეს თვალი და მომავლები იმათაც შენიშნეს.

— ვინ უნდა იყვნენ? ჩვენგან წასული არაევინ არის.

— რა ვიცი, ძალზე მძიმედ კი მოიწევენ წინ, ეტყობათ, გვარიანად დაიღალნენ. თანაც, ალბათ, ჩვენი ხეობიდან არ უნდა იყვნენ.

— შეხედეთ, ერთი ძლივსღა ადგამს ფეხებს. მთლად კარგად არ უნდა იყოს იმის საქმე.

ცარგასბადანელები ასეთ სტუმრებს შეჩვეულები არიან, ვინც კი ჩრდილოეთში მოისურვებს გადასვლას, აქაურობას ვერ ასცდება. ასევე ჩრდილოეთიდან სამხრეთში მომავალმაც აქეთ უნდა გამოიაროს. ამიტომ არავის გაჰკვირვებია მგზავრების გამოჩენა.

ბევრს ეჩქარებოდა შინ, მაგრამ ახლა სანამ იმ მგზავრების ვინაობას არ გაიგებენ, ვინ არიან, საიდან მოდიან და სად მიდიან, მანამ ფეხს არავინ მოიცვლის.

მალე მგზავრებმა ამოივაკეს. ერთი მათგანი კარგად მოყვანილი, მელანივით შავწვერულვაშიანი ახალგაზრდა მტკიცედ მოაბიჯებდა. რუხი ნაბდის ქუდი უხდებოდა, ურჩი თმის კულულები შუბლზე გადმოფანტვოდა, ჩოხის კალთები აკვალთული ჰქონდა, წელზე ყაბალახი ეხვია. ამოქარგული საწვი

იძლება ისე ვერ დაგხვდეთ, როგორც თქვენსავით ძვირფას სტუმრებს ეკადრებათ, მაგრამ რაც შეგვიძლია, არაფერს დავზოგავთ. — ლაპარაკი გაუბა ბერდიმ.

— როგორ შეგაწუხოთ, თქვენ, ალბათ, უჩვენოდაც ბევრი სტუმარი მოგდით.

— სტუმარი ღვთისაა და ჩვენი აულის ღირსებაც ის არის, რომ პურ-მარილზე არ ვძუნწობთ. შეხედე, ბალღი როგორ დაღლილა, ამაღამ დაისვენებთ და დილაზე ვასთირჯი იყოს თქვენი შემწე. წამობრძანდით ჩვენთან, — უთხრა ძაგს ბერდიმ და წასვლა დააპირა.

— დადა, ხომ არ გეწყინება, სტუმრები რომ წაგართვა? — მორიდებით შებედა გაბომ უფროსს.

— თუკი შენ გინდა, შვილო... — უარით გული არ ატკინა ბერდიმ გაბოს.

სტუმრებმა აღარაფერი თქვეს, გაბოს გაჰყვნენ.

მზე ჩავიდა. ხეობიდან ამოჰყვა აღმართს ღამე და შავ ნაბადში გაახვია მთები. აულის ნახირი ბღავილით ბრუნდებოდა შინ. აქა-იქ შუქიც აკიაფდა.

მწუხრის ზეწარქვეშ გაინაბა ცარგასბადანი.

2.

კედელზე მიკრული კვარი სუსტად ანათებს მიწურს. შუაცეცხლზე წივის ლურჯი ალის ენები ერდოდან ჩამოშვებულ ჯაჭვზე დაკიდებულ სპილენძის ქვაბის ძირს ლოკავს, გვერდებზე ასდევს და სულ მაღლა-მაღლა მიიწევს. უფერული კვამლის ჭავლი ერდოს აცდება თუ არა, საღამოს ნიავი აქეთ-იქით გააქან-გამოაქანებს, მიგრეხ-მოგრეხს და მერე ხეობისაკენ გააქროლებს.

წივის სუნითაა გაჟღენთილი მიწური. მასპინძლები, ალბათ, შეჩვეულები არიან და ვეღარ გრძნობენ მძაფრ სუნს. მაგრამ სტუმრებს თავბრუ დაახვია და ხან ერთს აუტყდება ხველა, ხან მეორეს.

მიწურის სიღრმეში ფინგთან[1] მოხარატებულ კალათჯინში გვარის უხუცესი ბერდი ზის. სანეთამ წეღან გაბოს დააძახებინა, სტუმრებთან პური გატეხეო. აქეთ-იქიდან დაბალ სამფეხა სკამებზე სტუმრები უსხედან ფინგს. ისინი დაღლილები და მოშივებულები რომ არიან, გრძნობენ მასპინძლები და ვახშამს აჩქარებენ.

გაბო თვითონაც რამდენიმე დღე გზაში იყო, მაგრამ სტუმრებთან დაღლილობას არ იმჩნევს. ხან წივას შეუმატებს ცეცხლს, ხან დედას წაახმარებს ხელს. თან თვალს არ აშორებს თავის კბილა ბიჭს. უნდა დაელაპარაკოს, ჰკითხოს საიდან მოდის, ვისი გვარისაა, თავის მგზავრობის ამბავსაც ეტყოდა, მაგრამ საამისო დრო ვერ მოიხელთა, თუმცა წეღანს აქეთ რამდენჯერმე სცადა გაბომ სტუმრის ლაპარაკში ჩათ-

[1] ფინგი — სამფეხა მომცრო სუფრა.

რევა, მაგრამ ის მარტო თავის დაქნევით პასუხობს, ხმას კი არ იღებს. ძალიან დაღონებული ეჩვენება, აგერ ახლაც ზის და თავი მკერდზე ჩამოუვარდა.

შეეცოდა სტუმარი ბიჭი, ბარემ აჩქარებს ვახშამს, მაგრამ ცეცხლმა თავისი საქმის თვითონ უკეთ იცის.

გაბოს დედა სანეთა იმ დღეს მწყემსად იყო, მოუმზადებელს მოუსწრეს მისმა საფიცარმა ბიჭმაც და სტუმრებმაც.

სახელოვანი ქალია სანეთა. ახალი პატარძალი იყო, მისი მეუღლე აგუბე საშოვარზე რომ წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. გზაში ზვავმა დაიტანა. ჩვილი ბავშვით დარჩა. გათხოვება აღარ ისურვა. ჭკვიანი და აზრიანი ქალი ვაჟკაცივით შეეჭიდა ცხოვრებას.

მერე როგორ ეჩქარებოდა შვილის გაზრდა, ოჯახის დედას მამაკაცის ტვირთი ამძიმებდა უკვე. და აი მისი იმედი საკუთარ ფეხზე დადგა. პურის მოტანა შეძლო. პირველად არის, რომ ოჯახში თავის სახელზე სტუმარი შემოიყვანა. ამაზე დიდი ბედნიერება რაღა იქნება დედისათვის. ახლა ცდილობს, სტუმრებს ღირსეულად შეხვდეს, არ შეარცხვინოს ბიჭი.

აგუნდამ ძილში წამოიკვნესა და შეშინებულს გამოეღვიძა, ნახევრად ბნელ მიწურში თვალი მოატარა, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგონია, ყველა თავისი საქმით იყო გართული. აგუნდამ სკამი უკან გასწია და სანამ სუფრას გაშლიდნენ ითმენდა, მაგრამ თითქოს ეკლებზე იჯდა.

3.

ცარგასბადანში ზამთარი ადრე მოდის, გაზაფხული — გვიან. სამაგიეროდ მზე საღამოთი გვიან ჩადის, დილით კი ადრე ამოდის. ქვევით ხეობაში ბნელა, იქ ხალხი დილის ძილშია, ცარგასბადანში კი ხალხი უკვე საქმიანობს.

იმ დილით, როგორც კი თოზმაგხოხის წვერზე მზემ გაიღვიძა, აულში ღამის წყვდიადი თითქოს წვეტიან ქვებზე წაიქცაო, აბლაბუდასავით დაიფთილა. ხეობისაკენ იბრუნა პირი და შეუმჩნევლად გაიპარა.

დილის დაბადება აულს ილასის სახედარმა ახარა, როგორც მოლა უხმობს მინარეთიდან მორწმუნეებს სალოცავად, ისე იმანაც ყროყინი აულის თავიდან მორთო, გათენდა, როდემდის უნდა ვიდგე მშიერი, გამიშვით საძოვარზეო.

სახედარს ყროყინი არ მოეთავებინა, რომ ცელზე გაკრული სალესავის ნაცნობი ხმა მოისმა, მალე მთელს აულში მხოლოდ ეს ხმაღა ისმოდა.

სულ გამოფხიზლდა აული, ისმოდა გაძახილ-გამოძახილი.

ცელის ლესვის ხმა სანეთამაც გაიგონა. ბიჭი ისევ ღრმა ძილში იყო და გასაღვიძებლად ვერ გაიმეტა. თვითონ სასწრაფოდ წამოხტა, ტანსაცმელი ჩაიცვა. სტუმრებს საგზალი გაუმზადა და პატარა ხელსახოც-

ში გამოჰკრა. კარზე მორიდებით მიაკაკუნა. პასუხის მაგიერ კვნესა შემოესმა.

კვნესამ შეაკრთო სანეთა, უნდოდა ოთახში შესულიყო, მაგრამ ვერ გაბედა, მამაკაცებისა მოერიდა. ისევ ფრთხილად მიაკაკუნა. ცოტა ხნის შემდეგ ძანგმა კარი გამოაღო. სანეთამ საგზალი მიაწოდა:

— საგზალი აიღეთ, შორი გზაა. დაგჭირდებათ.

— დიდი მადლობა, ჩემო დაო, არ ვიცი, რითი გადაგიხადოთ პატივისცემა.

სანეთას კიდევ მოესმა კვნესა.

— ვინა კვნესის? — იკითხა მან.

— ამხანაგი, — უპასუხა დაღონებულმა ძანგმა.

— რა მოუვიდა?

— რა ვიცი, ფეხები დაუსივდა.

— ეე, ეგ ვერ არის კარგი საქმე. აბა ვნახო, იქნებ ვუწამლოთ.

სანეთა ოთახში შევიდა.

— აბა, ერთი მაჩვენე, სადა გტკივა, შვილო.

აგუნდამ ფეხი აჩვენა. სანეთამ ხელი გაუსვა შესიებულ კოჭზე, თითებზე ყურძნის მარცვლის სიმსხო ბებერები ასხდა. ქუსლი, ეტყობოდა, ჭაჭზე ჩამოეკრა, გაგლეჯილი არ იყო, მაგრამ საკმაოდ დაჟეჟოდა და სისხლი ჩაქცეოდა.

— უი ჩემს თვალებსა, რა გიქნია ეს, შვილო, ამ ფეხებით სიარული როგორ შეიძლება, ისიც მთაში.

— რაღა ვქნა, არ ვიცი, დროზე თუ არ გადავასწარით, — ჩაილაპარაკა შეწუხებულმა ძანგმა.

— ახლა მაგაზე ლაპარაკი ზედმეტია. რამდენიმე დღე მოცდა მოგიწევთ, სხვა გამოსავალი არ არის. მაგ ფეხებით ეგ აულსაც ვერ გასცდება, სანაგაანთ ვაზნომ იცის წამლობა, დავუძახებ.

— არ ვიცი, ხელმოკლე მგზავრები ვართ, როგორ შეგაწუხოთ ამდენი. ყველას თავის თავი უჭირს, — დაირცხვინა ძანგმა.

— რა ვქნათ, ყველაფერი ღვთის ნებაა, მაგის ბრალი ხომ არ არის, ფეხები რომ დაეჟეჟა.

— სანეთ, საქონელი გამოუშვი! — მოისმა ეზოდან.

— მომიკვდეს თავი, ჯერ ძროხა არც კი მომიწველია. — დაფაცურდა სანეთა. — მაპატიეთ, ახლავე... გაბო, შვილო, სტუმრებს მიმიხედე.

სანეთამ მარდად გაირბინა გარეთ. აგუნდა ნაბადზე წამოჯდა.

— ეს რა ვქენი, გუშინ იმ ოხერა ხიდიდან რომ არ გადმოვმხტარიყავ, არაფერიც არ იქნებოდა, — აგუნდას ტირილი ყელში ებჯინებოდა. მითხარი და არ დაგიჯერე... ძალიან მტკივა, ძანგ.

— ცოტა მოითმინე, ჩემო ყველავ, ერთი-ორი დღე და გაგივლის. მერე ისევ ჩვენს გზას გავუდგებით. საწყენია, რომ სწორედ ახლა, ამ გაცხარებული მუშაობის დროს ვაცდენთ მასპინძლებს.

კარი გაიღო და გაბო შემოვიდა. აგუნდა შეკრთა. ქუდი გადაეწია თავზე და ოქროსფერი თმის კულულები ყურებზე ჩამოეშალა. აგუნდა

დაიბნა, ძლივს მოახერხა თმის ქუდში შემალვა, გაბომ ვითომ ვერაფერი შენიშნა.

— დედამ მითხრა, ამხანაგი ავად გყოლია, — მიუბრუნდა ის ძანგს.

— ჰო, ფეხზე ვეღარ დგება.

— საწყენია. არ მომერიდოთ, თუ რამეში გამოგადგებით...

— არაფერია, გმადლობთ.

— მე სათიბზე მივდივარ, მაპატიეთ, ჯერ ცელიც არ გამილესია.

— წადი, წადი, ჩვენი მიზეზით არ დაიგვიანო.

მალე დერეფნიდან ცელზე გაკრული სალესავის ხმა მისწვდა ძანგის სმენას.

გაბომ ცელს პირი აუწყო, ჭიშკართან ღობეზე მიაყუდა და ერდოდან მეორე ჩამოიღო. „ეს ვიღასთვის უნდა?“ — გაიფიქრა ძანგმა, უნდოდა შეჰკითხოდა გაბოს, მაგრამ სწორედ ამ დროს ქვემოდან სიმღერა მოისმა. სამი მთიბავი გამოჩნდა, უკან მფოცხავები მოჰყვებიან, ყველა მხიარულობს. მათი სიცილი და სიმღერა შორს ისმის.

აული დაიძრა სათიბისაკენ.

ეზოში სანეთა შემოვიდა, კედელზე მიყუდებული ცელი აიღო და დერეფნის ქვემო ფრთაზე ჭერში ჩამოჰკიდა.

— რად ჩამოჰკიდე, დედი? — შეეკითხა დედას გაბო.

— სახლში ავადმყოფი გვყავს.

ძანგი მიხვდა, რომ ქალი სათიბში აღარ მიდიოდა და მათი მიზეზით შინ უნდა დარჩენილიყო. მოულოდნელად დაებადა სურვილი მასპინძლის მაგიერ წასულიყო სათიბად. მარდად გაიარა დერეფანი და ცელი ჩამოიღო.

— ჩემო დაო, დამრთეთ ნება, შეგცვალოთ...

— როგორ გეკადრებათ, ეგ ხომ ჩვენი თავის მოჭრა იქნება. ხალხი დამცინებს, სლონაანთ ქვრივმა სტუმრებს თავის ჭერქვეშ ღამე გაათევინა და მეორე დღეს საქმეზე დააყენაო, — შორს დაიჭირა სანეთამ.

— ძალიან გთხოვთ. შხამად შემერგება თქვენი პურ-მარილი, ჩვენი მიზეზით რომ დაგაკლდეთ რამე, წავალ, თუ თქვენ ჩვენი პატივისცემა გინდათ, დღეს გულგასიებულს ნუ მამყოფებთ შინ, სირცხვილი მომკლავს მაინც.

— კარგი, რაკი არ იშლი, რა გიყო.

4.

ხშირი ბალახი წელამდე სწვდება მთიბავებს. გაბო და ძანგი სვეში ჩადგნენ. წინ ძანგი, უკან — გაბო.

ძანგს ხელ-ფეხი გაეხსნა. ღონიერი მკლავები, თითქოს მოძალადე მტრისკენ იწევენო, ისე დაიჭიმა, იწივლა ცელმა და ძანგის უკან მოცელილი ბალახის სვრელი დარჩა. ასე არასოდეს შეუნატრია ხალხისათვის. აგერ სათიბს მთელი აული შესევია. ორ-ორნი, სამ-სამნი, ოთხ-ოთხნი და ხუთ-ხუთნიც კი, თითქოს ცაში წეროები ქარს დაუფანტავ-

სო, ისე ჩანან მთიბავები შორიდან. ესენი ცალ-ცალკე ოჯახებია. თიბავენ შემოსულ ბალახს, ყველა მხიარულობს, ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან ისმის „ჰეპ-ჰოპი!“ ან თუნდაც აი მისი მასპინძელი, სულ ახალგაზრდაა. ცელის სისინზე მიხვდა ძანგი, რომ ის სადღაც უკან დარჩა. მართალია, ხელმოკლე ოჯახია, წლის სარჩოს მარცვალ-მარცვალ აგროვებენ, მაგრამ ძანგთან შედარებით მაინც ბედნიერები არიან. აქვთ საკუთარი ჭერი, მიწის პატარა ნაჭერი, რაღაც იმედი. ჰაი გიდი, ნეტავ საკუთარ სათიბში ერთი სვე გაატანინა და მერე თუნდაც სათიბის ბოლოში მოკვდეს, აღარ ინაღვლებს.

ამ მძიმე ფიქრებში ისე გაიტანა სვე, ვერც გაიგო. მობრუნდა და გაბო ვეღარ დაინახა. უკან დაუყვა ნათიბს. შორს გამოჩნდა გაბო. მძიმედ დადებულ ურემში შებმული ხარი რომ გაილექება სიცხეში, ისეა გალექებული ჯერ კიდევ თითქმის ბავშვი მთიბავი. ცელს რომ წამოუსვამს, მხარ-მკლავის გამართვას ვეღარ ახერხებს, მის ბავშვურ სახეზე დაგორებულ ოფლის მსხვილ წვეთებში მზე ათინათობს.

ძანგი მიხვდა, რომ დააშავა. ძალზე განიერი სვე დაიჭირა. გამოუცდელი ყმაწვილი შეეჯიბრა მას, თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, უკან ჩამორჩენოდა და ლამის გული ამოუვარდეს. შეეცოდა, გვერდით ამოუდგა, გაამხნევა.

— განიერი სვე წამოგიღია, ძამია, ცელი კი მოკლე გიჭირავს, იმიტომ დაიღალე, ისე ძალზე მარჯვედ თიბავ.

გაბომ ხმა არ ამოიღო. მხოლოდ ცნობისმოყვარე მზერა ესროლა. ძანგმა იგრძნო, რაც ამ გამოხედვაში იმალებოდა.

რაღაცნაირი ეჩვენება გაბოს სტუმარი. დღეს დილით რაც მან საკუთარი თვალით იხილა, აძლევს ამის საბაბს. „თუ ვაქკაცია, რატომ მალავს ქალს კაცის ტანისამოსში. ან ვინ არის? ასე შორ მანძილზე როგორ წამოჰყვა კაცურად ჩაცმული ქალი?“

„არა, სად გაგონილა ქალი კაცის ტანსაცმელში ატარო? ლაჩარია ვიღაც. თუ ქალის დაცვა არ შეგიძლია, მაშინ სად ჯანდაბაში მიდიხარ?“ — ფიქრობს გაბო და თავის სტუმარს ზიზღით უყურებს. დალაპარაკებასაც აღარ კადრულობს მასთან. ასეთმა უღონომ და მშიშარამ რა უნდა გათიბოს, ცელს ქვებზე დააჩლუნგებს, სხვა რა!.. პირველი სვე რომ ჩამოიღეს, გაბო გახგებ ჩამორჩა ძანგს, მერე წამოვეწევი და ამ უბედურს გულს გავუხეთქავო.

მაგრამ არც ისე იყო საქმე, როგორც გაბო ფიქრობდა. ძანგმა სვე წაიღო და მერე უკან აღარც მოუხედავს. გაბო მიჰყვა უკან. ეგონა ახლავე დავეწევი და უკან ჩამოვიტოვებო, მაგრამ ძანგი ბოლოში გავიდა, თვითონ კი ჯერ შუაზეც არ იყო და ლოხი კამეჩივით დამძიმდა. როცა ძანგი უკან მობრუნდა და გაბოს უთანაგრძნო, ამან სულ მოკლა ბიჭი, ხმას არ იღებს; ისე, სტუმარიც სიტყვაძუნწია. რაღაც დიდი დარდიც აწევს გულზე. და თითქოს ჯავრს ბალახზე იყრისო. ისე უსვამს ცელს. ხანდახან ცელის ტარს დაეყრდნობა და ხეობის სიღრმეში იყურება დაჟინებით, კაცი იფიქრებს, იქიდან ვიღაცას ელისო. სად იყუ-

რება? ვის ელოდება? არა, უნდა ჰკითხოს. ვინ არის? ხომ შეიძლება, ვიღაც ბოროტმოქმედი იყოს, ხვალ-ზეგ მასაც რომ უსაყვედურონ, ოჯახში რად შეიყვანეო.

მზემ მაღლა აიწია და მწველი სხივები კონად გადმოაყარა დედამიწას. დაცხა. გაყინული კარტოფილის გვერდივით სახეს ოფლი აღარ აშრება, ბეჭებზეც გამოჟონა. გაბოს სვეც ძანგმა გაიტანა ბოლომდე, ცელი მიწაში ჩაარჭო და გათიბულ ბალახზე გულაღმა გადაწვა. ნაბდის ქუდი სახეზე დაიფარა და თვალები დახუჭა. გაბოც იქვე ზის. შესაფერ დროს ეძებს, უნდა გაიგოს, რაც აინტერესებს, მაგრამ როგორ ჰკითხოს? სირცხვილია, ჯერ ერთი უფროსია, მეორეც — სტუმარია.

ძანგმა გვერდი იცვალა, მკლავს დაეყრდნო და გაბოს მიაჩერდა.

— გაბო, რაღაც გინდა მკითხო და ვერ გაგიბედია.

გაბო ამ შეკითხვას არ ელოდა და შეკრთა.

— რატომ გგონია ასე?

— ვხედავ, თვალებში გეტყობა, გულახდილები რომ ვყოფილიყავით აჯობებდა, გაბო, თორემ გასათიბი ჯერ ბევრი გვაქვს და ასე უბრებივით როდემდე ვიქნებით? მითხარი, რამ დაგაეჭვა ჩემში?

გაბო ერთხანს კიდევ იჯდა გაჩუმებული და მერეღა ამოღერღა:

— გეტყვი, რაკი შენ თვითონ...

— გისმენ.

— მაპატიე, იქნებ უფლებაც არა მაქვს, ასეთი საჩოთირო კითხვა დაგისვა, მაგრამ დილას აქეთ ვიტანჯები.

— ვიცი.

გაბოს ენა ჩაუვარდა, ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა.

— ცუდი არაფერი იფიქრო, ცოლია ჩემი.

— ცოლი? — თვალები დააჭყიტა გაბომ.

— ჰო, ცოლი.

— მაშ, კაცურად რად არის ჩაცმული? — უფრო დაეჭვდა ბიჭი.

— მოვიტაცე. გზაში კი, ხომ იცი, ათასი ხიფათია, მდევარს ავუხვიე თვალი. როგორც უმცროს ძმას, ისეთი თვალით გიყურებ, დამიჯერე, ძალა არ მიხმარია. თავისი სურვილით გამომყვა. დიდგვაროვანთა შთამომავალია, მამამისი უმალ საკუთარი ხელით დაახრჩობდა ქალიშვილს, ვიდრე მე გამომაყოლებდა.

— რას გიწუნებდა?

— ის ალდარი იყო, მე მოჯამაგირე.

— სადაური ხარ?

— ეგ გრძელი ამბავია, ჩემო გაბო, ერთ კვირას ვერ მოვრჩები ჩემში თავგადასავლის თხრობას. მაგრამ ეჭვი რომ გაგიფანტო, ყველაფერს მოკლედ გეტყვი, თორემ გასათიბი დაგვრჩება და ხალხი დაგვცინებს.

ძანგი წამოჯდა. მოთიბული ბალახის ღერი აიღო და კბილით გაღეჭა, მერე განზე გადააფურთხა და სადღაც შორს სივრცეს გაუშტერა თვალი. ყველაფერი უამბო გაბოს.

— აი ეს არის ჩემი ამბავი, ჩემო პატარა მასპინძელო. იცოდე, მორწმუნე პირველად რომ აღსარებას ეტყვის მღვდელს, ისე გადაგიშალე გული. ყველაფერი გითხარი, ახლა იცი, რომ ერთი დღეც არ მინახავს სიხარული. მაგრამ როგორც ვაჟკაცს გენდობი, შენს მეტმა ჩემი ამბავი არავინ უნდა იცოდეს, ახალგაზრდა ხარ, მაგრამ გატყობ, განსჯის უნარი გაქვს, შენ თვითონ განსაჯე.

გაბო დუმდა, მაგრამ გულისყურით ისმენდა სტუმრის ნაამბობს. თვალწინ წარმოუდგა ძანგის უსიხარულოდ გატარებული ცხოვრება, თითქოს მასთან ერთად გაევლო ის ეკლიანი გზები, რომლის დავიწყებას ვერასოდეს შეძლებს ძანგის დაბეჩავებული გული. სტუმრის ნაამბობიდან ბევრი ვერ გაიგო გაბომ, მაგრამ იმას კი კარგად მიხვდა, რომ მის ნაღვლიან ისტორიაში მთავარი დამნაშავე ხელმოკლეობა იყო. გაბომაც საკუთარ ზურგზე გამოცადა სიღარიბის სიმწვავე და ახლა ასე მწარედ იმიტომ განიცდის უთვისტომო, ღარიბ-ღატაკი ადამიანის მდგომარეობას. გაბოც ხომ ადრე დაობლდა. ის კი არა, არც ახსოვს მამა. ხოლო რაც თავის თავი შეიცნო, სიღარიბე მაჯლაჯუნასავით აწევს მხრებზე და ვერ მოუშორებია. ბავშვობაში ამხანაგებს რომ წაეჩხუბებოდა, უდანაშაულოს არავინ გამოესარჩლებოდა. ან კიდევ, როცა მძიმე საკეს აკეთებდა, დაიღლებოდა, უნდოდა გვერდით ჰყოლოდა ადამიანი, რომელიც დაეხმარებოდა, ხელს შეაშველებდა, მაგრამ არავინ იყო ასეთი. აგერ ახლა გამოჩნდა ასეთი ადამიანი. შორი გზიდან მოსული მგზავრი, რომელმაც რამდენჯერმე „პატარა ძმა“ უწოდა. ძმა კი იმედია, ხელმოკლე კაცის ხელშემწყობი. თანაც ასეთი! პატარაობის აქეთ რომ ოცნებობდა, ისეთი ძმა, ვინც სიძნელეებს არ გაუტყდა, სატრფო ავ ადამიანებს ხელიდან გამოსტაცა...

— მაპატიე, ძანგ, მე კი, ვინ იცის, რა არ ვიფიქრე შენზე. გმადლობ, რომ გული გადამიშალე, გაფრთხილება საჭირო არ არის, საიდუმლო, რომელიც შენ გამანდე, ჩემთან ერთად მოკვდება. პატარა ძმა მიწოდე. არც მე მყავს ის და შენ იქნები ჩემი უფროსი ძმა. არ შეგარცხვენ. თუ დაგჭირდი, არ მომერიდო, შენთან ვიქნები ყოველთვის. — თითქოს პატიებას ითხოვსო, ისე ჩაილაპარაკა გაბომ და ძანგს გვერდით მიუჯდა.

— გადღეგრძელოს ღმერთმა, გაბო, შენს პატივისცემას ვერასოდეს გადავიხდი, შენს ჭერქვეშ მომეცი ბინა, თანაც ავადმყოფი... იცოდე, სადაც უნდა ვიყო, რა ბედიც არ უნდა მეწიოს, შენ და დედაშენს არასოდეს დაგივიწყებთ. სიტყვა გაგვიგრძელდა, გაბო, აბა ერთი ცივი წყალი ამოარბენინე, თორემ ისედაც გავცდით.

მზე საშუადღეოზე აგორდა. სანეთამ სამხარი ამოიტანა. თან ფოცხი და ორთითიც გამოეყოლებინა. ძანგისა და გაბოს ნამუშევრით კმაყოფილი დარჩა.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, სტუმარო, მკლავში ძალა ნურასოდეს გამოგლეოდეს. ამდენის გათიბვას მე და ჩემი ბიჭი ორ კვირას ვუნდებოდით, თქვენ კი შუადღემდე მოგისწრიათ.

— ნეტავ დაგანახვა, ნანა, როგორ თიბავს. თავს მოვიჭრი, თუ ჩვენს აულში ყველას არ აჯობოს.

— ჩვენისთანა ხელმოკლე ხალხის დახმარება ღვთის საამებელი საქმეა, შვილო. აბა, ხელი გადაიბანეთ, თორემ სამხარი გაგრილდება, სტუმრის საკადრისი ვერაფერი გავახერხე, მაგრამ... ჰო, მართლა, ავადმყოფის დარდიც ნუ გექნება. ბერდიმ რაღაც წამლებით შეუკრა, ტკივილები დაუამდა, ჩაძინებული დავტოვე.

ძანგმა შვებით ამოისუნთქა.

სამხარს ჩქარა მორჩნენ. სანეთამ ჭურჭელი აალაგა, ძანგი წყაროზე ჩავიდა.

— შვილო, ის ბიჭი რაღაც უცნაურად იქცევა, არც ტანსაცმელს იხდის, ქუდიც თავზე ახურავს. თითქოს ეშინია ჩოხა-ახალუხი არავინ მოსტაცოს. თუ არ გვენდობა?! რამდენი ვეხვეწე, არც დამელაპარაკა, თითქოს ახალი პატარძალი იყოს, ისეა დარცხვენილი. — ჩურჩულით გაანდო თავის ეჭვი დედამ შვილს.

გაბო იღიმებოდა.

— კი არ რცხვენია, ეშინია, ნანა.

— ეშინია? ჩემი? რისა, შვილო?

— იმისი, რომ... — პირზე მომდგარი სიტყვა შეიკავა გაბომ, — დაანებე თავი.

— არა, არა, შენ რაღაც იცი და მიმალავ, იქნებ ვაწყენინეთ რამე, ან იქნებ ჩემს გაჭირვებულ ოჯახს არა კადრულობს? აღარ ვიცი, რა ვიფიქრო.

გაბო მიხვდა, რომ დედა სერიოზულად შფოთავდა და საჭირო იყო მისთვის სიმართლე ეთქვა.

— ყური მიგდე, ნანა, მხოლოდ არავის უთხრა, ძანგს სიტყვა მიეეცი.

— რა სიტყვა? არაფერი მესმის.

— ჩვენი ავადმყოფი სტუმარი ბიჭი არ არის.

— როგორ თუ არ არის?

— ქალია. ძანგის ცოლია.

სანეთა გაშრა.

— ძანგის ცოლიო? კი მაგრამ...

— ჰო, ძანგის ცოლია. ერთმანეთი უყვართ. ქალის მამა ალდარი ყოფილა. ძანგს ხმაც არ ამოაღებინა თურმე. დაიჭირა და დილეგში ჩააგდო. ქალი თვითონ გამოჰყოლია. ჰოდა, ეჭვი რომ არავის აეღო, ჩრდილოეთშიც იმიტომ მიდიან. სხვას ნურაფერს მკითხავ, ნანა, შეეცადე დროზე მოურჩეს ფეხი. დაგვიანება აღარ ეგების, ჩრდილოეთშიც მზამზარეული კი არ დახვდებათ, მერე და მერე სამუშაოს შოვნა უფრო გაუჭირდებათ.

— ჰე, ეგეც ეგრე. მე კი მეგონა, არა გვკადრულობს-მეთქი.

5.

ძანგი და გაბო თიბვას მორჩნენ. თივა დააბულულეს. მერე ბოსელთან ჩამოზიდეს და დიდი ზვინები დადგეს.

— ახლა აღარ მედარდები, ძმაო, — უთხრა გაბოს ძანგმა და უკანასკნელ ზვინს წვერზე თივის თოკი შემოუჭირა, თივა საკმარი გაქვთ, ამ ზამთარს ეყოფა შენს საქონელს.

ძანგი ზვინის თავიდან ფრთხილად ჩამოცურდა და იქვე ლასტის ღობეს მიეყრდნო.

— შენ რომ არა, ძანგ, მე და დედას ძალიან გაგვიჭირდებოდა. ჯაურები მთაში დაგვრჩებოდა. — მადლიერებით სავსე თვალები შეანათა გაბომ თავის კეთილისმყოფელს, — დაგტანჯეთ, მაგრამ იქნებ მეც როდისმე გამოგადგე.

— აბა, რას ამბობ, გაბო, ასე ბედნიერი ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. სიმართლე გითხრა, არ მინდოდა, ისე წავსულიყავ, თივა ჩამოსატანი დაგრჩენოდა. ახლა კი ჯამშვიდებული წავალ, აგუნდასაც მოურჩა ფეხი. დილაზე დაგემშვიდობებით.

მზე გორას მოეფარა. გრილმა ნივმა წამოუბერა. ესიამოვნათ დაღლილებს და შინ წასვლას არა ჩქარობენ. მოულოდნელად თავზე წამოადგათ სლონაანთ ბრძენკაცი ბერდი. ძანგი და გაბო ფეხზე წამოუდგნენ.

— ისხედით, ისხედით, შვილებო, დღეს არ დაგისვენიათ, — მერე ზვინებს თვალი შეავლო და ძანგს მარჯვენა დაულოცა: — ღმერთმა დღე მოგცეს, ობოლს ხელი წაახმარე. ლაპარაკი შეგაწყვეტინეთ... შენთან მოვედი, გაბო, დილაზე თუ მოიცლიდი, გასათიბი დამრჩა, ზიუ მოვაწყოთ-მეთქი, მაგრამ ხალხს არა სცალია და... რა ვიცი. ბალახი გადაუხეშდება, თანაც ამინდზე ნდობაც არ შეიძლება. ბიჭები შემპირდნენ და თუ შენც არ დამამადლი, შვილო, ხვალ მომეხმარე. მერიდება ხალხის შეწუხება, მაგრამ მეტი გზაც რომ არა მაქვს.

— კარგი, კარგი, დადა. დილაზე ჩემს სტუმრებს გავაცილებ და...

ძანგი მიხვდა, რომ გვარის უხუცესს ეძნელებოდა ისედაც გაჭირვებული ხალხის მოცდენა. რა თქმა უნდა, უარს არავინ ეტყვის, თავიანთ საქმეს მიატოვებენ და მას მიეხმარებიან, ზიუს არ გააცდენენ.

მერე ძანგი? რამდენჯერ შეაწუხა ბერიკაცი. მას უმადლის, ასე ჩქარა რომ მოურჩა აგუნდას გასიებული ფეხი. იმ დღეს ძღვენიც მოართვა ავადმყოფს. რა ქნას, პატივისცემას პატივისცემა უნდა. ბერიკაცს ზიუ აქვს, ძანგს არ შეუძლია თავი აარიდოს, რა მოხდა, ერთი დღე გინდ იქით იყოს, გინდ აქეთ.

— ხვალ მეც მოგეხმარები, დადა, — უთხრა ბერიკაცს.

— არა, შვილო, ჯერ ერთი სტუმარი ხარ, მეორეც გზაზე დგახარ. ამ ობოლს რომ მიეხმარე, მაგაზეც მთელი აულის სახელით გიხდი მადლობას.

— ერთი დღე რა ჩასათვლელია. რა მეჩქარება, მე შენ გითხრა, დამხვდება გამართული ცხოვრება.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, შვილო, ასეთი სიკეთისათვის. — კმაყოფილი ბერიკაცი ჯოხის ბჯენით გაეშურა შინისაკენ.

მეორე დილით ცარგასბადანელი მთიბავები ადრე შეუყვნენ სერს.

მთიბავები ერთიმეორეს ეჯიბრებიან. ერთი თუ დაწინაურდა, მეორე ააჩქარებს ხელს და მალე ეწევა. ერთი ნაბიჯითაც არ უნდა ჩამორჩე, თორემ შენს გვერდით მდგომი წინ გაგისწრებს, სვეს გადაგიჭრის. ჯერ ერთი, შეჯიბრებაში დამარცხება არავის უნდა, მეორეც ის, რომ უკან მფოცხავი ქალიშვილები მოჰყვებიან, ისინი თივას ხვეტენ, თან მთიბავებს უთვალთვალებენ და თუ ვისმე დაღლა შეატყვეს, მწარედ დასციხიან. აბა, ვის უნდა მათ ყბაში ჩავარდნა!

ზიუ შრომის დღესასწაულია მთაში, მოხუცებიც იღებენ მონაწილეობას, უფრო კი თვალს ადევნებენ მოწიფული ვაჟკაცების შრომას, თვითონ კი ახალგაზრდობის დღეებს იხსენებენ და ამით რაღაცნაირ გამოუცნობ სიხარულსა და შვებას განიცდიან. ვისაც ცოტა მაინც შეუძლია, იმას უქმად რა გააჩერებს. ზოგი არყის ტოტებს წნავს თივის ბულულის საძირედ, ზოგი დაჩლუნგებულ ცელს ლესავს, ზოგიც ფოცხის კბილებს ამაგრებს. უძლურები კი ქედზე სხედან და წარსულის მოგონებით ერთობიან.

თვითონ ძანგიც კმაყოფილია. თავის სიცოცხლეში პირველად მოხვდა ასეთ შრომისმოყვარე და ერთსულოვან ხალხში. შენატრა მათ, ვისთანაც მკლავის ღონე გამოსცადა, ვისაც თავისი შრომით სიხარული და კმაყოფილება აგრძნობინა. თვითონაც არ იცის რატომ, ოცნებობს, ეს დღე უსასრულოდ გაგრძელდეს. ასე ჰგონია, ქვეყნად აღარც ალდარია, აღარც ძალადობა და აღარც უსამართლობა. ხალხი ერთ ოჯახად შეკრულა და ერთსულოვანი შრომის ძალას დაუჯაბნია ტანჯვაც და წამებაც.

მაგრამ დაღამდება, დილით ძანგი გაიღვიძებს და ყოველივე ის, რამაც დღეს ამდენი სიხარული და ბედნიერება აგრძნობინა, გაქრება და ესეც უსიხარულო წარსულივით მოგონებად დარჩება მხოლოდ.

რა იცოდა ძანგმა, რომ იმ დღეს ისეთი ამბავი მოხდებოდა, რომელიც მის გადაწყვეტილებას სრულიად შეცვლიდა და მისი მოგზაურობის უსასრულო გზა ცარგასბადანში გაწყდებოდა.

მოსაღამოვდა. მზე ცის კაბადონზე ჩასასვლელად გადაეკიდა. მცელავები უკანასკნელ სვრელს ადგანან. მფოცხავებიც ფეხდაფეხ მისდევენ და დაბლა, სადაც აბულულებენ, იქით ხვეტენ თივას. ჯერ კიდევ რამდენიმე ბულულია დასადგმელი. აულიდან ცხენდაცხენ მოვარდა მაცნე:

— რა იქენით, ხალხო, ყაჩაღებმა ჩვენი ცხვარი გარეკეს.

მთიბავებს თავზარი დასცა ამ ამბავმა, მფოცხავებიც ერთ ადგილზე გაქვავდნენ. მებულულეების დამხმარე ქალებს ორთითზე წამოგებული თივა ჰაერში გაუჩერდათ.

— ვაიმე, შვილებო, — იკივლა უცბად დედამ, ვისი ბიჭებიც იმ დღეს მწყემსავდნენ ნახირს. თითქოს ქალის კივილმა გამოაფხიზლაო, ხალხი მაცნეს შემოეხვია.

— დღეს, სადილობისას, თურმე ცხვარი რომ ცაცხვის ჩრდილში დაეყარა, მწყემსებიც იქვე წყაროსთან ისხდნენ. სამი ყაბალახწაკრული კაცი დასცემიათ. დაუჭერიათ და ხელფეხშეკრულები იქვე ღელის პირზე დაუყრიათ. ფარა საით გაირეკეს, ვერ დაუნახავთ შიშით გაოგნებულ ბალღებს. დიდხანს იწვალეს, სანამ ხელ-ფეხს გაინთავისუფლებდნენ. აულში ამბავი მოიტანეს, მაგრამ ყველა აქა ხართ.

მთიბავებმა სიტყვის დამთავრებას არ დაუცადეს, ერთიმეორის მიყოლებით თავქვე დაეშვნენ.

აული აფორიაქებულიყო. ისმოდა ქალების წიოკი, ძაღლების ყეფა-გნიასი. მდევრების აქეთ-იქით სირბილი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს მგლების ხროვა დასცემიათო.

მდევრებს გაბო და ძანგიც მიჰყვნენ. შინ შეირბინეს და აბჯარი აისხეს. აგუნდამ ყაჩაღების დაცემის ამბავი არ იცოდა და ძანგი რომ იარაღასხმული დაინახა, შიშით კინაღამ გული გაუსკდა:

— ვაიმე, დავიღუპეთ? რა მოხდა, ძანგ? ნუთუ მდევარი დაგვეწია?

— ნუ გეშინია, ჩემო მზის სხივო, ჩვენ არავითარი ხიფათი არ გველის, აი აულის ნახირი გაუტაციათ. მეც მივეხმარო-მეთქი, — დააწყნარა ძანგმა ცოლი.

სწორედ ამ დროს სანეთაც მოვარდა, გაბოსა და ძანგს პირდაპირ შეეჩეხა.

— შენ სადღა მიდიხარ? — კითხვა შეაგება ძანგს.

— მდევრებს მივდევ.

— მერე, აგუნდა?

— აგუნდა შინ იქნება. აბა ხალხი ყაჩაღებს დაედევნოს და მე აგუნდას კალთას ამოვეფარო? გინდათ სამუდამოდ თავი მომეჭრას, ხალექსოდ გამხადოს ხალხმა?

— რა ვიცი, სხვისი საქონელია.

— თავი დაანებე, სანეთა, ვიცი მაგისი ხასიათი, არ დაიშლის თავისას. — მოისმა შინიდან აგუნდას ხმა.

— რაკი აგრეა, რა ვიცი, წადით, მაგრამ გაფრთხილდით, ვასთირჯიმ კეთილ გზაზე გატაროთ.

ძანგსა და გაბოს აღარ გაუგონიათ სანეთას ლოცვა, სწრაფად გაირბინეს ეზო და მდევრებს გაეკიდნენ.

6.

ძანგი, გაბო და ძაბეგი უღელტეხილისკენ აჰყვნენ გზას. სადილობამდე მთას წვერზე მოექცნენ. მთელი ხეობა აქედან ხელისგულივით ჩანდა. გატაცებული საქონელი თითქოს ცამ ჩაყლაპა.

ძანგის გონება გამალებით მუშაობდა. რატომ დაიკარგა მდინარეს-

თან კვალი? ცხვარი ცხენი ხომ არ არის, რომ გააჭენო, გუშინ კი იმ-დენი მანძილის გავლას ვერ შეძლებდნენ. ღამით ბრმაა ცხვარი, ფეხ-საც ვერ გადაადგმევინებ. წყალს აღმა ვერ აჰყვებოდნენ. ჩქარი მდი-ნარე ამის საძუალებას არ მისცემდა. თუ მდინარეს ქვევით დააყოლეს?

— ბიჭებო, აქ ტყუილად ვკარგავთ დროს. მე ვფიქრობ, სხვა მხრით გაირეკეს პირუტყვი.

— ვითომ საით? — იკითხა გაბომ.

— წყალ-წყალ. იქნებ ვცდები, მაგრამ უნდა შემოწმდეს ჩემი ვა-რაუდი, სადაც კვალი დაიკარგა, იქიდან უნდა დავიწყოთ ძებნა.

ბიჭები ისევ მდინარისკენ დაეშვნენ. კარგა ხანს მიჰყვნენ დინებას. საეჭვო ვერაფერი შეამჩნიეს. ერთგან მდინარე გაიშალა. წყალი კო-ჭამდე წვდებოდათ, აქეთ ნაპირზე ღარტაფი მოათვალიერეს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახეს. გაღმა გავიდნენ. ძაბეგმა ნაპირზე ცხვრის კვალი შენიშნა.

ცხადი გახდა, რომ აბრაგებს აქეთ გაეტარებინათ ნადავლი.

— ხედავთ? წყალ-წყალ უვლიათ, ეტყობა, საკმაო გამოცდილება აქვთ.

ორი დღე და ღამე იხეტიალეს უკაცრიელ ხევხუვებში. ხანდახან ეჩვენებოდათ, რომ საცაა დავეწიეთ ბოროტმოქმედებსო, მაგრამ ისევ მოულოდნელად იკარგებოდა კვალი. გამოცდილი ქურდები მოხერხე-ბულად უბნევდნენ გზა-კვალს. მესამე ღამეს შხაპუნა წვიმამ გადარეცხა მთა-ველი, რა თქმა უნდა, კვალიც წაიშალა. შეწუხდნენ მდევრები, კრინტს აღარავინ ძრავს. განსაკუთრებით ძანგი ჯავრობს. საქონლის კვალს შუშაზეც კი პოულობდა ხოლმე და ახლა, სამი დღე პატარა ბალღივით ატყუეს, ატყუეს და პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს. ასეთი გაცურება ვერ ეპატიებინა საკუთარი თავისთვის.

ერთ გამოქვაბულში შეაფარეს წვიმას თავი, ღამეც იქვე გაათიეს. დილით, როცა გატაცებული საქონლის პოვნის იმედი სრულიად გადა-უწყდათ, ისევ უღელტეხილზე ავიდნენ.

ნისლი იდგა. თვალთან მიტანილი თითიც არ ჩანდა ერთხანს. მერე მზემ იმარჯვა, მაღლა-მაღლა აიწია ნისლმა და მალე სულაც გაქრა. ძანგმა მოწმენდილ ცას შეხედა. ერთგან ჭილყვავების გუნდი რაღაცას დასტრიალებდა. ხანდახან დაეშვებიან დედამიწაზე, ლენცოფებში ჩაი-კარგებიან, მერე ისევ ცაში აიჭრებიან. რაღაცნაირად ყივიან.

— გაბო, ჩაირბინე ერთი, ნახე, რას დასტრიალებენ.

გაბომ სწრაფად ჩაირბინა დაღმართი და ლენცოფებში გაუჩინარ-და, მალე შორიდან ანიშნა ამხანაგებს, აქ მოდითო.

ძანგი და ძაბეგი თავქვე დაეშვნენ.

— ცხვრის ჯიგარი, ძანგ!

მიათვალიერ-მოათვალიერეს: სულ ახლოს ნაცეცხლური, ნახევრად დახრული ძვლები, ცხვრის თავი, ცოტა მოშორებით ცხვრის ნადგომი, საეჭვო აღარ იყო, რომ წუხელ აქ მდგარან ქურდები. შორს არ წავი-დოდნენ.

ძანგი ბორცვზე შედგა და უფრო დაკვირვებით მოათვალიერა მიდამო. ძალზე ხაცხობი ეჩვენა აქაურობა. ხოლო როცა ორად გაყოფილი პატარა აული დაინახა, რაღა ძიხვედრა უხდოდა, ორი კვირის წინ ამ აულში ტეხთი დადო იყო მათი მასპინძელი. სწორედ ახლა გაახსენდა დადოს სიტყვები: ცალოითი ყაჩაღები ხალხს ძარცვავენ, საქონელს იპარავენ, ხოცავენ და ხორცს სადღაც მყინვარში მალავენო.

— ბიჭებო, მე მგონი ქურდები ვიპოვეთ. აბა ჩქარა, მომყეთ, შორს არ წავიდოდნენ.

კვალს მიჰყვნენ. კვალი კი მყინვარისკენ მიდიოდა. სადილობამდე ზეკარაზე ავიდხენ. აქ გაევლო ფარას. მაღლიდან გადმოიხედეს, ცოტა მოშორებით დაყრილი ცხვარი დაინახეს, ქურდებიც იქვე გაშხლართულიყვნენ. ახლა უკვე სამშვიდობოს ეგონათ ალბათ თავი და სამი დღის ხეტიალის შემდეგ ისვენებდნენ.

ბოლმა ყელში მოაწვა ძანგს. ამ მგლებმა ამოწყვიტეს საოცრად გულკეთილი და შრომისმოყვარე ტეხთი ძმების ოჯახი.

აი ის ქურდები, რომელთაც ადამიანური სახე დაუკარგავთ, მკერდში მტაცებელი ცხოველის გული უცემთ. ჯერ ორი კვირაც არ გასულა, რაც ოთხი ძმა დაასაფლავეს, ძაღლი მიაკვდა იმათაც სულში, და უკვე საქურდლად გავიდნენ ეს არაადამიანები. ასეთები დედამიწას არ უნდა ამძიმებდნენ. ესენი ხალხის შესაწუხებლად დაბადებულან. ამიტომ მათი დაღუპვა ყველას გაეხარდება.

მაგრამ ძანგმა იცის, რომ ამ მხეცებს ხელდახელ ვერაფერს გამორჩება, ამხანაგები, გაბო და ძაბეგი, გამოუცდელები, თითქმის ბავშვები არიან. ძალა აბრაგების მხარეზეა. ჭკუითა და ეშმაკობით უნდა აჯობოს. ძანგს გონება გაუნათდა. ბიჭებს გაანდო ჩანაფიქრი...

მზემ გამეტებით დააჭირა. დაღლილი აბრაგები მოთენთა სითბომ. წუხელ შხაპუნა წვიმამ ძალიან შეაწუხათ. თავი ვერსად მიდეს. წელამდე წყალში ტოპავდნენ. ცხვარი მეტწილად ხელით ატარეს. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ. ახლა თუ არ დაისვენეს, ამდენ ცხვარს დაკვლა და გამოშიგვნა ხომ უნდა. ერთი ყარაულობს ცხვარს, ორნი მდელოზე წამოწვნენ და სულ მალე ხვრინვა ამოუშვეს. მესამე, მართალია ზის, მაგრამ იმასაც სძინავს.

უცებ თოფმა იგრიალა. მჯდომარე აბრაგმა ერთი დაიბღავლა და კარტოფილით სავსე ტომარასავით ჩაპირქვავდა. მძინარენი ერთ არშინზე შეხტნენ, მაგრამ მალე მოეგნენ გონს. წამოცვივდნენ და იარაღს სტაცეს ხელი. აქეთ-იქით იყურებიან, არავინა ჩანს. უკან გადახტნენ და კლდეს მოეფარნენ.

ძანგმა თოფს ფალია გამოუცვალა. ხრამიდან ამოხედვას ვერ გაბედავს, ელის როდის გამოჩნდებიან ყაჩაღები.

რამდენიმე მტანჯველმა წუთმა გაიარა, ცხვარი დაფრთხა და გაიფანტა. ქურდებმა დიდი სიფრთხილით დატოვეს საფარი. დაბრუნებულები გაეცალნენ სახიფათო ადგილს და ხრამისკენ გახოხდნენ.

გაბომ თვალი შეასწრო გაპარულებს და იგრძნო, თუ ისინი ხრამ-

ში ჩაასწრებენ, ძანგი დაიღუპება. ისე სწრაფად მოიფიქრა სამოქმედო გეგმა, რომ მერე თვითონაც უკვირდა. საფარიდან გამოვარდა და ყვირილი ატეხა:

— ჰე, ჰე, ჰეი! არიქათ, არიქათ! ჩქარა, ქვევიდან შემოუარეთ, თორემ გაიპარებიან!

მეორე მხრიდან ძაბეგმა მისცა ბანი:

— ჰე, ჰე, ჰე! აქა ვართ, აქ! ვხედავთ, ვხედავთ ძაღლებს! ქვევიდან მოუარეთ, ქვევიდან!

ბიჭების ნასროლი ტყვია ქურდების ცხვირწინ ქვას მოხვდა, კლდის ნატეხმა თავზე გადაუარა შეშინებულებს, იმ წუთში მიწას განერთხნენ.

გაბოს ეშმაკობამ მიზანს მიაღწია.

ქურდებს ეგონათ ალყაში მოგვაქციესო და მეტი გზა რომ აღარ ჰქონდათ, წინ გაიჭრნენ. ისევ იგრიალა თოფმა. ისევ იკივლეს ბიჭებმა.

— არიქა, ძანგ, წინიდან მოუარე, თორემ გაიპარნენ, გაიპარნენ!

ძანგმა თვითონაც დაინახა, მაგრამ აცალა, გაქცევის საშუალება მისცა. თვითონ ხრამიდან ამოძვრა და მიწაზე გაწვა. ქურდები გარბოდნენ, მერე ერთი შემოტრიალდა, თოფი ჩახმახზე შეაყენა, მაგრამ გასროლა აღარ დასცალდა, ძანგის ტყვიამ მოცელა. მეორემ დაინახა, როგორ ჩაემხო ძმა ლენცოფებში, არ მიშველებია, საკუთარი მდაბალი სულის გადარჩენა ფეხებს მიანდო. გარბოდა, სანამ სული არ შეუგუბდა. ბიჭებმა თავს დაუარეს. შიშით დაფეთებული უკან გაიქცა, დაღმართზე დაგორდა, პირდაპირ ხევში გადაეშვა.

მდევრებმა იფიქრეს, ქურდი სასიკვდილოდ დაშავდაო, ხევის პირზე მიირბინეს და გაშტერებულები დარჩნენ. ქვევით უფსკრული კი არ იყო, მთის წვერიდან ხეობამდის მყინვარის ნაპრალი ჩადიოდა.

მიხვდნენ, რომ ქურდმა თავს უშველა, ის განგებ დაეშვა მაღლობიდან, რადგან მყინვარის ნაპრალს კარგად იცნობდა. სამშვიდობოს რომ დაიგულა თავი, ჩოხის კალთები აიკვალთა, ცხვრის ტყავის ქუდზე დაჯდა და დაეშვა ყინულზე. გამოკიდება უაზრობა იქნებოდა, სანამ ესენი ქურდს მიეწეოდნენ, ის სათითაოდ ამოიღებდა მიზანში და სამივეს დახოცავდა.

ძანგი თავის თავს უწყრებოდა, ასეთი შეცდომა როგორ მომივიდაო. ის ერთიც რად გავუშვი ცოცხალიო, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს რაღა ეშველებოდა.

გაფანტული და დაფეთებული ცხვრები ძლივძლივობით დააქუჩეს და შინისაკენ გამოირეკეს. თითქმის სამშვიდობოს იყვნენ გასულები, რომ ხეობის მოსახვევში, კლდის თავზე თოფმა იგრიალა. ძანგს ბეჭი აეწვა.

— კლდეს მოეფარეთ! — შესძახა მან ბიჭებს და თვითონაც კლდის ძირში უზარმაზარ ლოდს ამოეფარა. მიხვდა, რომ ცოცხლად დარჩენილი ქურდი დაღუპული ძმების სისხლის აღებას ლამობდა. გზა მოჭრილი იყო.

თოფის ხმაზე დამფრთხალი ცხვრები ერთიმეორეს აეკვრნენ და გზაზე ლოდების ძირში შექუჩდნენ.

ისევ იქუხა თოფმა. გაბოს კლდის ნაფშვენები დაეყარა თავზე. სამივე ხაფანგში იყო გაბმული.

— ეს მამაძაღლი სათითაოდ დაგვხოცავს, — გადაულაპარაკა გაბომ ძაბეგს და წინ გახოხდა. ცხვარში შეერია, უკან ძაბეგი მიჰყვა.

— რას შვრებით, ბიჭებო! — იყვირა ძანგმა, მაგრამ ბიჭები უკვე სამშვიდობოს გავიდნენ.

ძანგი მიხვდა მათ განზრახვას. ქუდი მოიხადა და ჯოხით სულ ოდნავ ასწია მაღლა. იმ წუთში ტყვიამ გაუარა შუაში. ცოტა ხნის შემდეგ ეს ფანდი კიდევ გაიმეორა, ისევ იფეთქა თოფმა, ისევ გახვრიტა ტყვიამ ტყავის ქუდი.

როგორც კი მესამედ ასწია ქუდი, გზის ქვემოდან ორი გასროლა გაისმა. ძანგმა დაინახა ცალოითთა უკანასკნელი მოდგმა როგორ გადმოეშვა კლდის თავიდან.

— გაბო, ჩემი საქმე ვერ არის კარგად, შეატყობინე აულში, — ამოიგმინა ძანგმა და ლოდიდან ძირს ჩამოცურდა.

შუაღამე გადავიდა, მაგრამ აულში არავის სძინავს. გაბოს ეზოში მოუყრია დიდსა და პატარას თავი. ზოგი ზის, ზოგიც ღობეს მიყრდნობია და თვალს არ აშორებს მიწურის კარს. ელოდებიან, როდის გამოვა მათი ჯარა ექიმი ბერდი, რომელიც აგერ რამდენი ხანია ძანგის ჭრილობას ჩაჰკირკიტებს. ბერდიმ კარგად იცის თავის საქმე, მთელი ხეობის გაჭირვების ტალ-კვესია. განსაკუთრებით ჭრილობების მკურნალობა ეხერხება. მემკვიდრეობით გადაეცა ბერდის ეს საპატიო პროფესია.

მაგრამ ამჯერად რა დაემართა. ძალიან დიდხანს უნდება ჭრილობის დამუშავებას. ეს არის მიზეზი, რომ ეზოში მყოფები შფოთავენ. რაღაცნაირი შიშით მისჩერებიან მიწურის კარს.

ეზოში განცალკევებით შეჯგუფულან ახალგაზრდები. შუაში გაბო და ძაბეგი ჩაუყენებიათ და ვინ იცის, მერამდენედ აამბობინებენ თავს გადახდენილ ამბავს. ბიჭები ერთიმეორეს არ აცდიან ლაპარაკს, ძანგის ვაჟკაცობაზე და მოხერხებაზე ლამის ლეგენდა შექმნან. ყველას ძანგის სახელი აკერია პირზე. ყველასათვის ახლობელი და მშობლიური გახდა გაბოს სტუმარი, რომელსაც აულში ჯერ კარგადაც არ იცნობენ. უცხო ხალხისთვის მან მტრის ტყვიას მიუშვირა მკერდი.

ცარგასბადანელთათვის ასეთი თავგანწირვა არავის გამოუჩენია.

ჰო, მაგრამ, ვინ არის? სადაურია? ისე კი ხვდებიან, გაჭირვებულია და იმიტომ გაუწევია ჩრდილოეთისკენ. ღმერთმა დაიფაროს და რამე რომ დაემართოს, მთელი აული იქნება დამნაშავე.

კარი გაიღო, ორმა ქალმა აგუნდა გარეთ გამოიყვანა. ეზოში მსხდომნი ფეხზე წამოდგნენ.

— ეს უცნობი ქალი ვიღაა? — იკითხა ვიღაცამ ჩურჩულით.

— ძანგის ცოლია, აგუნდა, — ჩურჩულით უპასუხა გაბომ და ამით აგრძნობინა ცნობისმოყვარეს, რომ მეტი არაფერი მკითხოო.

— არაფერი მესმის, როგორ თუ ცოლი? — ისევ სძლია ცნობისმოყვარეობამ კაცს.

— გითხრეს ცოლიაო, რაღას კითხულობ!.. — გაბოს პასუხი არ დააცალა ძაბეგმა.

ცოტა ხნის შემდეგ დაღლილ-დაქანცული ბერდი გამოჩნდა.

ხალხი გარს შემოეხვია.

— ძალიან დიდი გაჭირვებით გამოვუღე ტყვია. მძიმე ჭრილობაა, მაგრამ საშიში არ არის, მორჩება. — გაახარა ბერდიმ ხალხი. ერთი ეგ არის, დიდხანს ვერ გამოკეთდება, დაიტანჯება ბეჩავი.

და მართლაც მძიმე დღეები გადაიტანა ძანგმა. სანამ ის ფეხზე დადგებოდა, დაუპატიჟებელი სტუმარივით გამოეცხადა ცარგასბადანს ზამთარი. ჩაიკეტა გზები. უღელტეხილზე სამი არშინი თოვლი დადო. ძანგი და აგუნდა გაზაფხულამდე დარჩნენ ცარგასბადანში.

7.

ზამთარი ძალით იჭრება მთაში, სამაგიეროდ გაზაფხული ბუტია პატარძალივით ხაზმუზიანობს. იმ წელსაც გაჭიანურდა ზამთარი, გაზაფხულის თვეებიც თავისად მიითვალა. ზაფხული ახლოვდებოდა, მაგრამ თოვლის სქელი საფარი ისევ იდო მიწაზე, ვერა და ვერ გავიდა გზა ჩრდილოეთისაკენ.

მამაკაცები საშოვარზე წასასვლელად ემზადებიან, გზა კი არ ჩანს. აული მოუსვენრობს. განსაკუთრებით წუხან ისინი, ვინც ოჯახში ყველაზე ხელმოკლედ არიან. რა ქნან? წაუსვლელობა არ შეიძლება, გაისადაც შიმშილი მოუწევთ, წავიდნენ და მშიერ-მწყურვალ ჯალაბს რა ეშველება, ან კუტად ჩაცვივნულ საქონელს ვინ მოუვლის. ჯერ ერთი, როდის ბალახი ამოვა, მეორეც, ვინ უპატრონებს ნახირს. მწყემსი არა ჰყავთ. ვისაც მწყემსობა შეუძლია, ის საშოვარზე მიდის და...

ამას გარდა გაზაფხულს კიდევ სხვა საფიქრალიც მოსდევს. უჭირს აულს, როგორც კი დათბება, აულის თავკაცები ხშირად იკრიბებიან, ბჭობენ აულის ავ-კარგზე. აი ახლაც გვარის უფროსები შეკრებილან და მსჯელობენ, ვინ რას გააკეთებს. თავკაცები არიგებენ საშოვარზე წამსვლელებს. შინ დარჩენილები კი მოხნავენ ან დაქორჩნიან საქერე მიწას, დათესენ, მკას კი ისინიც ჩამოუსწრებენ.

ნიხასში სწორედ მაშინ გამოჩნდა ძანგი, გაცხარებული მსჯელობა რომ იყო გამართული. წუთით შეწყდა ლაპარაკი. ფეხზე წამოუდგნენ უფროსები.

ძანგი აულის საპატიო სტუმარია. შარშან მათი ფარა ქურდებს რომ გამოსტაცა, მას შემდეგ ყველა ოჯახის კარი ღიაა მისთვის. მთელი აული უვლიდა ავადმყოფს. არაფერი შურდათ მისთვის, მამაკაცები ხომ გვერდიდან არ სცილდებოდნენ.

ძანგმა დაირცხვინა, უფროსებს სიტყვა რომ შეაწყვეტინა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, მაპატიეთ, ხელი შეგიშალეთ.

— რას ამბობ, ძანგ, აგერ ჩემს გვერდით ჩამოჯექი, შვილო.

— თქვენს გვერდით მჯდომს დიდი ჭკუა და გამოცდილება უნდა ჰქონდეს, დადა ბერდ, მე კი არც გამოცდილება მაქვს და არც იმდენი ჭკუა, — და ძანგი ბოლოში, უმცროსებთან დაჯდა.

— ეჰ, შვილო, ხელმოკლე ხალხის ფიქრი ერთია — ლუკმაპური. აი ახლაც ამაზე ვლაპარაკობთ. ხალხი საშოვარზე წასასვლელად ემზადება, — განუმარტა ბერდიმ ძანგს მათი საუბრის აზრი და თან ჰკითხა: — შენ როგორღა ხარ, ხომ აღარაფერს იტკივებ?

— ღვთის მადლით, ფეხზე დავდექი.

— ჩვენი აული ვალშია შენს წინაშე, ჩემო მზეო. ჩვენთვის ტყვიას მიუშვირე მკერდი. შენს ვაჟკაცობას არასოდეს დავივიწყებთ. აულის სახელით დიდ მადლობას გწირავთ.

— მადლობა ჩემგან გეკუთვნით, ცარგასბადანელებო... თქვენი სიკეთის გადახდას ალბათ ვერ შევძლებ, მაგრამ არც დავივიწყებ. მივდივართ დილით. მადლობის გადასახდელად შეგაწუხეთ, ყველასათვის ერთად მინდოდა მეთქვა...

შეკრებილთ თითქოს მყინვარის ქარმა წამოუბერაო. ხმა ვეღარ ამოიღეს.

აულის თავკაცები ჩაფიქრდნენ. თავიანთი სტუმრების ბედზე საგონებელს მიეცნენ. შარშანს აქეთია სტუმრობენ მათ აულში და უნდა ითქვას, ხალხმა ახლობლებივით შეიყვარა ისინი. უცხო ხალხისათვის ტყვიას მიუშვირა მკერდი ძანგმა. იმ ავადმოსაგონარ დღესაც წასასვლელად ემზადებოდნენ, მაგრამ არ იკადრა აულის გასაჭირში მიტოვება. ახლაც წასვლას აპირებს, მაგრამ სად წავლენ? ქვეყანაზე ფეხმოსაკიდებელი არსად გააჩნიათ. ხელმოკლე ცოლ-ქმარი თითის სიგრძე ბავშვით! რა მოელით იქ, ჩრდილოეთში? შეძლებულსა და დალხინებულს ეტკინება მათი ტკივილი? საწყალსა და ხელმოკლეს კი თვითონაც არაფერი გააჩნია. უთხრან დარჩი, ჩვენთან იცხოვრეო, მერე მიწა? მწირი მიწის კალთის ტოლა ნაგლეჯები მათი საკმარისიც არ არის.

მაგრამ მაინც უნდა მოიფიქრონ რამე. წაქცეულ კაცს ხელის წაშველება სჭირდება. საწყალსა და დაჩაგრულს კი მხოლოდ ის გაუგებს, ვისაც თვითონ გამოუცდია გაჭირვება.

და ფიქრობენ ცარგასბადანელი ბრძენკაცები, მისხლობით ზომავენ მთის წვერიდან დაგორებული კაცის შეჩერებისა და გადარჩენის ღონისძიებებს. ხან ხელს შეაშველებენ, ხან ბეჭებს.

გვიან-გვიან ამოიღო ბერდიმ ხმა. მისი გადაწყვეტილება ურყევია. თოვლივით თეთრ წვერზე დამჭკნარი ხელი ჩამოისვა და თქვა:

— ძანგ. ჩემო მზევ, სიმართლე რომ გითხრა, არ მიხარია შენი წასვლა. არა, რომ ვიცოდეთ, სადაც მიდიხარ, იქ უკეთესი იქნება, რატომ არა, გზას დაგილოცავდით გულით.

— რა ვუყოთ, მეტი გამოსავალი არ არის.

— ვიცი, შვილო, ვიცი, მაგრამ დამიგდე ყური. ჩვენს გულში ძალზე დიდი ადგილის დაკავება შეძელი. შენმა ვაჟკაცობამ, ჭკუამ, ზრდილობამ დაგვიმორჩილა, და ხვალ რომ გაგიჭირდეს, ჩვენთვისაც არ იქნება ადვილი, ამიტომ გთხოვ, დარჩი ჩვენთან. რითაც ჩვენ ვიცხოვრებთ, თქვენც იმით იცხოვრეთ. ძმასავით გვეყოლები.

ძანგი საქმის ასე შემოტრიალებას არ ელოდა და შეკრთა.

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა. რა დასამალია, მეც შიჭირს თქვენთან განშორება. შეგეჩვიეთ, ღმერთმა სიკეთე ნუ მოგიშალოთ. მე და ჩემს მეუღლეს დიდი პატივი გვიცია. პირველად აქ. თქვენს შორის ვიგრძენი, რომ მეც კაცი ვარ, თქვენი ტოლი. მაგრამ თქვენ თვითონ დაფიქრდით, როგორ დავრჩეთ, სად ვიცხოვრებთ? რითი? მიწა თქვენი სამყოფიც არ არის. დიდი მადლობა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ის არის, რომ თქვენ ასე ზრუნავთ უცხო ოჯახზე, მეტი გზა არ არის, წავალთ. ქვეყანა დიდია.

— მართალი ხარ, ძანგ. მიწა არა გვაქვს, მაგრამ სახლზე ნუ შეწუხდები. აგერ აულის თავში ჩემი სახლი ცარიელია. ბიჭისათვის მოვამზადე. დავაქორწინებ-მივიქი. არ მეღირსა... გაიგებდი ჩემს ამბავს, საქორწილო შვილი გამომეცალა ხელიდან. მას შემდეგ იმ სახლში ფეხი არავის შეუდგამს. როდემდის უნდა იყოს უკაცრიელი? ახლა იმისთვის სახლი საჭირო აღარ არის, თქვენ კი გიჭირთ. ერდოდან კვამლი რომ ავა, მეც გულზე მომეშვება.

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა. მაგრამ ეგ შეუძლებელია, დადა ბერდ. ცოლ-შვილი მყავს. რითი ვაცხოვრო, რა ვაჭამო.

— თუ დარჩებით ჩვენთან, გიშოვით საქმეს. სწორედ ამაზე ვსაუბრობდით. მწყემსი არა გვყავს. მორიგეობით დავდევთ ნახირს. ეს კი იოლი როდია. ჰოდა, ჩაიბარე აულის პირუტყვი. საქმელ-სასმლით ჩვენ მოგამარაგებთ. მერე თანდათან თვითონაც მოეწევი ცხოვრებას. ასეთია ჩემი გადაწყვეტილება, თქვენ კი რას იტყვით, ხალხო? — მიუბრუნდა ის ხალხს.

ნიხასში გამეფებული დუმილი თვალის დახამხამებაში გაქრა და ხალხმა ერთხმად წამოიძახა:

— თანახმა ვართ!

— სირცხვილიც იქნება, აულმა ერთი ოჯახი ვერ შეინახოს.

— დარჩი, ძანგ, დარჩი, ძმა იქნები ჩვენი!

გაბო განზე იდგა. წუხელს აქეთ დანა პირს არ უხსნიდა. ძანგმა წასვლა გადაწყვიტა.

ძანგს სახეზე ეტყობა, აულის თავკაცის სიტყვამ გული სიხარულით აუჩქროლა. მოღრუბლული ცა რომ მოიწმინდება, ისე გაუბრწყინდა თვალები, თითქოს ტყვიის საპალნე მოეხსნაო, ისეთი უჩვეულო სიმსუბუქე იგრძნო ტანში, თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლებს აფრქვევს. მძიმედ წამოდგა, კრძალვით მიეახლა ბერდის და მის წინ მუხლებზე დაეცა.

— რა სახელით მოგმართო, ცარგასბადანის სინდის-ნამუსო, გულ-მართალო ბრძენკაცო! მამა არავისთვის მიწოდებია, მამა იქნები ჩემი. რით გადაგიხადო სამაგიერო, არაფერი მაქვს. აი ეს ორი ხელი! — ინებეთ!..

— ფეხზე წამოდექ, შვილო, — მოხუცმა ზეზე წამოაყენა ძანგი. — ეგ ორი ხელი მშვიდობაში მოგღლოდეს. სადაც საჭირო იყო, მთელმა აულმა იცის, რა ვაჟკაცობაც გამოიჩინე. დარჩი ჩვენთან. იცხოვრე ჩვენ შორის, სიხარული და ნაღველი ძმურად გავიყოთ.

ძანგმა მძიმედ მოატარა თვალი ნიხასში, ყველა მას უყურებდა. ყველა თანახმა იყო, რომ ის, უთვისტომო და ცარიელ-ტარიელი კაცი, აწ და მარადის მათი თანაზიარი ხდებოდა. ლამის უმტყუნა ღონემ, ლამის ატირდა ვაჟკაცი. არც კი იციან ვინ არის, საიდან მოვიდა და ვაითუ ოდესმე მისი მიზეზით აული შეავიწროონ. ეს აზრი ჩაეჭიდა გონებაში და შეშფოთდა:

— კი მაგრამ, თქვენ ხომ არ მიცნობთ?

— ვიცით, ჩემო მზეო, ვიცით. შენ დარდი ნურაფრისა გაქვს. და თუ რაიმე მოხდება, ერთ კაცს ვერ შეგინახავთ?

უკანასკნელი ტვირთი მოეხსნა ძანგს. შვებით ამოისუნთქა და ძლივს მოახერხა:

— არ შეგარცხვენთ... ვფიცავ...

და ძანგი ცარგასბადანში დარჩა საცხოვრებლად.

მეხუთე თავი

მიძინებულ გულში სიყვარულმა გაიღვიძა

1.

მთიდან ბრუნდებოდა სოლიმი. ლენცოფიანში მამითადის კიჟინი მოესმა და მათკენ გაუხვია. ეწყინა, რომ თიბვა ყუნცელმა დაასწრო. მთელი აული აქ იყო. ისმოდა პირალესილი ცელის სისინ-წივილი. არ უნდოდა ყუნცელთან შეხვედრა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წასძლია, იფიქრა, ვინ წამოჰყვა ამ პურძვირა ჩერჩეტსო.

ქალიმათმა მთიბავებს სამხარი ამოუტანა. ლარივით გაჭიმულ სვრელებს რომ გახედა, თავისი ბავშვობა გაახსენდა. ეჰ, რა ბედნიერი იყო მაშინ ქალიმათი. საგო გვერდიდან არ იცილებდა ქალიშვილს. ბიჭი არა ჰყავდა და ყველა საკაცო საქმეს ასწავლიდა. წავიდა ის დრო, მხოლოდ ქალიმათისათვის დარჩა ტკბილ მოგონებად. ახლაც ფიქრმა გაიტაცა. ცორას ცელს ფხა გაუსინჯა.

— წინათ მეც ვთიბავდი ხოლმე...

— აბა, ახლა სცადე, — უთხრა ცორამ.
— მოვახერხებღა?
— სცადე.
— რას ამბობ, ცორა, ცელს დაგიჩლუნგებ.
— თავს შემოგეევლოს, თუ დაჩლუნგდება, გავლესავ.
— მხოლოდ არ დამცინოთ, — ქალიმათი კვალში ჩადგა. ჯერ გაუბედავად გამოუსვა ბალახს ცელი. მერე თანდათან გაიმართა და მის ყურებას აღარაფერი სჯობდა. ლარივით გაჭიმა სვრელი. მთიბავებმა ჭამა შეწყვიტეს, გაოცებულები შეჰყურებდნენ ქალიმათს.
— ჰე, ეგეც თქვენ, — კეფა მოიფხანა ცორამ. ეშხში შესული ქალიმათი კი მარჯვედ იქნევდა ცელს.
სოლიმი მთიბავებს მიესალმა და იმანაც ქალიმათს დაუწყო ცქერა.
— ვინ არის? — იკითხა მან.
— ყუნცელის რძალია, ქალიმათი.
— რა მშვენივრად იმორჩილებს ცელს.
— მაგაზე მარჯვე ქალი არ დაიბადება ქვეყანაზე.
— ჰაი, გიდი, მაგას რომ შესაფერი ქმარი შეხვედროდა, — ამოიოხრა ცორამ.
სოლიმი თვალს ვეღარ აშორებს ქალიმათს. კოხტა ბეჭებზე მაჯის სიმსხო ნაწნავები აყრია. ცელს რომ მოიქნევს, წვრილ წელს თან მიაყოლებს და სოლიმს ჰგონია სადაცაა შუშასავით გადატყდებაო.
თავისდა უნებურად მოთიბულ ბალახზე მიგდებულ ცელს მისწვდა. ერთი წუთის შემდეგ სათიბში ჩადგა. სოლიმს რა, თიბვა ესწავლება თუ? მეტი რა ასწავლა მამამ. სულს ართმევდა მუშაობით. იწივლა ცელმა. სოლიმი ქალიმათს გაეკიდა.
ქალიმათი გავიდა ბოლოში და ცელი მოთიბულ ბალახზე მიაგდო, მაშინღა მოიხედა უკან. სოლიმი რომ დაინახა, შერცხვა. თეთრი მოსახვევით პირი აიხვია.
— არ დამცინო, ახალგაზრდობა გავიხსენე. მამაჩემი მასწავლიდა ცელის ხმარებას.
— ქალიმათ, ასეთი თუ იყავი, არ ვიცოდი. ღმერთს გეფიცები, კარგ ვაჟკაცს შეშურდება შენი.
სოლიმი გულწრფელად ამბობდა ამას. ქალიმათს ქება ესიამოვნა.
— მოდი, თითო სვრელიც გავიტანოთ.
— არა, რას ამბობ, შენთან შეჯიბრება სად შემიძლია, — წამობრძანდი, ჩვენთან ისამხრე.
— გმადლობ, ქალიმათ. შინ მეჩქარება. აქ სადღაც ცივი წყაროა...
— ახლავე ამოგიტან, შენ აქ მომიცადე.
ქალიმათმა ხელადას წამოავლო ხელი და ფერდობზე დაეშვა. სოლიმი მთიბავებთან მივიდა. ეხვეწნენ, ჩვენთან ისამხრეო, მაგრამ სოლიმს კრიჭა შეეკრა.
წყარო მოშორებით იყო. ქალიმათი იგვიანებდა. მთიბავები წამო-

იშალნენ. სოლიმიც აწრიალდა. წასვლა უნდა, მაგრამ თითქოს დაბმულია, ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებს. გვიან გამოჩნდა ქალიმათი. სავსე ხელადა სოლიმს მიაწოდა და თან მოუბოდიშა:

— ბარემ არაყი გეკუთვნის, მაგრამ მამამთილი მუშისთვის არაყს როგორ გაიმეტებს.

— რას ამბობ, ქალიმათ, ეს წყალი მე ოქროს მირჩევნია.

სოლიმმა ხელადა მოიყუდა და ქალიმათს შეპარვით დაუწყო თვალთვალი. ქალის უზადო სილამაზით მოიხიბლა: ვარდის ფურცელივით აფერადებული ღაწვები. ახლა თვალები?! ორი უძირო გიშრის ტბა. „ღმერთო, რა ლამაზი ყოფილა!“ — გაიფიქრა სოლიმმა და წყალი წურწურით ჩამოეღვარა მკერდზე. ასეთი თვალები სოლიმმა პირველად დაინახა, ნაღვერდალივით სწვავენ. ოჰო, ჰო, რა ძალა აქვთ. გათანგეს ვაჟკაცი, გააკავეს და ერთ ადგილზე მილურსმეს. რაღაც დაემართა. ხელადის პირიდან მოხსნას ვეღარ ახერხებს. ხარბად სვამს წყალს, თითქოს უნდა გულში გაჩაღებული ცეცხლი გაინელოსო, მაგრამ ცეცხლი, პირიქით, ძლიერდება, ძლიერდება და გულს რაღაც მეტად საამო ტკივილით თანგავს.

ხელადაში დარჩენილი წყალი მკერდში ჩაიღვარა, იქნებ მოვეარიო გრძნობასო. ცივმა წყალმა მართლა იმოქმედა. გონზე მოვიდა.

— უჰ, უჰ, ბავშვივით არ გავიწუწე, — მოიბოდიშა და მკერდზე ხელი დაისვა. — მაპატიე, ქალიმათ, ჩემს სიცოცხლეში ასეთი წყალი არ დამილევია, გმადლობ.

— ღმართმა შეგარგოს, ალალი, ალალი, — მორცხვად ჩაილაპარაკა ქალიმათმა, ჯამ-ჭურჭელი კალათაში ჩაალაგა და ფერდობზე დაეშვა.

სოლიმი გაოგნებული იყო. იდგა და უყურებდა, თვალი ვეღარ დაახამხამა, სანამ ქალიმათი დეკიანში არ გაუჩინარდა. ეს რა დაემართა?! თითქოს ქალი პირველად დაინახა!

სოლიმის დაოჯახების დრო გადავიდა კიდეც. ლამაზი ქალიშვილებიც ეძლეოდა, მდიდრებიც, კეთილშობილი გვარის შვილებიც, მაგრამ დღევანდლამდის გული არვისზე შევარდნია. ახლა კი ვიღაცის ცოლმა მოსტაცა გული და ისიც ვინ? გიჟი გაბას ცოლმა. იმ არარაობას ასეთი ნატვრის თვალი? ფუ, მაშ ღმერთს სამართალი აქვს!? იმ ნაღვერდალივით მწველ თვალებს დორბლიანი გაბა უნდა კოცნიდეს.

ის დღე იყო და ის დღე. სოლიმი ყუნცელის კარ-მიდამოს აღარ სცილდება, ქალიმათთან გამოლაპარაკების მიზეზს ეძებს. მაგრამ ვერა და ვერ ჩაიგდო ხელში. და აი შემოდგომის ერთ საღამოს ის საოცნებო ჩიტი თავისი ნებით მიფრინდა მასთან.

— მამამთილმა, თუ შეიძლება, თქვენს წისქვილზე დაგვაფქვევინეო, ჩვენი გასამართია. თვითონ შეუძლოდ არის, ვინ გამართავს. საფასურს გადაგიხდითო, ასე თქვა მამამთილმა.

სოლიმმა სიხარულით კინაღამ შეჰკივლა, ულვაშებში ჩაიღიმილა,

— არა გრცხვენია, ქალიმათ, რა საფასურზე ლაპარაკობ? თავს შემოგევლოს ჩემი წისქვილი. ხვალ საღამოდან თავისუფალია. დღეს საარაყე მაქვს ჩამოსაფქვავი.

სოლომი ზეიმობდა. არავითარი საარაყე არ ჰქონდა დასაფქვავი, ეს მხოლოდ იმიტომ მოიგონა, რომ ქალიმათი ღამე დარჩენილიყო წისქვილში. ასეც მოხდებოდა, რადგან ყუნცელი ავად იყო. დუდუს თვალთ აკლდა და აბა ქალიმათის მეტი ვინ წავიდოდა წისქვილში. გაბა ხომ სათვალავშიც არ არის ჩასაგდები.

2.

ვახშმობა გადასული იქნებოდა, სოლომმა რომ წისქვილის კარზე მიაკაკუნა.

— ე, ოჯახიშვილებო, არ შეგეშინდეთ, სტუმრად მოვედი.

კარი გაიღო და გაბა გარეთ გამოვიდა.

— რისა უნდა შეგვეშინდეს. მიყურე! აქაც კაცია, კაცი. — და გაბამ მკერდზე დაირტყა ხელი.

— საღამო მშვიდობისათ. მაპატიეთ, რომ უდროო დროს შეგაწუხეთ. სულ გადამავიწყდა, გამეფრთხილებინე, ქალიმათ. საარაყეს რომ ვფქვავდი, დოლაბი მაღლა ავწიე, ფქვილი არ გაუფუჭდეთ-მეთქი.

— ღმერთო მომკალი, მართლა რა მსხვილად ფქვავს, — ხელში მოსრისა ფქვილი ქალიმათმა.

— აჰა, ხომ გითხარი, რძალო, შენ კი ყურიც არ მათხოვე, ასე იცი ყოველთვის, — გაიბუტა გაბა.

— რძალოს ვის ეძახი, გაბა? — ჰკითხა სოლომმა.

— მე მეძახის, დედამთილი და მამამთილი როგორც მეძახიან, — დაირცხვინა ქალიმათმა.

— არაფრად მაგდებს, სოლომ. მე ერთს ვამბობ, ეგ მეორეს. აგერ ბორბალს რა ატრიალებს? ეგ ამბობს წყალიო, მე ვამბობ ეშმაკი-მეთქი. შენ მაინც უთხარი, რომ ბორბალს ეშმაკი ატრიალებს, შეხედე, შეხედე! არ გჯერა? თუ გინდა, წამოდი და ვნახოთ, — იღრიჭება გაბა.

— მოიცადე, ჯერ ფქვილს მოვუაროთ და მერე ვნახოთ შენი ეშმაკი.

— მანამდე სულ შეჭამს ჩვენს ფქვილს. იცი, იმ ეშმაკს ყუნცელი ჰქვია.

— მამაშენი?

— ჰო, არ იცოდი? ბაბა ეშმაკების უფროსია!

— გაბა, ნახე რამე, რითი დავწიოთ დოლაბი? — ვერაფერი ნახეს.

— გაიქეცი ჩვენსა გაბა, ეზოში კუნძზე სარებია მიყუდებული, ჩამოიტანე, — დაუძახა სოლომმა გაბას.

გაბამ იმ წუთში მოირბინა.

— მე მითხარი, სოლიმ? მივფრინავ. ახლავე აქ გავჩნდები. — გაბა გაიქცა.

— მაპატიე, ქალიმათ, იქნებ აუგია ახლა ჩემი აქ ყოფნა, მაგრამ ვეღარ მოვითმინე, ვიცოდი თუ ფქვილი გაგიფუჭდებოდა, კარგ დღეს არ დაგაყრიდნენ. რა ვქნა, შენმა დარდმა მოსვენება დამიკარგა.

— ღმერთმა სიკეთე მოგცეს. მარტო შენ გეცოდები ამქვეყნად.

— ეჰ, ქალიმათ, ღმერთსაც სამართალი არა აქვს. ვინც ღირსი არ არის, იმას აბედნიერებს, ვინც მართლა ბედნიერების ღირსია — აუბედურებს.

— მაგას რად ამბობ? შენ ბედნიერი იქნები. რომელი ლამაზი გეტყვის უარს.

— გულს ვერ უბრძანებ, ქალიმათ, ჯიუტია, არ დაგემორჩილება. ჩემი გული არავის იკარებს. დავხუჭო თვალები და ისე შევირთო, ვაითუ ვინანო.

ქალიმათი დუმდა.

— აი შენ, თუმცა შენი მდგომარეობა სხვა იყო, მაგრამ მაინც, განა ბედნიერი ხარ?

— კაცის საქმე სხვაა. ვისაც უნდა, იმას ითხოვს. ქალია უბედური.

— ო, არა, ქალიმათ, გულმა უნდა აირჩიოს. მაპატიე, ვიცი, რომ შენთვის ძნელია ამ საკითხზე ლაპარაკი, მაგრამ სიტყვამ მოიტანა. რა ვქნა, გულს ვეღარ ვიმორჩილებ, როგორ გითხრა...

— თქვი, თქვი.

— ვხედავ, როგორ იტანჯები. საწყენად არ ვამბობ. ქალიც ხომ ადამიანია. იმასაც ხომ აქვს გული! შენ კი ამოგგლიჯეს ის გული და სულელ გაბას ღილივით მიაკერეს. რადა? რა დააშავე?

ქალიმათმა ტირილი დაიწყო.

— ნუ იტირებ, ქალიმათ. საწყენად არ მითქვამს. მე იმას ვამბობ, რომ შენ ახლა გძინავს. ცხოვრება კი შენს გვერდით გარბის. სანამ ახალგაზრდა ხარ, გაახილე თვალი, თორემ მერე გვიან იქნება...

— ერთი სიცოცხლე მქონდა და გაქრა. მეორეს აღარ ველოდები.

— ადამიანი მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს. და ამ ცხოვრებას ყველაფერი უნდა გამოსტაცო, ყველაფერი, რასაც გული გეტყვის.

— რა ადვილად ლაპარაკობ.

— მომისმინე, ქალიმათ. თუ ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაგიჯდეს, ხომ კარგი, თუ არა და კარი გააღე და აქედან გამაგდე.

— თქვი, რა გინდა?

— ჩვენ ორიდან ერთს ამ აულში აღარ ეცხოვრება. მაგრამ მე შენს შეწუხებას, სიკვდილი მირჩევნია.

— უიმე, განა რა დაგიშავე ისეთი?

— დამნაშავე მე ვარ.

— აღარ იტყვი, რაშია საქმე?

— მიყვარხარ, ქალიმათ...

— ეგ რა თქვი? — ძლივგასაგონად წაიჩურჩულა ქალიმათმა და კარისაკენ გაქანდა.

— მოიცა, სად გარბიხარ? — მისწვდა სოლიმი.

— თავი მომეჭრა, ქმრიან ქალს როგორ შემომბედე, — ამოიკნავლა ქალიმათმა და ვერხვის ფოთოლივით აძაგძაგდა.

— რა არის სირცხვილი? განა მე დამნაშავე ვარ, რომ მიყვარხარ? მაშინ ღმერთია დამნაშავე, ასეთი უზადო სილამაზით რომ დაგაჯილდოვა. რატომ ხარ ასე მშვენიერი? ჰოდა, რომ მიყვარხარ, ამაში თვითონ მიგიძღვის ბრალი.

— გაჩუმდი, გაჩუმდი. არ გაიმეორო, არ მსურს მოსმენა. მე ქმარი მყავს, ვალდებული ვარ ვუერთგულო...

— არა ხარ გულწრფელი, ქალიმათ. არ გიყვარს ქმარი, არადა რა ქმარი? გაბას ადამიანი ქმარს დაუძახებს? იცოდე ხვალამ აქ გელოდები!

— წადი, წადი, ნამუსზე ხელი აგიღია და არც კი გრცხვენია!

კარში დაღლილმა გაბამ შემოაბოტა. მხარზე უშველებელი ლატნები გაედო.

— აჰა! ლამის სული გამძვრა, მამაჩემი კი... პურს ტყუილად გაჭმევო, ხედავთ? ესენი მე მოვიტანე, — გაბა კმაყოფილი იყო თავის ნამუშევრით.

— ერთი არ გეყოფოდა, შე უბედურო, — შეუბღვირა სოლიმმა გაბას. დოლაბი დაუშვა და წავიდა.

— ერთი! მერე, ერთი ხომ შეიძლება გატეხილიყო. მეორედ ისევ მე გამგზავნიდით. რძალო, რად წავიდა სოლიმი?

— ღმერთმა რომ არ იცის შენი თავი, რა ვიცი რად წავიდა.

— რა დაგიშავე, რძალო, ლატანი ხომ მოგიტანე?

— დედაბუდიანად ამოწყდით, ჩემი ცოდვით არ გაიხარეთ, არ გაიხარეთ! — აქვითინდა ქალიმათი და ხორბლით სავსე გუდაზე დაემხო.

3.

მთელი საღამოა არ ისვენებს ჭრიჭინობელა. კედლის ნაპრალში შემძვრალა და რაც ძალა და ღონე აქვს ჭრიჭინებს, თითქოს ვიღაცას აფრთხილებს: „არიქა, რა იქენით, დაიჭირეთ, თორემ გაიპარა!“

მაგრამ არავის ესმის მისი. არავინ წამოხტა ლოგინიდან. ჩაბნელებულ ოთახში გაბა ხვრინავს, მეორე ოთახში კი ყუნცელი და დუდუ გულის ძილში არიან.

დაიღალა ჭრიჭინა თუ ძილმა წაართვა თავი, დადუმდა. მხოლოდ ქალიმათს არა სძინავს. საწოლში შამფურივით ტრიალებს. ხანდახან წამოდგება, თითის წვერებზე მივა კარამდის, მაგრამ რომ მიეკარება. თითქოს დენმა დაარტყაო, უკან გადმოხტება, ისევ საწოლში ბრუნდება.

სიყვარულმა იფეთქა გულში!

„სიყვარული! რამდენი უოცნებია ქალიმათს. მაგრამ ამ დასაწვავ ოჯახში შემოსვლისთანავე დამარხა სიყვარული და მას შემდეგ აღარც გახსენებია. წუხელ წისქვილში სოლომმა კვლავ გამოქექა გულში შეხვეული ცეცხლიდან დარჩენილი ნაპერწკალი. ახლა კი ის ნაპერწკალი გაუნელებელ კოცონად იქცა. აბურბურდა, აბრიალდა და ლამის ქალიმათის უბედური თავი დაწვას, დადაგოს, ბარემ ცდილობს მოთოკოს, ლაგამი ამოსდოს, დაიმორჩილოს დაუპატიჟებელი გრძნობა, მაგრმ ის ახალგახედნილი ულაყივით გლეჯს ლაგამს და ქალიმათს თან იტაცებს... მიაქროლებს, მიაქროლებს და იცით საით? ცისკენ. ქალიმათი ლოგინიდან წამოვარდა, კართან მიირბინა, მაგრამ სინდისნამუსი წამოეწია და სირცხვილით ცეცხლწაკიდებული ისევ უკან დაბრუნდა.

კვლავ თავიდან იწყება ყველაფერი...

შეუყვარდა ქალიმათს. ახალგაზრდობაში არ ეღირსა ამ ტკბილი გრძნობის გამოცდა. თუმცა, როცა გათხოვდა, თან ჩამოიტანა წმინდა გრძნობით სავსე გული. მაგრამ არავის დასჭირვებია იგი. ზორაანთ ფეხით გათელეს მისი წმინდა გრძნობა. მას შემდეგ ცხოვრობს უსიხარულოდ. გულში დაიმარხა სიყვარული და რას იფიქრებდა, რომ მისი გაცოცხლება კიდევ შეიძლებოდა.

მაგრამ დედამიწა გადატრიალდა წუხელ...

გამოჩნდა ის, ვისაც ასე დიდხანს ელოდა, ვინც ყოველდღე ესიზმრებოდა, ვინც პირველმა უთხრა: „მიყვარხარ!..“

„ვუყვარვარ. ნამდვილად ვუყვარვარ. ამდენი ხანი ცოლს იმიტომ არ ირთავს, რომ მე ვუყვარვარ. მე სულელი კი როგორ ვერიდებოდი! მაგრამ რომ არაფერი ვიცოდი. ზაფხულში, სათიბში წყალს რომ სვამდა, კინაღამ თვალებით შემჭამა. რას ვიფიქრებდი. არა, ისე ცუდი ბიჭი არ არის. მეც არა ვარ დამნაშავე. ღვთის წინაშე წმინდაა ჩემი სინდისი. ვუყვარვარ. ღრმა ძილიდან გამოვერკვიე, ვეღარავინ დამაკავებს. ბედი ჩემსკენ შემოტრიალდა, ის ახლა წისქვილში მელოდება. ან ამაღამ, ან არასოდეს!

— არასოდეს! — ამოიკვნესა აკანკალებულმა, — რას იტყვის ხალხი? ხალხი... ხალხი! რა მიშველა ხალხმა, მოტყუებით რომ წამომიყვანეს და გიჟს მიმგვარეს ცოლად? მამამთილი? წყალმა წაიღოს და მეწყერმა, ის არ იყო, თავის დისშვილი რომ მომიგზავნა? მომატყუადაე, რაც მოსახდენია — მოხდეს. არაფრისაც არ მეშინია. თვალი ამეხილა, თვალი. სოლომ, ჩემო ერთადერთო, მოვდივარ, მოვდივარ...

საბანი გადაიძრო და თვალის დახამხამებში ტანთ ჩაიცვა.

ჭრიჭინობელამ გაიღვიძა და მდევარს უხმო.

„რა იქენით, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ! გაიპარა! გაიპარა!..“

ქალიმათი სიბნელემ შთანთქა.

მირბის, მირბის და ჰგონია ფრთები გამოესხა. აგერ წისქვილიც...

კარი გაიღო, თითქოს უკან მგლები მოსდევენო, შიგნით შევარდა, პირდაპირ მკერდზე მიესვენა სოლიმს.

— გამოვიქეცი! შენთან მოვედი, უნამუსო არ დამიძახო! არ არის ჩემი ბრალი. აღარ შემიძლია მეტი. დავიღალე, დავიღალე, — ეჩურჩულება სოლიმს და თან მკერდზე ეტმასნება.

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. ახლა ჩემი ხარ! — სოლიმმა კარი ჩარაზა და სანთელს შეუბერა...

4.

ქალიმათმა ფერი იცვალა. ნაღველი გადაიყარა. თვალებში ნათელი ჩაუდგა. გახალისდა, ის კი არა, სიცილიც ისწავლა. ახლა ოჯახში როგორ დატრიალდა. დილიდან საღამომდის ფეხზე იდგა. მაგრამ წინანდელივით აღარავის აჩაგვრინებდა თავს. მამამთილსაც კი არაფერს უთმობდა.

შეფიქრიანდა ყუნცელი. მისი მორჩილი რძალი, რომელსაც ოჯახის საგველას ეძახდა, რომლის ხმაც აქამდე არ გაეგონა, ახლა აღარაფერს უთმობს. ის კი არა, სიტყვასაც უბრუნებს. გრძნობს, ქალიმათი ემდურის, სულელი გაბას ხელში რად ჩამაგდეო და ხანდახან ჯავრს გულში იტრიალებს.

ერთ საღამოს ნიხასიდან ადრე დაბრუნდა ყუნცელი. ორღობეში ქალიმათის კისკისი მოესმა, ეწყინა.

„ეს რა ამბავია? რა ცხენივით ჭიხვინებს, ლამის . მთელ აულს ესმის“!

— შე ოხერტიალო, შენა, ნამუსი აღარა გაქვს?! დაიკარგე აქედან, თვალით აღარ დამენახვო!

— რას მიყვირი, რა? აგერ შენი სულელი შვილი, უყვირე რამდენიც გინდა. მიწამ ჩაგიტანოთ მამაცა და შვილიც, რა ვნახე თქვენთან კარგი!

ყუნცელი გაშრა, არ მოელოდა, რომ რძალი ასეთებს გაუბედავდა. ბოლმა ბურთივით გაეჩხირა ყელში და გაბას გამოეკიდა.

— ო, შე გამჩენძაღლო, შენა. ნეტავ მომიკვდებოდე, მაინც უძიროდ გადავშენდი და მაინც. შე უბედურო, შენა!

— ნანაა... მცემს... — იღრიალა გაბამ.

— ნანა შენა და ღვთის რისხვა, შე შავ დღეზე დაბადებულო, შენა!

— რა არის, კაცო, დაეხსენ, მაგას თავის უბედურებაც ეყოფა, — შინიდან გამოსძახა დუდუმ ქმარს.

— ბარემ ძირფესვიანად ამოწყდით და ერთად დაგმარხავთ! — მიაწყევლა ყუნცელმა და გაჯავრებულმა გაიჯახუნა ჭიშკარი.

5.

გავიდა ზამთარი. მზეს ძალა შეემატა. დათბა. დუდუ სულ დაბრმავდა. გარეთ თუ არავინ გამოიყვანდა, იჯდა შინ.

მშვენიერი თბილი დღე გათენდა. დუდუ საწოლიდან წამოდგა და ქალიმათს გასძახა:

— თავს შემოგევლე, რძალო, მზიანი დღეა მგონი. მომეხმარე, გარეთ გამიყვანე, ძვლები გავითბო.

ქალიმათი დედამთილს მხარში შეუდგა. გარეთ გაიყვანა. მყუდროზე სკამი დაუდგა. დუდუ დაბარბაცდა, არ წავიქცეო და ქალიმათს მკლავები შემოხვია. უცებ გველნაკრავივით გაშრა. თითები აუკანკალდა. ერთხელ კიდევ მოუტარა მუცელზე ხელი ქალიმათს და ჩაბნელებული თვალები ზე აღაპყრო.

— ქალიმათ, რა ამბავია შენს თავს? ორსულად ხომ არ ხარ?

ქალიმათი გაქვავდა.

მიხვდა დუდუ, მის ოჯახს რა მეხიც დაეცა. მღელვარებისაგან ენა აღარ დაემორჩილა.

— შემიყვანე ისევ სახლში, ჩქარა!

ქალიმათმა დუდუ სახლში შეიყვანა.

— ვინ დაგვღუპა, რძალო?

ქალიმათმა თითქოს ენა ჩაყლაპაო.

— ნურაფერს დამიმალავ. კაცმა თუ გაიგო, დაგვენგრევა ოჯახი.

— მაპატიე, დედამთილო! — მუხლებზე დაეშვა ქალიმათი. — ყველაფერი ჩემს უნებურად მოხდა.

უყვარს დედამთილი ქალიმათს. ყველაფერი მისი ხათრით მოითმინა. მათ შორის საიდუმლო მისხალიც არ ყოფილა. დედამთილი მისი თანამოაზრეა ყოველთვის, მისი მფარველი და მხარდამჭერია, მაგრამ ეს როგორ მოხდა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საიდუმლო დაუმალა დუდუს?

— ნეტავ მე მოვმკვდარიყავ, რძალო და შენ ეს არ დაგმართოდა, ვაი ჩემს თავს, ეს რა უბედურებაში ჩავცვივდით?!

— მაპატიე, დედამთილო, თუ არ მაპატიებ, მირჩევნია შენი ხელით მოვკვდე!

— ვინ იყო?!

— ნუ მეკითხები, გთხოვ, მაინც არ გეტყვი.

— როდის დაგემართა?

— შემოდგომაზე.

— კი მაგრამ, აქამდის როგორ არ მითხარი?

— მეშინოდა.

დუმილი ჩამოვარდა.

— გული მიგრძნობდა. ადრე თუ გვიან... რა ვქნა, როგორ გაგამტყუნო, ქალი ხარ, მაგრამ მე ხომ გარიგებდი, ჩვენ როცა აღარ ვიქნებოდით, მაშინ გეშველა თავისთვის.

— სანამ მამამთილი მიიცვლება, მანამ საფლავში ჩემი ძვლებიც აღარ იქნება. ახლაც არ ვიცი, გადავრჩები?

— რა მოვიფიქრო, რითი დაგეხმარო, რძალო? მეშინია, კაცმა არ გაიგოს, ცეცხლში დაგვწვავს. თუმცა როდემდის დავფარავთ. მეშინია, ძალიან მეშინია. გეხვეწები, სამშობლოში წასვლა მოიმიზეზე და წადი სადმე, მოიცილე.

— არა, მაგას არ გავაკეთებ. შვილის სისხლში არ გავისვრი ხელს. დე, დაიბადოს და მერე მე და ჩემი პატარა ერთად დაგვხოცეთ.

— ვაიმე, სისხლის წვიმა მოვა, დავიღუპებით... წადი, შვილო, მარტო დამტოვე, ვიფიქრო, ახლა აზრი ვერ მომიკრებია.

თავჩაქინდრული გამოვიდა ქალიმათი. თავის ოთახში შევიდა და შიგნიდან ჩაიკეტა კარი, მერე საწოლზე დაეშვა.

მისი საიდუმლო უკვე გამეღავნდა. დედამთილმა გაიგო, მაგრამ რა იქნება, როცა მამამთილი გაიგებს. რა ქნას, ვის შესტიროს, მისი იმედი მხოლოდ სოლიმია და ისიც ახლოს აღარ ეკარება... დამდურებულია. ქალიმათის ორსულობის ამბავი ტყვიასავით მოხვდა გულში. გააფრთხილა, სანამ მაგას არ მოიშორებ, ახლოს აღარ გაგეკარებიო. მას შემდეგ ქალიმათი მარტო დარჩა და დარდისაგან ლამის სული გასძვრეს.

ორი დღეა ფიქრობს დუდუ, მაგრამ ვერაფერი გადაწყვიტა. მესამე დღეს დაუძახა ქალიმათს და უთხრა:

— ერთი გამოსავალია მხოლოდ. ქმარი გვერდზე დაიწვინე. მოეფერე... მამა შეეკითხება, ბიჭი უჭკუოა, ყველაფერს იტყვის... ვისგანა ხარ, აღარ გეკითხები, მაგრამ ძალიან მოერიდე. ყუნცელი ეშმაკია, ეგრე უბრალოდ ვერ გააცურებ. არ შეიძლება, არ დაეჭვდეს. გახსოვდეს, მე დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, არ ვიცი ჩემს შემდეგ როგორ წავა შენი საქმე. სვედამწვარ გაბას მამა მგლის თვალივი უყურებს, მეშინია არაფერი აუტეხოს, დედა ვარ. შენ გებარებოდეს. ისიც გახსოვდეს, გარშემო მგლები გახვევია. ჭკუა მოიხმარე და ისწავლე მათ შორის ცხოვრება. ჩემმა ქალებმა რომ გაიგეს, მათ უბედურ ძმას შვილი არ ეყოლება, სიხარულით დაგიჟდნენ. განსაკუთრებით უმცროსს უფრთხილდი, მამის ალი და კვალია, მგელი. არაფერს არ დაერიდება. ახლა წადი, მძიმეები არ ასწიო... მოგიკვდეს ჩემი თავი, რა ტანჯვაში ხარ, უპატრონო და უთვისტომო ობოლო!

6.

ყუნცელი დერეფანში ზის და რძალს თვალს არ აშორებს, რომელიც ეზოს ალაგებს. იმ დღეს რომ შელაპარაკდნენ, მას შემდეგ შეიძულა და ყოველდღე მიზეზს ეძებს, რომ მწარე სიტყვა უთხრას. ხელზე შეჩვეული ცხვარივით უწყინრად აჩვენებდა თავს და ლეკვებიანი ვეფხვივით კი გამოაჩინა ბრჭყალები. სანამ იმ ბრჭყალებით

ყუნცელს ყელს გამოღადრავს, უნდა მოიშოროს. აი რაზე ფიქრობს ახლა იგი.

ჯოხის ბჯენით გამოვიდა დუდუ შინიდან.

— რა იქენი, კაცო?

— აქა ვარ, რა მომიტანე?

— რა იყო, რაზე ხარ გაჯავრებული?

— თქვენი მაყურებელი, ცოცხალი რომ ვარ, ისიც საკვირველია.

— ვიცი, შე საწყალო, ვიცი და მეცოდები, მაგრამ იქნებ, ახლა მაინც მოისვენო.

— როდისღა, როდის? საფლავში რომ ჩამასვენებთ?

— კარგი ერთი, ნუ იცი ხოლმე, გასახარი ამბავი უნდა გითხრა, — დუდუ ქმარს გვერდით მიუჯდა. — მალე მემკვიდრე გვეყოლება.

— მემკვიდრე? ჰო, შენ რომ შვილი გყავს, როგორ არ გაგვახარებს მემკვიდრით...

— ზოგჯერ ღმერთს თავისი მოქმედების შერცხვება ხოლმე. ჰო, ღმერთმანი, ფეხმძიმედ არის რძალი.

— რა? — ჭაბუკივით წამოხტა ყუნცელი.

— ჰო, მალე შვილიშვილი გვეყოლება.

ყუნცელმა თვალები დააჭყიტა და დუდუს მიაშტერდა, ხშირი ულვაშების ქვეშ ტუჩები გუდის პირივით ღია დარჩა და ხან დუდუს უყურებს, ხან ქალიმათს.

— დედაკაცო, მართალს ამბობ, თუ...

— ჰო-მეთქი. ახლა მაინც მოისვენე.

ყუნცელმა ქალიმათთან მიირბინა.

— რძალო, მაპატიე, თუ რამე გაწყენინე, მართალია? აი, რაც ახლა გავიგე, მართალია, თუ...

ქალიმათმა ცოცხი ღობეზე მიაყუდა და მამამთილისაგან პირი იბრუნა. ყუნცელმა თავისი თვალით დაინახა, ყველაფერი ნათელი იყო.

ქალიმათი ცოტა დამშვიდდა. პირველად თითქოს შიშმა დაჩრდილა მის გულში სოლიმის სიყვარული. ახლა კი ისევ ამოტივტივდა ეს გრძნობა. მამას არ უნდა შვილმა დღის სინათლე დაინახოს. ქალიმათმა არ იცის, როგორ მოიქცეს. სოლიმს დაუჯეროს, თუ...

დრო კი მიდის. მერე შეიძლება ძალიან დაგვიანდეს და ქალიმათმა მიიღო მეტად გაბედული გადაწყვეტილება. ნახოს სოლიმი! მაგრამ სად? გარეთ სათოფეზე აღარ ეკარება ქალიმათს. მეტი გზა არ არის, სახლში უნდა მივიდეს.

სოლიმს ფერი წაუვიდა. მიხვდა, ქალიმათი უსაქმოდ არ მივიდოდა. დაიბნა. უმწეოდ აცეცებდა თვალებს, აცირუხსს ეძებდა, გვიანღა გაახსენდა, რომ ეს უკანასკნელი შინ არ იყო, დამშვიდდა.

— რა არის, ქალიმათ, მოხდა რამე? — ძლივს ამოღერღა მან.

— ნუ გეშინია, შენ არაფერი დაგიშავდება.

— მე რა... მე შენზე ვდარდობ. შინ შემოდი, რას გაჩერდი?

— შენი დედინაცვალი სად არის?

— ჯანდაბაში... მოდი, დაჯექი.

— დასაჯდომად არა მცალია. ხომ მხედავ, რა დღეში ვარ. რამდენი ხანია გეძებ და ვერსად მოგიხელთე. მემალები, მაგრამ მე თვითონ მოგაკითხე.

— ხომ იცი, საქმეები მქონდა, ვერ მოვიცალე.

— ჩემმა დედამთილ-მამამთილმა გაიგეს...

— მერე?

— დედამთილმა ყველაფერი იცის, მაპატია. მამამთილი სიხარულით ფეხზე აღარა დგას. მაგრამ შენ რომ არ გინდა, იმათ რას დავეძებ. რათ მინდა ბავშვი, თუკი შენ გაწყენინებ. ხვალ ჩვენებთან მივდივარ, იქ რამეს მოვახერხებ. ცუდ სიზმრებსა ვხედავ, რა ვიცი, იქნებ შენი ნახვა აღარც მეღირსოს. გამოსათხოვრად მოვედი.

სოლომს უცბად გონება გაუნათდა. გული ბატკანივით აუტოკდა. აზრები, აზრები აერია თავში. აუ, რა არის ცხოვრება?! რამდენი წელია ამ მაცდუნებელ აზრს ეჭიდება. მაგრამ ვერსაით უპოვა მისადგომი. და აი თავისი ფეხით მოვიდა ბედი. ყუნცელის ქონებისკენ გზა გაიხსნა. ახლა თვითონ იცის. ყოველივე კი იმ ჯერ არდაბადებულ ბავშვზეა დამოკიდებული. ყუნცელი რომ მოკვდება, გაბას საიქიოს გზას გაუყენებს... ქალიმათს სოლომი შეირთავს. ცოლ-შვილიც ეყოლება და ქონებაც დარჩება. სიხარულით ადგილზე შეხტა და ქალიმათს გადაეხვია.

— ჩემი ქალიმათი! არსადაც არ წახვალ. დაე, დაიბადოს. ამით ჩემი შენდამი სიყვარული უფრო გაძლიერდება. — ამას სოლომი ამბობს. ქალიმათის გულს ნაღველი ჩამოეცალა. მზე მოეფინა გატანჯულ სახეზე. და ძლივგასაგონად წაიჩურჩულა:

— მართლა?

ტუჩები უკანკალებს.

თვალები უნდობლად ვისჩერებიან სოლომს.

გული?! გული რაღაცის მოლოდინში გალიაში დამწყვდეული ჩიტივით აქეთ-იქით აწყდება.

— მართლა, ქალიმათ. მართლა, ჯოჯოხეთის ცეცხლში დავიწვა, თუ ვტყუოდე. — და სოლომი ქალიმათის წინაშე მუხლებზე დაემხო.

— რას შვრები, სოლომ, არ გინდა, მჯერა შენი, ადექი, ადექი, არავინ დაგინახოს. სირცხვილია. მე მაგის ღირსი არა ვარ.

ბედნიერებისაგან თავბრუ დაეხვა. დაავიწყდა სად იყო. სოლომს მკერდში ჩაეკრა და ცხელი კოცნით დაუფარა სახე, ვინ იცის, როდემდის გაგრძელდებოდა მათი ალერსი, ბურანიდან ფეხის ხმას რომ არ გამოეყვანა.

სოლომმა ცხენის უნაგირს წამოავლო ხელი. ქალიმათიც განზე გადგა.

აცირუხსი შემოვიდა.

— ამას ვის ვხედავ? რატომ არ დამიძახე, სოლიმ, სტუმარი რომ გვყოლია, — გულწრფელად გაუხარდა ქალიმათის დანახვა. — რა ქარმა გადმოგაგდო?

— რა ვიცი, — მეტი ვერაფრის თქმა მოახერხა ქალიმათმა.

— საჩეჩელი უნდა, — იმარჯვა სოლიმმა.

— აგერ, კედელზე ჰკიდია, მიგეცა. ქალიმათ, დაჯექი, ვილაპარაკოთ.

— რო არა მცალია, დედამთილი მყავს ავად, მეჩქარება.

— როცა მოიცალო, გადმოდი.

— თუ მოვიცალო, კი, — ჩაილაპარაკა ქალიმათმა და ერთი ქურდული მზერა კიდევ სტყორცნა სოლიმს.

— რა ლამაზი და პატიოსანი გოგოა და ბედი კი არ მისცა ღმერთმა, — გულისტკივილით თქვა აცირუხსმა, მაგრამ სოლიმს არც გაუგონია. სიამოვნების ბურანში გახვეული ყუნცელის ქონებას უტრიალებდა. უკვე თავისად ჩათვალა მისი ჯოგები, მამულები, სათიბები. ჰე, რა სარგებელს ნახავს?!

7.

ყუნცელი გახალისდა. თაგვის სორო რა არის, იქაც კი სარგებელს ეძებს. ახლა მიზანი აქვს მის შრომას. ოხრად არ დაურჩება, ყველაფერს პატრონი ეყოლება. ო, რა იმედს ამყარებს მემკვიდრეზე, რომელიც ჯერ ქვეყანას არ მოვლენია?! და აი ერთ მშვენიერ დღეს ყუნცელის ოჯახიდან ბავშვის ტირილი გაიგონეს. ღმერთმა გულუხვი კალთა დააბერტყა კერიას და ერთბაშად ქალ-ვაჟის პატრონები გახდნენ.

ყუნცელი გარეთ იცდიდა. სამახარობლოდ ბებიაქალს დეკეული აჩუქა. თვითონ შინ შევარდა და თოფი გამოარბენინა. მთელ ხეობას ამცნო, რომ ზორაანთ ხე არ გამხმარა. ახალი ფესვი გაუშვა.

დიდი ძეობა გადაიხადეს. მთელი სოფელი მოიპატიჟეს.

ერთ დღეს ქალიმათმა ბავშვები გაბას დაუტოვა, თვითონ წყაროზე გაიქცა. წყაროზე ძაქოს რძალს რებოს შეხვდა. ორივემ გაიხარა. ერთი წლის პატარძლები იყვნენ და დებივით უყვარდათ ერთმანეთი.

— როგორ მიხარია, ქალიმათ, მადლობა ღმერთს, შენ მაინც გეღირსა შვილები.

— იცოცხლე, რებო, იქნებ შენც არ გაგწიროს ღმერთმა.

— გისმინოს უფალმა. ჩვენი კაცის ცოდვით აღარა ვარ. ძალიან უყვარს ბავშვები.

— გული ნუ გაგიტეხია. აი ხომ ხედავ, მეც...

— ქალიმათ, მე მოგიკვდე, თუ არ მითხრა, რამ გიშველა?

ქალიმათი გაშრა, რა ასწავლოს? ასე ეგონა, რებომ იცის ჩემი ამბავიო და გული გაეყინა. მალე დაიმორჩილა თავი. გაიცინა და რებოს ბეჭებზე დაჰკრა ხელი.

— ახლა არა მცალია, სხვა დროს გეტყვი. ბავშვები გაბას დაეუტოვე და მეშინია. — კოკა მხარზე მოიგდო და თითქმის სირბილით გაეცალა მეგობარს.

დერეფანში გაბა შეეგება.

— რძალო, უყურე, ტიროდა... აღარ ჩუმდებოდა და მეც რძე დავალევინე... აღარა ტირის.

— რძეო, ვაიმე დაღუპულს. რა რძე?

— რძე, ნამდვილი რძე. ტიროდა. დედამ თქვა შიაო. არ მიმეცა? აი აქედან ამოვიღე ერთი ჯამი. ახადა ქვაბს თავი გაბამ, — არ უნდოდა, მე კი ძალით დავალევინე და გაჩუმდა. დაიძინა...

ქალიმათი აკვანს ეცა. მისი პატარა ქალი აღარ სუნთქავდა. პაწაწინა ტუჩები აბურცვოდა, ცხელ რძეს დაეწვა. გაგიუდა დედა, მაგრამ მკვდარს რაღა ეშველებოდა.

ყუნცელმა კინაღამ მოკლა გაბა. მერე ქალიმათი და დუდუ მკაცრად გააფრთხილა, ბიჭთან ახლოს არ მიეშვათ ის სულელი. ის კი არა, დუდუ ლამის ქალიმათსაც აღარ ანდობდა პატარას. ღამე თავისთან მიჰყავდა.

ერთ ღამეს ბავშვი გაჭირვეულდა. დუდუმ ქმარი გააღვიძა:

— ძუძუ უნდა, დაუძახე რძალს.

— რა ძილქუში დაეცა. ყრუ ხომ არ არის, — ბუტბუტით წამოდგა ყუნცელი და დერეფანში გავიდა. იქ მარცხნივ ცალკე ოთახში ეძინათ ქალიმათსა და გაბას.

— რძალო, გაიღვიძე, ბალღი ტირის. — მიუკაკუნა კარზე.

პასუხი არავინ გასცა. მეორედ უფრო ძლიერ მიუბრახუნა:

— რა ვქნა, დაიხოცეთ, თუ რა ღმერთი გაგიწყრათ.

ამჯერადაც არავინ გამოეხმაურა. ყუნცელი კარს მიაწვა და შიგნით შევიდა.

— რა იქენით? ასეთი ძილი გაგონილა. იქნებ გაგზიდათ ვინმემ. ბიჭო, ხომ არ დამუნჯდი, შენ მაინც გამეცი ხმა.

— რა იყო, რა ვქნა. ძილსაც აღარ მაცლი, — თვალების ფშვნეტით წამოჯდა ლოგინში გაბა.

— ძილი შენ და სიკვდილი. გააღვიძე დედაკაცი. ბავშვი ტირის.

გაბა ადგა.

— ადექი, ბაბა ჩხუბობს, — ვითომ ხელი წაჰკრა ქალიმათს. საწოლი ცარიელი იყო.

— აქ არ არის...

ყუნცელი დაელოდა, იქნებ საჭიროებისათვის გავიდაო გარეთ. რძალი კი არსად ჩანდა. ბავშვი აკვანში ტირილით იქაქებოდა. ყუნცელმა ვეღარ მოითმინა და ეზოში ხმამაღლა გასძახა.

— რა იქენ, რძალო. მოკვდა ბავშვი ტირილით.

მაგრამ სად რა გინახავს. მერე ყუნცელი ბოსელში ჩავიდა, არც იქ აღმოჩნდა ქალიმათი. საბძელშიც შეიხედა. გაჭრა, არსად არის. ბავშვი ტირილით დაიღალა და ჩაეძინა.

საგონებელში ჩავარდა კაცი. სადღა მოძებნოს რძალი. უცებ ქვემოდან აჩქარებული ფეხის ხმა მოესმა. ყური მიუგდო. თითქოს უკან ვიღაც მისდევსო, ისე აირბინა ქალიმათმა კიბე და თავის ოთახში შეიპარა.

დაეჭვდა ყუნცელი. სად უნდა ყოფილიყო უდროო დროს მისი რძალი? დააპირა ეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა და თავის ოთახში დაბრუნდა.

— ქალიმათი გააღვიძე-მეთქი და შენ თვითონაც დაიკარგე, — უსაყვედურა ქმარს დუდუმ.

— შენ დილაზე რძალს ჰკითხე, სად დაეთრეოდა შუაღამისას.

დუდუს ელდა ეცა. მიხვდა, სადაც იქნებოდა ქალიმათი.

— წუხელ სად იყავი? — ჰკითხა დილით.

ქალიმათს ენა ჩაუვარდა.

— ბავშვი ტიროდა. კაცი გეძებდა... ხომ გაგაფრთხილე, ახლოს აღარ გაეკარო-მეთქი. რომ გაგიგოს, ო, ღმერთო! რა ცოდვა მქონდა! თუ გკითხოს, უთხარი ძაქაანთსა ვიყავი, მატყლის წეწვაში ვუშველე-თქო. გეხვეწები, აღარ გააკეთო ასეთი რამ. დაეჭვდა, ახლა, ალბათ, ყოველთვის შეგამოწმებს. და ვაი შენი ბრალი, თუ შეგამჩნია.

მიწა რომ გახეთქოდა, ერჩივნა ქალიმათს. დედამთილისა შერცხვა. მართალს ეუბნება. რომ გაუგონ? მაგრამ რა ქნას. რაც ბავშვი დაიბადა, უფრო გაუტკბა სოლიმი, ის კი არა, უნდა სულ მასთან იყოს. ამ უკანასკნელ ხანს უიმისოდ გაძლება გაუჭირდა. ოჯახის წევრები ჭირივით შეიძულა. მათი ღვთისწყალობა ღვთისცეცხლად ეყურება, თანაც სოლიმი როგორ ეფერება. ჰოდა, რა ქნას, თუ გული გარეთ ეწევა.

ცხვრის პარსვის დრომ მოაწია. ყუნცელს ეშინოდა მწყემსებმა მატყლი არ გადამალონო და მთაში წავიდა. გაბაც თან გაიყოლა.

ერთ საღამოს ჭიშკარზე ვიღაცამ მოაკაკუნა.

— გაიხედე, ქალიმათ, ვიღაც იძახის, — უთხრა დუდუმ რძალს.

ქალიმათმა ბავშვი დედამთილს გადასცა და გარეთ გამოვიდა. ჭიშკარი გააღო და კინაღამ გული წაუვიდა. კარებში სოლიმი იდგა.

— ღმერთო მომკალი, აქ რამ მოგიყვანა?

— ვიცი, რომ შინ არ არიან... მაპატიე, ჩემო ყველავ. ვეღარ გავძელი უშენოდ. რამდენი ხანია არ მინახიხარ და ლამის გავგიჟდე. ამაღამ თელიანში გელოდები.

— არა, არა, ბავშვი ღამით ტირის ხოლმე. ამას წინათაც მეძებდნენ. მეშინია.

— მაშინ ფანჯარა დატოვე ღია. ჩემი ბიჭი მაჩვენე.

— დავიღუპები, ვინმემ რომ...

— ნუ გეშინია, მაჩვენე ჩემი შვილი, განა უფლება არა მაქვს? შენ უგულო ხომ არ გგონივარ?

რაღა ეთქვა ქალიმათს.

— კარგი, ამაღამ გელოდები, წადი ახლა.

შინ რომ შებრუნდა, დუდუ შეეკითხა:

— ვინ იყო, შვილო?

— ძაქოს რძალი.

— რა მინდაო.

— ბავშვს ძუძუ არა ჰყოფნის და იქნებ შენ მოაწოვოო. გამიშრა-მეთქი. ვუთხარი. ამაღამ ბავშვს ჩემთან დავაწვენ, დედამთილო, საკმაოდ შეგაწუხა.

— საბანი არ გადაიხადოს, არ გააცივო.

8.

ყუნცელი მწყემსების ქოხის გვერდით ზის და აბრეშუმიანით ახვევს ფიქრებს. მადლობა ღმერთს, საქმეები კარგად მიდის. ქვეყნის შატყლი გაპარსა. ცოტა მოგებას როდი ნახავს. საქონელიც გაუმრავლდა. საძოვრები აღარ ყოფნით. დოთის საძოვრებს დაადგა თვალი. როგორმე უნდა ჩაიგდოს ხელში. მაგრამ სოლიმი ჭკვიანი მელაა. იმას ვერაფერს დასტყუებს, სხვებს კი ვის რა წაართვას, უკიდურეს გაჭირვებაში არიან. ყუნცელმა თავის ნახირისათვის საძოვრის გაფართოება ამოიჭრა გულში. წინათ სხვა იყო, ახლა კი მადლობა ღმერთს, მემკვიდრე ჰყავს. ბედნიერია ყუნცელი. დამშვიდებული მოკვდება, ჯავრით აღარ გაიხეთქავს გულს.

ქარმა წამოუბერა. ყუნცელს შესცივდა, ძილის დროაო, გაიფიქრა და ქოხში შესვლა დააპირა, რომ მწყემსების ლაპარაკს მოჰკრა ყური. მელასავით გაინაბა.

— ბებერი მგელი. აღარც იძინებს. ეშინია, მატყლი არ მოვპაროთ.

— ეგ უბედური, ნეტავ ვისთვის აგროვებს ამდენ ქონებას. ჭკუათხელი გაბასათვის იდგამს წელზე ფეხს, თუ მიწაში წაიღებს?

— მაგას რად ამბობ, შვილიშვილი ხომ ჰყავს?

— ჰა-ჰა-ჰა, ნუ მაცინებ ბიჭო, ეგეთი შვილიშვილები მეცა მყავს ყარსში.

— კარგი ერთი, ნუ იცი ხოლმე.

— რა ვიცი, მაგის რძალი ვიღაცასთან...

— ცილს ნუ სწამებ, შენი თვალით თუ არ გინახავს, ცოდვას ნუ იტყვი.

— საქმეც ეგ არის, რომ ჩემი თვალით ვნახე.

— დაიფიცე.

— ღმერთს გეფიცები. ამას წინათ შინ რომ ჩავედი. ცხენს ვეძებდი. ხევში თელებქვეშ ვიღაც დავინახე, ვიფიქრე, ამ დროს აქ კაი სული არ იქნება, ქურდი არ იყოს-მეთქი და ბუჩქებს ამოვეფარე. შერე ჩურჩულიც მომესმა. ორნი იყვნენ. ქალი და კაცი. მალე წამოდგნენ და აულისაკენ წავიდნენ, მეც უკან მივყე. ცხენი აღარც გამხსე-

ნებია. ბნელოდა, ვერ ვიცანი, ვინ იყვნენ. მივყე უკან. ქალი ყუნცელის ეზოში შევიდა. როგორ ფიქრობ, ვინ იქნებოდა?

— სასწაულია, ღმერთმანი!

— რა არის სასწაული, საკუთარი თვალით ვნახე.

— კაცი ვინღა იყო?

— ვერ ვიცანი. თუმცა ვინც გინდა იყოს. ჯორცხენა ყუნცელზე ახია. ჩემი თავი ენაცვალოს ქალიმათს, თვითონაც ასე მოატყუეს. ჰოდა, მოტყუებას მოტყუებით უპასუხა. ბებერმა ვირმა თავის სულელ შვილს მარგალიტივით ქალი რომ უყიდა, არ იცოდა, ასე რომ დაემართებოდა? ეგეც შენი შვილიშვილი! ახია!

უკანასკნელი სიტყვები აღარ გაუგონია ყუნცელს. მართალს ამბობდა მწყემსი. სწორედ იმ ღამეს არ იყო შინ მისი რძალი. აი თორმე რა ყოფილა. ყუნცელი დაბარბაცდა, თითქოს ვიღაცამ გული ამოჭგლიჯა და ნაწილ-ნაწილ დაუფლითა. კანკალი აუვარდა. ეგონა ახლავე მოვკვდებიო. ბაკის მარგილს მიეყრდნო, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა. ჩამოკურდა და მიწაზე დაემხო. გათენებამდე ასე ეგდო. არც სიცივეს გრძნობდა. აღარც თავის თავს.

არავინ იყო ახლოს, არავინ იცოდა მისი უბედურება. მარტო მთვარე ყურებდა და სულელურად იღრიჭებოდა. იმასაც შინ ეჩქარებოდა, ნაქურდალი სინათლით ინათებდა გზას და უკან მოუხიდავად გარბოდა. მერე ყუნცელის მრავალი წლის ნაცნობარი კალთაში გამოიხვია და მთის იქით ჩაცურდა.

ყუნცელი კი გდია და ჯავრით გასრესილი ჭირიანივით ცახცახებს. რისთვის გაწირა ცხოვრებამ? მგელივით სულ მოტაცებაზე იყო, აგროვა, აგროვა ქონება და რისთვის? აშენა, აშენა ოცნების კოშკი და რომ იფიქრა შენობა მზად არისო, მაშინ მიხვდა, კოშკს საძირკველი რომ არ ჰქონდა, ჰოდა აი ახლა კოშკი დაინგრა და ყუნცელი ქვეშ მოიტანა, „კეისარს კეისრისაო“. როგორ მწარედ მიეზღო ცოდვები ყუნცელს? მაგრამ თუ კაცია, ანანებს რძალს თავის მოჭრას. ეს გაიფიქრა და წამოხტა. თავქვე დაეშვა.

ის იყო ირიბრაჯა, აღმოსავლეთი წითლად შეიღება, მამალმაც უკანასკნელად შიმოჰკრა ფრთა ფრთას, რომ ყუნცელიც თავის ეზოში შევარდა. კუნძიდან ცული ამოაძრო და კარს ეცა.

— გააღეთ კარი, — არაადამიანური ხმით იღრიალა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. — გააღე კარი, კახპავ! უნდა გკითხო, ვის ქვეშ გორაობდი. გააღე-მეთქი, გააღე, ყელი გამოგჭრა, შე უპატრონოვ!

— დამენგრა ოჯახი, — ჯოხის ბჯენით გამოვიდა გარეთ დუდუ. — გვიშველეთ, ხალხო, გვიშველეთ, დავიღუპეთ! —ხალხს უხმობდა დუდუ.

ყუნცელმა კარი შეამტვრია, მაგრამ ოთახში არავინ დახვდა. აკვანი ცარიელი იყო. ფანჯარა ღია:

— სად დამემალება კახპის ნაშობი. თავის ნაბიჭვართან ერთად უნდა ავკუწო!— გამოვარდა გარეთ. დუდუ წინ გადაეღობა.

— რას შვრები, კაცო, ნუ დაანგრევ ოჯახს!

— იქით! — ჰკრა ხელი და კედელზე მიაგდო, თვითონ კი ქალიმათს გამოეკიდა. ქალიმათი ტყისკენ გარბოდა, მერე ხევისკენ დაეშვა და სოლიმის წისქვილში ძლივს შეასწრო მამამთილს. კარი შიგნიდან ჩარაზა. ყუნცელი კარს ეცა, მაგრამ შემტვრევა ვეღარ მოასწრო. ხალხმა გააკავა. ქალიმათთან არ შეუშვეს, შინ წაიყვანეს. კარში თავგაჩეხილი დუდუ რომ დაინახა, მაშინ კი უმტყუნა მუხლებმა. ახლა მართლა დაენგრა ოჯახი.

9.

სოლიმს ეს ამბავი მეხივით დაეცა. შეშინდა. ვაითუ ვინმემ დამინახა ქალიმათთან და ყუნცელს შეატყობინოს. რომ მე გავუბახე რძალი. დუდუს დასაფლავების დღეს ყურადღებით იყო, იქნებ ყური მოვკრა რამესო, მაგრამ არავინ არაფერს ამბობდა. გული დაიმშვიდა. ჯავრობდა კი, რომ ყუნცელის ქონება ასე იოლად წაუვიდა ხელიდან.

დუდუს სიკვდილის შემდეგ ყუნცელმა ლოგინი ვეღარ აილაგა. ჩავარდა და ჩავარდა. როგორც სოლიმმა მოჰკრა ყური, ქონება უმცროსი ქალის შვილებს უანდერძა. აულმა ქალიმათი განკიცხა. ახლოს არავინ ეკარებოდა. სოლიმი ხომ სულ დაიკარგა. შერცხვენილი, შეგინებული და არაფრისმქონე ქალი რა ჭირად უნდა. ჯერ ერთი, ხალხი დასცინებს. მეორეც, ზორაანთ გვარს გადაიკიდებს. მარტოხელა ქალია, რაზე ჩაიგდოს თავი საფრთხეში.

წინათ თითქოს უყვარდა ქალიმათი. მაგრამ ის სიყვარული ყუნცელის ქონების ხელში ჩაგდების იმედთან ერთად გაქრა. შვილის დაბადებით გამოწვეული სიყვარულიც ისე უცბად წავიდა, როგორც მოვიდა.

იცის სოლიმმა, რომ ქალიმათს ეს სირცხვილი მისადმი უსაზღვრო სიყვარულმა წაჰკიდა. ახლაც მზად არის მისთვის უფსკრულში გადაიჩეხოს და შეეშინდა სოლიმს, ქალიმათი ბავშვით არ მომადგეს კარზე, არ გამიგოს, რომ ვატყუებდი, თორემ არ დამინდობსო. საგონებელში ჩავარდა. უნდა ნახოს ქალი, მოელაპარაკოს, დაარწმუნოს თავის ერთგულებაში.

ერთ ბნელ ღამეს კალათში საჭმელი ჩააწყო და ქალიმათს ეწვია.

ქალიმათი შიშისა და შიმშილისაგან დასუსტებულიყო. სოლიმი რომ დაინახა, ატირდა.

— მაპატიე, ქალიმათ, ზორაანი კბილებს ილესავენ. მეშინია, ეჭვი არ აიღონ...

— რაც მე გადავიტანე, იმაზე უარესი რაღა იქნება? შე კაი კაცო, შიშმა როგორ დაგჯაბნა, რომ აღარც იკითხე, ცოცხლები ვართ თუ შიმშილით დავიხოცეთ. იცოდე, თუ შენც მატყუებ და გაგიგე, მომერიდე, მაშინ კი წინ აღარაფერი დამიდგება, არ დაგინდობ!

— გეუბნები, არ მქონდა საშუალება. დაწყნარდეს ხალხი. დუდუ დაასაფლავეს, ყუნცელი ლოგინად ჩავარდა.

— საცოდავი დედამთილი, მაინც მე გავხდი მისი სიკვდილის მიზეზი. ჩემი დარდი არა მაქვს, რა მოუვა ბავშვს?

— ცოტა დამშვიდდნენ-მეთქი ზორაანი და მერე მოვიფიქრებ რამეს. ახლა ისე არიან, თითქოს ცეცხლზე იდგნენ. მერე ჩემს დედულეთში წაგიყვანთ. სანამ საქმეს მოვაგვარებ, იქ იქნებით.

ერთი კვირაც არ იყო გასული ამ ლაპარაკიდან, რომ ქალიმათს ავად გაუხდა პატარა. სიცივეში მშიერ ბავშვს რა ბევრი უნდა. ორი დღე სიცხით იწვოდა და მესამე დღეს ქალიმათის კივილმა წისქვილი შეძრა. გაცივდა მისი იმედი, მისი დიდი სიყვარულის ნაყოფი.

სოლიმს მხრებიდან შიშის სიმძიმე მოეხსნა. ქალიმათზე მაშინვე აიღო ხელი. მხოლოდ ხანდახან თუ მიაკითხავდა და საჭმელს მიუტანდა. ასე იცხოვრა ქალიმათმა მთელი ზამთარი წისქვილში.

მეექვსე თავი

ხანმოკლე იყო გედნიერება

1.

დარდით აღარ არის გაბო. ათი წლის წინ დანიშნა ახსანელი ყარათი ბორსას ქალი ქოსერი. ბორსა ქონებისა და დიდების მოყვარული კაცია. ხელმოკლეებს უთავოებსა და არარაობას უწოდებს, თავისზე შეძლებულებისა კი შურს, რითი მჯობიან, ჩემზე მეტი ქონება რატომა აქვთო და იმათ დაღუპვას შესთხოვს ღმერთს. არც გაბოსა თვლიდა კაცად. იმიტომაც არ აძლევდა ქალს. მაგრამ ქალიშვილი წინ აღუდგა მამას. ბორსამ თავის მხრივ არ აპატია შვილს უტიფრობა და ურჩობა, ცალკე ოთახში ჩაკეტა. ქალმა დამცირება და შერცხვენა ვერ აიტანა. ჩემი სიცოცხლე ხომ მე მეკუთვნისო, იფიქრა და თავი ჩამოსახრჩობად გაიმეტა. ბეწვზე მიუსწრეს. ძლივს გადაარჩინეს. ბორსას შეეშინდა, ხალხში სახელი გამიტყდებაო და დათანხმდა. მხოლოდ შვილის ჯიბრზე სასიძოს დიდი ურვათი მოსთხოვა: ცხრა ხარი, ექვსი ძროხა, მოვერცხლილი უნაგირით მოკაზმული ცხენი, ოცდაათი ცხვარი, სპილენძის საარაყე ქვაბი. ოქროს წყალში დაფერილი ხმალ-ხანჯალი, ათი თუმანიც ფული. ბორსა დარწმუნებული იყო, რომ გაბო ასეთი ურვათის გადახდას ვერ შეძლებდა. მიზეზად ამას მოუდებდა და უარს ეტყოდა დამოყვრებაზე. მერე ქოსერს უფრო შესაფერ საქმროს გამოუძებნიდა.

გაბოს რაღა მიხვედრა უნდოდა, რომ ბოროტმა და გულქვა სასიმამრომ განგებ გააკეთა ეს. ურვათისათვის მისი დანიშნული სხვამ რომ წაიყვანოს, სალექსოდ გახდიან. სამუდამოდ შერცხვენილი დარ-

ჩება და გარეთ ვეღარ გამოყოფს თავს. თავმომწონე ვაჟმა არ იკადრა შერცხვენა და ბორსას ურვათის გადახდას შეპირდა.

მას შემდეგ ათმა წელმა განვლო. მოსვენება დაკარგა გაბომ. აღარც დღეა მისთვის და აღარც ღამე. მძიმე უღელში აბია მუშა ხარივით. ოჯახი გამოიხიწნა, მაგრამ ჯერ ურვათის ნახევარიც არა აქვს გადახდილი.

გუშინწინ თავის ძმადნაფიცს ხელისმომკიდედ გაჰყვა (თედოთიყაუდან მოჰყავდა ცოლი), ქორწილში ბორსაც იყო. გაბო რომ დაინახა, თავისთან მიიხმო და ყველას გასაგონად უსაყვედურა:

— ბიჭო, სხვების ქორწილებში წანწალს, არ აჯობებდა შენი ურვათი დროზე გადაგეხადა?

— მაპატიე, მაგრამ მაგაზე ლაპარაკის ადგილი არ არის აქ, — ვეღარ შეიკავა თავი გაბომ. — ამასთან თქვენ ძალიან კარგად იცით, რაც შემიძლია, ვცდილობ.

— ცდილობს! მერე ათი წელი აღარ გეყო? თუ, ჩემი ქალი ვალდებულია, მთელი სიცოცხლე ელოდოს ურვათს.

— ნუ გავიწყდება, შენი ურვათი სისხლის ფასია და ადვილი გადასახდელი არ არის. რა ვქნა, როცა შევძლებ, მაშინ გადავიხდი.

— ვიცოდი, არარაობა რომ ხარ, ღატაკი, იმიტომაც ვიყავი უარზე. შენ კი თავი გამოიდე, მეც ხალხს, გვარს ხათრი აღარ გავუტეხე. ვერ ვაწყენინე ხეობის თავკაცებს. მაგრამ როგორც გიყურებ, შენ ვაჟკაცობისა არაფერი გცხია. საცოლე მამის კერაზე გაგიჭაღარავდა, წაყვანა კი ვერ მოგიხერხებია. ჰოდა, ახლა დამიგდე ყური, აი ამ პატიოსანი ხალხის წინაშე გიცხადებ უკანასკნელად: დღეიდან გიორგობამდე ორი კვირაა დარჩენილი, თუ იქამდის ურვათის გადახდას ვერ შეძლებ, უკან გიბრუნებ ურვათის გადახდილ წილს და სხვაზე ვათხოვებ ქალს. ჩემი სიტყვა სალ კლდეზე უფრო მტკიცეა. ვთქვი და მორჩა, აი, აულია მოწმე, არ გამიგონიაო, არ თქვა!

ჩამწარდა მეგობრის ქორწილი გაბოს. არაყში უნდოდა ჯავრი ჩაეხშო. მაგრამ სასმელი არ ეკიდებოდა. რაც მეტს სვამდა, გულში ჩაგუბებული ნაღველიც მატულობდა. მოსისხლე მტერს არ უზამს კაცი, რაც ბორსამ გაბოს უყო. ამდენი ხანია ჯოჯოხეთად უქცია ცხოვრება. ურვათის დარდით ლუკმა აღარ გადასდის ყელში. ჩაცმა-დახურვაზე ვინღა ფიქრობს. დღესაც ქორწილში სხვისი ტანსაცმელი ეცვა. არ შეიბრალა ბორსამ. არ შევიდა მის გამოუვალ მდგომარეობაში. პირიქით, ყელზე წაჭერილი თოკის ბოლო უფრო მაგრად მოქაჩა, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოახრჩოს. მილეთის ხალხში შეარცხვინა. რა უნდა ეთქვა, ან რაღა მნიშვნელობა ჰქონდა მის ნათქვამს. გაჩუმება ამჯობინა და აგერ მას შემდეგ უკიდია ცეცხლი და სველი ფუტურო კუნძივით თავისთვის ჩუის. ძაბეგის ქორწილში ვალი მოიხადა, ნეფე-პატარძალი მშვიდობით ჩამოიყვანა შინ, ქალის მაყრებიც დააბინავა, დაემშვიდობა მასპინძლებს და წამოვიდა, შინ არ შესულა, საბძელში თივაზე მიწვა და მწარედ ატირდა.

რა ქნას, ურვათის ნახევარი სად იშოვოს? სახლში აღარაფერი ეგულება. ოთხი კედელია და... დახმარების იმედი არა აქვს. გრძნობს, რომ ძალიან მძიმე და გამოუვალია მისი მდგომარეობა. დიდი ხარკი მოითხოვა მისმა სიყვარულმა. მთასავით დააწვა ბეჭებზე და ლამის სიმძიმის ქვეშ გაისრისოს. თუმცა რაღა სიყვარულია. შუახანს მიაღწია თითქმის. ურვათზე ფიქრმა გული ბეწვივით გაუწვრილა, მძიმე შრომით მხრებში მოიხარა. საფეთქლებში ჭაღარა შეეპარა. ძვალტყავად ქცეულს თვალები ღრმად ჩაუცვივდა.

სიყვარული! ოდესღაც მართლა ტკბილად ესალბუნებოდა გულს მავრამ ახლა იმ წყეულმა ურვათმა სიყვარულის გრძნობა განდევნა. ის კი არა, თავისი სატრფოს სახეც დაავიწყდა. მის მაგიერ ურვათის ხარები, ძროხები და ცხენები უდგას თვალწინ. ათი წელია ურვათს იხდის და აქამდის ჩაბარებული პირუტყვიდან არც ერთი არ დავიწყებია. ახსოვს რომელი რა ფერისა იყო, როგორი რქები ჰქონდა, სად და ვისგან შეიძინა, რამდენი გადაიხადა. ძალიან ძვირად დაუჯდა ყოველი მათგანი და კიდევ ათმა წელმაც რომ გაიაროს, ათას სულ საქონელში ადვილად ამოიცნობს მათ.

ჰო, მაგრამ ქოსერი? ქოსერი თანდათან ავიწყდება. ათი წლის წინ პირველად ქორწილში ნახა. საცეკვაოდ გაიწვია, მოეწონა ჯეირანივით მარდი, თვალტანადი ასული. გაიცნო, მერე ყველაფერი თავისთავად მოხდა. მარადიული სიყვარული შეფიცეს ერთმანეთს. აი მაშინდელი ქოსერის სახე წარმოუდგება ხოლმე ხანდახან თვალწინ. მაგრამ ამ ზაფხულს ურვათის კიდევ ერთი ხარი რომ მიუყვანა, ვეღარ იცნო დანიშნული. გოგოს, თუმცა რაღა გოგო, ისიც შუა დედაკაცობას გადასცდა, თმა გასთეთრებოდა. ბროლივით თეთრი და ნაზი სახის კანი მოსჭკნობოდა, შუბლი დაღაროდა, ალერსიანი თვალები მინავლული ნაკვერცხლებივით ბეჟუტავდნენ. შეხვედრამ მაშინდელივით როდილა გაახარა ორივე. წინათ დღე და ღამე შეხვედრაზე ოცნებობდნენ. ახლა სიყვარულზე ლაპარაკისა და სიხარულისათვის ვერც იცლიან. ძველი ნაცნობებივით მოიკითხავენ ერთმანეთს და ეგ არის, აღარცა სჯერათ, რომ ოდესმე შეერთდებიან.

აი დღეს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა. ბორსა დანიშნულის წართმევას უპირებს, დიდი ხანია ამისი ეშინია გაბოს. გრძნობს, ურვათის გადახდას თუ ვერ შეძლებს, ნამდვილად წაართმევს ბორსა საცოლეს. რა ესაქმება ბორსას, ურვათის გადახდა ასე ძლიერ რომ გაუჭირდა გაბოს. არ აძლევს ქალს და მორჩა. წადი და იჩივლე. თუმცა ვის უნდა უჩივლო. არც სინდისი აქვს და არც ღმერთი სწამს. მას ქალიშვილი გასაყიდი საქონელი ჰგონია, ვინც მეტ ფასს გადაუხდის, იმას მიჰყიდის. ბორსა ასე რომ მოიქცევა, ამაში ეჭვი არ ეპარება გაბოს. ახლა მიზეზიც აქვს. ამდენ ხანს ვერ შეძელი ურვათის გადახდა და რა გიყო, შენს ლოდინში ქალს კერაზე ხომ არ დავიბერებო, ასე უთხრა ბორსამ. ურვათის გადახდილ ნაწილს უკან მიუყრის. პირუტყვის მონაგარს თავისთვის დაიტოვებს, ბებერ და ჯანდაგ საქონელს

კი გაბოს არგუნებს. ეტყვის, რამდენი სულიც მოგიყვანია, იმდენს გიბრუნებო.

არა, არა, ეს არ უნდა მოხდეს. სირცხვილით მოკვდება გაბო, სალექსოდ გახდიან. მაგრამ მეტი გამოსავალი რომ არ ჩანს? ყოველი მხრიდან დახშული აქვს გზა.

თუ ბორსა ძაღლის სისხლით არ არის განათლული, რატომ არ ფიქრობს შვილის მომავალზე. დაცარიელებულ სახლში რითი იცხოვრებენ, როგორღა მოახერხებენ ფეხზე დადგომას. საკვირველია, ნუთუ არ გრძნობს, რომ ასეთი ცხოვრება ჯოჯოხეთზე უარესი იქნება. აუ, რას ეუბნება გული, ტყის ნადირსაც კი უყვარს შვილი, ის კი ადამიანია. ადამიანი— ხარბი, უგულო, ბოროტი...

გაბომ იცის, ურვათი ბორსას მოგონილი არ არის. ზოგჯერ უფრო დიდი ურვათიც მოუთხოვიათ, ეს წესი მამა-პაპიდან მოდის. მოდის და ამოკლებს გვარს, ადუნებს და აუძლურებს ერს, არცხვენს და აკნინებს ქალს. იცის გაბომ, ბევრი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გამხდარა ამ მავნე ადათის მსხვერპლი. რამდენი ვაჟკაცი დაბერდა უცოლოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ურვათის გადახდის თავი არა ჰქონდა. რამდენი ახალგაზრდა ქალი გადაუქცევიათ პირუტყვად. ხარივით უღელში შეუბამთ პატარძალი და ოჯახის დიდი და პატარა მისი მბრძანებელი გამხდარა. გადახდილი ურვათის ფასი ხომ მისგან უნდა ამოეგოთ. რამდენი ახალგაზრდა ქალი ჩაუყვანია მიწაში უდროოდ წყეულ ადათს.

თავისი მოკლე ჭკუითაც კარგად გრძნობს გაბო, რომ ის მტკიცედ დამკვიდრებული ადათი ადამიანს პირუტყვად აქცევს. გულში ჩასახულ ლამაზსა და წმინდა გრძნობას ტალახში სვრის, მაგრამ ადათი ადათია, წადი და შენ შეცვალე! ბორსას მსგავსთათვის სასარგებლო ადათ-წესების შეცვლას თუ ვინმე შეეცადა, დაიღუპება, მგლებივით კბილით გამოლადრავენ ყელს.

„თორმეტი დღე, მხოლოდ თორმეტი დღე დარჩა ურვათის გადასახდელად. შემდეგ რა იქნება?“ — ამის გაფიქრებაზე გაბოს ტანში გაბურძგლა, მღელვარებამ გულის ცემა შეუჩერა. „მოვიტაცებ!“ მეტი გამოსავალი ვერ ნახა და ამ აზრს ჩაეჭიდა. წინათაც ბევრჯერ უფიქრია ამაზე, მაგრამ ქალის მოტაცებას სისხლის ღვრა მოსდევს და გაბოს კი მხარის დამჭერი არავინა ჰყავს. თანაც არც შეუძლია ასეთი ნაბიჯის გადადგმა, მგელი იტაცებს საკბილოს. ადამიანის მოტაცება რა წესია? ის, ვინც შენს გულში ანგელოზივით დაბუდებულა, წადი და თრევა-თრევით გაიტაცე, ამაზე სულმდაბლობა რაღა უნდა იყოს! ახლა მდევარი? რამდენი გამოგეკიდება, შეიძლება ქალიც წაგართვან, ქვეყანაზე თავიც მოგჭრან და სისხლიც დაიღვაროს.

მაგრამ მეტი გზა რომ არ არის. ქოსერი თანახმაა. ოღონდ აქედან გამაცილე და ჯოჯოხეთში წამოგყვებიო; ბორსა რომ არ აპატიებს ქალის მოტაცებას, ამას სულაც არ ნაღვლობს გაბო. მაინც შერცხვა და მაინც. ვიდრე საცოლეს თვალწინ გაუყიდიდეს და თავლაფს და-

ასხამდეს, რამე უნდა მოიფიქროს. ძალიან დაიღალა და ჩირადაც აღარ უღირს სიცოცხლე. მაგრამ მარტო ხომ ვერ მოიტაცებს? ვინ გაჰყვება? ცხენს ვინ ათხოვებს? ლამის გააგიჟოს ამ კითხვებმა.

2.

ძალიან მოტყდა სლონათი გვარის თავკაცი ბერდი. დიდი ხანია ლოგინიდან ვეღარ დგება. ძაბეგის ქორწილშიც არ იყო გუშინ. მართალია, როცა მას ქორწილიდან მოსაკითხი გაუგზავნეს, დაწვრილებით აცნობეს აულში მომხდარი ყველა ამბავი, მაგრამ სად ნაამბობი და სად თვალით ნანახი. საწყენს მაინც ყველა უმალავს, ბერიკაცი ისედაც ჯანზე ვერ არის, დღეს დილით გვარის საპატიო ქვრივი სანეთა ძალზე შეწუხებული ეახლა. ამ აულში დაბერდა სანეთა და ბერდის მისი ხმა არ გაუგონია, არც მისი სახე დაუნახავს. მაგრამ ახლა რაღაც დიდმა ამბავმა დაავიწყა რძალს მოვალეობა და გვარის უფროსის წინაშე მორიდება.[1]

— მაპატიეთ, მამამთილო, შვილი მეღუპება და თავზე ხელი ავიღე, დავივიწყე წესი და რიგი, ლაპარაკი შემოგბედეთ, მე მზედავსილმა. ხომ გახსოვთ, კაცის სიკვდილის შემდეგ რამდენი გაჭირვება ვნახე, მაგრამ თქვენს შეწუხებას როგორ გავბედავდი. ახლა? თქვენზე უკეთესსა და ჭკვიანს ვის მივმართო? გვარის უფროსი ხართ და უნდა დამეხმაროთ. მირჩიოთ რა გზას დავადგე.

ბერდი შეშფოთდა. მიხვდა, რომ მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი, შემაშფოთებელი.

— თქვი, რძალო. რა უბედურება დაგვატყდა?

— ჩემი გაბო... წუხელ შინ არ მოსულა...

— გაბო? მე მითხრეს ძაბეგის ხელისმომკიდე იყოო, იქნებ მასპინძლებმა აღარ გამოუშვეს.

— იქიდან წუხელ საღამოსვე წამოსულა. მთელი ღამე ვეძებეთ მე და ძანგმა, დილას საბძელში თივაში ვნახეთ.

— კი მაგრამ, რა უნდოდა საბძელში?

— ო, ღმერთო დიდებულო, შენ ამოუწყვიტე ოჯახი ბორსას. გუშინ თედოთიყაუში ბიჭს დამუქრებია, ორ კვირაში ურვათს თუ მთლიანად არ გადამიხდი, ნიშნობას ჩაშლილად გამოვაცხადებ და ქალს სხვაზე გავათხოვებო. ვერაგია, აასრულებს ნათქვამს. დამეღუპება შვილი, ვიცი, ურვათის მთლიანდ გადახდას ვერ შევძლებთ. აღარაფერი გავვაჩნია. ჰოდა, ღმერთი გადღეგრძელებს, დაუძახე ბიჭს, დაარიგე, მე აღარაფერს მიჯერებს. თქვენ ვერ გაგიბედავთ ურჩობას. რა წყალში ჩავვარდე, ბარემ კარგი იყო, ის გოგო მოეყვანა... ვერაფერს გავხდით. გაგონილა კაცმა ათი წელი იხადოს ურვათი? აგრეთვე ბორსას თავისი ქონებაც ოხრად დარჩეს. ურჩიე, დაანებოს თავი...

— აბა, ეგ რამ გათქმევინა, რძალო, რატომ არ ფიქრობ შვილზე,

[1] რძალი მამამთილს და საერთოდ გვარის უფროს თაობას, არც ხმას გასცემდა და არც სახეს აჩვენებდა.

იმ გოგოზე? ერთმანეთი თუ უყვართ, ჩვენ რა უფლებით ვაშორებთ? არა, ეგ არ ივარგებს.

— როგორ არ ვიფიქრე, მე დასამიწებელმა. ათი წელი მაშ რაზე ვფიქრობ. დედა მოუკვდეს, უდროოდ დაბერდა, თმაში ჭაღარა გამოერია. ოჯახს აღარას არგია, სიზმარშიც იმ დასაწვავ ურვათს მელაპარაკება, აგრემც მაგის მომგონი დამწვარა ჩემი შვილის ცოდვით. ამ ერთი ბალღისათვის გავიმწარე სიცოცხლე და რომ რამე... ცეცხლს წავუკიდებ ბორსას სახლ-კარს.

სანეთას წასვლის შემდეგ ბერდი ღრმა ფიქრებს მიეცა. ქალის მოტანილმა ამბავმა შესძრა მისი გული. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სანეთას მღელვარების მიზეზი გაბო კი არა, თვითონ არის. ადრე, როცა ისიც ახალგაზრდა იყო, უიმედო სიყვარულის ცეცხლმა კინაღამ სამუდამოდ ჩაფერფლა. გულს გარეთ არ გამოუტანია, არავის გაუგია მისი უსაზღვრო სიყვარულის ამბავი, თვითონვე შეძლო გულში მისი ჩაკვლა... თუმცა განა ყველაფრის დავიწყება შეიძლება?! აი ახლაც, სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულს ხანდახან თითქოს თოფის ხმის გამოძახილი მოჰყვა ნიავსო, გულის სიღრმეში ისევ უნებურად გაფაჩუნდება ის უცნაურად ტკბილი გრძნობა და დაუძლურებული გულის ფესვების კვნესა ესმის მაშინ ბერდს.

მისი გულის მფლობელი ხეობაში განთქმული ქერა დუდუ იყო. ო, როგორ ოცნებობდა საყვარელი ქალის ზღვისფერ თვალებში დაენახა თავისი თავი... რამდენი ღამე გაათენა უძილოდ. მაგრამ უდროოდ ჩააქრეს მის გულში აბრიალებული მწველი ცეცხლი. ურვათის გადახდა ვერ შეძლო. მშობლებმა ანგარიში არ გაუწიეს შვილის გრძნობას, თედოთიყაუში ყუნცელს მიჰყიდეს მშვენიერი დუდუმას შემდეგ ბერდს გული აღარავისზე შევარდნია. დიდხანს არ ირთავდა ცოლს. გაბოს ტოლი იქნებოდა, დედ-მამამ აღარ მოასვენა, ოჯახს მოეკიდეო და ხათრით შეირთო ცოლი. სამი შვილიც ეყოლათ. ტკბილადაც ცხოვრობდნენ. მაგრამ ვინ რა იცოდა, რა ფასად უჯდებოდა ბერდს ოჯახური მყუდროების შენარჩუნება. თვითონ ცოლის გვერდით იყო, მაგრამ მისი სული დუდუს დაჰფარფატებდა. საკუთარი გულის მოურჩენელი ტკივილი არასოდეს გაუმეღავნებია. ის კი არა, ცოლს ეჭვიც არ აუღია, რომ ქმარს სხვა უყვარდა; ისე ჩავიდა საფლავში ის საცოდავი, სიყვარულის მწარ-ტკბილი გრძნობისა არაფერი გაუგია. ძალიან ეცოდებოდა ბერდს ცოლი. მაგრამ სიყვარული და სიბრალული სრულიად საწინააღმდეგო გრძნობებია. ვერ ამოიგდო ქერა დუდუ გულიდან. მერე კიდევ, როცა გაიგო, ყუნცელთან სულაც არ არის ბედნიერიო, უფრო მეტად განიცადა საკუთარი უმწეობა. საყვედურობდა თავის თავს, რატომ არ მოვიტაცე, რად ჩავაგდე ავი ადამიანის ხელშიო. მთელი სიცოცხლე დატანჯა ამ სინანულმა. ვერ აპატია თავს, რომ ადათ-წესებს დაუმონა დიდი გრძნობა. ასე გაილია სიცოცხლე. ბერდის სულმა სულ თედოთიყაუში დუდუს გარშემო იფარფატა, საწყალი დუდუც არ იყო უკეთეს მდგო-

მარეობაში. იმანაც საიდუმლოდ ჩაიტანა საფლავში ბერდის სიყვარული.

ეს სევდიანი ამბავი დიდი ხნის წინ დაიწყო და აი დღემდის გრძელდება. მაშინ ბერდი დაიწვა ცეცხლში, ახლა იმავე ცეცხლით აგერ გაბო იფერფლება. მაგრამ არა, ბერდი არ დაუშვებს ამას. რა პირით წარსდგება დუდუს წინაშე, უსაყვედურებს — ნუთუ არ კმაროდა, ჩვენ რომ ვეწამეთ, შენი უმცროსი მაინც რატომ არ დაიცავი ჩვენი ბედისგანო. ამ საყვედურს ვერ აიტანს ბერდი. მაგრამ საქმე ძალზე რთულ სახეს იღებს. მარტოს გაუჭირდა სწორი გადაწყვეტილების მიღება. სლონათი გვარის უფროს თაობას უხმო.

მშვენიერი მზიანი დილა გათენდა. შემოდგომის დარი დიდ რამედ ღირს მთაში. ასეთ ამინდში უსაქმოდ ვინ გაჩერდება. სამუშაოს აშურებს ყველა. ზოგი საზამთროდ ფქვავს, ზოგი შეშას იმარაგებს, ზოგი თივას ეზიდება მთიდან. საქმეს რა გამოლევს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობა ხანდახან მაინც ახერხებს სანადიროდ გასვლას, ერთად ან ცალ-ცალკე სისხამ დილით თიზმაგხოხისაკენ გასწევენ და იქ ჯიხვს ან ქურციკს ჩაუსაფრდებიან. საღამოთი აუცილებლად მოიტანენ ნანადირევს.

იმ დილით გაბომ სანადიროდ წასვლა გადაწყვიტა. ასე თქვა, თორემ ნადირობისთვის სცხელა ახლა?! იქნებ გული გადააყოლოს, ლამის ფიქრებმა თავგზა აუბნიოს. ძაბეგისა ერიდება, ქორწილი არ დამთავრებულა, სტუმრები არ გაუცილებიათ, რა თქმა უნდა, გაბოს იქ ყოფნა აუცილებელია. ხელისმომკიდემ უნდა მისცეს წესი და რიგი სუფრას. მაგრამ გაბოს რომ აღარაფრის თავი აქვს?! ქალის მაყრებიდან განსაკუთრებით ბესოლთი ბარსაგზე შეუვარდა გული. მასზე ბევრად უმცროსი იქნება. მაგრამ ცეცხლივით ბიჭია. თედოთიყაველ ბარსაგსა და მის ძმა ხასანას მთელი ხეობა იცნობს. ღმერთმა დღე მისცეთ, ერთიმეორეზე უკეთესი ვაჟკაცები არიან. ბარსაგი დაეხმარა, თორემ... თორმეტი სირჩის ზედიზედ დალევას აძალებდნენ. ბარსაგმა შეუტია:

— კაცი სამოყვროდ მოსულა, თქვენ კი მტერივით ექცევით, რა ამბავია ამდენი სირჩა? — სირჩებიანი თაბახი გამოართვა „მოძალადეს“ და სუფრაზე დადგა. ძალიან მარჯვე და ჭკვიანი ბიჭები არიან. ბარემ უნდა ბარსაგის პატივისცემა, შინ მოპატიჟება. თავი რომ არა აქვს? თანაც ასე გულმოკლულმა ვაითუ სხვების მხიარულობას შეუშალოს ხელი. იცის ეს ძაბეგმა, არ ეწყინება. გუშინვე მოუბოდა-შა გაბომ. შინაც რომ არ უდგება გული?!. თავში მხოლოდ ბორსა, ქოსერი და ურვათის გადაუხდელი ნაწილი უტრიალებს.

როგორ უყვარს შემოდგომის მზიანი დარი! რა სიხარულით ხვდებოდა ყოველთვის. დღეს კი დილის მზემ სულაც არ მოუტანა სიმშვიდე. უხალისოდ წამოდგა, ფალასკა ჯვარედინად გადაიკიდა და ჯიხვის რქაზე გადაკიდებული თოფი ჩამოიღო.

— შვილო, რამ გაფიქრებინა, რა დროს ნადირობაა, ხალხი რას

ოტყვის? ძმადნაფიცის ხელისმომკიდე ხარ, ქალის მაყრები მაინც გაგეცილებინა, დედა გენაცვალოს, დაგემდურებიან.

— განა არ ვიცი, ნანა, მაგრამ არ შემიძლია, რაღაც ვერ... ვიფიქრე, იქნებ გული გადავაყოლო-მეთქი.

— ვიცი, შვილო, ყველაფერი ვიცი, მითხრეს, რა ვქნათ, ჭირი მოგვჭამოს დედამ... ვიღაცის გულისათვის ხომ არ დავიხოცებით. ისედაც არ გვაკლია მწუხარება და ჭირი. მთლად რომ მოეშვა, არც ეგ ივარგებს, ყარათი ბორსას ქალზე არ ჩამოწყვეტილა ქვეყანა. მამამ შვილის საფასურად ბროლის სასახლის აშენება მოგთხოვა. ჩვენ კი ხელმოკლე ოჯახს ძალა არ შეგვწევს. ხომ ხედავ, ამდენ ხანს ვერაფერი მოვახერხეთ. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ხომ გაგიგონია, არც პირველები ვართ და არც უკანასკნელები ვიქნებით. რაც მოსახდენია, მოხდეს, — მოეხვია შვილს აცრემლებული დედა.

— ძალიან მაგარი სილა გააწნეს შენს შვილს, ნანა. წავიქეცი, ნანა, წავიქეცი და წამოდგომა აღარ შემიძლია.

— გამაგრდი, შვილო, გამაგრდი, წაქცევას ნუ იკადრებ, ჩემო იმედო. რას ვიზამთ. ვინ ჩვენზე მდიდარი, ვინ — ღარიბი.

— ჯავრი მკლავს, მე სამოყვროდ მივედი, ის კი მოსისხლე მტერივით შემხვდა, მე კიდევ ჰო, მაგრამ საკუთარი შვილი? მტაცებელ ნადირსაც უყვარს თავისი ლეკვი, ის კი ადამიანია, რამ გაუცივა გული?

— ღმერთო, ადამიანურ სიკვდილს ნუ აღირსებ იმ გაუმაძღარ შგელს, ჩემი წვა-დაგვით გამოზრდილი შვილის ცოდვით მგლის ლუკმა გახდეს... ათი წელი! მთელი ათი წელი! ვარსკვლავებს ეთამაშებოდი და, დედა მოგიკვდეს, რას დაემსგავსე! უდროოდ დაბერდი, შვილო! რად არის დედაშენი ცოცხალი, ჭაღარა გამოგრევია თმაში.

— სანეთამ შვილის ჭაღარათმიანი თავი გამხმარ მკერდში ჩაიკრა და გულამოსკვნით ატირდა.

— ხალხში როგორღა გამოვყო თავი? რა პასუხი გავცე მტერმოყვარეს? მაგრამ არა, თუ მეც მამაჩემის შვილი ვყოფილვარ, სირცხვილს არა ვჭამ! იცოდე, თუ ბორსამ თავისი დანაქადი შეასრულა, ხანჯლით გამოვჭრი ყელს. ურვათს თავის ქელეხში მოვანდომებ.

— შვილო, მაშინ ჯერ დედა დამარხე.

— არადა, მოვიტაცებ...

— არც ეგ შეიძლება, დედის მზევ, აღარ იფიქრო მაგაზე. სისხლის ტბას ნუ დააყენებ, შიგ ჩაიხრჩობი, შვილო!

— მაშ რა ვქნა, ნანა? მე ფიქრის თავი აღარა მაქვს, შენ მაინც მირჩიე!

თითქოს სული გაეყარა სხეულსო, სანეთა მოდუნდა, მკლავები უსიცოცხლოდ დაეკიდა. კვნესა ამოხდა.

— რა გირჩიოს გულმკვდარმა დედამ, შვილო, ერთი გამოსავალი ვიცი მხოლოდ. მივალ ბორსასთან, თუ გვაპატიებს ურვათის გადა-

უხდელ ნაწილს, მოახლედ დავუდგები და სიკვდილამდის ერთგულად ვემსახურები. არ ვითაკილებ მისთვის ფეხების დაბანას. ოღონდ შენ მყავდე ბედნიერი. მაინც აღარაფერია ჩემი სიცოცხლე. მოკვდა გული შენი ცოდვით, თვალები მიბრმავდება შენი ტანჯვის ცქერით.

— გაჩუმდი, ნანა, გაჩუმდი! — შეშლილივით იყვირა გაბომ. — ცეცხლზე ნავთს ნუღარ მისხამ!

კარზე ვიღაცამ მოაკაკუნა. ლაპარაკი მოისმა.

— რა იქენ, გაბო, გამოიხედე გარეთ!

— მექორწილეები იქნებიან. გაიხედე შვილო.— სანეთამ მოსახვევის ყურით მოიწმინდა ცრემლით დასველებული სახე.

გაბომ გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს ძანგი შემოვარდა გახარებული.

— გაბო, გაბო! აგერ... გარეთ... გაიხედე, გაბო, გაიხედე! — ძანგი ლაპარაკს ძლივს ახერხებდა, სიხარულით ენა ებმოდა. თვალები უბრწყინავდა, სახე უცინოდა.

ეზოდან პირუტყვის ზმუილი მოისმა.

— ვისი საქონელია, შვილო, ძანგ?

— ურვათისა, სანეთ, ურვათისა...

— რომელი ურვათისა? რა ურვათისა?

— გაბოს ურვათისა, მთელმა გვარმა შეკრიბა პირუტყვი, სანეთ, თვითონ ბერდმა ორი ხარი დაუმატა. გაბოს ურვათი მზად არის! — ბავშვივით ცმუკავდა ძანგი და თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა. — მალე ქორწილში გაიჩეჩება ბიჭი! — გულზე ხელი დაიკრა ძანგმა და ოთახში ცეკვით ჩამოუარა.

სანეთას და გაბოს თითქოს სიზმარი აუცხადდათო. ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდნენ. მერე გაუბედავად გაიხედეს გარეთ.

ეზოში სლონათი გვარის თითქმის ყველა მეკომური თავის ნაჩუქარ პირუტყვთან იდგა და გაბოსა და სანეთას ღიმილით შეჰყურებდნენ.

— სანეთა, ჩვენო სახელოვანო რძალო, გვაპატიე. რომ აქამდის ვერ მოვიფიქრეთ ამის გაკეთება. აი, რაც ურვათს აკლია. გაბო, შვილო, გაიყოლიე ბიჭები და დღესვე მიჰგვარე პატრონს, ნუღარ დააგვიანებ, ქორწილსაც მოვახერხებთ! ასე გადაწყვიტა გვარმა,— ამას ამბობდა სლონათი ფარსი.

სანეთას ჯერ ენა დაება, მერე, როცა ყველაფერს მიხვდა, გვარის წინაშე მუხლებზე დაეშვა, ხელები მაღლა აღაპყრო და სიხარულის ცრემლები აწვიმა თვალთაგან.

— ო, სლონათი საამაყო გვარო. რა დიდი დახმარება გაუწიეთ თქვენს უმცროს ძმას, ჩემს ერთადერთ იმედს. სიკეთის გადახდას სიტყვით ვერ შევძლებთ, რა გითხრათ, არ ვიცი, მადლობის გარდა, არაფერი შემიძლია, თავს ვიხრი თქვენს წინაშე.

იმ დღეს გაბომ ძანგისა და კიდევ ორი სახლიკაცის თანხლებით საქონელი ხსანიყაუში ბორსას მიურეკა.

ბორსა ამას არ ელოდა. ათი წელი ვერ მოახერხა ურვათის გადახდა დ ახლა ოთხ დღეში ამდენი საქონლის დანახვაზე დაეჭვდა.

— ბიჭო, ვისია ეს საქონელი? რაღაც მეეჭვება, რომ შენი იყოს. სხვისი საქონელი ხომ არ დაიხვეტე მთიდან! მითხრეს, რომ შენ სახლში ოთხფეხი კატაც აღარა გყავს? — ბორსამ სადგისივით თვალები გაუყარა გაბოს გულში.

— გეყოფა, ბორსა. დაცინვა არ იყოს, ვისია საქონელი, ეგ სულაც არ გეხება შენ, მიიღე რაც გვმართებს და მოგვეცი ქალი, — გაბოს არ დააცადა პასუხი ძანგმა.

— შენ ვინღა ოხერი ხარ? თუ ჩემს ქეციან სასიძოს ენა გაუხმა და შენ დაგიყენა თარჯიმნად? — დოინჯი შემოიყარა ბორსამ, თითქოს საჭიდაოდ ემზადებაო.

— არა, ენა არ გამხმობია, სიმამრო! — ვეღარ შეიკავა თავი გაბომ, — მათხოვრის გუდა წამომკიდე ზურგზე და გაპატიე, შეურაცხყოფას კი იცოდე, არ მოგითმენ.

— უყურეთ ამას, რა მუქარა სცოდნია? კი მაგრამ, რას მიზამ, ქალი რომ მაინც არ მოგცე?

— ამას უყურებ? — ხანჯალზე მიუთითა გაბომ, — მაშინ ეს გაარჩევს მართალსა და მტყუანს.

— გაჩუმდი, უდღეურო. შენ რომ კაცი იყო, აქამდის საქორწილო შვილები გეყოლებოდა. ახლა შენთვის კი არა შენი შვილისთვის უნდა თხოულობდე ცოლს. ენა ნუ წაიგრძელე, თორემ ქალი ჯერ ჩემს ოჯახშია და ურვათის დაბრუნება არ გამიჭირდება.

— ვითომ ურვათის დაბრუნება ასე იოლია? ხომ არ დაგავიწყდა, რომ სამმაგად გეკუთვნის ურვათის დაბრუნება? ასე გვასწავლის ადათი! რას იტყვით, გინდათ დამიბრუნოთ? აქამდის მქონდა სახვეწრად საქმე, ახლა? ჰო, აგერ საქონელი, წაიყვან, თუ?..

ბორსა ბრაზით ბაყაყივით გაიბერა. მიხვდა, რომ ახლა სასწორი გაბოსკენ გადაიხარა. აღარც დამცირებას მოუთმენს და აღარც მოერიდება. თუ ნიშნობას ჩაშლის, ურვათის სამმაგად დაბრუნება მოუწევს. გინდაც გაიმეტოს და დაუბრუნოს, რას მოიგებს, ქოსერი კარგა ხნიერი ქალია. თმაში ჭაღარა გამოერია. ვინღა ითხოვს? ნაქვრივალი თუ წაიყვანს მეორე ცოლად, ანდა ნომილუსად[1] თუ ვინმე ინდომებს. ისინი ურვათის ნახევარსაც არ გაიმეტებენ. ისევ ბორსა ზარალობს. სწრაფად გაიაზრა ყოველივე ეს, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა.

— უყურეთ ერთი, როგორ აიმაღლა ხმა. მე მაინც მიკვირს, სად იშოვე ამდენი საქონელი? თქვი. მეც ხომ უნდა ვიცოდე!

.— ვიპოვე. კარგ ხალხს რა გამოლევს ქვეყანაზე, ყველა შენ კი არა

[1] ნომილუსი — უკანონო ცოლი, რომლის შვილებს მამის ოჯახიდან წილი არ ეკუთვნით.

გგავს,— აღარ ერიდება გაბოს უფროსისათვის სიტყვის შებრუნება, — პასუხი მითხარით, როდის მოვიდე ქალის წასაყვანად?

ბორსა დაიბნა.

— ჯერ მზად არა ვარ, ვიფიქრებ.

— ათი წელიწადი კმაროდა ფიქრისათვის. საცაა თოვლს ჩამოყრის და გაზაფხულამდე ცარგასბადანიდან თქვენამდის ჩიტიც ვერ გადმოფრინდება. მეჩქარება!

— მზად არა ვარ-მეთქი!

ქოსერი იქვე პარმაღზე იდგა და ლაპარაკი ესმოდა. ქორწილის ხსენებაზე ქალი მიხვდა, მამას კიდევ რაღაც განზრახვა დარჩა შესასრულებელი. ცხრა პირი ტყავი გააძრო მის საქმროს და ახლა მეათედ უპირებდა გატყავებას. ქორწილისთვის მზად არა ვარო, იმიტომ დაიჟინა, რომ გაბოსათვის გამოეძალა საქორწილო ხორაგი. სანამ ბორსა ამას იტყოდა, ქოსერმა დაასწრო, წინ წამოდგა.

— ბაბა, აღარ არის საჭირო ქორწილი, ქორწილს ბედნიერები იხდიან, შენ კი აჯობებდა, ქელეხი გადაგეხადა შვილისათვის, რადგან ჩემი დიდი სიყვარული და სიხარული კარგა ხანია ჩაიფერფლა. ბედნიერება ჩემს ცრემლებთან ერთად დაშრა. გამყიდე? ფასი ხომ მთლიანად ხელში გაქვს, რაღა უფლება გაქვს ჩემზე? ახლა მყიდველის ხელში გადავდივარ და ის არის ჩემი პატრონი. გაბო, მაპატიე, რომ რიდი დავკარგე და სახელით მოგმართავ, აქ აღარ დამტოვო, თუ შენ უარზე დადგები, მე ჩემი ფეხით გამოგყვები. ეგ კი ჩემთვისაც სირცხვილია და შენთვისაც. მამაჩემისა აღარაფერი გვმართებს. ამდენი ხანია სული ამოგვხადა. ახლა უფლება გვაქვს დაცარიელებული გულები შევაერთოთ. მოვდივარ, დამიცადეთ... კაბას გამოვიცვლი.

ბევრს ეცადა ბორსა შვილისათვის ნათქვამი გადაეთქმევინებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ახლა კი შეშფოთდა, ხალხი გაიგებს და ბორსას სალმის ღირსადაც არავინ გახდის, მაგრამ ქოსერმა თავისი გაიტანა. გზიდანვე გაჰყვა საქმროს.

3.

— ჰო, სათქმელი მაქვს, ჩემო მზეო, — ლოგინში წამოჯდა ბერდი, ბალიშზე მიესვენა და დასუსტებულმა ძლივგასაგონი ხმით დაიწყო:

— აგერ ერთი კვირაა, ხან ასე ვიფიქრე, ხან ისე, გადავღეჭე, გადმოვღეჭე და ჩემი მოკლე ჭკუით, როგორც უფრო სწორად მივიჩნიე, ისე გადავწყვიტე... მე ამ წუთისოფელს მალე გავეცლები. რა ვუყოთ, ყველაფერს თავის დრო აქვს. ჩემი ჯერიც მოვიდა, მიახლოვდება სიკვდილი. დიდხანს ვიცოცხლე, დასამდური არაფერი მაქვს. ჩემი წუხილის მიზეზი ეს არ არის, სხვა რაღაც მიღრღნის გულს. სიკვდილისა კი არ მეშინია, მე მხოლოდ ის მტანჯავს, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ სამუდამოდ გაცივდება კერია, წლობით დაგროვილ

ნაცარს[1] გაფანტავს ქარი. ამისი მეშინია. ო, როგორ მეშინია. თითქოს თვალით ვხედავ ჩემს ნაფუძარზე გადაბიბინებულ ჭინჭარსა და ღოლოს. ყველაზე საშინელება ესა ყოფილა, შვილო ძანგ. ამას რომ გავიფიქრებ, გულის მაგიერ მკერდში ყინულის ნატეხს ვგრძნობ. ბარემ, მეც რომ მრჩებოდეს მემკვიდრე, კერიაზე ცეცხლს ვინც არ ჩააქრობდა ისეთი... მაგრამ ღმერთი განმირისხდა და უწილკერძოდ გადამატარა.

გაგონილი გექნება, უფროსი შვილი უკუღმართი გამომივიდა. მე თვითონ გავაძევე აულიდან. რა იქნა, საით წავიდა, აღარაფერი გამიგია მისი. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მკვდარია. მეორეს ღმერთმა დღე არ მისცა. ალბათ თიზმაგხოხი განურისხდა ან რაღიძუარის რისხვაც დაეცა. დავრჩი გაუბედურებული... ახლა ჩემი ჯერ ვინ დავტოვო ჩემს კერიაზე? ბევრი ვიფიქრე, მარგამ ჩემს გვარში, ახლო ნათესავებში ვერავინ ამოვარჩიე. იმ დასკვნამდე მივედი, რომ მათ შორის შენზე უფრო გაჭირვებული არავინ არის, ჩემი არჩევანი შენზე შეჩერდა...

— ჩემზე? — წამოიძახა გაკვირვებულმა ძანგმა, — რატომ ჩემზე?

ბერდის წინ სამფეხა სკამზე იჯდა ძანგი და გულისყურით უსმენდა მძიმე აღსარებას. ისე კი უკვირდა, რატომ მაინცდამაინც მე გამიხსნა თავის ნატკენი გულის კარი? სად არიან სახლიკაცები, გვარის უხუცესები? ვინც მისი სიკვდილის შემდეგ აულის თავკაცობა უნდა იკისროს?

— ო, შენზე... ჯერ ერთი გიყურებ და ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს შენ ბაბუაწვერას ყვავილივით, რომელიც დედამიწაზე არასოდეს ვარდება, სულ ჰაერში დაფარფატებ, დღეს აქ, ხვალ იქ. შენი ბედი მთლიანად ქარზეა დამოკიდებული; წამოუბერა, აგიტაცა და დაგაქროლებს თავის ნებაზე. ეშმაკმა იცის, როდის გაგაბამს მახეში. ჰე, ჩემო მზეო, თუ მიწაზე არ მოიკიდე ფეხი, არარაობა ხარ, არარაობა კი არა, არაფერიც არა ხარ, არც შენ და არც ის, ვინც შენს შემდეგ დარჩება. თუ მიწაზე ორივე ფეხით დგახარ, ნუ გეშინია. აგიცდა ფეხი?— დაიღუპები.

— ჭეშმარიტებას ღაღადებთ. ვიცი, ყველაფერი მესმის, მაგრამ თქვენი თქმისა არ იყოს, ყველაფერი ღვთის ნებაა, განგების ძალას ვერავინ წაუვა. ნულარ იტანჯავთ თავს. მძიმე წარსულის გახსენებით ძველი ჭრილობა ახალი ძალით აგტკივათ, ტკივილი კი ისედაც არ გაკლიათ.

— ვიცი, ჩემო მზეო, ვიცი. იმიტომ ვდარდობ შენზე. ასე უწილოდ რომ დაგტოვო მიწაზე, ისევ რომ წამოგიბეროს ქარმა და ხელახლა მიგაგდოს სადმე, საფლავში დავიტანჯები, შენი ცოდვით ჯოჯოხეთად გადამექცევა სამოთხე.

— რატომ, დადა, რატომ? ბედმა რომ არ გამანებივრა, განა თქვენა ხართ ამაში დამნაშავე? პირიქით, სიკვდილამდის თქვენი მადლიე-

[1] კერიის ნაცარი ხელშეუხებელია. რამდენადაც მეტია ის, იმდენად უკეთესია.

რი დავრჩები, თქვენ მომეცით ბინა, ძმები და მეგობრები შეეიძინე. თქვენს სიკეთეს სააქაოს ვერ გადავიხდი, საიქიოს მემართება.

— აი, რა, შვილო, მე მინდა, რომ სამუდამოდ ცარგასბადანში დარჩეთ. ჭკუით, მოხერხებით, ადამიანობით, ვაჟკაცობით მოინადირე ჩემი გული. მე მინდა, რომ აქ დამკვიდრდე და ხვალ-ზეგ აულს უწინამძღოლო. ვიცი, კარგი ადამიანი ხარ, ჭკვიანი და ხალხის გაჭირვებას ყოველთვის გულთან მიიტან. საერთო საქმისათვის დარაზმავ. თუ სიმართლეს არასოდეს გაამრუდებ, ხალხი წინამძღოლად გიწამებს. სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავება არ უნდა იყოს, მაშინ ექნება ფასი შენს განაჩენს. ეე, შვილო, მძიმეა ხალხის მდგომარეობა და თუ ჭკვიანი წინამძღოლი არ ეყოლებათ — დაჭამენ ერთმანეთს, კლდეზე გადაიჩეხებიან. შენ კი დიდი ხანია გამჩნევ საამისო მონაცემებს. ხომ იცი, ერთი ჭკვიანი მამაცი კაცი ზოგჯერ მთელ აულად ღირს.

— დადა, არა ვარ ღირსი... რას წარმოვადგენ? რა წინამძღოლი უნდა ვიყო? ხალხისა და თქვენი წყალობით ვდგავარ ფეხზე. ერთი უთვისტომო კაცი ვარ.

— აქამდის არასოდეს შევმცდარვარ, ადამიანის გამოცნობა ადვილი როდია. ყველა სულიერზე ჭრელია ადამიანი. ზოგი ანგელოზად მოგეჩვენება, სული კი ეშმაკისთვის მიუყიდია. ვისაც მე ვიცნობ, მათ შორის ყველაზე კაცური კაცი შენა ხარ. შვილებივით შემიყვარდით შენ და შენი მეუღლე. ჩემს გულს შეეზარდეთ თითქოს. რაც პატივისცემა ჩემმა შვილებმა დამაკლეს, თქვენ ამინაზღაურეთ. ჰოდა, გადავწყვიტე, ხვალ მთელი ჩემი გვარის წინაშე გიშვილო, სლონათი გვარის წევრად ჩაგრიცხო. ჩემს უძრავ-მოძრავ ქონებას შენ გიტოვებ. ასე გადავწყვიტე, ახლა სიტყვა შენ გეკუთვნის. გსურს თუ არა ჩემი შვილობა და სლონათი გვარის წევრად გახდომა?

გაშტერდა ძანგი. ენა ჩაუვარდა, გული გაუჩერდა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ეს რა ესმის? სიზმარია თუ ცხადი? მიწა მამიდან შვილზე გადადის, თუ შვილი არა ჰყავს, მაშინ ძმას, ძმისწულს ან სისხლით ახლო ნათესავს ეკუთვნის. ეს ბრძენი მოხუცი კი, ალბათ, ჭკუაზე აღარ არის, თორემ წინაპართა ადათს რად დაივიწყებდა... როგორც იყო მოახერხა ხმის ამოღება:

— დადა, ვიცი, თქვენი პირით ყოველთვის უფალი ღაღადებდა, მაგრამ ახლა? რა ვიცი... მიწა თქვენს ახლობელს, სისხლით ნათესავს ეკუთვნის, ასეთია ადათი, მე კი თქვენი არაფერი ვარ.

— ძანგ, შვილო, ალბათ, ფიქრობ, ბერიკაცი ჭკუაზე აღარ არისო. სრულ ჭკუაზე ვარ და ვიცი რასაც ვაკეთებ. თუ აუცილებელია, წინაპართა კანონის დარღვევაც შეიძლება. ჰოდა, ახლა ვარღვევ მას, ჩემს შემდეგ რომ არავინ შემოგედავოს, ხვალ მთელი გვარის წინაშე გიშვილებ, ჩემს გვარს მოგცემ. შენ, სრულუფლებიანი წევრი გახდები თანამოგვარეებს შორის. ისინი ძმად მიგიღებენ, ხვალ მოვიწვევ ჩემს სახლიკაცებს, მჯერა რომ არ ეწყინებათ, პირიქით, მომიწონებენ გადაწყვეტილებას.

ლაპარაკობს ხევისბერი. ძანგი გულისყურით უსმენს, ხმა ესმის, სიტყვებს კი ვერ არკვევს. მთელი სიცოცხლე მიწაზე ოცნებობდა და უს ოცნება მთის წვერს მობურული ნისლივით მიუწვდომელი იყო. ახლა კი აგერ ეს ბრძენკაცი თავის მემკვიდრეობას სთავაზობს. რაც თავი ახსოვს, მთის წვერიდან მოწყვეტილი ქვასავით გაიგდო წინ ბედმა და მიაგორებს, პირველადაც ბერდიმ შეაშველა ხელი, თავის ჯერქვეშ მიუჩინა ბინა. ამ ქვეყანაზე ძანგს მიწის ნაწილი არავინ არგუნა და აი ახლა ისევ ამ კეთილმა ადამიანმა ისურვა მისთვის წილის გამოყოფა, როგორც ამ ცამეტი წლის წინ, ახლაც მუხლებზე დაეცა ბერიკაცის წინ.

— დაბადებიდან დღემდე, სისხლითა და ოფლით მივიკვლევ გზას. ვაჟკაცის ადგილს ვეძებდი მიწაზე, მაგრამ რა ვაჟკაცია ის, ვისაც მიწაზე ფეხის დასადგმელი ადგილიც არ მოეძებნება და მე ჩემი თავი ვერასდროს ჩავთვალე ვაჟკაცად. ო, მიწიერო წმინდანო, ჩემო კეთილისმყოფელო, შენ მაგრძნობინე, რომ მეც ჩვეულებრივი კაცი ვარ, ადამიანი. არასოდეს დაგივიწყებ, შენთვის ვილოცებ, სანთლად ავენთები და საიქიოს გაგინათებ.

გული აუჩუყდა ძანგს. ხმა ვეღარ ამოიღო...

გარეთ კი თოვდა და თოვდა...

4.

წვიმ-ს შემდეგ მზემ თავისი მწველი სხივების კონა გადმოფანტა დედამიწაზე და მთის ფერდობები მწვანე ხალიჩასავით ახასხასდა.

ზამთარში თიზმაგხოხიდან წამოსული ზვავები ხეობებს ავსებს, კლდეებს შორის ერთ მტკაველ სიცარიელეს აღარ ტოვებს. ზაფხულის მზე დააცხუნებს და მყინვარიც დნობას დაიწყებს. სიცხეში ცხვარს იტყუებს დნობაშეპარული თოვლი, საშიშია ასეთ დროს. გათხელებული ყინული ხშირად ჩაიმზღვლევა ხოლმე და უფსკრულში თან ჩაიყოლიებს პირუტყვს. ბევრი ცოდვა ადევს ამ ოხერას. ცარგასბადანელი მწყემსები კარგად იცნობენ მას. ბევრი მათგანი ჩაუყლაპია. გაზაფხულზე ძანგი საშოვარზე წასასვლელად რომ ემზადებოდა, ვინ იცის, მერამდენედ აფრთხილებდა აგუნდას — ცხვარი მყინვარზე არ გაგეპაროსო. აგუნდას ახსოვს ქმრის დანაბარები და ძალიან ფრთხილობს.

აგერ მეორე წელია აგუნდა ქმრის მაგიერ მწყემსავს აულის ნაზირს. თორმეტი წლის ზარინაც ეხმარება დედას. ბერდიმ ძანგი იშვილა, თავისი სახნავ-სათესი მას დაუტოვა. როცა მოხუცი გარდაიცვალა, მისი დასაფლავება და ქელეხი ძანგმა იკისრა. ეს კიდევ არაფერი, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად მთელი წელიწადი რამდენჯერ უნდა გაიშალოს სუფრა. ჰოდა, ისედაც ხელმოკლე ოჯახი მთლად გაიხიწნა. ვალში ჩაცვივდნენ. ვალის გადახდისათვის ერთი გამოსავალი არსებობდა. ჩრდილოეთში დღიურ სამუშაოდ წასვლა. ეს აზრი პირველად აგუნდას დაებადა:

— სამ თვეს მე და ზარინა მოვუვლით პირუტყვს, ძანგ, — უთხრა ქმარს და სამგზავროდ გაამზადა.

პირველ წასვლაზე ხელი მოემართა. პურიც ბლომად ჩამოიტანა და ფულიც. ვალები გადაიხადა. ერთი წასვლა კიდევ იყო საჭირო და ოჯახი ფეხზე დადგებოდა. მეორე წელსაც წავიდა ძანგი, ცოლ-შვილი ტიტველ-შიშველი ჰყავს, წაიმუშავებს, ფულს იშოვის, რაც ესაჭიროებათ, იყიდის და დაბრუნდება შინ.

იმ დღეს კარგ ხასიათზე გაიღვიძა აგუნდამ. ძანგი ესიზმრა, მთელი საპალნე პური ჩამოიტანა, აგუნდას ლამაზი აბრეშუმის კაბა, ქალაღაია. ზარინასაც ჭრელ-ჭრელი კაბები, სწორედ ისეთი, ბავშობაში რომ ყიდულობდნენ აგუნდასათვის.

თითქოს პირველდ ხედავს, ძალზე ლამაზი და თვალწარმტაცი ეჩვენება ეს საუკუნოვანი მთები, თვალს ვეღარ აცილებს, საკვირველია, ზურგები სულ სხვადასხვანაირი აქვთ, ერთს გაბრტყელებია, მეორეს სულაც ოღროჩოღროდ მოუჩანს, მესამეს მონგრევია... რაც უფრო ქვევით მიიწევენ, თანდათან დაბლდებიან ქედები და ბოლოს შორს, ცის დასალიერს სულაც ქრებიან: „ნეტავ ჩემი აული საით არის? — გაიფიქრა აგუნდამ, — იმდენი მთა გადმოვიარეთ, ახლა ეშმაკიც ვეღარ გაიგნებს უკან გზას, არა, რა იქნება, ბაბამ რომ გაიგოს, მისი ამაყი ქალიშვილი აგუნდა აულის ნახირს მწყემსავს. თავში წაიშენდა. თავს აღარ იცოცხლებდა. რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ცამეტი წელი! ცამეტი გაზაფხული, ცამეტი ზამთარი. თითქოს სიზმარი იყო ყველაფერი; პირველ ხანებში მართლა ძალიან გამიჭირდა, შიმშილმა და სიშიშვლემ შემაწუხა და მაშინ ის სიზმარი ხშირად მაგონდებოდა. სიზმარში სიზმარს ვხედავდი. მაგრამ მერე ყველაფერი გადამავიწყდა. რატომ? არ ვიცი. ადამიანი სიბერეში იგონებს ახალგაზრდობის დღეებს. ასე დაუწესებია ღმერთს, რაც ძვირფასია, რაც უკვე მიუწვდომელია, იმაზე უყვარს ოცნება. სიავკაცემ რაც უნდა დიდი ტკივილი მიაყენოს გულს, გავა დრო და მაინც დაავიწყდება. მე კი ჩემი ცხოვრების ყველაზე უდარდელი და ლამაზი დღეები დამავიწყდა. დამავიწყდა კი? არა, ყველაფერი არ დამვიწყებია. ჩემი ძიძა! როგორ მომენატრება ხოლმე მისი ტკბილი უბე, ხანდახან ისე ცოცხლად ვგრძნობ, თითქოს აქვე ჩემს გვერდით იყოს. რა ჭკვიანი და ალერსიანი თვალები ჰქონდა. ერთთავად მისი დაღარული შუბლის გასწორებას ვცდილობდი, როგორ მიღიმოდა, ეგ ცხოვრების ნაკვალევია, შვილო და მაგის გასწორება აღარ შეიძლებაო. უბრალო ადამიანი რამხელა გულის პატრონი იყო. ალბათ ახლა ცოცხალი აღარ იქნება. მაშინაც ავადმყოფობდა. მშობლიური ალერსი მისგან მახსოვს. როგორ მეხვეწებოდა, როცა მოვკვდები, ჩემს საფლავზე მოდი და ცრემლები დამაყარეო. ეჰ, ნეტავ მართლა შემეძლოს მისი ანდერძის შესრულება, როგორ მოვიოხებდი ტირილით გულს?!

ნეტავ აკირუხსი რაღა იქნა? რა ლამაზი იყო, როგორ ვუყვარდი? ჩემს საიდუმლოს მხოლოდ იმას ვანდობდი. სად არის ახლა? დოლა-

თი უყვარდა. ჩემი დაკარგვის შემდეგ მამაჩემმა, ალბათ, მსახურებზე იყარა ჯავრი.

დოლათი კარგი ადამიანია, აცირუხსი ბედნიერი იქნება მის ხელში. ღმერთმა ქნას! ე, ე, აცირუხს, ახლა რომ გითხრან, შენი ქალბატონი აულის ცხვარს მწყემსავსო, ნეტავ რას იტყოდი?

მამაჩემი? ისიც მახსოვს. ელოითი ძანხოთი, ძალიან კი ვუყვარდი. რომ მეთქვა შენი ქონება სულ მე დამიმტკიცე-მეთქი, არც დაფიქრდებოდა. ვუყვარდი. თუმცა ნამდვილად რომ ვყვარებოდი, ასე არ მომექცეოდა. ქალის ბედნიერებას სასწორზე ქონება შეუწონა და ვაი, რომ მეორემ გადაძალა პირველს. საყვარელი შვილი დასაღუპად გაწირა. ვიცი, ჩემი დაკარგვა გულს დაუკოდავდა, მაგრამ მაინც რა იყო, რატომ შეიძულა ძანგი? რაში ადანაშაულებდა? ალბათ იმაში, რომ ზღაპრული ამირანივით ღმერთებისთვის ცეცხლის წართმევა მოინდომა, იმ ცეცხლში მამაჩემი დაიწვა თავისი ქალიშვილით. და ეს იმიტომ, რომ მამამ შვილის სიყვარულზე მაღლა თავისი ქონება და კეთილშობილება დააყენა. არა, არავისაც არ ვუყვარდი — არც ბაბას, არც ნანას და არც ძმებს...“

მზემ საშუადღეოს მიაწია. დაცხა. ცხვარი აღარ ძოვს, ერთად შეჯგუფდა და საცაა დაეყრება.

— ზარინა, შვილო, აქეთ გამოაბრუნე ცხვარი.

ზარინა ძახილზე არ შეეხმაურა. კიდევ დაუძახა, ისევ ვერ მიიღო პასუხი. გული შეუქანდა დედას, ჯოხი გადააგდო და შვილისკენ გაიქცა. ქვაზე იჯდა ზარინა, გამხდარი მკლავები მუხლებზე შემოეხვია, თავი კალთაში ჩაედო და ეძინა. ოქროსფერი ნაწნავის ბოლო მიწას ეხებოდა.

— ზარინა, შვილო, გაიღვიძე, მზე გაცხუნებს და თავი აგტკივა. გოგონამ თვალები მოიფშვნიტა.

— როგორ დამძინებია, — თითქოს მოიბოდიშა.

— დედა გენაცვალოს, ძილი აღარა გყოფნის. ცოტაც, შვილო და ბაბა ჩამოვა, იძინე მერე რამდენიც გინდა.

— ნეტავ ჩქარა დაბრუნდებოდეს, ძალიან მომენატრა. დედის მხარზე ჩამოდო თავი ზარინამ.

— ეს ერთი თვეც როგორმე გავიჭირვოთ, გენაცვალე და მამაშენიც გამოჩნდება. წამოდი, ცხვარი დავაქუჩოთ და ჩვენც ვისამხროთ.

საჭმელს არ გაეკარა ზარინა.

— ჭამე, შვილო, დილასაც არაფერს ახლე ხელი.

— არ მინდა, თავი მტკივა...

— ვაიმე, ავად ხომ არა ხარ? — აგუნდამ შვილს შუბლი გაუსინჯა, — სიცხე გაქვს... რაღა ვქნა, შინ წადი, ლოგინი გაშალე და დაწექი, დაიძინე.

— მერე შენა, ნანა, მარტო როგორ იქნები?

— მე რა მიშავს, შენ წადი, საღამომდე ვერ გაძლებ აქ.

შინ გაისტუმრა ბავშვი. დადარდიანებულმა ლუკმა ვეღარ გადაყლაპა. საგზალი ისევე შეახვია გუდაში.

მზე გადაიწვერა. აგრილდა. ცხვარი წამოიშალა და ბალახს მიეტანა. აგუნდაც ადგა. ცხვარს თვალი მიადევნა.

ისევ თავისი წარსული გაიხსენა. საკვირველია, დღეს ყველაფერი ასე ცოცხლად რატომ წარმოუდგა თვალწინ. ამდენ ხანს გულში ღრმად ჰქონდა დამარხული, ახლა კი თითქოს გაიღო სამარხის კარი და ყველაფერი გარეთ გამოფანტა. დედის სახე უნდა წარმოიდგინოს, მაგრამ აღარ აგონდება, ბავშვობაშიც არასოდეს მონატრებია დედა. დედას არ უყვარდა ქმარი, რომელიც საზოგადოების დაბალი ფენიდან ჭკუითა და მოხერხებით დაწინაურდა, ქონება შეიძინა, საზოგადოებაშიც თავისი ადგილი დაიკავა. დედას, კეთილშობილ, მაგრამ უკვე გაღარიბებულ და დაკნინებული ოჯახიშვილს, საამაყოდ მხოლოდ წარსული და თავისი კეთილშობილური წარმოშობა-ღა დარჩა. სიღარიბემ თავმოყვარეობის ფრთები შეაკვეცა და თავადის ასული მდაბიო წარმოშობის, მაგრამ მდიდარი ქმრის ტყვეობაში მოექცა. გარეგნულად ლამაზი იყო, ჭკუით ღარიბი. — მამა — გარეგნულადაც და ჭკუითაც სრულყოფილი. დედა, ჯიბეგაფხეკილი თავადის ასული, ყოველთვის თავს ამეტებდა ქმარს. ბავშვები რომ ეყოლა, არც მაშინ შეურიგდა ბედს, მაინც არ კადრულობდა მდაბიო ქმარსა და მის შვილებს. ამიტომაც არც ერთ შვილს არ უგრძვნია მისგან დედის გულის სითბო. ეს განსაკუთრებით აგუნდამ გამოცადა. დედა, ქალაქში, მშობლებთან ამჯობინებდა ყოფნას, ქმრის ოჯახში იშვიათად თუ გამოჩნდებოდა, ისიც მაშინ, როცა თული შემოაკლდებოდა. ანდა ქალაქის ერთფეროვანი ცხოვრება მობეზრდებოდა.

ერთ ან ორ კვირას დარჩებოდა აულში, მაშინაც სულ ეძინა. მისი გაღვიძების უფლება თვით ძანხოთსაც არ ჰქონდა. აგუნდა დედის ოთახის კარწინ გავლასაც ვერ ბედავდა.

შეუბრალებელი იყო მამა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ საკმაოდ იწვნია ცოლქმრული ცხოვრების სიმწარე, შვილის წმინდა გრძნობას მაინც არ გაუწია ანგარიში. მაინც რა იყო ამის მიზეზი? ქონებრივი უთანასწორობა? მერე, განა ცხოვრება და ქონება ადამიანის ბედნიერებისათვის არ გაუჩენია ღმერთს? არა, ძანხოთისნაირები ქონებას ყველა გრძნობაზე მაღლა აყენებენ, სიყვარულს, სულიერ სიმშვიდეს, ცხოვრების მიზანს ფულში ხედავენ. აგუნდამ, არ ისურვა ასეთი ცხოვრება. არ ისურვა და აი ახლა აულის ნახირს დასდევს მთაში.

იქნებ, მართალიც იყო ძანხოთი! ერისთავის ვაჟის წინადადება რომ არ უარეყო აგუნდას, სამუდამოდ ხსნილი ექნებოდა დიდგვაროვანთა საზოგადოებისაკენ მიმავალი ყველა გზა. ცხოვრების სიკეთეს ორი ხელით დააყრიდნენ. თავისი სილამაზის წყალობით ბეწვის ხიდზე ლაღად გაივლიდა. ვერც ერთი მამაკაცი ვერ გაუძლებდა მისი

თვალების ელვარებას, ქედმოხრილნი და მუხლმოდრეკილნი მიწაზე იხოხებდნენ მის წინაშე.

არ ინდომა ეს აგუნდამ. არც ნანობს მათალია უქონელია, ღარიბი, სამაგიეროდ მისი სულიერი სიმდიდრეა აურაცხელი. რაც მთავარია, ბოლომდე დარჩა ადამიანად. ადამიანად, რომელმაც კარგად იცის ცხოვრების სიტკბოსა და სიმწარის, სიმართლისა და უსამართლობის გემო. დიდი და ლამაზი გული იმარჯვებს ბოროტებაზე, უსამართლობაზე და სიღატაკეზე. ქონებრივ სიმდიდრეს სულიერი სიმდიდრე ამჯობინა აგუნდამ და გაიმარჯვა კიდეც. ამაზე დიდ ბედნიერებას არც შესთხოვს უფალს. ო, მაგრამ, რატომ აღარ ახსოვს დედის სახე? ან რატომ აეკვიატა გარდასულ დღეზე ფიქრი? მთელი დღე დედის სახის გახსენებას ცდილობს. არ იქნა და არა, ვერ აღიდგინა მეხსიერებაში...

— გამარჯობა და ცხვარი გიმრავლოს, მწყემსო! — მოესმა აგუნდას.

ფიქრებიდან გამოერკვა, შემკრთალი შეტრიალდა ხმაზე. ულვაშებგაპარსული უცხო კაცი დაეინებით უყურებდა მას.

— გაგიმარჯოს და გადღეგრძელოს ღმერთმა, სიკეთე ნუ მოგეშალოს, — სალამზე სალმით უპასუხა აგუნდამ და ჰკითხა, — ხომ არაფერი დაგიკარგავთ?

— ცხვარი ამისხლტა. ვიფიქრე. იქნება თქვენებში გაერია.

— რა გითხრა. უცხო ცხვარი არ შემინიშნავს, საღამოზე აულში მოიკითხეთ და თუ ვინმემ იპოვა, არ დაგიმალავთ...

—ცნობისმოყვარეობაზე არ დამძრახოთ, ძანგის ცოლი, აგუნდა, ხომ არ ბრძნდებით?

— ისა ვარ, — გაუკვირდა აგუნდას თავისი სახელის გაგონება.

— ძანგი ჩემი მეგობარია. თვითონ სად არის? მარტო როგორ გამოგიშვა სამწყემსურში?

აგუნდამ ყურადღება დაძაბა. უცნობის ხმა სადღაც გაუგონია. ძანგის სახელის ხსენებაზე კი დარწმუნდა, ეს კაცი ნაცნობი იყო.

— ჩრდილოეთში საშოვარზეა წასული. იმის მაგიერ მე ვმწყემსავ საქონელს. თქვენ თვითონ ვინა ბრძნდებით? ხმა თითქოს მეცნობა, მაგრამ ვერ გამიხსენებია, სად მომისმენია?

— სამაგიეროდ მე არ დამვიწყებიხარ. ქალბატონო, მართალია, თმა გაგჭაღარავებია, ოდესღაც შენი საოცნებო სილამაზე ზაფხულის მზესა და მთის ზენაქარს სახიდან გადაუკრეფია, მაგრამ შენს ჯადოსნურ თვალებში ჯერ არ ჩამქრალა ცეცხლი. მაშინვე გიცანი, ქალბატონო... არ დამვიწყებიხარ. აგერ ცამეტი წელია კვრინჩხის ეკალივით გულში ჩამსობიხარ... ხედავ, ულვაშები გავიპარსე. ფიცი დავდე, სანამ არ გიპოვნიდი, ულვაშის ტარების ღირსად არ ჩავთვლიდი თავს, ულვაშმოპარსული კაცი კი შერცხვენილია. ამდენი წელი ვითმინე, ახლა იქნება ამოვიძრო გულიდან ის კვრინჩხის ეკალი. ულვაშებსაც მოვუშვებ. სახელსაც ისევ დავიბრუნებ, — უცნობის ქარაგმებმა გულში გაჭვალა ქალი.

— ვინა ხარ? არ გიცნობ. რა ქარაგმებით მელაპარაკები? ან რა გინდა ჩემგან?

— მიცნობ, ქალბატონო, მიცნობ. პატარაობისას ჭირივით გეჯავრებოდი და ერთთავად მამასთან მაბეზღებდი. სარმათი ვარ... შემომხედე. ულვაშები აღარა მაქვს. წვერიც ულვაშს მივაყოლე, ქოსა სარმათი კი ვეღარ იცანი, ქალბატონო. აბა, შემომხედე!

ამ სახელის გაგონებაზე ელდა ეცა აგუნდას. სხეულში სიცივემ დაუარა. პირდაპირ სახეში მიაჩერდა სარმათს: ნაცნობი, გოგრასავით მრგვალი თავი, კარტოფილივით ცხვირზე ცერის სიმსხო მეჭეჭი. მერე ულვაშები და წვერიც თავთავის ადგილზე მიუყენა და აი მის წინ დგას კაცი, რომელიც ბავშვობაში მართლა სძულდა. ძანხოთი მას ერთგულ ძაღლს ეძახდა.

გულს შემოეყარა, რა უნდა? ვინ გამოგზავნა?

— რისთვის მოეთრიე აქ? რა გინდა ჩემგან? შხამიანი გველივით რას დამდევ? — ზიზღით მიაჩერდა აგუნდა სარმათს.

— მოვედი, რომ ანგარიში გაგისწორო, ცამეტი წლის წინ უნდა ჩასულიყავი საფლავში და არ ისურვე, სამაგიეროდ ამ ხნის მანძილზე ჯოჯოხეთად მე მიქციე სიცოცხელე. იცი რატომ? მამაშენმა დამსაჯა, სანამ იმას ან ცოცხალს ან მკვდარს არ იპოვი, ჩემი წყალობის იმედი ნუღარა გაქვსო. მას შემდეგ ეშმაკივით შენს კვალს დავდევ, სად არ გეძებე, საიქიოს თუ საქაოს. თვალთაგან გამიქრი, ვეღარ დაგინახე, თითქოს მიწამ გიყო პირი. მადლობა ღმერთს, ბედისწერამ სამუდამოდ არ გამწირა! და აი, გიპოვე.

— მერე, შე სახედრის ჯილაგისავ, შე წვიმის ჭიაყელავ, რა გინდა ჩემგან?

— რ, ეგეთები არ იყოს ქალბატონო, ცამეტი წელიწადი მოსვენებადაკარგული ვღონღილებ. აბა, შემომხედე, ვგევარღა კაცს? რომ იცოდე, რა საშინელება ყოფილა, როცა მკვდრის სული საქაოს დარჩება. ვიღაცის ცარიელი საფლავიდან ამოჩრილი სიკვდილის ხელი კალთაზე გექაჩება, იმ ცარიელი სამარის ამოვსება შენით უნდა, ო, რაც მე გამოვცადე, ის შენმა მტერმა გამოცადოს.

— კიდევ გიმეორებ, რისთვის მოეთრიე, რა გინდა ჩემგან? მოკლედ მოჭერი, ხომ ხედავ პირუტყვი გაიფანტა, შენთან სალაპარაკოდ არა მცალია.

— თან უნდა წამომყვე, ქალბატონო, პირუტყვს პატრონები მოაკითხავენ.

— სად მეპატიჟები?

— სადაც შენი ადგილია.

— მერე სად არის ჩემი ადგილი?

— იქ, სადაც გაიზარდე. ასე მაქვს ნაბრძანები.

— მამაჩემს ერთხელ მოუკვდა ქალიშვილი, საიქიოდან კი არავინ დაბრუნებულა. წადი, შენს გზას ეწიე, დამანებე თავი, თორემ ახლავე ხალხს მოვუხმობ.

— ო, არა! არ გინდა, ხმის ამოღებას ვერ მოასწრებ, რომ სამუდამოდ დადუმდები, — კაცმა დამბაჩა გამოაჩინა, — წამოდი!

აგუნდა აკანკალდა, შიშისგან ერთიანად თრთოდა. მიხვდა, სარმათი მამის გამოგზავნილი იყო და ბატონის ერთგული ძაღლი არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდა. მშველელს მოუხმოს? სანამ აულიდან ამოაკითხავენ, მანამ ეს მხეცი თავის განზრახვის შესრულებასაც მოასწრებს და გაქრება კიდეც. თვალწინ წარმოუდგნენ ზარინა და ძანგი. კიდევ კარგი, ბავშვი შინ გაგზავნა, ვინ იცის. რა მოელოდა იმასაც.

— სარმათ, ღვთის გულისათვის, მე შენთვის არაფერი დამიშავებია. ვიცი, მამაჩემის გულის მოგება გინდა, მაგრამ მეც შემიბრალე, საფლავში ცოდვიანი ნუ ჩახვალ... გთხოვ...

— ნუ მთხოვ, ქალბატონო, არაფრის შეცვლა არ შემიძლია.

— მამაჩემს ვაწყენინე, მართალია, მაგრამ შენ რა დაგიშავე, რამ გაგისივა ნაღველი?

— მამაშენმა შენი სიკვდილი არ დაიჯერა. ეშმაკის ტბაში ბევრი გეძება და ვერ გიპოვა. მერე კიდევ ძანგი... ხომ გახსოვს, გასაღები ამართვეს ჯიბიდან, ძანგი გააპარეს. მე კი ალდარს მოვახსენე, მოვკალი და დავმარხე-მეთქი. გაიგო, რომ ვატყუებდი, მაშინ შემრისხა და მიბრძანა — ან მკვდრები იპოვე ან ცოცხლებიო. ჰოდა რა ვქნა, თუ ალდარის ბრძანებას არ შევასრულებ, ჩემი ოცდაათი წლის შრომა ჩაილულის წყალს გაჰყვება. მაგას ვინ ჩივის, თავს მომჭრის და იმ საფლავში მე დამმარხავს. ახლა მიხვდი?

აგუნდას რაღა მიხვედრა უნდოდა, რომ სარმათი არ ხუმრობდა, ან უნდა წაჰყოლოდა, ან მოკლავდა.

— მაინც, საიდან გაიგე, ვინ მოგასწავლა ჩვენი ადგილსამყოფელი?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— აქვს, საიქიოს რომ შეეხვდები, სახეზე შევაფურთხებ.

— მამაშენის მოურავმა თომამ მითხრა.

— შენს მეტმა კიდევ ვინ იცის ჩვენი ამბავი?

— ძეხორციელმა არავინ.

— შენ ასე ფიქრობ? ჰოდა ცდები. სხვებმაც იციან.

— ვინ სხვებმა? — ბზიკნაკბენივით შეხტა სარმათი.

— ვინც შენს სიკვდილზე ოცნებობს.

— მერე, ვინ ოცნებობს?

— გინდა გითხრა? ვერ მოგართვი. ჯერ მე მომკლავ და მერე იმათ, ხომ?

— სიცრუეა, არავინაც არ იცის.

— აასრულე შენი ბოროტი განზრახვა, ნუღარ მტანჯავ. ჰა! მხოლოდ წინდაწინ გაფრთხილებ, ჩემი ძმები მამაჩემივით სისხლისმსმელები როდი არიან. ორმა მათგანმა იცის ჩემი ამბავი... ისინი მეხმარებიან. მიწა ვიყიდე, სახლი ავიშენე... ყოველ წელიწადს ჩამოდიან.

ახლაც ველოდები, თუ აქ მოგასწრეს, ვაი შენი ბრალი. ყველაფერი გამომჟღავნდება და მაშინ კი აღარ აგცდება ძანგის ცარიელ საფლავში დამარხვა.

კაცს გულში შიში შეეპარა, თუ მართალს ამბობს, აგუნდა, ნამდვილად დაიღუპება სარმათი. ყველაფერი გამომჟღავნდება და ალდარის რისხვას სად წაუვა.

— შენი ძმებიდან რომელმა იცის?

— არ არის ეგ შენი საქმე. ჰა, მესროლე, და მორჩი, შენი ცქერა გულს მირევს.

— გამომყე, ნუ ჩამადენინებ ცოდვას!

— არსადაც არ გამოგყვები.

— წამოდი, ძმასთან მიგიყვან. მერე იქნება შეგირიგდეს მამაშენი, მეც მაპატიებს.

აგუნდამ შეამჩნია, რომ მომხდური შეკრთა, ესე იგი ძანხოთის ბიჭებისა შეეშინდა. მაგრამ რა ქნას, როგორ დაიხსნას თავი. ეს უბედური გამოგზავნილია. ძანგი და აგუნდა თავთავიანთ ადგილზე უნდა დააბრუნოს. აგერ ახლა აგუნდა ჩაუვარდა ხელში, მერე ძანგის ჯერიც მოვა. არა, რაღაც უნდა იღონოს და უცბად მყინვარი მოხვდა თვალში.

— კარგი, თანახმა ვარ. მაგრამ ასე ხომ ვერ წამოვალ, რას იტყვის ჩემი ძმა. აგერ მყინვარს იქით პარკი დავტოვე, დილას ნამიანზე კაბა დამისველდა და იქ გავფინე გასაშრობად. აქამდის გაშრებოდა... ჰო, პარკი იქ არის. აქ მომიცადე და ახლავე დავბრუნდები... კაბას გამოვიცვლი.

— არა მჯერა.

— თვითონ აირბინე და ჩამომიტანე.

— არა!

— მაშინ შენც წამომყე.

კაცი ყოყმანობდა.

— კაცი არა ხარ, უიარაღო ქალისა შეგეშინდა?

კაცი გატყდა.

და უკანასკნელი ნაბიჯი გადადგა აგუნდამ...

5.

მზე საშუადღეოზე აგორდა. საშოვარზე წასულებმა მძიმედ დატვირთული ცხენებითა და სახედრებით ვასთირჯის ეკლესიას მოატანეს. მგზავრებმა ქუდები მოიხადეს, პირჯვარი გადაიწერეს, ლოცვა აღავლინეს ვასთირჯის სადიდებლად, ეკუთვნოდა კიდეც, მშვიდობით და ხელმომართულები დააბრუნა შინ. მერე დაქანცული პირუტყვი საძოვარზე მიუშვეს, თვითონაც მწვანე მოლზე გულაღმა გაიშოტნენ და სიამოვნებით გაჭიმეს დახუთული მუხლები.

ახლა აღარ ეჩქარებათ. აგერ ამ ერთ მთას გადაივლიან და მზე ჯერ ისევ მაღლა იქნება, ცარგასბადანში რომ შევლენ.

რაც უფრო უახლოვდებიან აულს, ლაპარაკს მოუკლეს. ოჯახის დარდი შემოაწვათ, სამი თვეა შინიდან წავიდნენ. მადლობა ღმერთს, მშვიდობიანად ბრუნდებიან. მართალია ხელებზე ცელის, თოხის, ცულის ტარით კოჟრები გაუჩნდათ, მაგრამ ამას არ ჩივიან. აბა ისე ვინ რას მოგცემს. ამ სამ თვეს მუხლში არ ჩახრილან. დღე და ღამე გაასწორეს. სამაგიეროდ მთელი ზამთარი თავისუფლად იქნებიან. ლუკმა გაზაფხულამდე გაჰყვებათ.

გაბო და ძანგიც კმაყოფილები მოდიან. მასპინძელი, მაძათი ბიბო, ძალზე გულკეთილი და პურმარილიანი გამოადგათ. ძანგი და გაბოც ვალში არ დარჩნენ, ძალ-ღონე არ დაუზოგავთ, ერთგულად ეკიდებოდნენ საქმეს. ის კი არა, ბიბოს დახმარებით ძანგმა ძალზე ხელსაყრელ ფასად გაყიდა აგუნდას მიერ მოქსოვილი საჩოხე შალი და თივთიკის ყაბალახები. ზოგი ესა, ზოგიც თავის ხელფასი დაუმატა და ძაუგს გაიყოლა გაბო. ორივემ სარფიანად ივაჭრეს. ძანგმა ზარინას თეთრი დარაიის კაბა, აბრეშუმის თავშალი, ქამარი, ფეხსაცმელი და კიდევ რაღაც-რაღაცები უყიდა. აგუნდასაც ორი ხელი ძვირფასი ტანსაცმელი აუღო, საბრალო, რაც მამის სახლიდან წამოვიდა, ახალი კაბა არ ჩაუცვამს... თავისთვის ვერაფერი გაიმეტა, ცოლ-შვილს კი არაფერი დააკლო. მოდის ძანგი და ეჩქარება, გაახაროს საყვარელი ადამიანები. ახლა საშიში აღარაფერია, ვალიდან ამოვა, მერე არ გაუჭირდებათ.

მზე ჩავიდა. მგზავრები წამოიშალნენ და ბილიკზე წეროებივით გაებნენ. რაც უფრო უახლოვდებიან აულს, თითქოს ფრთები გამოესხათო, ჩქარობენ. აგერ გადმოსახედ კლდეს ჩამოსცილდნენ. ხელისგულივით გამოჩნდა ცარგასბადანი. სხვა დროს აქ მოეგებებიან ხოლმე საშოვარზე წასულებს ბავშვები.

კი, მაგრამ, ახლა რა მოხდა! ხევს თითქმის ჩამოსცდნენ და წინ არავინ მოეგებათ. თუ ვერ გაიგეს? მაგრამ ეს შეუძლებელია. ჯერ არ მომხდარა, რომ საშოვარზე მყოფთა დაბრუნება გამოჰპაროდეთ. ისიც დღეს, მზის თვალი ტრიალებს ყველგან.

წინ რომ არავინ შეეგებათ, ამან ძალიან დაანაღვლიანა მგზავრები. ძანგმა იცის, რომ აგუნდა და ზარინა სამწუხარში იქნებიან. აი მივა შინ. საპალნეს ჩამოხსნის სახედარს და თვითონ ააკითხავს საძოვარზე ცოლ-შვილს. წარმოიდგინა, როგორ გაიხარებენ. ორივეს დაკოცნის. მერე ძაუგს რომ ტკბილი კვერები იყიდა, კალთაში ჩაუყრის. საღამოზე ერთ ბატკანს გამოსჭრის ყელს. აგუნდა თავისებურ ყაურმას გააკეთებს და დილამდე ილაპარაკებენ. მერე რამდენი სათქმელი აქვს, ერთ კვირასაც ვერ მორჩება თხრობას.

რაც უფრო მოკლდება გზა, მით უფრო უჩოჩქოლებს გული. აგერ მისი სახლიც. ქვით შემოღობილი ეზო, აგერ ჭიშკარიც. ჰო, მაგრამ, რა ამბავია. თითქოს ეზოში ვიღაც არის. ვინ არის? თუ აგუნდა ან ზარინაა გარეთ, რატომ არ იხედებიან? თუ სხვა ვინმეა?..

ვაითუ?..

რა ვაითუ? — ამის გაფიქრება ვეღარ მოასწრო, სახედარი გზაზე შიატოვა და ჭიშკარს ეცა, როგორც კი ეზოში ფეხი შედგა, გაშრა, გაქვავდა. მეზობლებს მის ეზოში მოუყრიათ თავი და დამწუხრებულები დგანან.

— ხალხო, რა ამბავია ჩემს თავს? — ჭიშკრიდანვე მოისმა ძანგის მთრთოლარე ხმა.

საბრალო ძანგი იდგა და ელოდა მეხის დაცემას. მაგრამ ვერავინ გაბედა ხმის ამოღება. ზარინამ მამის ხმა რომ გაიგონა, მისკენ გაქანდა და ატირებული ყელზე ჩამოეკიდა.

— ბაბა, ჩემო ბაბა, ნანა დაიკარგა!

— დაიკარგა? ვინ დაიკარგა? როგორ, დაიკარგა?.. სად დაიკარგა?.. — შვილის სიტყვები სადგისის წვერივით მოხვდა ძანგის გულს და თაფლის სანთელივით მოიღვენთა.

— მწყემსად იყო და დაიკარგა, — ქვითინებდა ზარინა.

ძანგმა თვალები ხალხზე მოატარა. მაგრამ ერთი მისხალი სანუგეშოც ვერ ამოიკითხა მათ სახეზე. ასე ძვირფასმა, ასე მშობლიურმა ხალხმა, რომელიც ჭირში და ლხინში ყოველთვის გვერდში ედგა, ახლა თვალი აარიდა.

— თქვენ გეკითხებით, ხალხო, რა მჭირს, რატომ არ მეუბნებით? ზარს რომ ყელში ხანჯალს გაუყრიან, ისე იღრიალა ძანგმა.

— რა გითხრათ, ჩემო მზეო, ამ ერთი თვის წინ შენმა დედაკაცმა ნახირი გარეკა, ზარინაც თან ჰყავდა. სამხრობისას გოგოს თავი ატკივდა, ჰოდა, დედამ შინ გამოგზავნა. იმ საღამოს აღარ დაბრუნდა თვითონ. მას შემდეგ ვეძებთ და... მნახველი არ გამოჩნდა.

პირველად იმდენად არ შეწუხებულა ძანგი. თუ არ მოკვდა, იქნება საღმეო. მაგრამ მალე მუხლები ისევ მოეკეცა. „თუ მკვდარი არ არის, მაშ რა იქნა?“ ავმა ფიქრმა ტვინი აურია, ხერხემალი აეწვა და შოიკუნტა.

— სანეთ, — შენ ჩაგაბარე, გორმონ![1] — ესა თქვა და ეზოში აყუდებული მარხილის ყბას ჩაეჭიდა, ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, აღარც არაფერს ხედავს, აღარც არაფერი ესმის. მხოლოდ ერთხელ, თითქოს შორიდან მოესმა ვიღაცის მოთქმა. ძანგი დგას გაოგნებული და მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ესმის.

— ...მწყემსად წავიდა... აღარ დაბრუნდა... პატარძალიც თეხმძიშედ არის... ვეღარ გაბედა წასვლა... მე კი ეს მუხლები დამიმიწდა... აღარ შემიძლია... სად არ ვეძებეთ... სად არ ვიარეთ...

აგერ ერთი კვირაა ცარგასბადანელი ახალგაზრდები, ძანგის მეგობრები ეძებენ მოულოდნელად გამქრალ აგუნდას. ეძებენ ხევებში, ნაპრალებში, გამოქვაბულებში, ტყეში, ღრეში. სად აღარ მოიკითხეს, არავინ არაფერი იცის. გაქრა ადამიანი. ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, მარტო ერთმა ღმერთმა იცის. მეშვიდე დღეს ძანგმა თან

[1] საყვედურის გამომხატველი შორისდებული.

აღარავინ გაიყოლა, სწორედ თიბვის დრო იყო და მუშახელი ისე-დაც ყველას უჭირდა. გაბომ სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ძანგმა თავისი გაიტანა. ჯერ მე თვითონ შევეცდები ვიპოვო, თუ მუხლი მიღალატებს, მერე შენც აქ იქნებიო.

დადის ძანგი ხევხუვებში, კლდის ნაპრალებში, უფსკრულებში... დილით გარიჟრაჟზე მიდის და საღამოს ბინდს მოსდევს უკან. სულ ერთია მისთვის წვიმაა თუ მზე. ის მაინც მიდის და ეძებს თავის აგუნდას. დაიღლება, სველ მიწაზე მიწვება, ცოტას შეისვენებს და ისევ ეძებს. ჩამოხმა, დაუშნოვდა. ცარიელი ძვალი და ტყავიღაა. ჭამა დაავიწყდა. დღეები ისე გავა, ლუკმას არ ჩაიდებს პირში. აღარც ლაპარაკობს, არც უნდა, რომ ვინმეს შეხვდეს და ამიტომ დილით ღამიანად მიდის. საღამოთი გვიან ბრუნდება, ზარინა მარტო ვეღარ ჩერდება შინ და სანეთასთან იძინებს.

რაც დრო გადის, ძანგი უძლურდება, აღარაფრის იმედი არა აქვს, მაგრამ მაინც ეძებს.

არსად არაფერი. როცა დარწმუნდა ძანგი, რომ ვერ იპოვიდა აგუნდას, ერთ დღეს მთის ფერდობზე შეისვენა და იქიდან გადმოხედა კლდე-ღრეს, არ შეუძლია დაიჯეროს, რომ ცოცხალი ადამიანი უკვალოდ გაქრა. წიწილა ხომ არ იყო, ეტაცა კლანჭი არწივს და შორს. მთის წვერზე აეტანა. იქნებ დედ-მამა მოენატრა, რატომ არ შეიძლება, შენი ძვალი და სისხლი ტკბილია. საკმაო დრო გავიდა და დაავიწყდა წყენა, მშობლიურ კერას დაუბრუნდა. ნეტამც ასე იყოს. მაგრამ ეს აზრი უმალ უარყო ძანგმა. ამაყი აგუნდა ძველი, დაკერებული კაბით მამის წინაშე არავითარ შემთხვევაში არ იკადრებდა გამოჩენას. ამას მაინც არ გააკეთებდა, სახრჩობელაზეც რომ აეყვანათ. არა სჯერა, რომ მოკვდა. ყველაფერს შეურიგდება, ოღონდაც ცოცხალი იყოს. ო, ღმერთო, ღმერთო, რა დააშავა, ასე რომ ტანჯავ. რა იფიქროს, რომ აღარაფერი იცის!

უნებურად აარიდა მზერა ხევხუვებს და პირდაპირ მყინვარს დაადგა თვალი. იქნებ ამისთვის არაფერი მნიშვნელობა მიეცა, მაგრამ როცა მყინვარს მაღლა-მაღლა ააყოლა მზერა, შეკრთა. ყორნების გუნდი დასტრიალებდა თავს. ისევ მყინვარს ჩააცქერდა. აგვისტოს სიცხეს გაელხო. ადგილ-ადგილ ცარიელ ადგილებს შავად დაეღო პირი. ეს მხოლოდ ზემოდან ჩანს, თორემ ისე ვერავინ შეამჩნევს.

რაღაც ეჭვმა გაჰკრა, მყინვარში ხომ არ შეჰყვა პირუტყვს და გალხობილ ყინულში ჩაიჩეხა, მაგრამ იმწუთასვე უარყო ეს აზრი. მაშინ ყინულის ნაპრალში ჯერ პირუტყვი უნდა გადაჩეხილიყო. როგორც ამბობენ, პირუტყვი არავის დაჰკლებია.

ო, მაგრამ ეს წყეული ყორნები! ძანგმა [illegible]ის, ყორნების გუნდი იქ გაჩნდება, სადაც მძორს დაიგულებენ. ალბათ რომელიმე ნადირი ჩაიჩეხა მყინვარში, მაგრამ ვაითუ?.. ჰო, იქაც შეამოწმებს, გულს მაინც დააჯერებს... ამ ფიქრით დაბრუნდა შინ.

ამდენი დღის დაღლილ-დაქანცულს იმ ღამეს მკვდარივით დაეძი-

ნა. დილით გვიან გაახილა თვალი. აული დაცარიელებულიყო, ხალხი სათიბში იყო გახვეტილი. როგორ წავიდნენ, რომ ძანგმა ვერაფერი გაიგო, ისე უხმაუროდ როგორ აუარეს ძანგის სახლს გვერდი? ახლა-ღა შეამჩნია, რომ ხალხი წინანდელივით აღარ მხიარულობს, ის კი არა, ხმამაღლაც აღარავინ ლაპარაკობს. მიხვდა, აული ძანგს უთანაგრძნობს, აგუნდას გლოვობს.

წუხანდელი გადაწყვეტილება არავის გაუმხილა. გაბოსაც კი. იფიქრა რაღაზე მოვაცდინო, ისედაც მარტოხელა კაცია, საქმე კი თავსაყრელი აქვსო. დილით კარდაკარ დაიარა მეზობლები. თოკები ითხოვა, ერთიმეორეზე მკვიდრად გადაბა, როცა დარწმუნდა, საკმარიაო, გორგალივით დაახვია, პირგანიერ კასაში[1] ჩადო და ზურგზე წამოიკიდა.

სადილობა იქნებოდა, მყინვარს რომ თავზე მოექცა. მაღლიდან დაჰყურებს პირგახსნილ ნაპრალებს, საიდან უფრო შეიძლება უხიფათოდ მიდგომა? მყინვარში იმდენი დაფარული საფლავია, რომ ვერც დაითვლის კაცი, როცა ყინულის საფარი სქელია, საშიში არ არის, მაგრამ ახლა ყოველ ფეხის გადადგმაზე სიკვდილია ჩასაფრებული. უყურებს ძანგი და ამჩნევს, რომ პირღია ნაპრალები ერთიმეორეს მისდევს. ეს კი იმის ნიშანია, რომ მთავარი ნაპრალი ძალზე ღრმაა. უნდა ჩავიდეს, საკუთარი თვალით ნახოს და დარწმუნდეს, მეტი გზა არა აქვს.

ძანგმა თოკის ერთი ბოლო წინწამოშვერილ კლდეს შემოახვია, შეამოწმა, რამდენად საიმედოდ იყო თოკი მოდებული და წელში ცული გაირჭო, ხელზე ტყავის ხელთათმანები ჩაიცვა და თოკს ნელ-ნელა დაჰყვა დაბლა.

მყინვარის პირველ ნაპრალს მიაღწია. ნაპირზე გაწვა და ძირს ჩაიხედა. როგორც ვარაუდობდა, ნაპრალი ძალზე ღრმა აღმოჩნდა. კარგა მოზრდილი ჭრილის სიღრმე ათი-თხუთმეტი მეტრი იქნებოდა. დაათვალიერა, არაფერი ჩანდა საეჭვო. ისევ გამოჩნდნენ ყორნები. ერთი მათგანი ძანგიდან ხუთ-ექვს ნაბიჯზე ნაპრალის პირზე დაჯდა. შიგ ჩასვლა ვერ გაბედა. ძანგისა თუ შეეშინდა, აფრინდა და გუნდს შეუერთდა და მათთან ერთად განაგრძო ჰაერში ტრიალი.

იეჭვა კაცის გულმა. თოკის წვერი წელზე შემოიხვია და სიფრთხილით გაცოცდა იმ ნაპრალისაკენ, რომელსაც ყვავ-ყორნები დასტრიალებდნენ. გაჭირვებით მიაღწია და უზარმაზარი ხაროს პირზე გაწია. ჩაიხედა... ჩაიხედა და გულს შემოეყარა. ძირს ერთი ხუთი-ექვსი მეტრის სიღრმეზე რაღაც შავი საგანი ჩანდა. აღარ დაფიქრებულა, ნაპრალში ჩაეშვა. შავი საგანი მოსინჯა. ადამიანი. გადმოაბრუნა, კაცი! გულზე მოეშვა, მიცვალებული რომ კაცი იყო და არა ქალი. მადლობა შესწირა უფალს. ო, მაგრამ, ვინ არის კაცი? სადაურია? როდის აქეთ გდია აქ? რაკი იპოვა, მაღლა უნდა აიტანოს, მიწას მიაბაროს. შეეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ერთი კაცი ამას ვერ გააკე-

[1] ხბოს ტყავის ერთგვარი გუდა.

თებს, ხვალ ბიჭებს დაიხმარს. მკვდარი ისევ თავის ადგილზე დატოვა და თვითონ ძლივძლივობით ამოვიდა მაღლა. ახლა იგრძნო ძანგმა, რომ ძალიან დასუსტებულა. თვალები აუჭრელდა და თავბრუ დაეხვა. ცოტა ხანს შეისვენა და იმავე გზით, ისევ დიდი სიფრთხილით გადაიარა მყინვარი. შინ წავიდა. საღამოთი გაბომ მიაკითხა.

— არაფერი?

— ჩემი არსად ჩანს, მაგრამ დღეს ნაპრალში მკვდარი კაცი ვნახე. ვინ იქნება? აქაურს არ ჰგავს...

გაბოს არ გაუგონია არაფერი, ახლომახლო აულებიდან არავინ დაკარგულა, თუ სხვაა ვინმე, ან იქნებ მონადირეს დაუცდა ფეხი.

— გაბო, მიცვალებული ამოვიღოთ, მე მარტო ვერაფერს გავხდი. დილაზე შენ და ძაბეგი წამომყეთ.

მეორე დილით თოკის კიბე დაწნეს. ცულები და გრძელი სარები წაიღეს და წავიდნენ. ნაპრალში გაბო ჩაუშვეს. იმან მკვდარი თოკებით შეკრა და დიდი გაჭირვებით ამოიტანეს მაღლა. გაყინული კაცი კუნძივით გამხდარიყო და ვინაობის ამოცნობა შეუძლებელი გახდა. მკვდარს თოკები შეხსნეს, ნაპრალიდან გაბოს შეშფოთებული ხმა მოისმა:

— ჩამოუშვით თოკები, მეორეც არის! — ძანგი შეკრთა, თვალები ნაპრალს მიაშტერა და მართლა მეორე მკვდარიც დაინახა.

— მონადირეები იქნებოდნენ, აქაურები არ არიან, — გადაულაპარაკა ძაბეგს.

ქვევიდან ყინულის მსხვრევის ხმა ისმის, ეს გაბო ათავისუფლებს მკვდარს ყინულის ტყვეობიდან. ძანგი გაშტერებული დგას, ქვედა ტუჩისთვის დაუჭირებია კბილები. ვერც იგრძნო, ტუჩიდან სისხლმა რომ გამოჟონა. აღარც გაბოს ხმა ესმის, მხოლოდ ერთი ავი კითხვა სოლივით ჩაეჭედა ტვინში: „ვინ არის მეორე? ვინ არის?.. ვინ არის?“ ავი ფიქრები ცოფიანი ძაღლებივით მიესივნენ და გულს უფლეთენ.

— ვინ არის?! ქალია თუ კაცი? — აკანკალებული ხმით ჩასძახა ძანგმა ნაპრალში.

პასუხის მაგიერ გაბომ ქვევიდან ამოსძახა:

— ასწიეთ, კიბე!

გაბო ნაპრალიდან ამოიყვანეს. მერე სამივემ თოკები ამოსწიეს. მეორე მკვდარი მსუბუქი გამოდგა და უფრო იოლად ამოიღეს. როგორც კი მკვდარი ნაპრალის პირზე დაასვენეს, ძანგს ფერი წაუვიდა, აკანკალდა, თვალები გაუფართოვდა და მის ღრიალს მყინვარის ნაპრალები გამოეხმაურნენ.

— აგუნდა!.. აგუნდა!.. — ღრიალებდა და ყინულად ქცეულ საყვარელ არსებას გულში იხუტებდა.

6.

აგუნდას დასაფლავებიდან ერთი კვირა გავიდა, მაგრამ აულმა ჯერაც ვერ მოისვენა. რატომ მოხდა ასეთი საშინელება? ვინ იყო მყინვარში ჩაჩეხილი კაცი? რატომ ჩააგდო ძანგმა უკანვე მისი ცხედარი? რად მიაყარა ქვა-ღორღი?

რაღაც საშინელი საიდუმლოება იფარება, მაგრამ რა? ერთმანეთს ეკითხებიან, პასუხის გაცემა კი არავის ძალუძს. მიზეზი ძანგმა იცის, ამჩნევენ, მაგრამ დიდმა მწუხარებამ დაამუნჯა და ხმას აღარ იღებს. შეეკითხონ? არც ეს შეუძლიათ, ძალიან ეძნელებათ. ისევ ლოდინს ამჯობინებენ. როდის მოერევა მწუხარებას, როდის ამოიღებს ხმას. როდის გახსნის საშინელი საიდუმლოების ხლართს.

ძალიან მძიმედ დაიკოდა ძანგის გული. გველი ზურგიდან მიეპარა და ჩუმად უკბინა. გული, გონება, სხეული მოუწამლა. აღარაფერს ხედავს, აღარაფერს გრძნობს, აღარაფერი ესმის, თითქოს მყინვარს მოწყდა და ნაპრალში გადაეშვა, ყინულის კლდეებზე წყვეტებით მიექანება უძირო ცივ საფლავში, მაგრამ ძირამდის ვერა და ვერ მიუღწევია.

აღარ არის აგუნდა, მისი სიცოცხლე, მისი გულის ნახევარი გაიყოლა თან. ორი ადამიანი შეერთდა ცამეტი წლის წინ. და გამოვიდა ერთი ადამიანის მთლიანი სიცოცხლე, ერთი დიდი გული. ახლა კი ბოროტმა ადამიანმა ამ გულის ნახევარი მყინვარში ჩამარხა. მეორე ნახევარი კი ოდნავღა ფეთქავს. ფეთქავს, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა.

იცის ძანგმა საიდანაც მოდის თავზე დატეხილი ღვთის რისხვა. ეჰ, რა ტყუილად უხაროდა, დაგვმარხეს და დავავიწყდით ყველას, აღარავის აქვს ჩვენზე უფლებაო. თურმე არ დავიწყებიათ. იცოდა ერთმა კაცმა, ძანგისთვის განკუთვნილი ტყეში გაჭრილი საფლავი ცარიელი დარჩა. რაკი ერთმა იცოდა, გაიგო სხვამაც.

არ აპატიეს აგუნდას საზოგადოების წინააღმდეგ გალაშქრება. იპოვეს და გასრისეს, შურისძიების იარაღად გამოიყენეს სულმოკლე ადამიანი, რომელიც პირადი კეთილდღეობისათვის პატრონის ყოველ სურვილს სინდისის ქენჯნის გარეშე ასრულებდა, ლაქია, რომელიც ალდარს ფეხისგულებს ულოკავდა ფინიასავით. ნასუფრალის დაკარგვის შიშით, ხელი აღმართა უცოდველ ადამიანზე. ასეთები კიდევ უფრო საშიშნი არიან, ვიდრე ისინი, ვის სურვილსაც ეს გულხარბი და უსულო მლიქვნელები ასრულებენ.

ახლა აღარ ეჭვობს ძანგი. დარწმუნებულია, რომ სარმათი მათ მთელი ცხოვრება სდევდა. აღარც იმაში ეპარება ეჭვი, რომ აგუნდამ თავის დახსნისათვის მყინვარი აირჩია და მოძალადეც თან გადაიყოლა.

აგუნდასთან ერთად აშენებული იმედის კოშკი თავზე დაემხო ძანგს. მოწყდა ცას ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომელიც მას უნათებდა გზას. დამთავრდა მისი გაზაფხული და სამუდამოდ ზამთრის ტყვეობაში დარჩა. მოკვდა გული, აღარაფერი ახარებს, აღარაფრისკენ ისწრაფის. მერე რატომ? რისთვის? ვის რა დაუშავა? რატომ წაართვეს სიცოცხლის უფლება? რატომ დაიმარტოხელეს უღონო დიაცი? ძანგთან რატომ არ მივიდნენ პირისპირ? აღარ ასვენებს ეს კითხვები და დღითი დღე გრძნობს, მისი ოდესღაც კეთილი გული გაცივდა, გაქვავდა.

— სისხლი! სისხლი! — გაკივის გაყინული გონება და ძანგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამქვეყნად, ამ მზის ქვეშ აღარ ეცხოვრება, სანამ მტრის სისხლით არ მოიბანს გულის ჭრილობას. ან ისინი, ან — ძანგი! მაგრამ ზარინა? რა მოუვა მას? ჯერ გათხოვების დროც არა აქვს. ო, არა! ნუ ჩქარობ, ძანგ! ცივი გული და ნათელი გონება მოიხმარე, ჯერ დაიოკე ჯავრი. შენც იყუჩე, გულო! დრო მოვა... ჯერ შენს სისხლსა და ხორცს მიხედე. რომ დაიღუპოს, ცხოვრების გზაზე წაიბორძიკოს, საიქიოს არ გაპატიებს დედამისი. შენი აგუნდა... ჯერ-ჯერობით ჩაყლაპე ჯავრი, მარცხენა ხელით გააკავე მარჯვენა. დადგება შურისძიების ნანატრი დღე!..

მეშვიდე თავი

ცხოვრება თავისას მოითხოვს

1.

ფასრაღელი ქალიშვილები მთაში მოცვის საკრეფად მიდიან. მათი ხალისიანი ხმაური მთებს აღვიძებს. დობილებს წინ უსწრებს ყაჩლავაანთ ფარდიგი, რომელსაც ტირიფის წნელით მოწნული გიდელა ჰკიდია მკლავზე. მაჯის სიმსხო გიშრისფერი ნაწნავები კოჭამდე სცემს. საოცრად მოქნილი, ლერწამივით წვრილი წელი ლაზათს მატებს ისედაც მოხდენილ ქალიშვილს. შვლის ნუკრივით მიხტის ბილიკზე. მოცვი შავი მძივივით გაბნეულა ბუჩქებზე.

დღეს ძალიან ამჩატებული და მხიარულია ფარდიგი. თუმცა მოწყენილი როდის არის, მაგრამ ახლა განსაკუთრებით ანცობს.

უცებ ოთხი მხედარი წაადგა მათ თავს. ქალიშვილები გაქვავდნენ. ორმა მათგანმა ფარდიგს სტაცა ხელი. პირში ხელსახოცი ჩასჩარეს და ტყისკენ გააქანეს. ორმაც ქალიშვილებს იარაღი მოუღერა:

— ხმა არ ამოიღოთ, თორემ ჩიტებივით დაგხოცავთ. საღამომდე თუ აულში გამოჩენილხართ და მდევარი დაგიდევნებიათ, სხვანაირად მოგელაპარაკებით...

მოძალადეები ტყეში მიიმალნენ. ქალიშვილები მალე მოეგნენ გონს და წივილ-კივილით დაეშვნენ აულისაკენ.

2.

იმ დღეს ბარსაგსა და ხასანას ნადირობაში ხელი მოეცარათ. გუშინდელი უსიამოვნო ამბის შემდეგ ძალიან ცუდ ხასიათზეა ხასანა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, დილით საშინლად სტკიოდა თავი,

გული ერეოდა. რა დროს ნადირობა იყო, მაგრამ ძალით წაიყვანა ბარსაგმა, გაერთობიო. ხათრი ვერ გაუტეხა ძმას, წაჰყვა კი, მაგრამ ფიქრებს თავი ვერ გაართვა. ვინ იყო დედა? სად ეძებოს მისი დამჩაგრავი?

თვალწინ წარმოუდგა თავისი ბავშვობა. ყიზმიდა მას უფრო ანებივრებდა. საჭმელსაც უკეთესს არგუნებდა და ტანსაცმელსაც, საქმესაც ბარსაგს უფრო მეტს აკეთებინებდა.

ახლა გრძნობს ხასანა, რომ ის, როგორც ობოლი, აულსაც უფრო მეტად უყვარდა. ეს კი მეტ ვალში აგდებს უთვისტომო ვაჟკაცს.

თოფმა იგრიალა. ბარსაგმა ნადირს ესროლა, ხასანამ ზევით აიხედა და დაინახა, რომ კლდის თავზე ჯიხვი დაგორდა.

ხასანა ადგილიდან არ იძროდა. ბარსაგმა ჯიხვი ზურგზე წამოიკიდა და ძმას შეეხმიანა, წავიდეთო.

ძახველიან ხევში, დათვების ბუნაგიდან ქალის კივილი მოისმა, ძმებმა ფეხს აუჩქარეს, დაინახეს, რომ მოძალადეებს ქალი ერთისთვის მიუგდიათ, თვითონ ცოტა მოშორებით სხედან და ბილწსიტყვაობენ. მათი ამხანაგი ცდილობს პირუტყვული ჟინის დაკმაყოფილებას, მაგრამ ქალი გალომებული იცავს თავს. ხასანამ ვეღარ გაუძლო ამ საზიზღარი სურათის ცქერას და თოფი შემართა. სალ კლდეს პირი შეატყდა, რომელიც ხმელ ფოთლებში გაგორდა და ხმაურით დაეშვა დაბლა.

თოფის ხმამ და ფოთლების შრიალმა მოძალადეები შეაშინა, ეგონათ მდევარმა მოგვისწროო და ქალი აღარც მოჰგონებიათ, თავ-პირის მტვრევით დაეშვნენ დაღმართში. საძულველი ადამიანის ხელიდან განთავისუფლებული ფარდიგი ბეგისაკენ გაიქცა. ბარსაგმა დაიჭირა:

— ნუ გეშინია, დაო, გადარჩი შერცხვენას. ალბათ, ღმერთმა შენს ბედზე გადმოგვისროლა აქეთ. გაიღიმა ბარსაგმა და ქალიშვილს რომ შეხედა, გაშრა. კალმით ნახატი. მაყვალივით შავ თვალებში შიში ჩასდგომოდა. ბარსაგის მზერას ვერ გაუძლო და დახეულ კაბაზე დაიხედა, შიშველი სხეული ხელით დაიფარა. ბარსაგმა ჩოხა გაიხადა და ქალიშვილს გადაუგდო, ფარდიგს თავპატიჟი აღარ დასჭირვებია. ჩოხა მაშინვე ჩაიცვა.

— ახლა მითხარი, სადაური ხარ, ვისი გვარისა?

— ფასრაღელი ვარ, ყაჩლავთის გვარისა, ფარდიგს მეძახიან.

— მე ბარსაგი ვარ, ეს ჩემი ძმა — ხასანა.

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა...

ძმებმა ფარდიგი ფასრაღში წაიყვანეს. კარგა ძალი მანძილის გავლას მთელი ღამე მოუნდნენ და მხოლოდ გათენებისას შევიდნენ აულში. ხალხი ფეხზე იდგა. ის იყო, მდევარი ხელცარიელი დაბრუნდა და ოჯახში მოთქმა და თავში ცემა განახლდა, რომ ძმებმა უვნებელი ფარდიგი შინ მიიყვანეს.

ბარსაგისა და ხასანას კეთილშობილ მოქმედებაზე სიხარულით ატირდნენ ფარდიგის ძმები.

— თქვენ ჩვენი ოჯახი დიდ სირცხვილს გადაარჩინეთ. აგვაცდინეთ თავის მოჭრა. დღეის შემდეგ ჩვენი ოჯახის კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის. ასე უთხრა გამომშვიდობებისას ბარსაგსა და ხასანას ფარდიგის უფროსმა ძმამ.

3.

გავიდა დრო. ბარსაგს რაღაც დარდი შეეპარა. საათობით ზის კერიასთან და ხმას არ იღებს. ხასანამ ძმას უგუნებობა შეამჩნია.

— ბიჭო, ამ ბოლო დროს რაღაცას მიმალავ, მითხარი, რა დარდი შემოგწოლია გულზე?

ბარსაგმა ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოაყოლაო.

— მართლაც და ლამის დამჯაბნოს ნაღველმა, ხასანა, მოტაცებული გოგოს დარდი მიღრღნის გულს. არ ვიცი, მომაჯადოვა, თუ...

— გეთქვა აქამდე.

— რა ვიცი, უარი რომ თქვან!

— ცდა ბედის მონახევრეა!

— მაშ, წახვალ ხასანა?

— წავალ... დილაზე.

მეორე დილით ხასანა ფასრაღის გზას გაუდგა. ყაჩლავაანი თითქოს ელოდნენ ძვირფას სტუმარს. გაიხარეს მისი მისვლით. საკლავი დაკლეს, ნართული ფინგი დაიტვირთა ოჯახის დოვლათ-ბარაქით. გაიმართა პურობა. ხასანამ სტუმრობის მიზეზი გაამხილა.

ფარდიგის უფროსი ძმა აცა ფეხზე წამოდგა:

— რა გითხრა, ხასანა, თქვენ ჩვენი ოჯახი დიდ სირცხვილს გადაარჩინეთ. ჩვენს დასაც სიცოცხლე აჩუქეთ. თუ ასეა საქმე, რა გვაქვს საწინააღმდეგო. ბევრი კარგი გაგვიგია თქვენზე, არა ვწუნობთ შენს ძმას. ასრულდეს ღვთის ნება.

ქორწილისათვის ემზადებიან ბესოლაანი. აღარაფერს ზოგავს ყიზმიდა. არაყი გამოხადა, ლუდი მოადუღა.

ძმები ქორწილამდე ორი დღით ადრე სანადიროდ წავიდნენ. როგორც მონადირეებს, საქორწილო სუფრაზე ნანადირევი უნდა ჰქონოდათ, შემოიარეს ტყე-ღრე, მაგრამ ნადირის კვალსაც ვერსად წააწყდნენ.

— ავსათი[1] თუ შემოგვწყრა, ბარსაგ. ცხრა მთას იქით გადამალა თავისი ჯოგი.

მოღლილი მზე შინ მიიჩქაროდა. უცბად წამოკრიფა ნათელი სხივები და კალთაში გამოიხვია. ღრმა ხევებში ბინდი წვებოდა, როცა კლდის თავზე ჯეირანი გამოჩნდა.

სიცოცხლე უყვარს ჯეირანს. უყვარს მზე, მოწმენდილი ცა, ნოყიერი ბალახით დანაყრების შემდეგ ანკარა წყაროს ნაკურით წყურვი-

---

[1] ავსათი — ნადირობის ღმერთი.

ლის მოკვლა, თავის წყვილთან რქენა. თუმცა აგერ ხევში უფრო ნოყიერი ბალახია, წყაროებიც უფრო ცივი და ანკარაა. იქ ბევრად იოლია ცხოვრება. მაგრამ ბარი მისი ადგილი არ არის, იქ მის სიცოცხლეს ყოველ წუთს საფრთხე ემუქრება. ის ადგილი უფრო ძლიერმა მიისაკუთრა, ჯეირანი კი მთებს შეეხიზნა, სადაც ვერაგი ქარი მშიერი მგელივით ღმუის განუწყვეტლივ. ყინვა კი ეკალივით იჩხვლიტება, სადაც ადრევე ემტვრევა ჯეირანს ჩლიქები.

ვის რას უშავებს ჯეირანი. მაგრამ ცხოვრება ვერაგია, ძლიერი ყოველთვის ცდილობს თავისზე სუსტის ჩაყლაპვას.

და თუ კლდეებშიც არ არის სამოთხე, მაინც ამაყადაა, ამაყადაა, რადგან თავისუფალია!

— შეხედე, ხასანა, მთლად არ გაგვრისხებია ავსათი.

— მაშა, ბიჭო, რა მშვენიერი რამ არის, ჰა!

— ახლავე დავუბნელებ მზეს, — თქვა ბარსაგმა და კლდეზე აცოცდა.

ჯეირანი კი თითქოს ბუნებას თავის მშვენებად კლდის ქიმზე გამოეძერწა, იდგა ამაყად და ადგილიდან არ იძვროდა. რა იცოდა, რომ ქვემოდან მისკენ სიკვდილი მიცოცავდა, დაუნდობელი თოფის ლულა თანდათან უახლოვდებოდა, ცოტაც და, ბუნების ეს განუმეორებელი მშვენება მოწყდება კლდის ქიმს და სამუდამოდ დაუბნელდება მზე.

ბარსაგი თვალის დახამხამებაში მიუახლოვდა ჯეირანს, წამიც და ნადირი დაეცემოდა... მოულოდნელად იგრიალა თოფმა და ბუნების ეს იშვიათი სურათი დაირღვა. ჯეირანი კლდის ქიმს მოწყდა და თვალს მიეფარა. გაწბილებულმა ბარსაგმა ჯეირანის უკანალსღა მოჰკრა თვალი.

ხასანას თოფის ლულიდან ბოლი ამოდიოდა. ბარსაგი გაფითრდა. ტუჩები უკანკალებდა გაჯავრებულს.

— ეგ რა ქენი, ხასან?

ხასანა მოჯადოებულივით იდგა და იმ ადგილს თვალს არ აშორებდა, სადაც ცოტა ხნის წინ ჯეირანი მიიმალა. მერე შვებით ამოისუნთქა და ბარსაგს შეხედა.

— რა დაგემართა, ბიჭო?

— ნუ მკითხავ, ბარსაგ.

ბარსაგმა ხმა აღარ ამოიღო. თოფი მხარზე გადაიკიდა და ღამის გასათევის ძებნას შეუდგა.

დაბნელდა. ძმებმა გამოქვაბულის წინ ცეცხლი დაანთეს და ღარიბულად ივახშმეს. ბარსაგმა ვერ მოითმინა და ძმას ჰკითხა:

— მაინც რატომ დამიფრთხე ნადირი, ხასანა?

— რა ვიცი, ვერ გიბედავდი და... გეტყვი... — ხასანამ უხერხულობის დასაფარავად ჩაახველა. — გახსოვს, დვალეთში რომ იყავი? მე იმ დღეს მარტო წავედი სანადიროდ. საჯიხვეზე რომ გადმოვედი, მოშუადღევდა. სამი შველი დავინახე. მშვიდად ძოვდნენ ბალახს. მივეპარე და ერთი მოვკალი, ორი კი გაიქცა. ახლოს რომ მივედი, „მოკლული“ შვე-

ლი წამოხტა და უკანაფეხმოტეხილი სკუპ-სკუპით მიიმალა. წელამდე შამბნარში ფრთხილად შევაბიჯე, პატარა მდინარის ნაპირს ავყე. ერთ ადგილზე კლდე ზედ მდინარემდე იყო დასული. ფეხთ გავიხადე და წყალში გატოპვა დავაპირე. გადაჯეგილი ბუერების დანახვაზე მივხვდი, რომ გაღმიდან წყალზე ხშირად ჩამოდიან. ის იყო ფეხი შევდგი მდინარეში, რომ წყლის დგაფუნი შემომესმა. გულმა რეჩხი მიყო. ის შველია ნამდვილად, წყალში გადახტა-მეთქი, გავიფიქრე და უკან დავიხიე, ბუერებში გავძვერი. გავიხედე და ჰოი, დიდება შენდა, ღმერთო! მორევიდან ქალი გამოვიდა. წერწეტა ნაძვივით მშვენიერი, თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილს ჰგავდა. მორევის თავზე მწვანე თაღი თითქოს გახლიჩა მზემ, სხივთა კონა გადმოაყარა და წყლის ფერიის ფიქალ სხეულზე დაყრილი წვეთები მარგალიტის მძივებად ათრთოლდა. ლოდზე ჩამოჯდა, თმა ჩამოიშალა, კოქებამდე დაეფინა ოქროსფერი დალალები და ქალის შიშველი ტანი დაფარა მთლიანად.

ბუერებში მწყერივით გავინაბე. ბარემ მრცხვენოდა, ქურდივით რომ ვუყურებდი შიშველ ქალს, მაგრამ ველარც წასვლას ვახერხებდი და ვერც თვალს ვაცილებდი. აღარ ვიცოდი, რა მექნა, სად მოვხვდი, ვინ იყო ეს მზეთუნახავი, წყლის ფერია თუ ალი? მინდოდა გავცლოდი იქაურობას, თვალი მომეცილებინა იმ ღვთაებისათვის, მაგრამ მოჯადოებულივით მივეწებე ერთ ადგილს, არ შემეძლო განძრევა, მღელვარებამ სუნთქვა შემიკრა და თითქოს გულიც გამიჩერდა.

ამასობაში ქალმა თმა დაიწნა და ორი ნაწნავი თავზე შემოიხვია. ტანთ ჭრელი ჩითის კაბა გადაიცვა და შამბნარში გაუჩინარდა.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სამოთხის ჩიტმა შეიფრთხიალა და ხელიდან გამიფრინდა. რაღაც ძალამ ზეზე წამომაგდო და ჩემდა უნებურად ავედევნე უცნაურ არსებას. „ვინ არის, ზეციური ანგელოზია თუ ეშმაკი?“ ცნობისმოყვარეობის ცეცხლით ანთებული ფეხდაფეხ ავედევნე ქალს. კარგა ხანს იარა ხევში, მერე თიზმაგხოხის აღმართს შეუყვა. რაც უფრო მაღლა-მაღლა მიიწევდა, მეტად ვეჭვობდი, თვალს აღარ ვაშორებდი. მეშინოდა ეშმაკი არ იყოს და არ გამიქრეს-მეთქი. ბორცვიდან — ბორცვზე, ტაფობიდან — ტაფობზე მივდევდი ფეხდაფეხ, მთის წვერამდე ცოტაღა იყო დარჩენილი, მან ჯერ გვერდით გაუხვია, მერე ისევ აღმართს აჰყვა. ალბათ, შემამჩნია და ფეხს აუჩქარა, ველარ დავინახე კლდის ძირში საით გაუჩინარდა. შევჩერდი, თვალებგაფართოებულმა გაფაციცებით დავუწყე ძებნა, მაგრამ თითქოს მიწამ უყო პირი, აღარ გამოჩნდა. კვალზე მიყოლა დავაპირე, უცებ ზურგს უკან რაღაც ჩქამი მომესმა, მივიხედე და მხოლოდ მოქნეული კეტი დავინახე. თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა. ყურებმა ბჟუილი დამიწყო და თითქოს თავზე მთა წამომემხოო, ველარაფერი გავიგე, თვალთ დამიბნელდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავ უგონოდ. როცა მოვსულიერდი, თავი მტკიოდა, ეტყობოდა სისხლს ედინა და მარცხენა თვალში ჩამგუბებოდა, ვერ მოვახერხე თვალის გახელა. ვიფიქრე ხელით მოვიწმენდ-

მეთქი, მაგრამ ხელები მაგრად მქონდა უკან გაკრული. ისე ვიყავ გაკოჭილი, რომ განძრევას ვერ ვახერხებდი.

რაღაც უბედურება რომ იყო ჩემს თავს, მიკვდი, მაგრამ რა? ლოდინის მეტი არაფერი დამრჩენოდა. ალბათ გამოჩნდება-მეთქი ის ქაჯი. ნეტავ რა უნდოდა ჩემგან?

როგორც იყო გამოჩნდა. მთის ფერდობზე ჩამოდიოდა, მხარზე თოფი ეკიდა, ხელში კი შავქარქაშიანი ხანჯალი. „ვინ არის, რა უნდა ჩემგან?" — ძლივს მოვასწარი ამის გაფიქრება, რომ თავზე უშველებელი დევკაცი წამომადგა. ჭაღარა წვერი, სქელი წარბები და გაფანჩული ულვაშები რაღაც საშინელ იერს აძლევდნენ მის მრისხანე სახეს. თითქოს ცოცხლად გადაყლაპვას მიპირებდა. ისე დააკვესა თვალები. სიბრაზით სისხლის ძარღვები გაჰბერვოდა და დაწყვეტას აღარაფერი უკლდა. მის დანახვაზე სისხლი გამეყინა. თითქოს მთელი კართა[1] წყალი გადამასხეს. უცნობმა ხანჯალი ამოსწია, დაიხარა და მკაცრად ჩამეკითხა:

— ვინა ხარ?

— მონადირე ვარ, — ძლივს მოვახერხე პასუხის გაცემა.

— ვინა ხარ-მეთქი? თქვი, სანამ ძაღლივით არ დაგკალი! — მკაცრად გამიმეორა კითხვა და ხელში ხანჯალი შეათამაშა.

— მონადირე ვარ, დაჭრილ შველს გამოვეკიდე...

— ტყუის, ბაბა, ტყუის, — მოულოდნელად საიდანღაც გამოტყვრა ის ეშმაკის კერძი. — ხევიდან ამედევნა ჩუმად. მეც აქამდის მოვიტყუე და აი ამ ჯოხით...

— ღმერთს გეფიცებით, ცუდი განზრახვა არ მქონია გულში, — ვუთხარი მე. მივხვდი, რომ ყველაფერი იმ წყეული ჯადოქრისაგან მჭირდა. ერთი სიტყვა და ხანჯალი დაეშვებოდა, მოკვეთილი თავი კი ხევში ჩაგორდებოდა. — არ მიფიქრია თქვენი შეურაცხყოფა.

— ხმა, ძაღლისშვილო, ვიცი, ვინცა ხარ და რაც გინდა, დიდი ხანია გელოდი და მოხვედი კიდეც. — გაბზარული ზარის რეკვასავით დაიჟღრიალა დევკაცის ხმამ. — ხანჯალი სულ ახლოს მომიტანა. — მოხვედი და შეგწირავ კიდეც ჩემს მკვდარს.

— რა დაგიშავეთ, რა ჩავიდინე ისეთი, მითხარით მაინც...

— ვინ გამოგგზავნა?

— ღმერთია მოწამე, არაფერი მესმის, რა გინდათ ჩემგან.

— მიპასუხე, რატომ აედევნე აჩრდილივით ჩემს ქალიშვილს? თქვი, რა გქონდა გადაწყვეტილი!

— ღმერთს გეფიცები, არ ვიცი, რა გიპასუხოთ. არაფერი შემიცოდავს. რისთვის დამატყვევეთ, არ ვიცი. მართალია, ამ ქალს გამოვყევი, მაგრამ ღვთისა და თიზმაგხოხის წინაშე შემიძლია დავიფიცო, რომ ავკაცობა არ მდებია გულში. აგერ უკაცრიელ ხევში დავინახე ქალი, გამიკვირდა, ვინ არის, სად მიდის-მეთქი. მხოლოდ და მხოლოდ

[1] კართა — ხისგან გამოთლილი წყლის ჭურჭელი.

ცნობისმოყვარეობა იყო მიზეზი, მეტი არაფერი. თუ ამისათვის ასეთი მკაცრი სასჯელი დავიმსახურე, დამსაჯე, რაღას ელოდები!

ჩემმა სიტყვებმა დააფიქრა დევკაცი.

— მაინც ვინა ხარ? სადაური? რისთვის მოხვედი აქ?

— რისთვისაც მოვხვდი აქ, ეგ უკვე გითხარი, თედოთიყაუდან ვარ, მამაჩემი მონადირე იყო, ბესოლთი ცოფანა, მთელი ხეობა იცნობდა.

თითქოს ჯადოსნური სიტყვა მეთქვას, დევკაცი უცნაურად შეხტა. ხანჯალი ხელიდან გაუვარდა, თოფი დაუშვა. მის გულში დაგუბებული ბოღმა თითქოს კლდეზე დაინთხა, დამშვიდდა. დაბერილი სისხლ-ძარღვები გაუქრა. თვალებში სითბო ჩაეღვარა და ხმაც დაეშაქრა:

— ცოფანასი ვარო, თქვი?

— ჰო, ცოფანასი.

— მაპატიე! — დაიხარა და ბაწრები შემაჭრა, ხელ-ფეხი გამითავისუფლა. ტყუილუბრალოდ დაგსაჯე, მაპატიე, შვილო!

— არა უშავს, ხანდახან ცდება კაცი.

— ვიცნობდი მამაშენს. ბევრი კარგი მახსოვს მისგან. ცოფანას შვილი ჩემი სასურველი სტუმარი იქნება ყოველთვის. პურ-მარილს ნუ დაგვიწიხლავ.

— პურ-მარილზე დიდი მადლობა. შორი გზა მაქვს გასავლელი. წავალ, შინ მელოდებიან.

— აბა რას ამბობ, ასეთ მდგომარეობაში არსადაც არ გაგიშვებ. ჭრილობას შეგიხვევთ. მერე საცაა მზე ჩავა, რაღა დროს წასვლაა. ამაღამ ჩვენი სტუმარი იქნები, ხვალ მიგასწავლი სანადირო ადგილს და წახვალ შენს გზაზე.

რა დაგიმალო, შენმა მტერმა იცრუოს, არ მინდოდა დარჩენა. მაგრამ უარი ვეღარ შევკადრე და დავრჩი. შინ მიმიპატიჟეს.

— ბიჭო, სახელი რა გქვია? — გვიან მკითხა იმ უცნაურმა კაცმა.

— ხახანას მეძახიან.

— ღმერთმა დღე მოგცეს, მე ძანგი მქვია, ცარგასბადანელი ვარ, ეს ჩემი ქალია ზარინა.

— „ეგ ქალი კი არა ქაჯია". — გავიფიქრე ჩემთვის, იმას კი ასე ხათრისთვის ვუპასუხე:

— კარგი ბედი მისცეს ღმერთმა.

საოცრად ლამაზი ადგილი ამოერჩიათ ბინად. მთაზე ასეთი ვაკე არსად შემხვედრია. მსუყე ბალახი წელამდის, პირუტყვის საბალახოდ უკეთესს ვერც ვერავინ ინატრებდა. აქ აბალახებდა ძანგი ცარგასბადანელთა ნახირს. ქოხის წინ შევჩერდით. ძანგმა ჭრილობაზე დათვის ქონი მომისვა. რაღაც ბალახი დაფშვნა, ზედ მოაყარა და შემიხვია. მერე საძოვარზე გაშვებულ ფარაში ერთი მსუქანი ბატკანი დაიჭირა და დასაკლავად წამოაქცია. მე ვიუარე, მაგრამ ხმაც არ ამომაღებინა.

თვალს ვადევნებდი მის მოქმედებას. შუახნის კაცი იყო, — ბეჭებგანიერი, მაგარი აგებულების. ისე მარდად და მარჯვედ საქმიანობდა, მისი ხელის მოძრაობას თვალს ვერ ვასწრებდი. ღონიერ მკლავებზე

კუნთები ერთი კვირის გოჭებს მიუგავდა. თვალის დახამხამებაში აქნა საკლავი.

ცვრიანი მწვადები მზად იყო.

— ბარემ საპატიო სტუმარი ხარ, ასე უბრალო მასპინძლობა არ გეკადრება, მაგრამ მცირეზე ნუ დაგვძრახავ. ხომ გაგიგონია, მარილი და პურიო და კეთილი გულიო.

— მოიბოდიშა ძანგმა.

— ღმერთმა ბევრი მოგცეთ, დასამდური რა მაქვს, — დარცხვენილმა ვთქვი და უნებურად ქალს შევხედე. თითქოს ცეცხლიდან ნაღვერდლები აცვივდა და გუგებს ეცაო, ისეთი ნაპერწკლები დააფრქვია მისმა ზღვისფერმა თვალებმა. უცბად ყველაფერი ჩაქრა. ნაღვერდლები თითქოს ნაცარში შეახვიესო, ისე დაეშვა გრძელწამწამებიანი ქუთუთოები. რამდენჯერმე დავიჭირე მისი მზერა, მაგრამ ის ნაღვერდალი აღარ გამოჩენილა მის თვალებში.

4.

ვახშამი გვიან მოთავდა. ძანგმა ქოხის გვერდით თივაზე გაშალა ნაბადი და ორივე იქ მოვთავსდით. ზარინამ ქოხში გაიშალა ლოგინი.

გვიანობამდე რული არ მომკარებია. სავსე მთვარე უშველებელი ყვითელი ბურთივით ზედ თავზე წამომემხო, ხევიდან ჩანჩქერის მხიარული სიმღერა თითქმის მთის წვერამდე ისმოდა. მთვარის შუქზე კარგად ვხედავდი თიზმაგხოხის წვერიდან წამოსულ მყინვარის ქათქათა ზოლს. რომელიც მთელ სიგრძეზე ჩასდევდა მთას.

თავის ტკივილმა გამიარა, ნეტავ რა ბალახი იყო, ასე უცბად რომ დამიამა ჭრილობა? ან არადა, ვისში შევეცვალე? კინაღამ ვიღაცის ხაცვლად მომკლეს. ვინ არის ეს დევკაცი და ვისი ჯავრი სჭირს? ან ეს ქალიშვილი — ზარინა, როგორი მოხერხებული და ეშმაკი გამოდგა, რა იოლად შემაცდინა. მაგრამ რა ლამაზია, ცოდვა არ არის, აქ მთაში, საქონელს დასდევდეს ასეთი მზეთუნახავი? ვახშამზე რამდენჯერმე ქვეშ-ქვეშ გამომხედა. ღმერთო, რა ლამაზი თვალები აქვს?!

მასპინძლის ძაღლმა დაიყეფა. მერე ნადირის სუნი თუ იკრა, გაავდა და ყეფით აიკლო იქაურობა. მწყემსმა თოფი გადაიკიდა და საქონლის დასახედად წავიდა. ფარას გარს შემოუარა, მიდამო დაზვერა. საშიში რომ ვერაფერი შეამჩნია, ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა.

კარგა ხანს იწვა თვალგახელილი. მერე, ალბათ, იგრძნო, რომ არც მე მეძინა და გამომელაპარაკა:

— ძილი გაგიკრთა, ბიჭო? ლოგინის ბრალია, ალბათ.

— რა ვიცი, არ მეძინება და...

— ჰო, მართლა, რამდენი შვილი ჰყავდა მამაშენს?

— ორი... ერთი თავისი და ერთიც... ტყეში უცნობ ქალს უშობია, ქალი მომკვდარა და ბავშვი მამაჩემს წამოუყვანია.

— შენ რომელი ხარ?

— დედას ეკითხეთ, მაგრამ არ გვითხრა. რატომღაც ასე მგონია, რომ იმ უცნობი ქალის შვილი მე უნდა ვიყო. თუმცა ჩემი ძმაც ამასვე ამბობს.

— არ ვიცი, თქვენ ორს შორის რომელია იმ ბედკრული ქალის შვილი, ამას იქნებ არცა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ იმ ბავშვის დედამამას ვიცნობდი. კარგი ადამიანები იყვნენ შენი მამა-ბიძები. პატიოსანი, მშრომელი ოჯახი ჰქონდათ.

— კეთილო ,ბაცო, რადგან იცნობდით, ისიც გეცოდინებათ რა უბედურება დაატყდათ თავს. ძაღალქომში რამ მიიყვანა დედაჩემი?

— საშინელი ამბავი მოხდა. ნაძრახი სიცოცხლე არ იკადრა შენმა მამა-ბიძამ. მიწის თაობაზე ახირდა ორი გვარი. დავა სისხლით გადაწყდა.

— საით ვიბრუნო პირი? ,ვისგან ავიღო სისხლი? ნურაფერს დამიმალავთ, — შევძახე და შურისძიების წყურვილით ავენთე.

— შენს მოსისხლეთაგან დედამიწაზე აღარავინ დადის. შენი მამაბიძისა და დედის სისხლი აღებულია. აღარაფერი გევალება შენ. მეტს ნურაფერს მკითხავ. მართალი იყო დედათქვენი, რომ არ გითხრათ სიმართლე. დეე ნუ გეცოდინებათ, რომელი თქვენგანია იმ საბრალო ქალის შვილი.

— რათა? თუნდაც ჩემი ძმა იყოს იმ ქალის შვილი, მე მაინც ვალდებული ვარ ვიძიო შური. ხომ ,უნდა ვიცოდეთ, ვინ იყვნენ ის ხალხი, ვისაც ერთ-ერთი ჩვენთაგანი ეკუთვნის? არ ავიღოთ სისხლი? საიქიოს რატომ უნდა იტანჯონ ჩვენი მკვდრები?

— აღარავისი არა გმართებთ, სისხლი აღებულია.

— საით არის ჩემი სამშობლო?

— იქ არ მიგესვლება. გზა დახშულია.

— რატომ? რისთვის? ვინ დამიხშო გზა?

— აღარ არის საჭირო, სამწუხარო ამბის შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ხალხს უკვე ,გადაავიწყდა. შენ იქ არავინ გყავს, არც არავის ახსოვს შენი დაბადება, არც ის იციან, რა იქნა დედაშენი. ,ვინ დაგიჯერებს, თანაც საშიშია მივიწყებული საფლავების თხრა. თქვენი გვარიდან აღარავინ გადარჩა. ორიოდ დღიური მიწა სხვებმა დაინაწილეს, იქ შენ ,კერიის გაჩაღებას ვერ შეძლებ, შვილო, არ მიგიშვებენ, ძალით ვერაფერს გახდები, შენ ერთი ხარ, ისინი ბევრნი არიან. ,ჰოდა, საიქიოს რა პასუხი გავცე შენს ,დედ-მამას, სახიფათო გზაზე რომ გიბიძგო?

— რა ვიცი, დაუფიქრებელი და სულელი არც მე ვარ, შევძლებ თავის შეკავებას, ის მაინც ვიცოდე...

— ვხედავ, ,ჭკვიანი ბიჭი ხარ, მაგრამ დაიოკე ცნობისმოყვარეობა, არ არის-მეთქი საჭირო. ,ჭკვიანმა კაცმაც იცის გაბრაზება. ერთი თუ დაძრა ხანჯალი ქარქაშიდან, მერე თავშეკავებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ნულარაფერს მკითხავ, მეტს ,ჯრაფერს გეტყვი. რაც გაიგონე, ისე

ჩათვალე, ვითომც სიზმარში გენახოს. ახლა კი დაიძინე. შუაღამე გადავიდა, საცაა ირიჟრაჟებს.

ძანგმა გვერდი იბრუნა და ცოტა ხნის შემდეგ დევგმირის ხვრინვა ამოუშვა.

მთელი სხეული მიბჟუოდა. თითქოს სადგისით დავეჩხვლიტე, ისე მეწოდა კანი. როგორ შეიძლება, ადამიანმა არ იცოდეს ვისი გვარისაა, სად ჩაყარეს ძვლები მისმა წინაპრებმა? მაგრამ ძანგის უკანასკნელი სიტყვები „ნურაფერს მკითხავ, მეტს ვერაფერს გეტყვიო“, ისევ ყურში მიწიოდა და ფრთებმოკვეცილი არწივივით დავეცი თივაზე. ვიგრძენი, რომ ჩემმა მასპინძელმა თავის ნათქვამს წერტილი დაუსვა და მეტს ვეღარაფერს გავიგებდი მისგან. თავწაწყვეტილი ქათამივით ავფართხალდი. ვტიროდი და არ მრცხვენოდა ცრემლისა.

მზე კარგა მაღლა ამოწვერილიყო, რომ გამეღვიძა. გადავწყვიტე მაშინვე გავცლოდი იქაურობას.

ქოხის წინ ზარინა თუჯის ქვაბში შეჭამადს ხარშავდა. რომ დამინახა, წელში გაიმართა და ცერად შემომხედა.

— დილა მშვიდობისა, — მივესალმე. — იტყვი, ეს რა ძილისგუდა ყოფილაო.

— არა, რათა, ბაბამ გამაფრთხილა, არ გააღვიძო, წუხელ გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავსო, — დარცხვენით მითხრა იმ ანგელოზმა და თავი დახარა. — აგერ წყაროზე პირი დაიბანე. სადილიც ახლავე იქნება მზად.

— გმადლობთ, სადილს აღარ დაველოდები. წასვლის დროა.

— აბა, ეგ რა თქვი? მთაში სტუმარი უსადილოდ არავის გაუშვია და ჩვენ რა ქვეყნის უარესები გვნახე, რომ არ მოიცადო, ეგ იმას ნიშნავს, რაღაც გაწყენინეთ. მერე კიდევ ბაბამ თქვა, უჩემოდ არ წავიდესო.

ალბათ, რაღაც უნდა მითხრას-მეთქი, გავიფიქრე და დავრჩი.

ყინულივით ცივი წყლით დავიბანე პირი და ქოხში რომ შევბრუნდი, ქალმა მითხრა:

— მაპატიე, ხასანა (ო, ღმერთო ჩემო, სახელი საიდანღა გაიგომეთქი, გავიფიქრე და გამახსენდა, რომ წინაღამით მამამისმა მკითხა), ჭრილობის საფენს გამოცვლა უნდა, ბაბამ გამაფრთხილა. აი წამალი მოგიმზადე.

— ნუ წუხდები, ზარინა, სულაც აღარ მტკივა.

— რას ამბობ, ამ სიცხეში ჭრილობა გაგიმიზეზდება, შეიძლება დაგიჩირქდეს კიდეც, — ჭრილობა კი არა, ნეტავ თავიც მომკვეთონ, ოღონდ ეს ხმა მესმოდეს სულ. — დაჯექი, აგერ აქ დაჯექი, — მითხრა ქალმა და ქოხის წინ ლოდზე მიმითითა, — თვითონ შინ შევიდა და ჩვარში გახვეული წამალი გამოიტანა.

ჭრილობა მომბანა, შემიხვია და ბოდიში მომიხადა.

— მაპატიე, ხასან, შენ არ ეკუთვნოდა ის დარტყმა... ალბათ ფიქ-

რობ, რა აშარი და ავი ვიღაც არისო. — ქალს ხმა აუკანკალდა, მორცხვად დახარა თავი.

— თვითონა ვარ დამნაშავე, რატომ აგედევნე? ცდუნებას ავყე. რომ დაგინახე, ყველაფერი დამავიწყდა (უნდა მეთქვა მორევში შიშველი რომ ბანაობდი-მეთქი, მაგრამ დროზე შევიკავე თავი, ასე მეგონა, დიდ საიდუმლოს გავამჟღავნებდი, ცივმა ოფლმა დამასხა).

— მე სხვა ვიღაც მეგონე.

„სხვა ვიღაც?!" — ხანჯალივით მეცა ეს ორი სიტყვა.

— მაპატიე, ზარინა, თავხედობაში ნუ ჩამომართმევ, ვინ არის ის „სხვა ვიღაც?" ვისი ხვედრი გავიზიარე, რატომ ხართ შენ და მამაშენი ასე მკაცრები? — ჩემი გულახდილი ყითხვებით საგონებელში ჩავაგდე ქალი. — თუ გეძნელება, ნუ მიპასუხებ, არ არის საჭირო. არც მეწყინება, მაპატიე, თუ გული გატკინე.

— არა, არა, ეს ისე...

— მაშინ მითხარი, ვინ არის ის ვიღაც და რა დაგიშავათ?

— კარგი, გეტყვი, მხოლოდ მამაჩემთან არაფერი წამოგცდეს, გული ეტკინება. — ხელით მანიშნა მყინვარისაკენ. — ხედავ?

— ვხედავ, ისედაც ბევრი მსმენია და გამიგონია.

სუნთქვაშეკრული ვუსმენდი. მისმა ნაამბობმა გული დამიკოდა. რა დიდი ელდა გადაუტანიათ. ვიგრძენი, რა უსაზღვროდ დიდი იყო შურისძიების სურვილი.

— მაინც ვის აბრალებთ, რა ჯავრი სჭირდათ დედაშენისა?

— არ ვიცი, მაგაზე არაფერს ამბობს მამა. საიდუმლო გულში აქვს ჩამარხული და მეც კი არ მანდობს.

ფეხის ხმა მოისმა. ძანგი იყო.

— შვილო, სადილი ძალიან არ დაგვიანე? სტუმარი სალექსოდ გაგვხდის, მშიერი მომკლესო, ქვეყანას შეგვიყრის.

— მზად არის, ბაბა, შენღა გელოდებოდით, — წინ შეეგება ზარინა მამას.

ვისადილეთ. მადლობა ვუთხარი, ზარინას დავემშვიდობე და წამოვედი, ძანგი უკან გამომყვა:

— ბიჭო, ვგრძნობ, წუხელ გული გატკინე. მაგრამ დაივიწყე, რაც გითხარი. გახსოვდეს, კაცი წარსულით კი არ ცხოვრობს, მომავლის იმედითა ვართ ყველა, შენ კი ჯერ წინა გაქვს ცხოვრება. შენი ასაკია თვითონ იმედიანი და ლამაზი, და არ დაივიწყო ეს. ჰე, ეგ არის ჩემი დარიგება. თუ აქეთ მოგიხდეს გამოვლა, შენი სტუმრობით გაგვახარე, თოფის წამალი წამომიღე, ტყვიებიც.

მას შემდეგ ერთხელ კიდევ მოვინახულე, ძანგს ტყვია-წამალი წავუღე, მარილი, ფქვილი. ძალიან გაიხარეს. იმ დღეს მე და ზარინა მოცვზე წავედით. ძალიან მხიარულობდა, ბავშვივით ცელქობდა, იცინოდა, რაღაც უხაროდა. ო, ის დღე არასოდეს დამავიწყდება. რომ მოვდიოდი, შემეხვეწა, არ დაგვივიწყო, კიდევ ამოდიო.

— ჰე, ძმაო, შენ რომ დღეს ჯიხვს დაუმიზნე, მომეჩვენა, ზარინას

მამა ძანგი იყო. ისიც იმ ჯიხვივით გაექცა მტერს და კლდეში დასახლდა.

ბარსაგი გულისყურით უსმენდა ხასანას.

— ვალაი, ძმაო, საოცარი ამბავი მითხარი. რა გაქვს გადაწყვეტილი?

— არ ვიცი...

— მე კი ვიცი. ხვალ უთენია წავალთ. სიძედ თუ გიკადრებენ, ერთად გადავიხადოთ ქორწილი.

დიდი ხანია ჩაიწვა შეშა, ჩაქრა ცეცხლი. ზაფხულის მოკლე ღამე შეუმჩნეველად გაიცრიცა. ბარსაგი და ხასანა სწრაფად გაემზადნენ და მთებისაკენ ქნეს პირი.

5.

იმ დილით ადრე გაეღვიძა ზარინას. რაღაც ნაღველმა დარია ხელი და აღარ იცოდა რა ექნა. ჯერ დედაზე დარდმა შეაწუხა. მის მკვლელებზე შურისძიების ცეცხლი მოსვენებას არ აძლევდა. მაგრამ ამ ბოლო დღეებში ის მძიმე ფიქრები თითქოს მთიდან მონაბერმა ქარბობოლამ გაფანტა, მაგრამ მისი ადგილი სხვა საფიქრალმა დაიკავა.

მამა რიფრაეზე გარეკავს ხოლმე საქონელს, სამხრისათვის ან თვითონ ჩამოდის, ან ზარინას მიაქვს ჯერი. მეტწილად მარტოა ზარინა. მობეზრდა. სანამ ხასანა გამოჩნდებოდა, მარტოობას ასე მწარედ არ განიცდიდა. მზე რომ ცაზე გზას გაანახევრებდა და დედამიწას გრდემლზე გასაბრტყელებელი რკინასავით გაახურებდა, ზარინა ხევისკენ დაეშვებოდა, იქ ამოჩემებულ მორევში გადაეშვებოდა და ყველაფერი ავიწყდებოდა. ახლა კი თვითონაც არ იცის, რა დაემართა, გული აღარსაით მიუწევს. ზის და ერთთავად ფიქრობს. თვალწინ ხასანა უდგას. საკვირველია, რად ენატრება ასე? ვინ არის? რატომ დაუკარგა მოსვენება? მთელი სიცოცხლე ესმოდა ჩიტების ჭიკჭიკი, ნაკადულის რაკრაკი, მაგრამ ახლა სულ სხვანაირად გაიგონა ძალზე ახლობელი და ნაცნობი მელოდიები, სულ სხვაგვარ ალმაფრენას გრძნობს, სრულიად უცხო სამყაროში ჰგონია თავი.

ორი კვირაა არ უნახავს ხასანა და ეს ორი კვირა საუკუნედ ექცა. ყოველდღე ელოდება. თვალები გზისკენ დააწყდა. დაიღალა ლოდინით. თუმცა, რომ ვთქვათ, რისთვის ელოდება? რას მოუტანს მისი ნახვა? არაფერს. საბრალომ ისიც კი არ იცის, ჰყავს ვინმე თუ არა ხასანას? თუ უკვე ჰყავს ის ვიღაც, მაშინ რაღაზე ელოდება? მაგრამ ხომ შეიძლება არავინ ჰყავდეს? მაშინ?.. ფიქრები ჭიანჭველებივით აირივნენ, თავგზა აუბნიეს. გული ჩაითხრო. დილით ადრე ადგება, საქმეს მიხედავს, მამას პირუტყვის გარეკვაში მიეხმარება, ისევ ქოხში დაბრუნდება, სამხარს გაამზადებს და თავისუფალია მერე. დაჯდება კლდის თავზე და გაჰყურებს გზას. ეს ის გზაა, საიდანაც ხასანა მოვიდა ბო-

ლოს. მთელი დღე ელოდება, საღამოთი ადგება და გულდაწყვეტილი წალასლასდება ქოხისკენ.

აგერ დღესაც ზის ამოჩემებულ ადგილზე. ფიქრებმა გაიტაცა და თავიანთ ნებაზე დააქანებენ აქეთ-იქით.

მზემ თავისი დაფანტული სხივები თითო-თითოდ წამოკრიფა, ერთხელ კიდევ თანაგრძნობით შეხედა ზარინას და ქედს მოეფარა.

ძანგმაც მორეკა სამწყემსური, ბაკში დააბინავა და ქოხისკენ წამოვიდა. ჩვეულებრივად სიხარულით აღარ შეეგება ზარინა, მამას ელდა ეცა.

— შვილო, ზარინა, რა არის, ავად ხომ არ ხარ, დაღონებული მეჩვენები.

— არა, ბაბა, არც დაღონებული ვარ და არც ავად ვარ, — უხალისოდ უპასუხა ზარინამ.

— ნურაფერს დამიმალავ, ჩემო ერთადერთო, აგერ რამდენი დღეა, გამჩნევ, ხასიათზე არა ხარ.

ქოხის წინ გვერდით მოისვა შვილი ძანგმა. თავზე ნაზად გადაუსვა ხელი.

— ბაბა გენაცვალოს, რამხელა გაიზარდე.

მამის ალერსმა გული აუჩუყა აფორიაქებულ ზარინას. უსაზღვროდ უყვარს მამა. იმასაც გრძნობს, რომ მამაც მხოლოდ მისთვის ცოცხლობს.

— ბაბა, ჩემო ბაბა, შენ მკითხე რატომ ვარ მოწყენილი? არ ვიცი. გული მიკვნესის, მეტირება. მითხარი, ბაბა, როდემდის უნდა ვიხეტიალოთ, როდემდის ვმწყემსოთ სხვისი საქონელი?

დიდი ხანია ელოდა მამა ამ კითხვას. თვითონაც ბევრჯერ დაუსვამს ასეთი კითხვა, როდემდის უნდა ვდიო სხვის საქონელს, როდემდის უნდა ვტანჯო ერთადერთი შვილიო. სამი-ოთხი წლის წინ რომ ვინმეს ეკითხა ეს, გასცემდა პასუხს ძანგი, მაგრამ ახლა პასუხის გაცემა არ შეუძლია.

ხუთი წელი გავიდა, რაც აგუნდა მყინვარში ნახა ჩაჩეხილი. სიცოცხლემ აზრი დაკარგა მას შემდეგ. შვილი აკავშირებს ამ წყეულ ქვეყანასთან, თორემ დიდი ხანია გაეცლებოდა. ალდარი ძანხოთი, რადგან მის კვალს მიაგნო, აღარ მოისვენებს. სადაც საკუთარი შვილი არ დაინდო, მით უმეტეს, არც მას დაინდობს. აუცილებლად მოუგზავნის მკვლელებს. ისიც ელოდება, და ამ შეხვედრისათვის ყოველთვის მზად არის. დღე ცალ ხელში თოფი უჭირავს, მეორეში — ყამა, ღამით კი ორივე სასთუმლად უდევს.

მაგრამ აღარ გამოჩნდა მისი დაუძინებელი მტერი. ძანგმა იფიქრა, ალბათ, აულში ჩემთან პირისპირ შეხვედრას ერიდებაო და ნახირი გაირეკა, მოწყდა ხალხს. აგერ სამი წელია, ყოველ ზაფხულს მარტოდმარტო აქ აიალაღებს პირუტყვს. დარწმუნებულია, მოსისხლე მთებში აუცილებლად მოძებნის, ისიც ემზადება დასახვედრად. სანამ მტერი იარაღს ჩახმახზე შეაყენებს, ძანგი შიგ გულში გაუტარებს ხი-

რიმის ტყვიას. ავის მოლოდინმა სიფრთხილე შესძინა, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, შთის წვერზე რომ იყოს, ხეობიდან ნაკადულის ჩქამიც კი ესმის. ის კი არა, ას ნაბიჯზე თაგვმა რომ გაირბინოს, არ გამოეპარება. ხმაურის გამომწვევს თვალდახუჭული ცნობს. მაგრამ რა, ის არ ჩანს, ვისაც ელოდება. ეს კიდევ უფრო დიდ საგონებელში აგდებს. თითქოს განგებ, რომ უფრო გააღიზიანოს, იგვიანებს მტერი. გაავდა. ხანდახან ისეთ ჭკუაზე დგება, რომ ლამის ყველაფერს თავი მიანებოს და გაიქცეს. მაგრამ ასეთ დროს თვალწინ დაუდგება თავისი ერთადერთი იმედი ზარინა და ყველაფერი ისევ თავიდან იწყება.

აგუნდას შემდეგ ამ ქვეყანაზე ზარინასთვის დარჩა. ის არის მისი მეძკვიდრე, იმედი, გამხარებელი და სიკვდილის დროს თვალების დამხუჭავი. დედის სილამაზე და სინაზე დაჰყვა ზარინას. ახლა იმიტომ უფრო ეშინია ძანგს, აგუნდასავით ისიც არ მოუკლან. იმიტომ დაჰყავს თან. აგუნდა ვერ დაიფარა, ზარინას კი დაიფარავს ხიფათისაგან? საძი წელია მთაში დაჰყავს მამას. ასე უფრო დამშვიდებულია. მაგრამ ახლა მისი შეკითხვა, როდემდე უნდა ვემალოთ ხალხსო, სადგისივით ეჩხვლიტა გულში.

— რა გითხრა, შვილო... ვიცი, მოგბეზრდა აქაურობა. შეწუხდი, შინ გაგიშვებდი, მაგრამ მეშინია.

— როდემდის მიყარაულებ, ბაბა, აქ?

— მართლაც და როდემდის? — კითხვაზე კითხვით უპასუხა შვილს.

— რომ იცოდე, ბაბა, როგორ მომბეზრდა ყველაფერი. დარდმა და ნაღველმა შემიჭამა გული. აულში ახლა ჩემი ტოლები მხიარულებაში ატარებენ დროს. მე კი აქ ნაღველი მახრჩობს. — ზარინას გული აუჩუყდა და ატირდა. მსხვილი ცრემლები მძივებივით დაეკიდა ერთმანეთს. ტიროდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, თავის უსიხარულო ახალგაზრდობას დასტიროდა, თუ გულში შეპრილი უცნაური გრძნობა ატირებდა.

— ნუ, გენაცვალოს მამა, ნუ მაჩვენებ შენს ცრემლებს. თუ ძალიან მოგეწყინა, შინ წადი, — დედის სიკვდილის შემდეგ პირველად ნახა შვილი მტირალი და გული მოუკვდა. — წადი, შვილო, მე ძალას არ დაგატან.

— წადი... მერე შენა? მარტო როგორ დაგტოვო, შენი დარდით იქ კი უკეთესად ვიქნები? არა, ბაბა, მარტოს ვერ დაგტოვებ, თუ წასვლაა, ერთად წავალთ. გეყო შენც ამდენი წვალება, შენ რომ რამე დაგემართოს, თავს არ ვიცოცხლებ. ყველაფერი ოხრად დარჩეს. წავიდეთ ერთად. რითიც სხვები ცხოვრობენ, ჩვენც იმით ვიცხოვროთ. ჩვენმა მტრებმაც დაგვივიწყეს, თორემ ხუთი წელი რას ელოდებიან. გამიგონე, ბაბა, ძალიან განვიცდი, იმათ ლოდინში რაღაცნაირი გახდი. ხმელმა ბალახმა რომ გაიფაჩუნოს, შეხტები ხოლმე, სახე რაღაცნაირად დაგეძაბება და მე თვითონაც მეშინია. ძილშიც ასე ხარ, თუმცა როდის გძინავს?

სიმართლეს ლაპარაკობდა ზარინა. დაჭრილ მხეცს კვალში რომ ჩაუდგებიან და ქვის ჩრდილიც სიკვდილი ჰგონია, იმას დაემსგავსა ძანგი. მტრის მოლოდინში ყველაფერი დაივიწყა.

— ბაბა, ნეტავ ხასანა რატომ აღარ ამოვიდა? ხომ არაფერი ვაწყენინეთ?

ხასანას ხსენებაზე შეკრთა ძანგი.

— გინდა, შვილო, რომ ხშირად იაროს ჩვენთან?

— ძალიან, ბაბა, მაგრამ არ ვიცი რატომ... სულ იმას დასტრიალებს ჩემი ფიქრი.

მამამ პირდაპირ თვალებში შეხედა შვილს. თითქოს ქურდობაზე წაასწრესო, გაწითლდა, შერცხვა ზარინას. ძანგმა იგრძნო, მისი ქალიშვილის გულს სიყვარული დაუფლებოდა. გაუკვირდა. თითქოს გუშინ იყო, ხუჭუჭთმიანი, ანგელოზივით ლამაზი ზარინა მამას ხელში ატატებული რომ დაჰყავდა. თვალწინ წარმოუდგა ამ ხუთი წლის წინ საშოვარზე რომ აცილებდნენ დედა-შვილი. ზარინა მაშინ პატარა იყო. მამას კისერზე ჩამოეკიდა და ყურში უჩურჩულა, ლამაზი კაბა ჩამოგიტანეო. მამამ თავისი ნებიერი ქალიშვილის სურვილი შეასრულა. მართლა უყიდა ორი ლამაზი კაბა. მას შემდეგ აღარც გახსენებია ის კაბები, ალბათ, იმიტომ, რომ ზარინას ტანზე არასოდეს დაუნახავს. ან იქნებ ისე იყო გაოგნებული, რომ ვერც კი გრძნობდა, ამ ხუთ წელიწადში რა ხდებოდა მის გარშემო. აი ახლა გაიღვიძა და გაუკვირდა, გასათხოვარი გამხდარა მისი ერთი. დამნაშავედ იგრძნო თავი, თუმცა რა მისი ბრალია, ასე უსაზღვროდ რომ უყვარდა აგუნდა და მისი დაკარგვით გამოწვეულმა მწუხარებამ ამ ქვეყნიდან რომ გარიყა. აი ახლა მის წინაშე პატარა ლერწამივით წვრილი გოგონა კი არა, მოწიფული ქალიშვილი ზის. ჰე, დრო მოუვიდა და სიყვარულმა თავისთავად მოძებნა. ბუნებას თავისი დაუწერელი კანონები აქვს და არავის ძალუძს მათი უარყოფა.

— ამოვა, შვილო, აი ნახავ თუ ხვალ-ზეგ არ გამოჩნდეს, — დააიმედა შვილი და ნაზად აკოცა მხარზე.

6.

გავიდა ერთი კვირა. საღამოს ძანგმა ფარა მოდენა. ხეობიდან ამომავალ საცალფეხო ბილიკს ორი ცაცი ამოჰყვა. ზურგზე ნანადირევი ეკიდათ. მიხვდა ძანგი, რომ მომავლები მონადირეები იქნებოდნენ. ალბათ, ნადირობაში შემოაღამდათ და ღამის გასათევს ეძებენ.

მონადირეები გასარჩევზე მოახლოვდნენ. ზარინამ სიხარულით შეჰკივლა.

— ბაბა, გაიხედე, ხასანა! — თავისი აცეტებისა შერცხვა ზარინას და ქოხში შევარდა.

მონადირეები მოახლოვდნენ. ძაღლი ყეფით გაექანა მათკენ, მაგ-

რამ ხასანა იცნო და ლაქუცი დაუწყო. ძანგი წინ შეეგება. სტუმრები მიესალმნენ.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ ვასთირჯმა, ავსათი იყოს ყოველთვის თქვენი მფარველი. მობრძანდით, გიმეზპინძლებთ. ხასანა, ამხანაგი არ გამაცანი.

— ო, როგორ გამოვყრუვდი... ძმა არის ჩემი, ბარსაგი.

— გადღეგრძელოს ღმერთმა, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. დაბრძანდით, დაისვენეთ. — ძანგმა ქოხის წინ ლოდზე მიუთითა. თვითონაც იქვე ჩაბოჯდა.

— კოსტაპრუწა კაცი მალავს ნაცემი რომ არის, მაგრამ ჩვენ კი მართლა დავიღალეთ. — ჩაილაპარაკა ბარსაგმა და ძანგის გვერდით ქვაზე დაეშვა.

— იმ დღეს შენზე ვლაპარაკობდით, ხასანა! რომ აღარ გამოჩნდი, ვიფიქრეთ, ვაითუ რამე ვაწყენინეთო.

— მაწყენინეთ კი არადა... თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ხელმოკლე ოჯახის პატრონს მოცლა არა აქვს.

— ჰო, ჩემო მზეო, ჰო. ზაფხულში მთიელს ერთი წუთითაც არა აქვს მოცლა. თუ არ იმარჯვა, ზამთარი უსასრულო და მკაცრი იცის მთაში.

— შინ მოიპატიჟე სტუმრები, ბაბა, — ქოხიდან გამოსძახა მამას ზარინამ.

— მაპატიეთ, ძვირფასო სტუმრებო, ლაპარაკს შევყე და... მობრძანდით, ძანგი წამოდგა.

— ხასანა, ნანადირევს არ მივხედოთ, ბიჭო? — შეაჩერა ბარსაგმა ძმა.

— აბა, რას ამბობთ, ისედაც დაღლილები ხართ, მერე კიდევ ჩვენში სტუმარს არაფერს ახარჯვინებენ.

— როგორ გეკადრებათ. ავსათი არ იძუნწებს, ხვალ კიდევ გაიმეტებს, — თავი გამოიდო ბარსაგმა.

ზარინამ აალაგა ვახშმის სუფრა.

კაცები ისევ ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

— ძანგ, ხასანამ მითხრა, მამაჩემთან მეგობრობდით თურმე. ეს მიადვილებს ლაპარაკს. წინდაწინ გთხოვ, ნურაფერი გეწყინება, ვიცი, ადათი დავარღვიეთ, მაგრამ მეტი გამოსავალი ვერ ვნახეთ. ოჯახში ჩვენზე უფროსი არა გვყავს, ვინ გამოგვეგზავნა? აი ჩემი ძმა, ალბათ, თავის ფეხმა მოიყვანა ბედთან. თქვენი ქალი შეუყვარდა. სამოყვროდ მოვედით. — ხასანა წესისამებრ ადგა და ქოხის კართან გაჩერდა. თუ თქვენ და თქვენი ქალი არაფერს უწუნებთ ჩემს ძმას, დავულოცოთ ცხოვრების გზა.

ძანგი ჩაფიქრდა. ხასანას და ბარსაგის მოსვლა შემთხვევითი რომ არ იყო, გრძნობდა. ისიც იცოდა, რომ ზარინას უყვარდა ხასანა. გულის სიღრმეში თვითონაც ნატრობდა ხასანას სიძეობას. და ახლა ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია:

— ბარსაგ, შვილო, საკეთილო საქმეზე ხართ მოსულები, მე წინააღმდეგი არა ვარ. თუკი ერთმანეთი უყვართ, ხელს როგორ შევუშლი, ღმერთმა ორივე ბედნიერი ამყოფოს. ურვათი არ მიხსენო. ჩემს შვილს არ გავყიდი. ციკნის ყურიც არ მინდა. ქორწილსაც მე თვითონ გადავიხდი.[1] არაფერი გამაჩნია, მაგრამ თუ რამეა, სხვა ვისთვის მინდა. მხოლოდ, სანამ საქმეს საბოლოოდ გადავწყვეტდე, მინდა ჩემი ამბავი გითხრათ. თქვენ ხომ არც იცით, ვინა ვარ. ყველაფერს გეტყვით... თუ მაინც არ დაიწუნებთ, ჩემს ქალს, დაგლოცავთ.

ძანგმა თავისი ამბავი დაიწყო. არაფერი დაუმალავს. ყველაფერი დაწვრილებით უამბო ძმებს.

შუაღამე გადასულიყო.

7.

ძანგმა ნახირი აულის მიდამოებში დაატრიალა. აქედან უფრო იოლი იყო საქორწილოდ მზადება.

გამხიარულდა ძანგი. „დაღარული შუბლი გადაეწმინდა. თვალებში ჩამდგარი ნაღველი თითქოს მონაბერმა ნიავმა თან გაიტაცა. ისევ გამოუჩნდა ცეცხლოვანი თვალები. იგრძნო, რომ მისი ცხოვრებიდან ერთი ბედნიერი დღეღა იყო დარჩენილი. მხოლოდ იმ დღეს ექნება უფლება იმხიარულოს, იმღეროს, ქვეყანას გააგებინოს, რომ ბედნიერია. მერე ყველაფერი შეიცვლება და თვალწინ წარმოუდგა, დიდი ხნის ჩანაფიქრს როგორ განახორციელებს და რა მოჰყვება მას... თუმცა ამაზე ფიქრის დრო სად იყო. ქორწილისათვის ემზადებოდა.

ზარინას ქორწილისათვის მარტო ძანგი კი არა, მთელი ცარგასბადანი ემზადებოდა. ძანგის გამხიარულებამ აული გაახარა, ამდენი წელია პირზე ღიმი არ მოსვლია. მის წუხილს მთელი ხალხი განიცდიდა და აგერ ახლაც მის სიხარულს ყველა იზიარებს. ზარინას ბედნიერება ახარებთ და ყველას უნდა რითიმე ასიამოვნოს. საქორწილო სამზადისში მონაწილეობა მიიღოს. გამოხადეს არაყი, მოადუღეს ლუდი, როგორც შეეძლოთ ძვირფასი საჩუქარიც მოუმზადეს საპატარძლოს.

ქორწილის დღეც დადგა.

მაყრიონი ქალის წასაყვანად დილითვე მოვიდა.

მეორე დღემდე არ ამდგარა ხალხი საქორწილო სუფრიდან. მთები ხმას აძლევდნენ მექორწილეთა სიმღერას. ბევრი სამხიარულო სუფრა გაშლილა ცარგასბადანში, მაგრამ ასეთი საერთო სიხარული, ალბათ, ეს ერთი იყო.

მზე საშუადღეოდან მთვრალი კაციკით ბარბაცით დაეშვა თავქვე.

„ო, სიცოცხლის საწყისო, მზეო, დღეს ნუ აჩქარდები, დაე, გაგრძელდეს მხიარულობა. იცი, რამდენ ხანს ველოდი ამ დღეს? მეტს აღარაფერს მოვითხოვ ამ ქვეყნიდან. ნუ ჩქარობ, ცოტა ხნით მაინც გამიხანგრძლივე ბედნიერება“. გულით შესთხოვდა ძანგი გულთამხილავს.

---

[1] ოსებში ქალის ქორწილის ხარჯიც სიძეს უნდა გაეღო.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ზარინას ქორწილიც მიიწურა. ხალხი სუფრიდან წამოიშალა. მაყრიონი წასასვლელად აჩქარდა, დღით გავცდეთ ხეობასო.

ძანგმა ხასანა და ზარინა დაიმარტოხელა.

— ხასანა, შვილო, გახსოვდეს, მკერდიდან გული ამოვიგლიჯე და შენ გაჩუქე. ნუ დამიჩაგრავ. ცრემლივით წმინდაა, ჩვილი ბავშვივით უმანკო და უეშმაკო, ადრეული გაზაფხულის ყვავილივით ნაზი გული აქვს. კარგი მეუღლე იქნება, თავლაფს არასოდეს დაგასხამს. ვაჟკაცივით ამოგიდგება გვერდში. შენ მხოლოდ გიყვარდეს, საცა შეცდეს — გაუსწორე, თუ არ იცოდეს — ასწავლე. ერთი სიტყვით, შენ იცი და შენმა კაცობამ.

— შენ კი, შვილო, ზარინა, ახალ ცხოვრებას იწყებ... ბედნიერი გამყოფოს გამჩენმა, შენ იცი, თუ არ შემარცხვენ. რაც იცი, სხვასაც ასწავლე, რაც არ იცი — ისწავლე. დედაშენი რომ ცოცხალი იყოს და შენს ბედნიერებას უყურებდეს... როცა გაჭირვება შეგხვდეს, დედა მოიგონე, იმან დიდი ადამიანობა გამოიჩინა. ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება ნახა, მაგრამ თავისი ლამაზი გრძნობის ერთგული დარჩა ბოლომდის. ნუ დაგავიწყდება, რომ იმ წმინდა ადამიანის შვილი ხარ.

— ბაბა, სიკვდილამდის მეხსომება შენი დარიგება. ნუ გეშინია, არ შეგარცხვენ, — ხმის კანკალით დაიწყო ზარინამ და ატირებული გულში ჩაეკრა მამას. — მაგრამ შენ როგორ იქნები უჩემოდ? ჩემო ბაბა, შენი დარდი მიმდევს, ვაითუ მარტოს გაგიჭირდეს, ან მე უშენოდ როგორ გავძლებ. მითხარი, ბაბა, იმედი მომეცი, რომ ხშირად მინახულებ.

— ჩემზე ნუ იდარდებ, ჩემო მზისთვალო, გინახულებ.

— კარგი, ბაბა, მხოლოდ ყოველთვის გახსოვდეს, რომ სულ გზისკენ მეჭირება თვალი, ხომ არ მომატყუებ, ბაბა, ხომ მოხვალ?

— მოვალ, ჩემო ერთადერთო, მოვალ. შენ ნუ იტირებ მხოლოდ. ცრემლები შეიმშრალე, არ შემიძლია ასე გაგისტუმრო, გული გამისკდება. აბა, შვილებო, მშვიდობის გზაზე გისტუმრებთ.

ძანგი ქალსა და სიძეს დაემშვიდობა და გვერდზე გადგა. გზა უტია მაყრიონს.

ხეობიდან აღარ მოაქვს ნიავს მექორწილეთა მხიარული სიმღერის გამოძახილი. დადუმდა ფანდირიც. კარგა ხანია აალაგეს საქორწილო სუფრა. ბინდი ნელ-ნელა შემოიპარა და თავისი მარადიული შავი ზეწარი გადაეფარა აულს. დაბნელდა. ძანგმა კვარი ააბჟუტა. ოთახის შუაგულში გაჩერდა და თვალი მოატარა, თითქოს რაღაცას ეძებსო. უცნაური სიცივე იგრძნო. გაკვირდა, ეს ხომ ის ქოხია, სადაც თავისი ცოლ-შვილით ბევრი ბედნიერი და მხიარული დღე გაუტარებია. მოეჩვენა, რომ კედლები ყინულისა ჰქონია ბერდის ნაჩუქარ ქოხს და ეი ახლა ჭახჭახი გაუდით, სადაცაა დასკდება ყინული და ქვეშ დაიტანს დაღლილსა და გატანჯულ ძანგს.

საოცარია, როგორ უყვარდა ძანგს ეს პატარა სახლი, თავისი კერა

და იქიდან ავარღნილი ცისფერი ბოლი. აგერ კერიაზე ჩამოშვებული ჯაჭვი. ოჯახის ბარაქა და საფიცარი სიწმინდე. ახლა ჩირადაც აღარ უღირს ის ძაბგს, ოჯახის გული, ბედნიერება და სიცოცხლე გაქრა და კერიის ჯაჭვი რკინის ნაფლეთების მეტი სხვა რაღაა.

კერიის ჯაჭვს თვალი მოაცილა. ახლა კედელთან მიდგმულ ფინგს შეხედა. ზედ ხაბიძგინები ალაგია, დოქით არაყი დგას. მ'აშინვე კალათში ჩაალაგა ყველაფერი და სასაფლაოზე ავიდა. ხაბიძგინები და არაყი აგუნდას საფლავზე დაალაგა, ყანწი არაყით შეავსო და საფლავის ბორცვთან ჩაიმუხლა.

— მაპატიე, აგუნდ'ა, ჯერ ხომ შენთვის შენდობა არ მითქვამს... გული არ მაძლევდა ნებას. შენდობას მკვდარს ეტყვიან, შენ კი ჯერ გულიდან არ მომცილებიხარ... დღეს კი სხვა დღეა, და ნათელში იყავ, საძოთხეში გქონდეს ბინა. ჩემო ჩამქრალო სიცოცხლევ. გაიხარე, შვილი გაგვიბედნიერდა. რაც შემეძლო, არაფერი დავაკელი. წავიდა, გამიფრინდა უკანასკნელი იმედი. ბედნიერი გვიმყოფოს ღმერთმა, იქნება ვეღარასოდეს ვნახო... ვეღარასოდეს... რა ვიცი, სად დამეწევა სიკვდილი...

უცბად შვება იგრძნო, თითქოს ამდენი წელი ხელფეხშებორკილი იყო და ახლა განთავისუფლდაო, მშვიდად ამოისუნთქა. საფლავს გვერდით მიუწვა. ამდენი ხანი გულში იმარხა ჯავრი. შვილი ჰყავდა გასაზრდელი, ახლა თავისუფალია. ზის ზარინას კარგი პატრონი გამოუჩნდა. დადგა დრო, როცა ის პირისპირ უნდა შეხვდეს მოსისხლეს. ხანჯლის წვერით მოსთხოვოს პასუხი ,ყოველივე იმისთვის, რა სიმწარეც არგუნა უდანაშაულო ადამიანებს. სიმწარე კი მართლა დასამახსოვრებელი იყო. ამდენი ხანია ჯავრი საარაყესავით დუღს გულში და ,ი დადგა დრო. დიდი ხანია ელის ამ დღეს. დაგვიანდა კიდეც. მოცდა აღარ შეიძლება.

— მშვიდობით, აგუნდა, ახლაც არა მჯერა, რომ შენ ციდან მოვლენილი ანგელოზი არ იყავ. შენი ცქერითაც ვერ გავძეხი. მაინც მადლობელი ვარ იმ მცირე ბედნიერი დღეებისა, რომლითაც შენ დამასაჩუქრე. დღეის შემდეგ შენს საფლავზე აღარავინ მოვა. მივდივარ, შორს ვიქნები შენგან, ჩემი ,გზა წელამდე სისხლში გაივლის. ამქვეყნად თუ არა, საიქიოს ,ვინლა დაგვიშლის, იქ შევხვდებით მე და შენ. ჩვენი შვილისათვის ბედნიერება და სიკეთე სთხოვე ღმერთს. ნათელში იყავ! — და ამდენი წლის მანძილზე პირველად გამოწურა ორად ორი ცრემლი, რომელიც გაუპარსავ ლოყაზე გავარვარებული ნაღვერდალივით დაგორდა. აეწვა ,კანი. ერთხელ კიდევ დაიხარა, საფლავს მკლავები გადახვია, გულში ,ჩაიკრა და მერე თითქმის სირბილით დაეშვა აულისაკენ. გაბოსთან ,შეიარა და გარეთ გამოიხმო.

— გაბო, ჩემო ერთადერთო ძმაო, ვიცი, რომ ძალიან შეგაწუხე, ბევრი საქმე გქონდა ამ ,დღეებში. ქორწილს შენ მიეცი წესრიგი, მაგრამ მეტი ,გზა არა მაქვს, ,კიდევ უნდა შეგაწუხო. ნუ დამზარდები, გთხოვ, ,ჩვენსა წამოდი, დიდი საქმე მაქვს შენთან.

„ამ შუალამისას ეს უბრალოდ არ გაირჯებოდა, რაღაც ამბავია“, გაიფიქრა გაბომ და უკან გაჰყვა.

ძანგმა კვარი აანთო. ოთახი გაანათდა. კერიაზე ცეცხლი გააღვივა, გაბოს წინ ფინგი ჩამოდგა. ყველი, პური, ხორცი დაალაგა ზედ, არაყიც არ დაავიწყდა და თვითონაც გაბოს პირისპირ მოთავსდა.

— გაბო, ჩემი მარჯვენა შენა ხარ, ჩემო უმცროსო ძმაო, ამდენი სიკეთე გაქვს ჩემზე და უკანასკნელადაც ნუ დამზარდები, მეცი პატივი. გადავწყვიტე, ხვალ მთელი აული მოვიპატიჟო. სასმელი ბევრი გვაქვს, საკლავიც. ერთი ჭედილა მოვიტოვე, ხვალ ბიჭები დაიხმარე, დაკალი.

— არაფერი მესმის, რამდენი დღე გქონდა გაშლილი სუფრა?

— მართალია, მაგრამ ის ქორწილის სუფრა იყო, — ძლივს ამოღერღა ძანგმა. — ეს სხვა არის, ბიჭო, აულს ვემშვიდობები, მადლობა არ გადავუხადო?

— ემშვიდობები? ვის? როგორ ემშვიდობები?

— ისე, ვემშვიდობები ცარგასბადანელებს...

— რატომ, ძანგ, რა მოხდა?

— არაფერი, მივდივარ, ვეღარასოდეს გნახავთ.

— გამაგებინე, სად მიდიხარ?

— შენ კარგა იცი, გაბო, სისხლი მაქვს ასაღები. აჭამდე ვითმინე... ახლა დადგა დრო.

გაბო მიხვდა ძანგის გადაწყვეტილებას და მთელს სხეულში ავმა სიცივემ დაურბინა.

— ძანგ, ძმაო, ძალიან სახიფათო გზაზე დადგომა გიფიქრია. მარტოს გაგიჭირდება, მეც მოვდივარ შენთან.

— შენი წამოსვლა შეუძლებელია, მოხუცი დედა, ცოლი, შვილები. გზა კი მართლა სახიფათოა. ხანჯლის წვერით უნდა გავიკვლიო სისხლიანი გზა. უშენოდ რა ეშველება შენს ოჯახს? მე ყვავივით მარტო ვარ. ერთი გოგო მყავდა და თავისი ბედი იპოვა, აღარ შედარდება. შენ კი დარჩები, ყველანი ხომ არ დაიხოცებით!

იცოდა გაბომ, რაკი თქვა, აღარ გადათქვამდა ძანგი. ეს ამბავი დღეს კი არ მოსვლია თავში, დიდი ხნის გადაწყვეტილი აქვს.

— არ ვიცი, რა გითხრა, რა გირჩიო? ვიცი, რომ მაინც არ დამიჯერებ. გადაწყვეტილი გაქვს ყველაფერი, არაფერს შეცვლი. ერთსა გთხოვ, ძანგ, ძმაო, და ძმაზე ძვირფასო, ხვალ თუ გაგიჭირდა, სიძნელეს თუ წააწყდი, გაიხსენე, რომ ცარგასბადანში შენი უმცროსი ძმა ცხოვრობს და მზად არის შენს დაძახილზე სასიკვდილოდ გასწიროს თავი. არ დაივიწყო, ჩემი სახლი იგივე შენი სახლია.

— გმადლობ, მხოლოდ არავინ უნდა იცოდეს, სად მივდივარ. რა ვიცი, რა მოხდება, ჩემს ქალსა და სიძეს უსიამოვნება არ მივაყენო. ვიცი, ზარინა მომიკითხავს. უთხარი, შორს წავიდა, ძალიან გვიან დაბრუნდება-თქო.

თავზე დაათენდათ გაბოსა და ძანგს. ამდენ ხანს რაც ვერ თქვეს, ახლა გაანდეს ერთმანეთს. გრძნობს გაბო, ძმაზე უტკბეს ადამიანს უკანასკნელად ხედავს. აქამდე დიდი იმედი ჰქონდა მისი, ახლა კი წავა და გაბოს ქვეყანაზე ახლობელი აღარავინ დარჩება. გული ნაღვლით ევსება და ყელში მოჩრილ ტირილს დიდი გაჭირვებით იკავებს. იცის, მისი უფროსი ძმა და მფარველი, წასვლისა და არდაბრუნების გზას დაადგა. ეს გზა ძალზე სახიფათოა, ან დაიღუპება და მის ცხედარს სადმე ნადირი დაძიძგნის, ან დაიჭერენ და ციხეში ამოალპობენ. და გაბო ეთხოვებოდა ძანგს ისე, თითქოს მიცვალებულს ეთხოვებაო.

ძახგმაც იცის, რომ გაბოს ვეღარასოდეს შეხვდება, ისიც იცის, ცხოვრების ძნელ გზაზე ასეთ მამაც, ერთგულსა და სანდო მეგობარს ვერასოდეს შეიძენს. სიყვარულით სავსე მზერას არ აცილებს ძმობილს, თითქოს უნდა, სამუდამოდ გულში ჩაიბეჭდოს მისი სახე.

მთელი ღამე კერიაზე ცეცხლი ბრიალებდა. დაე, იგუგუნოს კერიამ, უკანასკნელად ადის ძანგის სახლის ერდოდან კვამლი. ხვალ ამ ერდოდან ავარდნილ კვამლს ვეღარავინ დაინახავს. გაპარტახდება სლონათი ბერდის ნაჩუქარი ძანგის სახლი. როგორც ოცი წლის წინ იყო ძანგი უსახლკარო, ისევ ისე დარჩება ახლაც. ამიერიდან ღამის სიბნელე საბანი იქნება მისი, ხის კუნძი — ბალიში. ღმერთმა იცის, სად დაეწევა სიკვდილი.

დილით გაბომ ბიჭები დაიხმარა. სუფრა გაშალეს, მთელი აული მოიპატიჟეს. არც მოხუცი დატოვეს და არც ბავშვი. არავინ იცოდა, რა ხდებოდა. უმეტესობამ იფიქრა, ძანგს ქორწილიდან მონარჩენი ხორაგით ისევ აულის პატივისცემა გადაუწყვეტიაო და მხიარულად მიუსხდნენ სუფრას. ბრძენკაცმა ილასმა რამდენიმე სადღეგრძელო რომ ჩაატარა, სიტყვა ძანგმა ითხოვა, სავსე ყანწი ასწია და დაიწყო:

— ილასა, აულის სინდის-ნამუსო, ცომაითი, გალუანთი და სლონათი გვარის საპატიო უხუცესნო, საერთოდ ცარგასბადანელებო, სუყველას წინაშე თავს ვიხრი. მადლობას გიხდით ყველაფრისათვის. ამ ოცი წლის წინ მე და ჩემს მეუღლეს ბედი ასკილის ეკლიანი სახრით აქამდე მოგვყვა. თქვენს თბილ უბეს შევეფარეთ. დიდმა და პატარამ დახმარების ხელი გამოგვიწოდეთ. თქვენს გვერდით დავსახლდით. რითაც შეგეძლოთ გვეხმარებოდით და მე პირველად თქვენს შორის ვიგრძენი, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი. მე და ჩემმა საბრალო აგუნდამ თქვენს შორის გავატარეთ ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი, ყველაზე ბედნიერი დღეები. და მადლობას გიძღვნით — იმ ბედნიერი და განუმეორებელი დღეებისათვის, თქვენი კეთილი გულისათვის, დაუყვედრებელი პურ-მარილისათვის. იმისათვის, რომ მაგრძნობინეთ, მეც ადამიანი ვარ და ამ ქვეყანაზე ცხოვრების უფლება მაქვს. გმადლობთ კეთილი სიტყვისთვის, კეთილი ღიმილისთვის, გულთბილი მოპყრობისთვის. გმადლობთ ჩემს მწუხარებაზე დაღვრილი გულწრფელი ცრემლებისთვის, იმისთვის, რომ თქვენს სასაფლაოზე, თქვენი ძვირფასი მიცვალებულების გვერდით ჩემს მეუღლესაც

მიუჩინეთ სამუდამო სამყოფელი. მჯერა, ხვალ თქვენს მიცვალებულებს შენდობას რომ ეტყვით, არც ჩემს საბრალო აგუნდას დაიიწყებთ. თქვენი პურით, თქვენი სასმელით, წყაროს წყლით იმასაც მოიხსენიებთ. მადლობელი ვარ, რომ ჩემი ზარინა თქვენს კერაზე დაიბადა და თქვენვე გაათხოვეთ. ვიცი, რაც შემეძლო იმდენი პატივი ვერ გეცით. იმიტომ კი არა, რომ უყურადღებო და ზარმაცი ვარ, მეტის გაკეთების საშუალება არ მქონდა და ნუ დამემდურებით. დღეს თქვენგან მივდივარ. ვაითუ ვეღარასოდეს შევხვდეთ... ცუდად ნუ მოგიგონებთ. სანამ ცოცხალი ვიქნები, სანამ თვალში სინათლე მექნება და პირში სული მედგმება, არასოდეს დაგივიწყებთ. მაპატიეთ, რომ თქვენს პირუტყვს უმწყემსოდ ვტოვებ. სამწყემსურის ფასს არ მოვითხოვ, გადახდილი გაქვთ კეთილი გულის სითბოთი. კიდევ და კიდევ დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

დამეხილივით დარჩა ხალხი. ხმა ვერავინ ამოიღო. თავები დაეხარათ და ტიროდნენ, რადგან გრძნობდნენ, რომ ძანგი მათ სამუდამოდ ემშვიდობებოდა.

— რა გითხრათ, ძმობილო, — გვიან მოახერხა ილასამ ხმის ამოღება, — შენი ნებაა. უჭკუო არა ხარ. შენ უკეთესად იცი შენი საქმისა, მაგრამ თუ იმ აულის აზრი გაინტერესებს, სადაც, როგორც შენ თვითონა თქვი, ყველაზე ძვირფასი, ლამაზი და ბედნიერი დღეები გაატარე, გეტყვი, არ გვინდა შენი წასვლა.

— არ გვინდა!

— არ გვინდა!

გაისმა ხალხის შეძახილები.

— მეტი გამოსავალი არ არის, ჩემო ძვირფასო მეზობლებო, ბარემ მე და ჩემს შეუღლეს თქვენთან ყოფნა არასოდეს მოგვბეზრდებოდა, სიბერემდის თქვენთან დარჩენა გვქონდა გადაწყვეტილი... მაგრამ ბედისწერას რა ვუთხრა. მე კი ჩემი განზრახვა სისრულეში თუ არ მოვიყვანე, საფლავშიც ვერ მოვისვენებ. მაპატიეთ...

მეორე დილით ხალხმა ხეობის ბოლომდე მიაცილა ძანგი.

იმ წელს მთელ ოსეთს მოედო ამბავი, ვიღაც ყაჩაღი ყასაი გამოჩენილა, ელოითი ალდარის ჯავრი სჭირებია და სახლში მისჭრიაო. ალდარი არ მოუკლავს, მაგრამ მისი ქონება ცეცხლისთვის მიუცია. მერე თავისსავით თავზე ხელაღებული ყაჩაღები შეუკრებია და ალდარებისა და მთავრობის კაცებს და საერთოდ ყველას, ვინც ღატაკებსა და ხელმოკლე ხალხს ჩაგრავს, რისხვად მოევლინაო. ის კი არა, გორის მაზრის უფროსს დამუქრებია. ვინ იცის. რას არ ამბობდნენ. მოჯადოებულია, ტყვია არ ეკარებაო. ხალხმა უნახავად შეიყვარა და საოცარი ლეგენდები და სიმღერები შეთხზა მასზე. მისი სახელი, მოხერხება და ვაჟკაცობა ეკერა ყველას პირზე. ახალგაზრდებმა ხომ ხატად გაიხადეს, ცარგასბადანშიც აიტანეს ამბავი, მაგრამ გაბოს მეტმა არავინ იცოდა, ვინ იყო ყასაი. დიდხანს ქუხდა მისი სახელი, მასზე შეთხზული სიმღერები და თქმულებები სამუდამოდ დარჩა ხალხში.

მერვე თავი

დროის ბორბალი კოჰლი ბატივით მიგორავს

1.

მთელმა სოფელმა მოიყარა თავი ხასანასა და ბარსაგის ქორწილში. ბევრი საქეიფოდ და სამხიარულოდ კი არა, იმისათვის მოვიდა, რომ თვალი მოეკრა ხეობის რჩეული ქალების დამწუნებელი ძმების გულის სწორთათვის.

გათენებისას ხეობიდან თოფის ხმა მოისმა. ბარსაგის მაყრიონი მოდიოდა. მალე მთის აქეთა პირიდანაც იჭექა თოფმა. არც ხასანამ დააგვიანა. როგორც დათქვეს, ძმებს აულში მოსვლა ერთიმეორისათვის თოფის სროლით უნდა ეცნობებინათ, ოჯახში რომ ერთდროულად შესულიყვნენ.

აული შეიძრა. ახალგაზრდობა ზოგი ბარსაგის შესაგებებლად გაიქცა, ზოგი ხასანასი.

მალე ეზოში შეხვდნენ ძმები ერთმანეთს.

ოჯახის დედა ყიზმიდა და ბესოლაანთ გვარის უხუცესი წარმომადგენელი ძაქო წინ მიეგებნენ მექორწილეებს. ფარდიგმა და ზარინამ თავები დახარეს. ერთი ერთმანეთზე პირმშვენიერნი და ტანადნი სამოთხის ბაღიდან მოფრენილ მტრედებსა ჰგავდნენ. ყიზმიდა თვალს ვეღარ აცილებდა რძლებს და მეტისმეტი ბედნიერებით ტიროდა.

— კარგი ფეხი მოგეტანოთ, შვილებო. ქვეყნად ყველაზე ბედნიერი ქალის ბედი მოგცეთ დედა ღვთისმშობელმა, — დალოცა ძაქომ რძლები.

საქორწილო რიტუალის შესრულების შემდეგ ტოლებმა ფარდიგი და ზარინა შინ შეიპატიჟეს.

ბევრი სიხარულის მომსწრეა თედოთიყაუ, მაგრამ ასეთი ბედნიერება არ ახსოვთ აქაურებს.

— ღმერთმა შეძლება არ მისცა ცოფანას ვაჟებს, თორემ ვაჟკაცობა და ბედნიერება უხვად უწყალობა, — ამბობდნენ ერთნი.

— შეხედეთ, შეხედეთ, ბედნიერებით გაბრწყინებულ სახეზე მზე და მთვარე დანათით, — პასუხობდნენ მეორენი.

— საწყალი ყიზმიდა, რამდენი გაჭირვება გამოიარა, მაგრამ მადლობა ღმერთს, დაუფასდა. ახლა ნამდვილად ბედნიერია.

გულით უხაროდა აულს. მექორწილენი მხიარულობდნენ. ცეკვა-სიმღერა აღარ წყდებოდა. ფანდირის ჰანგები შორს, ხეობაში იკარგებოდა.

2.

ფარდიგი და ზარინა პირველივე დღიდან დებივით შეეწყვნენ ერთმანეთს. ერთი წუთითაც ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ. ფარდიგი მოხერხებული და უფრო გამბედავი იყო. ზარინა ძალიან მორცხვობდა და იმის შიშით შეცდომა არ მომივიდესო, განმარტოებას ცდილობდა. შინ ყველაფერი ემარჯვებოდა, მაგრამ ახლა ხალხში რომ გამოვიდა, შეკრთა. ის, რაც მისი ტოლებისთვის სრულიად ჩვეულებრივი საქმე იყო, ზარინა პირველად ხედავდა და ცხადია, ისე მოხერხებულად ვერ საქმობდა, უჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება და ტყეში გზადაბნეული ბავშვივით ღონდებოდა. ხანდახან, როცა ძალიან გაუჭირდებოდა, თავიანთი ქოხი აგონდებოდა, მამა ენატრებოდა. უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ მაშინვე ხასანა დაუდგებოდა თვალწინ და ის აჩერებდა.

პირველ ხანებში ხალხის ლაპარაკზეც კრთებოდა, განსაკუთრებით თუ ხმამაღლა ვინმე დაილაპარაკებდა, შეშინებული შველივით დაფრთხებოდა და გაქცევას დააპირებდა.

ბარსაგმა ფარდიგი გააფრთხილა.

— ფარდიგ, თუ გიყვარვარ, ნურაფერი გაგიკვირდება ზარინასი. მარტოდ არის გაზრდილი, დედა არა ჰყავდა, ყველაფერი მოთმინებით ასწავლე. ისე აზრიანი ჩანს, ნუ გეშინია, დიდხანს არ გაგაწვალებს. ნუ დაიშურებ ენერგიას, რაც ქალმა უნდა იცოდეს, ასწავლე.

ფარდიგს ბარსაგის გაფრთხილება არ სჭირდებოდა, ისედაც მოთმინებით ასწავლიდა საოჯახო საქმეს, არც ყიზმიდა ედიდგულებოდა რძალს. პირიქით, ობლად გაზრდილი შვილივით შეიყვარა. ისე აჩვევდა საქმეს, როგორც დედა ახალფეხადგმულ ბავშვს სიარულს.

ერთ დილით გარიჟრაჟზე გაეღვიძა ხასანას. არაჩვეულებრივი მელოდია ავსებდა მიწურს. ხასანა ლოგინში წამოჯდა. თვალებს არ დაუჯერა, ფანჯარასთან ზარინა იდგა. ოქროსფერი თმის ტევრი კოჭებამდის ჩამოშლოდა. იგი თავდავიწყებით მღეროდა. ასეთი სიმღერა, ალბათ, არასოდეს მოუსმენია ადამიანს. თითქოს ათასი ფრინველის ჭიკჭიკი შთის ნაკადულის ლიკლიკს შეუერთდა; თითქოს ხის ფოთლები რაღაც მეტად მნიშვნელოვანზე ჩურჩულებდნენ, ანდა ყელყელა ყვავილს საცოლე ბიჭივით უვლიდა გარს ფუტკარი, ან კიდევ ბულბული ბუდეში დაბრუნდა და სიხარულის ნიშნად ბარტყები აფრთხიალდნენ.

მღეროდა ზარინა. მღეროდა იმ სიმღერას, ბავშვობიდან რომ შეისისხლხორცა. ღრმად ჩაიჭედა გულსა და გონებაში, სიმღერა, რომელიც ასე ახლობელი და მშობლიური იყო.

ხასანა მოჯადოებულივით გაითანგა. უცნაურმა მელოდიამ თითქოს უცხო სამყაროში გადაისროლა. დადუმდა ზარინა. ხასანა ბურანიდან გამოეკვა. ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა, ზარინასთან მივიდა და გულში ჩაიხუტა. მერე თავი გადაუწია და ზღვისფერ თვალებში ჩახედა:

— რაზე ნაღვლობ, ზარინა, ჩემო ყველავ. რატომ არ მეტყვი, რა გაწუხებს?

ზარინა ტიროდა.

— მამა ხომ არ მოგვენატრა, ზარინა?

ზარინამ ტირილს უმატა და სლუკუნ-სლუკუნით თქვა:

— ძალიან, ხასანა, მეტი აღარ შემიძლია. რატომ არ ჩამოვიდა, ხომ შეგვპირდა...

— ალბათ, ვერ მოიცალა. მოდი ჩვენ თვითონ ვეწვიოთ. ჰა, რას იტყვი, ზარინა?

ნაწვიმარზე თითქოს მზემ გამოანათაო, ისე გაიბადრა ზარინა.

— დღესვე წავიდეთ, ხასანა, გენაცვალე. წუხელ ავი სიზმარი ვნახე: ვითომც მამა დათვს დაეტორა.

— სიზმარს რა ჭკუა აქვს, ადამიანი რაზედაც ფიქრობს, სიზმრადაც ის ელანდება... დღესვე წავიდეთ, გენაცვალე. — დაამშვიდა ხასანამ ზარინა, რომელიც მალულად იმშრალებდა ცრემლებს.

ხასანამ შინაურებს უთხრა მთაში მივდივართო და წასასვლელად გაემზადნენ.

ზარინა გახალისდა. ქურციკივით მირბოდა აღმართში, ქოხში პირველმა შეირბინა. მაგრამ თავზარი დაეცა. იქაურობა არეულ-დარეული დაუხვდა. ყველაფერს ეტყობოდა, რომ აქ დიდი ხანია ალარავინ ცხოვრობდა. რომელიღაც დაუპატიჟებელი ნადირის სტუმრობას თავის კვალი დაეჩნია ქოხისთვის. კედლებზე გაკრული და იატაკზე დაფენილი ტყავები ერთიანად დაეფლითა. ყოველივე ეს ერთი თვალის გადავლებით შეამჩნია ზარინამ. გული გაუჩერდა, ძარღვებში სისხლი გაეყინა. ასე დარჩა ერთხანს. მერე თავში ხელი წაიშინა და მოჰყვა მოთქმას.

— გაგვციებია კერა, ბაბა!.. გარეთ გამოვარდა. ქოხის გვერდით დიდ ლოდზე შედგა და მისი კვილი მთელს ხეობას მოედო.

— ბაბა!.. ბაბა!.. მე მოვედი, შენი ზარინა! სადა ხარ, ბაბა?!

პასუხი არავინ დაუბრუნა. მიხვდა თავის უბედურებას ზარინა. ისევ ქოხში დაბრუნდა და მისი მოთქმა ხეობაში დაქანებული მდინარის ღრიალს შეუერთდა.

ხასანაც ხვდებოდა, რომ რაღაც უბედურება შეემთხვა ძანგს, მაგრამ ზარინას როგორ ეტყოდა ამას.

— უკანასკნელად რომ ვნახე, მითხრა მთებს იქით მეგობარი მყავს, და იმასთან ვაპირებ წასვლასო. ალბათ, იქ წავიდა... — ვითომდა დაამშვიდა ზარინა.

3.

გაზაფხულის პირს ყიზმიდამ ხაზმუზიანობა დაიწყო. მერე ავადმყოფობა ისე მოერია, ლოგინად ჩააგდო. დღითი დღე ილეოდა ნაჯაფი დედაკაცი.

გათენებისას დალია სული. გამწარდა ოჯახი. ხასანა და ბარსაგი ცხარე ცრემლებით დასტიროდნენ გაცივებული დედის ცხედარს. ფარდიგი და ზარინაც გულამოსკვნით მოთქვამდნენ.

დიდი მწუხარებით მიაბარეს დედა მიწას.

მერე დაიწყო წლიდან წლამდე ქელეხები. გაიხიწნა ოჯახი, მაგრამ წესს ხომ არ დაარღვევდნენ. დედას წილს ხომ არ დააკლებდნენ.

ფარდიგსა და ზარინას დააწვა ოჯახის სიმძიმე, დღე და ღამეს ასწორებდნენ რძლები, რომ დედამთილის დანაკლისი შეევსოთ.

ყიზმიდას წლისთავზე ფარდიგს ბიჭი ეყოლა. სახელად ხსართავი დაარქვეს, ახალშობილმა ოჯახში უსაზღვრო სიხარული შემოიტანა.

ბარსაგი და ხასანა ისევ ნადირობდნენ, მაგრამ ყოველთვის როდი უმართლებდათ. იმ დღეს მყინვარზე ავიდნენ, ჯიხვი ჰყავდათ შეგულებული, მაგრამ ამინდი მოულოდნელად აირია, ისეთი ქარი ნისლი ჩამოწვა, თვალთან მიტანილი თითი არ ჩანდა. ძმები კლდეს შეეფარნენ.

— ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, ბარსაგ, ნადირობით კაცი ოჯახს ვერ დაარჩენს. თანაც ხომ ხედავ, ყოველთვის ხიფათი სდევს მონადირეს. აქამდის ერთი დედა გვყავდა სარჩენი და იოლად გავდიოდით, ახლა? ხუთნი ვართ უკვე. კიდევ გვეყოლება ბავშვები, ხომ ხედავ, ჩვენს მამულში მოყვანილი პური შუა ზამთრამდეც არ გაგვდევს.

— მეც ვფიქრობ მაგაზე, მაგრამ გამოსავალი რომ არ ჩანს.

— მიწა უნდა ვიშოვოთ.

— კარგი იქნება, მაგრამ საიდან? ჩვენი მთების კალთებზე ყველა სავარგული მტკაველობით არის გაზომილი. ზედმეტი არავისა აქვს.

— დოთისა და ყუნცელს აქვთ.

— აქვთ, მაგრამ ჩვენ რა?

— მუქთად არ მოგვცემენ, მაგრამ იქნებ ყიდვით...

— მერე რითი აპირებ ყიდვას?

— ამბობენ, მთებს იქით, სადონში, მადანი უპოვიათო, იქნებ წავსულიყავით, იქ ვიშოვით ფულს.

ბარსაგს ჭკუაში დაუჯდა ხასანას წინადადება.

ყუნცელი არ დათანხმდა მიწის გაყიდვაზე, არც დოთიმ ამოაღებინა ხმა. ის კი არა, დოთიმ ხასანას შავი დღე დააყარა, სოლიმი რომ არ შესწრებოდათ, შეიძლება უხიფათოდ ვერც გადარჩენილიყვნენ.

— აგერა ღორღიანი, შეაბით თქვენი ლამაზი ცოლები და მოხანით, მსმული გექნებათ. მე გასაყიდი მიწა არა მაქვს, — ჯოხი მუქარით გააქნია დოთიმ, — უყურეთ ამ მშიერი ცოფანას შვილებს. მიწა მოუნდათ. შინ კატა არას შეუჭამთ, ამ უდღეურებს და მიწის ყიდვა მომინდომეს. ალბათ არ იცით, რომ მიწა თავისი წონა ოქრო ღირს.

— რა გაყვირებს, დოთი, თქვი, რომ გასაყიდი მიწა არა გაქვს, რას ილანძღები. ცოფანას შვილებს შეიძლება გვიჭირს, მაგრამ იქამდის არ დავცემულვართ, რომ ცოლები შიმშილით დავხოცოთ.

— მაგით რის თქმა გინდა, ნაბიჭვარო! — თითქოს ბლაგვი დანა გაუყარეს ყელშიო, ისე ღრიალა დოთიმ.

— გამგებმა გაიგოს, — უკან აღარ დაიხია ხასანამ.

ეს სიტყვები ტყვიასავით მოხვდა დოთის. მისმა ცოლმა ყორიანამ დიდხანს იავადა, დოთი რომ დარწმუნდა, ყორიანა ველარ გამოკეთდებოდა, პურს აღარ აკმევდა. სიცოცხლეს უმწარებდა, მაგრამ ყორიანას სული კბილით ეჭირა, არც კვდებოდა. ღამე ლოგინიდან წამოფოფხდებოდა, კიდობნამდის დიდი გაჭირვებით მიცოცდებოდა, ერთ პურს ამოაძრობდა და ისევ უჩუმრად შეცურდებოდა საწოლში. დოთიმ გაუგო. ერთ დღეს პურზე უცუნა დაუყარა. ყორიანამ ღამით ჩვეულებრივად მოიპარა პური და კარგა მადიანად მიაძღა. დილამდე იბორგა, დილით თავის ცოდვა ქმარს დაუტოვა და თვითონ ბედისმწერალს მიაბარა სული.

დოთიმ მეორე ცოლი მოიყვანა.

ახლა ხასანამ თავისი სიავკაცე რომ წამოაძახა, სიბრაზით გაფითრდა.

— ვინც მოსაკვდომია, ის რითიმე მოკვდება, ძაღლისშვილო! მაგრამ შენ რაღა გალაპარაკებს, რომელმაც არც ის იცი, რა გვარი ხარ და არც ის — ვისი ლეკვი ხარ. ჩვენი აულის ძაღლებსაც კი ჩემი ლუკმა ასულდგმულებთ და საკუთარ ცოლს შიმშილით რად მოვკლავდი? შე უთვისტომოვ, შენა!

— ვისი გვარისა ვარ, ეგ ერთმა ღმერთმა იცის მხოლოდ და თუ კიდევ გიხსენებია ჩემი დედ-მამა, მერე შენი უფროსობაც ველარ გიხსნის! — დააკვესა თვალები ხასანამ და ხელის თითები ხანჯლის ტარს შეადუღა.

— გასწი აქედან, თორემ იქნება შენი ცხედარი წავაღებინო ჩემი ეზოდან.

— რას დაერიეთ ერთმანეთს, აღარა გრცხვენიათ, მთელი აული თქვენ გიყურებთ.

— მართალი ხარ, ხოლიმ, მორიდებაა საჭირო, მაგრამ უფროსი როცა ღირსი არ არის პატივისცემისა?

— შენც შვილი ხარ რაღა, ვიღაც ნაბიჭვარი, აგერ რამდენი ხანია, თავისსავე ეზოში უყეფს მამაშენს და ვითომ არც გესმის. — დოთიმ ჯავრი შვილზე იყარა.

აი ახლაც, ხასანა მოვიდა. დოთიმ როგორც ფიცხმა და თავშეუკავებელმა, ვერ გაიაზრა თავისი მოქმედების შედეგი და კარგი საქმე სულ უბრალოდ ჩაშალა. მამას ეს შეცდომა აღარ აპატია სოლიმმა და უსაყვედურა:

— მჩხავანა კატა რომ თაგვს არ იჭერს, არ იცი შენ?

— რად ამბობ მაგას, უდღეურო?

— მთელ აულს მუშტებით რომ ელაპარაკები, რას მიაღწევ მაგით?

— რასაც მე მივაღწიე, იმას შენც მიაღწიე და მერე ვილაპარაკოთ.

— ჭკუით არაფრისთვის მიგიღწევია და ჯოხით მიღწეული უ-შედოა.

— ჰა, გისმენ, მითხარი, რა სიბრძნე მოგივიდა ზაგ ლაყე თავში.

— დღეს მთაში ვიყავი, მოჯამაგირეებს ჩვენი საქონელი ტიალად მიუტოვებიათ და გაქცეულან.

— უჰ, იმათი... რატომ არ დავხოცე გუშინ!

— სიკვდილი რომ არ უნდოდათ, იმიტომაც გაიქცნენ. გთხოვეს ორიოდე დღით შინ გაგეშვა, მთელი წლით მისდევენ შენს ფარას ყიზ-ლარში, ვინ იცის, რა შეემთხვევათ, უნდოდათ ცოლ-შვილი ენახათ, შენ ცივი უარი უთხარი, ის კი არა, ჩხუბი გაუმართე. რა მოიგე ამით? ისა, რომ დღეს ჩვენი ცხვარი უმწყემსოდ დარჩა. ვინ წააგო, შენ თუ შენმა მწყემსებმა? რა თქმა უნდა, შენ! ისინი სამუშაოს სხვაგანაც იშოვიან, შენ კი მწყემსად არავინ დაგიდგება.

— შენი აზრით რა უნდა მექნა?

— იცი რა? მე ვფიქრობ, ათ დარტყმას ერთი კარგი სიტყვა სჯობს. ენა რაც უფრო რბილია, უკეთ ჭრის, ცხვარი თუ ერთხელ დააფრთხე, ახლოს აღარ მოგეკარება, მაგრამ ხელისგულზე თუ მარილს გაალოკინებ, ცხრაპირ ტყავს აგაძრობინებს. ტყუილუბრალოდ აწყენინე ცოფანას ვაჟს.

— კი, კი, ბოდიში მე უნდა მომეხადა!

— მაგით შენ არაფერი დაგაკლდებოდა, პირიქით, სიმაღლე მოგემატებოდა. ეჰ, რა გითხრა, ბედი თავისი ფეხით მოგადგა კარს და შენ ხელი ჰკარი.

— რას მიჰქარავ, არ გესმოდა რეებსა ჩმახავდა, ცარიელი ხელით მიწას ყიდულობდა, ძაღლისშვილი!

— ცარიელი ხელით რომ იყო, საქმეც მაგაშია, ფასს მოსთხოვდი და სანამ ისინი ვალს გადაიხდიდნენ, შენი მიწის საფასურს ცხრაჯერ ამოიგებდი. ბადეში ფუტკრის გაბმა ადვილია, თავის დახსნაა ძნელი. შენ კი რა გააკეთე, ბადეში გაბმული გყავდა და ხელი ჰკარი. ის რა-ღაცები რომ წამოგაყვედრა, ისიც შენი ბრალია. არადა, რა გითხრა ისეთი? დედაჩემი რომ შენ მოკალი, ეგ მეც ვიცი და სულაც არ გამ-ტყუნებ. ხელს აღარ გაძლევდა და მოკალი. მაშ რა გექნა? შენ ცოლი გინდოდა, ხომ მოიყვანე კიდეც უფრო ახალგაზრდა, ლამაზი.

დოთი გაოგნებული დარჩა. იგი თვალებდაჭყეტილი უსმენდა შვილს. უკვირდა, აქამდის დოყლაპია, უსუსური და ჭკუანაკლები რომ ეგონა, თურმე სულ სხვა ყოფილა. წინათ ეგონა, რომ მოვკვდები სო-ლიმი ჩემს ქონებას ერთ წელიწადში დაანიავებსო და ამაზე ძალიან დარდობდა. მეორე ცოლის მოყვანაც იმიტომ დააჩქარა. იქნებ, შვილი მეყოლოსო. და აი თურმე, როგორი ყოფილა სოლიმი, იხტიბარი მა-ინც არ გაიტეხა დოთიმ.

— გასაყიდი მიწა არა მაქვს, გაიგე!

— გაქვს... აგერ ჩვენი ნაფუძრის თავზე ქვის დასაყრელს რომ ეეძახით.

— ქვის დასაყრელი? მერე?

— ჰო, ის მიეცი, მხოლოდ ფულზე არა.

— მაშა?

— ხომ გითხარი, ცხვარი ტიალად არის-მეთქი, ქვის დასაყრელში კი ქვის მეტი არაფერია. ისინი გაწმენდენ. ოდესმე მზა მიწა კი ისევ ჩვენი იქნება. სამ წელიწადს ორივემ რომ ჩვენი ცხვარი მწყემსოს, თითო ქვა თითო თოხლად იქცევა. ორნაირად მოვიგებთ.

დოთიმ სიხარბით თვალები ააპარპალა.

— მართალი ხარ, შვილო. ეგ სულ არ მომსვლია აზრად.

— ჭკუა უნდა მოიხმარო, ბაბა, ჭკუა. თუმცა მე არ ვამბობ, რომ შენ უჭკუო ხარ. მაგრამ ზოგჯერ მეც შემოვსმენ ხოლმე.

— არ დაგიმალავ, გამახარე, სოლიმ. არ მეგონა, რომ ასე ჭკვიანი იყავი.

— ჩემს ამბავს შემდეგ გაიგებ, ბაბა, შენ მხოლოდ ნება დამრთე, ვიმოქმედო, მე ვიცი, რასაც ვიზამ! — მუშტი ზე აღმართა სოლიმმა, თითქოს ვილაცას ემუქრებაო.

— გუშინ მამაჩემს რად წაეკიდე, ხასანა? როგორ შეიძლება, მეზობლები ვართ. — ვითომ სხვათა შორის ჩამოუგდო სიტყვა სოლიმმა ხასანას.

— რა ვუთხარი უკადრისი? თუ არა აქვს გასაყიდი მიწა, თქვას ადამიანურად, შეურაცხყოფას რაღად მაყენებს?

— აპატიე, ხასანა, მამაზე ცუდი არ უნდა თქვა, მაგრამ რა ვქნა, მაინც ვიტყვი, ეგეთი ავყიაა, თანაც ხარბი, გაუმაძღარი. იმაზე, რაც დედაჩემის შესახებ თქვი, მეც რაღაცას ვეჩვობ და ეგ რომ ნამდვილი გამოდგეს, ღორივით დავკლავ...

— ხალხი ყოველთვის სიმართლეს როდი ლაპარაკობს. თუმცა მარაშენის ამბავი ჩემზე კარგად შენ მოგეხსენება. არ იფიქრო, რომ მაწყენინა და იმიტომ გაქეზებ მის წინააღმდეგ.

— შენი გაქეზება რად მინდა, ხასანა, ყველაფერი ვიცი. გუშინ ტყუილად გამოგაპანღურა. მამულის მეტი რა აქვს. საფლავში ხომ არ ჩაიყოლებს. მე განა რამდენი მინდა. რითაც ეს ამდენი ხალხი ცხოვრობს, შეც ისე ვიცხოვრებ. — ცბიერი მელა სათქმელს მოხერხებულად მალავდა. — წუხელ წავეჩხუბე. როგორ შეიძლება, მეზობელს ასე აწყენინო-მეთქი.

— ჩემი გულისთვის არ უნდა გეწყენინებინა, მაინც მშობელია.

— ეგ რა თქვი, ხასანა? ჩემი გულისთვისო, შენ რა, უცხო ხარ? ერთად გავზრდილვართ, კარის მეზობლები! რატომ არ უნდა გაგიმართო ხელი. ეუყვირე, მიეცი მიწა-მეთქი.

— ისე რად უნდა მომცეს, მე ფასად ვთხოვდი.

— იცი რა მიპასუხა? დაიკარგე აქედან, ჩემმა თვალებმა ჩემს სახლში არ დაგინახოს, ჩემი ჭკუის სწავლება შენ არ გეკითხებაო. რაკი

ასეა, ბეყრები და წილად, ღორღის დასაყრელი რომ გვაქვს, იმას გაძლევ, სხვას არაფერსო. დავთანხმდი იმ პირობით, რომ ჩემ წილ მამულს შენ გაჩუქებდი. აჩუქე, მხოლოდ ცოფანას ბიჭებთან ერთად ჩემი ცხვარი სამ წელიწადს მწყემსეთო. მე ჩემს სიტყვას აღარ გადავალ, ვმწყემსავ-მეთქი, ვუთხარი.

— ჩემი გულისთვის ჭირში ჩაგიგდია თავი, — დაიჯერა ხასანამ სოლომის მონაჩმახი.

— ჭირშიო, ამბობ. ჯერ თვითონ მომაბეზრა თავი, ახლა მაგის სულელი ცოლი მეუფროსება. რა თქმა უნდა, მამაჩემს მემკვიდრეს ჰპირდება, თითქოს მე არც ვარსებობდე. რა ვქნა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. ოხრად დაურჩეთ ყველაფერი, მაგათი არაფერი მინდა. დილით ავდგები და წავალ მთაში, თუ შენ თანახმა არა ხარ, მე მარტო ვმწყემსავ. ღორღის საყრელი მიწა კი ცუდი როდია. აულის ბიჭებს დავიხმარებ და ორ-სამ დღეში გავასუფთავებ. არ დამემდურო, ხასანა, სიკეთე მინდოდა თქვენთვის. ვხედავ, შენ და ბარსაგი ყოველდღე ნადირს რომ დასდევთ და გული მტკივა...

— იცოცხლე, სოლიმ, ვნახოთ, იქნებ, ჩვენც ვეწიოთ რამეს!

— მიწა ვისაც არა აქვს, ისინი შიმშილით როდი იხოცებიან. თუმცა იხოცებიან კიდეც. მიწა აუცილებელია, ხასანა, აუცილებელი. უმიწაწყლო კაცი ფრთამოტეხილი ჩიტივითაა, თანაც ოჯახში ბავშვები რომ მომრავლდებიან... ლაპარაკს შევყე და რა დრო გასულა, მთაში მეჩქარება, მე სიტყვას აღარ გადავალ, რა ვქნა, ცხვარი უპატრონოდ არის. იმ მიწასაც ვაჩუქებ ვისმე და სულ წავალ აქედან, გადავიკარგები სადმე. აბა, კარგად დარჩი, ხასანა. — დაემშვიდობა სოლიმი ხასანას და წავიდა.

ხასანა ვერ მიუხვდა სოლიმს ეშმაკობას. საღამოს, როცა ოჯახი ვახშმობდა, იმ დღის ამბავი დაწვრილებით მოჰყვა. ბარსაგის მეტმა ყველამ დაიჯერა სოლიმის ნათქვამი.

— რა ვიცი, რა ვიცი, სოლიმს კარგად ვიცნობ და ეგეთ საკეთილოს მისგან არასოდეს მოველოდი. მამამისი გარედან არის ჭრელი, ის კი შიგნიდან. რაღაც განზრახვა არა ჰქონდეს.

— რა განზრახვა უნდა ჰქონდეს, ბარსაგ, მამას ჩვენი გულისთვის წაეჩხუბა. ცხვარში რომ წავიდა, ჩემი თვალით ვნახე.

— ღმერთმა იცის, ეჩხუბა თუ...

— რაზე ცხარობთ? — ლაპარაკში ჩაერია ფარდიგი. — მე ვფიქრობ, ის თავისთვის არაფერს გთხოვთ. არ ვიცი, რად იუკადრისეთ მოჯამაგირეობა? მაშ რა ვქნათ, რა გვაცხოვრებს? სამი წელი ისე გაირბენს, ვერც გაიგებთ. ოჯახის დარდი ნუ გექნებათ, მე და ზარინა არაფერს გავაფუჭებთ.

ფარდიგის სიტყვებმა უფრო გაალიზიანა ძმების თავმოყვარეობა, ცოფანას სახელოვანმა ბიჭებმა მეცხვარის ჯოხი აიღონ და დოთის ფარას აედევნონ? როგორ აიტანონ ასეთი დამცირება? მაგრამ სიღა-

რიბემ რომ ასე მძლავრად ჩასჭიდა ბრჭყალები? მათი თავმოყვარეობა ცხვრის რქასავით მოგრიხა და ამაყ ძმებს ქედი მოახრევინა.

ერთი კვირის შემდეგ ხასანა მთაში წავიდა, სოლიმს იქ მიუსწრო. სანამ დოთი ახალ მწყემსებს იქირავებდა, სოლიმი უდგა ცხვარს. ხასანას დანახვაზე ცბიერმა ღიმილმა გადაჭკრა სახეზე. მას ცოფანას სახელოვანი ბიჭები დიდი ხანია სძულს. სძულს იმიტომ, რომ აულში მათ ყველა აფასებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ბარსაგსა და ხასანას ცეცხლში შეჰყვეებიან თანასოფლელები, სოლიმი კი ყველას ეჯავრება. ახლა, რა ცოლები მოიყვანეს ამ მშივრის შვილებმა? ამან სულ მოკლა სოლიმი. პირდაპირ როგორ გაბედავს ხმის ამოღებას, მაგრამ ისე? თუ მოასწრო, სისხლს ამოსწოვს და აი, ჩაუცვივდნენ ხელში. სოლიმი მოჩვენებითი გულგრილობით შეხედა ხასანას.

— რაკი ეგრე გინდათ, იყოს ნება თქვენი, გიჭირთ, ვხედავ, ნეტავ მეტი დახმარება შემეძლოს და მე ვიცი... მაგრამ მგელია მამაჩემი და რა ველაპარაკო. მე თვითონაც არაფრად მაგდებს, გინდ ვყოფილვარ სახლში და გინდ არა.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, სოლიმ, არ დაგიკარგავთ ამ პატივისცემას.

საღამოს სოლიმმა მამას ახარა:

— ხომ გითხარი, ჭკუით უნდა იმოქმედო-მეთქი. ცოფანას თავმომწონე ვაჟკაცები დავაჩოქე თუ არა. ახლა ისინი შენს ცხვარს მწყემსავენ და ჩემზეა დამოკიდებული, როდემდის. მაკადე. მაგათ მე მოვუვლი. თუ მოქმედების უფლებას მომცემ, ბაბა, ჩვენი ხეობის ხალხს შენს წინ ვახოხებ მუხლებზე.

დოთი ამჯერად კმაყოფილი დარჩა შვილისა.

სამ წელიწადს სდიეს ბარსაგმა და ხასანამ დოთის ცხვარს, ზაფხულში მთაში, ზამთარში — ყიზლარში. დოთი ბევრჯერ შეეცადა მათ შრომაში წუნი შეეტანა, მაგრამ პირიანი ვაჟკაცები ისე ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, რომ დოთისაც კი ვეღარ გაუჭრა სინდისმა. აქაც მართალი გამოდგა სოლიმი. სამ წელიწადში მათი ცხვრის ფარები ერთი სამად იქცნენ. ღორღსაყარში დაყრილმა ქვებმა თავიანთი წონა სარგებელი მოუტანა პატრონს.

ღორღსაყარი აულის თავში დიდვაკის გვერდით იყო. გაზაფხულობით, დოთის წინაპართაგან დაწყებული დოთის ჩათვლით, სანამ გუთანს გაიტანდნენ დიდვაკეში. ჯერ ქვა-ღორღს აკრეფდნენ და ღორღსაყარში დაყრიდნენ. მერე მოხნავდნენ. წლითიწლობით ემატებოდა ქვას ქვა და ახლა კარგა მოზრდილი ბორცვები თვალში ეჩხირებოდა პატრონს.

მაგრამ გაჭირვებამ ცოფანას ვაჟები შესჭიდა ამ ქვა-კლდეს. მათი ოფლით ლამის ის ქვა-ღორღიც დალბა. ვინ იცის, რა დრო გავიდა, სანამ ამ მკვდარმა მიწამ ნაყოფი გამოიღო. აულმა ღორღსაყარს ცოფანას ბიჭების მიწა უწოდა.

სოლიმმა ჭკუით და ცბიერებით დაიწყო თავისი ბნელი ზრახვების განხორციელება. ურსდონის[1] გაღმით მამაპაპეული მამული რამდენიმე წელი ხელუხლებელია. ამიტომაცაა, რომ შამბი მოერია და ჯაგნარად იქცა.

იმ დღეს სოლიმი ნიხასში იყო. ხელმოკლე გლეხები თავიანთ გაჭირვებაზე უბნობდნენ. სოლიმმა სიტყვა შეაპარა:

— მამაჩემს რა ვუთხრა, ასეთი ხარბი რომ არის. ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო, ისეა მისი საქმე. რად უნდა უჭირდეთ ჩვენს მეზობლებს, როცა ჩვენი მიწების ნახევარი ყოველწლიურად დასამუშავებელი რჩება. ამას წინათ ველაპარაკე და ძლივს დავითანხმე ურსდონის გაღმა მამულების იჯარით გაცემაზე. ღალის ნახევარსა თხოულობდა, მაგრამ როგორც იქნა მესამედზე დავითანხმე.

უმიწაწყლო გლეხებმა ყურები ცქვიტეს. სოლიმის ცბიერ თვალებს ეს არ გამოეპარა. ობობასავით გაიბა ქსელი. იქ უკვე რამდენიმე მსხვერპლი აპირებდა გახლართვას. სოლიმმა ქსელს კიდევ წასცხო თაფლი:

— ის მიწები დიდი ხანია დაყამირდა და დამუშავება ძნელი იქნება-მეთქი ვუთხარი, ვინც აიღებს დასამუშავებლად იმ მიწას, გამწევი ძალითა და თესლით დავეხმარებიო, შემპირდა.

სოლიმის ნატყორცნი ისარი მიზანში მოხვდა, მშიერი ბავშვები თაფლის კვერის მოლოდინში რომ ატოკდებიან ხოლმე, ისე ატოკდნენ მიწანაკლები მოსაუბრეები.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, სოლიმ, შენი იმედი ნუ მოგვეშალოს. გამწევი ძალითა და თესლით რომ გვეხმარება მამაშენი, ეგ კარგია, მაგრამ მერე მაგის საფასური რომ მოგვთხოვოს, იმას რაღა დარჩება, ვინც სისხლად და ოფლად უნდა ჩაიღვაროს იმ ქვაღორღიან ყამირში? — ჰკითხა სოლიმს ძაქომ.

— მაგაში ფასს არ გახდევინებთ, დადა ძაქო, თესლსაც მუქთად მოვაცემინებ. მამაჩემს როგორმე დავითანხმებ, მეტი მე არაფერი შემიძლია...

— მეტი რაღა გვინდა, სოლიმ. შენ ისეთი გულკეთილი ყოფილხარ, რომ სულ გამარჯვებულს გატარებს ღმერთი. სიმდაბლისთვის სიშაღლეს მოგცემს ის დალოცვილი, ეს ხელმოკლე და მშიერი ხალხი შენთვის ილოცებს.

იმ გაზაფხულზე დოთის ყამირებს დაერივნენ უმიწაწყლო გლეხები და ბდღვირი აადინეს. სისხლი ჩაიღვარა შიგ.

სოლიმმა ოჯახის უფროსობა ხელთ იგდო, მაგრამ ხედავდა, რომ ზვალ-ზეგ მისი დიდი ქონება შუაზე გაიყოფოდა. ის, ვიღაც, მომავალი შოზიარე, ახლა დედინაცვლის გვამში წუთი წუთს მატულობდა.

---

[1] ურსდონი — თეთრი მდინარე.

სოლომმა მოსვენება დაკარგა. სანამ ის ქვეყანას დაინახავს, მანამ უნდა მოახერხოს რამე, თორემ მერე გვიან იქნება.

ლამაზი ქალია აცირუხსი, სოლიმის დედინაცვალი. თუმცა საშუალო დედაკაცობას კარგა ხანია გადასცილდა, მაგრამ სახით და ტანის მოქნილობით ოცი წლის ქალს არ ჩამოუვარდება. საოცრად ლამაზი თვალები აქვს. ისე იცის შემოხედვა, რომ კაცს დაადნობს. არავის უმალავს თავის სილამაზეს აცირუხსი, სხვა დედაკაცებივით პირახვეული როდი დადის. არც არავის ეუმძრახება, მომაჯადოებელი ლაპარაკი იცის. ხავერდოვანი ხმა პირდაპირ გულში სწვდება ადამიანს. ვინ არის? სადაური? არავინ იცის. თვითონ დოთიმაც არ იცის. შემთხვევით შეხვდა ცხინვალში. აული გაკვირვებული დარჩა, რამ აიძულა ასეთი ლამაზი ქალი, რომ მამის ტოლ კაცს ცოლობაზე დათანხმდაო.

სოლიმი ხომ გაოცდა და გაოცდა, როცა ერთ საღამოს მამამისმა კარი შეაღო და ოჯახში ახალი დიასახლისი შეიყვანა. ეშმაკი ქალი გამოდგა აცირუხსი. გულქვა დოთი კაბის კალთაზე გამოიბა და თავის ნება-სურვილზე აცუნდრუკებს. დოთი ყველაფერზე თანახმაა, რასაც აცირუხსი მოისურვებს. ჭკუა დაკარგა ბერიკაცმა. მის გულში უცნაურმა გრძნობამ გაიღვიძა. ლაფანივით მოიღვენთა, მზად არის აცირუხსისათვის სიცოცხლე გაწიროს. მისი სიტყვა კანონად იქცა. ის კი ვერა, სოლიმი გაოფრთხილა:

— არ გაგიგონო, რომ ამ ქალს უბრალოდ აწყენინო, თორემ იცოდე, დედიშობილას გაგიძახებ გარეთ.

წინათაც არ უყვარდა შვილი დოთის და ახლა, რაც აცირუხსი ჩადგა მათ შუა, სულ შეიძულა.

ძიხვდა სოლიმი, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, მამის რისხვა დაატყდება თავს.

ერთ საღამოს დოთი და აცირუხსი დერეფანში ისხდნენ. სოლიმი შეუმჩნეველად მიუახლოვდა და ყური მიუგდო მათ საუბარს.

— ... არ გეგონოს, რომ შვილის წინაალმდეგ გამხედრებ, მაგრამ გამიგე, მისი ბოროტი თვალები შიშის ზარსა მცემს. მგელივით მიყურებს. თანაც ახალგაზრდა ბიჭია და... ერთი სიტყვით, როგორც გინდა გამიგე, არ მინდა, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდეთ, — ხმა აიმაღლა აცირუხსმა.

— შვილია ჩემი, რა ვქნა, ოჯახის ფუძე მაგას უყურებს. მემკვიდრე გარეთ როგორ გავაგდო? — უპასუხა დოთიმ.

— გააგდეო, არ მითქვამს. წილი მიეცი. ცოლი შეირთოს და იცხოვროს. მემკვიდრეები სხვები გაჩნდებიან. აგერ, ერთი უკვე სუნთქავს. — მუცელზე დაიტყაპუნა ხელი აცირუხსმ.

სოლიმი აენთო, მზად იყო მამა, და დედინაცვალი იქვე მიეხრჩო, მაგრამ კბილი კბილს დააჭირა, ჯავრი გადაყლაპა და ფეხაკრეფით გაშორდა იქაურობას. დარწმუნდა, რომ აცირუხსი მას სამარეს უმზადებდა. ბრაზი ახრჩობდა, სისხლი თვალებში აწვებოდა, ფიქრები ჭიანჭველებივით აერია თავში. რა ქნას, ჩხუბით ვერაფერს გახდება.

აკირუხსი მარტო ლამაზი კი არა, ჭკვიანიც არის. გრძნობს სოლიმი, რომ მათ ოჯახში გველი შევიდა, ყერიას მოეხვია და მამა-შვილს მალე გადაყლაპავს. და სოლიმმა ისეთი რამ გადაწყვიტა, რომ პირველად თვითონაც ძეეშინდა, მაგრამ რა ქნას, მეტი გზა რომ არა აქვს?!

— ვნახოთ, კახპა დედაკაცო, მე და შენში ვინ უფრო ეშმაკი გამოდგება! ჩემი შეეშმა მოინდომე, ხომ? გამოჩნდება ვინ ვის შეეჯამს. — კბილები დააღრჭიალა სოლიმმა და შვებით ამოისუნთქა.

5.

დოთის ცხინვალში სოლიმი მარტო არასოდეს გაუშვია, როგორ ანდობდა გასაყიდს, მაგრამ ახლა სხვაა. ახალგაზრდა ცოლი აღარ ეთმობა. თანაც რაც უფრო შორს იქნება ოჯახიდან სოლიმი, მით უკეთესი, აკირუხსი დამშვიდდება, ამიტომ საგარეო საქმე სულ შვილს გადაულოცა. ახლაც სუთი ცხენის საპალნე მოამზადა — ყველი, ერბო, მატყლი და შვილი ბაზარში გაისტუმრა.

სოლიმმა სარფიანად ივაჭრა და დასანაყრებლად მარკოზას დუქანში შეიარა.

მარკოზამ სოლიმის დანახვაზე ხელები გაშალა:

— ამას ვის ვხედავ? სად დაიკარგე, სოლიმ? რამდენი ხანია მინდოდა შენი ნახვა. მამაშენი რასა იქს, ის ღმერთგამწყრალი? თუმცა მზეთუნახავი ცოლი იშოვა და წასვლა-წამოსვლისთვის სადღა ეცლება.

— თუ ხათრი გაქვს, ძია მარკოზ, იმის სახელს ნუ მიხსენებ, — ძლივს ამოღერღა სოლიმმა და წასვლა დააპირა.

— მოიცა, ბიჭო, რა გეჩქარება. მამაშენთან უნდა დაგაბარო რაღაც. თვითონ აღარ გამოჩნდა და შენ მაინც უთხარი... რა მიყო, რა მიყო, იმ ოჯახქორმა. — წუწუნებდა მიკიტანი. სოლიმი დაინტერესდა და მოუთმენლად ელოდა გაეგო, რას დააბარებდნენ მამასთან.

— აკირუხსი თბილისიდან ჩამოვიყვანე. ვაა, იცი, რა ფული დამიჯდა?! — ამოიოხრა სომეხმა და მოყვა აკირუხსის ამბავს.

თურმე თბილისში დუქანში ჰყავდათ. მარკოზა მიკიტანს ქვეყნის ფული დაუხარჯავს და ქალი წამოუყვანია. არც შემცდარა. შემოსავალი ერთი სამად მიემატა. ღვინისა და ქალების მოტრფიალე ბედოვლათები მის დუქანს აღარ სცილდებოდნენ.

— რა მიყო მამაშენმა, რა! რამოდენა შემოსავალი დამაკარგვინა. აკირუხსი წავიდა და ლამის გავკოტრდე. ის ბებერი ტურა როგორ გამოეჭერინა კახპა დედაკაცს? ან შენ როგორ მოუთმინე? — ქაქანებდა მარკოზა და თვალს თვალში უყრიდა სოლიმს.

— კარგი, მარკოზ, კარგი, ჩემზე იყოს, შენს ჯავრს მე ვიყრი.

— შენ რა შუაში ხარ, სოლიმ. მამაშენი ყოფილა სულელი. რა ქნა იმ კამეჩმა, როგორ მოიჭრა თავი?..

6.

ცხინვალიდან სოლიმმა მწვანე აბრეშუმის საკაბე და ოქროს საყურეები წაუღო აცირუხსს.

— ცოტა ფული დამეხარჯა, ბაბა, დედასთვის ჯერ არაფერი მიჩუქებია და ახლა გავბედე, ვიცი, არ გეწყინება, — მოუბოდიშა მამას სოლიმმა.

„უყურე ახლა ამ უდღეურს, ვინ აუფრთხილებს ჩემს ქონებაზე". — უნდოდა ნაღველი დაენთხია შვილზე, მაგრამ აცირუხსის გაბრწყინებული თვალები რომ დაინახა, შვილისათვის სათქმელი საყვედური ჭაღარა ულვაშქვეშ გადნა.

— კარგი გიქნია, — მოუწონა შვილს საქციელი დოთიმ.

აცირუხსს მადლობაც აღარ მოჰგონებია. საჩუქრები წამოკრიფა და პატარა გოგოსავით გააქცია თავის ოთახში.

მეორე დღეს სოლიმმა აცირუხსი მის ნაყიდ საკაბეს რომ იზომებდა, მაშინ დაიმარტოხელა.

— ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ხარ, ქალო! გამჩენს გეფიცები, შენ მიწიერი კი არა, ციური ანგელოზი უნდა იყო, ანგელოზი კი არა, ცისკრის ვარსკვლავი.

აცირუხსს ესიამოვნა ქება, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ბიჭო, უნებართვოდ როგორ გაბედე ჩემს ოთახში შემოსვლა? — შუბლი შეიკრა აცირუხსმა და შიშველი მკერდი დაიფარა.

— მაპატიე, მაგრამ განა დედასთან შესვლის ნებას თხოულობენ შვილები? თუმცა შენ ისე ახალგაზრდა ხარ, რომ დედად კი არა... ეე ნუ მადანაშაულებ, შენს სილამაზეს დააბრალე. კიდევ რომ წავალ ცხინვალში, ვერცხლის ქამარს გიყიდი, მძივებსაც, მე შენ გითხრა, ბროლის ყელზე არ დაგმშვენდება, ისე ჩაგაცმევ, რომ მთელი ხეობის ქალები შურით დაიხოცნენ.

— საყიდელს მამაშენიც მიყიდის. შენ რა უფლება გაქვს, მის ქონებას რომ ხელი აურთე.

— სული რომ ამოძვრება, შენ რა მოგივა? გაგიჭირდება ცხოვრება. ეგ ლამაზი ღაწვები დაგიჭკნება. ჩაგიქრება ეგ ზღვასავით მღელვარე თვალები, მამაჩემს რომ ჰკუა დაუბნელა. ჭირხლი მოეკიდება შენს თაფლისფერ დალალებს; აღარავის დაბნედავ სილამაზით. აღარც არავინ შემოგხედავს. ო, ღვთისმშობელო, შენ დაიფარე დედაჩემი, რომელიც მამაჩემის სიყვარულით გაგიუდა. ნუ ჩამოახოკინებ ლოყებს, ნუ გააწეწინებ დალალებს, ნუ დამიქვრიეებ ძვირფას დედას!..

აცირუხსი გაფითრდა. ძუ ვეფხვივით წამოიჭრა და სიძულვილი სავსე თვალები სოლიმს შეანათა.

— ახლავე დაუძახე მამაშენს და მისი თანდასწრებით გაიმეორე ყველაფერი, რაც ახლა თქვი! — მღელვარებისგან მკერდი საბერველივით აუდ-ჩაუდიოდა აცირუხსს.

— მამაჩემი ბებერ ძვლებს ითბობს მზეზე ალბათ, ეშინია საფლავში არ გაცივდეს. ჩვენი დარდი არა აქვს ახლა. — უფრო ურცხვად და აგდებით ალაპარაკდა სოლიმი. — ერთი მაკოცნინე, ძვირფასო დედიკო...

— იქით, ღორო, — იყვირა აცირუხსმა და ცხარე კრუხივით ეცა, საცემრად წაეტანა სოლიმს.

— იქით, კახპავ, — ხელი ჰკრა სოლიმმა და სილა გააწნა. — მამაჩემს ბებერი ტვინი რომ აურია, ისიც გეყოფა. მე სხვა ვარ, ვერ მომატყუებ. ნუ გგონია, რომ არ ვიცი, ვინცა ხარ. იმ დღეს ქალაქში გავიგე, რა ჩიტიც ბრძანებულხარ და საიდანაც მოფრენილხარ.

— ტყუილი, ტყუილი! ცილისწამებაა, გამეცალე, თორემ ვიკივლებ!

— ხმასაც არ ამოიღებ, კახპავ, ან კი რა ხმა ამოგეღება, გახრწნილს, მეძავს. ისიც ვიცი, რომ ჩემი თავიდან მოშორება განიზრახე, მაგრამ ცუდად ეხუმრები სოლიმს. მე შენ გიჩვენებ! — და სოლიმმა აცირუხსს ზედ ცხვირწინ აუთამაშა მუშტი.

ალელვებულ ქალს ენა წაერთვა, თითქოს ყელში ბურთი დაეცოო, მაგრამ მალე მოერია თავს. მტერს ჯიქურ ეტაკა.

— ვინცა ვარ, კარგად იცის მამაშენმა, მაგრამ შენ რაცა ხარ, ეს კი არ იცის და თუ გავაგებინე, წისქვილზე დაგფქვავს, შე უბედურო!

— არ იცის, ქვეყანა რომ დაგათრევდა, თორემ ხანჯლის წვერზე დაგატრიალებდა!

— დაიკარგე აქედან, გეუბნები, თორემ ქვეყანას შევყრი, რომ ძალადობას მიპირებ!

— ფუ, საზიზღარო დედაკაცო, შენზე ძალადობასაც არ ვიკადრებ. მაგრამ თუ მაგაზე მიდგა საქმე, ვიტყვი, რომ ეგ გოჭი, გვამში რომ ზრდი, ჩემგან არის და იცი რა მოჰყვება ამას. მამაჩემი ღორივით გამოგვრის ყელს... წადი ახლა და იკივლე!

საქმის ასე შემოტრიალებას არ ელოდა აცირუხსი. ეგონა სოლიმს მოტეხდა, პირიქით კი მოხდა, მღელვარებას ვეღარ გაუძლო და გულშემოყრილი ჩაიკეცა. სოლიმმა ხელი შეაშველა, არ წაიქცესო და საწოლზე მიაგდო. მერე სახეზე წყალი აპკურა. აცირუხსმა თვალი გაახილა, მაგრამ სოლიმი რომ დაინახა, ისევ დახუჭა.

— ასე, ჩემო ძვირფასო დედიკო, თუ კიდევ დაგიძრავს ჩემს წინააღმდეგ ენა, ცუდად წაგივა საქმე. ახლა ხომ გაახილე თვალი, სხვა დროს ვეღარ გაახელ.

— შენს ცილისწამებას არავინ დაიჯერებს, არავინ, არავინ, — ამოიკვნესა სიკვდილივით გაფითრებულმა აცირუხსმა.

— დაიჯერებენ... ჯერ ერთი, შენი წარსული ყველამ იცის, მეორეც, ასეთ საჩუქარს ახალგაზრდა კაცი მხოლოდ საყვარლისთვის თუ იყიდის. ეგ ხომ შენც იცი. მეც სწორედ მაგიტომ გიყიდე, მამაჩემი დავაეჭვე. ჰოდა, ასე,... ჩემთან ძალით ვერაფერს გახდები. ის ქონება,

რომლის ხელში ჩაგდებასაც ასე თავგამოდებით ცდილობ, შეიძლება შენს ქელეხში დაიხარჯოს. მომისმინე, მამაჩემს დიდი დღე აღარა აქვს, დღეს-ხვალ ჩაძაღლდება. ჰოდა, შენ თუ ჭკუით არ მოიქეცი, ჩვენ ორში ამ სახლიდან ერთი მოისპობა. ის ერთი, იცოდე, მე არ ვიქნები. ჩაუფიქრდი შენს მდგომარეობას და არც ჩემი დანაპირები დაივიწყო! — დაემუქრა სოლიმი აცირუხსს და კარი გაიჯახუნა.

მეცხრე თავი

ჟამი გარდასულ ძველგედოგისა

1.

მამალმა მეორედ იყივლა. აცირუხსს კი რული არ მიჰკარებია. წევს თვალგახელილი და ფიქრობს. საღამოთი უქეიფობა მოიმიზეზა. ცალკე დაუგო ლოგინი დოთის, რომელიც ,ყელში დანაგაყრილი ნასუქი ღორივით ხვრინავს. სხვა დროს აცირუხსი გააღვიძებდა, საყვედურსაც ეტყოდა, მაგრამ ახლა დოთის ხვრინვა არც ესმის.

მძიმე ფიქრები მოეძალა და წარსული გაახსენდა... უსიხარულო წარსული...

... ბნელი მიწური, ყოველი მხრიდან სიღარიბეს რომ დაუჭყეტია თვალები. კერის პირას ძონძებში წევს დედამთილი. ისე გამხდარა დედაბერი, რომ ყველა ძვალი ცალ-ცალკე დაეთვლება. ნახევრად ჩამქრალ თვალებს საცოდავად აცეცებს. ჩვილი ღნავის. აცირუხსი ცარიელ ძუძუს ჩრის პირში. ბავშვი ხარბად წოვს, მაგრამ რომ ვერაფერი გამოწოვა, ძუძუ გაუშვა და ისევ აღნავლდა.

აცირუხსი სიმწრით ხელებს იჭამს. აღარ იცის, რა იღონოს, იქით ავადმყოფი შოხუცი და აქეთ ჩვილი ბავშვი შიმშილით ღაფავენ სულს.

რა ქნას, ვის მიადგეს კარზე? ან კი ვინ რას მისცემს ასკილის ყვავილობას, როცა ყველას თვითონ უჭირს ლუკმა.

დოლათი დილით ტყეში წავიდა. შეშას ავაგროვებ, იქნებ ხარები ვინმემ მათხოვოს და გარში ჩავიტანოო, მაგრამ ისიც ჯერ არსადა ჩანს. რა იქნა? სად დაიკარგა? დილით მშიერი წავიდა, უბედურებას არ გადაეყაროს ტყეში.

— აღარ იცის რა ქნას აცირუხსმა. ქმრის საძებნელად რომ წავიდეს, მშიერი ბავშვი როგორ დატოვოს აკვანში მტირალი?

ჩამობნელდა. ბავშვი ტირილით დაიღალა და დროდადრო თუ ამოისლუკუნებს.

დოლათმა კარი შემოაღო, აცირუხსს ელდა ეცა. ძველი ტყავკაბის ნაფლეთებიდა ეკიდა, თითქოს ძაღლებს უბეღრავებიათო. ფერმკრთალ სახეზე სისხლი შეხმობოდა, დალილავებული თვალი დასიე-

ბოდა. ერთ წამში მოასწრო ყოველივე ამის დანახვა აცირუხსმა. დოლათი დაბარბაცდა და კარში ჩაიკეცა.

— ვაიმე, დაღუპულს! — იყვირა აცირუხსმა და ქმარს ეცა.

— ნუ გეშინია, ქალო, — ამოილუღლუღა დოლათმა და ცოლის დამარებით ფეხზე წამოდგა. აცირუხსმა ის ტახტზე მიაწვინა.

— ღმერთო დიდებულო, რა შეგცოდე, ასე რომ მტანჯავ, რად მაყურებინებ ჩემი შვილის სიდუხჭირეს, — წამოიკვნესა დედაბერმა და ადგომას შეეცადა.

— იწექი, ნანა, იწექი, არ ადგე. თუ არ მოვკვდი, არ შევარჩენ ჩემს დაჩაგვრას.

— ვინ დამისხა ცეცხლზე წყალი, იმან არწყიოს სისხლი, რა დაუშავე?

— ალდარის კაცებმა მცემეს, შეშას რად აგროვებო. უჰ, მაგათი... თუ არ მოვკვდი, გადავუხდი. ცული წამართვეს, ცოცხალმკვდარი დამაგდეს და წავიდნენ.

— დაიწვას ჩვენი გაჩენის დღე, ო, დედაო ღვთისმშობელო, რითი გაგარისხეთ, ასეთ გაჭირვებაში რომ ჩაგვაგდე, რატომ აღარ ისმენ ჩვენს ვედრებას? — მოთქვამდა დედაბერი და ჩამქრალი თვალებიდან თხილისსიმსხო ცრემლებს ღვრიდა.

...დოლათის სახლიკაცი ვასილი ქალაქში ერთ თავადთან მეჯინიბედ იდგა, ხანდახან ამოდიოდა ხოლმე აულში. ერთხელაც, ის დღე დაიქცეს, დოლათთან მივიდა და ეუბნება:

— დოლათ, ვხედავ, რომ ძალიან გიჭირს. არსაიდან შველას არ ელი, სანამ ქერი გაიჭრება, მანამ შიმშილით ამოგიწყდება ოჯახი. შენ ვერსაით წახვალ, ავადმყოფ დედას უპატრონოდ ხომ ვერ მიატოვებ და თუ შენი ნება იქნება, აცირუხსს წავიყვან თბილისში, იქ ერთ კარგ ოჯახში ძიძას ეძებენ. ცოტა სულს მოითქვამთ...

დანასავით მოხვდა გულზე დოლათს სახლიკაცის სიტყვები. აცირუხსის სიყვარული, თორემ აქამდის თავს აუტეხდა რამეს და ახლა როგორ გაუშვას ახალგაზრდა ცოლი უცხო ხალხში? არა, არა, უმჯობესია მარჯვენა მოიჭრას და ცოლ-შვილს შეაჭამოს, ვიდრე აცირუხსი სხვაგან გაგზავნოს.

მშიერი ბავშვის ღნავილმა გამოარკვია ფიქრებიდან. წუხელ მეზობელმა ნახევარი მჭადი და ერთი ჯამი შრატი შემოუტანა. იმითი ივახშმეს. ახლა? ახლა რიღათი დააპუროს ოჯახი?

— დარდი ნუ გექნება, დოლათ, თვალს დავიჭერ. თუმცა მე ძალას არ გატან. ნება შენია. გაჭირვებაში რომ ხარ, მინდა დაგეხმარო რითიმე, თორემ...

ბევრი იფიქრა დოლათმა, მაგრამ გაჭირვებიდან თავის დახსნის საშუალება ვერ გამონახა. მეტი რა გზა ჰქონდა. დათანხმდა ვასილის წინადადებას.

აცირუხსი წაჰყვა ვასილს. გზაზე დაღვრილი მისი ცრემლები წისქვილს ააბრუნებდა. ავადმყოფი დედამთილი, აკვანში ჩაკრული მშიერი

'მკილი და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი დოლათი ღვთის ანაბარა დატოვა აცირუხსმა და ლუკმაპურის საძებნელად უცხო ქალაქში ამოყო თავი.

ვასილმა აცირუხსი ერთ მდიდარ თავადთან დააყენა ძიძად. ფუფუნებით ცხოვრობდა თავადი. ერთადერთი მემკვიდრის ძიძას სასმელ-საჭმელი თავზე დააყარეს. მალე გადაიყარა სოფლის ფერი აცირუხსმა, გასუქდა, გალამაზდა. მოახლეებს კი არა, ქალბატონსაც დაემჯობინა. ერთი იყო, მხოლოდ, ოჯახის დარდი უღრღნიდა გულს. თავადმა თვალი დაადგა ძიძას. ახლა ის შესაფერ დროს უცდიდა, რომ გულის საწადელი აესრულებინა.

ერთხელაც აცირუხსს თავისი გაზრდილი ეზოში გამოეყვანა და თუთის ქვეშ ასეირნებდა. ბავშვის ტიტინმა საკუთარი შვილი გაახსენა და თვალები ცრემლმა დაუნამა.

— რა გატირებს, ძიძა? — მოულოდნელად გაიგონა თავადის ხმა აცირუხსმა. შეკრთა, სირცხვილით ყურებამდე გაწითლდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ თავადმა არ გაუშვა, მკლავში ხელი ჩაავლო და გვერდით მოისვა.

— ქალბატონმა ხომ არაფერი გაწყენინა? რად ხარ დაღონებული?

აცირუხსი ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

— თუ შინაობის დარდი გაქვს?

აცირუხსს ცრემლები წამოსცვივდა.

— უჭირთ ძალიან. ვასილამ მითხრა, დოლათს დაიჭერენ, რადგან გადასახადი ვერ დაფარაო. აღარ ვიცი, რა ვქნა, ოჯახი დამეღუპება.

— ნუ გეშინია... აქ არა ვარ! აგერ ფული. თუ ის კაცი წავა, გაატანე, — თავადმა ერთი ბღუჯა ასიგნაციები ჩაუყარა კალთაში. აცირუხსი გაფითრდა.

— არა, არა, მერე რითი გადავიხადოთ?

— არ გახდევინებ, ქალო, გაჩუქე, წადი, ნახე ის კაცი, არ დაიჭირონ შენი ქმარი.

თვალები გაუბრწყინდა აცირუხსს. გადასახადს გაისტუმრებენ, დოლათს აღარ დაიჭერენ. თანაც პურს იყიდიან.

— გმადლობთ, ჩემო ბატონო. თქვენს სიკეთეს სიკვდილამდის არ დავივიწყებ, აგრემც გაგახარებთ ჩემი ძუძუთი გაზრდილი შვილი.

ო, რა მადლობელი იყო აცირუხსი კეთილი ბატონისა. თავადიც ძალ-მალე სწყალობდა ძიძას. სული მოითქვა ოჯახმა. დოლათი კმაყოფილი იყო, აცირუხსის ხელფასმა სულზე მიუსწრო, დედაც ჯანზე მოვიდა. ბავშვიც წამოიჩიტა.

ერთ დღეს ქალბატონი და ბატონი სტუმრად წავიდნენ. შუაღამისას ნასვამი დაბრუნდა ბატონი, ძიძამ კარი გაუღო, ელდა ეცა, ქალბატონი რომ ვერ დაინახა, გაქცევა დააპირა, მაგრამ გვიანღა იყო. ბატონის თვალებში გაღვიძებული მხეცუნა მალე დაუოკებელ მხეცად იქცა. აცირუხსი მის მკლავებში გველივით იკლაკნებოდა, ეევედრებოდა, ტიროდა.

— ჩემს გაზრდილს გაფიცებთ. ნუ შემიგინებთ ნამუსს, ნუ მოსჭრით თავს ჩემს ქმარს...—ეხვეწებოდა აცირუხსი. ვინ მოუსმინა! ბატონმა წადილი შეისრულა და დაძღვიდდა. აცირუხსი კი ტიროდა. წაბილწული ნამუსის ცრემლით გააპახვა კი მაინც ვერ მოახერხა. იქ ღამეს ძასსა და დოლათს ზორის სამუდამოდ ჩატყდა ხიდი. ის კი არა, აცირუხსს ეგონა, მის ნამუსახდილ სხეულს სამუდამოდ გაეყარა სული.

ოი თვის შემდეგ დოლათძა ქალაქში შიაკითხა ცოლს. მიწა რომ გახეთქოდა, ერჩია აცირუხსს. დოლათი გადაეხვია და ქალს ეგონა, დოლათის მკლავების შაგიერ ორი ურჩხული ეძემოეხვია და ახრჩობდა. აცირუხსი აქვითინდა, ქმარს კისერზე ჩამოეკიდა და სლუკუნით უთხრა:

— აქ აღარ დამტოვო, დოლათ, შინ წამიყვანე, დეე, ერთად დავიხოცოთ ძიმშილით. ან ირადა, ოღონდ აქაურობას გამაცალე და გინდა კლდიდან გადამაგდე.

— რას ამბობ, ქალო, სად უნდა წაგიყვანო? ის ახოც სეტყვამ გაატიალა. მარცვალი პური არ გვიგდია. ლამის ბავშვი შიმშილით მოგვიკვდეს. აქ რომ მოვდიოდი, მშიერი გამომეტირა. შენ ამბობ წამიყვანეო. ცოტა ხანს კიდევ მოითმინე, ხომ იცი, მე შენი იმედიღა მაქვს. ზამთარი კარზეა მომდგარი, გინდა, შიმშილით ამოვწყდეთ?!

გული მოუკვდა აცირუხსს. გაჭირვება რას არ აკადრებინებს ადამიანს. იქ, აულში მისი შვილი მშიერია, მამას ელოდება, რომ პური ძიუტანოს. რა დაემართება ცარიელი რომ დაინახოს, იქნებ პატარა გული გაუსკდეს კიდეც. იმ საბედისწერო ღამის შემდეგ რამდენჯერ დააპირა ამ დაწყევლილი სახლიდან გაქცევა, მაგრამ მოაგონდებოდა თავისი დანგრეული ოჯახი, შვილი, და მეტი რა გზა ჰქონდა, ეგუებოდა მდგომარეობას. ახლაც დათმო, წელმოწყვეტილი ძლივს ადგა და ბატონს ეახლა.

— ორი თვის ხელფასი წინდაწინ მომეცით. ქმარი ჩამოვიდა, მშიერი ყოფილა ჩემი შვილი.

თავადმა ფული მისცა აცირუხსს და მრავლისმეტყველი ღიმილი გააყოლა.

2.

ბატონის ალერსს აღარ გაურბოდა, საჩუქრებსაც დამშვიდებული იღებდა. ვინ იცის, როდემდის გაგრძელდებოდა მათი მრუშობა, აცირუხსს კიდევ ერთი დიდი მეხი რომ არ დასცემოდა თავს. დაორსულდა. შუბი ხალთაში არ დაიმალება. ქალბატონმა შეამჩნია ეს და აცირუხსი უცხო ქალაქში, უცხო ხალხში ქუჩაში დარჩა. ერთმა გულკეთილმა ქალმა შეიკედლა. ექიმბაშთან იმან მიიყვანა. საწყალი აცირუხსი კინაღამ მოკვდა, მაგრამ ღმერთმა არ გასწირა. გადარჩა. ბავშვი მკვდარი დაიბადა. ცოტა რომ მოღონიერდა, ერთი სომეხი მიკიტნის დუქანში ჭურჭლის მრეცხავად აიყვანეს. აქაც შეაცდინეს... მერე კი ყველაფერი

თავის გზით წავიდა. ხელიდან ხელში იწყო გადასვლა ლამაზმა ძიძამ. ასე ჩაეფლო ტალახში ოდესღაც სინდის-ნამუსიანი ქალი.

მკაცრმა ზამთარმა დრო მოჭამა. დადგა გაზაფხული, დათბა. მთაში გზა გავიდა. აცირუხსის ამბავი აიტანეს აულში. დოლათი გაცოფებული ჩაეჭრა ქალაქში. კითხვა-კითხვით მიაგნო ცოლს. დაინახა თუ არა, მგელივით ეცა. თმებით დაითრია, ურტყამდა, სადაც მოხვდებოდა:

— შე უნამუსოვ, საკახპოდ გამოგგზავნე აქ? — ხანჯალი დააძრო და აუცილებლად მოკლავდა, შემთხვევით შესწრებულ პოლიციელს რომ არ დაეჭირა.

— ეი, შენ, პირუტყვო, რაზე კლავ ქალს?

— გამიშვი, მოსაკლავია და უნდა მოვკლა, ეს კახპა! — კიდევ გაიბრძოლა დოლათმა, მაგრამ პოლიციელმა და შემოსწრებულმა ხალხმა გააკავეს და პოლიციაში წაათრიეს.

აცირუხსი გონს რომ მოეგო, პოლიციაში გაიქცა, უფროსთან მივიდა და სთხოვა:

— ეგ კაცი ჩემი ქმარია, ძალიან გთხოვთ გაათავისუფლოთ. არ არის დამნაშავე.

პოლიციის უფროსს სიცილი აუტყდა.

— ეს დათვი შენი ქმარია? მაგას რა დამაჯერებს.

— დიახ, ქმარია.

პოლიციელმა მუნდირი შეისწორა. ულვაშებში ჩაიღიმილა:

— კარგი, გავუშვებ, მხოლოდ იცოდე, ამაღამ მოვალ შენთან...

დაღონებულები, თავდახრილები გამოვიდნენ ქუჩაში. მიდიან, თვითონაც არ იციან სად, ქუჩის ბოლოს შეჩერდნენ. დოლათი ტიროდა.

— მითხარი, ვინ მომჭრა თავი, ვინ მომხადა ქუდი და მე გავუსწორდები.

— ნუ ეძებ, ვერ იპოვი...

— უნამუსოვ! — გაცოფდა დოლათი და მუშტი შემართა. მაგრამ უცბად აცირუხსის ნაღვლითა და საყვედურით საკუთ თვალებს შეეფეთა და მკლავი მოტეხილი ტოტივით დაეკიდა.

— შენ მეძახი უნამუსოს? მერე ვინ მიმიყვანა აქამდის? ვინ დამატოვებინა ძუძუთა ბავშვი აკვანში? ვინ მომგლიჯა შვილი მკერდიდან? ვინ ჩამაგდო მგლების ხელში? ვინ? ვინ? შენ! შენა ხარ ჩემი უბედურების მიზეზი, მაგრამ მე არ გსაყვედურობ.

— მერე, მე მაგიტომ გამოგგზავნე?

— მაშ, რა გეგონა, უბედურო, ფული. ფულიო. რომ მითვლიდი. რატომ არ ფიქრობდი, საიდან, ვინ მისცა ფულიო. რომ გეხვეწებოდი წამიყვანე-მეთქი, რატომ არ გამაცალე აქაურობას, შენა ზიდე ჩემი ცოდო, შენა ხარ ჩემი უბედურების მიზეზი, შენ. ახლა გაახილე თვალი? გვიანლაა.

— უჰ, წყეულო სიღარიბევ, ეს რა ცეცხლი წამიკიდე! როგორ გამამწარე, როგორ დამინგრიე ოჯახი? — ამოიგმინა დოლათმა და თავში წაიშინა. — ეს რომ მცოდნოდა, არ გამოგიშვებდი, აქამდის ერთად

დავიხოცებოდით, უკეთესიც იქნებოდა. მაგრამ რა მექნა, მეტი გზა არ მქონდა. ო, ღმერთო, ღმერთო, ჩამოიქეცი ჩემი ცოდვით. ის არ გეყო, რომ სიღარიბით ამომხადე სული და ეს კიდევ რა მიყავი, გული ამომგლიჯე და ძაღლებს მიუგდე საჯიჯგნად!

დიდხანს ისხდნენ. გული ორივეს ბოღმით ჰქონდა სავსე. ხან ერთი ტიროდა ხან მეორე. ისევ დოლათი მოეგო გონს. ცოლს მკლავში ჩაავლო ხელი და თავისკენ მიიზიდა.

— წავიდეთ შინ!

— არა, დოლათ, ერსადაც არ წამოვალ, დაგიგვიანდა, მე ცოლად აღარ გამოგადგები, მე ახლა ქალაქის უნამუსო ქალი ვარ... — ამოიკვნესა აცირუხსმა.

— ღმერთი გაპატიებს.

— არა, დოლათ, არა. არაფერსაც ერ მაპატიებს, თავმოჭრილი ვარ. დაე, მე დავიტანჯო. შენზე კი არავის ვათქმევინებ, ასეთ-ისეთის ქმარი ხარო. მაგას არ ვიზამ, მიჯობს აქ მოვკვდე.

— რას ამბობ, აცირუხს, წავიდეთ, ისევ ისე ვიცხოვროთ, როგორც ვცხოვრობდით. დრო გაივლის და ყველაფერი დაგავიწყდება. მეც გულში ჩავიკლავ ჯავრს, უშენოდ მოვკვდები, აცირუხს, — დოლათი ისევ აზლუქუნდა. ტიროდა აცირუხსიც.

— მე ცოცხლებში აღარა ვწერივარ. შინ რომ მიხვალ, ტირილი გამართე. ყველას უთხარი აცირუხსი მომკვდარა-თქო. სასაფლაოზე სამარე გამითხარე. ჩემმა შვილმა არ უნდა გაიგოს, ვინ არის დედამისი, ჩემი უკანასკნელი თხოვნაა ეს, დოლათ, საფლავი აჩვენე, აქ დედა მარხია-თქო, უთხარი.

— თავი არ მომაკვლევინო, აცირუხს, ვიცი, მთავარი დამნაშავე მე ვარ. შენ მხოლოდ შინ წამოდი, დაივიწყე, რაც იყო. დავიღალე, არ გეცოდები? ავადმყოფი დედა, პატარა ბავშვი, ნუთუ არ მოგენატრა შვილი? გაიზარდა, ლაპარაკი ისწავლა. — მაგრამ აცირუხსი გაქვავდა.

შემოდგომით თვითონ ეხვეწებოდა ქმარს, შინ წამიყვანეო, ის კი არც დაფიქრებულა, რად იყო ასე შეწუხებული, პირიქით, ფული სთხოვა, შიმშილით ვიხოცებითო. მაშინ გაწყდა მათ შორის უკანასკნელი ძაფი. დოლათი მოკვდა აცირუხსისათვის. დიდი ხანია შვილიც აღარ ენატრება, დაავიწყდა მისი სახე. ახლა, როცა შვილს ახსენებს, თავისი გაზრდილი წარმოუდგება თვალწინ. აი სადამდის მივიდა საბრალო აცირუხსი.

— წადი, დოლათ, აი ფული, წაიღე, გამოგადგება და ნუღარასოდეს მომიკითხავ.

დოლათმა ფული შორს გაისროლა.

— ფუ, შენ მართლა დაგიკარგავს სინდისი, — მიაფურთხა ცოლს და წელათრეული წაბარბაცდა.

აცირუხსი გულამომჯდარი ტიროდა.

— მაპატიე, დოლათ! ჩემი ბრალი არ არის, — ლუღლუღებდა და ცრემლები უბეში ჩასდიოდა.

წავიდა დოლათი, ახლა უკვე ყველაფერი უკან დარჩა. თითქოს გულზე მოეშვა აცირუხსს. განთავისუფლდა. აღარავისი ეშინოდა, აღარავისი ერიდებოდა. ფრინველივით საითაც უნდოდა, იქით გასწევდა. და იგი მალე ყელამდე ჩაეფლო ჭაობში.

მსუბუქი ყოფაქცევის ქალთა დედოფლად აღიარეს და ისიც ამ წარმატებით კმაყოფილი ერთიმეორეზე ბინძურ საქმეებში გაერია.

გავიდა რამდენიმე წელი. აცირუხსის კეთილი და მიმნდობი გული გაქვავდა. ცხოვრების მკაცრმა პირობებმა გამოცდილება შესძინა. გაეშმაკდა და გაქსუდა. ახლა მხოლოდ ფულის შოვნა გახდა მისი მიზანი. სიღარიბემ უბიძგა ამ ბინძურ გზაზე და არაფერს ერიდებოდა, რომ თავისი წაბილწული სინდისისათვის ხარკი გადაეხადა.

დაივიწყა ახალგაზრდობაში გადატანილი გაჭირვება, სოფლური ცხოვრება, დაივიწყა ქმარი და შვილიც. მაგრამ ხვალინდელ დღეზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ამან მიიყვანა მარკოზას დუქანში. აქ მისმა ეშმაკობამ არ გაჭრა. მარკოზა უფრო საზრიანი გამოდგა. აცირუხსი, პირიქით, იმან გაიხადა შემოსავლის წყაროდ. დოთიმაც იმ დუქანში გაიცნო ცის თაღივით მშვენიერი დედაკაცი. აცირუხსმა მდგომარეობა აწონ-დაწონა... გადაბრუცუნებულ ბერიკაცს ორი პარასკევი აღარ უდევს წინ. ვითომ რას დავკარგავ, რომ გავყვე. ერთ ორ წელიწადში მოკვდება, მერე მივყიდ-მოვყიდი მის ქონებას და ისევ ქალაქში ჩამოვალო, იფიქრა და აღარც დააყოვნა. ცოლად გაჰყვა მამისტოლ ბერიკაცს.

მაგრამ ბედი არა სწყალობს აცირუხსს. როცა თქვა საქმე დამში მოვიყვანეო, მაშინ გამოტყვრა ეს მზედაბნელებული სოლიმი. ქალი მიხვდა, რომ ღირსეულ მეტოქესთან ჰქონდა საქმე. როგორ მოიქცეს? სოლიმს ასე უბრალოდ ვერ მოიშორებს. არადა რა ქნას? ბევრი იფიქრა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოლიმთან საერთო ენის გამონახვა აჯობებდა.

სოლიმიც ღელავდა. თუ აცირუხსი ჩხუბის ამბავს დოთის ეტყოდა, ეს უკანასკნელი მტყუანსა და მართალს არ განიკითხავდა და სოლიმს სახლიდან გაგდებდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით რიჟრაჟზე ადგა და მთაში წავიდა. საღამოთი შინ რომ დაბრუნდა, აცირუხსი ღიმილით შეხვდა.

— სად დაიკარგე, ბიჭო, შენს მტერსა და დუშმანს შიმშილით სული არ გასძვრა?

სოლიმმა მძიმე ბრძოლაში გამარჯვებული მხედარივით ამაყად უპასუხა.

— გმადლობთ, ჩემო ძვირფასო დედისმაგიერო, მიხარია რომ ჩემზე ფიქრობ.

იმ დღეს აქეთ ძალიან „დამეგობრდნენ“ სოლიმი და აცირუხსი. ორივემ ნამდვილი სახე დამალა. ერთს ფიქრობდნენ და მეორეს ამბობდნენ. აცირუხსს ეშმაკობით უნდოდა ეჯობნა სოლიმისათვის. ბავშვი დაიბადება და დოთის შვილს სახლიდან გავაგდებინებო. წილს რომ

ჩაიგდებს ხელში, მერე აღარ ეშინია. სულ სხვას ფიქრობდა სოლიმი. მოსვენება დაუკარგა აცირუხსის გვამში მზარდმა მოზიარემ. თუ ის ქვეყანას მოევლინა, მამის ქონების ნახევარს წაიღებს, რაც სოლიმს სულაც არ სურს. ბევრი იფიქრა, მაგრამ იმ დიდი მტრის, რომელსაც ჯერ დღის სინათლე არ დაუნახავს, დამარცხების ვერც ერთი გზა ვერ გამონახა. ერთ დღეს, თითქოს გონება გაუნათდა, სიხარულით შეხტა, ახლა მიყურონო, ჩაილაპარაკა და ავი განზრახვის შედეგს წინდაწინვე შესცინა.

ზაფხულში ყველის კასრებს კარგა ღრმად ამოთხრილ ორმოში ინახავდნენ. შიგ მხოლოდ კიბით შეიძლებოდა ჩასვლა. კაცები ორმოში არ ჩადიოდნენ, ამის უფლება მხოლოდ აცირუხსს ჰქონდა. რა იქნება, ერთ მშვენიერ დღეს კიბის საფეხური რომ ჩაუტყდეს... აი რა მოიფიქრა სოლიმმა! აღარ დააყოვნა. კიბეს საფეხურები ისე დაუყენა, რომ საკმარისი იყო ფეხი დაედგათ, და იმწუთს ჩაიმტვრეოდა. ერთი დღე არაფერი. მეორე დღეს დოთი და სოლიმი დერეფანში ისხდნენ, უცბად საშინელი კივილი მოესმათ. მამა-შვილი წამოცვივდნენ, ეცნენ ორმოს და რა დაინახეს: კიბე ჩამტვრეულია, აცირუხსი კი გულშემოყრილი კასრებზე გდია. სოლიმი თვალის დახამხამებაში ჩახტა ორმოში და გულწასული დედინაცვალი დიდი გაჭირვებით ამოიყვანა. თვითონვე გაიქცა ბებიაქალის დასაძახებლად. მთელი ღამე სიკვდილ-სიცოცხლეს შუა იყო აცირუხსი, გათენებისას მკვდარი ბავშვი შობა. წელიწადი ლოგინი ვეღარ აილაგა, დაავადმყოფდა, დაუშნოვდა.

სოლიმი ზეიმობდა. ღმერთი სწყალობდა. აქაც გაიმარჯვა, უბრძოლველად მოიშორა მტერი. ახლა უფრო განზე გაშალა ფრთები. დოთის ლაპარაკს ყურსაც აღარ უგდებდა.

დოთი ხომ სულ გადარია აცირუხსის მარცხმა. გაავდა, ხასიათი გაუფუჭდა და დღითი დღე ბანდისძველასავით იჩულებოდა, სანთელივით ჩამოდნა. აცირუხსის გადასარჩენად არც თავი დაზოგა და არც ქონება. ის კი არა, ქალაქიდანაც ამოუყვანა ფერშალი.

უკანასკნელად კიდევ შეცდა აცირუხსი. შეცდა და როგორ? რა უნდოდა, გდებულიყო, სადაც იყო, ლუკმასა ჭამდა. გამდიდრება მოინდომა. შენი რომ არა გაქვს, თავისას ვინ მოგცემს? აკი არაფერი ერგო. ახლა გდია დასახიჩრებული, დაავადებული და კვნესის. ფიქრებმა მოსვენება დაუკარგა, ჭირის დღესავით შეეშალა დოთი. წინათ რომ შეყვარებულობანას ეთამაშებოდა, სხვა რაღაცას ელოდა, ახლა კი აღარაფერს ელის და დოთის ახლოს აღარ იკარებს. დოთი თავისებურად განიცდის აცირუხსის გაორგულებას. აღარ იცის, რითი დაიბრუნოს დაკარგული სიყვარული. ყველაფერში შვილს ადანაშაულებს. კიბის ამბავშიც ეჭვი შეეპარა. საფეხურები ძალით იყო ჩამტვრეული. ვინ იზამდა ამას, თუ არა სოლიმი? მამამ სამუდამოდ შეიძულა შვილი. პირდაპირ ვერაფერს უბედავდა, მაგრამ მზად იყო, თვალები დაეთხარა მისთვის. გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა. ფიქრობდა, ჩემი სიკვდილის შემდეგ, სოლიმი აცირუხსს სახლიდან გააგდებსო. ამიტომ ახლავე უნდა ეზრუნა აცირუხსის მომავალზე. ერთ საღამოს სიტყვაც

ჩამოუგდო, განზრახვა გაანდო, მაგრამ აცირუხსს ხმა არ ამოუღია, თითქოს არც გაუგონიაო. ერთხელ კინაღამ მოკლეს და ახლა აღარ უნდოდა ამაზე ლაპარაკი, არა აქვს ამის თავი. დოთიმ მაინც თავისი გაიტანა. მამასახლის ყაზის საიდუმლო გაანდო. სთხოვა, რომ მისი ქონება აცირუხსისათვის დაემტკიცებინა. ყაზი შეკპირდა, ყველაფერს ისე გავაკეთებ, შენ როგორც გინდაო. საღამოთი კი სოლიმი დაიმარტოხელა და დაწვრილებით ამცნო მამის განზრახვა.

სოლიმი გაშრა. ყაზი გააფრთხილა, ორ დღეს აულში არ გამოჩენილიყო, მანამდის კი მოიფიქრებდა რამეს.

3.

მეორე დილით დოთიმ ყაზი მოძებნა, მაგრამ შინ არ დაუხვდა. ქალაქს წავიდაო, უთხრეს.

იმ დღეს სოლიმმა ცხენები შეკაზმა და მამას დაუძახა: საქონელს ჭირი გასჩენია და მთაში წავიდეთო.

— ვინ გითხრა? — შეშფოთდა დოთი.

— ბარსაგის ბიჭი ჩამოვიდა და იმან ჩამოიტანა ამბავი. აჩქარდი, თორემ გზაში შემოგვაღამდება.

— შენ რომ წასულიყავი?

— არა, არა, შენც უნდა წამოხვიდე. საქონელი შენია. სულ იმას მაყვედრი, ჩემს ქონებას ეპატრონებიო. წამოდი, შენი თვალით ნახე, რაშია საქმე. მე რად უნდა ვიკისრო პასუხისმგებლობა.

დოთის რატომღაც შინიდან გული არ მიუწევდა. მაგრამ სოლიმმა თითქმის ძალით შესვა ცხენზე.

აღმართზე გაუჭირდათ ცხენებს, სოლიმმა მარჯვნივ შეაბრუნა თავისი ქურანა და მამის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ცხენები მშივრები არიან, ამ გზით გაუჭირდებათ, შორიდან მოვუაროთ.

დოთიმ არაფერი თქვა. მიდიან მამა-შვილი, მიდიან და ორივე საკუთარ ფიქრებშია ჩაფლული. მალე უფსკრულის თავზე საცალფეხო ბილიკზე გავიდნენ.

— საით წამომიყვანე. ბიჭო, აქ ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და კლდეზე გადავიჩეხებით.

სოლიმი ცხენიდან ჩამოხტა.

— ჩამოხე, ბაბა, თორემ აქ ცხენდაცხენ ვერ გავალთ.

— უკან გავბრუნდეთ.

— უკან გასაბრუნებელი გზა აღარა გაქვს...

— რაო? ხომ არ შეიშალე?

— ჩამოდი, ჩამოდი!

— იქით, შე დორბლიანო!.. — დაიღრიალა დოთიმ.

— ხმა! ნუ ღრიალებ, მაინც ვერავინ გაიგონებს. — სოლიმმა აღვი-

რში უტაცა მამას ხელი, ცხენი დაფრთხა და დოთიმ მატყლით გატენილი ბარდანასავით ძირს მოადინა ბრაგვანი.

— რა განიზრახე, წყეულო? — დაიკვნესა მოხუცმა.

— უნდა მოკვდე! — მშვიდად, თითქოს ქორწილში ისტუმრებსო, ისე უპასუხა სოლიმმა.

— მე მეუბნები მაგას? — თვალები გადმოკარკლა დოთიმ.

— ჰო, შენ!

— კი მაგრამ, რა დაგიშავე ისეთი, რატომ მოგივიდა ასეთი განზრახვა თავში? — ხმა აუკანკალდა დოთის.

— რასაც დათეს, იმას მოიმკიო, — არ გაგიგონია? ხომ არ დაგავიწყდა დედაჩემის ამბავი. ავად იყო, ხელს აღარ გაძლევდა, შენც ადექი და უცუნა შეაპარე. სწორედაც მოიქეცი. აღარაფრის თავი ჰქონდა, რაღად გინდოდა.

ახლა შენ მე მიშლი ხელს, ვიღაც კახპა დედაკაცს მანაცვალე. ქონებას იმას უტოვებ, მე კი ცარიელზე გინდა დამსვა, მშიერს ამომხადო სული: მაგრამ მე სულაც არ მაწყობს შენი განზრახვა. ამიტომ ჯობია შენ მოკვდე. მე ახალგაზრდა ვარ, სიცოცხლე მინდა, შენ კი შენი დრო მოგიჭამია, ღმერთია მოწამე, ცუდს არაფერს ვაკეთებ, ჩემს ადგილზე შენც ასე მოიქცეოდი.

— წყეულო, შხამიანო გველო, რატომ არ გიცნობდი, რომ ადრევე გამეჭეჭყა შენთვის თავი.

— გველისაგან გველი გამოდის, მგლისგან — მგელი... ჰოდა, როცა გველი კბენას დააპირებს, თავს უჭეჭყავენ.

— შემიბრალე, შვილო, მამა ვარ შენი. ღმერთს ნუ განარისხებ, არ ჩაიდინო ეგ საშინელება, მამის სისხლში არ გაისვარო ხელი. ქვეყანაზე თავი მოგეჭრება, — მუხლებზე დაეცა დოთი.

— ფუ, რა ლაჩარი ყოფილხარ, ადექი, ადექი, და ვაჟკაცურად შეხვდი სიკვდილს. ორი გზა გაქვს. ერთი, აგერ, იმ კლდიდან, მეორე კი აქედან. აირჩიე, რომელი გირჩევნია. თუ ეგენი არ მოგწონს, მაშინ აი ეს, — სოლიმმა ჯიბიდან უცუნის ფხვნილით სავსე პატარა შუშა ამოიღო, გეცნობა? დედაჩემი ამით გაისტუმრე საიქიოს. მართალია, ამით ცოტა მეტხანს იწვალებ... საწყალი დედაჩემი მთელი ღამე იტანჯებოდა. მე მგონია, ამას ის ორი გზა სჯობია. თვალები დახუჭე და წუთში სამოთხეში ამოყოფ თავს.

— ღმერთო დიდებულო, ეს რა წყეული გამიზრდია! რა გინდა ჩემგან, აქ რისთვის მომიყვანე?

— შინ არ მოხერხდებოდა... აქ კი... ვიტყვი, ცხენი დაუფრთხა და უფსკრულში ჩაიჩეხა-მეთქი. ადამიანურად მოკვდები და პატივით დაგასაფლავებ.

მიხვდა დოთი, რომ დადგა სიკვდილის ჟამი. კიდევ გაიბრძოლებდა, მაგრამ ბებერ მუხლებში თითქოს ტვინი გაუწყალდა, ძალა გამოელია და ბძროლის თავი არა აქვს. გულის სიღრმეში არც ამტყუნებს შვილს. თვითონაც ასე მოიქცეოდა.

— ბიჭო, ის ქალი არაფერ შუაშია, ცუდად ნუ მოექცევი. როცა მოკვდება, ჩემს გვერდით დაასაფლავე. შემომფიცე, რომ ამ უკანასკნელ სურვილს შემისრულებ.

— ვფიცავ! — მაგრამ რატომ გგონია, რომ სულელი ვარ? ყაზისთან ვინ გაგგზავნა? დარდი ნუ გაქვს, ისე მოვუვლი, როგორც ეკადრებიჰა, კიდევ რა გაქვს სათქმელი?

დოთი ნელ-ნელა წამოდგა. კიდევ ერთხელ მიმოიხედა. არ უნდოდა სიკვდილი. მაგრამ თუ სიკვდილია, დეე, მისი მკვლელიც მოკვდეს. ო, რა დამშვიდებით მოკვდებოდა დოთი! მისი ქონება აცირუხსს დარჩებოდა. რა არ ხდება ქვეყანაზე, ხომ შეიძლება, ეს მგელი თვითონ გახდეს თავისივე განზრახვის მსხვერპლი. და დოთის ძარღვებში ავად აქოთქოთდა დუბელა სისხლი. წამის მეასედში დააძრო ქარქაშიდან ხანჯალი და ბებერი ჯიქივით ისკუპა. იმარჯვა სოლიმმა, გვერდზე გახტა. დოთიმ თავი ვეღარ შეიმაგრა და უფსკრულში დიდი ლოდი გადაიყოლა.

— ბებერი მგელი. არ ისურვა ადამიანური სიკვდილი. ძაღლი ჩაგაკვდეს სულში! — ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოიბერტყა და უფსკრულში გადააფურთხა. ეშვი რომ ეარავის აეღო, მამას ცხენიც მიაყოლა, თვითონ კი ღრიალითა და თავში ცემით დაბრუნდა აულში. დოთის კლდეზე გადაჩეხვის საზარელი ამბავი შეატყობინა ხალხს.

მეზობლებს დიდად არ სწყენიათ სისხლისმსმელი დოთის დაღუპვა. წეხისამებრ დაასაფლავეს. ქელეხში ჭამეს და სვეს. ეს იყო და ეს.

სოლიმმა მამის დასაფლავებიდან ერთი კვირის შემდეგ ყაზის თავისი მისცა. იმასაც რა ენაღვლებოდა, გაკმინდა ხმა.

თავი მეათე

გიჟობაში უკულმართი...

1.

ერთ დღეს აცირუხსმა სიტყვა ჩამოუგდო სოლიმს:

— ხომ ხედავ, ოჯახის საქმეს ვეღარ ვერევი, შენ სულ გარეთა ხარ, შინაობისთვის ვერ იცლი. ცოლი შეირთე. დროც არის, ხანში შეხვედი, თმაში ჭაღარა გამოგერია, ქონებას იძენ, ეგ კარგია, მაგრამ აბა დაფიქრდი, რად გინდა? ხომ იცი, სიკვდილის მეტი ყველაფერი ადრეული სჯობია, შენ კი დაგიგვიანდა კიდეც. მოიყვანე ქალი, მეც შემიმსუბუქდება ტვირთი.

აცირუხსის სიტყვა ჭკუაში დაუჯდა სოლიმს. მართლაცდა როდემდის უნდა იყოს მარტო. აცირუხსსაც უჭირს. ოჯახი დიდია, ერთი ავად-

შეყოფი ქალი რას აუვა. თანაც დრო მიდის. ორმოცისა გახდა უკვე. როდისღა რას მოეწევა. მაგრამ ვინ ითხოვოს? არავინ მოსწონს, დაგვიანებაც რომ აღარ შეიძლება? და ქალიმათი არც მოჰგონებია, რაღიძუარის[1] დღეობაში წავიდა საბედოს საძებნელად.

მილეთის ხალხმა მოიყარა თავი დღეობაში. ვინ საქეიფოდ მოსულიყო, ვინ ჯირითში მონაწილეობის მისაღებად, ვინ კურატის შესაწირად და ვინ ბედის საძიებლად. საყდრის წინ ველზე წიფლის ხეებქვეშ შავთვალა, ხუჭუჭთმიანმა ქალიშვილმა ფანდირი აახმიანა და საამო ჰანგები მოეფინა ხეობას.

მზე კარგად იყო ამოსული, გაბო რომ საყდარში შევიდა. სამწყალობო დიაკვანს გადასცა, თვითონ ნალყუთას გახედა, რომელიც თავის მეგობარ ქირქისას რაღაცას ეჩურჩულებოდა და გულიანად იცინოდა. გაბოს ვაჟი ბულათიყო ადრე წამოვიდა, მამასა და დას არ დაუცადა. გაბო მას მილეთ ხალხში თვალებით ეძებდა, მაგრამ რას იპოვიდა. ქალიშვილებმა მაშინვე ლხინს მიაშურეს. გაბო კი ნაცნობთან ლაპარაკს შეჰყვა.

ლხინი გახურდა. საცეკვაო მოედანზე გამოჩნდა შუახნის კაცი, იგი იმ ასაკში იყო, ცეკვა რომ აღარ შეშვენის. მაღალი, საფეთქლებშეჭაღარავებული, ცოტა სასაცილოდაც კი გამოიყურებოდა. ყველაფერი ახალი ეცვა. მის ხნოვანებას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს თეთრი ჩოხა-ახალუხი და მტრედისფერი უძიროები. კმაყოფილ სახეს რაღაც უტიფარ ელფერს აძლევდა დაწკურული ბოროტი თვალები. ხშირ შავ ულვაშებში აქა-იქ ჭაღარა გამორეოდა. წელზე ცალ მხარეს დამბაჩა ეკიდა, მეორეზე — ხანჯალი. ერთი სიტყვით, ბერბიჭა ბიჭობდა. უცებ წრე გაიღვია და მოედანზე გადახტა.

— გოგოებო, შეჯიბრში გიწვევთ, სახალხოდ ვაცხადებ, ვინც ცეკვით დამღლის, იმისთვის ერთი ოქროს თუმნიანი მიჩუქებია! — ისე დაიძახა, რომ ყველას გაეგონა.

ფანდირი იწელება, დოლი კიდევ უფრო გაფიცხდა.

— ტაში! ტაში! — ისმის აქეთ-იქიდან.

მოცეკვავე ბერბიჭა სოლიმია. იგი დღეობაში ბედის საძიებლად ამოვიდა, ახლა ხან ერთ ქალიშვილს იწვევს საცეკვაოდ, ხან მეორეს, თვალში კი ჯერ არავინ მოსდის.

ნალყუთა და ქირქისაც დგანან და ლხინს უყურებენ. სოლიმმა შორიდან მოჰკრა მათ თვალი და უცებ ნალყუთას წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა, საცეკვაოდ გაიწვია. ქალიშვილმა იუარა, მაგრამ ძალით გაიყვანეს წრეში.

ცეკვავს სოლიმი, თავს აღარ იზოგავს. ორ არშინზე შეხტება, მერე თითის წვერებზე აღიმართება. ხან ბუხარული კრაველის ქუდს მოიხდის, უნდა ნალყუთა მკლავებში მოიქციოს, ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანოს ქუდი, მაგრამ ნალყუთა ამის საშუალებას არ იძლევა, იგი

---

1 *რაღიძუარი* — *წვერის ანგელოზი* (*რელიგიური დღესასწაული*).

სწრაფად ცვლის ილეთს და გედივით სხვა მხარეს გაცურდება ხოლმე. სოლიმი გაშმაგდა.

ნალაყუთამ შეამჩნია, რომ სოლიმი დაიღალა. ახლა ქალიშვილმა იგდო ხელში ინიციატივა და ნაგვიანევ სასიძო ბერბიჭას ლამის სული ამოაძროს. სოლიმს შუბლი კურკანტელის მარცვლისსისხო ოფლის წვეთებით დაეცვარა. მაინც არ იტეხს იხტიბარს, ცეკვავს, ცეკვავს შეუჩერებლივ. ნალაყუთა მიუახლოვდა, სოლიმმა ქუდის ილეთი გაიმეორა, მაგრამ ქალიშვილი უცებ გაეცალა და აქ მოხდა მოსახდენი, სოლიმმა, თავი ვერ შეიმაგრა და ტუჩები დაჰკრა მიწას.

ფუტკრის სკასავით აგუგუნდა მოედანი. გოგოები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. ვაჟებმაც ჯავარი გადაიყარეს.

— ჰა, რომელი ხართ მარჯვე? ამოიღოს ოქროს თუმნიანი. — მოედნის შუაში ჯეირანივით მოიღერა ყელი ნალაყუთამ.

სოლიმს თვალი ვეღარ მოჰკრეს, შერცხვენილი გაიპარა. ოქროს თუმანიც აღარ მოჰგონებია.

—ჰა, რომელს გერჩით მუხლში ძალა! — აქეზებდა დარცხვენილ ახალგაზრდებს ნალაყუთა.

— ხსართაგ, გვიხსენი გასაჭირიდან, — ეჩურჩულება მეგობარს აძიბე.

— შენ თვითონ სცადე ბედი, აძიბე.

— კარგი ერთი, ნუ იცი ხოლმე გაჯიუტება, მოგვეჭრა თავი და ეგ არის. — თან ხელით უბიძგა ხსართაგს.

— რაკი ანთებული მუგუზალი მამაკაცებს ესროლე, იყოს ნება შენი, მზეთუნახავო ასულო.

ჭაბუკმა ქალიშვილს თვალი თვალში გაუყარა. სოლიმის ნაცვლად ახლა ნალაყუთას პირდაპირ იდგა ახლად წვერულვაშაშლილი, კარგად მოყვანილი. ახალგაზრდა. ფართოდ გახელილ მეტყველ თვალებში მთელი ქვეყანა ჩაეტეოდა. მოკლედ შეკრეჭილი შავი კოკობი ულვაშები ვაჟკაცურ იერს მატებდა მის ეშხიან სახეს. ტანზე უბრალოდ ეცვა: შინნაქსოვი შალის შავი ჩოხა და სატინის რუხი ახალუხი, თავზე თეთრი ნაბდის ქუდი ეხურა.

— ვცადოთ ბედი! — ამაყად გასძახა ქალიშვილმა. — მხოლოდ საჩაძლეოზე.

— იყოს ნება შენი, მაგრამ არა ოქროს თუმნიანზე.

— მე შენს ქუდსაც დავჯერდები!

— თანახმა ვარ! — უთხრა ვაჟმა.

და დაიწყო შეჯიბრი. ტაში გაძლიერდა. ნალაყუთა გედივით დაცურავს წრეში. თითისწვერებზე შემდგარი ხსართაგი დასაჭერად დასდევს მას. ნალაყუთა დაიღალა, ვაჟი კი უფრო გახელდა. ფანდირი ორ ცეცხლოვან გულს შორის შუამავლობს. ნალაყუთა მიხვდა, რომ ეს ჭაბუკი სულ სხვა არის, იმ ბერბიჭას არ ჰგავს, ოქროს თუმნიანით რომ მოიწონა თავი, მაგრამ წრეში რუმბივით გაგორდა. შედგა ნალაყუთა, ქალაღაის თავსაბური ააფრიალა.

— სიტყვა სიტყვაა, ქუდზე ვიყავით დანაძლევებული, გიჯობნია, — აიღე ჩემი თავსაბური!

— მშვენიერო ქალწულო, თავსაბური მშვიდობაში გაგეცვითოს. რად მინდა იგი, ჩვენში მისი ტარების ღირსი არავინ არის.

— პირობა ასეთი იყო. თუ არ აიღებ, მეწყინება!

— იყოს ნება შენი, მხოლოდ ერთსა გთხოვ, მომეცი უფლება, ეს ძვირფასი თავსაბური, ვისაც მინდა, იმას ვაჩუქო.

— თავსაბური შენია, აჩუქე ვისაც ღირსად ჩათვლი.

— შენზე მეტად ეს არავის დამშვენდება. ნუ ითაკილებ ჩემგან საჩუქარს, პირმშვენიერო, ჩემს სახსოვრად ატარე იგი.

ნალყუთა თამამი იყო. ახლა კი ამ ჭაბუკმა როგორღაც შებორკა, ცეკვაში ხომ აჯობა და აი, ახლაც მოუგო. გაწითლდა ქალიშვილი, თავდახრილმა აიღო უცხო ვაჟისაგან საჩუქარი.

— გმადლობ, შენს სახსოვრად ვატარებ... — ჭაბუკი ხალხში გაუჩინარდა.

იქით დღე გამართულიყო. ახალგაზრდობა ახლა დღის საყურებლად გაეშურა.

— წამოდი, ჩვენც ვუყუროთ, — ხელკავი გამოსდო ნალყუთას ქირქისამ, მაგრამ ნალყუთა გაშტერებული იდგა. — ჰა, რა დაგემართა, რა სარგადაყლაპულივით დგახარ?

— ქირქის, ვინ იყო ის ბიჭი? — ვერ მოითმინა ნალყუთამ.

— დედაჩემის აულიდან არის, ხსართაგი ჰქვია, ბესოლთი გვარისაა. რა იყო?

— არაფერი, რა ლამაზი თვალები აქვს...

2.

თავი მოეჭრა სოლიმს. და მერე როგორ? ხვალვე ლექსს გამოუთქვამენ. სანამ მისი თავის მოჭრა არ გახმაურებულა, მანამდე უნდა იძიოს შური. მოიტაცებს იმ ქალიშვილს და თვითონ გახდის სალექსოდ. მაგრამ ჯერ ხომ არ იცის ვინ არის, სადაურია? ძებნა დაუწყო ნალყუთას, უცებ თვალი შეასწრო და მისკენ გაიშურა.

— ქალიშვილო, მაპატიე კადნიერება, თუ შეიძლება, სიტყვა მაქვს შენთან.

ნალყუთას სოლიმის დანახვაზე ფერი ეცვალა, არ ესიამოვნა, ეს უცხო კაცი მასთან ლაპარაკის ნებას რომ ითხოვდა. თვალით ძმა მოძებნა. მაგრამ ის დღისათვის ემზადებოდა და შორს იყო.

— ლამაზო ქალო, ნუ შეგეშინდება ჩემი.

— რა არის, გაბრაზებული ხომ აღარა ხართ? — კითხვა შეაგება ნალყუთამ.

— მაპატიე, მე სიტყვა არასდროს გამიტეხია. მომიგე და აი სანაძლეო, ინებე.

— როგორ გეკადრებათ, შეიძლება სხვაგან დაგჭირდეთ.

— არა, ბევრი ეცადა მაგის მოგებას, მაგრამ ბედმა მხოლოდ შენ გაგიღიმა.

— წაიღე, წაიღე და შენს პატარებს ჩემს მაგიერ ტკბილეული უყიდე.

— გოგო, ნუ გავიწყდება, რომ კაცი ვარ და ქუდს ვატარებ, — მკაცრად უთხრა სოლიმმა.

— ჰოდა, თუ ქუდს ატარებ, რას ეჩხუბები მას, ვინც თავსაფარს ატარებს? — ისევ მწარე სიტყვა ესროლა ნალაუთამ.

ქირქისამ ქაქანით მოირბინა.

— რა იქენი, ნალაუთა, ბულათიყო გავიდა დოღში, ჩქარა, წამოდი, — და ქირქისამ თითქმის ძალით გაიტაცა ნალაუთა. სოლიმს უნდოდა ქალიშვილისათვის მკვახე სიტყვა ეთქვა. მაგრამ ბულათიყოს ხსენებამ შეაჩერა. სოლიმი კარგად იცნობდა მას. ახლა უკვე მიხვდა, რომ ბულათიყოს სახელოვან დასთან ჰქონდა საქმე. გაბოს სახელიც გაეგონა. ბულათიყო ერთი უკეულმართი და თავზეხელაღებული ახალგაზრდა იყო. უბრალო რამეზე კაცს წიწილასავით წააცლიდა თავს. იმასთან ხუმრობა ცეცხლთან თამაშს უდრიდა. განზე გადგა სოლიმი. აი მოჯირითეები მოედანზე გამოვიდნენ. სოლიმმა მაშინვე იცნო თეთრ ულაუზე ამხედრებული ბულათიყო. საოცარ ილეთებს აკეთებდა. სოლიმი მოხიბლა, თვალს ვეღარ აშორებდა.

მხედრები ერთიმეორეს ენაცვლებიან, მჯობნის მჯობნი აღარ ილევა.

სოლიმის ჯერმაც მოაწია, მაგრამ მოედანზე გამოსვლა მოულოდნელად გადაიფიქრა. მართალია, ჯირითს ვერავინ დაუწუნებს, მაგრამ ახლა რატომღაც ვერ გაბედა ხალხის წინაშე გამოსვლა. ისე კი უნდა. ბულათიყოს აჯობოს, თვითონ თუ არა, სხვა ვინმემ მაინც. და აი, სოლიმს ხსართაგი გაახსენდა, იმაზე უკეთესი მოჯირითე ოსეთში მეორე არ ეგულება, მაგრამ ცხენი არა ჰყავს და შეჯიბრში მონაწილეობას არ იღებს. რა იქნება, სოლიმმა თავისი ქურანა ათხოვოს!

მაშინვე მოძებნა ხსართაგი.

— ხსართაგ, მოდი აქ. — შორიდან დაუძახა ჭაბუკს, — თუ ჯირითში მონაწილეობის სურვილი გაქვს, წაიყვანე ჩემი ქურანა. რაღაც ხასიათზე ვერა ვარ. ხომ იცი, შენს მეტს ჩემს იაბოს არავის ვანდობ.

— იცოცხლე, სოლიმ, ვიცი, რომ ხათრი გაქვს ჩემი, მაგრამ ახლა ძნელად არა ვარ.

— რა მომზადება გინდა, ხომ იცი, ჩემს ცხენს ბადალი არა ჰყავს, და კარგი მხედარიც შენა ხარ. არ დაგავიწყდეს, საქმე ჩვენი აულის ღირსებას ეხება. სხვებმა რატომ უნდა გვაჯობონ.

ხსართაგი ყოყმანობდა. ასეთი დოღისთვის მხედრები მთელი წელი ვარჯიშობენ ხოლმე. ის კი არ მომზადებულა. დოღში გამარჯვებული მთელი ხეობის პატივისცემას იმსახურებს. შორს გაუვარდება ხოლმე სახელი. ყველაზე ლამაზი და სახელოვანი ქალიშვილი მის ცოლობას

ბედნიერებად ჩათვლის. ხსართაგს თვალწინ ნალყუთა წარმოუდგა. რა იქნება, მართლა სცადოს ბედი.

მაგრამ ნალყუთას გულის მოგება არც ისე ადვილია. მთელს ხეობაში ცნობილი გაბოს ერთადერთი ქალიშვილია, თამამიც იმიტომაა, თანაც ანგელოზივით ლამაზია, ხსართაგი კი საწყალი ბიჭია. ცხენიც კი არა ჰყავს საკუთარი. გულში ცეცხლივით ჩაუვარდა ნალყუთას სახება, გავა, რაც არის არის, იქნებ, ერთხელ კიდევ დაინახოს ის...

3.

— მოდიან! მოდიან! — დაიძახა ვიღაცამ. ხალხი წინ გაიჭრა. ყველას უნდა პირველმა დაინახოს გამარჯვებული.

ხეობის ვიწროდან ორი ცხენოსანი გამოხტა. ხან ერთი დაწინაურდება, ხან მეორე; ღორღიან გზაზე ცხენთა ფლოქვებიდან ნაპერწკლები იფანტება. პირველობას არც ერთი თმობს. მოსახვევში ნალყუთამ ბულათიყო იცნო, მაგრამ, მეორე ვინ არის? ბულათიყოს ერთი ნაბიჯითაც არ უშვებს წინ. ვინ გაიმარჯვებს? ნალყუთა მოუსვენრად ტოკავს, გრძნობს, ის მეორე ღირსეული მეტოქეა ძმისა.

— უყურეთ, უყურეთ, ლურჯი ცხენი დაწინაურდა!

— არა, კაცო, თეთრი წამოეწია.

— ჰე, ჰე, ჰე, ყალყზე დადგა, ყალყზე!

— ნეტავ ვინ არის მეორე?!

ნალყუთამ მღელვარებისაგან თვალები დახუჭა. გული ძალუმად ეხეთქება მკერდის ფიცარს.

— უყურეთ, თეთრცხენოსანი დაწინაურდა! — გაიგონა ნალყუთამ და თვალი მაშინღა გაახილა.

თეთრი ცხენი ხეობის მოსახვევში გამოჩნდა. ახლა უკვე გადაწყვეტილი იყო შეჯიბრის ბედი. გამარჯვებული ბულათიყო იქნებოდა და ძოხდა საოცრება. ფინიშთან პირველი ლურჯცხენიანი მხედარი მოვიდა. ნალყუთამ თვალებს არ დაუჯერა, ცხენზე ხსართაგი იჯდა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ვერ მიხვდა, გაუხარდა თუ ეწყინა მისი გამარჯვება.

დაიქუხა თოფმა. ხალხმა გამარჯვებულად ხსართაგი სცნო. ცხენიდან ციმციმ გადმოიყვანეს და რამდენიმეჯერ მაღლა შეისროლეს.

მერელა გამოჩნდა ბულათიყო. სიბრაზისაგან ფერი დაჰკარგოდა. ტუჩები უკანკალებდა. ნალყუთა მიხვდა, რომ მისი ძმა უკიდურესად იყო გამძვინვარებული.

— ქირქილს, მიშველე, ბულათიყო ძალიან გაჯავრებულია, ავი არაფერი ჩაიდინოს. — ორივე იქით გაიქცა, სადაც ბულათიყო იდგა.

მაგრამ დაიგვიანეს...

სოლომის ჩანაფიქრი გამართლდა. ბულათიყოს თავმოყვარეობა შეელახა. ვეღარ მოერია თავს და გამარჯვებულს გაჯავრებული დათვივით ეკვეთა.

— ვის გაუბედე შენ გამასხარავება, შენი დედა... შენი!... — იღრიალა მან და ხსართაგს ლოყაში სილა ლეწა.

ხსართაგს თვალთ დაუბნელდა, დაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა, თავი შეიმაგრა, უცებ თვალი შეასწრო, მოწინააღმდეგემ როგორ იძრო ხანჯალი. რომ არ ემარჯვა, ფათერაკი დაატყდებოდა თავს, მარწუხივით თითები შემოაჭდო მაჯაზე ბულათიყოს, ხანჯალი ხელიდან გააგდებინა და საპასუხო ალიყურიც უთავაზა.

ახალგაზრდებმა ხსართაგი გაიტაცეს. სოლიმმა თავისი ცხენის აღვირი შეაჩეჩა ხელში და მკაცრად გააფრთხილა:

— აგერ ცხენი, მოახტი და გაქრი აქედან, თორემ ხიფათი არ აგცდება.

ბულათიყო იწევდა, იმუქრებოდა. ვერა და ვერ დააწყნარეს. ნალყუთამ მაჯას დაუძახა. გაბომ კისერში წაავლო ხელი და კატის კნუტივით აიტაცა მაღლა.

— ხმა, კრინტი არ დაძრა, თორემ საკუთარი ხელით დაგახრჩობ.

ბულათიყო შეკრთა. მამის რიდი ჰქონდა.

— აბა, ახლავე შეჯექი ცხენზე და აქ აღარ დაგინახო, თორემ ღმერთს გეფიცები, რაც სიგრძე გაქვს, იმ სიგანეს მოგცემ!

იცოდა შვილმა, რას ნიშნავდა მამის მუქარა. ბრაზის გულში ჩაკვლა რომ ვერ მოახერხა, საკუთარი ხორცი კინაღამ დაიჭამა. მერე ერთი ისკუპა და თავისი თეთრონი თავქვეში მიუშვა. ნალყუთამ თვალები დახუჭა, ფერი წაუვიდა, შეეშინდა, კლდეზე არ გადაიჩეხოსო.

4.

მლოცავებმა ხატის ქვეშ გაშალეს სუფრა. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მიჰყვა, გამხიარულდნენ. გაბო თამადის გვერდით იჯდა, მაგრამ არცა ჭამდა და არცა სვამდა. ბულათიყოს ჩხუბმა ჩააშხამა ბედნიერი დღე, თანაც ეშინოდა, იმ ჩერჩეტმა არაფერი ჩაიდინოსო და სუფრიდან ყველაზე ადრე ადგა. ნალყუთა მოძებნა და შინისაკენ გაუდგნენ გზას.

უნაგირი დაინახეს დერეფანში და გულზე ეფონათ. ბულათიყო შინ იყო. გაბომ იცოდა შვილის ხასიათი, სანამ არ დაშოშმინდებოდა, მასთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, ამიტომ აღარ შეეხმიანა. ნალყუთას ლოგინი გააშლევინა და დაწვა.

გაბოს აეი ფიქრები ჭიანჭველასავით დაეხვია, ვის დაემსგავსა მისი ბულათიყო? დედამისი ქოსერი, ნათელში ამყოფოს უფალმა, მთელ აულს უყვარდა, თვალში რომ ვისმე ჩავარდნოდა. ხელს არ მოისვამდა. გაბომ ქოსერის სიკვდილის შემდეგ ცოლი აღარ შეირთო. გოგოა და, უბნის თვალია, დედას დაემსგავსა, ჭკვიანი, აზრიანი.

„არა, მკაცრად უნდა მოველაპარაკო, სანამ ხიფათს არ გადაეყარა და ჭაღარა ტალახში არ ამომისვარა“, — გადაწყვიტა გაბომ და შფოთიანი ძილით ჩაეძინა.

გვიან დაწვა ნალყუთა. უნდა დაიძინოს, მაგრამ თვალზე რული არ ეკარება. ლოგინში შამფურივით ტრიალებს. საკვირველია, რა დაემართა. წინათ ბალიშზე მიდებდა თუ არა თავს, მაშინვე ჩაეძინებოდა. ის შავგვრემანი, შავთვალა ბიჭი ხომ არ არის მიზეზი? საკვირველია,

ნალყუთას იმაზე ლამაზი და მოხდენილი ბიჭებიც თხოულობენ, მაგრამ არც ერთი არ გიიკარა გულმა. ამან კი საგონებელში ჩააგდო. ქალიშვილი ცდილობს ვაჟის სახე განდევნოს გონებიდან. ის კი ყოველი ბბრიდან უმზერს. მერე რა თვალით უყურებს ნალყუთას.

მაგრამ არა, დღევანდელი ამბის შემდეგ იმ ბიჭზე ფიქრის უფლება არა აქვს ნალყუთას. როგორ გაარტყა ბულათიყოს? დოღშიც გაასწრო! რატომ დაამცირა მისი ძმა? იცის ნალყუთამ, როგორ იტანჯება ბულათიყო. ალბათ სიბრაზით ხელებს იმტვრევს. არც მამაა უკეთეს დღეში. რატომ გაუმწარდა ეს ღამე ყველას? რატომ?

არა, რა თქმა უნდა, ბულათიყო არ არის მართალი. ხსართაგი?.. ოჰ, ნეტავ არ მომხდარიყო ის ამბავი. ნეტავ სცოდნოდა, ბულათიყო რომ ძმაა ნალყუთასი. მაშინ იქნებ არ გაესწრო წინ. ო, არა, ღმერთმა დაიფაროს, მაშინ ნალყუთას ძილი არ გაუკრთებოდა, არც არასოდეს გაახსენდებოდა.

მაინც რა კარგი ბიჭია, რა მშვენიერი თვალები აქვს. ოჰ. დედა, დედა, ნეტავ?.. მაგრამ არა, რამ მაფიქრებინა, ეს არასოდეს მოხდება. ჩემი ძმა და ის ახლა დაუძინებელი მტრები არიან.

ღმერთო კი მომკალი, რა სისულელეები მომდის თავში. ჩემთან იცეკვა. სხვა რა, არც კი შემოუხედავს. ვინ იცის, ცოლიანიც არის. ან სხვა გოგო უყვარს. ალბათ, აქამდე დავავიწყდი კიდეც. ბიჭი რამდენ გოგოსთანაც იცეკვებს, ყველას ხომ ვერ შეიყვარებს. მაგრამ ჩემი თავსაბური ისევ მე რომ მაჩუქა! რად მითხრა, შენსავით არავის მოუხდებაო. ალბათ იმასაც...

ხსართაგი... ხსართაგი... სახელიც რა ლამაზი დაურქმევიათ. ნეტავ ის მაინც ვიცოდე, ახლა თვითონ რაზე ფიქრობს. ეჰ, რაზე უნდა ფიქრობდეს, ტკბილად ეძინება.

— კი, ეძინება, ნამდვილად ეძინება...

როდის-როდის ჩაეძინა ნალყუთას.

დილით მამის ხმაზე გამოეღვიძა.

— გოგო, შუადღე გახდა, რაღა დროს ძილია!

— წუხელ გვიანობამდე არ დამეძინა, — თვალები მოიფშვნიტა ნალყუთამ.

— შენი ძვირფასი ძმის გადამკიდეს, კიდევაც მიკვირს, როგორ დაგეძინა. ადექი და აქ დამიძახე. ის სალახანა, ისა!

ნალყუთამ სწრაფად ჩაიცვა და ძმის დასაძახებლად გაიქცა.

— ბულათიყო, გძინავს? — წყნარად დაუძახა მან.

პასუხი არავინ გასცა. ნალყუთამ კარი შეაღო და სახტად დარჩა. ბულათიყო იქ არ იყო.

— ბაბა, ბულათიყო წასულა...

გაბომ არაფერი თქვა. გარეთ გავიდა. უნაგირი თავის ადგილზე ნახა, მაგრამ ცხენი აღარსად ჩანდა.

5.

გუშინ ბულათიყო იმ ამბის შემდეგ სახლამდის როგორ მიეიდა, არ ახსოვდა. ცხენს შეუბრალებლად მიაჭენებდა, არც დაღმართი გააჩნდა და არც აღმართი. ასე არასოდეს დაუტანჯია თავის თეთრონი, მაგრამ მაშინ არაფერზე აღარ ფიქრობდა და, მით უმეტეს, ცხენი არც გახსენებია. უნაგირი მოხადა და მარგილზე მიაბა, მერე გრძელი სარი მოძებნა და უნთო და უნთო ერთგულ პირუტყეს:

— შე უპატრონოვ, როგორ გაუშვი წინ ის ჯორცხენა! თუ შენც ჩემი შერცხვენა გინდოდა! — ჰა, ეგეც შენ... ეგეც შენ... ქშინავდა ბულათიყო და ცხენს რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ურტყამდა. საცოდავად ჭიხვინებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და თოკის გაწყვეტას ცდილობდა ცხენი, გაწყვიტა კიდეც. ერთი ნახტომით გადაევლო ღობეს და ისარივით გაფრინდა ტყისკენ. ამან უფრო გაამწარა ბულათიყო. ცოფიანივით დარბოდა ეზოში. გადმოკარკლული თვალები სისხლში უტრიალებდა. უცბად კედელზე ჩამოკიდებული თოფი დაინახა. ავმა ფიქრმა დაუბნელა გონება.

სანამ გვიან არ არის, სანამ მისი შერცხვენის ამბავი მთელ ხეობას არ მოსდებია, მტერი საიქიოს გზას უნდა გაუყენოს... ჯერ ადრეა, ხეობის ვიწროში ჩაუსაფრდება და...

თოფი მხარზე მოიგდო და ეზოში გამოვარდა, მაგრამ უცებ შედგა. ვინ არის მისი მტერი? სადაურია? რომელი გზით წავა? ვერც ერთ კითხვას ვერ უპასუხა გონებაარეულმა.

შინ შებრუნდა და თოფი ტახტზე მიაგდო. კარი შიგნიდან ჩარაზა და საწოლზე დამხობილი ბავშვივით ატირდა. დიდხანს ვერ მოახერხა დაწყნარება, როცა ტირილით გული იჯერა, ადგა, არაყის ხელადა გადმოიღო და პირდაპირ მოიყუდა. თავანკარა არაყმა მაშინვე ძარღვებში დაუარა, ძლივს მოასწრო ბალიშზე თავის დადება, მკვდარივით ჩაეძინა.

შუაღამისას გამოეღვიძა, თავი უსკდებოდა. დასიებული ლოყა ცეცხლივით უხურდა. სარკეში ჩაიხედა, ჩალურჯებული უპე უფრო მკვეთრად აჩენდა ჩასისხლიანებულ თვალს.

შერცხვა! ასე დასიებული და ჩალურჯებული თვალით რომ ნახონ, სალექსოდ გახდიან. არა, აქ აღარ ედგომება. უნდა გადაიკარგოს სადმე, ჰო, მაგრამ რას იტყვის მამა! თუმცა რა მამა, რის მამა! სადღა ჰყავს ბულათიყოს მამა! გუშინ იმდენ ხალხში როგორ შეარცხვინა! დედულეთს გაიქცევა, ისინი გაუგებენ და დააწყნარებენ.

მაშინვე წამოხტა. დამბაჩა წელზე ჩამოიკიდა და ხანჯალი მოძებნა. ცარიელი ქარქაში შორს მოისროლა, ვაზნებით სავსე ფილასკა გულზე ჩხუბში ქარქაშიდან დააძრო, მაგრამ მერე რა უყო, ვეღარ გაიხსენა. ცარიელი ქარქაში შორს მოისროლა, ვაზნებით სავსე ფალასკა გულზე გადაიჯვარედინა და მამისეული თოფი ჩამოიღო...

მიდიოდა ბულათიყო. მიდიოდა კი არა, მირბოდა. სანამ აული გაიღ-

ვიძებდა, მთაზე გადასვლა უნდა მოესწრო. მთის წვერს მიაღწია და მზემაც ამოყო თავი. ცოტა შეისვენა. ერთი კიდევ გახედა თავის აულს, ზიზღით გადააფურთხა და მარდად დაეშვა ფერდობზე.

სულ პაწაწინა იყო, დედა რომ მოუკვდა...

პატარა ობოლი დედულეთში წაიყვანეს. ნებიერად გაზარდეს. ობლობა არ იგრძნოსო. ყველაფრის უფლება ჰქონდა, რასაც მოისურვებდა, მაშინვე უსრულებდნენ. თუ რამეს დააშავებდა, არ დასჯიდნენ, ობოლიაო. თუ რომელიმე ბიძაშვილს თავს გაუტეხავდა, რა მოხდა, დისწული ბიძებში უფლებამოსილიაო. დასაქმებასაც ვინ შებედავდა, ცოდვაა. ასე გაიზარდა ბულათიყო.

— შენ, შვილო, ჩვენებურ ღატაკებს ნუ უგდებ ყურს, — ხშირად ეტყოდა ბორსა, — ეგენი შავი ხალხია, შენ კი სხვა ხარ, შენი ფასი იცოდე, მაგათ რომ თავი გაუყადრო, ღორის ტილივით თავზე აგაცოცდებიან, მკაცრად მოექეცი, რომ შიში და რიდი ჰქონდეთ შენი.

ბულათიყო ხედავდა, თვითონ ბორსა როგორ მკაცრად ექცეოდა მოჯამაგირეებს, უბრალოზე სჯიდა. მოჯამაგირეებსაც ეშინოდათ მისი. ბულათიყოს მოსწონდა ეს დამოკიდებულება და ცდილობდა, მოჯამაგირეებს სწორედ ისე მოქცეოდა, როგორც პაპა ექცეოდა. მისი სიტყვა გადიოდა. მის სურვილს წინ ვერავინ დაუდგებოდა. მოჯამაგირეები შეაწუხა თავისი უჯიათობით.

— ჩემს შვილიშვილს ჩემი ჭკუა და გონება დაჰყვა. თითის სიგრძე ბალღი ასეთი აზრიანია, რომ გაიზრდება, თქვენ მაშინ უყურეთ. ახლაც ბევრ ვაჟკაცს არ ჩამოუვარდება.

ბულათიყო გადიდგულდა, დღითი დღე უფუჭდებოდა ხასიათი. სისხლში გაუჯდა ბოროტება, გულქვა გახდა. თავისზე უმწეო მის თვალწინ რომ მომაკვდავი ენახა, წყალს არ მიაწვდიდა. უბრალო რამეზე ჩხუბობდა, არავის დამცირებას არ ერიდებოდა. თუ თვითონ მას ვინმე შეეხებოდა, პაპამისი ქვეყანას დაქცევით დაემუქრებოდა.

— ჩემს ბულათიყოს რომ ვინმემ აწყენინოს, სისხლს დავღვრი, სისხლს! — აყვირდებოდა.

მაგრამ ბულათიყოს მაინც არ უთმობდნენ თანატოლი ბიჭები. უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით სულ განუდგნენ თავწვერა ბიჭს, ერიდებოდნენ, ახლოს არ ეკარებოდნენ. მასთან თამაშიც არავის უნდოდა. გათავხიდებული ჭაბუკი მალე სულ მარტო დარჩა თავის სულელურ ფიქრებთან. იმ ფიქრებმა კი ადიდებული მდინარის ტალღებს მისცეს პატრონი. ტალღებმა თავის ნებაზე გააქანეს და ვინ იცის, როდის დაარჩეჩქვავენ პიტალო ნაპირს. ერთი სიტყვით, გაუკულმართდა ბიჭი, უბრალოზეც ცეცხლივით წამოენთებოდა.

გაბომ შინ წაიყვანა შვილი. მამა მალე მიხვდა, რომ მისი ვაჟი ცუდად იყო აღზრდილი, ცდილობდა სწორ გზაზე დაეყენებინა, მაგრამ აღარაფერი გამოსდიოდა. შვილი მას არ ემორჩილებოდა.

— რატომ მიწყრები, ბაბა, ეგენი მდაბიონი არიან, მე კი კეთილშობილი ვარ.

— უყურეთ, ერთი ამ პაპაილას. კეთილშობილი! კეთილშობილი არა, ჯანდაბა შენს თავს. დილაზე აიღე კომბალი და საქონელი გარეკე საძოვარზე, თორემ მე გიჩვენებ, რა კეთილშობილიც ბრძანდები.

— საქონელს მოჯამაგირეები მწყემსავენ, მე კი მოჯამაგირე არა ვარ, — ზიზღით გააფურთხა ბულათიყომ.

— არადა, იქნები მშიერი, გახსოვდეს, ჩემს ოჯახში მუქთახორებს ადგილი არა აქვთ.

მაგრამ, შეაყარე კედელს ცერცვი, ბულათიყო თავნებობდა.

ერთ დღეს შინ ტალახში ამოსვრილი დაბრუნდა. ნალყუთა ვარცლში ცომს ზელდა. ბულათიყომ ტალახიანი არჭიების[1] გახდა უბრძანა.

— ჩქარა, ახლავე გამიპრიალე და მომართვი.

— კარგი რა, ბულათიყო. ხომ ხედავ ცომსა ვზელ. გაიხადე შენ თვითონ, მერე გაგისუფთავებ.

ბულათიყოს ეუცხოვა დის უარი. ტალახიანი არჭია გაიძრო და ესროლა. ხმაურზე გაბო შემოვიდა. საქმის ვითარება რომ შეიტყო, ბულათიყო კარგა ლაზათიანად მოთელა. ამაზე ბულათიყო სახლიდან გაიქცა. სად არ ეძებეს, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გამოჩნდა. მთაში ასულიყო მწყემსებთან.

მას შემდეგ გაბო ფრთხილობდა. მიხვდა, ცემით ვერაფერს გავხდებიო. ისევ ტკბილი სიტყვა სცადა. ზოგჯერ თითქოს მოტეხავდა მის სიჯიუტეს, თავის ჭკუაზე მოაქცევდა, მაგრამ მერე ისევ მოუვლიდა ბულათიყოს ავი ზნე და მაშინ ყველა უნდა მორიდებოდა.

ახალგაზრდობა კარგად იცნობს ბულათიყოს და სათოფედ არავინ ეკარება. არავის უყვარს აყალმაყალისა და ჩხუბისთავი. ბულათიყოს კი ჰგონია, რომ ყველას მისი შურს და იმიტომ არ უყვართ. ბორსა ხომ ეუბნებოდა, შენ მათზე მაღლა დგახარ, ჭკუითაც და მდგომარეობითაც, ამიტომ შენი ბრძანება მაგათთვის კანონი უნდა იყოსო. მართალი იყო დადა, მაგრამ შვილიშვილს ის აღარ ასწავლა, როგორ მიეღწია ამისთვის.

გუშინდელი ბალღი არ გეგონოთ ბულათიყო. ოცი შეუსრულდა. ვაჟკაცია და მერე როგორი. მის შეხედვას არაფერი სჯობია. რამდენი ქალიშვილის გული დაუკოდავს უცაბედად, მაგრამ გაიცნობენ თუ არა, როგორც ცეცხლს ისე ერიდებიან.

ჰოდა გაიქცა. იქ მიდის, სადაც უყვართ, სადაც დაამშვიდებენ, გაუგებენ გულისტკივილს, სადაც ყოველთვის ყველაფრის უფლებას აძლევენ.

6.

გუშინდელ ამბავზე მკაცრად უნდა მოლაპარაკებოდა შვილს გაბო, მაგრამ გაასწრო ბულათიყომ, ორ დღეს ელოდა, მერე მიხვდა, დედულეთში გაიქცეოდა გაბუტულიო.

---

[1] არჭია — ყელიანი ფეხსაცმელი.

არ უყვარდა მოყვრები გაბოს.

იშვიათი სტუმარია მათი. თუ მაინცდამაინც აუცილებელი არ არის, ერიდება იქ წასვლას. ღამე კი თითქმის არასოდეს გაუთევია მათთან.

არც ახლა მიუწევს გული, მაგრამ მეტი გზა არა აქვს, იმ უკულმართი ბალღის ამბავი აწუხებს. თვალსა და ხელს შუა იღუპება ბიჭი. ბარემ ნანობს, რომ პატარა აღსაზრდელად დედულეთს გაგზავნა, მაგრამ რაღა დროს. ჩავა, მოყვრებს მოელაპარაკება, იქნება გაუჯავრდნენ, დაარიგონ გზასაცდენილი დისწული.

ბინდს მიჰყვა სიძე მოყვრებში. ოჯახი ვახშმობდა. ბულათიყო ბორსას უჯდა გვერდით. როგორც კი მამა დაინახა, ყვინჩილასავით წამოხტა და უყვირა:

— რატომ მობრძანდი, ვინ დაგპატიჟა?!

— ბიჭო, დაეტიე შენს ქერქში და მამას სალამი უთხარი!— დასწია ბორსამ შვილიშვილს ჩოხის კალთაზე.

— მამა! რა მამაა ეგ ჩემი? ეგეც მდაბიოა, უყურეთ რას ჰგავს, ნეხვის სუნი მეცა. — ზიზღით შეპყედა შვილმა მამას.

— გაჩუმდი, გეუბნები, — ხმას აუწია ბორსამ. — ამ სახლში შენზე მეტი უფლება მაგას აქვს. კიდევ ერთი ზედმეტი სიტყვა და აქედან გაგაძევებ! უყურეთ ერთი ამას! ხმა, კრინტი არ გავიგონო! ამ ოჯახში ჯერჯერობით მე ვარ უფროსი!

ბულათიყოს პირზე მომდგარი სალანძღავი სიტყვა ბორსას მუქარამ ენაზე შეაყინა. მხოლოდ კბილებიღა გააღრჭიალა.

— გაბო, შვილო, ბალღის უხეშობა ნუ გეწყინება. ჯერ ახალგაზრდაა, დაფიქრება აკლია. არ უკვირდება თავის მოქმედებას. არ იცის, სად რა თქვას. ახლო მოიწი სუფრასთან, — დაიშაქრა ენა ბორსამ.

— როგორ გავბედო თქვენს სუფრასთან დაჯდომა. სიმამრო, ხომ ხედავთ, შვილი აღარა მკადრულობს, მდაბიო მამის გვერდით ყოფნას თაკილობს, ნეხვის სუნი აწუხებს, — ცრემლი ყელში მოებჯინა მრავალჭირნახულ გაბოს.

— გაჯავრებულია ბიჭი, შემომჩივლა... ზედმეტი მოუვიდა, მართალია, მაგრამ ჯერ ბალღია, შეცდომა ეპატიება, — გამოექომაგა ბულათიყოს ბორსა, — დაჯექი შვილო, დაჯექი.

გაბო სუფრის ბოლოს ჩამოჯდა.

— მერე, რაზეა გაჯავრებული? ვინ რა დაუშავა? ჩხუბი თვითონ წამოიწყო. ეგ, გენაცვალეთ, თავით ცის კარის შემტვრევას ცდილობს, ქვეყნის დანის წვერზე დატრიალება განუზრახავს და ვისი ბრალია, რომ უღონოა, ხომ გაგიგონიათ, მარქენალ ხარს რქები არა რჩება.

— შენ ჩემი რქების დარდი ნუ გაქვს. თუ ვინმე რქების დამტვრევას გამიბედავს, ცოცხალს არ გავუშვებ, მეც კაცი ვარ!

— გონს მოდი, შვილო! ცხოვრება პატიოსნად გამიტარებია და სამარეში სისხლით შეღებილ წვერ-ულვაშს ნუ ჩამატან, — ამოიგმინა გაბომ.

— ნუ გეშინია, დღეის შემდეგ მე მამა აღარა მყავს. სულაც არ

არის შენი საქმე, რას გავაკეთებ, წვერ-ულვაში კი წინსაფარში გამოიხვიე და როცა მოკვდები, სუფთად ჩაგიდებენ კუბოში, თუმცა...

— ბიჭო, ჭკუიდან ხომ არ შეშლილხარ, როგორ ბედავ მამის შეურაცხყოფას, — იღრიალა ბორსამ. — სად დაკარგე ზრდილობა, უფროსის პატივისცემა?

— ეგ არ არის ჩემი მამა! — არ ცხრებოდა ბულათიყო. — ვიღაც ოხერია. რომელმაც თავი მომჭრა ხალხში. მამა რომ ყოფილიყო, გვერდში ამომიდგებოდა. მაგან კი ლოკოკინა მიწოდა.

გაბო თავს იკავებდა, მაგრამ ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო.

— უყურეთ ერთი ამ უდღეურს?! შე უბედურო, აღარც ისე პატარა ხარ, აბა დაფიქრდი, რას წარმოადგენ? რა გაგიკეთებია, რა შეგიქმნია? ბიძების ზურგს წურბელასავით მოჰკიდებიხარ და მუქთად ცხოვრობ. რატომ? რით დაიმსახურე ამის უფლება? შე... შე წყეულო და შეჩვენებულო, შენა, — გაბომ თავი ვეღარ შეიკავა და არყით სავსე ყანწი ესროლა შვილს.

ერთხანს გაქვავებულივით დარჩა ბულათიყო. მერე სუფრის თავზე ისკუპა და ხანჯალი იძრო, გაბომ მოასწრო და ცხვრის გამოხრული კანჭი ჩასცხო მაჯაში. ბულათიყოს ხანჯალი ხელიდან გაუვარდა და ჯამჭურჭლის მსხვრევის ხმა გაისმა.

სუფრა აირია, ბიძებმა ბულათიყო გააკავეს, აქეთ გაბოს ამშვიდებენ.

— მოაშორეთ აქედან! — დაიღრიალა ბორსამ.

— დაიცა, სიმამრო, იყოს, ჯერ არ მითქვამს ყველაფერი!

— არ მოგისმენ, ღატაკო, დაიკარგე აქედან, თორემ ხვალ შენს ცხედარს საკაცით წაასვენებენ, — თავმოჭრილი ქათამივით ფართხალებდა ბულათიყო.

— წავალ, დორბლიანო, შენსავით სულმდაბალი კი არა ვარ, სხვისი შრომით ვიცხოვრო, ლოკოკინა გიწოდე, მართალია, მაგრამ შენ უფრო ღორის ტილს ჰგავხარ. სწორედ მასავით პარაზიტი ხარ. ამ ხალხის სხეულზე მიკრული ღორის ტილი... მწყინს, რატომ გამოხვედი უკუღმართი და მუქთახორა, ან რა უფლება გაქვს, სხვისი შრომით ასე უხვად ისარგებლო?

— იმიტომაც მეზიზღები. — ცოფები გადმოყარა ბულათიყომ. — შენ რომ ღატაკი არ იყო, რა მინდა სხვის კარზე?

— რათა ხარ, მერე? რატომ შენს სახლში არ დაეტევი? ვინ შეგიძენს ქონებას? რატომ არ მუშაობ თვითონ? ყელში როგორ ჩაგდის სხვისი ნაშრომი, შხამად შეგერგოს! როგორ კადრულობ მუქთახორობას? შენ ბრძანე, დღეის შემდეგ მამას აღარ დაგიძახებო, ეგ შენ კი არა, მე უნდა მეთქვა. შენნაირ სალახანას შვილად არ ვიწამებ. აქამდეც არ იყავ ჩემი შვილი, დიდი ხანია ჩემთვის დედაშენთან ერთად დაიმარხე. ახლა კი მთლად ამიღია ხელი. თუ მეტ ჭკუას არ მოიკრებ, დაე მეტად ნულარ მომეჭრება თავი, უკუღმა გივლია, ხალხის რისხვა დაგეცეს მეხად, ამ ხანჯლის ანაწერაც გამხდარხარ. ამის შემდეგ მე და შენ უცხოე-

ბი ვართ. ჩემს ოჯახში შენი შემოტანილი არაფერია, ნურც ნურაფერს მომთხოვ. იცხოვრე მდიდარ ნათესავებში და მათი გადაყრილი ძვლები ხარი, მხოლოდ გახსოვდეს, დღევანდელი გამოხრილი ძვლით ხვალ ყბებს დაგამტვრევენ, ზეგ კი ავდარში ლეკვივით გაგიძახებენ .გარეთ და სადმე ღობის ძირში ამოგხდება სული! ჰა, ეგეც ჩემი საბოლოო სიტყვა! თქვენთან უკაცრავად, მოყვრებო, იქნებ არ უნდა მოვსულიყავი, იქნებ გეწყინათ ჩემი მოსვლა, მაგრამ მოუსვლელობა არ შემეძლო! აღარასოდეს არ შეგაწუხებთ. — ეს სიტყვები უკვე კარებში თქვა გაბომ.

ოჯახში სამარისებული დუმილი ჩამოვარდა. ბორსას უმცროსი ვაჟი წამოდგა, გაბოს გამოედევნა, მაგრამ მამის ხმამ შეაჩერა.

— გაუშვი, წავიდეს! ძაღლს არავინ აცილებს. დღეის შემდეგ მაგისთვის დახშულია ჩემი ოჯახის კარი! გიშველა ღმერთმა, შვილო, ბულათიყო, ჩემი გასაკეთებელი საქმე გააკეთე. ჩემი სათქმელი შენ უთხარი იმ უბედურს! შემოუსხედით სუფრას, განაგრძეთ ვახშობა!

7.

ის დღე იყო და ის დღე, გაბო ლოგინად ჩავარდა. ვეღარა და ვეღარ მოერია ჯავრს. ავადმყოფობამ ფეხქვეშ მოთელა. არ ჩიოდა, არც არას იტკივებდა, მაგრამ დღითი დღე დნებოდა, ძალა ეცლებოდა.

ერთ დღეს ნალყუთა იხმო:

— შვილო, ხომ ხედავ ავადმყოფობამ დამაგდო. შენმა ძმამ მიყო ეს. ნეტავ დედაშენთან ერთად ისიც მომკვდომოდა. ჩემთვისაც კარგი იქნებოდა და შენთვისაც. ჭაღარა შემირცხვინა. თავი მოგვჭრა. რაც მე იმან მაკადრა, მოსისხლე მტერი ვერ შემომბედავდა. მამას არ კადრულობს. ამაზე მეტი უბედურება იქნება? ის ჩვენი აღარ არის, მაგრამ მომავალში რა ელის, ეგ მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის. ცუდი არ მინდა მისთვის, მაინც ჩემი სისხლი და ხორცია. როდისმე შეიძლება მიხვდეს თავის შეცდომას და ინანოს. მაგრამ რა, მე აღარ ვიქნები. ძალიან განვიცდი, შვილო, ვხედავ, როგორ იღუპება ბიჭი და ყოველივე ეს დედულთაგან სჭირს. ბევრჯერ მითქვამს, იცი შენ ეს. საბრალო დედაშენი იმათი უმზრახი ჩავიდა საფლავში. ერთსა გთხოვ მხოლოდ, თუ ოდესმე გაგიჭირდეს, არ მიაკითხო მათ, დახმარებას ნუ სთხოვ. ნურც ჩემს სიკვდილს შეატყობინებ. დიდი ბოლძა მიმდევს იმათგან და თუ მამის ხათრი და სიყვარული გაქვს. ჩემს არემარეზე იმათგან არავინ გააჭაჭანო. ვაჟიშვილი აღარა მყავს, ჩემი მემკვიდრე ახლა შენა ხარ... დაბინავებული რომ მყავდე დამშვიდებული ჩავიდოდი საფლავში, დროც არის შვილო, მთხოვნელები ბევრი გყავს, ამოირჩიე რომელიმე და გამანდე გულის წადილი. იმ ქვეყანაში დედაშენი მისაყვედურებს, ;გოგოს მომავალზე თავი არ შეიწუხეო. მაპატიე, შვილო, გულს რომ გიკლავ, მაგრამ ვიცი, ჭკვიანი ხარ და ყველაფერს სწორედ გამიგებ... — ნალყუთა ტიროდა, მერე მამას მოეხვია და მისი ჭაღარა თავი გულზე მიიხუტა.

ვებული რომ მყავდე, დამშვიდებული ჩავიდოდი საფლაში, დროც არის, შვილო, მთხოვნელები ბევრი გყავს,ამოირჩიე რომელიმე და გამანდე გულის წადილი. იმ ქვეყანაში დედაშენი მისაყვედურებს, გოგოს მომავალზე თავი არ შეიწუხეო. მაპატიე, შვილო, გულს რომ გიკლავ, მაგრამ ვიცი, ჭკვიანი ხარ და ყველაფერს სწორად გამიგებ... — ნალყუთა ტიროდა, მერე მამას მოეხვია და მისი ჭაღარა თავი გულზე მიიხუტა.

— შენ მარტო მამა კი არა დედაც ხარ ჩემი. ნუ მეუბნები მოვკვდებიო, მე უშენოდ მარტოს რა გამაძლებინებს, ბაბა! გათხოვებაზე ჯერ არ მიფიქრია, ვერაფერს გიპასუხებ, ვიფიქრებ და მერე.

— იფიქრე, შვილო, იფიქრე, დრო არის უკვე. შინაბერას დაგიძახებენ.

საფიქრებელში ჩავარდა ნალყუთა. ხედავს, მამამისი დღითი დღე უკან-უკან მიდის, ბულათიყოს დარდმა სიკვდილის პირზე მიიყვანა.

როგორ უყვარდა ნალყუთას ძმა! მისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებდა. ახლა სხვაა. რაც მამას ასე უჯიათად მოექცა, ნალყუთამ გული აიყარა.

მამის საქმე ცუდადაა. უბრალოდ არ იცის წუწუნი. სხვა დროს გათხოვებაზე არ ჩამოუგდებდა სიტყვას, მაგრამ ახლა აღსასრულის მოახლოვებას გრძნობს და შვილის დაბინავება ეჩქარება. ეს ფიქრები შიშის ზარსა სცემს ნალყუთას. რა ეშველება, მამას რომ მართლა... მარტო დარჩება ოთხკედელშუა. რამდენ მთხოვნელს უთხრა უარი. იმათ შეუძლიათ ცუდად მოიხსენიონ უკადრისა ნალყუთა, მე შენ გითხრა, ის უკეთური ბულათიყო გამოესარჩლება?! ყოველივე ეს იცის გაბომ და იმიტომ წუხს, იმიტომ აჩქარებს ნალყუთას გათხოვებას.

მართლაც დროა, გულისსწორი ამოირჩიოს და თავისი ოჯახი შექმნას ნალყუთამ, მაგრამ რომელი ამოირჩიოს, რომელს მისცეს უპირატესობა? გული რომ არავისზე შევარდნია? ვითომ?

ხსართაგი... ნეტავ ეს თუ არის სიყვარული? ეს არის, უყვარს. რომ არ უყვარდეს, აქამდის დაავიწყდებოდა. კარგი და პატიოსანი, ნალყუთას უყვარს, მაგრამ იმასაც უყვარს? ღმერთო ჩემო, იმ ამბის შემდეგ ჩემზე ფიქრსაც ვერ გაბედავს. ოჰ, ბულათიყო, ბულათიყო, როგორ ამიწეწ-დამიწეწე ცხოვრება?

რა ქნას? მამა პასუხს ელოდება. არა, არა! ჯერ ხსართაგის აზრი გაიგოს, მაგრამ ვინ გაიგებს? მხოლოდ ქირქისი...

მეორე დღეს ნალყუთამ ოჯახის საქმე მარდად მოათავა და ქირქისის სანახავად გადავიდა.

— ქირქის, ერთი შენი მაკრატელი მათხოვე, — დაუძახა შორიდან.

— რა შორიდან იძახი, შემოდი შინ, რად გინდა მაკრატელი, საქორწილო კაბას ხომ არ იკერავ?

— საქორწილო კაბას ის იკერავს, ვინც თხოვდება. ჩემი ჯერი კი ჯერ არ დამდგარა.

— შენ ისეთი წუნია ხარ, სანამ შენი ჯერი მოატანს, ეგ გიშრის

დალალები გაგიჭაღარავდება. შენი ჯერი რომ დადგება, მერე აღარც. არავინ გინდომებს.

— რა მასხრად მიგდებ, ქირქის, ვიყავი ამაყი, მაგრამ ბულათიყოს დარდმა ყველაფერი დამავიწყა, ახლა მამაა ცუდად, — აცრემლდა ნალყუთა.

— ეგეთი ძმის ყოლას სულ არყოლა სჯობია. არც გაიხსენო, ღირსი არ არის. აგერ ჩემი ძმა ასლანბეგი, შენც გაგიწევს ძმობას...

— იმ დღეს ხომ ნახე, რა ქნა, ის ვიღაც ხსართაგი რა ჩემს საუბედუროდ... — ქირქისი ეშმაკი გოგოა, მიხვდა, რომ ნალყუთამ შემთხვევით არ ახსენა ხსართაგი.

— ნალყუთა, გოგო!

— რა იყო, ქირქის?

— გიყვარს?

— ქირქის...

— რას გაწითლდი? ო, ღვთისმშობელო, აი რა ხდება ჩემს გარშემოდა მე კი არაფერი ვიცი,— პირჯვარი გადაიწერა ქირქისმა.

— კარგი რა, ქირქის.

— მადლობა ღმერთს. ნეტავ აქამდე გენახა ის ბიჭი, ჩვენი ხეობის საცოლე ვაჟკაცები დაისვენებენ, ბედს სხვაგან მოძებნიან. შენი მიზეზით რამდენ ქალიშვილს გამოუღამდა ლოდინით თვალები.

— კარგი, რა ქირქის, რა მასხრად მიგდებ. საქმეზე ძოვედი, ეაცადე გითხრა.

— შუამავლად ხომ არ მგზავნი?

ნალყუთამ აღარ დაუმალა მეგობარს მამის სურვილი.

— ვიცი, რატომაც წუხს ბაბა. მე კი პასუხის გაცემა არ შემიძლია, სანამ იმისგან ამბავს არ გავიგებ.

— ეგ ჩემზე იყოს. ხვალ დილით წავალ ჩვენებთან. ზეგ ხსართაგის პასუხს დაელოდე.

— ქირქის, შენი ჭირიმე. არ იფიქროს...

— ქირქისს მაგდენი ესმის, შენ მშვიდად იყავი.

— კარგი, მაშ, წავალ, მივხედავ ავადმყოფს.

— მოიცა, გოგო, მაკრატელი დაგავიწყდა.

ნალყუთა გაწითლდა.

8.

ხასანამ დიდი ხანია შვილის ყოლის იმედი გადაიწყვიტა. აღარც ელოდებოდა, მაგრამ აი მოულოდნელად მისმა ბედმა გაიღვიძა. ერთ საღამოს დამაშვრალი დაბრუნდა, წინ ზარინა შეეგება. ქალს სახე ულიმოდა, ცმუტავდა.

— რა იყო, ქალო, რა გიხარია? — შეეკითხა ხასანა ცოლს.

— მიხარია, ხასან, მიხარია. და ქალმა დიდი ხნის წინათ რომ იცოდა, ისე ჩამოეკიდა კისერზე ქმარს. ყურში უჩურჩულა, მალე ჩვენს კერაზეც გაჩნდება ბავშვიო.

— რის ბავშვი? — ვერ მიხვდა კაცი.

— ჩვენი, ხასანა, ჩვენი შვილი.

— ჩვენი? რას ამბობ, ზარინა? როდის? ვინ გითხრა?

— არც მე მჯეროდა. დღეს ვიგრძენი მისი გულის ცემა, ფარდიგსაც ვუთხარი.

— ო, ღმერთო დიდებულო, დიდება შენდა, რომ შეისმინე ჩემი ვედრება! ზარინა, ჩემო სიცოცხლევ, ნუთუ, მართლა? — და მოსიყვარულე ქმარმა ბავშვივით აიტაცა ცოლი ხელში.

გათენებამდე არც ერთს რული არ მიჰკარებია.

მას შემდეგ ორ ოჯახში მხოლოდ იმ ჯერ არდაბადებული ბავშვის შესახებ ლაპარაკობდნენ. ზარინას ცივ წყალში აღარ აყოფინებდნენ ხელს. ფარდიგი ორივე ოჯახის საქმეს თვითონ აკეთებდა.

ვაჟი დაიბადა. სიხარული დატრიალდა ოჯახში. მოსაკითხი მოსაკითხს მოსდევდა, მეზობლები იზიარებდნენ მათ სიხარულს, ულოცავდნენ. ძმებმა დიდი ძეობა გადაიხადეს, აულში არავინ გამოუტოვებიათ, ყველა მოიპატიჟეს. ბარსაგი სტუმრებისთვის აღარაფერს ზოგავდა, ხასანას ხომ ნუღარ იტყვით.

იმ დღეს ბიძა-ძმისწული მთაში სათიბზე იყვნენ. შუადღის შემდეგ ხასანამ მოიწყინა, მალიმალ დაეყრდნობა ცელის ტარს და აულისაკენ პირშექცეული სმენად გადაიქცევა. ხსართაგი ბიძის უბე-კალთაში გაიზარდა და კარგად იცის მისი ხასიათი. ერთი შეხედვით უგებენ ერთმანეთს. ახლაც მიხვდა ბიძის მოუსვენრობის მიზეზს. „შინ უნდა წასვლა“, — გაივლო გულში და ვითომ სხვათა შორის უთხრა:

— ორიოდ ცელის მოსმაღა დარჩა და ამას მეც მოვერევი, წადი შინ, ხასანა, ზარინას მიხედე, დედა იქ არის, მაგრამ შენ მაინც სხვა ხარ. წადი, დარდი ნუ გაქვს, გასათიბს ერთ ღერ ბალახსაც არ დავტოვებ.

აღარ გამოიდო თავპატიჟი, ცელი მხარზე გაიდო და ფერდობზე დაეშვა ხასანა.

ხსართაგი მარტო დარჩა. დღე წელში გაწყდა. მზე ისე ძალუმად აღარ აცხუნებს. არჯეკლიანში წეროებივით გაბმულა ყუნცელის ზიუ. სამხრეთიდან კი სოლიმის მოჯამაგირეებმა დასცეს ყიჟინა. ნიავს შორიდან მოჰყვა ყუნცელის ღრიალი. რაღაცაზე კიცხავს მთიბავებს, მკვდარსა და ცოცხალს აღარ არჩენს. სოლიმის მთიბავები კი „ჰოპუნას“ დასძახიან. ხსართაგი გრძნობს, სოლიმი ყუნცელის ჯიბრზე მხიარულობს. ეს ორი მგელი დიდი ხანია ერთიმეორეს ეჯიბრება. ორივე პირველობას ჩემობს აულში, განსაკუთრებით ის ბოროტი სოლიმი. ამას წინათ ხსართაგს რა უსიამოვნება მიაყენა. არ უნდა დათანხმებულიყო დოღში მონაწილეობაზე. მერეღა მიხვდა, რომ სოლიმმა ყველაფერი განგებ მოაწყო. თავქარიანი ბულათიყოს დამ სირცხვილი აჭამა, შურისძიების ბრმა იარაღად კი ხსართაგი გამოიყენა. ეშმაკია, იცოდა ასე მოხდებოდა და თავის მაგიერ ხსართაგი დააყენა განსაცდელის წინაშე. ბულათიყო და ის ახლა დაუძინებელი მტრები არიან.

ცარიელი ბოღმა ყოფილა ის უბედური. თუ სადმე შეხვდნენ, ვინ იცის, რა მოხდება. არა, ძალით ვერაფერს გამორჩება, მაგრამ იმნაირებს ღალატი უფრო ეხერხებათ. მიპარვით არაფერი...

ჰაი გიდი, იმ რეტიანს და ჰყავს! ნალყუთა რქმევია. ძმასავით ისიც ამაყია. სოლიმს კი რა დღე აყარა! ახია იმ ბერბიჭაზე. აჰ, აჰ, რა ლამაზია! ახლა როგორ ცეკვავს! ნეტავი იმას, ვინც მისი ცქერით გაძღება, მას შემდეგ ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ. არ ვიცი, რა მემართება, მომაჯადოვა უთუოდ, სულ მინდა იმაზე ვიფიქრო. ეჰ, ჩემსავით ხელმოკლე და ღატაკი საქმრო ვის რად უნდა. იმის ძმამ აკი წამომაყვედრა: „მშივრის შვილოო“. რომ ვთქვათ, ვაჟკაცობით ვერ მაჯობებ', მაგრამ ეგეთები ქვეყანას მხოლოდ ქონებით ზომავენ. მამას აქებენ, კარგი კაციაო, მამაჩემიც იცნობს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— ჰოპ-ჰოპ, ჰოპ-ჰოპ, — ისმის სოლიმის სათიბიდან.

ხსართაგმა ნაპირ-ყურიანად გათიბა სათივე. ცელი მხარზე გაიდო და შინისაკენ გაუდგა გზას. მზე ჩავიდა. ყუნცელისა და სოლიმის ზიუ დაიშალა. მთიბავები ერთიმეორის მიყოლებით ჩამოვიდნენ აულში. ხსართაგმა წყაროსკენ გაუხვია, გზად ბუერის ფოთოლი მოგლიჯა, წყალს დავლევო. წყაროზე ქალები მოგროვილიყვნენ, ხსართაგი მიესალმა. ერთი მათგანი ხსართაგს გაეხუმრა.

— ბიჟო, შენ რა, მოდიხარ თუ მოფრინავ, დედამიწას ფეხებს რატომ არ აკარებ.

— რა ვქნა, თლატონ, ვეშურები, მერე შინ რომ ვისიმე კაპასი გოგო შემომეპრება, დრო აღარ დამრჩება ჰაერში საფრენად.

— ნეტავ კი გეღირსებოდეს და... ისე, დროც კია.

— ბარემ, მაგრამ ახლოს არავინ მეკარება, — გაიცინა ხსართაგმა, ცელის პირი ღარს მიუშვირა, მერე ბუერის ფოთლით გარეცხა.

—ისეთებიც იქნებიან, პირღიას რომ არ დაგიძახებენ.

— ისინი, ჩემო თლატონ, როგორც ახალ წელს მარწყვი, ძნელი საპოვნელები არიან.

— ადვილი საპოვნელი რიყეზე ქვაც არ არის, ჰო, მართლა, ხსართაგ, საღამოზე ჩვენსა გადმოიარე.

— თქვენსა? რა არის?

— არის რაღაც.

— მართლა?

— ჰო, გადმოდი აუცილებლად.

ნეტავ რაზე მეპატიჟებაო, იფიქრა. თლატონის ქარაგმებში რაღაც იმალებოდა, მაგრამ რა, ვერ მიმხვდარიყო. ცელი კარგად გარეცხა, გაწმინდა, გააპრიალა და შინ წავიდა.

ის იყო ვახშმად დასხდნენ, რომ გარედან ვიღაცამ დაუძახა. ხსართაგი სუფრიდან ადგა და დერეფანში გამოვიდა. ეზოში ცორას პატარა ქალი ფარი დაინახა.

— შენ მეძახდი, ფარი?

— ჰო.
— რაო, ჩემო პატარავ?
— ნანამა, ხსართაგი აქ მოვიდესო.
— სტუმარი ხომ არა გყავთ?
— გვყავს, ერთი გოგო.
ხსართაგმა ფარის წინ ჩაიმუხლა.
— მერე, ვინ არის ის გოგო? ჩუმად მითხარი და ხვალ მარწყვის ასხმულას ჩამოგიტან.
— ვინა და ჩვენი ნათესავი.
— რა ნათესავია, გენაცვალე?
— ქირქისა.
— რათ მოვიდა თქვენსა, რა მინდაო?
— მაგაზე არაფერი უთქვამს.
— სულ არაფერი გაგიგონია?
— გავიგონე...
— რაო?
— შენ გახსენებდნენ.
— მძრახავდნენ?
— გძრახავდნენ კი არა, გაქებდნენ, მერე კიდევ ვიღაც ნალყუთას ახსენებდნენ, კარგი გოგოაო.
ნალყუთას სახელის ხსენებაზე ხსართაგს ჟრუანტელმა დაუარა. ქირქისა ცორას დისწულია, მაგრამ ნალყუთა?! მერეღა მიხვდა, რომ ქირქისა და ნალყუთა ერთი აულიდან არიან. დღეობაშიც აკი ერთად იყვნენ.
— გაიქეცი, ფარი და დედას უთხარი, მოვდივარ-თქო.
ფარი გაიქცა. მას თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვა ხსართაგი.
— ბიჭო, შენ ძალიან თავს იფასებ, აი, — უსაყვედურა თლატონმა.
— მაპატიე, რაღაც საქმეზე შემაგვიანდა.
თლატონმა ქირქისას დაუძახა. ხსართაგი ქალიშვილს მიესალმა. როგორღაც ლაპარაკი ვერ აეწყო. ხსართაგი დაბნეული იყო, ათასი რამ იფიქრა. რაზე დაუძახა ქირქისამ? თუ ბულათიყოსთან ჩხუბის თაობაზე, რაღა ქირქისა გამოგზავნეს, აულში კაცი აღარ მოიძებნა?
როგორც იყო, ქირქისამ გატეხა ნავსი.
— ხსართაგ, მაპატიე, რომ მოგაცდინე, მაგრამ უფრო საჭირო საქმემ მოითხოვა.
— რას ამბობ, ქირქის, უცხო ხომ არ ხარ. მითხარი, თუკი რამეში გამოგადგები, ჩემი თავი შენ გენაცვალოს. თქვი, გოგო!
— ხსართაგ, მიკიბულ-მოკიბულს არ მოგიყვები, ნალყუთას სურვილით მოვედი აქ, მინდა იცოდე, რომ ჩვენს ხეობაში არც ერთი სასიძო არ დარჩენილა, რომელსაც ნალყუთას ცოლობა არ ეთხოვოს, მისი გული კი მხოლოდ შენ მოინადირე.
— მე?.. — წამოიყვირა ხსართაგმა.

— ჰო, შენ, ამას წინათ დღეობაში რომ გნახა, მას შემდეგ მოსვენება დაკარგა. ცუდი არაფერი გაიგლო გულში, ნამუსზე კი არ აუღია ხელი. არა, მე ვიცი მისი გულისთქმა და მინდა გაჭირვებაში მივეხმარო. ამჟამად მართლა უჭირს. ჯერ იმ ჩერჩეტი ძმის გადამკიდე, ახლა მამა ჰყავს გადადებული ავადმყოფი.

— მოიცადე, ქირქის, მე ხომ არაფერს მაბრალებენ? ან ჩემზე თუა რაიმე დამოკიდებული, მითხარი და სიცოცხლესაც არ დავზოგავ ნალაუთასთვის.

— არა, შენ ვერ გამიგე. გაბო გადადებული ავადმყოფია, შვილს სთხოვა, სანამ ცოცხალი ვარ, გადაწყვიტე, საქმრო აირჩიეო, გაიგე? ნალაუთა მამის მორჩილია.

— კი მაგრამ, ძმაც ხომ ჰყავს?

— ისემც იმის სიკვდილის ხმა გავარდება... იმ ამბის შემდეგ დედულეთს გაიქცა, იმათი გაზრდილია! გაბოს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია. თუ შენც მოგწონს გოგო, ნახე, მოილაპარაკეთ. იმას შენი აზრი აინტერესებს, მომავალში სანანებლად არ გამიხდესო. ერთი სიტყვით, შაბათ საღამოს გელოდებით.

ხსართაგი ვერ მიმხვდარა, ყოველივე ეს ცხადია თუ სიზმარი. შინ წავიდა, მაგრამ სახლს გასცდა და აულის თავში როგორ აღმოჩნდა ვერც გაიგო. სასწაული არ ხდებაო? მთვარესავით მიუწვდომელმა ნალაუთამ ის, ხსართაგი შეიყვარა. სასწაულია, მაშ რა არის, კი მაგრამ, იმდენ თაყვანისმცემლებში ნუთუ ხსართაგზე უკეთესი არავინ არის? მართალია მას ღვთიური ძალისა არაფერი სჯერა, მაგრამ რაღაც კეთილი ანგელოზი რომ ეხმარება, ამაში აღარ ეჭვობს. რა სულელია, ნალაუთას უყვარს, ის კი, ახლოს არ ეკარება. მისი ძმა?.. ოჰ, როგორ დაეხლართა გზები.. მაგრამ რაკი საქმე ასე წარიმართა, აღარ დააყოვნებს. ალბათ არც იმას სძინავს ახლა, ქირქისას ელოდება, რა ამბავს მიუტანს.

9.

პირველი მამლის ყივილზე წამოხტა ხსართაგი. სწრაფად ჩაიცვა ტანსაცმელი, ორლულიანი თოფი მხარზე გადაიკიდა და დედა გააღვიძა, სანადიროდ მივდივარო. ისევ ბნელოდა, თიზმაგხოს რომ შეუყვა. მყინვარებში არჩვი იცის. სადილობამდე იხეტიალა, მაგრამ ვერსად წააწყდა ნადირს. უცებ სამარილეს არჩვების ჯოგი მიადგა. ხსართაგმა სული განაბა, სასროლზე მიუახლოვდა და თოფის გრიალს მთები გამოეხმაურნენ. არჩვები დაფრთხნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ. მხოლოდ ერთი დარჩა ადგილზე. ხსართაგმა მოკლული არჩვი ზურგზე მოიგდო და აულში ბინდს აჰყვა. იქ პირველ შემხვდურს ჰკითხა ცომაითი ძაბეგი სად ცხოვრობსო.

— ძაბეგი აქ ახლოს ცხოვრობს, მაგრამ ისეთი ავი ძაღლები ჰყავს, რომ შეიძლება, რაც ავსათიმ გიწყალობოს; თვალსა და ხელს შუა წაგგლიჯონ ნანადირევი, წამოდი, მიგიყვან, — უთხრა მან და წინ გაუძღვა.

ხსართაგს არ უნდოდა აულში მისი ჩამოსვლის ამბავი გავრცელებულიყო და არ ესიამოვნა შემხვედრის ასეთი გულისხმიერება. შაგრამ რაღას იზამდა, მიჰყვა უცნობს. ერთ ჭიშკარზე მიაკაკუნა ჯამყოლმა და თან ხმამაღლა დაიძახა:

— ო, ძაბეგ. სტუმარი მოგიყვანე, გამოიხედე გარეთ.

— სტუმარი ღვთისაა, შინ მობრძანდით, — ჭიშკარი გამოაღო ძაბეგმა.

— სტუმარი და რა სტუმარი, შეხედეთ! — შეაქო ხსართაგი მომყოლმა. — აბა, ბიჭებო, ნანადირევი ჩამოართვით და მოუარეთ, შენ კი გოგო, ჩვენსა გადაირბინე და დედაკაცს უთხარი, ერთი ბოთლი არაყი გააჩინე, სადაც გინდა-თქო და ჩქარა მოარბენინე!

— აცალე, აბისალ, შინ შემოვიდეს კაცი. საკლავიცა მყავს და არაყსაც ვიშოვი. სტუმარს არ მივსალმებივართ, რად იცი ხოლმე... — უსაყვედურა ძაბეგმა სულწასულ აბისალს.

— ჰოდა, მაშ კარგი. ნუ წახვალ, ჩემს დედაკაცს აქამდე ძილქუშიც დააწვებოდა.

ძაბეგის ბიჭებმა ხსართაგს ნანადირევი ჩამოართვეს და ქოხში შეიტანეს. აბისალიც მათ მიჰყვა.

თავის სახელის გაგონებაზე ხსართაგი შეკრთა. მიხვდა, რომ ძაბეგმა იცოდა მისი მოსვლის მიზეზი. შერცხვა. დერეფანში ქირქისა შეეგება.

კი მაგრამ, ნანადირევით მოდი-მეთქი, ასე გითხარი?

— გოგო, შინ შემოიყვანე სტუმარი, — მოესმა ხსართაგს ხადიზათის ხმა.

—ახლავე, ნანა, — უპასუხა ქირქისამ დედას დ ხსართაგს შინ შეუძღვა.

— აქა მშვიდობა, ხადიზათ, ხომ კარგად ბრძანდებით? — მაპატიე, რომ უდროო დროს შეგაწუხეთ.

— მოდი, შვილო, მოდი, უცხო ხომ არა ხარ, რად გერიდება. მამაშენი მაყრად გამომყვა, დიდი მეგობრები ვიყავით და ძმასავით მიყვარდა. აბა, ერთი შემოგხედო, ჰგევხარ მამაშენს? გოგო, კვარი მომინათე, თვალი ძველებურად როდილა მიჭრის. ჰო, ჰო, თავს შემოგევლე, რა მშვენიერი ვაჟკაცი გაუზრდიხარ ბარსაგს, ღმერთმა შენი თავი აჩუქოს. — ხადიზათი გადაეხვია ხსართაგს და შვილივით გადაკოცნა. — დავაავადმყოფდი, შვილო და სამშობლოშიც ვეღარ წავსულვარ. ათი წელიწადი იქნება, შინიდან ფეხი აღარ გადამიდგამს, სადა გნახავთ ახალგაზრდებს, ვეღარავისა ვცნობ. დაჯექი, გენაცვალე, დაჯექი, მომიყევი რა ამბავია აულში? შენ კი, გოგო, საქმეს მიხედე.

— კი, ნანა, — უპასუხა ქირქისამ და სამზარეულოში გავიდა.

ის დღე უსაშველოდ გაგრძელდა. ქირქისას მოტანილმა ამბავმა ააფორიაქა ნალყუთა. ადგილს ვეღარ პოულობს, დაბნეული დაფარფატებს, მამამ შეატყო, რომ ნალყუთას რაღაც აწუხებს, მაგრამ არაფერს ეკითხება. დაე, თვითონ თქვას სათქმელიო.

მზე ჩავიდა. ნალაუთას მღელვარება მოემატა, ხან შინ შევა, ხან გარეთ გავა. ვიღაცის ფეხის ხმა მოისმა. ნალაუთა ფანჯარას მივარდა.

— ნალაუთა, შინა ხარ?

შეშინებული შვილის ნუკრივით შეხტა ნალაუთა, კარს ეცა, კარგა ხანს შეაგვიანდა გარეთ. შინ აფორიაქებული შემოვიდა, მამამ დაინახა, ნალაუთას ფერი დაჰკარგოდა, ტუჩები უთრთოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

— რა გაწუხებს, შვილო, მითხარი, ასეთი აღელვებული არასდროს მინახიხარ. მოდი ჩემთან, გენაცვალე, გვერდით დამიჯექი და ყველაფერი მითხარი.

ნალაუთა საწოლზე ჩამოუჯდა მამას, მაგრამ თვალს ვერ უსწორებს.

— გისმენ, შვილო, — გაბო საწოლზე წამოჯდა.

— ბაბა, მინდა რაღაც გითხრა და ვერ გამიბედავს. გახსოვს, ამას წინათ რომ მითხარი, ამოირჩიე ვინმეო?..

— მახსოვს მაშ. პასუხსაც ველოდები.

— ჰოდა... — ნალაუთას ალმურმა აჰკრა.

მამა მიხვდა, რის თქმასაც აპირებდა და თვითონვე ჰკითხა:

— ჰო, ვინ არის?

— იცი, ბაბა, შენ, მაგრამ...

— რა, მაგრამ?

— ბულათიყომ დღეობაში ჩხუბი რომ აუტეხა, ის ბიჭია.

— ბესოლთი ბარსაგის ბიჭი? — ღიმილმა გადაურბინა გაბოს სახეზე.

— ჰოო, ისა, ბაბა, მაგრამ შენი სურვილი ჩემთვის კანონია, თუ არ მოგწონს...

გაბო ჩაფიქრდა.

— შენი ძმა თვითონ ტყუოდა. მეორეც ის, ბულათიყო იმად არ ღირს, რომ შენ მისთვის თავი გასწირო. თუ მოგწონს, მამაშენსაც მოეწონება. მე თანახმა ვარ, ნალაუთა, ის ბიჭი, ურიგო არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა.

— მერე ბაბა, შენ რაღა გიყო, მარტო როგორ დაგტოვო? უწინ სიკვდილი ნალაუთას, ვიდრე ის თავის ძვირფას მშობელს უპატრონოდ მიატოვებს. — ნალაუთა მამას მოეხვია და ატირდა.

გაბო მიხვდა შვილის წუხილის მიზეზს, წინათ ამაზე არ უფიქრია, მაგრამ ახლა რა უთხრას, როგორ დაამშვიდოს? მისი დღეები დათვლილია, გულიღა ფეთქავს და ვინ იცის, როდის დახუჭავს თვალს. მანამდე უნდა მოასწროს, დააბინაოს შვილი. ახლოს გაიცნოს ის, ვის ხელშიც მისი ჭკვიანი გოგო ჩავარდება. მეტს აღარაფერს შესთხოვს ღმერთს. მხოლოდ ნალაუთა იყოს ბედნიერი. მაგრამ გაბომ ისიც იცის, რომ ნალაუთა არასოდეს მიატოვებს ავადმყოფ მამას. ამისი ეშინია ახლა და რაც კი ძალა შესწევს, თავი მოიმხიარულა.

—გამოვკეთდები, შვილო, ფეხზე წამოვდგები, შენ ჩემი დარდი ნუ გაქვს, ხომ ხედავ, ამ ბოლო დროს მოვმჯობინდი, თუკი კარგი პატრონის ხელში იქნები, ხანდახან მომაკითხავ, ხან ქმარს გამომიგ-

ზავნი. ბესოლაანთ კარგად ვიცნობ, გამგებიანი ხალხია. შენ იყავ ბედნიერი, ჩემი დარდი ნუ გაქვს, შვილო.

— ბაბა!

— წადი, ჩემო სიხარულო, წადი... იქ არის, არა? ქირქისა ტყუილად არ მოვიდოდა.

ვახშამი მომზადდა. სუფრას მიუსხდნენ. ძაბეგმა პირველი ყანწით ღმერთი ახსენა. სასმისი უფროს ვაჟს ასლანბეგს გადასცა. აბისალმა დაკერებული ახალუხის სახელოები დაიკაპიწა. დანა კალთაზე შეიწმინდა და წისქვილის დოლაბებივით აამუშავა ყბები.

— ო, ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, ავსათიც მუდამ გწყალობდეს, მარჯვე ბიჭო, კარგია, რომ გვეწვიე, კარგია, — ყოველ სადღეგრძელოზე ხოტბას ასხამდა ხსართაგს აბისალი.

ქირქისას გარდა ყველანი სუფრას უსხედან, ის ხაბიძგინებს აცხობს.

ქირქისამ კარი შემოაღო, ცხელი ხაბიძგინებით სავსე თაბახი სუფრაზე დადგა. ხსართაგს კი სხვებისათვის შეუმჩნეველად ანიშნა, გარეთ გამოდიო.

— წამოდი, წამოდი... ქირქისამ ხელკავი გაუყარა ხსართაგს.

ნალყუთა კუთხეში მიმჯდარიყო, ხსართაგის დანახვაზე შეკრთა, უნებურად წამოხტა და გვერდით მიდგა.

— რას შეკრთი, გოგო, მგელი კი არ შემომიყვანია, ნუ გეშინია, არ შეგჭამს. გაიცანით, თუმცა თქვენ უკვე იცნობთ ერთმანეთს. ხედავ, ხსართაგ, შენ რომ თავსაბური აჩუქე, როგორ გულმოდგინედ შემოუხვევია ყელზე... ილაპარაკეთ, მე სუფრას მივხედავ, აბისალს არაყი მივუმარჯვო, გაუსკდეს იმას ის მუცელი, იქნებ მოახერხოს წაქვავება. — ქირქისა გარეთ გავიდა.

ბევრი სათქმელი ჰქონდათ ერთმანეთისათვის, მაგრამ ქარის შემობერვაზე ხმელი ფოთლები რომ გაიფანტება ხოლმე, ისე დაეფანტათ აზრები. ენა თითქოს ცდილობს, რაღაც თქვას, მაგრამ ტვინი არც ერთს ემორჩილება. სათქმელი თითქოს ნაძვის კვარად იქცა და ცეცხლი წაეკიდა, აალდა, აბრიალდა და ახლა აღარ იციან, რომელი მოახერხებს ამ ცეცხლზე წყლის დასხმას.

— უიმე, რა იქნა ქირქისა, — რაღაც უცხო ხმით თქვა ნალყუთამ და კარისკენ წავიდა.

— ნალყუთა, არ წახვიდე, გთხოვ, — თითქოს ხსართაგის დაბმული ენა აეშვა.

ვაჟის ხმა კართან მიეწია ნალყუთას.

— ბაბა შეუძლოდ დავტოვე, შინ არავინ არის.

— მხოლოდ ერთი სიტყვა მათქმევინე, მერე წადი, არ დაგიჭერ.

ამ უცნაურმა ხმამ ნიავივით შემოუბერა ქალიშვილის ცეცხლმოდებულ გულს და მთლიანად ცეცხლის ალში გაახვია.

— მაპატიე, ნალყუთა, იმ დღეს შენს ძმასთან შელაპარაკება მომივიდა, რომ მცოდნოდა...

— მისი ბრალი იყო.

— მე იმ დღეს არასოდეს დავივიწყებ.

— არც მე, — დაუმატა ნალაუთამ და უფრო გაწითლდა, საჩუქრისთვის გმადლობ.

— თავსაბური შენი იყო და... ბარემ მეც ოქროს თუმნიანი რომ შქონოდა...

— მაშინ დღეს აქ არ იქნებოდი.

— ნალაუთა, ძვირფასო, არა მჯერა, ნუთუ ქუდბედიანი დავბადებულვარ? რას ვიფიქრებდი, რომ შენ მიკადრებდი.

— ალბათ იფიქრე, იმ გოგომ რიდი დაკარგა, შუაკაცებს თვითონ მიგზავნისო.

— არც კი გრცხვენია, ნალაუთა, მაგის თქმას როგორ გავბედავ? ქირქისა რომ არა, მე...

— არ მოხვიდოდი?

— სიმართლე გითხრა, ვერ...

— იქნებ ცუდად მოვიქეცი. მე თითქმის ძალით მოგიპატიჟე.

— ძალიან ეწუხვარ მამაშენის ავადმყოფობაზე. ხომ არ მიწყრება, ბულათიყოს რომ ვაწყენინე?

— სულაც არა, ის თანახმაა.

— ო, ღმერთო დიდებულო, ვიცოდე მაინც რისთვის დამაჯილდოვე ამ დიდი ბედნიერებით?

— მხოლოდ ერთსა გთხოვ, შენი აზრი მაინტერესებს, დედა არა მყავს, მამაა ჩემთვის ყველაფერი. ახლა ასე მძიმედა მყავს ავად და მარტო როგორ დავტოვო?

— მესმის შენი გულისტკივილი ნალაუთა, გადავწყვიტოთ ჩვენი საქმე და მამაშენის გამოჯანმრთელებამდე იყავი მასთან, თუ თვითონ ისურვებს, მეც თქვენთან დავრჩები, მამაშენს მამად ვიწამებ. აგერ ჩემი მკლავები, ერთი შენ, მეორე — მამაშენს.

ნალაუთამ მადლიერი თვალები შეანათა ვაჟკაცს.

— გმადლობ, ხსართაგ, ახლა წავალ, თორემ მარტოა. ჰო, მართლა, ცოტა აჩქარდი, ასეთია ბაბას სურვილი.

— ორ დღეში შუამავლებს ელოდე. წადი, ჩემო სიცოცხლევ, წადი, მიხედე ავადმყოფს.

კარმა გაიჭრიალა და ქირქისა გამოჩნდა.

— მივდივარ, ქირქის, მივდივარ.

— რა პასუხით მიდიხარ გოგო, არ მეუბნები?

— თვითონ გეტყვის სტუმარი, — დაირცხვინა ნალაუთამ და წასასვლელად აფუსფუსდა.

— გააცილე, ბიჭო, თუმცა მოიცა, მე თვითონ გავაცილებ, სალექსოდ არ გავუხადოთ ნალაუთას საქმე. — წამოდი, თორემ მამაშენი შინ აღარ შეგიშვებს.

ფრთა-ფრთას შემოჰკრა მამალმა. გათენების მოახლოება ამცნო ქვეყანას. საიდანღაც მას ფხიზელი ძაღლი გამოეხმაურა ყეფით.

მეათე თავი

საწყალი კაცი სიზმრის იმედითაო

1.

თედოთიყაუში ხმა დაირხა ბესოლთი ხსართაგმა გაბოს ქებული ქალიშვილი დანიშნა, ქორწილი გიორგობისთვეში ექნებათო. თავზარი დაეცა სოლიმს. ღატაკი ბარსაგის ლეკვმა როგორ დამასწრო ნალაუთას თხოვაო. ყველაფერს იფიქრებდა, მხოლოდ ამას არა. ბულათიყო როგორღა დათანხმდა, ერთადერთი და თავის შემარცხვენელს მისცა. პირველად არც დაიჯერა. აძიბე და ხასანა ნიშნობიდან რომ დაბრუნდნენ, მაშინ კი დარწმუნდა — პირმშვენიერი ნალაუთა სხვას ერგო და არა მას. ამბის გასაგებად აძიბესთან გადავიდა.

ჯავრით გულ-მუცელი ეწვოდა სოლიმს. ნალაუთას შერთვას ისიც აპირებდა, მაგრამ ვერა და ვერ მოიცალა, რომ შუამავალი მიეგზავნა, ხან ცხინვალში ჰქონდა საქმე, ხან ყიზლარიდან ცხვარი იყო გადმოსარეკი, თიბათვეში ყოველდღე ულამი ჰქონდა. და აი ხელიდან გაუფრინდა ქალი. რა ქნას, როგორ შეუშალოს ხელი ამ ქორწინებას? როგორ დაიბრუნოს მშვენიერი ნალაუთა? აძიბეს თქმით გაბო კმაყოფილი იყო სასიძოსი. სხვისი დანიშნულის მოტაცება აუგიც არის და საშიშიც, სოლიმს არ უნდა უფსკრულის პირზე შეხვდეს ხსართაგს. იცის მისი მკლავის ძალა, გინდაც ხსართაგს რაიმე უხიმანოს. ხასანა და აძიბე სამარებდე ჩაჰყვებიან. განსაკუთრებით აძიბეა საშიში, ხსართაგის ძმადნაფიცია და სიცოცხლესაც არ დაიშურებს მისთვის. პირდაპირ ბრძოლას აზრი არა აქვს. საჭიროა ჭკუით მოიქცეს, მოიფიქროს რამე. დიდხანს იფიქრა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უბულათიყოდ ვერაფერს გახდება. ის ცეტი უნდა ჩარიოს, იმან უნდა ჩაშალოს საქმე, თორემ სოლიმს ჩანაფიქრის განხორციელება არ უწერია.

შეჯდა ცხენზე და საღამოს ბულათიყოს დედულეთში ამოყო თავი. ბორსა კარგად იცნობდა სოლიმს და წესითა და რიგითაც შეხვდა.

ვახშმის შემდეგ სოლიმმა ბორსა დაიმარტოხელა:

— არ გაგიკვირდეს ჩემი სტუმრობა, გავიგე, კარგი ჯიშის ძროხები გყოლია, ორი დეკეული მომყიდე. ფასზე არ გალაპარაკებ.

ბორსამ იცოდა, სოლიმი ფასზე უკან არ დაიხევდა და დათანხმდა.

— მართლაცდა, ამ ჯიშის ძროხებს ჩვენს მხარეში ძნელად შეხვდები, გასაყიდად არც მემეტება, მაგრამ შენნაირ მეგობარს უარს ვერ ვეტყვი, დილაზე გაჩვენებ და აირჩიე, რომლებიც მოგეწონოს.

დილით ადრე ადგა სოლიმი და ვითომ ცხენის დასახედად გავიდა ბაკში. შორიდანვე დაინახა ბულათიყო, რომელიც მის ცხენს ესიყვარულებოდა.

— ღმერთმანი, სოლიმ, კარგი ცხენი გყავს. — გულის სიღრმიდან ამოიგმინა ბულათიყომ და სოლიმს შურით სავსე თვალები შეანათა.

— ასეთი მართლა არავის ჰყავს. ყაბარდოდან გადმოვიყვანე. ერთი ალდარი თავისი ქონების ნახევარსა და ქალიშვილს მაძლევდა. მაგრამ ამასთან რა არის ქალიშვილი. სახელოვანი კაცი და კარგი ცხენი ერთნირად ფასობენ.

— მართალი ხარ, — კვლავ ამოიგმინა ბულათიყომ.

— მთაზე ხომ არ წამომყვები, პაპაშენის ჯიშიანი ძროხები მინდა ვნახო. თუ გინდა, ცხენები გავცვალოთ, შენ ჩემს ქურანაზე შეჯექი, მე... — სოლიმმა თვალი ჩაუკრა ბულათიყოს.

ამ მაცდუნებელ წინადადებაზე უარს როგორ იტყოდა ბულათიყო. ცხენები თვითონ შეკაზმა. სოლიმის ქურანას მოახტა და ნაფუძარში გააჭენ-გამოაჭენა. სოლიმი უყურებდა და ბოროტ ღიმილს ვერ იკავებდა. ბულათიყომ ცხენი მოაგელვა და სოლიმის წინ შეაყენა.

— სოლიმ, მომყიდე შენი ქურანა. წუხელს აქეთ ლამის გავგიჟდე, აღარაფრად მიმაჩნია სიცოცხლე, იცოდე, თუ არ მომყიდი, მოვკვდები და ცოდო შენ მოგეკითხება. მითხარი, რამდენი გინდა? გეხვეწები, სოლიმ, — ბავშვივით უწევდა ყელს ბულათიყო.

„ესეც ასე, მამლაყინწავ, მოგქაჩე თუ არა ჯიბლიბოზე. ახლა კი ცხელ შამფურზე წამოგაგებ და როგორც მომესურვება, ისე დაგბრაწავ...“ — შვებით ამოისუნთქა სოლიმმა.

— გასაყიდად რომ მინდოდეს, ბულათიყო, მართლა შენს მეტს არავის მივყიდი, მაგრამ რა გიყო, არა ვყიდი, იცი რა ცხენია? რაღიძუარის დღეობა ხომ გახსოვს?

ბულათიყოს ფერმა გადაჰკრა.

— ის არის?

— ის არის... მრცხვენია შენი, ბულათიყო, არ ვიცოდი, ასე თუ მოხდებოდა, თორემ შავკისერა ხსართაგს ვათხოვებდი? სიმართლე გითხრა, შენი დამარცხება ძალიან მეწყინა, — ვითომ თანაუგრძნო სოლიმმა.

ტყვია მიზანში მოხვდა. ბიჭმა თავი ჩაქინდრა.

— ის შერცხვენა არ გაკმარა, ახლა შენს დას ირთავს. როგორ აპატიე, მიკვირს? კაცი ამას ვერ მოითმენდა! — ბულათიყოს გულის ღია ჭრილობას პირდაპირ ხელით შეეხო სოლიმი.

— იმათ სახელს ნუ მიხსენებ, მე აღარც მამა მყავს და აღარც და! ვისზედაც უნდა გათხოვდეს, რაში მეკითხება!

— ეჰე, ჰე, ჰე, ბულათ, მე ვაჟკაცი მეგონე, შენ კი ისევ ბალღი ყოფილხარ, შენს საკუთარ დაზე ამბობ მაგას?

— სოლიმ, გეხვეწები, გაჩუმდი, თორემ თავს ვეღარ შევიკავებ, სიბრაზე გონებას მიკარგავს! — იყვირა ბულათიყომ და ცხენიდან ჩამოხტა. — აჰა, შენი ცხენი, მე შენთან წამომსვლელი არა ვარ!

სოლიმმა მაშინვე შეცვალა საუბრის თემა.

— რა გეწყინა, რა გითხარი ისეთი? ბიჭო, შენ ხომ არ გგონია, აქ მართლა პაპაშენის ძროხებისთვის ამოვედი, შენთან მაქვს საქმე.

— ჰოდა, პირდაპირ მითხარი, რა გინდა? გატეხილს გაჟეჟილი სჯობს.

— ჩემი ცხენი მოგწონს?

— განა ეგ საკითხავია?

— მაშ, მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ. შენ ჩემი ცხენი მოგწონს, მე — შენი და.

— ნალყუთა? მერე ვინ გითხრა უარი?

— მამაშენმა სხვა მამჯობინა. გითხარი ვინცაა. ახლა ასე ვქნათ — ჩემი ცხენი შენ, შენი და — მე. თუ თანახმა ხარ, მომეცი ხელი. — სოლიმმა ხელი გაუწოდა, მაგრამ ბულათიყო გაოგნებული იდგა. — არა, თუ არ გინდა, ძალას კი არ გატან. მე ჩემი გითხარი, შენ შენი თქვი. არა და ჩემს გზას ვეწევი.

ბულათიყო საგონებელში ჩავარდა. ტუჩებს იკვნეტდა, პასუხს აჭიანურებდა, სოლიმმა აღვირი თითქმის თითებიდან ააგლიჯა.

— არ გინდა ჩემი ცხენი? აგერ შენსაზე შეჯექი, მხოლოდ გახსოვდეს, ისევ დამარცხდები დოღში, — ამ სიტყვებზე ის თვალის დახამხამებაში უნაგირზე მოექცა ცხენს.

— მოიცადე! — იღრიალა ბულათიყომ.

— თქვი, რა გინდა, შინ ვარ წასასვლელი.

— ჩემს დას მოვიტაცებ ამაღამ.

— ჰმ, მოტაცებაზე რომ იყოს, ამ ულაყს ხედავ? გაუსწრებდა უინმე, თუ? არა, მოტაცება არ ივარგებს.

— მაშ რა გინდა, მითხარი, რა გაქვს გადაწყვეტილი?

— შინ დაბრუნდი.

— ნამდურავად რომ ვარ?

— ეგ არაფერი, შეურიგდი. ისე მოაწყვე, რომ მამაშენმა ნიშანი უკან დაუბრუნოს ბესოლაანთ გუდამშიერს.

— არ დამიჯერებს!

— მაშინ, თუ ვაჟკაცი ხარ, ერთი ტყვიის შოვნა არ გაგიჭირდება. შთაში თოფმა იგრიალა და დანიშნული დარჩა შენი და, გაიგე? ახლა ნულარ მაგვიანებ, თუ ცხენი გინდა, მომძებნი. წავედი. ბორსასთან ბოდიშს ვიხდი. სხვა დროს ამოვუვლი. — სოლიმმა აღვირი მოქაჩა, ცხენი მხედრის ქვეშ ათამაშდა, ყალყზე შედგა, მერე მერცხალივით გაფრინდა და ბულათიყოს გულიც თან გაიყოლა.

2.

ქორწილის დღე დანიშნეს. მოპატიჟეები შორეულ ნათესავებშიც კი გაგზავნეს. დიდ ქორწილს ეპირება გაბო. ერთი ქალი ჰყავს და სირცხვილს ხომ არ ჭამს. დაე, ბევრი ხალხი მოვიდეს, მისი სიხარული გაიზიარონ, სხვა ბედნიერებას აღარ ელის და ხეობის ხალხი უკანასკნელად კიდევ ნახოს თავის ეზოში. დასაპატიჟებელი კი მართლა ბევრი ჰყავს. რომელ აულში არ ეგულება გაბოს მეგობარი და ნაცნობი.

ლოცვა-კურთხევას დაუტოვებს ყველას, ვისაც მისი ხათრი ჰქონდა, ვინც მის სიტყვას პატივს სცემდა, მასთან ვინც იყვნენ ჭირში და ლხინში. ეტყვის მათ, რომ ყველა უყვარს, გაიძვერა არასდროს ყოფილა, ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც სინდისი კარნახობდა.

ეს გადაწყვეტილება მიიღო გაბომ და ჯერ არავის უმხელს. ან კი რა საჭიროა განზრახულის წინდაწინ გამჟღავნება.

ნაჯაფარ და დაღლილ ნალყუთას ტკბილად ეძინა. გარიჟრაჟზე წამოდგა. პირუტყვს მიხედა, ქათმები დააპურა, მერე კერია გააჩაღა. გული ბედნიერებით ევსება, კიდევ ცოტაც და მერე სამუდამოდ ხსართაგთან იქნება. წუხელ დიდხანს იფხიზლა. სამზითვო წინდებს აშურებს. სალაპარაკოდ ხომ არ გაიხდის თავს, მაყრებს თითო წყვილი წინდა ხომ უნდა აჩუქოს. მერე საქორწილო კაბა გადაიცვა. სარკის წინ დაიწყო კოპწიაობა. როგორ შვენის ცისფერი კაბა, რა ლამაზია. წარმოიდგინა, ამ კაბით „ნარნარს“ რომ იცეკვებს, ყველა ტაშს დაუკრავს, თვალები დაუბრმავდება მტერს. მერე ხსართაგთან აცეკვებენ. მე შენ გითხრა და არ ეხერხება ცეკვა.

მაშინ ნალყუთა, ბერბიჭა სოლომია თუ რაღაც ჯანდაბა, იმაზე იყო გაჯავრებული და ჯიბრზე ცეკვავდა, ახლა სხვაა. ხსართაგთან ცეკვით რა დაღლის, ფანდირის მელოდიასა და ცეკვაში დაიბადა მათი სიყვარული. მას შემდეგ ნალყუთას გული უცნაურ საკრავად იქცა. მღერის და მღერის საოცარ სიმღერებს.

ჩქარა დაღამდებოდეს და გათენდებოდეს. ბევრი დრო არ დარჩა, მაგრამ მაინც ეჩქარება, ხვალ, ზეგ...

მამის ოთახში შეიხედა. „ჩემი საბრალო ბაბა მთელი ღამე კვნესოდა, გათენებისას ჩაეძინა. ეძინოს, სად ეჩქარება“, — გაიფიქრა ნალყუთამ და ფრთხილად გამოიხურა კარი.

სადილობამ მოატანა, გაბო კი არა და არ იღვიძებს. ნალყუთა შეშფოთდა. ოთახში შეირბინა, მამის საწოლთან მიიჯრა. გაბო არ ინძრეოდა, თვალები ჭერისათვის გაეშტერებინა, სახე ზაფრანასავით გაჰფითრებოდა.

— ბაბა, — წყნარად შეეხმიანა ნალყუთა. გაბო არ განძრეულა. — ბაბა! — იყვირა მან და მამის მკლავს ეცა. მკლავი ცივი რკინასავით დამძიმებოდა.

— ბაბა!.. ბაბა!.. — მაშინ კი იკივლა ნალყუთამ. — ბაბა! მიშველეთ, ხალხო, დავიღუპე. — მისმა კივილმა აულის თავამდე უწია.

აული შეიძრა, გაბო მიიცვალაო, ხსართაგს გაეგო თუ არა, მაშინვე წამოსულიყო. ნალყუთას გვერდით იდგა და თხილის სიმსხო ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. ნათესავებში მაცნე გაგზავნეს. დაიწყო მიცვალებულის გასაპატიოსნებელი წეს-ჩვეულების აღსრულება. სამძიმარზე მოსულები გულწრფელი ცრემლებით დასტიროდნენ ხეობაში პატიოსნებით ცხოვრილ გაბოს.

დასაფლავების დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ნალყუთას გული უკვდებოდა, დედულეთიდან ბორსას უმცროსი ვაჟი ილასი.

ამოვიდა მბოლოდ. არც ბულათიყო გამოჩნდა, რა ვიცით, სად არისო, ასეთი პასუხი გამოგზავნეს ბიძებმა. დიდმა მწუხარებამ გატეხა ნალაყუთა. აღარაფერი აინტერესებდა, აღარაფერი ესმოდა.

გიორგობა დღეს დაასაფლავეს მიცვალებული. საქორწილოდ გამზადებულ სუფრაზე ქელეხის პურ-მარილი გაიშალა. აღარ ჩაუცვამს ნალაყუთას ცისფერი საქორწილო კაბა. აღარც საცეკვაოდ გაუშლია მკლავი. ძაძით შეიმოსა და თეთრი ქალაღაიის ნაცვლად შავი თავსაბურით აიხვია ჩამოხოკილი სახე. მორჩა, წლამდის უნდა იგლოვოს მამა!

მარტოდმარტო დარჩა ნალაყუთა. მოხდა ის, რისიც ასე ეშინოდა გაბოს. პირველ ხანებში ნალაყუთასთან გვიანობამდე ისხდნენ ხოლმე მეზობლის ქალები, განსაკუთრებით კი ქირქისა. გვერდიდან არ შორდებოდა მეგობარს, თითქმის ყოველდღე ამოდიოდა ხსართაგიც. ღამე არ რჩებოდა, ხალხმა არ დაგვცინოსო. მერე ამინდი აირია, წელამდე თოვლი ჩამოყარა. ეს არ იკმარა, ქარიშხალი ამოვარდა და მეზობელს მეზობელთან აღარ მიესვლებოდა. შორს დარჩა ხსართაგი. ხეობაში ზვავები ჩამოწვა.

ერთიმეორის მიყოლებით გაიჭიმა ზამთრის გრძელი ღამეები. ქარაშოტის ღმუილი აშინებდა ნალაყუთას. თუ ქარი ჩადგებოდა და გუნებას გადაიყრიდა ბუნება, ნალაყუთასაც იმედი მიეცემოდა. ოცნებით ხსართაგს მისწვდებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ მისი ერთადერთი იმედი ხსართაგიღაა. ისე უყვარს საქმრო, ისეთი ტკბილია მასზე ფიქრი და ოცნება, რომ უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. რა დიდი პატივი სცა, როგორ გააპატიოსნა გაბო. სასიძო კი არა, შვილი არ გასწევდა ამდენ ჯაფას. ხსართაგისა და ბარსაგის პატივისცემას წყლითაც ვეღარ გადაიხდიან გაბოს ახლობლები და სახლიკაცები.

ისე რა საოცარია ქალის გული! სანამ ხსართაგს გაიცნობდა, არაფრის ფიქრი არ ჰქონდა. ქვეყანას ერთნაირი თვალით უყურებდა. ერთნაირი იყო ხალხი, ერთნაირი იყო მთებიც. ახლა ხალხი თითქოს ორად გაიყო. ერთი ნალაყუთას კეთილისმყოფელები არიან, მეორენი უნდონი, ურწმუნონი.

მაგრამ მაინც ხსართაგი!.. მისი ფიქრები წავა-წამოვა და ისევ ხსართაგზე შეჩერდება. ნეტავ როგორ არის, რას აკეთებს, ნალაყუთა თუ აგონდება? ოღონდ თვითონ იყოს კარგად.

ჩქარა მაინც გავიდეს ზამთარი, გზა გაიკვეროს, რომ კვლავ შეხვდეს სატრფოს. ყელზე ჩამოეკიდება და ეტყვის, ნუღარ დამტოვებ მარტოსო. მაგრამ ერთად ყოფნაც რომ არ შეიძლება. რას იტყვის ხალხი? ენა ქვასაც ხეთქავს და რისიც გაბოს ეშინოდა, ის დაემართება ნალაყუთას, საჭორაოდ გახდება. თავი მოეჭრება დუნიაზე. ბოროტ ენას წინ რა დაუდგება, მაგრამ ვინ რა იცის, როგორ უმძიმს ნალაყუთას, როგორ ეშინია მარტოს ღამით.

იმ მკაცრი ზამთრის უსასრულოდ გრძელ ღამეებში ნალყუთას ორ ადამიანზე ფიქრი უკარგავდა მოსვენებას — ერთი მისი გულისწყორი ხსართაგია, მეორე — ძმა, ბულათიყო. პირველმა მეორე გამოდევნა ქალიშვილის გულიდან და მთლიანად თვითონ დაისაკუთრა.

ძმა და და ყველაზე ახლობლები არიან, როგორ არ იცის ეს ნალყუთამ, ვერც წარმოედგინა ბულათიყოზე მეტად თუ ვინმე შეუყვარდებოდა, მაგრამ თვითონ რად მოიძულა ერთადერთი და? რატომ გაიმეტა ასე? სულ მარტო მიატოვა, არ იფიქრა, როგორ უმძიმდა. მას შემდეგ ეჭვის ჭია შეეპარა გულში ნალყუთას და მოურიდებლად ღრღნის. ასე გულის გაციება თუ შეიძლებოდა, ვერც წარმოედგინა. საფიცარმა ვაჟიშვილმა ერთი მუჭა მიწა ვერ გაიმეტა მშობლისათვის. რატომ? რა დაუშავა მოსიყვარულე მამამ ერთადერთ მემკვიდრეს?

აი კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა არ შეეძლო ნალყუთას.

გაჭირვებულებული ზამთარი ნელ-ნელა დაშოშმინდა და მერე სულაც შეუმჩნევლად გაიპარა. ხეობებში ჩაზვავებულ თოვლს დნობა შეეპარა. ნალყუთამ ეს მაშინღა შეამჩნია, როცა ხსართაგმა ჭიშკარი შეშოაღო.

სარკმლიდან დაინახა. გარეთ გამოვარდა. კისერზე ჩამოეკიდა:

— ხსართაგ, ჩემო სიცოცხლევ, — სიხარულისა და ბედნიერების ცრემლები მძივებივით დაეკიდა გრძელ წამწამებს. — როგორ დავიღალე, როგორ დავიტანჯე ლოდინით.

გვერდიგვერდ დასხდნენ და ერთიმეორის ცქერით ვეღარ ძღებოდნენ. ორივე ერთად ლაპარაკობდა.

ხსართაგმა საკაცო საქმეები მოათავა. მზე გადაიწვერა, წასვლის დრო იყო. გული არ მიუწევდა წასასვლელად, ფეხს ითრევდა.

— წადი, გენაცვალე, ხსართაგ, დაბნელდება.

— ასე ჩქარა? — შეკრთა ვაჟი.

— შორი გზაა. თანაც ცუდი გადასასვლელებია, მეშინია, ფეხი არსად დაგიცდეს.

— რა იქნება, რომ დავრჩე ნალყუთა.

ნალყუთა შეკრთა. მართლაც რა იქნება! ის ხომ მთელ ზამთარს ოცნებობდა ამ დღეზე. მაგრამ ხალხი? რას იტყვიან მეზობლები?

— ხალხისა სირცხვილია.

ხსართაგს აღარაფერი უთქვამს.

— მართალი ხარ, ხალხს ანგარიში უნდა გავუწიოთ.

— ხსართაგ, გეხვეწები, ჩქარა ამოდი, მეშინია.

— როგორც დროს მოვიხელთებ, აქ გავჩნდები. აბა, კარგად დარჩი, ჩემო სიყვარულო, ჩემო ერთადერთო საუნჯევ.

— მშვიდობით გატაროს ღმერთმა, ვასთირჯი იყოს შენი მფარველი, — მოეხვია ნალყუთა სატრფოს. ვაჟი წყაროსავით დაეწაფა ქალის ალუბლისფერ ბაგეს.

ისევ მარტო დარჩა ნალყუთა. გაზაფხულზე ყოველ წუთს წყალდიდობაა მოსალოდნელი. ალაგ-ალაგ თოვლის ნამქერი ისევ სქლად

დევს, სიარული სახიფათოა, განსაკუთრებით ღამით. შეიძლება კაცი ნამქერში ჩაეფლოს და ვეღარ მოახერხოს ამოსვლა. გული შემოჰ-კვნესის ჯავრიან ქალს, ნანობს: „რად გავუშვი, რა ყურს ვუგდებ ხალხს, ვისაც რა უნდა, ის თქვას“.

ამ ფიქრებში გართულს დერეფნიდან ხმაური მოესმა. კარს ეცა. ბულათიყო! მას ვიღაც ბერიკაცი ახლდა. ნალყუთა მიხვდა, ის ბერ-კაცი პაპა იყო მისი.

თავის სიცოცხლეში მეორედ ნახა ბორსამ შვილიშვილი. ერთხელ მაშინ, როცა ის ისევ აკვანში იწვა და მეორედაც ახლა. მისი ამბავი სხვებისაგან ესმოდა, მაგრამ არ ეგონა, ასეთი თვალტანადი თუ იქნე-ბოდა.

დიდი ხნის წინათ ბორსამ თავისი ქალიშვილი ქოსერი გუ-ლიდან მოიწყვიტა იმიტომ, რომ მამის სურვილს ანგარიში არ გა-უწია. სიმართლე უნდა ითქვას, ბორსას ვაჟიშვილებს ერჩია ქოსერი, მაგრამ მისივე ბრალი იყო ყველაფერი, ამოირჩია ის უბედური გა-ბო და, მამამ წყევლა გამოაყოლა თან. გაბოს თუ რამე ებადა, ურ-ვათში წაართვა, ეგონა სიღარიბით შეწუხებული ქოსერი შინ დაუბ-რუნდებოდა. ასე არ მოხდა. მოსიყვარულე ცოლ-ქმარმა სიღარიბეს სძლიეს, ისევ მოიდგეს სული. გაბო მოხერხებული და მშრომელი კა-ცი იყო, ოჯახი მალე წამოაყენა ფეხზე.

აგერ, ახლა, უყურებს პაპა შვილიშვილს და თავისი ცქრიალა ქოსერი დაუდგა თვალწინ. ისიც ასეთი იყო, ტანწერწეტა და პირ-მშვენიერი. გულის კუნჭულში მიძინებულმა შვილის სიყვარულმა უცბად იფეთქა. თვალთაგან ორი კურცხალი გადმოუგორდა და იქვე ახლოს ლოყების ნაოჭებში ჩაიკარგა.

— ღმერთო დიდებულო, ამას ვის ვხედავ? ჩემი ქოსერი აღსდგა მკვდრეთით. ნალყუთა, შვილო, მოდი გულში ჩაგიკრა.

ნალყუთამ იცოდა, რომ წყევლა-კრულვა გამოატანა ბორსამ დედა-მისს მზითვად და მკვდარსაც არ აპატია ურჩობა, მიწაში ისე ჩაასვენეს. მამის ცრემლი არ ჩაჰყოლია თან, ახლა, როცა ბორსამ დედამისის სა-ხელი ახსენა, გული როგორღაც გაუკერპდა.

— მოდი, შვილო, მოდი. პაპა ვარ შენი. ვეღარ მიცანი?

— ვერ გიცანი, ვინ ბრძანდები? — ცივად უთხრა ნალყუთამ და ნაბიჯი წადგა წინ.

— ბორსა ვარ, გოგო, შენი დადა. არ გახსოვარ? ერთხელ აკი იყა-ვი ჩვენსა.

— ეგ, ალბათ, დიდი ხნის წინ იყო, რაღა მეხსომება, ეგ ვინღა, თან რომ გახლავს?

— შენი ძმა, ბულათიყო... ვერც ეს იცანი?

— მერე, სად იყო აქამდის? თუ ჩემი ძმაა, რატომ ვერ შეიტყო, ზარი რომ დაეცა მაგის ოჯახს? რატომ სხვა შვილებივით არ ასწია მა-მის კუბო? ან ახლა, თუ ჩემი ძმაა, რატომ არ წაიშენს თავში ხელებს, რატომ არ დაიტირებს მამას? არა, ეგ ჩემი ძმა არ არის, თორემ რა-

ტომ არ იფიქრა, ჩემი და მარტო დარჩა გაციებულ კერაზე, მივიდეგვერდში ამოვუდგე, მწუხარება შევუმსუბუქოო! ფეხებდამტვრეულიც რომ ყოფილიყო, მაინც უნდა მოსულიყო და ჩემთვის შემოეტირა — აქა ვარ, ჩემო საბრალო დაო, ნუ გეშინია, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებო, — ამ სიტყვებზე ტირილი აუვარდა ნალყუთას.

ბორსა შეკრთა. ლაპარაკის უნარი დაკარგა. ნერწყვგამშრალ პირში ენას უმწეოდ ასარსალებს.

არც ბულათიყოა უკეთეს მდგომარეობაში. დის საყვედურებმა ისე დაამცირა, რომ ჩირადაც აღარ მიაჩნია თავი. სინდისი ჭუჭყიანი ჰქონდა, გული — ღვარძლით სავსე, იმიტომაც ემალებოდა დას.

ისევ ბორსა მოეგო გონს. მოხსნა თავი მჭევრმეტყველების გუდას და ბადაგივით დაიშაქრა:

— გვაპატიე, შვილო, დამნაშავე მხოლოდ მე ვარ. შენმა დედამამამ მაწყენინეს. ჩემს უკითხავად გადაწყვიტეს ჩემი გადასაწყვეტი საქმე. ვერ ვაპატიე, ვერ მოვერიე ამ სასიკვდილე გულს. იქნებ არ ვიყავ მართალი? ასე მკაცრად არ უნდა დამესაჯა არც ჩემი შვილი, არც ჩემი თავი. მაგრამ ადამიანი ვარ და შეცდომაც ადამიანისთვისაა მოგონილი, თუმცა მამაშენიც იყო დამნაშავე.

— გეყოფათ! მამაჩემის აუგად ხსენების უფლებას არ გაძლევთ! — იყვირა ნალყუთამ და თვალებიდან ნაკვერჩხლები მიაყარა პაპას.

— მაპატიე, ნალყუთა, საწყენად არ მითქვამს. ნამდურავად ვიყავი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ამოსვლა არ მეკუთვნოდა. უცხო ხომ არ იყო, მაგრამ ავად ვარ, ხომ ხედავ, წასვლა-მოსვლისთვის აღარ ვვარგივარ, დავბერდი, შვილო, დავბერდი.

— შვილი არ ადგა თავზე და თქვენ რაღად დაგემდუროთ?

— შინ არ იყო, როცა გამოჩნდა, კაცის სიმაღლე თოვლში გზა ვეღარ გამოიკვლია და დარჩა, — ბულათიყოს გამართლებას შეეცადა ბორსა.

— გული რომ სტკენოდა, არწივის ფრთებს გამოისხამდა და ისე გადმოფრინდებოდა.

— გეყოფა, გოგო, თუ არ გვიშვებ სახლში, გვითხარი და წავალთ. დამნაშავენი ვართ, პატიებას გთხოვთ...

— პატიება იმას სთხოვოს, მაგის უმზრახი ვინც ჩავიდა საფლავში. იმის წინაშე ხართ დამნაშავენი. სიმართლე რომ გითხრათ, სახლში შემოსაშვები არცა ხართ, მაგრამ რა ვქნა, რაკი სინდისმა გაგიჭრათ და მოხვედით, რაღა მეთქმის...

ბორსამ ტყავკაბა დედაბოძზე ჩამოჰკიდა და კერიას მიეფიცხა. ბულათიყო ისევ ისე იდგა. ნალყუთამ ცეცხლს შეშა დაუმატა და მერე მიუბრუნდა ბულათიყოს.

— ნეტავ არ დაბადებულიყავი, თუ ასეთი უბედური გაიზრდებოდი, რა გიყავით, ბიჭო, ისეთი, რომ ასე სასტიკად მოგვექეცი? ერ-

თმა დედამ გვშობა, ერთი ძუძუ გვაწოვა, ერთ აკვანში გვაწოვდა და ერთნაირ ნანას გვიმღეროდა. მაშ, რა არის მაგ სიძულვილის მიზეზი? რა დაგიშავე? რატომ არ შეგებრალე? ხომ იცოდი რა ტანჯვითაც გამომზარდა მამამ, შენ დედულეთში არაფერი გაგიჭირვებია, მე და მამაჩემმა კი რამდენი ვაება გამოვიარეთ. ქვეყანაზე იმაზე ძვირფასი არავინ მყავდა. იცოდი შენ ეს და მაინც იმსხვერპლე. ერთი დედის მუცლიდან ნაშობ მტაცებლებსაც კი უყვართ ერთმანეთი, სიცივეში ერთმანეთს ეკვრიან, ერთმანეთს გულებით ათბობენ და ისე იძინებენ. შენ რა ღმერთი გაგიწყრა? როგორ გაიმეტე მშობელი მამა? ხალხის რისხვისა მაინც არ შეგეშინდა?

ბულათიყო გაშრა, რისიც ასე ეშინოდა. ახლა ტყვიასავით შიგ სახეში მიახალა დამ. სული კინაღამ გაეპარა.

— მაპატიე, ნალუუთა, შევცდი!

— მე გაპატიებ თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს, ის გაპატიებს, ვინც დედულეთიდან ძაღლივით გამოაგდე? მას შემდეგ მოუკვდა გული, ჩავარდა და აღარც ამდგარა. რომ მოსულიყავ, პატიება გეთხოვა, იქნებ გამოკეთებულიყო, ცოტა ხანს კიდევ ეცოცხლა...

— ნალუუთა, შვილო, შენმა ძმამ შეიგნო თავისი დანაშაული, ბერიკაცი ვარ და გთხოვ, აპატიე, ქვეყანაზე ისეთი დანაშაული არავის ჩაუდენია, რომლის პატიებაც არ შეიძლებოდეს.

— მე მიპატიებია, თუ საქიროში ბაბა აპატიებს... — თქვა ეს ნალუუთამ და ცრემლი მოერია, არ უნდოდა თავისი სისუსტე ბულათიყოსათვის ეჩვენებინა და გარეთ გავიდა.

ბულათიყოს აქამდე ერთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უფსკრულის თავზე ბენკით ეკიდა, რომელიც საცაა გაწყდებოდა. ამ სიტყვებზე იგი თითქოს კვლავ საქაოს დაბრუნდა. გონზე მოვიდა. მიხვდა მისი დანაშაულის შესახებ დამ არაფერი იცოდა, ის მხოლოდ სხვა რამეზე ემდუროდა, ყელში მოწოლილი ბოღმა შეეშვა. აღარ ახრჩობდა, მხოლოდ შუბლზე ოფლის წვეთები მძივებად იქცნენ და ერთიმეორის მიყოლებით დაქანდნენ სახეზე, თითქოს ჭუჭყის ჩამორეცხვა გადაუწყვეტიათო.

— ბოძს ხომ არ შეეყინე, ბიჭო? — შეუტია ბორსამ შვილიშვილს. — გადმოდგი ფეხი, მოდი ახლოს, მაგ გიჟურ ყვირილსაც შეეშვი, თითქოს მართლა შენ მოგეკლას მამაშენი, რას ბოდიშობ, დრო მოუვიდა და მოკვდა. შენ რა შუაში ხარ? თავს დამნაშავედ ნუ აჩვენებ დას, როგორც დაგარიგე, ისე მოიქეცი. მიეფერე, გოგო, გული რბილი ცომია და ტკბილი ენით ფუნთუშა პურის გამოცხობა შეიძლება. ხეპრე ნუ ხარ, ეტყობა ნალუუთა მარტო სახით კი არა, ჭკვითაც დედასა ჰგავს.

ბულათიყო მთვრალი კაცივით მიბარბაცდა კერიამდე.

— ჰოდა, ასე, — სიტყვა გააგრძელა ბორსამ, — ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო. ამას იქით აქ უნდა იცხოვრო, დიდხანს აღარ შეგაწუხებს, დანიშნული ყოფილა და წავა. ჩემთან რომ ყოფილიყავ,

ბარემ დამშვიდებული ვიქნებოდი, მაგრამ თვითონ ნახე, ჩემი სასიკ-ვდილე ბიჭები რა დღეში იყვნენ. ჯერ პირდაპირ ვერაფერს ბედავენ, მაგრამ როცა მე აღარ ვიქნები, მშრალზე დაგსვამენ. სჯობია, ახლავე აქ, მამიშენის კერაზე დაივანო.

— ამ ცარიელ სახლში რითი ვიცხოვრებ, დადა?

— თუ ივარგებ, ყველაფერს იქონიებ. მერე კიდევ, არც ისეა საქ-მე, როგორც შენ ფიქრობ, საქონელი გყავს, მიწა გაქვს, მართალია ბევრი არ არის, მაგრამ თუ ფხას გამოიჩენ, გააბევრებ. მეც მოგეხმა-რები.

— ჯერჯერობით აქ რომ დარჩენილიყავ, დადა?

— არა, შვილო, ეგ არ ივარგებს, შენიანები რას იტყვიან? თან ში-ნაობის დარდიც მაქვს.

— მაპატიე, დადა, ჩემი მიზეზით შენც ბევრი უსიამოვნება შეგ-ხვდა.

— ეგ არაფერი.

მეორე დღეს ბორსა წავიდა. შვილიშვილს, რომელსაც თავის იმედს, თვალისჩინს ეძახდა, შავი კაპიკიც არ დაუტოვა.

ნაწილი მეორე

ღამე დღისკენ გადაიხარა

პირველი თავი

ფუვდიადში იშვა ურჩხული

1.

აულის ბოლოს, ტირიფებთან, პატარა, ბუჭულა წისქვილში კვარის შუქზე აჩრდილივით მოჩანს ქალიმათი. მინავლებული კერიის წინ ზის და ვახშმობს, ქერის პურის გამხმარ ქერქს წყალში ასველებს და ხარბად ილუკმება.

მშრალი ქერის პური ძნელი საჭმელია, მაგრამ შიმშილის მსახვრელ ძალას ვინ გაუძლებს? ყელში წაუჭერს და რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებინებს მსხვერპლს. დილასაც სცადა ქალიმათმა გამხმარი და დაობებული პურის ნატეხის შეჭმა, მაგრამ ვერ მოახერხა. საღამოთი ძალიან გაუჭირდა, ცარიელი კუჭი ეწვოდა, თვალთ უბნელდებოდა და ძეტი რაღა გზა ჰქონდა, წყლით სავსე ჯამი მოიდგა გვერდით და გამხმარი პურის ნატეხები ხელში შემოადნა.

ძოათავა ვახშამი. პირმოტეხილი დოქიდან წყალი დააყოლა, ვერ გაძღა, დღეს თავი მაინც მოიტყუა, მაგრამ ხვალ რაღა იქნება, ზეგ რა ელის?

მარტოდმარტოა ოჯახიდან გაძევებული, აულიდან მოკვეთილი ქალიმათი.

აგერ მეორე წელია ამ წისქვილს შემოეფარა და ასე მარტოდმარტო, მშიერ-მწყურვალი, ტიტველ-შიშველი ატარებს გაწამებულ წუთისოფელს. აულში ორი ადამიანის მეტმა არავინ იცის, რითი ცხოვრობს, რას აკეთებს ეს სვეგამწარებული ქალი. ერთი მათგანი სოლიმია, მეორე — აცირუხსი. ქალიმათის საცოდაობამ დასწვა აცირუხსი. მისმა ძდგომარეობამ საკუთარი წარსული გაუახლა. რაღაცაა მათ შორის საერთო, ოდესღაც უსუსური ყლორტივით ძირშივე ჩახმა აცირუხსის ოცნებაც. გაჭირვების დროს მხარში არავინ ამოუდგა. პირიქით, წაქცეულს ზედ შესდგნენ და ფეხით გადაქელეს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, დაკოდილი გული კი აღარ გამთელდა.

თავი მოეჭრა ქალიმათს, მაგრამ რატომ? რამ მიიყვანა ამ მდგომა-

რეობამდე? არავინ კითხულობს ამას, ყველა თვალს არიდებს. ვის რაში ეკითხება უღონო, სახელგატეხილი ქალი!

აცირუხსმა დიდხანს იფიქრა, როგორ დახმარებოდა ქალიმათს და ერთ ბნელ ღამეს, როცა აულმა პირველი ღრმა ძილით ჩაიძინა, შეუმჩნევლად გავიდა სახლიდან, წისქვილამდე სულმოუთქმელად ჩაირბინა და კარზე მიაკაკუნა. ქალიმათი ყველაფერს მოიფიქრებდა, მაგრამ აცირუხსი თუ მასთან მივიდოდა და სასმელ-საჭმელს მიუტანდა, ამას ნამდვილად არ მოელოდა. იმ ღამეს ქალიმათმა გათენებამდის იტირა. აცირუხსი კი როგორც მოულოდნელად გამოჩნდა, ისევე მოულოდნელად გაქრა. სოლიმისა ეშინოდა.

აცირუხსი ყურადღებას აღარ აკლებდა ქალიმათს. ლოგინი ჩაუტანა, ქვაბი, ჯამი, გადაგდებული ფინგი, ფქვილი, კარტოფილი, ყველი, ღორის ხორცი... როცა კი დროს მოიხელთებდა, მაშინვე წისქვილისკენ გარბოდა.

ერთხელაც, ადრე გაზაფხულზე აცირუხსმა სანოვაგე წაუღო ქალიმათს. ის იყო წისქვილს მიუახლოვდა, რომ ვიღაც კაცი გამოვიდა იქიდან და ტყე-ტყე გაიქცა ქურდივით. აცირუხსი შეუმჩნევლად მიჰყვა უკან და როცა აჩრდილი მათ ჭიშკარში გაუჩინარდა, მიხვდა, ვინ იყო ქალიმათის დამღუპველი. გაშრა ქალი, აი, როგორი ყოფილა ქალიმათი. ამიტომ მალავდა თავისი დამღუპველის ვინაობას. ის დღე იყო და აცირუხსს წისქვილისაკენ აღარ გაუხედია.

ვახშმობა დიდი ხანია გადავიდა. კედელში გარჭობილი კვარი ოდნავღა ბჟუტავს და ჩასაქრობად სულსა ღაფავს. ქალიმათი კი ნაბდისძველაზე ზის და ლოდინით თვალებამოღამებული კარს უყურებს. გარედან ფეხის ხმა მოესმა. ქალიმათი ფეთიანივით წამოვარდა და კარი ყურთამდე გამოაღო. კვარი ჩაქრა, მთვარის შუქზე აჩრდილი შიგნით შევიდა და კარი ისევ მიიხურა.

— რას გამოშტერდი, აანთე კვარი და სარკმელს ჩამოაფარე! — შემოსვლისთანავე საყვედურით აავსო ქალი.

— კვარი გამითავდა. — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ქალიმათმა, — შიმშილით ლამის სული გამძვრეს.

— ძალიან გასუქებაც არ ვარგა.

— გასუქება, შენმა მზემ, შენი მოტანილი სასმელ-საჭმელი თავზე გადამდის. ნუ გამაუბედურებდი. ვეგდებოდი ჩემთვის, ასე იყო თუ ისე, ლუკმას მაინც არავინ მაყვედრიდა.

— კარგი, გეყოფა, აი, მოგიტანე საჭმელი. საქმეები მაქვს, ვერ მოვიცალე. დაჯექი, ჭამე, ხვალაც მოგიტან.

— მომიტან... თოვლს რომ ჩამოყრის, მერე რაღა მეშველება, შარშან ზამთარს კინაღამ მოვკვდი, წელს ასე ვეღარ შევძლებ.

— ამაზე მართლა უნდა ვიფიქროთ. ზამთარში გამიჭირდება შენთან შოსვლა, თოვლზე შეიძლება კვალი შეამჩნიონ. სახელი გამიტყდება ხალხში.

— არ მოხვალ და მე ვიცი რასაც გიზამ, შენსავე სახლში ცეცხლში

გამოგბუგავ. ჩემთვის უკვე დიდი ბედენა არ არის, ვინ რას იტყვის. ილაპარაკონ, მოსწყინდებათ და გაჩუმდებიან.

— ცეცხლი ხარ, ცეცხლი. დამწვი, დამდაგე და კიდევაც მსაყვედურობ.

— ისემც არ გაიხარე ჩემი ცოდვით. ტკბილი ენით მომთაფლე. მომატყუე, შემარცხვინე და ახლა აი რა ძვირად მიჯდება შეცდომა. ვიცი, შენ რომ უსინდისო ხარ, მატყუარა, ცბიერი, მაგრამ მაინც მიყვარხარ. ეშმაკმა იცის, რისთვის შემიყვარდი. შე უგულო. შეუბრალებელო. ეს სიყვარული რომ არა. განა ჩემს სიცოცხლეს სიცოცხლე ჰქვია? მაგრამ თუ უარესს მიმზადებ, თუ სხვის შერთვას ფიქრობ, მაშინ კი მიფრთხილდი. შხამს გასმევ. ზედ წაგაკლავ ჩემს შერცხვენას, შენს სისხლს დაგლევ, და შენს გვამს კბილით დავგლეჯ.

— ხალხში უნდა გაერიო, გესმის?

— ხალხმა ზურგი შემაქცია, ჩემი ეშინიათ, ყველა გამირბის.

— მე მოველაპარაკები, აი ნახავ.

— მართლა? ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ერთადერთო იმედო. წამიყვანე.

— საცაა გათენდება, წასვლის დროა.

— ასე ჩქარა? როცა ჩემთან ხარ, რა ჩქარა გარბის დრო.

— ხვალღამ მოგაკითხავ.

— აღარ დაიგვიანო, წადი...

წისქვილის კარმა გაიჭრიალა და აჩრდილი თელიანში გაუჩინარდა.

მეორე დღეს ნიხასში სოლიმმა ქალიმათზე ჩამოაგდო სიტყვა.

— ძაქო, ი ჩემ წისქვილში რო დაიდო ბინა, რას უშვრებით იმ დედაკაცს? დილასა ვნახე და იმისი ცოდვით დედამიწა იწვის, ხალხი ვართ, აული. ასე როგორ შეიძლება. მართალია. თავი შეირცხვინა, უღალატა ქმარს, ოჯახს, მაგრამ ასეთი მკაცრი სასჯელი სად გაგონილა, რომ ადამიანი ცოცხლად დავმარხოთ.

— სოლიმ, პატივცემული კაცი ხარ ჩვენს შორის, გაფასებთ კიდეც. მაგრამ გთხოვ, იმ უწმინდურის სახელი არ ახსენო ნიხასში — სიტყვის დამთავრება არ დააცადა ყუნცელმა.

— ვიცი, ყუნცელ, მაგრამ ღვთის გაჩენილი ადამიანი შიმშილით რომ მოკვდეს. ღმერთი არ გვაპატიებს. ცოდვა ჩაიდინა. მაგრამ ამ ორ წელიწადში რაც ის ეწამა, ვაკმაროთ, დღეს დილით დავინახე ბალახსა ჭამდა. ასეთი უჯიათობა არ გამიგონია, ადამიანი პირუტყვად ვაქციეთ.

— ბალახს კი არა... ეშმაკთანა აქვს პირი შეკრული, იმიტომ არაფერი ერევა.

— რაღა არ ერევა, შე კაი კაცო. ცარიელი ძვალი და ტყავიღაა. შენ გელაპარაკები, ძაქო, შენა ხარ უფროსი და რასაც იტყვი... შეცდა დედაკაცი, ნამდვილად სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა, მაგრამ ჩვენ ხომ ხალხი ვართ, მოვკლათ ადამიანი? არ შეიძლება ასეთი სიმკაცრე. ხალხი დაგვცინებს, ცოდვის შვილი შიმშილით მოკლესო. ახლა კიდევ ეს მითქმა-მოთქმა. ეშმაკიო... რის ეშმაკი? ყოველივე ეს ზღაპარია, ვინ

იცის, ვინც ის შეაცდინა, ახლაც ჩვენ შორის არის. და თუ ქალი ასეთ ძძიმე სასჯელს იხდის, ის რატომ დადის დაუსჯელი? — გაცხარდა სოლიმი.

— ეი, დადა დაი, ეგ რომ ვიცოდე, ბარემ დავაყრევინებდი წელებს, მაგრამ რომ არ ამბობს ის კახპა, — გულზე მჯიღი დაიბაგუნა ყუნცელმა.

— რომ თქვას, სისხლი დაიღვრება, ყუნცელ, იმ უბედურს კი ეს არ უნდა. რა ვქნათ, ვაპატიოთ თუ არა უპატრონო ქალს დედაკაცური სისუსტე?

— ვინც აპატიებს, ჯერ შინ წაიყვანოს და პირზე წაცხებული მური ენით აულოკოს, შემდეგ გაუშვას ხალხში, — გაცხარდა ყუნცელი, წამოხტა და ცუნცულით გაეცალა ხალხს.

— რა ვიცი, ვინც რა უნდა თქვას, მე ჯერ ადამიანი ვარ და მთელმა აულმა იცის, სოლიმს ძაღლის ლეკვიც არ გაუგდია მშიერი და მით უმეტეს ადამიანის შვილი. მე შევუშვებ სახლში.

2.

ქალიმათი გამოძვრა წისქვილიდან. პირველად სოლიმმა წაიყვანა შინ. მერე თანდათან გავიდა ხალხში. აული ნელ-ნელა უღებდა კარს. გაიხარა. სოლიმი იყო იმის მზე. სული და გული. მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, როდის ეტყოდა სოლიმი, ცოლად გირთავო. მომავალზე ოცნება გულს უხარებდა. ერთ ღამეს ვეღარ მოითმინა და პირობა შეახსენა სოლიმს.

— როდემდის ემალოთ ჩვენი სიყვარული, სოლიმ?

— მე ხვალაც მზად ვარ შეგირთო, მხოლოდ...

— რა, მხოლოდ?..

— ჭორი გავრცელდა.

— ის ჭორი აღარაფერს ნიშნავს.

— მაგაზე მეტი რაღა გინდა, ხალხი ამბობს, რომ ეშმაკმა შეგაცდინა, მერე, იცი რას ნიშნავს ეს?

— რას?

— ხალხს შეუძლია ჩაგქოლოს. ამბობენ, ღამე კუდიან დედაბრად იქცევი ხოლმე. ეშმაკი წისქვილის ხვიმირში ხალხის ბარაქას ჩაყრის და სწრაფად ფქვავს. შენ კი უშველებელ პირს უშვერ და იქვე ყლაპავ ყველაფერს. შიმშილით იმიტომ არ მოკვდაო, აბა.

— მაგას ვინ დაიჯერებს?

— სულელო, მაგის დაჯერებას რა უნდა. ჯობია იმაზე იფიქრო, რა უბედურება გელის. მე ლამის ჯავრმა გამათავოს.

— კი მაგრამ, შენც გჯერა?

— მე რომ არა მჯერა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ხალხმა გნახა...

— ვინა მნახა?

— ზარინამ, ხასანას ცოლმა. ფქვილსა ლოკავდაო... თვითონ მოჯა-

დოებული ყოფილა, თვრამეტი წელი იმიტომ არ უჩნდებოდა შვილი. ჰოდა, შენთვის მოუფურთხებია. ახლა ნუკრივით ბიჭი ჰყავს. თუმცა, ღმერთმა იცის ვისგან ეყოლა?

— ვითომ ეშმაკისგან?

— რა გაუგებარი ხარ, მაგათ რომ შვილი გასჩენოდათ, აქამდე გაუჩნდებოდათ. ამბობენ, ბარსაგის ბიჭის, ხსართაგისგან არისო...

— ეგ რა თქვი, — შეკრთა ქალიმათი.

— მაშ! შენ ტყუილად მოგიგონა, ჰო, ვითომ ჩემი სირცხვილი არ გახმაურდესო, ყველაფერი ეშმაკს დააბრალა. იმისმა კამეჩმა ქმარმაც დაიჯერა და შენ ამ ავ საქმეში გადანაშაულებს.

— ო, ზარინა ვნახე გამწარებული იმ საფიცარ შვილზე. ღმერთო, უწილკერძოდ გადაატარე. რა დავუშავე? ასე სასტიკად რად გამამწარა? მოთქვამდა ქალი.

— გაჩუმდი, რა კატასავით აკნავლდი?

— ძომწყდი თავიდან! ყველაფერი შენი ბრალია! შენ გამხვიე ამ უბედურებაში, შენ მომჭერი თავი, შენ იყავი, შენ! ახლა, როცა თავზე ცეცხლი წამიკიდე, განზე გამიდექი. მომცილდი, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, მეზიზღებით ყველა. აქამდისაც შენი გულისათვის მეჭირა კბილით სული. ახლა გაიხარე, ხალხი თუ ჩამქოლავს, შენც გათავისუფლდები და მეც, ანდა რაღად მინდა სიცოცხლე, მე თვითონაც მოვიკლავ თავს, — ხმამაღლა ატირდა ქალიმათი და თავისი ნაწნავები ყელზე შემოიხვია.

— ნუ გაგიჟდი, მომისმინე! — ხელები დაუჭირა სოლიმმა და ყელი გაუთავისუფლა. — ტყუილად არ ამბობენ: „დედაკაცს თმა გრძელი და ჭკუა მოკლეო“. თავს რაზე იკლავ? როცა შეგიძლია იმას ძოაკვლევინო თავი, ვინც შენ ეგ ჭორი გაგივრცელა.

— როგორ? — გამოცოცხლდა ქალიმათი.

— ვითომ, შენი თვალით ნახე ისინი აგერ, მურყნარში. ვიღაცვიღაცებს ჩაუჩურჩულე, ისე, საიდუმლოდ, თუნდაც ბესოაანთ ქვრივ ტასის უთხარი, ნაწყენია, მგონი. ხსართაგმა მისი ქალი დაიწუნა... ხომ იცი, დედაკაცის ენა ქარივითაა. დილიდან საღამომდე მოირბენს აულს.

— არ მითხრა, ეგ სოლიმ, ვერ ჩავიდენ ბოროტებას, დეე, ისევ მე ჩამქოლონ, ღირსი ვარ, უსინდისობა ჩავიდინე, ვიცი ხალხის რისხვა დავიმსახურე, მაგრამ ცილი დავწამო უდანაშაულო ადამიანს? არა, არ შეშიძლია! — ამოიკვნესა ქალმა.

— შენი ნებაა, მხოლოდ არა თქვა, არ ვიცოდიო. შენს ჩაქოლვას მე ვერ ავიტან, დავხოცავ ყველას და მეც თავს მოვიკლავ. თუმცა ჩემი ბრალია ყველაფერი, აქამდე რატომ არ შეგირთე. დაე, ვისაც რა უნდოდა, ის ეთქვა. რა საქმე მაქვს ხალხის ლაპარაკთან. იყეფებდნენ და გაჩუმდებოდნენ. ეჰ, რაღა მეთქმის, მინდოდა, მაგრამ ზორაანთ მოვერიდე. მე ერთი ვარ, ისინი ასნი. ახლა იმ უნამუსოს ცილისწამება. წინათ მარტო მათ უნდა შევებრძოლებოდი, ახლა მთელ აულს. ცეცხლს წამიკიდებენ. ბარემ ის შეცდომა რომ არ მომსვლოდა, მაგრამ ახლა რა-

ღა დროს სინანულია, მიყვარხარ, იცი, რომ უშენოდ არ შემიძლია. ამდენი წელი შენ შემოგყურებ. შენს გარდა სხვა ქალი არ არსებობს ჩემთვის. ლამაზი ქალიშვილების მეტი რა არის, მაგრამ შენი სადარი რომ ვერავინ ვნახე. ან შენ, ან — არავინ! ჰო, იფიქრე, ჩემო ერთადერთო, როგორ წავა ჩვენი ცხოვრება. გახსოვდეს, ჩვენი მომავალი შენზეა დამოკიდებული. მე თავის დროზე ვერ ვიმარჯვე. ვნახოთ, შენ რას იზამ!

სოლიმი ბალღამს ნელ-ნელა აწვეთებდა ქალიმათს, მიაღწია კიდეც საწადელს, გატყდა ქალის გული, ან კი რა ძალა გაუძლებდა ცდუნებას — ბედი უღიმოდა. მერე რამდენ ხანს ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ის სოლიმის სახლში კანონიერ დიასახლისად დატრიალდებოდა. აი დადგა ეს დღეც და რაღაც უშლის ხელს. ვიღაცის ენა უწამლავს ბედნიერებას. იმ ენით ხალხის რისხვა ელის, მარტო რისხვა კი არა — ჩიქოლვა. არა, არა, ურჩევნია სოლიმის წინადადება მიიღოს, ზარინამ არ შეიბრალა ის. მაშ ქალიმათი რატომ დაზოგავს?

გარედან შემოდგომის ქარაშოტმა წისქვილის ფარღალალა კედლებიდან შეშინებულივით დაიღმუვლა. აულიდან მამლების გაბმული ყივილი გაისმა და დილამდე თითქოს მშველელს უხმობენო, ისე გასძახოდნენ ერთმანეთს.

3.

ხსართაგს მართლა დიდი გასაჭირი დაადგა. მოსიყვარულე ძმებს შორის ძალზე დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა. ბარსაგი და ხასანა ახლა შეურიგებელი მტრები იყვნენ. უბედურებამ დაისადგურა მათ მყუდრო ცხოვრებაში. ავი ადამიანის ავმა სიტყვამ მოსალოდნელზე მეტად გაჭრა, სისხლმოწყურებული მხეცივით შეიჭრა ძმების ცხოვრებაში ბოროტება და აღარავის ინდობდა.

არავინ იცოდა, ვინ დაიწყო ის ავბედითი მითქმა-მოთქმა. ამას არც არავინ კითხულობდა. მხოლოდ ერთიმეორეს გადასცემდნენ, ვითომ ზარინასა და ხსართაგისთვის ვიღაცას მრუშობაზე წაესწრო. აი თურმე გვიანობამდე რატომ არ მიეცათ შვილი!

აირ-დაირია ძმების ცხოვრება. აიწეწ-დაიწეწა მათი საქმეები. ან კი ვიღას ჰქონდა საქმის დარდი. აულში ის ჭორი არავის სჯეროდა, ხვდებოდნენ, რომ ბოროტი ენის ბრალი იყო ყველაფერი, ვიღაცას სჭირდებოდა ამ ორი მოსიყვარულე ძმის გადამტერება. შხამიანი გველი თუ სოროდან გამოძვრა, კიდეც დაშხამავს ვიღაცას. ასეა ჭორიც.

ახალი წლის წინა კვირას აძიბეს ცოლს სამშობლოდან მოსაკითხი მოუვიდა. წვეულებაზე მთელი აული დაპატიჟეს. ხასანა და ბარსაგი წავიდნენ, ხსართაგი სასიმამროს გლოვობდა და აძიბეს ბოდიში მოუხადა.

მასპინძლის გულუხვ სუფრაზე კარგად მოილხინეს სტუმრებმა. შუა ქეიფში საიდანღაც მობარბაცდა ყალა, ყუნცელის შვილიშვილი. მეი-

ნახეებს თვალი მოავლო და ხასანას გვერდით დაჯდა. სადღეგრძელომ ჩამოიარა, ყალამ ვითომ თავისი სასმისი ხასანას სასმისს მიუჭახუნა, მაგრამ სასმისი ხელიდან გაუვარდა, არაყი ხასანას გადაესხა.

— რა არის, ყალა, სად დათვერი ასე, ან რატომღა მოდიოდი·აქ, ხომ ხედავ, სასმისს ვეღარ იკავებ ხელში, — უსაყვედურა ხასანამ.

— მე მთვრალიც ძივაგნებ ჩემს სახლს, შენ ფხიზელიც ბრმა ხარ და ისიც არ იცი, რა ხდება შენს ოჯახში, — მკვახედ მიახალა ყალამ.

— რის თქმა გინდა მაგით, ყალა?

— მე არაფრის თქმა არ მინდა, ხალხი ლაპარაკობს...

— რას როშავ, შე უდღეურო!

— ეგ შენს ცოლსა ჰკითხე, იმას ეცოდინება.

ხასანა აენთო.

— ახლავე დაიკარგე აქედან, თორემ ცხვირ-პირს ჩაგამტვრევ! — წამოვარდა გაცეცხლებული ხასანა და ყალა კატის კნუტივით გასტყორცნა კარისაკენ.

— ჩემთან ჩხუბს ის გირჩევნია, შენი ცოლის საყვარელს გასცე პასუხი, — მიაძახა ყალამ და კარისაკენ გაიქცა.

ხასანა გაშრა, თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მალე მოეგო გონს. ის იყო გადმოხტა სუფრიდან, რომ ყალას დასწეოდა და უკანვე ჩაეჩარა საშინელი სიტყვები ყიამყრალისთვის, მაგრამ გააკავეს, აძიბე ამშვიდება:

— არა გრცხვენია, ხასანა, იმ უდღეურის რატრატს რა ყურს უგდებ. ვითომ არ იცნობდე.

— გამიშვი, აძიბე. ენა უნდა ამოვაგლიჯო! — შფოთავდა ხასანა.

უფროსებმა ხასანას წესრიგისაკენ მოუწოდეს. სტუმრებისა სირცხვილია, რას იტყვიან, სალექსოდ გაგვხდიან. პირზე ხსენშეუშრობელმა ბალღმა რაღაც წამოაბოდა და განა ყურადღების ღირსიაო.

დაწყნარდა ხასანა, მაგრამ კრიჭა შეეკრა, ხმა ვეღარ ამოიღო, ბარსაგსაც აღარ მოუცადა, შინ წავიდა.

მეძუძური ქალის ღამით სახლში მარტო ყოფნა არ ეგების, ამიტომ, როცა საღამოობით ხასანა შინ არ იყო, ზარინასთან ან ფარდიგი რჩებოდა ან ხსართაგი. ახლაც ხსართაგი დახვდა ხასანას.

ბიძის მოსვლისთანავე ხსართაგი შინ წასასვლელად მოემზადა.

— რა გეჩქარება, ხსართაგ, ვივახშმებდით ჯერ, — შეეპატიჟა ზარინა. მაგრამ ხსართაგმა აღარ მოიცადა.

ეს რამდენიმე ხანია, ხსართაგი დაღონებული დადის, გული ჩაითხრო და არავინ იცის, რა ჭია ღრღნის. აძიბემ უთხრა ყველაფერი. გააფრთხილა, ჭკვიანად მოიქეცი და ჭორის თავი ვიპოვოთო. ვიღაცამ მახვილი ჩასცა ზურგში და ვერ გაუგია, ვინ უნდა იყოს? რად დასჭირდა ასეთი ბინძური იარაღი ადამიანის გულის მოსაკლავად? ეძებს ამ ბოროტების სათავეს, მაგრამ რას გაიგებ, ვინ თქვა და რისთვის? აძიბემაც ვეღარ მოიცალა. მოყვრებმა ძღვენი ჩამოუტანეს, ესაო, ისაო, სტუმრობაო და... ღამის გული გაუსკდეს ხსართაგს. მანამდე ავმა ენამ აული

მოირბინა, მოუმწიფებელი ძირმაგარასავით გამოირწყო და ხასანას ეჭვის ჭია შეუძვრა გულში.

ამჯერად ზარინას არ მიჰფერებია. სიმთვრალე მოიმიზეზა და გაუხდელად მიწვა ტახტზე.

რას ნიშნავს ყალას ბოდვა? მართალია უხეიროა, მასხარაა, მაგრამ... თავისი აზრი არა აქვს, უფრო ხშირად სხვის ნათქვამს იმეორებს. მაინც საიდან მოუვიდა თავში ასეთი სისულელე? არა, ხვალ აუცილებლად ნახავს ყალას და ყველაფერს ათქმევინებს. თუ თვითონ მოიგონა, ენას ამოგლეჯს, ცოცხალს არ გაუშვებს, თუ არა, ათქმევინებს ვისგან გაიგონა.

მეორე დღეს ვერსად შეხვდა ყალას. გზაში სოლიმი წამოეწია.

— რა მოგვიდა, ხასანა, მკვდრის ფერი გადევს. რაღაც დარდი შეშოგწოლია გულს, — ვითომც უთანაგრძნო სოლიმმა. — ავადმყოფობისაგან ღმერთმა დაგიფაროს.

— არაფერია ისეთი, — უხალისოდ გაეპასუხა ხასანა.

— ყალას წაჩხუბებიხარ, გავიგე. სულელია, იმას რა ყურს უგდებ. ისე კი ძალიან ნანობს, ნეტავ ენა გამხმობოდაო, ჩემგან რად უნდა გაეგოო ხასანას...

— პირდაპირ მითხარი, რისი თქმა გინდა.

— ნუ მთხოვ მაგას, ხასანა. ჩვენ ერთმანეთისათვის არასოდეს არაფერი გვიწყენინებია და ახლა ჩემგან რად უნდა გაიგო საწყენი ამბავი. თუმცა ხალხის მითქმა-მოთქმას რა დაეჯერება, — შავი ფიქრების ბადე გააბა წყეულმა.

— რა მითქმა-მოთქმა. კაცო, პირდაპირ მითხარი, რას მიკიბავ, რაკი დაიწყე. თქვი ბოლომდე.

— შენი ოჯახისა თვითონ უკეთ იცი, მე რას მეკითხები, — ეჭვის შხამი უფრო ღრმად ჩააწვეთა ხასანას, — კიდევ გეუბნები, ხალხი ყოველთვის სიმართლეს როდი ამბობს. ხვალ ნურაფერს მკითხავ, ხასანა, თოფი რომ მკრა. მაინც მიტს ვერაფერს გეტყვი. შენ თვითონ... — სოლიმმა ამ სიტყვებზე ცხენს მათრახი გადაუჭირა და ორღობეში გაუჩინარდა.

გაჯოფდა ხასანა. დაჭრილი ვეფხვივით გადაევლო ღობეს და ორიოდე ნახტომით ყუნცელის სახლთან გაჩნდა. ყალა გარეთ გამოიძახა.

— ყალა, გუშინღამინდელი ნათქვამი გიმეორე. ყველაფერი დაწვრილებით მითხარი.

— არაფერსაც არ გეტყვი, მე არა ვიცი რა, არაფერი გამიგონია, — გაფითრდა ბიჭი.

— იტყვი, ვირიშვილო. — ხასანამ ცალი ხელით ჯერ მაღლა ასწია ყალა. შემდეგ თოვლში ჩაამხო. ხანჯალი ამოიღო და კისერზე მიაბჯინა. — თქვი, თორემ ღორივით დაგკლავ.

— მე... მე... არაფერი... ნუ მომკლავ...

— თქვი, ღორო, თორემ ახლავე შენი სისხლით წათლად შევღებავ თოვლს.

— გეტყვი, გეტყვი, მე არ მითქვამს, კაცები ლაპარაკობდნენ.

— რაო? — დაიღრიალა ხასანამ და უფრო ღრმად ჩატენა თოვლში ყალა.

— ვითომც ხსართაგი შენს ცოლს... ბავშვიც იმისგან... ვიღაცას უნახავს ერთად.

— უჰ, შენი დედა, შენი! — დაიღრიალა ხასანამ და მისმა ხანჯალმა ჰაერში წრე შემოხაზა. ყალა გვერდზე მიწოლილი დარჩა. უნდა დაიყვიროს, მაგრამ არ შეუძლია. ენა ჩაუვარდა და თავისი სიტყვები თვითონაც აღარ ესმის...

ხასანა გაქრა.

4.

წელამდე თოვლს მიაკვლევს ხასანა, მაგრამ შინ კი არ მიდის, ტყისკენ იბრუნა პირი. აი ტყეც, დგას თოვლის საბანში შეფუთნილი და ღრმა ძირს მისცემია.

ერთი ბებერი ნაძვის ქვეშ თოვლში ჩაემხო ხასანა, სახეზე სიცივე იგრძნო და თითქოს ბურანიდან გამოერკვა. აქ ხელს არავინ უშლის, მხოლოდ ხეები დგანან უტყვ მოწმეებად, ავი ფიქრები გველებივით გაიხლართნენ. ხასანას შეამცივნა და გახლართული ფიქრები თანდათან ცალ-ცალკე დალაგდა.

რა გაიგონა ეს? არა, არა! ტყუილია, ტყუილი! შვილივით გაზარდა, ნუთუ გველსა ზრდიდა უბეში? ნუთუ სინდისზე ხელი აიღო? ხასანაზე უკეთესად ვინ იცნობს ხსართაგს, ანდა ზარინას, ერთმანეთი ისევ იმ პირველი სიყვარულით რომ უყვართ. ერთიმეორეზე ამოსდით მზე და მთვარე. ამდენი წლის მანძილზე უბრალო საწყენი სიტყვა არ უკადრებიათ ერთმანეთისთვის. არა! არა! მაგრამ ვაითუ... რა ვაითუ? ერთი დარდი აწუხებდა ორივეს — შვილი! ახლა ხომ ჰყავთ! აქამდის რატომ არ ეყოლათ? გულმა შემოჰკვნესა. იქნებ ასე რომ ოცნებობდნენ, სხვა ვინმესგან... არა, არა, მაგრამ, რადა თქვა ხალხმა. დაკლავს ორივეს... თავიანთი ლეკვიანად... არა, არა! ის მისი შვილია, მისი ფუძეა. მაგრამ რატომ ადრე არ აჩუქა? ფიქრები აერია თავში. წამოდგა და ტყეში უმიზნო ხეტიალს მოჰყვა.

რა ქნას, სამივე წააკლას თავიანთ უსინდისობას და თვითონაც გადაიკარგოს აქედან? სად წავიდეს? ან რაღა იქნება მისი სიცოცხლე? თანაც, იქნებ, ყველაფერი ჭორია, მერე რომ სანანებლად გაუხდეს საქმე? ჰაი, გიდი, რა ბედნიერი იქნებოდა, ასე რომ იყოს? მაგრამ, ხსართაგმა რაღა მაშინ მოინდომა ცოლის შერთვა, როცა ზარინას ბავშვი შეეძინა? კვალის დასაფარავად? არაფერი ესმის, არაფერი!

სიცივემ ძვალ-რბილში გაატანა, კბილს კბილზე აცემინებს. თვალები მოისრისა და ირგვლივ მიმოიხედა. ტყეში ღამის სიბნელე შემოპარულიყო. თითქოს ქარი ღრმა ძილიდან გამოერკვაო, შეჯირითდა ტყეში

და დათოვლილ ხეებს ჩაუქროლა. ხასანას თავზე გადაეყარა ფუმფულა თოვლი. ხეების ჭრიალი შვილმკვდარი დედის კვნესასავით გაისმა.

— რას ვაკეთებ აქ? — ამოიგმინა გამწარებულმა.

სად წავიდეს? როგორ მივიდეს იმ სახლში, სადაც შეარცხვინეს, თავი მოსჭრეს? თანაც ასე აღელვებული.

არა, ჯერ დაცხრეს გულში გაღვიძებული მხეცი, საღი გონებით ჩაუფიქრდეს მდგომარეობას. ყველაფერი აწონ-დაწონოს, თორემ, როცა მარცხენა ხელით მარჯვენას მოიჭრის, გვიან იქნება. არა, არა, ასე არ შეიძლება.

შუაღამისას დაბრუნდა შინ ხასანა. ზარინა იჯდა და ქმარს ელოდა.

— სად დაიკარგე, კაცო, ლოდინით გული გადამელია, — უსაყვედურა ზარინამ ქმარს.

ხასანამ არ უპასუხა.

— თითქოს ხასიათზე არა ხარ, ხომ არაფერი გტკივა, ხასა? — შეშფოთდა ზარინა.

ხასანამ თვალებში ჩახედა ცოლს, ცასავით უძირო და სუფთა თვალები სავსე იყო ქმარ-შვილის სიყვარულით. მერე როგორ უყვარს ეს ორი უძირო ტბა. მაგრამ ვითუ ატყუებენ? არა, არ ატყუებენ. სულ ასე სიყვარულით უყურებენ პირველი შეხვედრიდან დღემდე.

5.

ზამთრის მკაცრი დღეები ერთიმეორეს გადაება. ახალგაზრდობა ასეთ ამინდში ხან ერთ სახლში იყრის თავს, ხან — მეორეში. წინანდელივით ლხინის წამომწყები აღარ არის ხსართაგი. ერთი ეგ არის, ხანდახან აძიბესთან თუ გადავა, ცოტა ხნით. თუ ვინმე გაბედავს და იმ საბედისწერო ამბავს გაიხსენებს, აძიბე პირში ბურთსა სჩრის. მაგრამ ჭორი სულ სხვადასხვა ვარიანტით ვრცელდება. ყოველდღე ახალ-ახალი კუდი აქვს გამობმული. ბევრს ფიქრობენ, ვინ არის ამ სიავკაცის წამომწყები, მაგრამ ისე ჭკვიანურადაა მახე დაგებული, რომ ბოროტმოქმედი არა ჩნდება. ერთხანს ხსართაგმა სოლიმზე მიიტანა ეჭვი, მაგრამ აძიბემ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. სოლიმი მისი თანდასწრებით კბილით იცავს ხსართაგს, მის მხარეს იჭერს. ჭორის გამავრცელებელს ემუქრება. მოდი და ნუ დაიჯერებ.

ხსართაგი ჯავრით ჩამოდნა. საიდუმლოს დაფარვა ვეღარ შეძლო და ერთ დღეს ბიძისას მივიდა. ზარინა თავიანთსა გაგზავნა, დედაჩემი გეძახისო, თვითონ ხასანა დაიმარტოხელა და ყველაფერი უთხრა.

— ვიცი, გავიგე, — ამოიგმინა ხასანამ, — ამას წინათ ყუნცელის უდღეურმა ნაშიერმა ხალხშიც წამაყვედრა, რაღაა დასამალი, ხალხის სალაპარაკო ჩვენღა ვართ.

— მე იმათი დარდი სულაც არა მაქვს. მე მხოლოდ შენი აზრის გაგება მინდა. მშობელ მამაზე მეტად ვინც მიყვარს და ვისთვისაც სიცოცხლეს არ დავზოგავ, იმას სჯერა თუ არა ჩემი? — და თვალებში ჩახედა ხასანას.

ხასანამ თავი განზე მიიბრუნა.

— თვალს ნუ მარიდებ, თუ ჩემს პატიოსნებაში ეჭვი გეპარება, აი შენს წინ ვარ, ხანჯალი ჩამეც გულში. ვიდრე შენ ჯავრმა დაგიჩაგროს გული, მიჯობს, აქვე დავანთხიო სისხლი, იცოდე, ეს უფრო გამიადვილდება, მომკალი! — ხასანას ხანჯალა დანა მიაწოდა და მის წინ მუხლებზე დაეშვა.

ხასანამ რაღაცნაირი უცხო თვალით შეხედა.

— შემომფიცე!

— არა გჯერა ჩემი?

— შემომფიცე!

— შენ კი არა, ღვთის წინაშე შემიძლია დავიფიცო, ღმერთი ერთია ქვეყანაზე და თანაც ყოვლისშემძლე. ეი, ხასა, ნეტავ შეგეძლოს გულში ჩამხედო, დაინახავდი, რომ ის მხოლოდ შენი და ზარინას წმინდა სიყვარულით არის პირთამდე სავსე.

ხასანამ მწარედ დაიკვნესა.

— შხამად შემერგოს შენი დიდი ამაგი, ხასა, თუ არ ვიპოვო ჩვენი მტერი, თუ იმის ენა ღობეზე არ გადავკიდო! — მარტო ერთსა გთხოვ, ზარინას ნურაფერს ეტყვი, წმინდაა, როგორც მიწის გულიდან მოჩუხჩუხე წყარო, როგორც ფოთოლზე დაცემული დილის ნამი. ნუ დაუკოდავ გულს.

ამ დღის შემდეგ ხსართაგი ბიძის სახლს ახლოს აღარ გაჰკარებია.

დადგა გაზაფხული. ხალხმა საქმეს მიაშურა.

ხასანამ ძმას სოლიმისაგან ნაყიდი მიწის ნაგლეჯი შუაზე გაუყო და ამით ძმებს შორის არსებული ყოველგვარი ნათესაური კავშირი გაწყდა.

6.

ჯავრმა და დარდმა ისე გამოფიტა ხსართაგი, რომ ნალყუთასთან წასვლაც ვეღარ მოახერხა.

ისე, რომ ვთქვათ, რაში ვარ დამნაშავე, ან ნალყუთამ რა დააშავა, რატომ აღარ მივაკითხე? საყვარელი ადამიანის წინაშე რად მრცხვენია, როცა სუფთაა ჩემი სინდისი. არა, არა ვარ მართალი, სხვისგან რატომ უნდა გაიგოს საზარელი ჭორი. მე ვეტყვი, გამიგებს, მიხვდება, რომ მართალი ვარ. — ფიქრობდა ხსართაგი და ნალყუთასთან წასასვლელად ემზადებოდა.

კარგად შებინდდა, ხსართაგმა მოყვრების ჭიშკარი რომ შეაღო. კარი ბულათიყომ გაუღო.

— თუ შეიძლება, ნალყუთას დაუძახე, — ბულათიყომ იცნო ხსართაგი და შინ შეიპატიჟა:

— ნალყუთა მეზობელთან გადავიდა, ჩქარა დაბრუნდება, მობრძანდით.

თითქოს ეკლებზე სხედან ბიჭები, გაბუტულებივით ერთიმეორეს არ უყურებენ. სულ ორჯერ შეხვდნენ. ერთი მაშინ, კინაღამ ხანჯლებზე რომ წამოაგეს ერთმანეთი, და ერთიც ახლა. პირველად ქვეყანა თავზე დაიცეს, ახლა კი ხმას არც ერთი იღებს.

— ხსართაგი უნდა იყო...

— ჰო, ხსართაგი ვარ. — ძლივს ამოღერღა დაბნეულმა.

ამით ამოიწურა მათი სალაპარაკო.

— მაპატიე, ბულათიყო, შარშან როგორღაც არ გამოვიდა კარგად. დამნაშავე ვარ. ღმერთს გეფიცები, ჩემი ბრალიც არ იყო. გთხოვ, თუ იმ წყენის დავიწყება შეგიძლია, მაპატიე. ამას იქით ძმები ვიქნებით...

ბულათიყოსათვის ბოდიში არავის მოუხდია. იმიტომ, რომ დამნაშავე თითქმის ყოველთვის თვითონ იყო. ახლა ხსართაგმა ბოდიში მოუხადა. პატიება სთხოვა. ესიამოვნა, პატივმოყვარე გული მოეფხანა, წყენამ გაურა, სიმართლე რომ ითქვას, არც აპირებდა ჩხუბს. ნალაუთას სიტყვა მისცა, ხსართაგს არაფერს დავუშავებო. ხსართაგმა ძმობა შესთავაზა, ესეც ესიამოვნა. ამდენ ხანს ვერ იპოვა მეგობარი, ახლოს აღარავინ ეკარება.

— არც მე ვიყავი მართალი, ხსართაგ. დავივიწყოთ ყველაფერი, თქვენს მეტი ვინა მყავს, მე და შენ ახლა ძმები ვართ...

ხსართაგსაც ესიამოვნა ბულათიყოს სიტყვა, მარდად წამოდგა ფეხზე.

— მადლობელი ვარ, ბულათიყო. სადაც ჩემი თავი დაგჭირდეს, მიმსახურე, — მომეცი შენი ხელი.

ბიჭებმა ერთმანეთს ხელი მისცეს.

სწორედ ამ დროს შემოაღო კარი ნალაუთამ. ეს სცენა რომ დაინახა. ეგონა ჩხუბობენო და შუაში ჩაუვარდა.

— ვაიმე, რას შვრებით!

— ნუ გეშინია, დაო, არ ვჩხუბობთ, — გაიცინა ბულათიყომ. შეშინებული ნალაუთა ხან ერთს უყურებს, ხან მეორეს.

— მე და ბულათიყომ ძმობა შევფიცეთ, — ახარა დანიშნულს ხსართაგმა.

— მართლა?

— მართლა, მართლა, ჩემო დაიკო.

— თქვენ გენაცვალეთ, ჩემო ძვირფასებო, თავს შემოგევლეთ ორივეს. როგორ მეშინოდა ამ შეხვედრისა.

7.

ერთ კვირას დარჩა ხსართაგი. ბულათიყოს ხვნაში მიეხმარა, ტყიდან შეშა ჩამოზიდა. საფქვავი წაიღო წისქვილში, შრომაში გაერთო და დარდი გადაავიწყდა, მაგრამ როგორც კი თავის მდგომარეობას ჩაუფიქრდებოდა, დაღონდებოდა. ნალაუთა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა — ბულათიყო და ხსართაგი შერიგდნენ, დამეგობრდნენ კიდეც, მამის სიკვდილის შემდეგ პირველად მოუვიდა პირზე ღიმი, მაგრამ ხსართაგს მაინც შეამჩნია, რომ რაღაც აწუხებდა:

— ხსართაგ, რაღაც გაწუხებს და რატომ არ მიმხელ? — მარტო რომ დარჩნენ, ჰკითხა ნალაუთამ.

— მაწუხებს, ნალაუთა, მაწუხებს, ძალიან მიმძიმს.

— ნუ მაწვალებ, მითხარი, რა გტანჯავს?

ხსართაგმა დიდი გაჭირვებით უამბო ნალყუთას იმ სამარცხვინო ძითქმა-მოთქმის შესახებ. ქალი ფერდაკარგული უსმენდა საქმროს.

— არ ვიცი, ნალყუთა, ვის დასჭირდა ამ სისაძაგლის გავრცელება. ჯოჯოხეთად მექცა სიცოცხლე.

— ვაი. ჩემს თავს, რა გაიგონა ჩემმა ყურებმა!

— რომ არ მეთქვა, არ შემეძლო, ჩემი სინდისის წინაშე წმინდა ვარ, შენს წინაშე და ღვთის. წინაშეც უცოდველი ვარ. თუ მაინც გეეჭვება და არ მენდობი, სამუდამოდ გამაგდე.

— არა, არა, ხსართაგ, მე შენს პატიოსნებაში სულაც არ მეპარება ეჭვი, მე სხვა რამ მაფიქრებს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვგრძნობ, რაღაც უბედურება დაგვემგზავრა. მოდი. დარჩი ჩვენთან, აქ ვიცხოვროთ.

— ეგ არ ეგების, ნალყუთა, აბა დაფიქრდი, მარტო რომ იყო, კიდევ ჰო, შენი ძმა რას იტყვის, ხალხი? ყველა იფიქრებს, დამნაშავე იყო და იმიტომ გაერიდა აულსო, მერე კიდევ, ჩემი დარდი აღარა მაქვს, ხასანა... საოცრად კეთილი ადამიანია, მამასავით მიყვარს. როგორ დავუმტკიცო ჩემი სიმართლე.

— ღმერთო დიდებულო, ეს რა ცეცხლში ჩამაგდე? ჯერ იყო და, ბულათიყომ დამტანჯა, ახლა კიდევ სხვა სადარდებელი გამიჩნდა.

— მე თავის მოჭრას ვერ ავიტან, ნალყუთა, უნდა ვიპოვო შხამის მთესველი.

— გაფრთხილდი, ხსართაგ, არ დამღუპო. ნუ წახვალ, გავთავდები შენს აქ არყოფნაში.

— არ შეიძლება, ჩემო სიცოცხლევ, დარდი მაქვს, ვინ იცის, რა მოხდება უჩემოდ.

ბულათიყომაც სთხოვა ხსართაგს დარჩენა, მაგრამ ის მაინც წავიდა.

მეორე თავი

მარცხენა ხელით მარჯვენა მოიჭრა

1.

ტყუილად არ ეშინოდა ნალყუთას. მოსახდენი მოხდა.

ბოროტმა ენამ, თავისი საქმე ქნა. მოსიყვარულე ძმებს შორის გაუთავებელი შუღლი ჩამოაგდო. საზიარო მიწა, ხასანამ თვითონ რომ გაყო შუაზე, ახლა ძმებმა ცალ-ცალკე დაამუშავეს. გაავებულმა ხასანამ პირველმა გაიტანა გუთანი. ბარსაგი კი ხსართაგის დაბრუნებას ელოდა. როგორც უკვე ვთქვით, ხსართაგს მოყვრებში შეაგვიანდა და ბარსაგს მეტი რა გზა ჰქონდა, გაიტანა გუთანი.

იმ დილით სოლიმმა ხასანას კავი სთხოვა. მეზობელს საციქველს როგორ დაუჭერდა, მაშინვე გამოუტანა. სოლიმმა მადლობა გადაუხადა და ვითომც ისე, სხვათა შორის, უთხრა:

— კი, მაგრამ, ხასანა, ის მიწა შენ და ბარსაგმა ერთად იყიდეთ, იმის ქვა-ღორღისაგან გაწმენდას შეალიე ჯანი და ახლა იმას რატომ არგუნე მეტი წილი?

— ვინ გითხრა? მე თვითონ გავყავი ორ ნაწილად.

— რა ვიცი, ზევიდან ჩამოვიარე, თითქოს იმის წილი უფრო დიდია... არა, თუ შენ თვითონ გაყავი, შეიძლება, მე ვცდები... აბა, კარგად იყავით, კავზე წინდაწინ მადლობას გიხდი, ცოტა მაქვს მოსახნავი და საღამოზე უკანვე ამოგიტან, — სოლიმმა კავი ზურგზე წამოიკიდა და სტვენით გავიდა ბაკიდან.

ხასანას გულზე მოხვდა მისი ნათქვამი, შინაც აღარ შესულა, პირდაპირ თავის მამულისაკენ წავიდა, ნახნავი რომ დაინახა, ელდა ეცა, ჯერ ერთი, სამნები გადაეადგილებინათ, მეორეც, ნაფარცხში ვიღაცას საქონელი ეტარებინა. ვის? ბარსაგის მეტი სხვა ვინ იქნებოდა.

— განგებ მიშვრება, თუ წკიპურტით არ მოკვდები, ეგეც მუჯლუგუნიო, შვილმა ლოგინი წამიბილწა, მამამ კი თავი მომჭრა! — სისხლი თავში აუვარდა, გაპიპინებული ნაღველი გასკდა და წალეკა გონიერება. — ხანჯალმართული დაეშვა აულისაკენ.

სწორედ იმ დროს ბარსაგმა კავი გამოუტანა სოლიმს.

ხასანა ყვირილით მიეჭრა ძმას:

— ეგ იყო შენი ძმობა, ვირო! შენმა ბოკვერმა გული მომიკლა, კახპა დედაკაცს კარს უკან ლეკვი გააგდებინა, ახლა შენ წამიჭირე ყელში? — აღარაფერი ესმის ხასანას. ხანჯალი მოუქნია, ბარსაგი გვერდზე გადახტა. ხასანამ თავი ვეღარ შეიკავა, წაბარბაცდა და თავისივე შემართულ ხანჯალზე პირდაპირ მკერდით დაეცა. ერთი დაიღმუვლა და თავწაწყვეტილი ქათამივით აფართხალდა.

— ღმერთო დიდებულო, რა ცოდვისთვის დამსაჯე ასე სასტიკად! — შებღავლა ცას ბარსაგმა და ხასანას მივარდა. — ძმაო, ძმაო, რა დაგემართა! ვაიმე, დაღუპულს, ვაიმე...

— ბარსაგ... — წაიჩურჩულა ხასანამ და ამ ერთ სიტყვას ამოაყოლა სული.

— მიშველეთ, ხალხო, დავიღუპე! დავიღუპე!.. — აღრიალდა ბარსაგი.

ყვირილზე პირველმა ზარინამ მოირბინა. სისხლში მცურავი ხასანას დანახვამ თავზარი დასცა. მისმა საზარელმა კივილმა მთები შესძრა.

სოლიმმა ყველაფერი საკუთარი თვალით დაინახა. ის არც არავის ამშვიდებდა, არც მშველელს ეძახდა. როცა ყველაფერი მოთავდა, მაშინ დაეშვა აულისაკენ ყვირილით.

— რა იქენით, ხალხო, ბარსაგმა ხასანა მოკლა!

ხალხი ბესოლაანთსა გამორბოდა, სოლიმი კი — კანცელარიისაკენ, იქ ყაზი ეგულებოდა.

2.

ხსართაგმა აულის თავში გაიგონა ქალების მოთქმა. ხმა მათი მარ-
დან მოდიოდა, მიხვდა — უბედურება დატრიალდა, მაგრამ ვის სა...ლი,
მათთან, თუ ხასანასთან? ქარივით დაეშვა თავდაღმაოთში და თვალის
დახამხამებაში სახლში გაჩნდა, შინ არავინ იყო, ახლა ბიძისას გაიქცა.
ეზოში ხალხი ირეოდა, სახლში მოთქვამდნენ. აძიბე წინ შეეგება ხსაო-
თაგს.

— რა უბედურებაა ჩვენს თავს? — აკანკალებული სმით იკითხა
ხსართაგმა. აძიბემ ყველაფერი უთხრა, ხსართაგს თითქოს ფეხქვეშ
მიწა გამოეცალაო, დაბარბაცდა, ღობის მარგილისთვის რომ ა... ეტაცა
ხელი, მიწაზე გაიშხლართებოდა. მოგვიანებით მოეგო გონს და მამა
იკითხა.

— ყაზიმ წაიყვანა, დაჭერილი ხარო.

დაასაფლავეს ხასანა. სულ ცოტა ხნის წინ ხასანასა და ბარსაგის
ძმობას და სიყვარულს შენატროდა აული, ახლა კი ყველაფერი გაქრა.
დაშრა იმ დიდი გრძნობის წმინდა წყარო, რომლითაც ორივე ძმა ასე
ამაყობდა. შუაზე გაიყო მათი გზა — ერთმა შავ მიწაში ჰპოვა ბინა,
მეორემ — ციხეში. ერთი ვეღარასოდეს დაბრუნდება შინ, მაგრამ მეო-
რეს რაღას უმზადებს ბედი? არც ეს იცის ვინმემ.

ბარსაგი კაცის მკვლელია და გაციმბირება ელის. ეს იყო უკანასკნე-
ლი სიტყვა, რომელიც ხსართაგს უთხრეს მაზრაში. თავზარდაცემული
დაბრუნდა შინ. რამდენი სითბო და სიყვარული ახსოვს ორივესგან.
ახლა კი ვიღაცის ბოროტი ენით ის სითბო და სიყვარული სიკვდილად
იქცა. ხსართაგის სინდისი სუფთაა, თუ სხვა არავინ დაიჯერებს, მაღალ-
მა ღმერთმა ხომ იცის, დანაშაული არ მიუძღვის. მაგრამ ამას რაღა
მნიშვნელობა აქვს, ძვირფასი ადამიანების დაღუპვის მიზეზი გახდა.
ვინ იცის, რომ არ დაბადებულიყო, ეს საშინელი ამბავიც არ მოხდებო-
და. აქეთ ზარინას ცოდვით იწვის დედამიწა. ხასანას დასაფლავების
შემდეგ ჩაიკეტა ქოხში და გარეთ აღარ გამოდის. დღე და ღამე ერთია
მისთვის, მოთქვამს და მოთქვამს მწარედ. მისი ცრემლი ერთ წისქვილს
ააბრუნებს, აღარც ფარდიგის მოთქმას უჩანს ბოლო.

რატომ მოხდა ეს უბედურება? რატომ ვერ შეძლო მისი თავიდან
აცილება? რატომ მაშინვე არ უთხრა მამას ბოროტი ადამიანის მონაჭო-
რი? ბარსაგი მოახერხებდა ძირშივე მოეთხარა ის ბინძური ცილისწამე-
ბა, და ორი ოჯახი არ გაუბედურდებოდა, არადა, თვითონ რატომ გა-
მოდგა ასეთი უძლური, ვერ მოახერხა იმის გაგება, ვის და რისთვის
დასჭირდა ასეთი ნაცილი, რატომ თავი არ მოიკლა და არ იპოვა ჭორის
გამავრცელებელი?

მამის რიდმა და სირცხვილმა შებოჭა ყრმა, ვერ უთხრა — ვიღაც
სიცრუეს თესავსო. პირში ენა ვერ მოატრიალა. ვერ გაბედა ამ საშინელი
ჭორის გამეორება. სირცხვილით იწვოდა. ზარინა ხომ საკუთარი დედა-
სავით უყვარდა და განა დედაზე ასეთ სიბილწეს გაიფიქრებს ადამია-
ნი? იმისიც ეშინოდა, უფრო შორს არ გაფრინდეს შავი ამბავი და ნალ-

ყუთას ყურამდის არ მიაღწიოსო. ჭორის დამბადებელს ეძებდა, მაგრამ გველის ხვრელიდან დაძრულმა შხამმა მოწამლა აული. სოლიმზე მიიტანა პირველად ეჭვი. აძიბემ დაარწმუნა, სოლიმს შენი მხარე უჭირავსო. აი ახლაც, ყაზიმ რომ ბარსაგი დააპატიმრა, სოლიმის მეტი არავინ გამოექომაგა. ბოროტი ენის წყალობით მოხდა მკვლელობა, მე ვარ მოწმე. ბარსაგი დამნაშავე არ არის ხასანას მკვლელობაშიო. მაგრამ ყაზიმ არ უგდო ყური.

მიუხედავად იმისა, რომ ხსართაგს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, მაინც, როგორღაც თავის თავს საყვედურობს. ხასანა დაიღუპა, დაიღუპება ბარსაგიც. როგორ უშველოს? სოლიმის მეტი ვერავინ დაეხმარება. მთავრობის ხალხთან საქმე აქვს, ქვეყანას იცნობს. საღამოთი მივიდა სოლიმთან, შეეხვეწა:

— სოლიმ, ქენი სამადლო საქმე, დამეხმარე, სანამ მამას ქალაქის ციხეში გადაიყვანენ, ყაზისთან მიმეგზავნე. ხასანა დაიღუპა, მამასაც ვკარგავ. შენ ხომ იცი, რომ არ არის დამნაშავე. ყაზი ხათრს არ გაგიტეხს. მივცემ, რაც გამაჩნია.

— ცუდი საქმე დაგემართათ, ხსართაგ... ჩემი თვალით რომ არ დაშენახა, შეიძლება მამაშენი გამემტყუნებინა. ღმერთმა ხომ იცის, რამდენი ვეხვეწე ყაზის. არ მომისმინა და რა ვქნა.

— ერთხელ კიდევ სთხოვე, სოლიმ, ავადმყოფია მამაჩემი, ციხეში ვერ გაძლებს. იცოდე, სიკეთეს არ დაგიკარგავ.

— კარგი, ვეცდები... — დაეთანხმა სოლიმი.

3.

გვიანი ვახშმობა გადავიდა, ყაზი და სოლიმი არ ჩქარობენ. ხორაგით დამძიმებულ სუფრას ორნი უსხედან. თავანკარა არაყმა ფეხები მოკვეთა ყაზის, ლაპარაკის საღერღელი აუშალა და როშავს და როშავს.

— შენ რა გგონია, სოლიმ, მეც კაცი ვარ, თანაც საქმის კაცი. ხედავ, ეს ხანჯალი ხელმწიფის ნაბოძებია, მაშ როგორ? ამითი ვიცავ ხელმწიფესაც და მთავრობასაც. ახლა ეს დამბაჩა? საითაც მივაბრუნებ, იქით გაისვრის, სულ ერთია, მტყუანსა და მართალს ვერ არჩევს. ამ მარჯვენას შეხედე, მინდა წაღმა დავწერ, მინდა უკუღმა, მაშა! ქაღალდზე მარცხნიდან მარჯვნივ იწერება, არა? თუკი მოვინდომებ, მარჯვნიდან მარცხნივაც მოვახერხებ. ყოველივე ეს შენც კარგად იცი. ხომ არ დაგავიწყდა, მამაშენი მოუსავლეთში რომ გაისტუმრე მარილზე... მაცადე! გითხრა, როგორ მოკალი? ხომ არ გგონია, არ ვიცოდი. მე ყველაფერი ვიცი, ისიც, რა ხდება მიწის გულში და ისიც, რასაც ცაში აკეთებს ჩვენი ღმერთი, აბა! ჰოდა, რომ მოინდომებინა, ეს ხელები მარჯვნიდან მარცხნივ გააჭრელებდნენ ქაღალდს და სოლიმი ციმბირში ამოყოფდა თავს. არ მოვინდომე, რატომ? იმიტომ, რომ ხელი ხელსა ჰბანს... მეც ადამიანი ვარ, ჭამაც მინდა და ცხოვრებაც. რითი? რაცა

მაქვს მყოფნის?! არა მყოფნის. მერე, ვისი ბრალია? ხელმწიფის? არა, ხელმწიფე აქ არაფერ შუაშია. შენ და მე ერთმანეთს თუ არ შევუდექით მხარში, არ ივარგებს. შენ წაიბორძიკებ, მე შეგაშველებ ხელს, მეც შენი იმედი მაქვს. მაშ როგორაა? არ მოგეხმარო? მამიშენის დანატოვარ დიდ ქონებას მე რომ არ ვიცავდე, მშივრის შვილებს ერთ ლუკმად არ ეყოფოდათ და სოლომი პირღია დამჩჩებოდა.

— ვიცი, ყაზი, ვიცი, — ყველაფერზე ეთანხმება სოლომი.

— ჰოდა, თუ იცი, ხუთ ნაჭერს რომ შენთვის დაითრევ, ერთი მაინც გადმოაგდე ჩემსკენ. მეც კაცი ვარ, ცხოვრება მინდა. შენი იმედითა ვარ აქ, თორემ დანარჩენებს რა უნდა მოვთხოვო, თვითონ შიმშილით იხოცებიან. აი ბარსაგი — ძმა მოკლა. ჩავსვი. რას მომცემს? არაფერს, ჰოდა, ხასანაც დაიღუპა და ბარსაგიც. ასეა. ცარიელი ხელით ვერაფერს გააკეთებ. მთხოვე — ბარსაგს ჯერ ნუ გაგზავნიო, არ გავგზავნე, შენ დაგიჯერე. ახლაც რაღაც გადაკრულად მელაპარაკები, მე კი ვერაფერს ვხვდები — არ ვიცი, რა გიდევს გულში.

სოლომი თავის ჩანაფიქრს აქამდის მართლა არ უმეღავნებდა ყაზის. ელოდა, საქმე როგორ შეტრიალდებოდა. როცა ხსართაგმა სთხოვა მიშველეო, მაშინ კი დაგვირგვინდა მისი განზრახვა. ყაზისაც იმიტომ უხმო. ჩქარობს, ელის, სანამ ყაზი კარგა გვარიანად შექეიფიანდება. ჰოდა, ახლა, რაკი სიტყვა თვითონ ჩამოაგდო, დრო იყო ჩანაფიქრის გამეღავნებისა.

— ყაზი, შენ მართალი ხარ, მე და შენ ერთმანეთთან მჭიდროდ ვართ შეკრული. ერთ-ერთი ჩვენთაგანი რომ არ იყოს, მეორეს მართლა გაუჭირდებოდა. ერთი საქმეა გასაკეთებელი. წინდაწინვე გეუბნები, რასაც მთხოვ — ყაბულსა ვარ.

— გამიხსენ გული...

— რა იქნება, ბარსაგის მაგიერ ხსართაგი რომ გაგზავნო ციხეში?

ყაზიმ თვალები დააჭყიტა.

— ხასანას მკვლელობას ხსართაგი დაიბრალებს. შენ მამას გაათავისუფლებ და მის მაგიერ შვილს დააპატიმრებ.

ყაზიმ მარცხენა თვალი მოჭუტა და ასე დარჩა ერთხანს.

— მოიცა. სოლიმ, გამაგებინე, ხსართაგი რა შუაშია? დათანხმდება?

— დათანხმდება.

— სარგებლობა ვის ექნება?

— შენც და მეც.

— მაინც, რამ შეგაწუხა ასე?

— მამა ავადმყოფია, ციხეში მოკვდება, შვილი კი ახალგაზრდაა და ჯანმრთელი...

— ვითომ ასე გაწუხებს მათი ბედი? სოლიმ, ჩემთან კუკუმალულობას დაანებე თავი, პირდაპირ თქვი, რა გინდა?

— ყაზი, რაკი შენგან ამას მოვითხოვ, ასეა საჭირო. ხომ იცნობ სოლიმს?

— რამდენს მპირდები?

— ეგ საბუთების სიმკაცრეზეა დამოკიდებული, რამდენადაც მძიმე იქნება ბრალდება, ღირებულებაც...

— მაინც რამდენი? ძე ჩემი ვიცოდე.

სოლიმმა ერთი ბღუჯა ფული ამოიღო ჯიბიდან და ყაზის წინ დაყარა, ყაზიმ გადათვალა.

— კიდევ დაუმატე.

— მაგ უმნიშვნელო საქმისათვის ბევრი არ იქნება?

— ვისთვის უმნიშვნელოა და ვისთვის სისხლი დაიღვარა, ვინ კიდევ უდანაშაულოდ გაჩეხდება ციმბირში, — მოუჭრა ყაზიმ, — სოლიმ, აქ რომ შენ სუფთა არა ხარ, ცხადია. ხვალ შეიძლება ცოდვა მომეკითხოს. ერთი ამდენი კიდევ დაუმატე.

— ყაზი...

— ზედმეტი სიტყვა არ გამაგონო, მეც ცხოვრება მინდა. დაუმატე, დაუმატე!

— ძმოლოდ საბუთები რაც შეიძლება მკაცრად...

— ეგ მე ვიცი. მარცხნიდან მარჯვნივ დაიწერება, ჩემი გჯეროდეს.

— აბა, მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — პირჯვარი გადაიწერა სოლიმმა.

დილით ადრიანად მოაკითხა ხსართაგმა.

— სოლიმ, რა გითხრა ყაზიმ? ელაპარაკე?

— ვერ დავწერე პირჯვარი, ბარსაგის განთავისუფლებაზე სიტყვაც არ მათქმევინა. ერთზე დავითანხმე მხოლოდ.

— რაო?

— მე მთავრობის კაცი ვარ, უკანონობას ვერ ჩავიდენ, მკვლელობისათვის პასუხი უნდა აგოსო, ჰო, ასე თქვა. მაგრამ იცი, რა? თუ ბარსაგის დანაშაულს ვინმე იკისრებს, ვნახოთო.

გაიგო ხსართაგმა, რასაც ყაზი მისგან თხოულობს, მოულოდნელად თითქოს გულზე მარწუხი მოუჭირესო, სუნთქვა შეეკრა, რამდენი წელი მოუწევს ციხეში ჯდომა? რა მოუვა ნალყუთას? მამა? მოკვდეს ციხეში? არა, ამას ვერ აიტანს ხსართაგი.

სოლიმმა დაინახა ხსართაგი ყოყმანობდა და თავის სიტყვას ისე, ვითომ სხვათა შორის დაუმატა:

— ერთ წელიწადში გამოვაო, დამაიმედა ყაზიმ. რა არის ერთი წელი? მამაშენი კი მოკვდება, რა ვიცი, როგორც გინდა.

აღარაფერი უთქვამს ხსართაგს. გულმოკლული, აძიბეს კენ გაეშურა.

ბევრი იფიქრეს მეგობრებმა, ხან ასე გადაწყვიტეს, ხან ისე და ბოლოს ერთ აზრზე შეჩერდნენ. ბარსაგი არ წავა ციხეში. მას ხსართაგი შეცვლის. ერთ წელიწადს როგორმე გაიყვანს, ნალყუთაც მარტო ხომ აღარ არის, ძმა გვერდითა ჰყავს და რა გაუჭირდება.

დილით ხსართაგი ნალყუთასთან წავიდა.

ელდა ეცა ნალყუთას. ცა ჩამოექცა თავზე. სიცოცხლე გაეყარა და

დარჩა გამოფიტული, უსიცოცხლო გვამი. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ხმელი ფოთოლივით ხის ტოტზე ეკიდა და კანკალებდა.

— ერთი წელი, მხოლოდ ერთი წელი... ბულათიყო შენს თავს არავის დააჩაგვრინებს, მანამ მეც ჩამოვალ.

— როგორ მეშინოდა, ჩვენს ბედნიერებას წინ არაფერი გადაეღობოს-მეთქი და მაინც არ ამცდა. — ტირილი აუვარდა ავი ამბით გულმოკლულ ნალაყუთას.

— ნუ, ჩემო სიცოცხლევ, ნუ ტირი, ციხეში გავგიჟდები, შენი ცრემლები რომ მომაგონდება.

— ნუ მიმატოვებ, ხსართაგ. გემუდარები, ნუ დამტოვებ აქ, მეც თან წამიყვანე, ეს გასაქვავებელი გული ცუდს მითქვამს, ვეღარასოდეს ვნახავ...

— აბა, რას ამბობ, ნალაყუთა. ერთი წელი ისე გაირბენს, ვერც გავიგებთ, მე არაფერი მიშავს, ჩქარა დავბრუნდები, შენ მხოლოდ ის მითხარი, ხომ დამელოდები?

— შენთან დაშორებას ვერ ავიტან. დავკლექდები, — ქვითინებდა ნალაყუთა.

— არ მეგონა, ასეთი უძლური თუ იქნებოდი.

— ნუ მამტყუნებ, ხსართაგ, მოკვდა გული.

— ჰაი, გიდი, ნეტავ ეგ გული უდარდელი და ბედნიერი მენახა. გწამდეს, ნალაყუთა, ჯოჯოხეთში რომ ჩამაგდონ და ცხრა კარი გამოძიკეტონ, მუშტებით დავლეწავ. ვერავინ დამაკავებს, სადაც არ უნდა ვიყო, შენი ღვთაება იქნება ჩემი გზის მანათობელი და მეგზური. თუ სიარული არ შემეძლება. ხოხვით მოვაღწევ შენამდის, თუ ხოხვაც ვერ შევძელი, მაშინ შენი სიყვარული შემასხამს ფრთებს და ისე მოვფრინდები. ჩემო ერთადერთო, რატომ შევხვდით ერთმანეთს, თუკი ამდენ მწუხარებას მოგაყენებდი, — ხსართაგმა გულში ჩაიკრა სატრფო და მის ხუჭუჭა დალალებში ჩამალა სახე.

დიდხანს ისხდნენ გაუნძრეველად, მერე ნალაყუთამ დედისეულ ხატზე შეჰფიცა, რომ სიკვდილამდის არ უღალატებდა.

საღამოთი ხსართაგმა ყველაფერი უამბო ბულათიყოს. ის გაქვავებული იჯდა და ქვედა ტუჩს ნერვულად იკვნეტდა. როცა ხსართაგმა სოლიმი ახსენა, ღმერთმა უშველოს, ის დამეხმარა, რომ მამას შევენაცვლოო, ბულათიყო მიხვდა, საიდან წამოვიდა შავი გველი. რომელმაც ორი მოსიყვარულე ძმა მოსისხლე მტრად აქცია. ერთი მიწაში ჩაიყვანა, მეორე ციხეში და აი თურმე რისთვის? ხსართაგი მოიშოროს თავიდან.

— ვიღაცამ მახე დაგიგო. ხსართაგ...

— ბულათიყო, არ მეგონა, გამიგებდი და ჩემს სიმართლეში ეჭვი არ შეგეპარებოდა. მადლობელი ვარ, ძმაო, მადლობელი. მაგრამ ვინ იყო ის უღმერთო, რატომ დასჭირდა ალალი სისხლის დაღვრა? ჰაი ჯიდი, ეგ რომ ვიცოდე, მაშინ რაღა მექნებოდა სადარდებელი. შავ

გულს ცარიელი ხელითაც ამოვგლეჯდი მკერდიდან და ძაღლებს დავაჭმევინებდი.

ბულათიყომ იცოდა სოლიმის ვერაგობის ამბავი. ხსართაგს დაიჭერენ თუ არა, ის აუცილებლად ნალყუთას ხელის სათხოვნელად მოეთრევა. შეეცოდა ხსართაგი და ნალყუთა. საკუთარ თავზე ბრაზი მოეკვიდა, მაგრამ ახლა აღარაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა.

— ხსართაგ, მეგობრად მიგულე, სანამ პირში სული მიდგას, ჩვენ ახლობლები ვიქნებით, ჩემს დახ მრუდე თვალით ვერავინ შეხედავს.

— შენი იმედი ნუ მომიშალოს, ბულათიყო, ჩემი თავი თქვენი საბანაცვლო იყოს...

„თუღა ციხიდან ცოცხალი გამოხვედი", — გაიფიქრა ბულათიყომ და თვალი მოარიდა სასიძოს.

ისე მოიქცა ხსართაგი, როგორც სოლიმმა დაარიგა და მამის მაგივრ გაგზავნეს გორის სამაზრო ციხეში.

უბედურებას კუდზე უბედურება აბიაო, მართალი უთქვამს ხალხს. ზარინა, რომელიც მზეს აღარ ეჩვენებოდა, დარწმუნდა, რომ ბოროტმა ადამიანმა მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების — ხასანასი და ხსართაგის დასაღუპად მისი სახელი გამოიყენა, შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი არჩია და სახლის თავხეზე ჩამოიხრჩო თავი.

4.

ორი დღე ცა და დედამიწა შეერთდა. თითქოს კასრებიდან ასხამენო, ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ადიდდა მთის პატარა ნაკადული და ხეობის ვიწროში შავი გველეშაპივით აგორდა და აღრიალდა უშველებელი მდინარე. საჯილქომის პატარა და უწყინარი მდინარე ქვეყანას წალეკვით დაემუქრა. ნიაღვარმა გადარეცხა მთაში მისასვლელი გზა-ბილიკები, თან გაიტაცა საცალფეხო ხიდები, შეწყდა მიმოსვლა.

წვიმას სახლებში შეასწრო ხალხმა და გარეთ გამოსვლას ვეღარავინ ბედავს.

ცა დასტირის თედოთიყაუს. აგერ ორი დღეა დაღვარა ცრემლად, დაღონებულია აული. მეზობლები გრძელ სკამებზე სხედან და ხმადაბლა ლაპარაკობენ. ქალები კი ზარინას კუბოსთან თითო-თითოდ მოდიან და ისე გულსაკლავად მოთქვამენ, რომ კაცებსაც აღარ რცხვენიათ ტირილისა.

დაღუპა ოჯახი. ერთ კვირაში ორი ადამიანი გამოესალმა წუთისოფელს. აულმა დიდი დანაკლისი განიცადა. საბრალო ზარინა გამოიტირეს და ახლა წვიმის გადაღებას ელიან, რომ მისი ცხედარი მიწას მიაბარონ. მაგრამ მიცვალებული თავისას მოითხოვს, ოჯახს თუ რამე გაეჩნდა, ხასანას ქელეხში დაიხარჯა, ბარსაგის ოჯახიც გამოცარიელდა და რითი დამარხონ მკვდარი.

მაგრამ მკვდრის ზეზე დატოვება არ შეიძლება, ქელეხიც აუცილე-

ბელია. ხალხმა რომ გაიგოს, ზარინა უქელეხოდ დამარხესო. საფლა გამოყონ თავი. ახლა თითქმის ყველა ამაზე ფიქრობს, მაგრამ რა ქნან, შინ არა ეგულებათ რა, ვისაც ქორწილის გადახდაც შეუძლია და ქელეხისაც, უჩუმრად სხედან.

მძიმე ფიქრები ახვევია თავს ძაქოს. სინანული უკლავს გულს, რატომ ყველა ზომა არ იხმარა და იმ საბედისწერო ჭორის გამავრცელებელი არ იპოვა. აი რა მოჰყვა ამას. ოჯახი ამოწყდა. თავის თავისთვის ვერ უპატიებია, ამ ზამთარს ხასანა რომ მივიდა და დახმარება სთხოვა, რატომ არ შეყარა აული. რატომ ვერ მიაკვლია იმ ხვრელს. საიდანაც ის შხამიანი გველი გამოსრიალდა. რატომ არ გაუჭეჭყა თავი, სანამ ადამიანის დაგესვლას მოასწრებდა. შეცდა აულის თავკაცი, სწორედ ამ შეცდომამ დაუკარგა მოსვენება.

ფარ-ხმალი ჯერაც არ დაუყრია მოხუცს. საიქიოში აგებინებენ პასუხს, თუ საქაოს მზის სინათლეზე ვერ გამოიყვანს ადამიანს, რომელმაც ასე უდანაშაულოდ ამოწყვიტა ოჯახი. ხასანას და ზარინას სინანულით შეღებილ ხელებს იცნობს და მაშინ ვაი იმ უბედურს. ვისაც ხალხის რისხვა დაატყდება თავზე.

მაგრამ ეს შემდეგისათვის. ჯერ მიცვალებულია გასაპატიოსნებელი, გაშალებით მუშაობს მოხუცის გონება. აულში ვის რა მოეძევება. რისი გაღება შეუძლია? ხალხი თვითონაც ძალიან გაჭირვებულია, რაზე დაემდუროს. გვერდით უსხედან ყუნცელი და სოლიმი. მაგრამ ამათი იმედი არა აქვს. დახმარების მიზნით გამოხრულ ძვალს არავის გადაუგდებენ. იცის ეს ძაქომ და აკი არც არაფერს სთხოვს.

ყუნცელი და სოლიმი ერთიმეორის პირისპირ სხედან. ისე არიან დაღონებულები, თითქოს უბედურება მათ მოსვლოდეთ.

ყუნცელი ძაქოს გვერდით ზის, თავზე ფაფახი ახურავს, ტანზე ახალი ტყავ-კაბა აცვია. მისი დაძარღვული თითები საბიჯგი ჯოხის სახელურს სვავის ბრჭყალებივით ჩაბღაუჭებიან: სოლოვით წამახული წვერი თავზე შემოხვეულ მკლავებში ღობის მარგილივით ისე დაუშვია, თითქოს მიწაში უნდა ჩაასოსო. ცხვირი ხშირსა და გაბანჯგვლულ ულვაშებზე განისვენებს. მისი სიმძიმით ულვაშები შუაზე გაღუნულა და ბოლოები ისე აუპრეხია, თითქოს გასაფრენად მომზადებულაო, თვალები გაფანჩულ წარბებქვეშ ხვლიკებივით შემძვრალა და თითქოს სძინავთო. ისედაც ტანდაბალი, მხრებში მოხრილა და თავი წინა აქვს წაძოწეული. მოსაუბრეს პირდაპირ არ შეხედავს, ჩვევა აქვს ასეთი. გულისნადებს არავის გაუმჟღავნებს. მისი ენა ერთს ამბობს, გული — მეორეს. თავისი თვალებივით მალავს ჩანაფიქრს. მაგრამ როცა მსხვერპლს ბრჭყალებში მოიგდებს, მაშინ აახელს თვალებს. მაშინ უკვე აღარც გულისნადებს მალავს. მერე ისევ ჩაიკეტება თავის ნაჭუჭში და ახალ მსხვერპლს ელის...

ჩანაფიქრი მართლა ჭკვიანურია. ზარინას უქელეხოდ ვერ დაასაფლავებენ. ოჯახი გამოფხეკილია. ყუნცელს კი ბლომად მოეძევება საქელეხე: საკლავი თუ არაყი, ფქვილი, კარტოფილი, ყველი — ყველაფე-

რი. ხასანას კი აგერ ფერდაში სოლიმის მამულებს შუა მიწის ნაკვეთი რჩება. თუ ახლა იმ ნაკვეთს დაითრევს, მერე თვითონ იცის.

სულ სხვა საფიქრებელს წაუღია სოლიმი. თითქოს სიბნელე ელვამ გაკვეთაო, უცბად ისე გაუნათდა გონება. როგორც ადიდებული მთის მდინარის ამღვრეული წყალი, ისე აბობოქრდა სისხლი მის გულში.

წადილი შეისრულა. დასახული მიზნის მისაღწევად უკვე გაიწმინდა გზა. ახლა თითქოს ხელს არაფერი უშლის, მაგრამ ქალიმათი... აი რა აფიქრებს. წუხელ გადაჭრით დაუსვა საკითხი: ჩემი უბედურების მიზეზი შენა ხარ, ამ ყოფაში შენ ჩამაგდე და გირჩევნია, ჩვენი ცოლქმრობა კანონიერად გამოაცხადოო. დაემუქრა, თუ მომატყუებ, შენს ბილწ საქმეებს მზეზე გადმოვშლი, ქვეყანას შეგიყრიო. სოლიმს სულაც არ ეეჭვება. ქალიმათი დანაქადს შეასრულებს. იცის, ქალიმათს უყვარს და იმიტომ აიტანა ამდენი გაჭირვება. ხასანასი და ბარსაგის დაღუპვაშიც იმიტომ შეუწყო ხელი. მაგრამ თუ გაიგო, რომ სოლიმმა გული აიცრუა და მის შერთვას არ აპირებს, მაშინ... მაშინ არ დაინდობს, ძშიერი ვეფხვივით კბილით დაგლეჯს. ნალყუთა?! ჯერ არაფერია საჩქარო. ხსართაგი აღარ დაბრუნდება, მაგრამ ქალიმათი რომ აღარ ეშვება? წამიყვანე სახლში, ნუ მტანჯავ. თორემ მეტს ვეღარ მოვითმენო.

აგერ, ახლაც. მოტირალ ქალებში ზის და იქიდან თვალებით ჭამს სოლიმს. თვალებში კი რაღაც საზარელი ცეცხლი უნთია, თითქოს საცაა იქიდან ნაპერწკალი ავარდება და პირდაპირ სოლიმს მოხვდება გულში. ასეთი არასოდეს ყოფილა ქალიმათი. მახვილივით მიაბჯინა გულზე თვალები და აღარ აშორებს. სოლიმმა ვერ გაუძლო ამ სულის სიღრმემდე შემაძრწუნებელ მზერას, ნაკვერჩხალზე დამწვარი თითივით მოსწყვიტა თვალი ქალიმათს და ჯოხზე დაყრდნობილ ყუნცელს ატაკა. ყუნცელის თვალები და ტუჩები ხშირ გაფანჩულ ბალანში მიმალულან და სოლიმის მზერა ბუხრის ქუდიდან ძირს ჩამოგორდა. მაგრამ ჯოხზე სვავის ბრჭყალებივით მოჭერილმა თითებმა თითქოს ძირს დაცემა არ დაანებეს.

თვალის კაკლები ეტკინა, ნაპერწკლები გაყარა. ნათლად დაინახა სოლიმმა: ყუნცელის ხმელი დაძარღვული თითები ვიღაცას უჭერს ყელში, თავისით ბოროტად მოძრაობენ. ასე ემართება ყუნცელის თითებს. როცა მათი პატრონი გულში ბოროტ განზრახვას ჩაიდებს. ეს ადრევე აქვს სოლიმს შემჩნეული. ყუნცელი თავის ავ განზრახვას ღრმად მალავს გულში, მაგრამ ამ თითებს არ შეუძლიათ, არ გასცენ პატრონი. ახლაც არის რაღაც მეტად მნიშვნელოვანი. გრძნობს ამას სოლიმი. მტრის საიდუმლო ჩანაფიქრი თუ არ ამოიცნო, წინ თუ არ აღუდგა. ეს სვავის ბრჭყალები ყელში წაუჭერენ. ყურადღება დაძაბა, ქალიმათიც კი დაავიწყდა. ამჟამად ყუნცელის ხმელი თითების უცნაური ტოკვა უფრო საშიშია სოლიმისათვის. მაგრამ ყუნცელის უფორმო ტუჩები არაფერს ამბობენ. თავიანთი პატრონის გულივით მიიმალნენ სქელი ულვაშების ჩრდილში. ხვდება სოლიმი ყუნცელის ზრახვას, მაგრამ ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს.

5.

გარედან წვიმის შხაპუნი აღარ ისმის. ქარიც ჩადგა. ერდოდან შუაცეცხლს ხანდახან თუ დაეცემა წვეთი. გარედან შემოსულმა ამბავი შემოიტანა, წვიმამ გადაიღო, ახლა მთიდან ბურუსი წამოვიდაო.

— გამოიდარებს, მაშ რას იზამს. — ჩაილაპარაკა ძაქომ. — მაგრამ რასა ფიქრობთ, ხალხო, მიცვალებული რითი დავმარხოთ? მოვიფიქროთ რამე.

ორი დღე ელოდა აული ძაქოს სიტყვას და ახლა თავკაცის კითხვაზე ყველა თავის გულში ეძებს პასუხს, მაგრამ პასუხის გაცემა არავის შეუძლია.

დუმილი ხმელ-ხმელმა, მოკლედ შეკრეჭილწვერიანმა მოხუცმა დრისმა დაარღვია:

— კარგი ადამიანი გამოგვტაცა უბედურმა შემთხვევამ. ვინ ენითაც ეს პატიოსანი ოჯახი დანელდა, ღვთის რისხვა დაეცეს იმას, ადამიანური სიკვდილი არ ეღირსოს, მშობელმა მიწამ არ მიიღოს...

— მაგ საკითხს ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდებით, დრის, ჯერ მიცვალებულს მოვუაროთ. რა აზრისა ხარ შენ?

— ახლა ამ უბედურის პატრონი მთელი აულია. ქილეხიც ჩვენი გადასახდელია.

— მეც მაგ აზრისა ვარ, — დაეთანხმა დრისს კიდევ ერთი ბერიკაცი.

— ორი თოხლი მყავს და ერთი შემიწირავს, — თქვა დრისმა.

— აგაშენოს ღმერთმა. ბარაქა ნუ გამოგილიოს მამაზეციერმა. ერთი თოხლი მეცა მყავს. — გამოცოცხლდა ძაქო.

— ჩვენც ერთ საღვინე არაყს გავიღებთ, დედაკაცი საამაღლებოდ ინახავდა, მაგრამ...

ყუნცელი აქამდე ხის ფესვივით უძრავად იჯდა, ახლა კი შეშფოთდა. მგლის კბილებივით ხელის თითები აათამაშა. გაფანჩულმა მარცხენა წარბმა თავისით აიწია მაღლა და კერიაზე დანთებული ცეცხლიდან რომ ნაპერწკალი გამოხტება ხოლმე, ისე გამოანათა თვალის ბაიამ.

— რეები მესმის ეს, ხალხი არა ხართ? — მძიმე ხმა ყანგიანი ჯაჭვის ჟღარუნივით გაისმა და ულვაშების ბულულქვეშ თხელი ტუჩები შეარხია. — ზარინა ჩვენი აულის საამაყო რძალი იყო, რაშიც მას ბრალი დასდეს, არავისა სჯერა. ვინ იცის, ის უსინდისო ახლა ჩვენს შორისაც არის. — გამეტებით დაჰკრა ჯოხი მიწას — ყველას იცოდება, ყველას უნდა უკანასკნელად პატივი სცეს. ეგ კარგია. მაგრამ საერთო სირცხვილი იქნება, წესზე და რიგზე თუ ვერ დავასაფლავებთ. ვიცი, ყველას გიჭირთ, მაგრამ დახმარებაზე უარს არავინ ამბობს. ეგ მეც მომწონს. არც მე დავიხევ უკან. საკლავიცა მყავს და არაყიცა მაქვს...

სოლიმმა ყურები დაცქვიტა და დაჭყეტილი თვალები ყუნცელის ხელის ხმელი თითებიდან გაფანჩული ულვაშების ქვეშ გადაიტანა და იქ გაიყინა. მაგრამ ყუნცელი ისე ღეჭავს სიტყვას, აზრი ვერ გამოიტა-

ნა. ისე კი იცის, ობობასავით აბამს ქსელს. ბადეს ქსოვს. სოლომი მაინც ვერ ბიხვდა, რას უმიზნებს ეს ბებერი მელა.

— ღმერთმა გადაგიხადოს, ყუნცელ, — შვებით ამოისუნთქა ძაქომ.

— მათქმევინეთ, — ხელახლა გაისმა ყუნცელის ჟღარუნა ხმა. — ჩვენთან ისეთი არავინ არის, ვინც ამ საცოდავისათვის დახმარებას დაიზარებს. მაგრამ საქმე ეს როდია. მიცვალებულს ამ ქვეყნიდან თავისი წილი მიაქვს. ასეა ჩვენი წესი. ამას ვერავინ შეცვლის. ჰოდა, წილი, სახლიდან უნდა გაიყოლოს. სხვის ხარჯზე შენდობა არ შეიძლება, ხალხო, პურ-მარილი საიქიომდე ვერ აღწევს, ეშმაკები იტაცებენ. ჰო, ამით რის თქმა მინდა. ახლა ჩვენ რომ სამადლო ქელეხი გავმართოთ. ზარინას, არაფერი მიუვა. ამას წინათ ჩემი მოყვრების აულში მოხდა ასეთი ამბავი, იქაც ხალხმა გაშალა სუფრა, მერე რა გამოვიდა? შენდობა უთხრეს, მაგრამ სუფრის ბარაქა ეშმაკებმა გაიტაცეს. კაცი კი საიქიოში მშიერი დარჩა. ახლა თურმე ყოველღამე მიდის აულში და ვინც ქელეხის სუფრა გაუმართა, სასმელ-საჭმელსა სთხოვს. გაღებულ ბარაქა, ცხოვრებას ეღარავინ მოეწია, გაღატაკდნენ, გაუბედურდნენ. მათი ბარაქა ეშმაკებს დარჩათ. რა ვიცი, ჩვენც ასე არ დაგვემართოს.

დიდი ხანია ყუნცელს ჩუმ-ჩუმად ეშმაკეულს ეძახიან. ამბობენ დეკებთან და ქაჯ-ეშმაკებთან აქვს პირი შეკრულიო. თვალებიც იმიტომ აქვს ერთთავად დახუჭული, ეშმაკებს ესაუბრებაო.

— მაშ რას გვირჩევ, ყუნცელ, როგორ მოვიქცეთ, მიცვალებულს ზეზე ხომ არ დავტოვებთ? — ჰკითხა ძაქომ.

— მაგას რად ამბობ, ძაქო, ხასანას იმდენი კი აქვს, რომ მისმა ცოლმა თავისი წილი სამგზავრო გაიყოლოს, — უპასუხა ყუნცელმა და წარბი თავის ადგილზე ჩამოცურდა, თვალიც, მოზამთრე დათვივით ისევ სოროში შეძვრა.

— კაცო, პირდაპირ თქვი, რის თქმაც გინდა, რასა ღეჭავ ! იტყვას. — გაცხარდა ძაქო.

— ხასანას დარჩა მიწა, სახლი, ბოსელი, ცხენი, — გუდაში დამალულ აზრებს ნელ-ნელა მოხსნა თავი.

— აუ, შე ოჯახქორო, მერე ამ პატარა ობოლს რას ეუბნები? მაშინ ძოდი, ყელზე ბაწარი მოვაბათ და დედ-მამის გზას გავუყენოთ?!

— მე ეგ არ მითქვამს, ძაქო, არც დამვიწყებია ობოლი. თუ ჩემი აზრი მოგეწონებათ, მაგის შესახებ აი რას ვიტყვი... — ამოიღრიალა ყუნცელმა.

სოლომი დაჭრილი მხეცივით შეტოკდა ადგილზე. მაშინ კი აიტაცა ყუნცელის დახლართული ჩანაფიქრის გორგალი. გონება გამალებით ამუშავდა და ნელ-ნელა აურთო პირი ხლართს. ახლა უკვე იცის, საით ურტყამს ბებერი მელა, მახვილის წვერი სოლომისაკენაა მიმართული, მაგრამ სოლომი არ დაიბნა, მახვილს სტაცა ხელი და ყუნცელისაკენ უბრუნა პირი.

— ძაქო, ორი !ი ტყვა მეც მათქმევინეთ. — წამოხტა სოლომი და

ხმელი მჭადის ლუკმასავით გაეჩხირა ყელში ყუნცელს, ჩანაფიქრი ჯოხით უკანვე ჩასჩარა გულმუცლად.

— ჯერ ყუნცელს მოვუსმინოთ...

— რა საჭიროა, ისედაც გასაგებია მაგის ჩანაფიქრი. ხასანას ნაკვეთის ხელში ჩაგდების სურვილი კლავს. საფასურად ზარინას ქელეხს გადაუხდის, ბოსლიდან ხასანას ცხენს გამოიყვანს. სახლიც ტყუილად არ ახსენა. ვიცი, გეწყინება, ყუნცელ, მაგრამ მაინც ვიტყვი, დიდი ბოროტება განგიზრახავს, ღმერთი არ გაპატიებს. შე კაი კაცო, როგორ იკადრე ასეთი აზრის გულში გავლება, რატომ არ იფიქრე ხასანას პატარა ობოლზე?

— სოლიმ! ეშმაკობას თავი დაანებე და დამამთავრებინე სიტყვა, — დაუყვირა ყუნცელმა და მარცხენა თვალმა თავის ბუნაგიდან კვლავ დააკვესა.

— შენი აზრი ახლა ყველასათვის გასაგებია, — მიახალა სოლიმმა და განაგრძო: — არ არის მისაღები ეგ აზრი, ასე არ არის, ხალხო? ძაქო, ახლა მე მომისმინეთ. მეც ჩემსას ვიტყვი, იქნებ, უფრო ჭკვიანური გამოვიდეს, ყველამ ვიცით, რომ ხასანას და ბარსაგს შორის ავმა ენამ ჩამოაგდო შუღლი. ორი ოჯახი დაღუპა ბოროტმა ადამიანმა. თუმცა ახლა რა დროს ამაზე ლაპარაკია. მკვდარი დასამარხია, სახლი გამოფხეკილი, წესი და რიგი შესასრულებელი. წლიდან წლამდე ცხრა სუფრაა გასაშლელი. ჰოდა, მიცვალებულებს ცხონება, მაგრამ მათ დანატოვარ ობოლზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. ბიჭი ჯერ გასაზრდელია. ჩემი აზრით, ბავშვზე ზრუნვა ვინმემ უნდა იკისროს. როცა გაიზრდება და თავის რჩენას შესძლებს, დაუბრუნდება მამის კერას. ბავშვის საკუთრება ხელშეუვალია. მეურვემ მიწა გამოიყენოს, მაგრამ როცა დრო დადგება, პატრონს დაუბრუნოს. ხასანასა და ზარინას შენდობას არ მოვაკლებთ. წლის ხარჯსაც გადავუხდით. მხოლოდ ობლის წილს ნურავინ შეეხება, თორემ მოვკვეთავთ თემიდან. — სოლიმი გაჩუმდა და იდუმალი მზერა მოავლო ხალხს.

— ძაქო, მეზობლებო, ღმერთმა წყალობა არ მოგაკლოთ. ერთსა გთხოვთ, ყველამ იცის, რომ ჯერ ოჯახში დიასახლისი არა მყავს, არც ბავშვები მყავს. მე და ჩემი დედინაცვალი ვცხოვრობთ. ღვთის მადლით, ლუკმა არ გვაკლია, ბევრი არა, მაგრამ ცოტ-ცოტა რაღაც ქონებაცა მაქვს. ობოლს მე წავიყვან, ვიშვილებ. ღმერთმა აცხონოს ხასანა, ძმადნაფიცი იყო ჩემი, ჰოდა, რაც შემეძლება არაფერს მოვაკლებ. ხასანასი არც მიწა მინდა და არც სახლი. იმათი პატრონი ეს პატარა ბიჭია. მე ჩემიც საკმაოდ მაოხრია. რაკი ბიჭს ვიშვილებ, საცოდავ ზარინასაც მე დავასაფლავებ. ქელეხსაც გადავუხდი. ყველა წესს შევუსრულებ.

ხალხს მართლა მოეწონა სოლიმის წინადადება და როგორღაც შვებით ამოისუნთქა. მხოლოდ აძიბე იდგა გარინდებული. ღია კარებიდან წარბშეკრული გაჰყურებდა ბურუსით შემოსილ მშობლიურ მთებს, რომელთა თავზეც ზამთარში ნაშიმშილარი ხარივით ნელა მიიზლაზნებოდა წვიმისაგან დაცლილი ღრუბლის ნაფლეთები.

სწორედ ამ გამოწურულ ღრუბლებს ჰგავდა ახლა აბიბე, ხსართაგის დაპატიმრებამ და ზარინას უბედურებამ გააოგნა ვაჟკაცი. გახდა, ყვრიმალის ძვლები გამოუჩნდა. ღრმად ჩაცვენილ თვალებში გაუნელებელმა სევდამ დაისადგურა. ძაქოსავით მასაც თავის თავისთვის ვერ ეპატიებინა. წუხდა, რატომ დროულად არ მიიღო ზომები ჭორის გამავრცელებლის აღმოსაჩენად. მართალია ეძებდა, მაგრამ უფრო მეტი ინიციატივა იყო საჭირო. პირველად სოლიმზე იეჭვა, ხელჩასაკიდსა და ღამაშტკიცებელ საბუთს ვერ მიაკვლია. აი ახლაც როგორ წუხს. სამადლო საქმესაც კისრულობს. დაღუპულ ოჯახს სრულიად უანგაროდ ეხმარება. ჰოდა, წადი და დაიჯერე, ასეთი გულკეთილი ადამიანი, რატომ ჩაიდენდა უდიდეს ბოროტებას. თუმცა ვინ რას გაუგებს ადამიანს.

სახლში გამეფებული დაძაბულობა შენელდა. ჯერ ჩურჩული გაისმა, მერე კი ხმამაღლაც ალაპარაკდნენ. ყველას სოლიმის დიდსულოვნება ეკერა პირზე.

ყუნცელიც მიხვდა, სოლიმის გარშემო თავისსავე დაქსელილ ბადეში თვითონ რომ გაება. გაუცრუვდა იმედი. ლუკმა ხელიდან გააგდებინეს, მაგრამ ყუნცელი რის ყუნცელია, თუ მსხვერპლი ასე იოლად დაუძვრება.

— სოლიმ, კარგი აზრი წამოაყენე, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ არ დამაცადე, მეც ეგ უნდა მეთქვა. ჰოდა, არჩევანი მე მეკუთვნის და არა შენ. ბიჭი აღსაზრდელად მე მიმყავს.

— ყუნცელ, კმარა ცბიერება, ხომ იცი ჩემთან არ გაგივა... — მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა. — ხალხმა იცის შენი მიზანი. ჰოდა, მიცვალებულის ხათრი რომ არა, მაგ თხის წვერს ღერ-ღერად დაგაგლეჯდი. ობოლ ბავშვს ვინ განდობს შენ? მერე კიდევ, შენი გაბა რად არის ეშმაკეული? გგონია, არავინ იცის?

ასეთი რამ ყუნცელისათვის ჯერ არავის გაუბედია. დასახული მიზნის გაცრუება ისე არ სწყენია, როგორც ეს წაყვედრება. სოლიმი მტკივნეულ ადგილს შეეხო. გულში თითქოს მუგუზალი ატაკესო. ყუნცელმა იცოდა, რომ ხალხი ჩუმ-ჩუმად ეშმაკეულს ეძახდა. გაბას სიგიჟესაც ამით ხსნიდნენ. ახლა კი რძალზეც გაავრცელეს — ეშმაკის საყვარელიაო. ყუნცელს არც ეშმაკი სწამს და არც ხატი, მაგრამ ხალხი ბნელია, ვიღაცამ დაუგდო ხმა და ახლა ვეღარავის გადაარწმუნებ, სოლიმზე ჰქონდა ეჭვი. მაგრამ ჩხუბის მიზეზი ვერასოდეს გამოუჩხრიკა, ახლა კი აივსო მოთმინების ფიალა. წარბები, სოფლის ძაღლები ქედზე რომ წამოსკუპდებიან ხოლმე, შუბლის ნაკეცებზე ისე წამოსკუპდნენ. თითები მარწუხივით შემოაჭდო ხელჯოხის ბუნიკს და ხელჯოხმა ჰაერში გაიშხუილა. სოლიმმა განძრევაც ვერ მოასწრო, ისე დაეშვა მის თავზე.

წამში სისხლმა ითქრიალა. სოლიმი დაბარბაცდა. მაგრამ რამდენიმე ხელი შეეშველა და ჰაერშივე შეაჩერეს. ტახტზე წამოაწვინეს, წყალი აპკურეს.

ყუნცელი გაცოფდა. ამ კაფანდარა ბერიკაცს ვეღარავინ აკავებდა,

სოლიმზე მოსაკლავად იწევდა. ერთმა ზორბა ტანის ახალგაზრდამ ბავშვივით აიტაცა ხელში და გარეთ გაუძახა.

ხალხი აირია. ქალების წივილ-კივილს ყურთასმენა მიაქვს. მოსულიერდა სოლიმი. გატეხილი თავი შეუკრეს, მაგრამ სისხლით მოთხუპნული ახალუხის დანახვაზე გაცეცხლდა, ახლა იმან გაიწია ყუნცელზე, აძიბემ შემოუტია:

— დაწყნარდი, სოლიმ. ნუ გავიწყდებათ, რომ აქ მიცვალებულის პატივსაცემად მოსულხართ და იცოდეთ, ხალხი არავის მისცემს მისი შეურაცხყოფის უფლებას. აქამდის საოცარი ლაპარაკი მოვისმინეთ. ეშმაკმა იცის, შენ და ყუნცელს რა გალაპარაკებთ. ტყუილად არ ეცით ერთმანეთს ყელში, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საბრალო ხასანას ობლის დარდი არც ერთს არა გაქვთ. ჰოდა, თქვენი საქელეხე თქვენთვის დაიტოვეთ. ზარინას დასაფლავებას როგორმე უთქვენოდაც მოვახერხებთ. ხასანას ბიჭს მე წავიყვან, რაც გასაკეთებელია თვითონვე გავაკეთებ. ახლა კი მიბრძანდი აქედან, ჩვენს მიცვალებულს მასხრად არ აგაგდებინებთ.

სოლიმს ამ წუთში აღარც ხასანას მიწის ნაკვეთი ახსოვდა და აღარც პატარა ობოლი. ბრაზი ახრჩობდა და ვაი იმას, ვისაც ახლა ის მსხვერპლად ამოირჩევდა.

ბარბაცით გამოვიდა გარეთ.

6.

ზარინას დასაფლავების მეორე დღეს მთელმა სოფელმა ქალიანკაციანად ძველი ციხის ნანგრევებთან მოიყარა თავი. ყრილობაზე მხოლოდ სოლიმი არ იყო, ავად ვარო, შემოთვალა. ძაქომ მეორედ გაუგზავნა კაცი. სოლიმი მოვიდა. წესისამებრ ქალები ასეთ თავყრილობას არ ესწრებიან, მაგრამ ახლა საკითხის უიმათოდ გადაწყვეტა არ ხერხდებოდა და ისინიც მოიწვიეს.

დღეს რა საკითხსაც არჩევენ, მთელი აულის საქმეა და ერთად იმსჯელებენ, ყველა მიიღებს მონაწილეობას. ძაქომ ხალხს გადახედა, კიდევ იკითხა ხომ არავინ გვაკლიაო.

გალეულ ქვებზე ბერიკაცები ჩამოსხდნენ, ძაქო წინ წამოდგა და დაიწყო:

— ხალხო და ჯამაათნო, ყველამ იცის რაზედაც შევიკრიბეთ. აქ, ამ წმინდა ადგილზე წყვეტდნენ საჭირბოროტო საკითხებს ჩვენი წინაპრები. აქ ყველა ჩვენთაგანს ერთნაირი უფლება აქვს. დაიღვარა სისხლი, ახლა ჩვენ მოსისხლეებს არ ვეძებთ, ჩვენ ვეძებთ იმას, ვინც ეს სისხლისღვრა მოაწყო, დამნაშავე ჩვენ შორის არის. თავისი საქმე გააკეთა და ლოკოკინასავით შეძვრა ნიჟარაში. გვემალება, მაგრამ ჩვენი ვალია ვიპოვოთ. თუ დაგვემალა, იცოდეთ, კიდევ გამოძვრება ხვრელიდან გველი, კვლავაც არ დაგვინდობს დასაშხამად. ვიპოვოთ ქვეწარმავალი და ჩავქოლოთ. ამიტომ ყოველ თქვენგანს ვთხოვ სიმართლე თქვას,

გავიგოთ საიდან წამოვიდა ჭორი, პირველად ვისგან გაიგონა. ვინც სიმართლეს არ იტყვის და ჩვენს მცდარ გზაზე დაყენებას შეეცდება, შერისხოს ჩვენმა წმინდა სალოცავმა, მეხი დაატყდეს მის სახლ-კარს, იმქვეყნად კი ჯოჯოხეთი იყოს მისი სამუდამო სამყოფელი.

ხალხი გაირინდა და წმინდა ადგილზე ისე დარჩა, თითქოს გაქვავდაო.

— რას იტყვით, საიდან დავიწყოთ?

ხმა არავინ ამოიღო.

— მაშინ დაკითხვის უფლება მე მომეცით. აი მაგალითად შენ, დრის, პირველად ვისგან გაიგე ის ამბავი? თქვი!

— არ დავმალავ, ჩემმა დედაკაცმა მითხრა.

— ცომიან. შენ ვინ გითხრა?

— ჩემმა რძალმა ყორიანამ.

— ყორიან, შენ მთელი სოფლის პატივსაცემი რძალი ხარ. შენი ხმა ჯერ არავის გაუგონია და თუ ახლაც გერიდება ჩვენი, აძიბეს უთხარი ჩუმად. აძიბე გვეტყვის, ვინ იყო?

ყორიანას ცეცხლი წაეკიდა სახეზე, აძიბესიც კი შერცხვა, მაგრამ მაინც რაღაც წასჩურჩულა.

— მურთუს ქალი ფარიზათი, — ხმამაღლა დაიძახა აძიბემ.

ძაქო სათითაოდ იძახებს დასახელებულებს და თანდათან პატარავდება იმ საბედისწერო მითქმა-მოთქმის მჭიდროდ ახვეული გორგალი, ხან თითქოს მთლიანად გაშლას ცოტაღა უკლია, ხან ისევ გაიხლართება. ძაქო დაიღალა, მაგრამ ხლართის გამოხსნა აუცილებელია და ისიც აზრიანად, მარჯვედ მისდევს კვალს და აი ხლართი ყალას შემოეხვია.

— ყალა, გავიგე, ახალწლის ღამეს აძიბეანთსა ქეიფში შენ წააყვედრე ხასანას... — თვალი თვალში გაუყარა ძაქომ ყალას.

— წავაყვედრე, არ უარვყოფ. მაგრამ ჯერ თვითონ დამცინა. პაპაშენს ეშმაკისთვის აქვს სული მიყიდულიო.

— ხასანამ რომ ეგ გითხრა, შენს მეტმა ვინ გაიგონა?

— სოლიმმა.

— რაც ზარინაზე თქვი, ის ვიღასგან გაიგონე?

— ისიც სოლიმმა მითხრა.

— ასე იყო, სოლიმ?

სოლიმი აქამდე გაბუტულივით იჯდა. ავადმყოფი რომ მოიყვანეს, ვითომც იმაზე ბრაზობდა. სინამდვილეში კი გულზე ცეცხლი ეკიდა. რა იცოდა, რომ ძაქო ასე უცბად გამართავდა ყრილობას, ნიხასში დაუძახებდა ხალხს. სოლიმმა ვერც ყალას გაფრთხილება მოასწრო და ვერც ქალიმათისა.

— შენ გეკითხები, სოლიმ!

— ჰმ, მე მეკითხები?

— დიახ, შენ. მართალია, რასაც ყალა ამბობს?

— რა თქვა ყალამ? — შიშით გული კინაღამ გაუსკდა სოლიმს.

ძაქომ გაუმეორა ყალას ნათქვამი.

— მართალია, — შვება იგრძნო სოლიმმა. — ხასანამ ყალას წააძახა პაპაშენი ეშმაკთან არის შეკრულიო. ნათელში ამყოფოს მამაზეციერმა, ცოცხალი რომ იყოს, მისი თანდასწრებითაც ვიტყოდი.

— ყალას რად წააყვედრიდა ხასანა ამას?

— მაგისი კი არა ვიცი რა. ზარინას შესახებ დარხეული ჭორი სად გავიგონე, აღარ მახსოვს. რა ვიცი, ყველას პირზე ეგ ეკერა და...

აი ისევ აიწეწა გორგალი. თავკაცი ცდილობს მის გამოხსნას, მაგრამ ვეღარც თავს უგდებს და ვეღარც ბოლოს. აქამდის კარგად მოჰყვა კვალს, ახლა კი გაწყდა ძაფი, წაიშალა კვალი. მერამდენედ ეკითხება სოლიმს.

— უნდა გაიხსენო, სოლიმ. ისე არა ხარ დაშავებული, რომ ჭკუა დაგეკარგოს, თქვი!

ცივ ოფლში გაიწურა სოლიმი.

— ვფიცავ, — არაფერი მახსოვს.

— მე ვუთხარი, მე! — გაისმა ბესოს ქვრივი ტასის ხმა ქალებიდან.

— ჰო, შენ ვინღა გითხრა, ტასი. დააზუსტე პასუხი.

— ვინა და, ქალიმათმა, ჩემი თვალით ვნახე წისქვილის უკან, ბუჩქებშიო.

სოლიმს მუხლთ მოეკვეთა.

— სად არის ქალიმათი? — თითქოს შორიდან მოესმა სოლიმს.

მიიხედ-მოიხედეს, ქალიმათი არსად იყო.

— არ არის აქ.

— აბა გაიქცეს ვინმე და ახლავე აქ მომგვაროს.

ხალხი სუნთქვაშეკრული ელოდა ქალიმათის გამოჩენას.

დაიღუპა სოლიმი. წახდა კაცი. ახლავე აქ გაჩნდება ქალიმათი და ყველაფერს იტყვის. ხალხი ულმობელია. სოლიმის ამბავს რომ გაიგებენ კბილით დაგლეჯენ. ქვებით გაუჭეჭყავენ თავს. ასო-ასოდ აქნიან და არ შეიბრალებენ. შიშით ლამის სული გაეყაროს. ერთხანს გაპარვაც იფიქრა, მაგრამ ესეც რომ ვერ მოხერხდება?

ქალიმათის მოსაყვანად წასული ახალგაზრდა გულამოვარდნილი მოვარდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ძლივს ამოღერღა:

— ქალიმათი... ქალიმათი... წისქვილის ღარში გდია მკვდარი...

თავზარდაცემული ხალხი აირ-დაირია. ზოგი ადგილზე დარჩა, ზოგმა წისქვილისაკენ ქნა პირი და თავ-პირის მტვრევით გაიქცა. დაბნეული და შეშინებული სოლიმი გონს მოვიდა. შვებით ამოისუნთქა და ისიც სხვებს მიჰყვა.

აქ გაწყდა იდუმალებით მოცული, დახლართული გორგლის წვერი, რომელიც ის-ის იყო, ძაქოს უნდა გამოეხსნა.

7.

ზარინას დასაფლავებაზე ქალიმათიც იყო. სანამ უბრალოდ გამოჩეჩილი ფიცრებით შეკრულ კუბოს ღრმად გაჭრილ საფლავში ჩაას-

ვენებდნენ, მიცვალებულს შენდობა უთხრეს. ჯერი ძაქოზე მიდგა. მან სასმისს თავი წაუქცია და თქვა:

— ნათელი გზით გევლოს, ბეჩავო, სააქაოს ცხოვრება ნაღვლად გექცათ, იქ მაინც თაფლივით ტკბილი იყოს თქვენი ყოფა. შენ და ხასანას ვიღაცამ შხამი ჩაგიწვეთათ ცხოვრების საერთო ჯამში, მოგწამლათ ორივე. ო, დიდებულო ღმერთო, მაღლიდან დაგვყურებ და ყველაფერს ხედავ, ვისი მიზეზითაც ეს პატიოსანი, გამრჯე და ტკბილი ოჯახი გაქრა ამ ქვეყნიდან, იმას შენი რისხვა დაატეხე თავზე. ადამიანური სიკვდილი არ აღირსო, ხმელი ხესავით ჩამოახმე, წამებაში გაატარებინე სიცოცხლე, ენა გაუხმე, თვალები დაუბრმავე, შავ ჭირს გააწყვეტინე მისი მონაგარი.

აქამდის თავს იკავებდა ქალიმათი. ეშინოდა არაფერი შემამჩნიონო, საქმეს მიეცა მთლიანად. საქელეხე პური სულ თვითონ გამოაცხო. ძალიან წუხდა. გული ისე შემოჰკვნესოდა, მზად იყო ზარინას შენაცვლებოდა. ყველაფერში თავის თავს ადანაშაულებდა. რას წარმოიდგენდა მისი გავრცელებული უხამსი ჭორი ასე სამწუხარო შედეგს გამოიღებდა, მთელი ოჯახი დაიღუპებოდა? წინა ღამეს ქალიმათმა ცორას ცოლს თლატონას ჰკითხა, ვინა თქვა, რომ ვითომ მე წისქვილში ეშმაკები მყავდესო. თლატონამ ქმარ-შვილი გაიწყვიტა, პირველად მესმისო. ახლა სოლიმმა საცოდავი ზარინას რიგიანად დასაფლავებისათვის როგორ გამოიდო თავი? რა სიტყვები დახარჯა! პატარა ობოლი კინაღამ იშვილა. ხალხს წმინდა ანგელოზად მოაჩვენა თავი. ამან ძალიან იმოქმედა ქალიმათზე. აქამდის ასეთი არ ეგონა სოლიმი. შუაღამისას გამოჩნდებოდა, დაპირებებით აავსებდა, ლამაზი სიტყვებით მოთაფლავდა, ნატკენ გულს დაუამებდა ქალიმათს და ისევ გაქრებოდა. ახლა უსმენდა მას და სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ სოლიმი ცრუობდა, ატყუებდა ხალხს. ასევე ატყუებს ალბათ, ქალიმათსაც, ხალხს მისი სჯერა, ქალიმათსაც ხომ სჯეროდა. რაღაც ბოროტი განზრახვა რომ ამოძრავებს, აღარ ეეჭვება. ყუნცელთან ჩხუბის მიზეზი ხომ ხასანას მამული, მამული კი არა, ერთი მკლავის გაშლა მიწის ნაგლეჯი იყო. იმ მიწის დარდი დიდი ხანია მოსვენებას უკარგავს უნამუსო სოლიმს.

ხალხი სასაფლაოდან დაბრუნდა, ქალიმათი უკან ჩამორჩა და თავის სამყოფელს მიაშურა. ეშინოდა ღვთის რისხვა ხალხში არ დასტეხოდა თავს და ჩქარობდა, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა მათ. წისქვილში კარი შიგნიდან ჩაიკეტა. ციებიანივით კანკალებდა, თავი უხურდა, საფეთქლებში თითქოს ჩაქუჩებს ურტყამდნენ.

— ღვთისმშობელო დედაო მარიამ, შენ გადმომაფარე წყალობის კალთა. მარად ქალწულო გულთამხილავო, შენ ხომ იცი, მე არ მიმიძღვის ბრალი... — მუხლებზე დაჩოქილი ევედრებოდა ღვთისმშობელს.

ცა თავზე დაემხო, რა ყოფილა ადამიანი, სისხლისმსმელი მხეცი! როგორ შეძლო, როგორ მოატყუა?! თითქოს თავი გამოუცარიელდა, შფოთავს დამცირებული, შერცხვენილი და განაწამები ქალიმათი.

უნდა რაღაც საიმედოს სტაცოს ხელი, მაგრამ რაც ხელში ხვდება, ყველაფერი დამპალია და იქვე წყდება.

— მატყუარა! — რეკავენ ზარები ყურში.

— ცრუ! — იხლართება გონებაში.

— კაცისმკვლელი! — კვნესის გული.

ქალიმათის გონება სწრაფად ამუშავდა. რა მუხთალი ყოფილა წუთისოფელი. როგორ შეუგინეს ნამუსი, როგორ ამოსვარეს მწვირეში და უსარგებლო ნივთივით შორს მოისროლეს. რისთვის მოვიდა ამ უსამართლო ქვეყანაზე? უმჯობესია გაეცალოს მას, სიცოცხლე აუტანელ, მძიმე ტვირთად დაეკიდა კისერზე. ჩქარა, ჩქარა... მაგრამ არა! ასე არა! დაე, იცოდეს ხალხმა, მათ შორის რომ მატყუარა, ცრუ, ბოროტი, კაცისმკვლელი ცხოვრობს, ვინც ქალიმათს სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქცია, ნამუსი შეუგინა, მოატყუა. ახლავე ავა აულში, შეყრის ხალხს და ყველაფერს. ყველაფერს იტყვის...

სწორედ ამ დროს წისქვილის კარზე ფრთხილად დააკაკუნეს, ქალიმათმა კარი გააღო. მის წინ ყაზი იდგა.

8.

წვიმს და წვიმს. წვეთების წკაპაწკუპი ისმის ოთახში. სოლიმი ფანჯარასთან წევს და ეჩვენება, წვიმის წვეთები გარეთ კი არა, პირდაპირ მას უწკაპუნებენ კეფაში.

გარეთ ისე ბნელა, როგორც საფლავში. თვალთან მიტანილი თითიც არ ჩანს. ოთახშიც ასევე ბნელა. სოლიმს უყვარს უმთვარო, ბნელი ღამე, მაშინ უფრო მარჯვედ აბამს თავისი ბოროტების ქსელს, ხელს არავინ უშლის.

აი ახლაც, კიდევ მიიღო ერთი გადაწყვეტილება, ლამაზი ნალყუთა შეირთოს ცოლად, აქაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, მაგრამ ისე მიფანტ-მოფანტა, ისე მოიცილა გზიდან ყველა, რომ მათი კვალიც აღარ დარჩა. რატომ? ვითომ ნალყუთას სიყვარულით არის გახელებული? არა. სოლიმს არავინაც არ უყვარს. ის მხოლოდ საკუთარ თავზეა შეყვარებული და სხვას ვეღარ შეიყვარებს. რომ ვთქვათ, არც არავინ სჭირდება. ნალყუთა ნაქები და ლამაზია, სოლიმი კი მდიდარი და მის ცხოვრებას ახალი სიკეთე უნდა მიემატოს. ქალიმათი ეღობებოდა აქამდის წინ, ფიქრობდა, როგორ მოეცილებინა თავიდან. ჯერ მისი გზიდან ჩამოცილების გეგმა არ ჰქონდა შემუშავებული, რომ ქალმა თვითონ ნახა თავისი გზა.

ერთი მტერიღა დარჩა — ყუნცელი. მაგრამ სოლიმი ყუნცელზე პირდაპირ არ მივა. საშიშია, შვილიშვილები ბევრი ჰყავს. სოლიმი კი მარტოა. სხვა იარაღია საბრძოლველად საჭირო.

ჭიშკარზე ვიღაცამ მოარახუნა, ძაღლმა ლამის აიწყვიტა.

— სოლიმ, გამოიხედე გარეთ!

„ვინ უნდა იყოს ამ უდროო დროს“, — გაიფიქრა სოლიმმა და ლოგინიდან წამოდგა. ახალუხი მოიხურა, გარეთ გავიდა.

— რომელი ხარ, ამ შუაღამისას?

— მოაშორე ძაღლი კარს! — სოლიმმა იცნო ყაზი.

ძაღლი გვერდზე გადააბა და კარი გააღო.

— რა ამბავია, ყაზი?

— შინ შევიდეთ, ამბავი მერე იქნება.

სოლიმი შინ შეუძღვა ღამის სტუმარს. ლამპა აანთო. თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოსვრილი უზომოდ გალეშილი ყაზი ფეხზე ძლივსღა იდგა. იატაკზე ჩოხის კალთებიდან წურწურით ჩამოდიოდა წუმპე.

„კი მარა, ამჯერად ყაზი რატომაა ასე გაჯავრებული?“ — გულმა რეჩხი უყო სოლიმს.

ყაზი ხმას არ იღებდა, ხანჯლის ტარი ჩაებღუჯა და ხან იქით გადააქანებდა ხან აქეთ.

— რა ვქნა, დამუნჯდი თუ რა ამბავია შენს თავს? — ხელი წაჰკრა სოლიმმა ყაზის.

— არ მომეკარო სისხლიანი ხელებით! — იღრიალა ყაზიმ.

სოლიმმა პირზე ხელი მიაფარა.

— ჩუმად, ხომ არ გაგიუდი? აცირუხსი გაიგონებს, — წაისისინა სოლიმმა და კარი ჩარაზა.

— ნუ კეტავ კარს, სულ ერთია, ხვალ მაინც გაიგებს ყველა! — შენ უკვე დაპატიმრებული ხარ! — გამიძეხ წინ!

— ყაზი, შენ რა, არაყის მაგიერ საკუთარი ჭკუა ხომ არ დალიე, თქვი, რა ამბავია, რა გაღრიალებს ამ შუაღამისას?

— რა ამბავია? არ იცი? შენ მოკალი...

— ვინ?

— შენ უკეთ იცი, აბა, გამიძეხ წინ!

რა მიხვედრა უნდოდა სოლიმს, ქალიმათის მკვლელობას აბრალებდა ყაზი, მაგრამ მკვლელი არ იყო და თამამად დაუდგა წინ.

— მაგ საქმეში დამნაშავე არა ვარ!

— ხარ!

— გამოიძიე.

— გამოძიებულია, აი ამ ჯიბეშია საბუთი. ყველაფერი დაწერილია მარცხნიდან მარჯვნივ.

— რა საბუთია, ვინ შეადგინა?

— მე თვითონ!

— მერე შენ ვინ მოგცა უფლება?

— ვინ მომცა უფლება? კარგად მომისმინე და გაიგებ. — ყაზი ახალუხის ჯიბის ძებნაში წაბარბაცდა და კალათჯინში ნახერხით გატენილი ტომარასავით ჩაეზღერთა. ჰო, მისმენ ხომ? შენ რომ ბოროტი ხარ, ეს დიდი ხანია ცნობილია ჩემთვის, მაგაზე არაფერს ვამბობ, ეგეთი დაიბადე და, იყავი რა! მე სხვა რამ მაწუხებს. ჩემ-ჩუმად რომ დანაშაულს სჩადი, იმის კვალი ჩემი დასაფარი რატომ ხდება ყოველთვის? ლამაზი

'იყო არა ქალიმათი? მეც მომწონდა, მაგრამ შენ გადამიდექი წინ. გაპატიე. ხომ გაპატიე?

— მაგრამ მკვლელი მე არა ვარ...

— მოითმინე. შენ ცოლად შერთვას შეჰპირდი, ხომ ასეა?

— ?!

— ასეა. მერე ეშმაკის ამბავზე რა უთხარი? ეგ ჭუჭყი ჩამოიცილე, თორემ ისე ვერ შეგირთავო. იყო? იყო.

სოლიმი შეკრთა, შიშით ლამის ენა გადაყლაპა.

გაჩუმებული ხარ? მაშინ ისევ მე გეტყვი. ქალი ზარინას წინააღმდეგ აამხედრე და ხსართაგზე ჭორი გაავრცელებინე. ქალმა შენი სურვილი შეასრულა. ორი მოსიყვარულე ძმა მოსისხლე მტრებად აქციე. განა, ასე არ არის?

სოლიმი დუმს.

— რა თქმა უნდა, ასეა. მერე ქალი...

— დამიჯერე, ყაზი, ქალიმათი მე არ მომიკლავს.

— გამოტყდი!

— დავუშვათ, რაც შენ ბრალდება წამომიყენე მართალია, ვინ დაამტკიცებს, მოწმე მკვდარია!

— კი, მკვდარია, მაგრამ სიკვდილამდე, ჩემო სოლიმ, ყველაფრის თქმა მოასწრო. თიბვის ამბავიც კი არ დაავიწყდა. აი ერთმანეთს რომ შეეჯიბრეთ, გახსოვს ხომ? მერე წისქვილში დაიმორჩილე, ბავშვები გააჩენინე. ყოველივე ეს ჩაწერილია და ჩემი ბეჭედიც ზედ აზის. საბუთია ისეთი, წყალი არ გაუვა! აბა, ახლა რას იტყვი? მოგიმწყვდიე თუ არა მუჭში? ოდნავ შევკუმშავ და მორჩა, ლოკოკინასავით გაიჭყლიტა სოლიმი!

გაება სოლიმი მახეში. განძრევის საშუალება აღარა აქვს. ამჯერად მისი გაიძვერობა ვეღარ გაჭრის, ახლა მხოლოდ რბილი ენის იმედიღა აქვს.

— ჰო, თქვი, რა გინდა?

— ეგ უკვე ვაჟკაცის სიტყვაა, თორემ მარქენალი ხარივით რქებით გინდა მოიგერიო შეტევა. ახლა რქები ვერაფერს გიშველის. მეც ცხოვრება მინდა. ერთი ფარა ცხვარი...

— კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ მე მაინც მიკვირს, ვინ მოკლა ქალიმათი?

— მე...

— შენ? რატომ? რა დაგიშავა?..

— რატომ? იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ის უკვე დარწმუნდა, ეშმაკის ამბავი შენი მოგონილი იყო. მერე ზარინაზე და ხსართაგზეც შენ გაავრცელებინე ის საბედისწერო ჭორი. ქალის გულში სინანულმა გაიღვიძა. შენში რწმენა დაკარგა და შეძულდი. დღის სინათლეზე გამოთრევა დაგიპირა. მე დავუდუმე ენა და ერთხელ კიდევ ამოგათრიე სამარიდან. ახლა რას იტყვი?

სოლიმმა თავის წილ ანგელოზს მადლობა შესწირა. მოულოდნელ ხიფათს გადაურჩა. ყაზის ძმასავით გადაეხვია.

— ყაზი, შენ ძმა ხარ ჩემი, შენ ჩემი პირველი ნათესავი ხარ, შენ, ჩემი... — და სოლიმმა ჯიბიდან ფულით გატენილი ქისა ამოიღო, ყაზის ჩაუდო ხელში.

— ახლა მჯერა, რომ მართლა მაფასებ. აბა წავალ. ჰო, მართლა, როდის გადმოთვლი ფარას?

— მაგაზე ნუ იჯავრებ, ყაზი, დილაზე ადრიანად.

— ღმერთი შეგეწიოს, ბარაქა გქონდეს. ცხვარი ათმაგად გიმრავლოს.

კარის ჭრიალი გაისმა. სოლიმი შეკრთა, გარეთ გაიხედა, დერეფანში საეჭვო ვერაფერი შეამჩნია. როცა დარწმუნდა, საშიში არაფერი იყო, ყაზი ჭიშკრამდე მიაცილა. კმაყოფილი მობრუნდა შინ. ლამპა ჩააქრო და თბილ საბანში გაეხვია. ობობასავით ისევ ქსელის ხლართვას შეუდგა.

მესამე თავი

ახლა მაინც რას მეტყვი?

1.

ზამთრის ძლიერმა ქარებმა და გაზაფხულის შხაპუნა წვიმებმა დააზიანა ღობე. ბულათიყომ ახლაღა მოიცალა მის შესაკეთებლად. დილას აქეთ თავაუღებლივ მუშაობს. მისი ყურადღება გაავებული ძაღლის ყეფამ მიიქცია, რომელიც შუა აულიდან მოდიოდა. ვიწრო, ღორღიან გზაზე გაკაპასებული ძაღლები ხმის ჩახლეჩამდე ყეფით მოაცილებენ მხედარს. ბულათიყომ ის იყო ძაღლების მოგერიება გადაწყვიტა და წნელს წამოავლო ხელი, რომ მხედარი შეიცნო და ბრაზით გადააფურთხა: „თფუ, რა ეშმაკმა მოათრია“!...

სოლიმი იყო.

— შენა ხარ. ბულათიყო? გამარჯობა! დაბრუნდი მამის კერაზე, ჰა! სწორად მოქცეულხარ, მეგობარო. სხვის სახლში კაცი სტუმარია, თავისაში კი — მასპინძელი. უალაი, ძალიან გამეხარდა, ძალიან!

— შენი სიხარულის გარეშეც გავალ როგორმე იოლად, — ცალყბად უპასუხა ბულათიყომ და მტრული მზერა შეაგება.

— კი მაგრამ, რა მგლის თვალით მიყურებ, ძმობილო? მე მართალი გულით გეუბნები. გამეხარდა შენი აქ დანახვა. რატომ გაღიზიანებს ჩემი ლაპარაკი? მერე კიდევ, სტუმარს ასე ხვდებიან? შინ მაინც მიმიპატიჟე.

— მობრძანდი, მაგრამ მე არ დამიპატიჟებიხარ.

სოლიმი დარწმუნდა, ბულათიყო რაღაცაზე უწყრებოდა და თავის მართლებას მოჰყვა.

— მაპატიე, ბულათიყო, გატყობ ჩემზე გაბრაზებული ხარ, მაგრამ არ ვიცი რა გაწყენინე.

— გაბრაზებულიო? შენი წყალობით ჩემს ოჯახს უბედურება დაატყდა თავს. შენ კიდევ ბედავ აქ გამოჩენას?! — გაფიცხდა ბულათიყო.

— არ მესმის, რაზე ამბობ მაგას? — განგებ გაიკვირვა სოლიმმა.

— მშვენივრად გესმის!

— ღმერთია მოწამე...

— ღმერთი შენი სახსენებელი არ არის!

— შეურაცხყოფას მაყენებ, ბულათიყო. გამოდის, რომ ჩვენს მეგობრობას ბოლო ეღება.

— რომ მცოდნოდა, ასე საზიზღრად მოიქცეოდი, დაგიძმობილდებოდი კი არა, დღის სავალზე მოგერიდებოდი.

— რას გულისხმობ მაგ სიტყვებში?

— ვითომ არ იცი? შენ განგებ, მოაწყე, რომ ხსართაგი დაეპატიმრებინათ. მამაჩემსაც შენ დასწამე ცილი. თუ ვაჟკაცი ხარ, პირდაპირ მოდი, რას მაიმუნობ, ყველაფერს მიპარვით, ეშმაკობით რად აკეთებ?

— როდის აქეთ დაუკვიანდი ასე, ვაუბატონო? — მკაცრად შეეკითხა სოლიმი.

— მას შემდეგ, რაც შენ დაგიძმობილდი.

— რა გაქვს გადაწყვეტილი, ბულათიყო?

— იცი, რა, სოლიმ, — სიმტკიცე დაეტყო ხმაში ბულათიყოს. — შენ აქ ტყუილად დაძვრები, ჩემი და დანიშნულია და დაელოდება საქმროს.

— არა, შენი და თავისუფალია და მე შევირთავ მას! სიტყვა სიტყვაა, ბულათიყო, მთხოვე, რაც გინდა, აი ჩემი ცხენი, მიჩუქებია.

— შენთვის დაიტოვე, ახლა აღარ მჭირდება!

— მომისმინე. ბიჭო! გაფრთხილებ, წინ ნუ გადამეღობები, თორემ ინანებ. იცოდე. რასაც სოლიმი ჩაიფიქრებს, შეასრულებს კიდეც! — მუქარით მიუახლოვდა სოლიმი ბულათიყოს. ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა. არაფრის წინაშე უკან არ დავიხევ!

ბულათიყო ფეთიანივით წამოვარდა და სოლიმს მიეჭრა:

— კიდევ ერთი სიტყვა და შენი შავი სისხლით შევიღებავ ხელებს. რა გაქვს ჩაფიქრებული, ძაღლისშვილო? შეურაცხყოფას ღმერთსაც არ მოვუთმენ. როგორ ბედავ, რომ ჩემსავე ეზოში მიყეფ?! — უყვირა ბულათიყომ არასასურველ სტუმარს და თითები ხანჯლის ტარს შამოაჭდო. — ის ნუ გგონივარ, ვისთანაც ეგ ოინები გაგდის. ახლა კი გაეთრიე აქედან!

სოლიმი შეცბა. თავის თავზე მოუვიდა ბრაზი, რატომ ავჩქარდიო.

— მაპატიე, ბულათიყო, მე სულაც არ გემუქრები, ბიჭო. მაგრამ შენც ხომ უნდა გამიგო. მიყვარს შენი და. ქალების მეტი რა მინახავს ამ ქვეყანაზე, მაგრამ მაგის მეტი არავინ მყვარებია. განა ჩემი ბრალია, რომ ასე ძლიერ შემიყვარდა ნალყუთა? არ დაგიმალავ, მართლა მძუ-

ლდა ხსართაგი. იმიტომ, რომ დამასწრო ნალყუთას გულის მონადირეობა. გახსოვს, შენ რომ გაწყენინა?

— ნალყუთას საქმეებში მე არ ჩავერევი, — მოლბა ბულათიყო. — ვისაც თვითონ ისურვებს, იმას გაჰყვეს. მაგრამ სანამ ხსართაგის ამბავს არ გავიგებთ, ახლოს არავინ გაეკაროს, თორემ!..

— კიდევ მაპატიე, ბულათიყო, — განაგრძო ცბიერმა სოლიმმა, — მე ამ საკითხზე ლაპარაკი იმიტომ გავბედე, რომ წინათ შენ სხვა აზრისა იყავი. რადგან საქმე ასეა, რაღა მეთქმის. სხვის საცოლეს ახლოსაც არ გავუვლი. დავრჩეთ მეგობრებად. თუ უფლებას მომცემ, ხანდახან გამოგივლით ხოლმე.

— მეგობრულად კი, ბატონო, მაგრამ თუ ბოროტი განზრახვა გიდევს გულში, არ გაპატიებ, — მოუჭრა ბულათიყომ.

— გაძლევ ვაჟკაცურ სიტყვას!

— ბულათიყო, შინ მოიპატიჟე სტუმარი, რა შეაწუხე ეზოში ლაპარაკით, — მოისმა ნალყუთას საყვედურგარეული ხმა.

— მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა, — მიიპატიჟა ბულათიყომ.

სოლიმიც ამას ელოდა და თავპატიჟის გარეშე შეჰყვა მასპინძელს.

ნალყუთამ სწრაფად გააწყო ფინგი. სტუმარი მიიწვია და არაყით სავსე ყანწი მიაწოდა. ცალი თვალით შეხედა და რაღაცნაირი მზერა დაიჭირა. მძიმე და ბილწი მზერა თითქოს ნაცნობი მოეჩვენა. ვიღაც უყურებდა სწორედ ამგვარად... ქალის გულმა განგაშით ჩამოჰკრა. ვინ არის, მოყვარე თუ მტერი? რაზე კამათობდნენ ისა და ბულათიყო? ვაითუ ხსართაგის ცუდი ამბავი მოიტანა? მაგრამ სად უნახავს ეს კაცი? რატომ შეხედა ასეთი თვალით? მიაწოდა ყანწი სტუმარს და მორცხვად გადგა გვერდით.

— მაპატიე, ნალყუთა, — მორიდებით დაიწყო სტუმარმა. — შარშან რაღიძუარის დღეობაში გაწყენინე.

„ის არის!“ — გაიფიქრა ნალყუთამ.

— შევცდი ნასვამი.

— თქვენ რატომ ითხოვთ პატიებას, დამნაშავე მე თვითონ ვიყავი.

— არა, არა, თქვენ არა, მე გაწყენინეთ, ნალყუთა. ხომ გახსოვთ, სანაძლეო მოიგეთ, მაგრამ მოგებულზე უარი განაცხადეთ, მე ეს ძალიან დიდ შეურაცხყოფად მივიღე. და ახლა შენი ძმის წინაშე, სანამ ამ კუთვნილ მოგებას არ აიღებ, თქვენს სახლში ფინგს არ მივუჯდები, — სოლიმმა ჯიბიდან ოქროს ფული ამოიღო და სუფრაზე დადო.

ნალყუთა შეკრთა. თითქოს ბრჭყვიალა მრგვალმა ლითონმა თვალი მოსჭრა. ბულათიყოს მიაჩერდა. მაგრამ მისი თვალები ეკითხებიან, რას ნიშნავს ყოველივეო. შემცბარმა ქალმა უმწეოდ აახამხამა წამწამები. სოლიმი მიხვდა, ბულათიყომ იმ ამბის არა იცოდა რა და დაწვრილებით უამბო, რაც მოხდა რაღიძუარში შარშან, როცა ბულათიყო ჯირითისათვის ემზადებოდა. ბულათიყომ თანხმობის ნიშნად დას თავი დაუქნია.

— მეტი რა გზაა, თუ უარი არ შეიძლება, მაშინ... — აღმოხდა

ქალს. სხვა დროს ის ამაზე ხმას არ ამოაღებინებდა, მაგრამ ახლა აღათ-წესებს დაემორჩილა, სტუმრის წყენინება არ ეგების.

— გმადლობთ, ნალყუთა, დიდი პატივი დამდე, — გათამამდა სოლიმი. — გეფიცები, შენს კუთვნილ მოგებას აქამდის დაგიბრუნებდი. მაგრამ ღმერთმა აცხონოს მამაშენი გაბო, იმის გარდაცვალების შემდეგ ვერ გავბედე, დღეობა გამეხსენებინა... ხსართაგსაც კი ვთხოვე, გადაეცი-მეთქი, მაგრამ ისეთ არასასიამოვნო ამბებში გაეხვია, საწყალი, ჩემთვის სადღა მოიცალა.

ხსართაგის ხსენებაზე ქალს კინაღამ საღვინე გაუვარდა ხელიდან. მას შემდეგ, რაც ის დააპატიმრეს, მოსვენება დაკარგა. სოლიმის სიტყვა გულში მოხვდა, მაგრამ ვითომ არ შეიმჩნია, გულგრილად ჰკითხა.

— იცნობდით?

— რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ თანასოფლელები ვართ. რა ჩაიდინა, ღმერთმა უწყის... ერთი სიტყვით, მისი ამბავი ქვეყანამ გაიგო. — კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ დროზე მოაგონდა ბულათიყოს გაფრთხილება და მოხერხებულად შეაბრუნა სიტყვა: — კარგი ბიჭი იყო, საწყენია, რომ ჭორების მსხვერპლი გახდა.

„ჭორების მსხვერპლი გახდა, მართალია“, — გაიფიქრა მადლიერმა ნალყუთამ. სოლიმმა ხსართაგის სადღეგრძელო თქვა, მერე გაბოს შესანდობარიც დალია. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მიჰყვა. სოლიმს დაავიწყდა, წასასვლელი რომ იყო.

ძალე სუფრაზე მეორე ხელადა დადგეს, სასმელმა ენა გაუხსნა სოლიმს. ყოველნაირად ცდილობს და-ძმას თავისი კეთილი დამოკიდებულება დაუმტკიცოს.

მაგრამ ისიც იცის, რომ მთვრალი კაცის ენა ცოფიანი ცხენივითაა, რომელიც მირბის და არ დაგიდევს გზას. ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა და ამდენი გულმოდგინება ფუჭად ჩაუვლის.

ეზოში დამშვიდობებისას ნალყუთას ჰკითხა:

— ამ დღეებში გორში მივდივარ, აუცილებლად მოვინახულებ ხსართაგს. ხომ არაფერს დამაბარებ?

ქალიშვილი დაიბნა, აღარ იცის რა თქვას. ძვირფასი ადამიანისათვის იმდენი სათქმელი დაუგროვდა, რომ ადიდებული მდინარე ვერ წაიღებს, მაგრამ ნალყუთა თავის სათქმელს არავის ანდობს. ვერც ვერავინ შეძლებს, იმის ხსართაგამდე მიტანას. მაგრამ როგორ არ გაუგზავნოს უთვალავი საალერსოდან ორი სიტყვა?

— დედ-მამის ხსოვნას გაფიცებ, თუ ნახავ, უთხარი: ნალყუთამ შემოგითვალა სიკვდილამდის დაგელოდები-თქო. — ამის თქმაზე ქალს სახეზე ცეცხლი წაეკიდა.

— დამიჯერე, ნალყუთა, მე შემიძლია ხსართაგის დახმარება. უფროსებს ყველას ვიცნობ. დამელოდე, ამბავს ჩამოგიტან.

ქალიშვილს ერთხელ კიდევ შეაევლო მსუნაგი თვალები ბერბიჭამ და ცხენს მოახტა.

2.

სოლიმის წასვლის შემდეგ საგონებელში ჩავარდა ბულათიყო. იცის, ნალყუთას სიყვარული უსაზღვროა და ისეთი ძალა არ არსებობს, რომელიც ამ დიად გრძნობას წინ აღუდგება.

მისი ერთადერთი იმედი ნალყუთაა. ის რომ არა, აქამდის, არ იცის, რას ჩაიდენდა. მაგრამ ჭკვიან და გულკეთილ ნალყუთას დაძმური სიყვარული მის გულში ჩაგუბებულ ბოროტ გრძნობას მოხერხებულად ებრძვის და ბულათიყო გრძნობს, როგორ თვალდათვალ ეცვლება შეხედულება ცხოვრებაზე. აფასებს დას, უყვარს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნალყუთა არასოდეს ახსენებს ძმას სამარცხვინო წარსულს.

მაგრამ დანაშაული ჩაიდინა. რა ქნას ახლა? როგორ ააცილოს დას უბედურება?

მაშინ იყო და არაფრის გულისათვის აწყენინა ხსართაგს. მერე სოლიმმა ურიგო საქციელზე უბიძგა, რა იყო საწყენი, ხსართაგი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და დაამარცხა. ბულათიყოს შეიძლება ეს არც ჩაეთვალა თავისი პიროვნების დამცირებად და შეურაცხყოფად, სოლიმს რომ არ დაესხა ცეცხლზე ნავთი. რაც დრო გადის ბულათიყო უფრო და უფრო უფიქრდება ამას და ვერ უპატიებია თავისათვის, ასე უბრალოდ რატომ გაება ბოროტი ადამიანის დაგებულ მახეში.

საშიში კაცია სოლიმი, პირდაპირ რომ მოდიოდეს, ზედაც შეაკვდება, მაგრამ ზურგიდან იცის მიპარვა.

მეგობარი სჭირდება ბულათიყოს. მარტოობამ შეაწუხა ვაჟი, უნდა ხალხში გამოვიდეს, ტოლებში გაერიოს, მაგრამ ეშინია, ეშინია კი არა, რცხვენია.

ტოლებმა თვითონ მოაკითხეს, ერთ დილით ეზოდან ძახილი მოესმა:

— ბულათიყო, შინა ხარ?

გაუკვირდა, ვინ უნდა იყოსო და ფანჯრიდან გადაიხედა, ეზოში ქირქისას ძმა ასლანბეგი დაინახა. მხარზე სანადირო თოფი ჰქონდა გადაკიდებული.

— ბულათიყო, გცალია? — ღიმილით ჰკითხა ასლანბეგმა.

— მცალია და ეგრე? რა საქმის დროა ახლა?

— იცი რა, წამო გავინადიროთ, გუშინ წითის ხევში ვიყავი და შველი ვნახე.

— ჰო, მაგრამ...

— არ უნდა მაგას მაგრამ, წავიდეთ, თუ ავსათიმ წყალობა მოიღო და ნანადირევით მოგვაბრუნა, ხომ კარგია, არადა გავერთობით მაინც, წამოდი, თუ თოფის წამალი და ტყვია არა გაქვს, მე მოგცემ. მახსოვს, კარგი მსროლელი იყავ. ხომ არ დაგავიწყდა? ახერხებდა?

მძიმე ფიქრებით დაღლილი ნალყუთა იდგა და იმ ბეგს მიშტერებოდა, სადაც ბულათიყო და ასლანბეგი მიიმალნენ. სოლიმმა მის წინ ცხენი რომ შეაჩერა, მაშინღა გამოერკვა ფიქრებიდან.

— გამარჯობა, ქვეყნის ულამაზესო. ნეტავი გულთამხილავი ვიყო

და გამაგებინა რაზე ფიქრობდი. ჩემი დანახვა ხომ არ გეწყინა? — თავხედური კილოთი ჰკითხა ქალს და მათრახის ტარით შუბლზე ჩამოფხატული ბუხრის ქუდი მაღლა აიწია.

— ცუდი ამბავი ხომ არ მოგაქვს? — ძლივს ამოღერღა ნალყუთამ.

— ცუდი ამბისგან ღმერთმა დაგვიფაროს, — ჩაიღიმილა სოლიმმა, პირიქით, კარგი ამბავი.

— გიშველა ღმერთმა, — გულზე მოეშვა ნალყუთას.

სოლიმი მარდად ჩამოხტა ცხენიდან და აღვირი მარგილს ჩამოაცვა.

— სახლში არ მეპატიჟები, ნალყუთა?

— როგორ არა, მობრძანდით.

— ბულათიყო რომ არა ჩანს, სად არის?

— სანადიროდ გაჰყვა ასლანბეგს.

სოლიმი მოურიდებლად შეჰყვა ნალყუთას სახლში. ისე თავისუფლად იქცეოდა, როგორც ამ ოჯახის ნათესავი ან დიდი ხნის მეგობარი.

— ჰო, მართლა, გორში ვიყავი, ვნახე ხსართაგი, — წამოიწყო სოლიმმა და გაბოს კალათჯინში მოიკალათა. — შინაც არ შევსულვარ, პირდაპირ თქვენთან გამოვეშურე.

— როგორ არის, ხომ არაფერი დაგაბარა?

— სიმართლე რომ არ დაგიმალო, ვერ არის იმის საქმე კარგად. ავად არ არის, მაგრამ ისეა გამხდარი, ძვლები დაეთვლება.

— ვაი ჩემს უბედურ თავს, ეს გასაქვავებელი გული ცუდს მითქვამს, — აცრემლდა ნალყუთა.

— ნუ გეშინია. ციხის უფროსი ვნახე, ცოტა პატივი ვეცი, დამაიმედა, ჩქარა გავათავისუფლებო.

— ღმერთმა გაგახაროს, მაგ სიკეთეს სიკვდილამდე არ დავივიწყებთ.

— რას ამბობ, ნალყუთა, შენი გულისათვის ანთებულ ცეცხლშიც ჩავვარდები. ნეტავ შემეძლოს, მაგ მწუხარების შემსუბუქება და სიცოცხლესაც არ დავიშურებდი. შე ქალო, ხალხი ვართ, ხომ არ გგონია, მე თქვენი ამბავი არ მაწუხებს.

— ღმერთმა გადაგიხადოს სამაგიერო.

— ნუ დაღონდები, ნალყუთა, მალე გამოვა შენი ხსართაგი. მე დავეხმარები, ძალიან უყვარხარ. მითხრა, მეშინია უჩემობა არ იდარდოსო. მთხოვა, ყური უგდე, არ მოაწყინოო.

— არა, სულაც არა ვარ მოწყენილი, — უხერხულად გაიღიმა თვალზე ცრემლმომდგარმა ქალმა.

— ჰოდა, გამხიარულდი. არ გიხდება მოწყენა. გულისნადებს ნუ დამიმალავ. მითხარი, რაც გინდა, ხსართაგს გადავცემ. მხოლოდ ბულათიყოს ნურაფერს ეტყვი. არ არის საჭირო იცოდეს, ხსართაგი რომ ვინახულე, ხომ იცი, რა სამარცხვინო საქმეზე ზის. ჰოდა, ასეთი საქმის ჩამდენთან ნათესაობა ვის გაეხარდება.

— ბულათიყომ ყველაფერი იცის. ხსართაგი მართალია, არაფერიც არ ჩაუდენია.

— მეც არა მჯერა, მაგრამ ხალხი როცა ალაპარაკდება... იყო, ალბათ, რაღაც. ძმა ძმას ტყუილად არ მოკლავდა. თუმცა კაცმა თუ თავის თვალით არ ნახა, ცოდო არ უნდა თქვას.

ნალუუთას ფერმა გადაჰკრა, ძლივძლივობით წამოდგა და ფანჯარასთან გაჩერდა.

— კიდევ გეუბნები, ტყუილის თქმა დიდი ცოდვაა. ხსართაგის სიმართლე ჩემსავით არავის სჯერა, ვიცი, ძალიან უყვარხარ, შენს მოტყუებას სიკვდილს ამჯობინებს. — ახლოს მივიდა ნალუუთასთან. — აჰ, აჰ, არ მაჩვენო ცრემლი. რა ამბავი ცრემლებია, როგორ შეიძლება, ყური დამიგდე. ნალუუთა, რას იტყვი, ციხიდან რომ გამოვაპაროთ? მე მოვაწყობ ყველაფერს. გულს მიკლავს შენს თვალზე ცრემლის დანახვა. ძნელია, მაგრამ ვცდი. რას იტყვი, გინდა?

— ციხიდან?.. ხსართაგი?.. — ვერ მიხვდა ნალუუთა.

— ჰო, გუშაგებს მოვისყიდი.

— უიმე, არა, არა, ვაითუ მოკლან.

— ხომ გითხარი, გუშაგებს მოვისყიდი, და თუ დასჭირდა, საკუთარ თავსაც გავწირავ, ოღონდ თქვენ იყავით ბედნიერები, რას იტყვი, ხარ თანახმა?

სოლიმის ცბიერი განზრახვა პირდაპირ ნიშანში მოხვდა. ხსართაგისათვის თავს სწირავს უცხო ადამიანი, მეტი რაღა უნდა, და თუ რაიმე ეჭვი ჰქონდა გულში, ამ სიტყვამ სრულიად გაუქარწყლა.

— ღმერთმა სიკეთე მოგცეს, სოლიმ, თქვენ ძალიან კეთილი და გამბედავი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ბულათიყოსაც უნდა ვკითხო.

— რა თქმა უნდა, — მაშინვე დაეთანხმა სოლიმი.

მზე ჯერ მაღლა იყო, ასლანბეგი და ბულათიყო რომ ნადირობიდან დაბრუნდნენ. ორივეს თითო შველი მოეკლა.

კმაყოფილი ბულათიყო მხიარულობდა, თითქოს შველი კი არა, მთელი ქვეყნის სიმდიდრე შემოეტანოს ოჯახში, თანაც ასლანბეგთან დამეგობრება ძალიან უხაროდა, ცოტათი გადაავიწყდა კიდეც გაუნელებელი დარდი, იმ დღეს თავს ისე ბედნიერად გრძნობდა, როგორც ბავშვობაში, როცა უდარდელსა და გულუბრყვილოს, ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა. თითქოს გაიღო ამდენი წლის მანძილზე ჩაკეტილი კარი და სინათლეზე გამოიჭრა, ისევ ხალხს, ცხოვრებას დაუბრუნდა.

სოლიმი იმ ღამეს შინ აღარ გაუშვა. ვახშამზე ხსართაგის ციხიდან გაქცევის გეგმაზე ჩამოაგდო სოლიმმა სიტყვა.

ნალუუთა ელის, რას იტყვის ბულათიყო, მაგრამ ის არაფერს ამბობს. მარტო ღრმა ფიქრს მიეცა და გაქვავებულივით დარჩა. ბრაზი ახრჩობს. გულში მშიშარას უწოდებს ძმას, სწყინს, რომ ასე ლაჩარი გამოდგა, სრულებით არა აქვს ვაჟკაცობა. სოლიმი? სოლიმი ნამდვილი ვაჟკაცია. კიდევ უფრო გაიზარდა მის თვალში. ძმა კი ლოკოკინასავით ულონო მოეჩვენა.

როგორც იქნა ხმა ამოიღო ბულათიყომ.

— შენი წინადადება საშიშია, სოლიმ, არ ივარგებს.

— საშიშია, მაგრამ ის ბიჭი...

— რას ამბობ, შენ ციხე დათვის ბუნაგი ხომ არ გგონია? რა იცი, რა მოხდება, იმ გაქცევაში ტყვია რომ დაადევნონ და მოკლან? არ გინდა, სოლიმ, ასეთი თავგანწირვა არ არის საჭირო. ერთი წელი რა არის, ადერ უკვე რამდენმა ხანმა გაიარა, მოიხდის სასჯელს და დაბრუნდება. ასე აჯობებს.

— ხომ გითხარი, ყარაულებს მოვისყიდით.

— ჰო, ვთქვათ მოახერხა გამოქცევა, მერე ძებნას არ დაუწყებენ? როგორ ფიქრობ, სად უნდა იცხოვროს? არა, ძმაო, მე მაგის მომხრე არა ვარ.

ნალყუთა ახლა კი დაუფიქრდა მდგომარეობას. ძმის სიტყვები ჭკუაში დაუჯდა, სოლიმის მიერ ჩანერგილი იმედი ერთ წუთში გაქრა. ბულათიყო მართალს ამბობდა.

„მართლა, მართლა, ერთი წლის გულისათვის რაზე ჩაიგდოს საფრთხეში თავი", — ფიქრობს ნალყუთა.

არ გაუვიდა სოლიმს ცბიერი ფანდი. გუშინ ციხის უფროსს მართლა მოელაპარაკა. ხსართაგს ციხიდან გაქცევას მოუწყობს და ამ ოპერაციის დროს მოაკვლევინებს. ფული ბლომად დახარჯა, მაგრამ უყურეთ ამ ცინგლიან ბულათიყოს, უკვე მოწყობილი საქმე ჩაუშალა. რაღა ეთქმის.

— რა ვიცი, მე სიკეთე მინდა და... სიავკაცე არ გამომივიდეს, — ჩაილაპარაკა სოლიმმა.

მას შემდეგ ამ საკითხზე კრინტი აღარავის დაუძრავს.

გადიოდა დღეები.

ბულათიყო გრძნობს, როგორ იტანჯება ნალყუთა. ერთხელ ლაპარაკი ჩამოუგდო:

— ნალყუთა, ძალიან გინდა ხსართაგის ნახვა?

— ძალიან, — თქვა ნალყუთამ, მაგრამ სირცხვილით კინაღამ დაიწვა.

— მაშ მოემზადე და შაბათს წაგიყვან.

ნალყუთა ბულათიყოს გადაეხვია და სიხარულით ატირდა.

— თავს შემოგევლე, ბულათიყო, — ათასჯერ იმეორებდა და ძმის ხუჭუჭა თმაში მარგალიტის მძივებივით ცვიოდა ნალყუთას ცრემლები.

პარასკევს, საღამოთი ისევ გამოჩნდა სოლიმი. მთაში ვიყავი და აქ შემომაღამდაო. როცა გაიგო და-ძმა გორში ხსართაგის სანახავად მიდიანო, თვითონაც მათ დაემგზავრა, მე იქ ხალხს ვიცნობ და უფრო ადვილად ვნახავთო.

წავიდნენ. ციხეში ავი ამბავი გაიგეს, თურმე ხსართაგს რომელიღაც უფროსისათვის სილა გაეწნა. ამაზე ის ხელახლა გაუსამართლებიათ და ათი წელი ციხე მიუსჯიათ. ისიც გაიგეს, რომ ის ერთი კვირის წინ გაეცემბირებინათ.

ნალყუთას ოცნებას ფრთები შეეკვეცა. დღე არ გავიდოდა, ორჯერ-

სამჯერ არ ეტირა. დრო გადიოდა. ერთმა გაზაფხულმა ელდა მოიყოლა თან.

მაცნე კი შავი ყვავივით ისევ სოლიმი იყო, არ მოერიდა ნალყუთას, პირდაპირ უთხრა, ხსართაგი გზაში გაქანებული მატარებლიდან გადმომხტარა, რელსზე დაურტყამს თავი და იქვე გათავებულაო.

ბულათიყოსა და ასლანბეგის მეგობრობა დღითი დღე მტკიცდებოდა და ეს მეგობრობა ბოლოს იმით დაგვირგვინდა, რომ ბულათიყომ ასლანბეგის და — ქირქისა შეირთო. ამ საქმის სულისჩამდგმელი ნალყუთა იყო. მან ყოველი ღონე იხმარა, რომ მისი ძმა ბედნიერი ყოფილიყო. თვითონ ხსართაგის შემდეგ არათუ ბედნიერებაზე ფიქრობს, სიცოცხლეც კი შურს თავისთვის.

ბულათიყოს ქორწილიდან ერთი თვე იქნებოდა გასული, სოლიმი რომ გამოჩნდა. როცა ბულათიყო დაიმარტოხელა, უთხრა:

— ვალაი, ბულათიყო, ხომ იცი, მე შენი სურვილის წინააღმდეგ არ წავალ. მაგრამ რას ფიქრობ. შენი სასიძო დაიღუპა, როდემდის გინდა გასათხოვარი და სახლში გიჯდეს. შენ შენი ბედი იპოვე, ღმერთმა გაბედნიეროს, მაგასაც მიხედე, ბიჭო.

— ბარემ, სოლიმ, განა მე არ ვფიქრობ, მაგრამ ხსართაგის შემდეგ ამ საკითხზე ხმას არ მაღებინებს.

— გათხოვდება და ყველაფერი დაავიწყდება. ჰო, იმას გეუბნებოდი, შენ იცი, ჩემი დამოკიდებულება ნალყუთასადმი. ჩემზე კარგ სასიძოს ვერც შეხვდები. მოდი და ეს საქმე დავაგვირგვინოთ. სანამ ხსართაგი ცოცხალი იყო, ამას რა გამაბედინებდა, მაგრამ ახლა... იცოდე ჩემია...

ბულათიყომ იცის. სოლიმი თავის განზრახვას აუცილებლად შეასრულებს და დათანხმდა.

ნალყუთამ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. ბულათიყომ უსაყვედურა:

— რა არის, გოგო, რას გაიგიჟე თავი? ბარემ ასე არ მომხდარიყო... მაგრამ ახლა რა მეტი გზა გაქვს. სახლში ხომ არ დაბერდები. ხუთი წელიწადი არ გეყო ტირილი? მე შენი დარდი მაწუხებს, მეტი ვინა მყავს ამ ქვეყანაზე..

— რა გითხრა, ძმაო, ჩემი ბედი დაიწვა, იცი შენ. ბედნიერი აღარასოდეს ვიქნები. თუ ჩემი გათხოვება მაინც აუცილებელია, როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე. გავთხოვდები თუ მიწაში წავალ, ახლა სულ ერთია ჩემთვის.

რა იცოდა ნალყუთამ, კიდევ რას უმზადებდა ბედი, რა იცოდა, გათხოვებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ერთ წვიმიან ღამეს მისი მშობლიური სახლის კარს უცხო სტუმარი მიუკაკუნებდა...

... ბულათიყომ კარი გააღო და გაშრა. მის წინ ხსართაგი იდგა.

— ბულათიყო, მე ვარ ხსართაგი, შემიშვებ სახლში?

— დიდება შენდა ღმერთო, საიდან, ხსართაგ? — ძმასავით გადაეხვია ბულათიყო.

მეორე ოთახიდან ქირქისა გამოვიდა.

— ღმერთო. შენი სახელის ჭირიმე, ხსართაგ!..

— ქირქის, გოგო, შენა ხარ?

— ჰო, შარშანწინ...

— უყურე ერთი ამათ, მე კი არაფერი ვიცოდი.

ბულათიყომ კერაზე ცეცხლი გააჩაღა. თავისი ახალუხი გამოუტანა ხსართაგს.

— გამოიცვალე სველი ტანსაცმელი, ახლო მოიწი ცეცხლთან.

ხსართაგის თვალები შეშინებული ბარტყივით დახტიან ოთახში. ნალყუთას ეძებს და რომ ვერსად დაინახა, გაბედა კითხვა:

— ნალყუთა სად არის?

ბულათიყოს და ქირქისას, თითქოს ენა ჩაუვარდათო, დუმდნენ.

— თქვენ გეკითხებით. სად არის ნალყუთა?

ნაწყვეტ-ნაწყვეტ უამბეს ყველაფერი.

— შენი დაღუპვის ამბავი რომ არ გაგვეგო, სიკვდილამდის დაგველოდებოდა. ხუთი წელი თვალზე ცრემლი არ შეშრობია. მერე აქეთიქიდან შემოგვიჩნდნენ და...

მოყინული ყვავილივით მოწყდა ხსართაგი. აღარაფერი ესმოდა. ყურები ფუტკრით სავსე სკასავით უზუზუნებდა. პერანგის ღილები შეიხსნა. ცოტა ხანს კიდევ იჯდა, მერე ადგა და კარისაკენ წალასლასდა.

— საით, ხსართაგ?

— წავალ, მე აქ აღარაფერი მესაქმება. — თითქოს გულის სიღრმიდან ამოიგლიჯაო სიტყვები.

— არსადაც არ გაგიშვებ, — წინ გადაუდგა ბულათიყო. ჩემი და აქ არ არის, მაგრამ განა მე ძმობა არ შემომფიცე? კიდევ გიმეორებ, ხსართაგ, ის შენს წინაშე არ არის დამნაშავე.

— როდის ვადანაშაულებ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი სიცოცხლე ახლა ჩირადაც აღარ ღირს. ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. და ასე მგონია უფსკრულისაკენ მივექანები.

— ნალყუთას ნახვა ხომ არ გინდა?

— რა საჭიროა, ბულათიყო, მეორედ რაღაზე მოვუკლა გული. რაც ვაწამე, ისიც საკმარისია. თქვენც ჩემს შესახებ ნურავის ეტყვით.

— სადაც იქნები, შემატყობინე და ყოველთვის შენთან მიგულე.

— გმადლობ, ბულათიყო, თუ გამიჭირდება... ჰო. ვის გაჰყვა ნალყუთა?

— თქვენებურ სოლიმს.

ხსართაგს თითქოს თავში ურო ჩაარტყესო, დაბარბაცდა. ბულათიყომ ხელი შეაშველა.

გათენებას აღარ დაელოდა. წავიდა ხსართაგი.

— აძიბე, გაიხედე, იქ, ქოხთან ვიღაც დგას. — წყლით სავსე კასრი ზოიხსხა აიცმა. — ვკითხე, ვინა ხარ-მეთქი, არ გამცა პასუხი.

აძიბე გარეთ გამოვიდა.

— რომელი ხარ? — დაიძახა დერეფნიდან.

— მე ვარ, აძიბე, — ჩუმად გამოეპასუხა აჩრდილი.

აძიბემ ვერ იცნო მოსული, გარეთ გამოეგება.

— რომელი ხარ, ვერ გიცანი?

— მართლა ვერ მიცანი?

— ხსართაგ!

ძმადნაფიცები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— შინ შევიდეთ, დაგვინახავს ვინმე.

— მოიცა, მკვდრეთით აღმდგარო, რისა გეშინია, უკან ხომ არავინ მოგდევს. ამაღამ აულს შევყრი.

— არა, არა, აძიბე, ციმბირიდან გამოვიქეცი. რომ გაგიგონ, შენც საფრთხეში ჩავარდები.

— დასახვრეტადაც რომ გამიყვანონ, ასო-ასოდ რომ ამკუწონ, შაინც ვერსად გაგიშვებ.

— რა საჭიროა ხიფათში თავის ჩაგდება. აი საბძელში შევიდეთ. ბევრი სალაპარაკო მაქვს შენთან.

ცოტა ხნის შემდეგ ორი მეგობარი თივაზე იჯდა და ლაპარაკობდა.

— ჯერ ერთი, მითხარი, რა დაემართათ ჩვენებს? თითქოს ზვავს წამოუღიაო, აღარც სახლი, აღარც ხალხი...

— თქვენები კარგად არიან. მამაშენმა სოლიმს ნაკვეთი მოუცვალა და ქვევით გადასახლდნენ.

— ის უბედური დედაკაცი რაღა იქნა?

აძიბე მიხვდა ვისზეც ეკითხებოდა.

— თავი ჩამოიხრჩო.

კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო ხსართაგმა.

— ბავშვი?

— ჩემთან არის. სოლიმმა მოინდომა შვილად აეყვანა, არ მივეცი.

— ნეტა რისთვის დასჭირდა?

— არ ვიცი. შენი დაჭერის შემდეგ, ნეტავ გენახა, ვიღას აცდიდა, ის იყო ჭირისუფალი, ვითომ ცდილობდა შენს განთავისუფლებას. ნალ-ყუთაც... — აძიბემ ენაზე იკბინა.

— ვიცი. განაგრძე.

— მამაშენისაგან აიღო ნება, ის არის იმათი ხელის გამმართავი.

— ღმერთმა იცის, რა უდევს იმ ბილწ გულში? ნალყუთა როგორ-ღაა?

რაც აქ არის, გარეთ არ გამოსულა. ზის ოთხკედელშეა და იმი-სი ცოდვით აღარა ვართ. ისევ უყვარხარ. შენი ხმა რომ გაიგონოს, რკინის კედელს გაარღვევს. ნუ დაიდებ იმის ცოდვას, გააგებინე, ცო-ცხალი რომ ხარ, ძალიან მეცოდება. მოდი, მოვიტაცოთ.

— მერე სად წავიყვანო?

ისევ გაჩუმდნენ.

— სად იყავ ამდენ ხანს? რაც მე ცრემლი ვღვარე, მოკვდაო...

— მოვკვდი, აძიბე, მაგრამ საფლავში ვერ გავჩერდი, მკვდრეთით ავდექი.

— მითხარი, სად იყავი, რა შეგემთხვა?

მეოთხე თავი

წასვლისა და არდაბრუნების გზები

1.

გზები... გზები... წასვლისა და არდაბრუნების გზები. სისხლისა და ცრემლის ღვრისაა ციმბირის გზები — ჩამქრალი ოცნებების, გაცრუებული იმედების გზები. რამდენ მძიმე ბორკილებით შებოჭილ პატიმარს ნაბიჯ-ნაბიჯ გადაუზომია მისი უსასრულო წასვლისა და არდაბრუნების გზები. იქიდან დაბრუნება მართლაც თითო-ოროლა ბედნიერს ხვდა და ეს ბედნიერება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ სულ მალე მშობლიურ მიწაში ჩაეყარა ნაწამები ძვლები. მონარქის მიერ ციმბირში აშენებული ციხეები ხარბად ნთქავდა უბრალო, ჩაგრული ადამიანების სიცოცხლეს. ამ ჯოჯოხეთის წისქვილზე მეფე ყოველწლიურად მის წინააღმდეგ ამხედრებულ უამრავ ადამიანს ყრის და აცამტვერებს მათ სიცოცხლეს.

და აი გაუყენეს წასვლისა და აღარ დაბრუნების გზას ხსართაგი... გორის მაზრის სასამართლომ ათი წლის პატიმრობა მიუსაჯა სასჯელის ციმბირში მოხდით. გზაში გაქანებული მატარებლიდან სცადა გაქცევა, ისევ დააკავეს, ისევ დაადეს ბორკილები. უფრო შორს გაგზავნეს. იარეს ერთი. ორი, სამი კვირა, მერე თვე... ორი... ათი და აერია სათვალავი. აღარ თავდებოდა ციმბირის უსასრულო, მძიმე გზა, უღრანი ტყეები, უკაცრიელი ჭაობიანი ტრამალები.

ხსართაგი მარტო არ იყო. მაგრამ იმასაც კარგად ხედავდა, რომ შიმავალთა რიცხვი დღითი დღე მცირდებოდა. ვინც რჩებოდა, ისინიც ძლივძლივობით იდგნენ ფეხზე.

ნახევარი გზაც არ ჰქონდათ გავლილი, წვიმები რომ დაიწყო. ისედაც აჭიქყნილ გზაზე სიარული თითქმის შეუძლებელი გახდა. დამპალი მიწა ცომივით აიზილა და კოჭებამდე ეფლობიან შიგ, ფისივით ეკვრის შავი ტალახი ფეხსაცმლის ლანჩებს.

დაიღალნენ, ღონე გამოელიათ. ცივმა წვიმამ თითქმის ძვლებამდე ჩაატანა და ძლივსღა მიათრევენ ფეხებს. ვისაც კიდევ აქვს სიარულის თავი, წინ მიდის. უღონოებსა და ავადმყოფებს კი ჟანდარმები თოფის კონდახებითა და მათრახის ცემით დასაკლავად გამზადებული საქონელივით მიერეკებიან.

ციმბირი... ციმბირი, მარტო მისი ხსენებაც რომ მახვილივით ესობა. გულს.

ხსართაგის წინ ერთი მხარბეჭიანი, შუახნის რუსი მტკიცედ მიაბიჯებს. პირველ ხანებში ოხუნჯობდა, პატიმრებს აცინებდა. თავის მდგომარეობას ვითომდაც არაფრად აგდებდა. მერე და მერე დაღონდა. ხმას აღარ იღებდა, ძლივსღა მიათრევდა ფეხებს. იმ დილით ხსართაგის გვერდიგვერდ მიდიოდა. მოულოდნელად წაბარბაცდა. ხსართაგმა მოასწრო ხელის შეშველება. მხარში შეუდგა.

— რა მოგივიდა, ბიძია? — შეეკითხა ის.

— ეს უპატრონო გული... მღალატობს ალბათ... — ძლივს ამოილაპარაკა.

— ცოტა შეისვენე. ნუ გეშინია, გაგივლის. — გზის პირზე მიაწვინა. და თავქვეშ თავისი პარკი ამოუდო.

— გიშველა, ღმერთმა, შვილო.

— ჰმ, დასვენება მოუნდათ. — თავზე წამოადგა მათრახამართული ჟანდარმი. — აეთრიე, ბებერო ვირო, აქ დასვენების ადგილი არ არის.

— დაიცადე, ცუდად არის! — ახმაურდნენ პატიმრები.

ჟანდარმი ახლოს მივიდა და რომ დაინახა ვასილიჩის საქმე მართლაც ვერ იყო კარგად, განზე გადგა, პაპიროსი მოქაჩა და თითქოს მის ბოლს გამოაყოლაო, ზიზღით თქვა:

— ბუნტოვშჩიკი!.. მაგ გულით ებრძვის მეფეს?

ხსართაგი მხარში შეუდგა ვასილიჩს და რის-ვაივაგლახით გააგრძელეს გზა. ღამემ უღრან ტყეში უსწროთ. აღარ წვიმდა, მაგრამ დაწრეტილი ღრუბლის ქულები ხეების კენწეროებზე თითქოს ეკიდა. ჰაერი შეიხუთა და სამარისებური დუმილი გამეფდა უკაცრიელ ტყეში. პატიმრებმა, ვეღარ გაუძლეს შემაძრწუნებულ ატმოსფეროს და ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო. ამ ხმას ტყემ ბუბუნით მისცა ბანი და დაირღვა შემაძრწუნებელი დუმილი.

გამყოლი ჟანდარმები პატიმრებს დაერივნენ. მათრახის ცემით აჩუმებენ, მაგრამ სიმღერა ერთგან გაწყდება, მეორეგან ისევ თავიდან იწყება. აღარ ემორჩილებიან ძალადობას, ერთიანი გუგუნი უფრო ძლიერდება, თითქოს ამ საუკუნოვანი ტყიდან დუმილის განდევნა დაესახოთ მიზნად და ამისათვის ძალას უხმობდნენ.

ვასილიჩს, აქამდის ნახევრადმკვდარს. ძლივს რომ მიათრევდა ხსართაგი, თითქოს სიმღერა უკვდავების წყაროდ ეპკურა, გამოცოცხლდა, გული მოუბრუნდა და თავისი ზარივით ხმა საერთო სიმღერას შეუერთა.

— თქვენი სიმღერა მეტისმეტად საოცარია და ახლობელია, — დამტვრეული რუსულით გააგებინა თავისი ნათქვამი მეგობარს ხსართაგმა.

— ეს სიმღერა ბორკილებზეა. აქ, ჩვენზე წინ რომ პატიმრებმა გაიარეს, იმათი შეთხზულია.

ის ღამე უღრან ტყეში ფარღალალა ქოხში გაათიეს. დილით ჯერ ისევ ბნელოდა, გზას რომ გაუდგნენ. მთელი დღე იარეს. მზის ჩასვლისას ერთ ქალაქს მიაღწიეს, თუმცა რა ქალაქი, რის ქალაქი, დიდი-დიდი სამი-ოთხი ათასი მაცხოვრებელი იქნებოდა. მდინარის ნაპირზე გაფანტული უხეირო სახლები, ოღრო-ჩოღრო ქუჩები სულაც არ შეეფერებოდა ქალაქს. უფრო დიდ სოფელს ჰგავდა, რომლის შუაგულშიც, აგურით ნაშენი მაღალი გალავნის იქით, მოჩანდა ნაცრისფერი უზარმაზარი შენობა. ეს იყო ციმბირში ერთ-ერთი ცნობილი ციხე. ქალაქში აქა-იქ მოჩანდა ორსართულიანი სახლები. ნაძვის მორებით აწყობილი ეკლესია, კრამიტისა და აგურის ქარხნები, გიმნაზია, სავაჭრო დუქნები, ჟანდარმების განყოფილება და სხვა. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს, იმ უშველებელ ნაცრისფერ შენობას თავის გარშემო ყველაფერი — სახლები, ხეები, ხალხი, მძლეთამძლე დევივით ფეხქვეშ მოეთელა, თავისი სიმძიმით მიწაში ჩაეტანა. ალბათ, ამიტომ ციხის დანახვა რაღაც გამოუთქმელ შიშში აგდებდა კაცს. ქალაქს ცალ მხარეზე ერთი ქვაფენილი ქუჩა გასდევდა. ეს იყო მთავარი ქუჩა, საიდანაც უთვალავი მიხვეულ-მოხვეული, ოღრო-ჩოღრო შუკები და შესახვევები გადიოდა.

მთავარ ქუჩაზე გამოჩნდნენ დაღლილ-განაწამები პატიმრები. ფეხებს ძლივს მიათრევენ. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ვერც შენიშნეს ისინი, ყურადღებაც არავინ მიაქცია, ალბათ მიჩვეულები არიან ბორკილების ჟღარუნს. ციხესიმაგრის რკინის უზარმაზარი ჭიშკარი ჭრიალით გაიღო.

დასწყევლოს ღმერთმა, ჭიშკარი იშვიათად იღება, მხოლოდ დილით, როცა პატიმრები სამუშაოდ მიჰყავთ და საღამოთი, როცა ჯოჯოხეთური შრომით დაქანცულებს უკან აბრუნებენ. ნაცრისფერი ციხის გადაღმა ცხოვრება თავისუფალია და ბედნიერი. არც არავინ გაწუხებს, არც არავის აწუხებ... კედლის შიგნით კი სხვა წესი და რიგია, იქ კაცი ჩქარა ჰკარგავს ადამიანურ ღირსებას. სიცოცხლე მას აღარ ეკუთვნის, ბედის ამარა მიგდებულს თითქოს ეშმაკისთვის ჰქონდეს სული მიყიდული. იქ კაცი პირტიტველაც რომ შევიდეს, თუ ეღირსა, გარეთ თეთრწვერა და გამოფიტულიღა გამოვა, უფრო ხშირად კი ღამით საკაცით გამოიტანენ და ქალაქგარეთ სასაფლაოზე, რომელიც იმ ქალაქზე ბევრად დიდია. სახელდახელოდ გათხრილ სამარეში გადაუშვებენ და ჩქარჩქარა მიაყრიან მიწას. არც არავისი ცრემლი ჩაჰყვება და არც არავის შეებრალება.

სამუშაოდან დაბრუნებული პატიმრები ზედ ჭიშკართან გაჩერდნენ. დაიჭრიალა რკინის მძიმე ანჯამამ, გაიღო ჭიშკარი. ერთიმეორის მიყოლებით გადათვალეს პირუტყვად ქცეული, უსახელო ადამიანები და თითქოს ზღაპრული დევის ხახაში ჩაიკარგნენო, აღარ გამოჩნდნენ. ახალი პატიმრები კი ძლივსღა დგანან ფეხზე. მათი გამცილებელი დიდი ხანია ციხის უფროსს ეახლა, საბუთებს თუ აფორმებს, პატიმრებს ლო-

დინით გული გადაელიათ. მოულოდნელად ისევ გაიღო ჭიშკარი და პოლიციელი შეუძღვა შიგნით. ხსართაგს გული დაეწურა, ჭიშკარში შესვლა ისე გაუძნელდა, თითქოს საფლავში შეაბიჯაო, ბორკილების ჟღარუნი სამგლოვიარო მელოდიად ჩაესმა და ჯოჯოხეთის კარივით დაიღრიალა უზარმაზარმა ალაყაფის კარებმა.

3.

აქედან დაიწყო იმ მაღალი გალავნის მიღმა ხსართაგის წამება, მტანჯველი დღეები. ციხეში სულ სამასი პატიმარი იხდიდა სასჯელს. აქ იყვნენ ისეთები, რომელთაც რვიდან თორმეტ წლამდე პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. პატიმრები საკნებში იყვნენ განაწილებულნი. თითოში ოცი-ოცდაათი. მეტისმეტად დაბალჭერიან საკნებში დიდი სივიწროვე იყო. ერთიმეორის თავზე დაკიდებული ნარები პატიმრებისათვის საწოლსაც წარმოადგენდა, მაგიდასაც, სკამსაც. ნარებზე ჭუჭყით გაპოხილი ლოგინი ეყარა, ზოგს ლოგინიც არ ჰქონდა, ბამბურა დღისით ტანზე ემოსათ, ღამით საბნად ეხურათ, საკანში თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა, ზამთარში კიდევ არაფერი, მაგრამ ზაფხულში სულის შემხუთავი სიმყრალე ახრჩობდა პატიმრებს. საღამოთი უჩხინტო ვახშამს მოათავებდნენ და სინათლესაც მაშინვე ჩააქრობდნენ. ბნელ საკნებში კი დიდხანს არ წყდებოდა ხმაური, ხმამაღალი ლაპარაკი, გინება, ხანდახან ნაღვლიან სიმღერასაც იტყოდა ვიღაც. ბორკილების ჟღარუნივით სიცილიც გამოერეოდა, მაგრამ ეს იყო სიმწრის სიცილი. ყოველივე ამას აგვირგვინებდა მყრალი წეკოს მწარე სუნი. ხმაურს შეუჩვეველ ხსართაგს ყურის ბარაბნები უსკდებოდა, სული ეხუთებოდა.

სადაურს არ შეხვდებოდით იმ დაწყევლილ ციხეში. რუსეთის ყველა კუთხიდან აქ უყრიდნენ თავს საშიშ დამნაშავეებს — კაცისმკვლელებს, ყაჩაღებს, ბანდიტებს, ქურდებს, მეფის მოწინააღმდეგეებს, იმათ, ვინც ვეღარ მოითმინა დამცირება, არსებულ წყობილებას წინ აღუდგა და ბრძოლა გამოუცხადა, სასიკვდილო მახვილი აღმართა მჩაგვრელების წინააღმდეგ. ბევრმა მათგანმა ხელი აიღო ცხოვრებაზე, რადგან მომავალშიც საიმედოს არაფერს ელოდნენ. ამით გაბოროტებულნი აღარ ინდობდნენ სახელმწიფო მოხელეებს, მემამულეებს, პოლიციელებს და საერთოდ მჩაგვრელებს.

ის, ვინც ცხოვრების უკუღმართობის მსხვერპლი გამხდარიყო, თავისდა უნებურად ჩაედინა დანაშაული, ზიზღით უყურებდა იმათ, ვინც სიმდიდრე, სახელი ვერ გამოიყენა, ცხოვრება თავში აუვარდა და ახლა ამ ჯოჯოხეთში ატარებს წუთისოფელს. ეს იყო მიზეზი, რომ ყოველ საკანში პატიმრები ორ ჯგუფად იყოფოდნენ. მათ შორის ჩამოვარდნილ შუღლს ბოლო არ უჩანდა, ზოგჯერ კინკლაობა სისხლის ღვრაში გადადიოდა და მკვლელობასაც არ ერიდებოდნენ. სიმართლე უნდა ითქვას,

ციხის ხელმძღვანელობა სასტიკად სჯიდა წესრიგის დამრღვევებს, ასეთები ციხის ეზოში გამოჰყავდათ და პატიმრების თვალწინ უწყალოდ როზგავდნენ.

ციხის ადმინისტრაცია ცდილობდა პატიმრებში თავისი ხალხი ჰყოლოდა. ასეთები ყველას ზიზღს იმსახურებდნენ. მარტო ზიზღი რაა, მოხერხებულ დროს შეურჩევდნენ, თავზე რაიმეს წააფარებდნენ და ცემით სიკვდილის პირზე მიაყენებდნენ, ნაცემ-ნაბეგვები ზოგჯერ თვეობით ფეხზე ვეღარ დგებოდნენ.

საკანში, რომელშიც ხსართაგი და ვასილიჩი მოხვდნენ, ერთი გამოუსწორებელი კაცისმკვლელი, რეციდივისტი იჯდა. მას სიცოცხლის ნახევარზე მეტი ციხეში ჰქონდა გატარებული და არც არაფერი ენაღვლებოდა და არც არავისი ეშინოდა, პირიქით, საკანში მყოფი ოცი პატიმარი მისი მონა-მორჩილი იყო. სახელად ბატს ეძახდნენ. ხსართაგმა ვერ გაიგო ეს მისი ნამდვილი სახელი იყო თუ მეტსახელი. გულღრძო და დაუნდობელი ბატი განსაკუთრებით ჩაგრავდა უღონო ამხანაგებს, რომელთაც ისედაც სული კბილით ეჭირათ. მაგრამ ძალა აღმართს ხნავს, ასე თუ ისე, მაინც ასრულებდნენ ბატის ნება-სურვილს და მან ციხე, ისედაც ჯოჯოხეთი, ორმაგ ჯოჯოხეთად უქცია თანამოსაქმეებს.

იმ ღამეს ხსართაგსა და ვასილიჩს ყურადღება არავინ მიაქცია, ზედამხედველმა მათთვის განკუთვნილ ნარებზე მიუთითა და წავიდა. ამდენი ხნის მგზავრობით დაღლილ-დაქანცულებს მეტიც არაფერი უნდოდათ. მაშინვე ნაჩვენებ საწოლებზე მიეყარნენ და მკვდრებივით დაიძინეს, დილამდის ფეხი არ გაუნძრევიათ. დილით ძველი პატიმრები სამუშაოზე წაიყვანეს, ახლებს კი ხელი არ ახლეს, შორი გზიდან მოსულები დაასვენეს. ხსართაგმა და ვასილიჩმა ისევ ძილს მისცეს თავი და საღამოს პატიმრების ხმაურზეღა გამოეღვიძათ.

მოულოდნელად ბატმა იღრიალა:

— გაჩუმდით, ნაძირალებო! გუშინ ჩვენს სოროს ახალი ცხოველები შემოემატნენ, ბინის ქირა კი არ გადაუხდიათ! ვინ მისცა მათ ამის უფლება?

ჩასკვნილი, კისერჩავარდნილი ბატი წლოვანებასთან შედარებით უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. პირისახე თითქოს სადგისის წვერით დაუჩხვლეტიათო, თავხედი თვალები ჰქონდა და პატრონის უნებურად ყვითელგარსიანი კაკლები ერთთავად აქეთ-იქით დახტოდნენ. შიწისფერ სახეზე წარბიდან დაყოლებული ნიკაპამდე ნაჭრილობევი გასდევდა, მარცხენა წარბი შუაზე ჰქონდა გადახლეჩილი, მარცხენა ყური წათლილი, მოტვლეპილ თავზე ადგილ-ადგილ თითო-ოროლა ღერი თმა ყალყზე უდგა... მისი პირიდან ამოვარდნილი სიმყრალე მთელ საკანს შხამავდა.

ვასილიჩის ნართან მივიდა, მოხუცს ჯუჯყით გაზინტლული ხელი სტაცა წვერში და ერთი ბეწვი ამოგლიჯა.

— ეი, შენ, ბებერო ვირო, სიფათზე გეტყობა, ან ბანკის, ან საროს-

კიპოს პატრონი იქნებოდი. ფული ალბათ იმდენი გაქვს, ვერც დაითვლი, ცხადია, თანაც წამოიყოლებდი, აბა, ჰე! ამოყაჭე! — შეუტია მსხვერპლს და ბოროტი თვალები სადგისივით აძგერა.

— იქით, უბედურო, ვინ მოგცა უფლება, რატომ მექცევი მოხუცს ასე უდიერად? — შეუტია ვასილიჩმა.

— რომელ უფლებაზე ლაპარაკობ, ბებერო! აქ მე ვარ განმგებელი! ამ ტილიანი პირუტყვების ბუნაგში ჩემი კანონი მოქმედებს მხოლოდ. ერთი თვალის ჩაკვრა, ან ერთი თითის დაქნევა და ეგ ბებერი თავი ჩემს წინ გაგორდება. ფული-მეთქი! შენს სისხლს ნუღარ დამაღვრევინებ, უშენოდაც საკმაო ცოდვები მაწევს, ჰა, რას დაგიღია პირი!

— მომწყდი თავიდან, ნაძირალავ! გიჩივლებ...

— მიჩივლებ? ხი-ხი-ხი! გესმით, რეებს ბედავს ეშმაკების მოციქული? ვიჩივლებო... აბა, ციხის ჭიაღუებო, შეესიეთ ამას და ამოგლიჯეთ ენა, თორემ მერე გვიან იქნება.

ხსართაგის ნარი საკნის ბოლოში მესამე იარუსზე იყო. ბატის უკანასკნელმა სიტყვებმა ფეხზე წამოაგდო ის, მიხვდა, რომ ავადმყოფ მოხუცს მოსაკლავად არ დაინდობდა პირუტყვადქცეული ადამიანი, ორი ნახტომით მათ წინ გაჩნდა. ბატმა მოასწრო ვასილიჩისათვის ერთი დარტყმა და მეორედ აღმართა მუშტი, მაგრამ დარტყმა აღარ დასცალდა. მწვირიან მაჯას საცეცებივით შემოეჭდო ხსართაგის თითები. ბატი შეეცადა ხელის განთავისუფლებას, ვერ შეძლო.

— ეს ვიღა ოხერია ძაღლივით ქუსლზე რომ იკბინება! — დაიღრინა მან და თავისუფალი მუშტი ხსართაგს ცხვირწინ დაუტრიალა.

— არ გაბედო, ყბამოგრეხილო, თორემ სამუდამოდ გამოეთხოვები მაგ დამპალ კბილებს! — ხელის კვრით მოიშორა ბატის აშმორებული მუშტი ხსართაგმა. — ხელები-მეთქი, გითხარი. არ გაბედო ხელის ხლება, თორემ მზეს დაგიბნელებ. ახლა კი შენს ადგილზე დაეგდე.

— ძმებო, რას უყურებთ, ვიღაც ბუსურმანი, ურჯულო, ქრისტეს შვილთა საერთო ჯამში ჭუჭყიან დინგს ყოფს! მოვკვეთოთ! — იღრიალა ბატმა და თავისი მოუხეშავი სხეულისთვის მეტად უჩვეულო სისწრაფით დაიხარა და ჩექმის ყელიდან დანა დააძრო. ხსართაგი მიხვდა, უპირატესობა მოწინააღმდეგისაკენ გადაიხარა, მას ახლა ხელში დანა უჭირავს და ყოველ წუთში შეუძლია წელები დააყრევინოს. ვიწრო გასასვლელში არც გაქცევა შეიძლებოდა არც დამალვა. ხსართაგის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. სანამ ბატი ავკაცობას ჩაიდენს, ხსართაგმა უნდა დაასწროს და უცბად ვიღაცის ჭუჭყიან ბამბურას წაავლო ხელი, ბატს, თავზე შემოახვია. ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, მოწინააღმდეგემ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. ხსართაგი გვერდით გადახტა. ბატმა წონასწორობა დაკარგა და დაბარბაცდა, მოქნეული დანა ხსართაგის ნაცვლად ნარების დასამაგრებელ ბოძს ჩაესო. ბევრი აღარ უფიქრია ხსართაგს, ისეთი ძალით შემოჰკრა მუშტი ყბაში, რომ ეს უკანასკნელი კედელს მიეზღერთა. წამით გონი დაკარგა, მერე თვა-

ლი გაახილა, მაგრამ ვაი ამ გახელას. ვერაფერს ხედავს, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მოგრეხილი ყბა აღარ დაემორჩილა, ვერც ხმა ამოიღო. ასე იწვალა კარგა ხანს, მერე ისეთი ღრიალი მორთო, რომ საკნის კედლებმა ზანზარი დაიწყო.

ასეთი ჩხუბები ხშირია ციხეში და აგრე რიგად ყურადღებას არავინ აქცევს. ახლაც ასეა. პირველად ჩხუბი ჩვეულებრივი კინკლაობა ეგონათ და ადგილიდან არავინ დაიძრა. თანაც ყველამ იცის, რომ ბატს ბევრი ლაი-ლაი არ უყვარს, მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას მაინც ვერავინ გაბედავს და ამიტომ ყველა ერიდება ხათაბალას. მაგრამ ხსართაგის ალიყურმა ზარბაზნის გასროლასავით რომ გაისმა, ყურები დააცქვეტინა პატიმრებს და ნარებიდან უნებურად წამოყარა. თვალებს არ უჯერებდნენ, საკნის „მეფე" რომ ამ ყოფაში დაინახეს. ის კი ვიღაცის ნარზე ჯერ კარგა ხანს გველივით იკლაკნებოდა, მერე ისე მიიჩუ-ლა, როგორც მკვდარი. საკანში სამარისებური დუმილი გამეფდა, ბატი აღარ ინძრეოდა, დუმილი აუტანელი გახდა, ისევ ხსართაგი მივიდა ბატთან, ძაღლის მძორივით აითრია და თავის ნარზე დააგდო.

— ძაღლიშვილო, თუ კიდევ გაგიბედია ვისიმე უკანონოდ დაჩაგვრა, ჩემთან გექნება საქმე. ამ ხალხის წინაშე გეუბნები, გველივით გაგიშეშყავ თავს.

პატიმრები გაოცებულები შეჰყურებდნენ ხსართაგს. რამდენიმე კაცის ბოროტი მზერა დაიჭირა და შეკრთა. ესენი ბატის წევრები არიან და თუ ახლა მათი ხელში აყვანა ვერ მოახერხა, ნამდვილად მოკლავენ. ამიტომ ხსართაგმა უნდა დაასწროს მათ, თავისი ძალა აჩვენოს და დაიმორჩილოს. განზე გადგა და თვალები დააბრიალა.

— ჰო, თუ არის ვინმე ისეთი, ვისაც კბილები არად უღირს, წინ წამოდგეს! ჰა, გელოდებით, ნაძირალა ლაჩრებო!

ქადილი მიზანში მოხვდა. ხმა არავინ ამოიღო. ხსართაგმა საკანი დაიმორჩილა და აღარაფრის თქმა აღარ იყო საჭირო. ერთმა უხეიროდ წარმოთქმულმა სიტყვამ შეიძლება ყველაფერი შეცვალოს. თუ პატიმრები მის წინააღმდეგ ამხედრდნენ, მაშინ ეღარაფერი იხსნის, ხოლო თუ ისინი მხარს დაუჭერენ, ბატი თავისთავად დამარცხებულად დარჩება.

ისევ აღრიალდა ბატი. უეჭველი იყო, ყბა ამოვარდნილი ჰქონდა და ტკივილების შეკავება მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ყვირილი გაიგონა ზედამხედველმა და საკნის კარი ხმაურით გააღო.

— ვინა ყვირის, რა ამბავია? — მკაცრად იკითხა მან. პასუხი რომ არავინ გასცა, ბატთან მიიჭრა, — შენ იყავი ხომ? რა ჩაიდინე, თქვი!

— ამჯერად თვითონ მაგას დაუზილეს ცხვირ-პირი. — გაბედა ხმის ამოღება ერთმა პატიმარმა, — მგონი ყბა გაუტეხეს.

— ყბა გაუტეხეს? — გაიკვირვა ზედამხედველმა, — ვინ გამოჩნდა ასეთი?

— მე, უფალო ზედამხედველო, — წინ წამოდგა ხსართაგი და თავი დახარა, თითქოს ის ყოფილიყოს დამნაშავე. — დანით გამოიწია... ხედავთ? აჩვენა ბოძში გაკვეხებული ბებუთი.

ზედამხედველმა რის ვაი-ვაგლახით ამოაძრო დანა ბოძიდან.

— საიდან გაქვს? — შეეკითხა ბატს.

— ვაი, ვაი-ი-ი-ი! — ღრიალებს ბატი და ყბა ხელით უკავია.

— მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო, გაგიგონია შენ, მაგრამ კედელს ცერცვი შეაყარე, სანამ ამ დანას გულში არავინ გაგიყრის, ვერ ისწავლი ჭკუას, — აეთრიე ზეზე და ძაღლივით ნუ ყმუი, შენც წამობრძანდი, — თვალით ანიშნა ხსართაგს.

იმ ღამეს ბატს ციხის ექიმმა რის ვაი-ვაგლახით გაუსწორა მოქცეული ყბა. ხსართაგს კი კარცერში უკრეს თავი.

სამი დღის შემდეგ ხსართაგი დააბრუნეს. სიხარულით შეეგებნენ პატიმრები. იგრძნო ხსართაგმა ბატის ყბის მონგრევა სულაც არ სწყენიათ. პირიქით, ახალი პატიმარი მათ თვალში ამაღლდა. ბატს, რომელიც ამდენ ხანს სისხლს სწოვდა ისედაც განაწამებ, დაღლილ-დაქანცულ, მორალურად განადგურებულ ადამიანებს, ერთი დარტყმით ყბა მოუქცია, მაშასადამე მასზე ძლიერია. თანაც ის საკნის თავკაცობისათვის კი არ წაეჩხუბა ბატს, ავადმყოფ პატიმარს გამოექომაგა, ამან ერთიორად აუწია ავტორიტეტი ხსართაგს. სხვის მაგიერ საფრთხეში ჩაიგდო თავი, ხომ შეიძლებოდა ბატს დაესწრო და დანა ''ბიგ გულში ჩაეცა ხსართაგისათვის. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ ამას არ შეუშინდა ხსართაგი და კარგად მოთეთქვა მოწინააღმდეგე. ახლა მათთვის სულაც აღარ არის საშიში „ბინძური მეფე". აღარც დაემორჩილებიან ამის შემდეგ. უფრო ძლიერმა დაჯაბნა იგი, დამორჩილებას შეჩვეულნი მფარველად სწორედ მას აირჩევენ. ჯერ კი რაღაცას ელოდებიან. ეს დღეც დადგა. ციხის საავადმყოფოდან ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა ბატი. ზედაც არავინ შეხედა, საცოდავი სანახავი იყო. ერთის კვირის წინ თვალებში რომ შესციცინებდნენ და მისი ხელის ერთ დაქნევაზე ადამიანს ყელს გამოსჭრიდნენ, იმათაც კი ზურგი შეაქციეს. ახლა ისინი ისეთივე გულგრილობით თვითონ მასაც გამოღადრიან ყელს... მორჩა, უფროსობა ხელიდან გაუფრინდა. მაინც შიში აღარავისა აქვს და ვინღა დაემორჩილება. ბატს გული მოუკვდა. მაინც სცადა წონასწორობის შენარჩუნება. ერთ თავის ხელქვეითს თვალი ჩაუკრა:

— შენ რა? ვეღარ იცანი შენი მფარველი? მე უფროსი ვარ აჭ თუ...

— დაეგდე მანდ და ნუ იყეფები. უფროსიო, უფროსი კი არა ლოკოკინა ხარ! აქამდის რაც გითმინეთ, ისიც შეგერგოს! ერთი გაბედე რამე და მე მოგიგრეხ მაგ ყბას, და ამჯერად ისე, რომ ვერც ერთმა ექიმმა ვერ გაგისწოროს.

ძალიან ეწყინა ბატს ეს სიტყვები, ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს დამხმარეს ეძებდა, მაგრამ ასეთი რომ არავინ გამოჩნდა, პატივმოყვარე გული დაეკოდა, ძალზე დამცირებულად იგრძნო თავი და ნაცემი ბავშვივით ატირდა, შუაღამემდე იქვითინა. ორი დღე ენა არ დაუძ-

რავს, სიტყვა არ დასცდენია, მესამე საღამოს ხსართაგთან მივიდა და მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი:

— ეი, კავკასიელო, მოდი ერთად...

— რა ერთად? — ვერ გაუგო ხსართაგმა ნათქვამი.

— ერთად ვიყოთ, მეგობრულად აქ...

— ისედაც ერთად არა ვართ?

— უფროსები-მეთქი. შენ პირველი, მე — მეორე. შენთვისაც უკეთესია. მენდე, ასე აჯობებს, თუ ერთად ვიქნებით მთელ ციხეს ჩვენს წინ დავაჩოქებთ და თავადებივით ვიცხოვრებთ.

— ეი, შენ, ბატი ხარ თუ იხვი, არ ვიცი. თუ ჭკვიანად არ იქნები, მოგკლავ და ისე დაიკარგები, როგორც მაწანწალა ძაღლი, დაეხსენი ამ საბრალო ხალხს. ისედაც სული კბილით უჭირავთ.

— გინდა მარტომ იბატონო, არა? ეგ არ მოხდება, იცოდე, აქ ციხეა. ათასნაირი ხალხია. ნაძირალები კიდევ უფრო მეტი. ერთი სიტყვა მინდა და...

— ვინც შეგიშინებია, მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ამის მოწმე შენი ყბაა. პატარა რამ და ხომ გითხარი, რაც გელოდება. ახლავე აქედან დაიკარგე.

მეორე დღეს ბატი სხვა საკანში გადაიყვანეს.

4.

ასე დაიწყო ხსართაგის ცხოვრება შორეულ ციმბირში.

ერთი კვირის შემდეგ სამუშაოზე გაიყვანეს, სამუშაო კი არა ჯოჯოხეთი იყო. რკინიგზა გაჰყავდათ. პატიმრებს ყველაზე რთული უბანი გამოუყვეს. ჭაობში გზის გაყვანა ადვილი არავის ეგონოს. ნიჩბითა და წერაქვით ებრძვი ქვამიწას, ებრძვი და შენს შრომას ბარიქაც არა აქვს, მაგრამ დღე დღეს მისდევს, კვირა კვირას, მოიხედავ უკან და დაინახავ, გაგიკეთებია გზა, მდინარეზეც გაგიდვია ხიდი, კლდე გაგიხვრეტია, გვირაბი გაგიყვანია.

ორი წელი ორ საუკუნედ იქცა, მაგრამ მაინც გაიარა. ხსართაგი დაიღალა, არც ზაფხულია მისთვის და არც ზამთარი. შრომობს ბორკილებიანი, თავზე იარაღასხმული ზედამხედველი ადგას. ოო, მერე როგორი დაუნდობლები არიან? მძიმე შრომით ისედაც წელში გაწყვეტილებს, სულსა ხდიან თუ სულის მოსათქმელად ვინმე ჩაიმუხლებს, თოფის კონდახი მზად არის. მთელი დღის შრომით მოქანცულ პატიმრებს საღამოთი ციხეში მისვლა ეჩქარებათ, რომ ნარებზე მიეყარონ და დილამდე მკვდრებივით იძინონ. ზამთარში, როცა ქარიშხალი ამოვარდება და გარეთ გასვლა შეუძლებელი ხდება, ცოტა შეღავათი კი მიეცემათ, მაგრამ მაშინაც უსაქმოდ არ აჩერებენ. ხან

თოვლს ახვეტინებენ, ხან შეშას აჩეხინებენ, თუმცა იმ მძიმე სამუშაოსთან შედარებით, ეს გასართობად ეჩვენებათ.

ვასილიჩი, როგორც განათლებული კაცი — ინჟინერს მიამაგრეს. მისი სამუშაო იოლი იყო, ფიზიკურად სრულიად არ მუშაობდა. უფროსებთან საერთო ენა გამონახა და ცოტაც მოიკეთა.

პატიმრებმა ყველაზე რთული უბანი გალიეს, რკინიგზა გაიყვანეს, თითქოს უკან დარჩა სიძნელეები. სწორედ მაშინ, ერთ წვიმიან დღეს, პატიმრები გადათვალეს და რიგში ჩააყენეს. სამოცი გვარი ამოიკითხეს და ბრძანეს, სამი ნაბიჯი წინ გადაედგათ. სიაში ვასილიჩი და ხსართაგიც იყვნენ. სხვები სამუშაოდ წაიყვანეს. ამორჩეულები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა ამბავიაო. არავინ იცოდა. უფროსმა ოფიცერმა გვიან-გვიან გამოაცხადა, რკინიგზისათვის საჭირო შპალების დასამზადებლად რამდენიმე თვით ტყეში მოგიწევთ ცხოვრება, სადაც დღესვე გაემგზავრებითო.

ისევ რიგში ჩააყენეს და სამდინარო პორტში მდგომ ერთ ძველისძველ ბარჟაზე აიყვანეს. მეთვალყურე ოფიცერ პუხოვის გარდა კიდევ ორი უცნობი ჟანდარმიც დაემგზავრა მათ, ბარჟამ გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო.

გზაში გაიგო ხსართაგმა, რომ ტყისმჭრელთა სიაში ვასილიჩის რეკომენდაციით მოხვედრილიყო.

— იქ უფრო ადვილია, მეც მეტ ყურადღებას მოგაქცევ, ნუ გეშინია, — მხარზე ხელი მოუთათუნა ვასილიჩმა ხსართაგს.

ამაყად მხრებგაშლილი მძლავრი მდინარე მდორედ მიიზლაზნებოდა თავის მარადიულ გზაზე. მარცხენა მხარეს ხშირი ტყის მოქარგულ ნაპირს ელამუნება, მეორე მხარეს კი შორს, სადღაც ქვეყნის დასალიერს უერთდება. ისე ჩანს, თითქოს მდინარეს დასაწყისი აქვს, ხოლო დასასრული სადღაც ძალიან შორს, ან შეიძლება სულაც არ აქვს.

საღამოობით, როცა მზის უზარმაზარი დისკო დასავლეთისაკენ დაქანდება, ცის კიდე დაბლა ეშვება და ნისლზე დაყრდნობილი თითქოს დედამიწას ცეცხლწაკიდებული ხიდით უერთდება. დილით კი, პირველსავე მზის სხივზე მდინარის თავზე თითქოს დასასვენებლად ჩამოწოლილი ღრუბლები აიშლებიან და თეთრი ქულები ზანტად გაცურდებიან ტყის თავზე, მერე შორს, შორს ხეების ტოტებზე გასაშრობად გაფენილი ბამბასავით გაეკიდებიან და ნელ-ნელა ჩადნებიან ტყის სიღრმეში.

საოცარია განთიადიც. მზის სხივები პირველად მდინარეს შეეხევა, პატარ-პატარა ტალღებს ცეცხლს წაუკიდებს და წყალი გამდნარ ოქროდ იქცევა.

ხსართაგი პირველად ხედავს ასეთ დიდსა და მდორე მდინარეს, ზის გემბანზე და გაჰყურებს უცხო ქვეყნის უცხო მხარეს. მხოლოდ ეს მდინარე რაღაც გამოუცნობ ძალას მატებს, რწმენას უმტკიცებს. გაციმბირებულები კი მღერიან ამ მდინარესავით მძლავრ სიმღერებს,

რომლის იმედის მომცემი ჰანგი პირდაპირ გულში სწვდა გამოუცდელ მთიელ ჭაბუკს,

ხსართაგს გვერდიდან არ იშორებს ვასილიჩი, რომელსაც კიდევ გაუმეორა გულის შეტევამ და ფეხზე წამოდგომა ვეღარ შეძლო. ხსართაგი საკუთარი მამასავით უვლის. შეძლებისდაგვარად უმსუბუქებს მდგომარეობას. ხან წყალს მიაწვდის, ხან წამოაყენებს და გულზე მიისვენებს.

— კარგად დააკვირდი ამ მხარეს. გახსოვდეს, თავისუფლების დასაბრუნებლად მხოლოდ ეს ერთი გზაა, — წასჩურჩულა ერთ დილით ვასილიჩმა ხსართაგს.

მას შემდეგ თვალს აღარ აშორებს ნაპირს.

ერთ კვირაზე მეტი იარეს მდინარით.

სანაპიროები თანდათან უკაცრიელი ხდება, არსად სოფელი, აღარც ადამიანები. მხოლოდ ხანდახან გზად მძიმედ დატვირთული ბარჟები თუ შემოხვდებათ.

როგორც იყო ჩააღწიეს დანიშნულ ადგილზე. გაჩერდა ბარჟა. აქ ხსართაგი და ვასილიჩი დატოვეს, სხვები კი ისევ გზას გაუყენეს.

მდინარეს გასწვრივ გასდევს არყის ჭალა, სოფელსაც არყიჭალა ჰქვია. გზა ჰყოფს მას შუაზე, ზემოთ, შემაღლებულზე ეკლესია წამოსკუპებულა, რომელსაც თავზე ჯიღასავით ადგას ჯვარი.

ძალიან გაუკვირდა ხსართაგს, ასე შორს, სადაც გზაც კი არ მიდის, სადაც ზამთარ-ზაფხულ მოწყვეტილები არიან ქვეყანას, რამ მოიყვანა ხალხი, რისთვის დასახლდნენ აქ?

„აი, ჩემი სამუდამო სამყოფელი, — დაიკვნესა და თითქოს გულში რაღაც ჩასწყდა. — საიქიოდან უფრო ადვილია დაბრუნება, ვიდრე აქედან... აქედან ადამიანი ცოცხალი დაბრუნდეს შინ? შეუძლებელია...“ ამის გაფიქრებაზე ყოველგვარი იმედი გადაუწყდა.

ისევ აბობოქრდა გული: „გავიქცევი, გავიქცევი. საფლავშიც რომ ჩამასვენონ მაინც გავიქცევი...“ — ჭირვეული ბავშვივით იმეორებს და თვითონ ვერც გრძნობს, რომ ტირის.

სოფლის ბოლოს ერთ დაფუტუროებულ, ნახევრად დანგრეულ სახლში მიუჩინეს ბინა. პატარა ოთახი ნაგვითა და ჭუჭყით იყო სავსე. ობობას ერთი კუთხიდან მეორემდე დაექსელა და ისეთი ბადე მოექსოვა, კურდღელი გაიხლართებოდა შიგ. ამ ოთახის ერთი ღირსება ის იყო, რომ შუაში რუსული ღუმელი იდგა. ჰო, მართლა, თავხეში რკინის სოლიც ჩაუჭედებია ვიღაცას. როგორც მერე გაიგეს, თურმე ამ სოლზე ჩამოიხრჩო თავი მათ წინ მობინადრემ. მას სამუდამო გადასახლება ჰქონია მისჯილი. საბრალომ ხუთ წელზე მეტხანს არ ისურვა აქ ყოფნა.

ოთახის სიღრმეში დაფუტუროებული ტახტიც დგას. ხსართაგმა ხელით გადმოწმინდა მტვერი და ამდენი ხნის ნაწამები, სიამოვნებით გაიშხლართა უსწორმასწორო ფიცრებზე. ვასილიჩი კი ღუმელზე აძვრა და ვიღაცის ჭუჭყიან ლოგინზე მიწვა.

5.

დილით ხსართაგი ვასილიჩის კვნესამ გააღვიძა.

— შვილო, ხსართაგ, ვკვდები, გავარდი, შენს გაზრდას, იქნებ სოფელში ექიმი იყოს. ძალიან მაწუხებს გული.

ხსართაგი მაშინვე წამოხტა. დახეული ფეხსაცმელი ბაწრით ამოიკრა და გარეთ გავარდა. სოფელში კარდაკარ ჩამოიარა, მაგრამ სალაპარაკოდ არავინ მიიკარა, როგორც კი დაინახავენ, შინ შერბიან. ეშინიათ მისი.

მერე ერთი სახლის წინ შეჩერდა. ეტყობოდა მისი პატრონი სხვებზე უფრო შეძლებული იყო. ჭიშკარზე მიბრახუნებისთანავე გაუღეს. წინ ასე ორმოცდაათიოდე წლის კარგად შენახული კაცი დაუდგა. ტანზე ახალი ტყავის ქურქი ეცვა, ახალივე ქუდი ეხურა. წითლად გაღაღაებულ ლოყებს შუაში მიეჭყლიტათ პაჭუა ცხვირი, რომელსაც ცერის სიმსხო მეჭეჭი აჯდა.

— ვინა ხარ, რაზე ანგრევ ჭიშკარს?

— ამხანაგი გამიხდა ავად, ექიმს ვეძებ, ღმერთი ხეირს მოგცემს, მიმასწავლე.

— ამხანაგი? მერედა ვინ არის შენი ამხანაგი?

— ისიც პატიმარია, წუხელ გადმოგვსხეს.

— ა-ა-ა, მობრძანდით უკვე? თქვენღა გვაკლდით, ვინ ხართ? კაცისმკვლელები? თუ მეფისა და ღვთის ფეხის მჭამელები?

— არც ერთი და არც მეორე, — წამოენთო ხსართაგი, მაგრამ შეიკავა თავი. — ექიმთან მიმასწავლეთ, გემუდარებით.

— რითია შენი ამხანაგი ავად? ჭირიანია თუ ქეციანი?

— გული აწუხებს.

— ჰოო, გულს ჩვენთან ვერაფერს შველიან.

— რას ამასხარავებ ადამიანს, — მოესმა ხსართაგს ქალის რიხიანი ხმა, — თავის უბედურება არ ეყოფა? შეხედე ფეხზე ძლივს დგას.

— მერე, ვინ დაპატიჟა, რატომ გაგვაბედნიერა თავის სტუმრობით? შეხედე, შეხედე, ნამდვილი კაცისმკვლელია. თვალებს უბრალოდ არ აკვესებს ავად. მაგრამ არაფერია, მალე ეგ ანთებული თვალები მინავლული ნაღვერდალივით ჩაგიქრება.

— ბიძია, რატომ მლანძღავთ? მე ხომ მხოლოდ ის გთხოვეთ, ექიმთან მიგესწავლებინათ, ავადმყოფი მელოდება, თქვენ კი საყვედურით ამიკელით.

— ექიმი არა გვყავს. ამას წინათ ერთი ფერშალი გამოგვიგზავნეს, ისიც ტაიგაში დათვის კერძი გახდა. — მეჭეჭიანი კაცის მაგიერ უპასუხა შინიდან გამოსულმა სქელ-სქელმა, ზორზოხა ქალმა.

— შინ შემოდი, შვილო, ცეცხლთან გათბი.

— გმადლობთ, დედი, მეჩქარება, ამხანაგი მყავს ავად. — ხსართაგი უკან გამობრუნდა.

ვასილიჩი მძიმედ სუნთქავდა, ჭირის ოფლი მსხვილ წვეთებად

ეყარა შუბლზე, ხსართაგი გვერდით მიუჯდა. წყალი ჩააყლაპა. ძალიან უნდა დაეხმაროს, მდგომარეობა შეუმსუბუქოს, მაგრამ როგორ? არ იცის, რითი უშველოს. ხან საბანს შეუსწორებს, ხან შუბლიდან ოფლს მოსწმენდს.

საღამოთი შეტევამ გაუარა. ღუმელიდან ჩამოცოცდა და ტახტზე ჩამოჯდა.

— ამჯერადაც გადავრჩი ჰა, ხსართაგ?

— მე კი ჩემი დამემართა.

— შეგაშინე, არა? ბოლო ხანებში ხშირად მახსენებს თავს ჩემი ნაჯაფარი გული და არ ვიცი, არ ვიცი, როგორ წავა ჩემი საქმე.

— თავს გაუფრთხილდით...

ამ ლაპარაკში კარიდან ვიღაცის ხმაური მოისმა.

— სტუმარს არ მიიღებთ?

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა, — ხსართაგი წინ შეეგება შოსულს.

— აქა მშვიდობა, მე ალექსი პეტროვიჩს მეძახიან, თქვენს მეზობლად ვცხოვრობ. ვიფიქრე, დიდი ქვეყნიდან ახალ ამბებს ჩამოიტანდნენ მეთქი. ხომ არ შეგაწუხეთ?

— არა, არა, როგორ გეკადრებათ, რა შეწუხებაა? პირიქით. მოხარული ვართ თქვენი გაცნობის. — ფეხზე წამოუდგა ვასილიჩი.

— ჩვენთან პატიმრებისა ეშინიათ. მე პირადად ბევრთან მისაუბრია და ძალიან ხშირად შევხვედრივარ საინტერესო ადამიანებს. თქვენ რა დანაშაულისთვის გადმოგკარგეს ასე შორს, საიდან ხართ?

— როგორ გითხრა... პეტერბურგიდან ვარ... ქარხანაში ვმუშაობდი, მძიმე პირობებში გვიხდებოდა შრომა. სამუშაო დღე გათენებიდან დაბნელებამდე — ხელფასი გროშები, ვეღარ გავუძელით არაადამიანურ შრომას და გაფიცვა მოვაწყვეთ. მოვითხოვეთ მეპატრონეს შრომის პირობები გაეუმჯობესებინა და ხელფასი მოემატებინა, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. მთავრობამ იმას დაუჭირა მხარი. პოლიცია გამოიძახეს და ჩვენი გაფიცვა სისხლში ჩაახშეს. გაფიცვას მე ეხელმძღვანელობდი. დამიჭირეს და აი აქ, თქვენთან გამომგზავნეს, — დაამთავრა ვასილიჩმა თავის ამბავი.

— მეფე ურჩობას არავის აპატიებს. აი ხომ ხედავ, ჩვენც უსამართლობას გამოვეჭეცით. პაპაჩემი ტამბოვის გუბერნიიდან ყოფილა. ვეღარ აიტანა მებატონის უსამართლობა, მაშინ ჯერ ისევ ბატონყმობა იყო. ჰოდა, მებატონეს ყველაფრის უფლება ჰქონდა, მოისურვა და პაპაჩემს მეძებარ ძაღლში დაუპირა გაცვლა. დამცირება ვერ აიტანა და მოკლა ბატონი. თვითონ კი ტაიგაში გაიქცა. აქ უკაცრიელ ადგილზე ნადირივით დიდხანს იმალებოდა თურმე. პაპაჩემის გარდა ტაიგას სხვებიც აფარებდნენ თავს, ზოგი ციხეს ემალებოდა, ზოგს ჯარში სამსახური არ უნდოდა და აი ასე წარმოიშვა ეს სოფელი.

— გაქცევა არ შეიძლება, ძმობილო! — სიტყვა ჩამოართვა ვასილიჩმა, — ამბობენ, მეფეს ჩქარა ჩამოაგდებენო.

ვასილიჩი და ალექსეი პეტროვიჩი ლაპარაკს შეყვნენ. ხსართაგმა ბევრი რამ ვერ გაიგო მათი საუბრიდან. ისინი ხალხის დუხჭირი ცხოვრებისათვის ვიღაცას ადანაშაულებდნენ. გადაწყვიტა, სხვა დროს დაწვრილებით გამოეკითხა ვასილიჩისათვის ყველაფერი.

მეორე დღეს ხსართაგმა სადილობისას შეურჩია დრო და ვასილიჩს ჰკითხა:

— რატომ სთქვი გუშინ მეფის აუგი? რაში სდებ ბრალს?

— რაში?.. ჯერ მითხარი, რას აკეთებ შენ აქ?

— ეგ მარტო ერთმა ღმერთმა იცის.

— მეფის ბრალია შენი აქ ყოფნა.

— რა შუაშია მეფე? ბოროტმა ადამიანმა ჭორი გაავრცელა... საწყალმა ბიძაჩემმაც ბრმად დაიჯერა ყველაფერი. ხიფათი მოხდა... რა შუაშია მეფე?

— არის შუაში, ხსართაგ, არის. მისი ბრალია ყველაფერი. მის მიერ განმტკიცებულ საზოგადოებაში, მის დამკვიდრებულ წესრიგში აქვს იმ ჭორს სათავე. მჯერა, ხსართაგ, შენ სავსებით ალალ-მართალი ხარ. მაგრამ, აბა დაფიქრდი, რატომ აგირჩიეს შენ მსხვერპლად და არა რომელიმე შეძლებული მაცხოვრებელი იგივე თქვენი სოფლიდან? იმიტომ, რომ ვისაც ხელში ძალა აქვს, ვისაც შეძლება მოსდევს, იმისათვის ჭორი არაფერს წარმოადგენს, მის წინაშე კანონი იხრის მუხლს და მას შეუძლია, საითაც მოისურვებს, იქით წარმართოს იგი.

ხსართაგი დააფიქრა ვასილიჩის სიტყვებმა. თითქოს გონება გაეხსნა. მართლა, აი თუნდაც სოლიმი, აულში რას არ ამბობენ, მამა თვითონ მოკლაო, დედინაცვალიც კინაღამ მუცელს გადააყოლაო, მერე ვინ არ იცის, რომ ქალიმათი იმან შეაცდინა. თვითონ ხსართაგმაც იცის, რამდენჯერ დაინახა, წისქვილისაკენ რომ მიიპარებოდა. წადი და თქვი! ვერ იტყვი, სოლიმს ვინ რას გაუბედავს? მდიდარია და ძლიერი, კანონი მას იცავს, მაგრამ მაინც რა შუაშია აქ მეფე?

— ვასილიჩ, თქვენს სიტყვებში რაღაც სიმართლე დავინახე, მაგრამ ვერ გავერკვიე, რა შუაშია მეფე, საზოგადოება, წესრიგი?

— გაერკვევი, ჩემო მზეო, შენ კარგად დამიგდე ყური.

და ვასილიჩმა აუხსნა თუ რატომაა უსამართლობა ქვეყნად. ის ცდილობდა ხსართაგისათვის ისე ეთქვა ყველაფერი, რომ სიმართლე მის გონებამდე დასულიყო. შორიდან დაიწყო ვასილიჩმა. როგორ დაგროვდა სიმდიდრე საზოგადოების ერთი ნაწილის ხელში, მეორე ნაწილი კი პირუტყვივით მათთვის შრომობს, რომ მეფეც მდიდრებს უჭერს მხარს, ხოლო თუ ხალხი გაბედავს წინააღმდეგობას, მაშინვე ცეცხლითა და მახვილით უსწორდებიან.

პირველად ჩაუფიქრდა ხსართაგი ამას. „ვართლაცდა, რატომ აქვს ყუნცელს იმდენი მიწა? პურიც ბევრი აქვს, საქონელიც ბევრი ჰყავს. ხალხს კი ლუკმა არ გასდევს გაზაფხულამდე“. ახლა ვასილიჩის სიტყვებიდან ბევრი რამ გაიგო. იმისათვის, რომ მასავით უბრალო ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქოს, მეფის მთავრობის დამხობა ყოფი-

ლა საჭირო, ალდარებისა და მდიდრების მოსპობის შემდეგ მიწას გლეხებს მისცემენ , ფაბრიკა-ქარხნებს მუშებს. ყველა თანასწორი იქნება. ხსართაგისნაირებს ციმბირში აღარ გადაასახლებენ.

გულისყურით უსმენდა ხსართაგი ვასილიჩს, მაგრამ ბევრი რამ მაინც ვერ გაიგო. მხოლოდ ერთი ჩაეჭედა გონებაში: ცხოვრება სიცრუეზეა აგებული და მისი საძირკველია დასანგრევი. მხოლოდ მის ნანგრევებზე შეიძლება ახალი ცხოვრების აშენება.

6.

ბუნება ბუტია პატარძალივით იღუშება. საცაა თოვლს ჩამოყრის. ვასილიჩი და ხსართაგი გამალებით ემზადებიან ზამთრისათვის. ტალახით გალესეს ჩამონგრეული კედლები. ალექსეი პეტროვიჩის დახმარებით შეაკეთეს სახურავი, ტყიდან ბლომად მოზიდეს ხმელი შეშა. ხსართაგმა შეშა დახერხა და ოთახში კედლის გასწვრივ მეორე კედლად აიყვანა. ლოგინად თივა მოიმარაგეს.

ერთ დილით სოფლის მედუქნე გავრილ იპოლიტიჩმა იკადრა მათ ღარიბულ ქოხში მისვლა. ლოყებღაღაჯა, სქელკისერა გავრილო ღუმელს მიეფიცხა. ოთახი დაკვირვებით მოათვალიერა და მზერა ვასილიჩზე შეაჩერა.

— გავიგე, ნასწავლი კაცი ყოფილხარ.

— დიდად ნასწავლი არა, მაგრამ ცოტა რაღაც მესმის, — უპასუხა ვასილიჩმა და ცნობისმოყვარე თვალები კითხვით მიაპყრო.

— მე დიდი განსწავლულობა სულაც არ მჭირდება. თხოვნა მაქვს თქვენთან. ბიჭს წერა-კითხვა ასწავლე... ვბერდები... დუქანი ხომ უნდა დავუტოვო... ჰოდა, შენ თვითონ იცი... ამ გადმოკარგულ, ბნელ ქვეყანაში არც სკოლაა, არც არაფერი. წერა-კითხვა ასწავლე, ანგარიშიც, თორემ მოატყუებენ. ახლა ისეთი დროა, კაცს ცხრა წყვილი თვალი და ცხრა წყვილი ყური თუ არა აქვს, თვალებს შუა ცხვირს ამოაცლიან და ვერც გაიგებს. ასე არ არის?

— ასეა, ასე. თქვენს წინადადებაზე თანახმა ვარ. მაგრამ ხელფასზე ახლავე მოვრიგდეთ.

— ხელფასი, ჭამა-სმა, დღესასწაულებზე საჩუქრები, ხანდახან დუქანში ანგარიშსწორებაშიც მომეხმარები. ვეღარაფერს ვაკეთებ, ანგარიში ამერია.

ვასილიჩი დათანხმდა. გაჭირვებამ სიბერეში მასწავლებლობა დააწყებინა. მეტი რა გზა აქვს. თავი ხომ უნდა ირჩინოს. ზამთარი მკაცრი და დაუნდობელი იცის ციმბირში. ან სამუშაოს სად იშოვი? აქ თითქმის ყველა ნადირობით ირჩენს თავს. ძირითადად ბეწვეულს ამზადებენ. ნადირობენ მელიებზე, კვერნაზე, სიასამურზე, დათვებზე. ბეწვეულს ცვლიან ფქვილზე, შაქარზე, ბრინჯსა და მარილზე, ტანსაცმელსაც ამით ყიდულობენ, ტყვია-წამალსა და იარაღსაც. უფრო ძლიერნი და გამოცდილნი სავაჭროდ შორსაც მიდიან. როცა გაზაფხულზე ყინული დადნება და მდინარეზე მიმოსვლა დაიწყება, ისი-

ნიც თავიანთი ნადავლით მისდევენ ბარჟებს და დიდ სამრეწველო ქალაქებში ჩააქვთ ბეწვეული. უფრო ხშირად ვაჭრები ჩამოდიან, ჩამოაქვთ სამრეწველო საქონელი. ეს დღე არყიჭალის მცხოვრებთა ყველაზე დიდი დღესასწაულია, იწყება აღებ-მიცემობა, რომელიც ზოგჯერ მთელი კვირა გრძელდება. ვაჭრები სრულიად იაფ ფასებში ეუფლებიან ძვირფას ბეწვეულს. მაგრამ ტაიგელი მონადირეებიც კმაყოფილნი რჩებიან. მთელი წლის საკმარ პროდუქტებსა და სამრეწველო საქონელს იმარაგებენ. ვაჭრები ცბიერი ხალხია, თან მოაქვთ არაყი, მონადირეებს ათრობენ და უწყალოდ ყვლეფენ. თითქმის მუქთად იგდებენ ხელში მათს ნაამაგარს.

აი ამიტომ ჭირს აქ ცხოვრება, ვასილიჩს კი არც ნადირობის თავი აქვს და არც სხვა საქმე ჩანს. ამიტომ მიიღო ულაპარაკოდ ვაჭრის წინადადება, რაც მთავარია, სასმელ-საჭმლით იქნება უზრუნველყოფილი.

— ჰო, ვასწავლი. შენ ეს მითხარი, წიგნები, რვეულები ხომ ექნება თქვენს შვილს?

— ყველაფერი. ამას წინათ ქალაქიდან ჩამოვუტანე, მაგრამ ის ძაღლისშვილი, სულაც არ დაინტერესებულა. ხელი არ მოუკიდია წიგნისთვის.

— კარგი, კარგი, გამომიგზავნე.

ვასილიჩი შეუდგა მედუქნის ვაჟის წვრთნას.

ერთ დღეს ხსართაგს დაუძახა:

— შვილო, ხსართაგ, ამ ღორისშვილს სწავლა იმიტომ სჭირდება, რომ ხვალ უკეთესად მოატყუოს მყიდველი. გადავწყვიტე, მასთან ერთად შენც გასწავლო წერა-კითხვა. უამისოდ ვერასოდეს გაიგებ ცხოვრებას. წიგნი ბევრს გეტყვის, თვალს აგიხელს. სწავლა, ძმაო, ძალაა, სადაც გაგიჭირდება, იქ ამოგიდგება მხარში. თუ წაიქცევი, წამოგაყენებს, რაც არ გეცოდინება, გასწავლის. სანამ აქ ვიქნებით, გასწავლი წერა-კითხვას.

— ბარემ, მაგას რა სჯობია, მაგრამ რა ვიცი, ვისწავლი კი?

— ისწავლი, მონდომებული ხარ, ყველაფერი გაინტერესებს. სწავლას კი მონდომება სჭირდება მხოლოდ. რა არ ხდება, აქ ხომ არ დარჩები. ერთხელაც იქნება, დაბრუნდები შინ. დაგჭირდება იქ წიგნის ცოდნა. სწავლისათვის შენ ამაზე უკეთესი დრო არ გექნება. ამ კუნძს, მედუქნის ლეკვს, წიგნებიცა აქვს და რვეულებიც. ვისარგებლოთ ამით.

ხსართაგი დაინტერესდა. მართლაცდა, რა სიკეთეს გაუკეთებს ვასილიჩი, წერა-კითხვა რომ ასწავლოს! ვასილიჩს მოსწონს თავის მოწაფე. საქმე სწრაფად წავიდა წინ, ამას არც მოელოდა მასწავლებელი. ახლა მოწაფე და მასწავლებელი დღე და ღამეს ასწორებენ. მალე ხსართაგმა დამოუკიდებლად დაიწყო კითხვა. ვასილიჩი მაინც არ ეშვება. ასწავლის არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას.

— გახსოვდეს, ხსართაგ, — ხშირად ეტყოდა ვასილიჩი, — შენზე

ძლიერ მტერს ვერ დაამარცხებ, თუ ჭკუით არ აჯობე, იმაზე ჭკვიანი თუ არ იქნები, მედგრად თუ არ დახვდები. მტერი ცბიერი და გაიძვერაა, დაგჯაბნის. საუკუნეების მანძილზე ხალხის სისხლითა და ძვლებით შეუვალი ციხე-სიმაგრე აიგო და ამის იმედი აქვს. გლეხმა ჯერ ვერ შეიცნო თავისი მტერი. როცა შეიცნობს, აუცილებლად შეებრძოლება. დაუნდობელი იქნება ეს ბრძოლა. ბევრი სისხლი დაიღვრება, ბევრი სიცოცხლე ჩაქრება, მაგრამ იმ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვა მშრომელი ხალხი, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებს. ისეთ ცხოვრებას, სადაც ყველა ადამიანი ერთნაირად იცხოვრებს, სადაც მდიდრები და ღარიბები აღარ იქნებიან, სადაც ხალხს თანასწორი უფლებები ექნება. აი იმ ცხოვრების აშენებისათვის შენ და შენისთანები იბრძოლებენ. იმ საზოგადოების საფუძველი გახდება თავისუფლება, ძმობა, ერთობა და თანასწორობა. გაქრება ძალა, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე ადამიანის გონებას აჩლუნგებდა, მკლავის გაშლის უფლებას უსპობდა. აჰ საოცნებო ცხოვრების აშენებისათვის იბრძვის რუსეთის მოწინავე საზოგადოება...

— თქვენი სიტყვები იმედით მავსებს, ვასილიჩ, მაგრამ როდის იქნება ეგ?

თვალებში იმედის ნაპერწკალი გაუკრთა ხსართაგს.

— ჩქარა იქნება. იმ საოცარი ცხოვრების დამყარებისათვის მებრძოლთ რევოლუციონერებს ეძახიან. ისინი მომავალი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის საკუთარ სიცოცხლესაც არ იშურებენ. მეფე და მისი მოხელეები რევოლუციის შიშით ცახცახებენ. ამიტომ ექცევიან მკაცრად რევოლუციონერებს. იჭერენ, ციმბირში ასახლებენ, ხვრეტენ, სახრჩობელაზე ჰკიდებენ, მაგრამ მათი რწმენის გატეხვას ვერ ახერხებენ. მათ ადგილს სხვები იკავებენ. საბრძოლო დროშას სხვები იტაცებენ ხელში. შენ ახლა დიდი ვალი გაკისრია. ბევრი უნდა ისწავლო, ახალი ცხოვრების აშენებისათვის იბრძოლო. თუ გსურს მტერზე გაიმარჯვო, თან გაიყოლე შენსავით დაჩაგრულები. გახსოვდეს, ქვეყანა ორად არის გაყოფილი, საფუძველიც ორია სიმართლე და სიცრუე. მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა და დაზავება აღარ შეიძლება, ერთი მოკვდება და მეორეს დაუთმობს ადგილს. ასეთია ბუნების მარადიული კანონი. სიცრუე მოკვდება.

გვიან ვახშმობამდე ილაპარაკა ვასილიჩმა, მერე ძილი მოერია. ხსართაგს ღამე ნებისა უსურვა და ღუმელზე აძვრა. იქ თავის ლოგიხზე გულაღმა გაიშოტა და მალე ხვრინვა ამოუშვა.

ხსართაგს კი ძილი ახლოს აღარ გაეკარა. ვასილიჩის ნალაპარაკებიდან ბევრი რამ გაიგო. ოცნებამ გაიტაცა და მთელი ქვეყანა შემოატარა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს საიდანღაც სინათლის სხივი გაბრწყინდა და ხსართაგს ახალ ქვეყანაში ეპატიჟება. ერთი მხრით რაღაც

აშინებს გამოუცდელ ყმაწვილ კაცს, მეორე მხრით კი რაღაც ჩაეღვარა სხეულში.

დადგა ციმბირული ზამთარი. ორი კვირა გადაუღებლივ ითოვა. მერე გამოიდარა. საღამოთი ანდრეი პეტროვიჩი ესტუმრა მოზამთრე პატიმრებს და ხსართაგს მიმართა:

— ხვალ სანადიროდ ვაპირებთ, ხომ არ წამოხვალ?

ხსართაგს თვალები გაუბრწყინდა.

— წამოვიდოდი, მაგრამ იარაღი არა მაქვს. ცარიელი ხელით კი...

— იარაღს მე გათხოვებ, ძველია, მაგრამ კარგად ისვრის.

შეთანხმდნენ. დილით რიჟრაუზე გადიოდნენ სოფლიდან.

ხსართაგი მოემზადა. თუ რამე ჰქონდა ჩაიცვა, პეტროვიჩის მოტანილი თხილამურები მოირგო ფეხზე და არყიჭალელ მონადირეებს შეუერთდა.

ზამთრის დღე ციმბირში ერთი ამოსუნთქვაა. მზე ცის კაბადონს დაეკიდა და დასავლეთისაკენ სწრაფად გაგორდა. მონადირეები დაიღალნენ, მოშივდათ. საღამოთი ყინვამ იმძლავრა, არყის ხეებს ჭახჭახი დააწყებინა, ძვალსა და რბილში გაატანა. პატარა მდინარეს აჰყვნენ აღმა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ ძაღლის ყეფა მოესმათ. ბორცვის ძირში, ნაძვებშორის ლურჯი კვამლი ცისკენ მიიზლაზნებოდა.

— ჯერ ცოცხალია ბებერი. ხედავთ, კვამლი ამოდის სახლიდან, — თქვა ერთმა შუახნის მონადირემ.

— დათვია ნამდვილი. არც ნადირისა ეშინია, ტაიგის მკაცრმა პირობებმაც ვერარა დააკლო. — სიტყვა ჩამოართვა მას პეტროვიჩმა.

სულ მალე მიადგნენ სარკმელამდე თოვლში ჩაფლულ პატარა ხის სახლს.

ძაღლის ყეფაზე გარეთ გამოვიდა ბეწვის ქურქმოსხმული ჯერ კიდევ ჭარმაგი მოხუცი. თეთრი წვერი წელამდე სწვდებოდა. საოცრად კეთილ თვალებს რაღაცნაირ მკაცრ გამომეტყველებას აძლევდა სქელი, ჭაღარა წარბები.

მოხუცი შინ შეუძღვა მონადირეებს. აბრაგმა (ასე ეძახდნენ მონადირეები მოხუცს), ნაძვის კვარი ააბჟუტა. ოთახი განათდა. მონადირეები ცეცხლს მიეფიცხნენ. აქ ყველა ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში. არ ერიდებოდნენ აბრაგს.

მონადირეებმა საგზალი ამოიღეს და სუფრა გაშალეს. პეტროვიჩმა ერთი ბოთლი არაყიც ამოაძვრინა აბგიდან. აბრაგმა თევზი და მოხარშული ხორცი მოიტანა. ვახშამი დიდხანს გაუგრძელდათ.

მოხუცი ყველას იცნობდა. გვიან შეამჩნია მან ხსართაგი.

— ო, უცნობი ამხანაგიც გყოლიათ. ვინ არის? სადაურია?

— კაცისმკვლელია, ამას წინათ მოიყვანეს. — ხსართაგს არ დააცადა პასუხი პეტროვიჩმა.

„კაცისმკვლელი“ — ტყვიასავით მოხვდა გულზე ხსართაგს. ძალიან ეწყინა. სისხლი თვალებში მოაწვა და კინაღამ სახეში მუშტი

ხეთქა პეტროვიჩს. მალე მოეგო გონს და ისევ თავის შეკავება ამჯობინა.

მოხუცი დააკვირდა ხსართაგს. მერე მზერა ისევ პეტროვიჩზე გადაიტანა. კვარის შუქზე რამდენჯერმე დაიჭირა ხსართაგმა უცნაური მოხუცის ჯიუტი მზერა.

„რატომ მიყურებს ასე უცნაურად?“ — გაივლო გულში ხსართაგმა, და მორცხვად დახარა თვალები.

მონადირეები ძალიან დიდი პატივითა და მოწიწებით ექცეოდნენ მოხუცს. ამან კიდევ უფრო გააკვირვა ხსართაგი. ვინ არის?

დილით ღამიანად ადგა მასპინძელი, სტუმრებს მოუბოდიშა — ხაფანგს დავხედავო და სადღაც გაქრა... მონადირეებიც აიშალნენ. ყინულივით ცივი წყალი შეისხეს პირზე, ფეხზე წაიხემსეს და ტაიგას მოედვნენ. გუშინდელ დაგებულ ხაფანგებს ჩამოუარეს. პეტროვიჩს ორი კვერნა და ერთი მელა უწყალობა ნადირობის ღმერთმა. იმ დღეს კიდევ ერთი კვერნა და ხუთი ციყვი მოინადირეს. საღამოთი ისევ მოხუცთან დაბრუნდნენ. ის არ დაუხვდათ, სანადიროდ თუ იყო წასული. ხსართაგმა დრო იხელთა და პეტროვიჩს ჰკითხა:

— ვინ არის ეს მოხუცი? რატომ ცხოვრობს მარტოდმარტო?

— კაცისმკვლელია. გადმოსახლებული... ოცი წლის წინ ჩამოიყვანეს აქ. რამდენჯერმე გაიქცა. დიჭირეს და ისევ უკან დააბრუნეს. მერე რა ვიცი, რა ჭკუაზე დადგა, აგერ რამდენი ხანია გაუვიდა ყაელი, თავისუფალია, მაგრამ აღარ მოისურვა შინ დაბრუნება.

— რატომ?

— რა ვიცი. რაღაც დიდი დანაშაული აქვს ჩადენილი. ალბათ ეშინია...

— ვინ არის, სადაურია?

— ძნელი გამოსათქმელი სახელი ჰქვია. აქ იმ სახელით არავინ იცნობს. ყველა აბრაგს ეძახის. კავკასიელია ან ჩეჩენი ან ყაბარდოელი, კარგად არ ვიცი. ისე, ძალიან გამრჯე და მოხერხებულია. აქაურ უფროსებს შიშის ზარსა სცემს. ჩვენი ბოქაული უბატონოდ ხმის გაცემას ვერ უბედავს. ამაყია, არავის დაეჩაგვრინება. ბავშვივით სუფთა გულისაა, კეთილი, პატივისმცემელი. ჩვენებურმა მონადირეებმა თქმულებები შეთხზეს მასზე.

მოულოდნელად ძაღლის ყმუილი მოისმა. ხსართაგი გარეთ გავარდა, ძაღლმა დაინახა და საცოდავი წკმუტუნი მორთო.

— პეტროვიჩ, გამოიხედე, რაღაც მოხდა!

პეტროვიჩი ძაღლის დანახვაზე შეკრთა.

— მოხუცის თავს ფარსაგია რაღაც, ძაღლი მას უბრალოდ არ მიატოვებდა. ხედავ? ნადირის დაკბენილია... აბა ჩქარა, იქნებ ვუშველოთ. — ძაღლი წკმუტუნით გარბოდა წინ. მონადირეები სირბილით მისდევდნენ.

მალე პატარა ველზე გავიდნენ. იქაურობა ნაომარს ჰგავდა. სისხლით მორწყული თოვლი შავად მოჩანდა. სასულე გადაღრღნილი

უშველებელი მგელი გულაღმა ეგდო. მიხვდნენ, ეს აბრაგის ძაღლის ნამოქმედარი იყო. მაგრამ თვითონ მოხუცი რა იქნა? ძაღლი ისევ წინ გაიქცა. მდინარის პირზე საშინელი სურათი დაინახეს. მოხუცს მგლისათვის ყელში წაჭერილი დარჩენოდა თითები, მკვდარი მგელი ქვეშ მოექცია გრძნობადაკარგულს. პეტროვიჩმა მოხუცს მგლისათვის წაჭერილი ხელი გაუთავისუფლა. გადმოატრიალა, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. პეტროვიჩმა ხსართაგი მოიხმარა. თოვლით დაუზილა სახე, ხელები, ჭრილობები შეუხვიეს. გვიან გაახილა თვალი. სიარულის თავი არა ჰქონდა დასუსტებულს, ხსართაგმა თვალის დახამხამებაში არყის ხის ტოტებისაგან საკაცე შეკრა. ზედ ფრთხილად დააწვინეს მოხუცი და შინ წამოიყვანეს.

მალე ჩამობნელდა. პეტროვიჩი და ხსართაგი დაიღალნენ, ფეხის გადადგმის თავი აღარ აქვთ. ამას ისიც დაემატა, რომ ქარიშხალი ამოვარდა და ნაბიჯი აღარ გადაადგმევინა წინ. რა ქნან? ღამით ტაიგაში ცის ქვეშ დარჩენა სიკვდილს უდრის.

— გაჩერება არ შეიძლება, ხსართაგ, დავიღუპებით, — გააფრთხილა პეტროვიჩმა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს, მიდიან. მიდიან და აღარ თავდება გზა. ძაღლი წკავწკავით ურბენს გარს. მიახვედრა, გზას რომ ასცდნენ. საკაცე თოვლზე დაუშვეს, აღარ იციან, რა ქნან, საით წავიდნენ?

მოხუცმა თვალი გაახილა. მიიხედ-მოიხედა, მიხვდა რაშიც იყო საქმე.

— გზა აგრევიათ. აღმართზე გიცვლიათ გვერდი, ხეობას ძალიან დიდი მანძილით დაშორდით.

მოკლე გზა უჩვენა. ისევ ასწიეს საკაცე. ისევ გაუდგნენ გზას. ქარიშხალმა ჩქარა გადაიარა. გზა გამოჩნდა. ერთი წუთით შეისვენეს.

საკაცე ციმციმ ასწიეს. გზაში ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ. შუაღამე გადასული იქნებოდა, სამშვიდობოს რომ გავიდნენ.

დილით ისევ ადრე ადგნენ მონადირეები და წავიდნენ. პეტროვიჩი არ გაჰყვა მათ. მოხუცი ცუდად იყო. ღამე ხურვება დაეწყო და დილამდე არ განელებია.

ერთ კვირაზე მეტს დარჩნენ იქ მონადირეები. ნადირობაში ხელი მოემართათ. ყოველ საღამოთი მოჰქონდათ ციყვები, კვერნები, მელიები. ტყავებით გაივსო სათავსი. ის კი არა, სამი შავი მელაც მოკლეს. მაშინ გაიგო ხსართაგმა, რომ ბეწვეულში შავი მელა ყველაზე ძვირად ფასობდა.

საგზალი შემოელიათ, აღარც ტყვია-წამალი ჰქონდათ. თანაც ამინდი ისევ აირია. თოვა დაიწყო და აბა რაღას დაუდგებოდნენ მონადირეები. ტყავები დაახარისხეს, კონებად შეკრეს და სოფელში ჩამოიტანეს. მოხუცი ჯერ ისევ სუსტად იყო. სიცხე დაუვარდა, მაგრამ ადგომა არ შეეძლო, ამიტომ პეტროვიჩი დარჩა მასთან.

7.

სამი თუ ოთხი დღის შემდეგ პეტროვიჩი სოფელში დაბრუნდა. ხსართაგმა მოხუცის ამბავი ჰკითხა.

— ვერ არის კარგად. მე მეტის მოცდა აღარ შემეძლო და წამოვედი. ნეტავ რამდენიმე დღით შენ წასულიყავ, ხსართაგ. მაინც არაფერი საქმე გაქვს.

ხსართაგს გაეხარდა კიდეც. რაღაც გამოუცნობ სურვილი დაეუფლა, დაწვრილებით გაეგო მოხუცის ამბავი. ვინ იყო ეს მამაცი, მტკიცე და კეთილი მოხუცი? მით უმეტეს, რომ კავკასიელი ყოფილა.

მეორე დღეს პეტროვიჩის ძველ ტყავის ქურქში კარგად ჩაიფუთნა და დილაადრიან გაუდგა გზას.

გზა კარგად ახსოვდა. თხილამურებითაც უკვე საკმაოდ სწრაფი სრიალი ისწავლა. ტყის სიღრმეში თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოეხსნა და ბორკილებიდან გათავისუფლდაო, შვებით ამოისუნთქა.

მზე ჯერ ისევ მაღლა იყო, მოხუცის სადგომს რომ მიაღწია. ძლივს გააღო კარი. თოვლს თითქმის თავამდის მიენამქრა ქოხი.

მისი დანახვა ძალიან გაუხარდა მოხუცს.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, შვილო, გაიხარე, როგორც შენი მოსვლით მე გამახარე. — საწოლში წამოჯდა და ღუმელისკენ მიუთითა. — ცეცხლთან მიდი, ჩემო მზეო, მთლად გაყინულხარ.

— იწექით, იწექით, მე არაფერიც არ მიჭირს.

მოხუცი მაინც ადგა.

— ახლა არა მიშავს რა. ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო, ხომ გაგიგონია. ჰო მართლა, დიდად დავალებული ვარ თქვენგან. იმ დღეს ნამდვილად გავიყინებოდი, სწორედ სულზე მომისწარით.

— ჩვენ რა... აი თქვენ, საიდან გაქვთ ასეთი დიდი ღონე, ხელით როგორ დაახრჩვეთ მგელი?

— ხაფანგი მქონდა დაგებული. ერთი გაება, წარმოიდგინე. მეორემ არ მიატოვა. შემთხვევით წავადექი თავზე. ვეღარც სროლა მოვასწარი. ძაღლმა დამასწრო, ხაფანგში გაბმულს ეცა. მეორე კი პირდაპირ ზედ შემომახტა.

— ჩემმა მზემ, შვენატრი თქვენს ღონეს. აი მე, მგლებისა ისე შემეშინდა...

— ე, შვილო, სადღა მაქვს ღონე. ჩემი ყავლი გავლილ, ღონეც წამერთვა და ჯანიც. გათბი კარგად, მე ვახშმის თადარიგს დავიჭერ, — თქვა მოხუცმა და გარეთ გავიდა.

ხსართაგმა ოთახს თვალი მოავლო, იმ დღესაც იყო აქ, მაგრამ ახლა თითქოს ყველაფერი პირველად დაინახა. ნაძვის მსხვილი მორებით ნაგები კედლები, გვერდით რუსული ღუმელი, ღუმელის თავზე მოხუცის საწოლი, შუაში ფინგი. გვერდით კალათჯინი, სხვა სკამებიც ასეთივე. სპილენძის ქვაბის გარდა, პინები, კოვზები, თაბახი, ყვე-

ლაფერი ხისა, ის კი არა, წყლის კასრიც კი ხელით ნაკეთი, აი სწორედ ისეთი, მთაში რომ იციან.

მოხუცი შემოვიდა და დამარილებული ხორცი შემოიტანა.

— ვამარილებ ხოლმე, ხომ იცი, მონადირეს ყოველთვის არ ემართება ხელი. ასე კი მთელი წელიწადიც რომ იყოს, არ ფუჭდება, — ჩაილაპარაკა მოხუცმა და სპილენძის ქვაბით ხორცი ცეცხლზე შემოდგა. — ბარემ ვიცი, შენისთანა სტუმარს როგორ უნდა დახვედრა, მაგრამ ხელმოკლეობას მოუკვდეს პატრონი...

— ნუ წუხდებით, — დაირცხვინა ხსართაგმა.

ღუმელში ცეცხლი ღუდღუდებს. სპილენძის ქვაბიც თუხთუხებს. მოხუცი ტახტზე წამოწვა. ეტყობა, ჯერ ისევ სუსტად არის. ხსართაგიც ცნობისმოყვარეობით იწვის, რას ნიშნავს ეს ოსური ჭურჭელი? თვითონ ამ მოხუცის გარეგნობაშიც რაღაც ახლობელი და მშობლიური დაინახა. უნდა ჰკითხოს. რამდენჯერმე პირიც დააღო, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. მოხუცმა თვალი მილულა და ხსართაგი მოერიდა მის შეწუხებას.

ოთახში დუმილი გამეფდა, მხოლოდ ცეცხლის ტკაცატკუცი და და ქვაბის თუხთუხი არღვევს მყუდროებას.

გარეთ ქარიშხალი მძვინვარებს. ო, ო, აქ რომ სიცივე და ყინვა იცის, ალბათ ჯოჯოხეთშიც არ იცის ასე, ბოროტია ყინვა, არავის ინდობს და თუ იმძლავრა, ყოველ სულიერს ყინულად აქცევს.

იმ ღამეს ქარიშხალი არ დამცხრალა, მშიერი მგელივით ღმუოდა. ხან ერთი მხრიდან მოაწყდებოდა სახლს, ხან მეორედან. შინ შემოვარდნას ლამობდა. რომ ვერას გახდა, გაბოროტებულმა ფრთებით ახვეტა მთელი გორა თოვლი და მოხუცის სახლი წანამქრა.

ქარიშხლის ღმუილმა ხსართაგს ძილი დაუფრთხო. ერთხანს მოხუციც გადააგიწყდა და იმის სახლიც, ნაღველი მოერია. მოეჩვენა, თითქოს ქარიშხალი თავისი გალესილი კბილებით გულის ამოსაგლეჯად ჩასწვდა. და აი გული იყინება, ქარიშხალი კი წანამქვრით ემუქრება და ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თავისი ახალგაზრდობის ოცნებები აქ, ციმბირის მიწაში დამარხოს.

არა, არა, უნდა გაძლოს და შინ დაბრუნდეს, ნალყუთას შეპირდა, რა უფლება აქვს პირობას გადავიდეს. გავა გრძელი ღამეები. ზამთარს გაზაფხული შეცვლის და ისიც რაღაცას მოახერხებს, გაიქცევა, გაიქცევა და მთებს შეაფარებს თავს... მშობლიურ მთებს. იქ ყველაფერი ნაცნობია მისთვის.

ფიქრმა დაღალა, როდის გათენდება. დილით ისევ სოფელში წავა. ვასილიჩიც მარტოა. ეს ბერიკაცი რაღაცნაირად უყურებს... ღმერთმა დაიფაროს ამასთან ცხოვრება. არც არაფერს ამბობს. მარტო უყურებს, თითქოს ვიღაცას ამსგავსებს და ვერ მოუგონებიაო.

ძილმა თავი წაართვა. უცნაური სიზმარი ნახა. თითქოს თავის აულშია. ბიჭები თედოთიყაუს ციხის გვერდით მწვანეზე წამოწოლილან და მღერიან.

აგუბემ წამოიწყო სიმღერა, სხვებმა აიტაცეს. ეს ხომ ბათას ბიჭების სიმღერაა. მღერის ხსართაგი. ხედავს მწყემსი პირუტყვს მიერეკება. ძროხები ხბორებს ბღავილით აგებინებენ დაბრუნებას. მზემ თავის ოქროს სხივები სათითაოდ წამოკრიფა და სწრაფად მიეფარა გორას.

აგერ გოგოები წყაროდან აულში ბრუნდებიან. ბიჭებს გაუსწორდნენ და ყველაზე თამამმა წყლით გაწუწა ისინი. ისმის ერთი სიცილ-კისკისი. აგერ ნანა. წყლის კასრი წამოუკიდია და გოგოებს მოსდევს. ხსართაგს თვალით ყველაზე ლამაზზე უჩვენებს. გოგომ მოიხედა. ო, ღმერთო დიდებულო!

ნალყუთა!

სიმღერა ცხადად ესმის ხსართაგს. სიზმარია თუ ცხადი. თვალი გაახილა. ყური მიუგდო. სიმღერა შეწყდა. ხსართაგი პირველად ვეო მიხვდა, სად იყო, საიდან ესმოდა თავიანთებური სიმღერა. შეწყდა სიმღერა და გაქრა ოცნება. ცივმა ოფლმა დაასხა. კინაღამ დაიყვირა. შეშლილივით წამოვარდა და მოხუცთან მიიჭრა.

— ვინა ხარ? სადაური? — იყვირა მან.

მოხუცი ტიროდა. ცრემლები პერანგის სახელოთი შეიწმინდა, მერე ხსართაგი შვილივით ჩაიკრა გულში.

— ღმერთო დიდებულო, მადლობას გწირავ, ისე არ მოვკვდი, კიდევ არ გამეგონა მშობლიური სიტყვა! არ ვყოფილვარ მთლად განწირული.

ხსართაგი ენაჩავარდნილივით იდგა და არ იცოდა რა ექნა, ეტირა თუ ეცინა. კარგა ხნის შემდეგ მოიკრიბა ძალა და მოხუცს შეეკითხა:

— რა ჩაიდინე ისეთი, სიბერეში ამ დაკარგულ ქვეყანაში რისთვის გადმოგასახლეს?

მოხუცმა თავი ხსართაგის მკერდში ჩამალა და გზა მისცა ცრემლებს. ვინ იცის, რამდენი წელი გროვდებოდა ეს მწველი ცრემლი მის გულში. აი ახლა დაიწურა მოხუცის ნატანჯი გული.

— ოცი წელი... მთელი ოცი წლის მანძილზე პირველად გავიგონე ოსური სიტყვა... პირველად ვხედავ ჩემიანს, ჩემს სისხლსა და ხორცს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლუღლუღებს მოხუცი. — ვგრძნობდი, რომ ისე არ მოვკვდებოდი, ჩვენებური არ მენახა, არ მინდოდა ისე სიკვდილი, რომ ჩემს მამისერთას ჩემი ამბავი არა სცოდნოდა. ო, დიდება, შენდა, მაღალო ღმერთო, შეისმინე ჩემი ვედრება. მაშინაც დავეჭვდი, ვიღაცას მიგამსგავსე... მაგრამ ვეღარ მოვიგონე, ვის?.. ვერც შეგეკითხე, გამიჭირდა. ეს დღეები სულ შენზე ვფიქრობდი. პეტროვიჩს ვთხოვე, როგორმე კიდევ მაჩვენე-მეთქი.

— მეც ვიფიქრე, ეს ფინგი, კალათჯინი, ჩვენებური წყლის კასრი... ხანჯალა დანა, და თქვენ თვითონ...

— ვინა ხარ, შვილო, საიდანა ხარ? რამ გადმოგაგდო ამ ჯოჯოხეთში?

— ვიღაცის ბოროტი ენით დაიღვარა სისხლი... — და სიტყვა გაუწყდა.

— დაიღვარა სისხლი! — ამოიგმინა მოხუცმა. — ისედაც ერთი მუჭაა ოსი ხალხი, რომელსაც თავიდანვე უბედურება დაებედა. ამასაც არ ვკმარობთ და ერთმანეთს ხანჯლის წვერით მივერეკებით საფლავისაკენ.

ხსართაგს ჭირის ოფლმა დაასხა, თითქოს მოხუცის წინაშე თავს იმართლებსო, თქვა:

— ბოროტი ენა იყო დამნაშავე.

— ბოროტებიც არ გვაკლია. რომელი აულიდან, ვისი ბიჭი ხარ?

— თედოთიყაუ გაგიგონიათ? იქაური ვარ, ხსართაგი მქვია, გვარად ბესოლთი.

მოხუცის თვალები ნაღვერდალივით ეცა ხსართაგს:

— მოიცა, მოიცა, თუ თედოთიყაუდან ხარ, თანაც ბესოლთი, ხასანასა და ბარსაგს არ იცნობ?

— ბარსაგი მამაჩემია, ხასანა... — ვეღარ დაამთავრა ხსართაგმა, გულმა ისე შემოჰკვნესა ხასანას ხსენებაზე, ეგონა, საცაა გამისკდებაო.

— დიდება შენდა, უფალო! ბარსაგის ბიჭი! არ მინდოდა დაჯერება, თორემ მიგამსგავსე, ბარსაგს მიგამსგავსე. ილაპარაკე, შვილო, მითხარი, ზარინა როგორ არის? ჩქარა, ჩქარა თქვი, მოთმინება აღარ მყოფნის!

ხასანასა და ზარინას ხსენებამ ხსართაგს ძარღვებში სისხლი გაუყინა. გული თითქოს გაუჩერდა. ვინ არის ეს ბერიკაცი? რატომ შეეხო მტკივნეულ ადგილს? ერთი წუთით თითქოს ცეცხლი წაეკიდა. თავში ათასი აზრი შხამიანი გველის წიწილებივით აირია და ერთმანეთს წაეკიდნენ.

— მაპატიე, ბერიკაცო. შენ თვითონ ვინა ხარ, საიდან იცნობ ხასანასა და ზარინას, მამაჩემს?

მოხუცს თვალები გაუბრწყინდა.

— მამა ვარ ზარინასი... ძანგი ვარ, ბიჭო, არ გაგიგონია?!

— შენ? ზარინას მამა?!. არ ჰყავდა ზარინას მამა. ხშირად ტიროდა ზარინა...

— ჩემი მამისერთა გოგო...

— მერე სად იყავ? რატომ არ მოდიოდი ჩვენთან?

ძანგმა დაწვრილებით უამბო თავისი ამბავი. ყველაფერი — ელოითი ალდართან მოჯამაგირეობა, აგუნდას გატაცება, ზარინას დაბადება. მერე აგუნდას სიკვდილი. ზარინას და ხასანას სიყვარული. ძანგი ტიროდა. თავის სიცოცხლეში მესამედ ყვებოდა საკუთარ თავგადასავალს — პირველად იქ, ცარგასბადანში გაბოს მოუყვა, მეორედ მთის ძირში ხასანას და ახლა აგერ ხსართაგს უყვება.

ხსართაგი აღარ ეჭვობს, რომ მოხუცი ძანგია ზარინას მამა.

— კი მაგრამ, განა რა ჩაიდინე ისეთი, ამდენი წელი რისთვის გადმოგასახლეს?

ძანგმა უცბად არ უპასუხა, ჩაფიქრდა, მერე ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოაყოლაო.

— ეგ გრძელი ზღაპარია, ჩემო მზეო, მაგრამ რაკი გაინტერესებს, ყველაფერს გეტყვი. ღამე დიდია, ზამთარი უსასრულო, რა გეჩქარება, გეტყვი. ჯერ ვივახშმოთ.

ივახშმეს. მერე ძანგმა კვარი გამოცვალა, ღუმელზე დაგებულ თივაზე მიწვა და მოყოლა დაიწყო:

— რაკი ჩემი ზარინა მარჯვე ბიჭის ხელში ჩავარდა, ვიფიქრე, ბედნიერი იქნება და ჩემი დახმარება აღარ დასჭირდება-მეთქი. ჯავრის ამოყრის საშუალება მომეცა. ჩემი ჯავრი კი დიდი იყო. ვისგანაც ჯავრი დამიგროვდა, ისინიც ბევრნი იყვნენ. მე კი ერთი. ოთხი ცეცხლივით ბიჭი შევიერთე, ისინიც ალდარის უსამართლობას გამოქცეოდნენ. იმხანად, შენ პატარა იყავი, მაგრამ იქნება გაგიგონია ყაჩაღი ყასაი. მე მეძახდნენ ყასაის. შიშის ზარს ვცემდი მთელი ცხინვალისა და გორის მაზრის თავად-აზნაურობას. არც პოლიციას ვაკლებდით ხელს, ძაღლებივით ვხოცავდით. მიზანს ხვდებოდა ჩვენი ტყვია, არ გვატყუებდა თვალი. მდიდრებს ვართმევდით და ღარიბებს ვაძლევდით. ქვრივ-ობლებს, ღარიბ-ღატაკებს მფარველობას არ ვაკლებდით. დასაჭერად დაგვსდევდნენ. ათას მანეთს ჰპირდებოდნენ, ვინც ჩვენს თავს პოლიციას ჩაუგდებდა ხელში. მაგრამ ფხიზლად ვიყავით. ხალხი გვეხმარებოდა. მომხრეები თითქმის ყველა აულში გვყავდა.

მაგრამ გამოჩნდა მთავრობის დამხმარე, მოღალატე, არარაობა. ჩვენი სამყოფელი მთავრობას შეატყობინა, უბედურმა გამდიდრება მოინდომა. ყაზახებმა ალყა შემოგვარტყეს, გაგიხარია, ისინი ვყლიტეთ, მაგრამ არც ჩვენ დაგვადგა კარგი დღე. ამხანაგები დამიხოცეს, მე კი მძიმედ დაჭრილი დამიჭირეს, ათი წლით ციმბირში გადასახლება მომისაჯეს. ციმბირში რა გამაძლებინებდა, გავიქეცი. ისევ დამიჭირეს, ისევ გადმომასახლეს, მას შემდეგ ათჯერ ვცადე გაქცევა, არც ერთხელ არ გამიმართლა. სად არ ვიყავი, მტკაველ-მტკაველ გადავზომე მთელი ციმბირი, ვის არ შევხვედრივარ აქ. ნამდვილ ადამიანებს. ნაძირალებს. ერთი წისქვილი არ დაბრუნებულა ჩემს თავზე, სხვა ყველაფერი გამოვცადე.

ჰე, ასე, ჩემო მზის სხივო, ტკბილი ყოფილა სიცოცხლე. ხომ ხედავ, ახლა სად ვცხოვრობ? სამი წლის წინ მოვხვდი არყიჭალაში. წინათ სხვა სოფელში ვცხოვრობდი, იქ უნდა მომეხადა სასჯელი. ნადირობისას აქ შემთხვევით მოვეხეტე. ამ ადგილმა რატომღაც ცარგასბადანის ხეობა გამახსენა, სადაც მე და აგუნდა დავსახლდით და სადაც თითქმის ოცი წელი გავატარე. პატიმრობის ყავლი გამივიდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება გადავიფიქრე. დავრჩი აქ, ეს პატარა ჩვენებური სახლი დავდგი და დავსახლდი. ხალხს მოვწყდი. სულ მარტო დავრჩი ჩემს წარსულთან, მოგონებებითღა ვცოცხლობ, არა-

ვინ მაწუხებს, არც არავის ვაწუხებ. შევეჩვიე მარტოობას და ასე უფრო მიადვილდება ცხოვრება. აქ ყველაფერი ჩემს ახალგაზრდობას მაგონებს. ლამაზი ოცნება დიდი ხანია ჩაქრა, მაგრამ ფიქრს ვინ დაშიშლის. წარსულის მოგონებებით ვიმოკლებ სიცოცხლეს. ძნელია აქ ცხოვრება, მაგრამ რა ვქნა, ხომ გითხარი, ასე მირჩევნია.

ხანდახან ვიტყვი, დავბრუნდე შინ, მაგრამ სად? ვისთან? არც სახლი მაქვს, არც კარი, არც მშობლიური აული. ჩემს ქალ-სიძესთან? იმათი იმედი მაქვს, ლუკმას არ დამამადლიან, მოვკვდები და დამმარხავენ. მაგრამ მეშინია, იქ ალბათ ჯერ არ დავიწყებიათ ყასაის სახელი. ძალიან შევავიწროვე მაშინ თავადაზნაურობა, პოლიცია. მეშინია, ჩემს შვილებს უსიამოვნება არ მივაყენო. არადა, მათთვის მე დიდი ხანია მკვდარი ვარ. რა საჭიროა, საიქიოდან დაბრუნება, ხელახლა დამარხვა, ტირილი, გლოვა? აქ, მართალია, ძალიან მიჭირს, მაგრამ სახლი მაქვს, სასმელი არ მაკლია და საჭმელი, ნადირით სავსეა ტყე, არც არავისი მეშინია, არც არავინ მაწუხებს. იქ, ჩვენთან, ციმბირზე უარესია, თუმცა მე აღარაფერზე ვნაღვლობ. ცხოვრებაც გაფრინდა. ერთი სურვილი მკლავს მხოლოდ. ჩემი ზარინასთვის შორიდან მაინც მომაკვრევინა თვალი...

აი, ჩემო კარგო, ეს არის ჩემი ამბავი, ახლა მაინც მითხარი, როგორ არის ჩემი შვილი? როცა მოვკვდები, დედამისი მკითხავს მის ამბავს, რა ვუთხრა?

დაამთავრა ძანგმა თავის სამწუხარო ზღაპარი და ხსართაგს პირდაპირ თვალებში შეხედა.

ხსართაგს თმა ყალყზე დაუდგა. ძანგი ზარინას ამბავს ეკითხება. რა უთხრას? ორი დღის სიცოცხლეღა დარჩენია და ერთი სიტყვით როგორ მოუსპოს?

— რატომ არაფერს იტყვი, ხსართაგ, ხომ არაფერი... — შეშფოთდა ძანგი.

— არა, ღმერთმა დაიფაროს, ზარინა კარგად არის, ძალიან კარგად, შენმა ნაამბობმა ჩამაფიქრა.

— ღმერთმა სიცოცხლე მოგცეს, — შვებით ამოისუნთქა ძანგმა და ისევ მუდარით შეხედა ხსართაგს. — ილაპარაკე, მითხარი ყველაფერი, ხომ იცი, რამდენი ხანია თქვენი ამბავი არ გამიგია.

— ყველანი კარგად არიან. მამაჩემი ავადმყოფობს, მხოლოდ. ზარინა ყველას უყვარს. ხასანაც... ძალიან ტკბილად ცხოვრობენ. შვილი ცოტა გვიან ეყოლათ... მე რომ იქ ვიყავი, ერთი ბიჭი ჰყავდათ. — ძლივძლივობით აბამს ლაპარაკს თავს ხსართაგი, მისი სიტყვები ძანგს სიცოცხლეს მატებს, მაგრამ იგივე სიტყვები ხსართაგის გულს სადგისივით ჩხვლეტს.

აქამდე გაზაფხულის მოლოდინით ცოცხლობდა ხსართაგი, ძანგის შეხვედრამ და იმან, რომ სიმართლე დაუმალა, სულ მოადუნა. გულზე ლოდი აწვა და დღითი დღე ადნობდა, ათი წლით ციმბირში გადასახლება ისე არ გასძნელებია, როგორც ის, რომ მოხუცს მოატყუა,

სიმართლე დაუმალა, პირდაპირ შეხედვას ვეღარ ბედავს, ეშინია, თვალებმა არ გასცენ.

ერთხელ ძანგი შეეკითხა:

—ხსართაგ, რატომ არ მეტყვი, რა გაწუხებს, ამ თვალუწვდენელ მხარეში მარტო მე და შენა ვართ ოსები, ისიც ნათესავები, რას მიმალავ, შვილო? პატარა რომ იყავი, ვინ იცის, რამდენჯერ იჯდებოდი ჩემი ზარინას კალთაში.

ხსართაგმა ძლივს შეიკავა თავი. კინაღამ ხმამაღლა აღრიალდა. მართლაც დედასავით უყვარდა ზარინა. ახსოვს ხსართაგს, პატარა რომ იყო, სულ თან დაჰყავდა ზარინას. ხან ხელში ეჭირა, ხან ზურგზე ეკიდა... მოუნდა ძანგის წინ მუხლებზე დაცემა და სიმართლის თქმა, მაგრამ ეს ხომ ბერიკაცის სიკვდილს უდრიდა. და თავი შეიკავა.

— უნდა გავიქცე, ძანგ!

ძანგი ტახტზე წამოწვა. თვალები ჭერს მიაშტერა. კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო. ეტყობოდა, თავის თავს ებრძოდა, მერე ხმელი ფოთლისფერი ტუჩები შეარხია და ძლივს ამოღერღა:

— მტკიცედა გაქვს გადაწყვეტილი?

— ჰო, აუცილებელია ჩემი შინ დაბრუნება...

— მე ათჯერ მაინც ვცადე, ვერც ერთხელ ვერ ჩავაღწიე, შუა გზიდან უკან მაბრუნებდნენ.

— დამაბრუნონ, დამხვრიტონ, ასო-ასო ამკუწონ, ცეცხლში ჩამაგდონ, მე მაინც გავიქცევი...

— რომ ვერ შეძლო, მეშინია... აქედან ადვილი არ არის გაქცევა. გაუვალი ტყეები, მეტად ვერაგი ჭაობები, მშიერი მგლების ხროვა, მეფის მეძებრები. ან ერთს ჩაუვარდები პირში, ან მეორეს. საბუთი გინდა, შვილო, საბუთი, მაგრამ სად არის, ვინ მოგცემს. სამჯერ მივაღწიე რკინიგზამდე, თავი რომ სამშვიდობოს მეგონა, მაშინ ჩამომსვეს მატარებლიდან.

— არ მინდა მატარებელი, ფეხით ვივლი.

— ეჰ, შვილო, როგორ გეტყობა, გამოუცდელი რომ ხარ. აქედან ჩვენამდე ფეხით ვერ ჩააღწევ, ჩემო მზეო. თუ მტკიცედა გაქვს გადაწყვეტილი გაქცევა, მაშინ სხვა რამ უნდა მოვიფიქროთ. მაგრამ იცოდე, აქედან რომ გაიქცე, იქ მაინც საფრთხე გელის.

— ყაჩაღად გავვარდები და ყასაივით მეც სახალხო გმირი გავხდები, არც მე შევარჩენ ჩემს ჯავრს მტერს.

— ყაჩაღს მხოლოდ ორი გზა აქვს, ხსართაგ, ან მტრის ტყვია მიეწევა, ან აქ მოვა.

— თუკი ჯავრს ამოვიყრი, შურს ვიძიებ, აქ ყოფნას აღარაფრად ჩავთვლი.

— შურის საძიებელნი ბევრნი არიან, სად გეყოფა ძალა?

— მეყოფა...

— ყური მიგდე, ხსართაგ, ოდესღაც მეც შენსავით ვფიქრობდი, შეგონა, გავწყვეტდი იმათ, ვინც მე დამჩაგრავდა და დავმშვიდდებო-

დი. ასეც მოვიქეცი, ძანხოთზე მწარედ ვიძიე შური. სიკვდილი სანატრელი გავუხადე, ჩემსავით გავაღატაკე, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? მეგონა, მისი მამული ხალხს დარჩებოდა, სინამდვილეში კი სულ სხვა მოხდა. ელოითი ძანხოთი მოვაშორე ხალხს, მისი ადგილი სხვამ, უფრო ძლიერმა ალდარმა დაიკავა. რა შეიცვალა ხალხისათვის? არაფერი. ერთი მგელი მეორემ, უფრო ძლიერმა და გაუმაძღარმა შეცვალა. ჩემსავით ღატაკი და უქონელი ხალხი ერთი უღლიდან განთავისუფლდა, მაგრამ მაშინვე მეორე უღელი დაადგეს ქედზე.

— ჯავრი ხომ ამოიყარე.

— ამოვიყარე, ეგ მართალია, მაგრამ სხვებს რომ ვერაფრით შევუმსუბუქე მდგომარეობა? თანაც ახლა სხვა მტერი გავიჩინე, ბოქაულმა ჩაფრები მომისია. მეძებარი ძაღლივით მომყვა კვალზე. მოვკალი ბოქაული. მის მაგიერ სხვა დანიშნეს. იმ პირველზე უფრო უარესი სისხლისმსმელი, ისიც პირველს მივაყოლე... და რამდენი სხვა?.. დღითი დღე ვიმრავლებდი მტერს, ჯავრი არც მე შევჭამე, გაგიხარია, მე იმათი სისხლით გული ვიჯერე. მაგრამ მაინც რა გამოვიდა, კიდევ რამდენი დამრჩა უვნებელი. ჩამიგდეს ხელში და აი სად ამომაყოფინეს თავი. მაინც, მადლობა ღმერთს, ვერ გაიგეს, ვინა ვარ. მე ხომ სრულიად უბრალოდ ჩავვარდი. ის რომ გაეგოთ, აბრაგი ყასაი ვიყავი, სახრჩობელა არ ამცდებოდა. არა, შვილო, არა, შენ როგორც ფიქრობ ბრძოლას, ეგ გზა არ გამოდგება. ყაჩაღობით ვერაფერს გახდები, პირიქით, შენი გულისათვის ხალხს შეაწუხებენ.

— არაფერი მესმის შენი, ძანგ, ჩვენებურად მითხარი, მაშ როგორ? რა გზას დავადგე?

— ეჰ, ჩემო ხსართაგ, შენ გგონია, მე თვითონ კი მესმის? ჭკუა შეზღუდული მაქვს, ენა ბლაგვი, მაგრამ აქ ბევრ ჭკვიან პატიმარს შევხვდი. მეფის მთავრობა სწორედ აქ გზავნის ჭკვიან ხალხს. მათ, ვისიც ეშინია, ვინც მის წინააღმდეგ გაბედავს ხმის ამოღებას, აქ მარხავს. ახლა ვიცი, პირადი შურისძიება ხალხის ცხოვრებაში ვერაფერს შეცვლის. მეფის მთავრობა უნდა დაემხოს. ამისათვის კი დიდი ძალაა საჭირო. თუ ერთიანად აღსდგნენ ჩაგრულნი, მაშინ მათი მომრევი აღარავინ იქნება. ეჰ, ახლა რომ შენი ტოლი ვიყო, მე ვიცი, როგორც ვიბრძოლებდი, მაგრამ რაღაი, ჩემი დღეები დათვლილია, აღარც მკლავი მიჭირს და აღარც მუხლში მაქვს ღონე. ბევრი რამ გამიგონია „ბუნტოვჩიკებისგან“, მართალია, ძნელია ყველაფრის გაგება ჩემთვის, ისინი ნასწავლი ხალხია, მე კი, ხელის მოწერა ძლივს ვისწავლე. მაგრამ ის კი გავიგე, რომ თავისუფლების მოპოვება მხოლოდ ბრძოლით შეიძლება. ცხოვრება სხვა გზით უნდა წავიდეს.

ასე, ჩემო ძვირფასო, აბრაგები მარტო საკუთარი ჯავრის ამოყრით იფარგლებიან, ისინი მხოლოდ პირად მტრებს ებრძვიან, მაგრამ ზოგი შურისძიებასაც ვერ მოასწრებს, ისე გამოასალმებენ სიცოცხლეს. ასე არ ვარგა, მთავარია, საერთო მტერი დამარცხდეს. ამისათ-

ვის კი ხელმძღვანელია საჭირო. მჯერა, გამოჩნდება ძალა, რომელიც თან გაიყოლებს ჩაგრულ ხალხს და ხალხი ბრძოლით მოიპოვებს ადამიანურ უფლებას. მაშინ აღარ იქნება ქვეყნად უსამართლობა. მე მჯერა ეს და შენც დაიჯერე, ეგ გზა გავლილი მაქვს. მესმის შენი. მეც ეგრე ვფიქრობდი, გვიან ჩავწვდი ჭეშმარიტებას. ჭკვიანი ხალხი დაშეხმარა, უბრალო ენით მიხსნიდნენ, მასწავლიდნენ. გმობდნენ ჩემებურ ბრძოლის გზას და მივხვდი, ისინი მართლები იყვნენ. წეღანაც გითხარი, შენი ტოლი რომ ვიყო, მე ვიცი, როგორც ვიბრძოლებდი, მაგრამ ახლა რა, ძალიან დავბერდი, მოვტყდი. შენ? შენ უნდა იბრძოლო ხვალინდელი დღისათვის. ყაჩაღად გავარდნას არ გირჩევ, გახსოვდეს, ბოქაულის და მამასახლისის მოკვლით ცხოვრებას ვერ შეცვლი.

ხსართაგი ჩააფიქრა ძანგის ლაპარაკმა. სწორედ ასე უთხრა ვასილიჩმაც. მათი აზრები ერთიმეორეს დაუპირისპირა და ისინი მთლიანად დაემთხვნენ ერთმანეთს. თითქოს ერთი ენით ელაპარაკა ორი ადამიანი.

ოცნებით წარმოიდგინა ის ხელმძღვანელი, ძანგმა რომ ახსენა. თითქოს თეთრ ცხენზე ამხედრებული გამოჩნდა და ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდა. წარმოიდგინა, რომ ეს ჭკვიანი და ძლიერი ხელმძღვანელი თვითონ ყასაი იყო.

ამ ლაპარაკის შემდეგ ხსართაგის თვალში კიდევ უფრო გაიზარდა ძანგი. ახლა უფრო დიდი ხათრითა და რიდით დაუწყო ყურება. კიდევ უფრო არარაობად მოეჩვენა საკუთარი თავი, რომელმაც ვერ შეძლო სიმართლე ეთქვა ამ დიდბუნებოვანი ადამიანისათვის.

ერთი კვირის შემდეგ ხსართაგი სოფელში დაბრუნდა.

ისევ წიგნს ჩაუჯდა. გონიერია, რასაც კი ვასილიჩი ასწავლის, ყველაფერს ადვილად ითვისებს. მასწავლებელი კმაყოფილია მოწაფით.

მოწყენილობისა და ფიქრისათვის დრო აღარ რჩება. წერს, კითხულობს, დიდი გულისყურით უსმენს ვასილიჩის მოყოლილ საოცარ ამბებს.

ხსართაგმა ვასილიჩს დაწვრილებით უთხრა ძანგის ამბავი.

ვასილიჩმა ყურები ცქვიტა.

— მოიცა, მოიცა, ეგ კაზბიჩი არ იყოს?

— არა, ძანგი ჰქვია. ჩვენში ყასაის სახელით არის ცნობილი, განთქმული აბრაგი იყო. მაგის შიშით ალდარებსა და მთავრობას მოსვენება ჰქონდათ დაკარგული, ხალხმა მასზე ლეგენდები და სიმღერები შეთხზა.

— ვიცი, ის არის, ჩვენები კაზბიჩს ეძახიან. ბევრ რევოლუციონერს დაეხმარა აქედან თავის დაღწევაში. ჩვენიანია, იქ პეტერბურგში იციან მაგის ამბავი. ერთი ჩემი მეგობარი მელაპარაკა. დიდი ამაგი დასდო თურმე. გაქცევა მაგან მოუწყო. აუცილებლად ვნახავ.

„გაქცევა მოუწყო, — გულმა ჩამოჰკრა ხსართაგს. — კი მაგრამ,

თუ რამე შეუძლია, რატომ არ მეხმარება, ჩემი სისხლი და ხორცი, ზარინას მამა?"

ერთ დღეს ხსართაგი ნადირობიდან დაბრუნდა, შინ უცხო კაცი დახვდა, ვასილიჩმა გააცნო, პოლიტიკური პატიმარიაო. სტუმარს სახეზე მკვდრის ფერი ედო, მძიმედ სუნთქავდა. ხსართაგს შეეშინდა, საცაა მოკვდებაო. ცარიელი ძვალი და ტყავი იყო. ყვრიმალის ძვლები უჩანდა, თვალები ღრმად ჩასცვენოდა და ჩამწვარი კვარივითღა ბჟუტავდნენ. ტუჩები შემოდგომის ფოთოლივით მშრალი და უფერული ჰქონდა. თავს ძლივს იმაგრებდა, ლაპარაკობდა, მაგრამ ხმა სულ არ ისმოდა. ისე ახველებდა, რომ თვალებიდან ცრემლები სცვიოდა.

— წელს თხუთმეტი წელი გავათავე... ვადაც გამივიდა.. და აი... ბედისმწერალი ზედ ზღურბლზე წამომეწია, ლოგინში ჩამაგდო. ვერ გავუფრთხილდი თავს, ჩემი ბრალია. ამ ერთი თვის წინ სანადიროდ წავედი, ამინდი აირია, მე კი მსუბუქად ვიყავი ჩაცმული. გავცივდი... პატრონი არა მყავდა, ვინ მომხედავდა. გამირთულდა ავადმყოფობა, ალბათ ფილტვებზე გადამივიდა. ახლა ვითომ საავადმყოფოში მივყავარ, მაგრამ რაღას მიშველიან. ვატყობ, ჩემი დღეები დათვლილია. ძალიან დავსუსტდი, თავი მტკივა, ასე მგონია ცეცხლი მიკიდია... ღმერთო, როგორ მეძნელება სიკვდილი... ნეტავი ერთხელ კიდევ მაჩვენა ჩემი ცოლ-შვილი. ალბათ ჩემი პატარა ალიონა უკვე გასათხოვარი გახდა. ხუთი წლისა დავტოვე...

ავადმყოფის ლაპარაკმა ისე იმოქმედა ხსართაგზე, კინაღამ ატირდა. თხუთმეტი წელი... ღმერთო ჩემო... თხუთმეტი წელი... ხომ შეიძლება, ისიც ასე გახდეს ავად და შინ ჩასვლა აღარც ეღირსოს. ისე დაუმძიმდა გული, შეეცოდა თავისი თავი. არა, იმიტომ კი არა, რომ სიკვდილისა ეშინოდა, იმიტომ, რომ მტრის ჯავრს ვერ ამოიყრიდა... ვეღარასოდეს ნახავდა ნალყუთას...

ავადმყოფს ისევ ხველა აუტყდა. ვასილიჩმა ჩაი აუდუღა, თუნუქის ფინჯანში შაქრის კვნიტი ჩააგდო და მდუღარე დაასხა. ავადმყოფმა დიდხანს ახველა. მერე, ორიოდ ყლუპი ჩაი მოსვა და თითქოს შვება იგრძნო. ამასობაში მარხილიც მოვიდა. გამყოლს ეტყობოდა, ცხარე არაყით კარგად ეჯერებინა გული.

— წასვლის დროა, — დაიძახა გარედანვე. — ჰა, დავგვიანდით, მოდიხარ? თუმცა რას მაწვალებენ ტყუილუბრალოდ. კი არ მეზარება, მაგრამ რა საჭიროა, რამდენი წამიყვანია და უკან აღარავინ დაბრუნებულა. რომ ვთქვათ, სადღა მიდიხართ! რა მნიშვნელობა აქვს, კაცი რომ მოკვდება, სადაც გინდა დაიმარხოს...

ავადმყოფი ციმციმ გამოიყვანეს ხსართაგმა და ვასილიჩმა, ტყავის ქურქში თბილად შეფუთნეს და მარხილში ჩასვეს. მან უღონოდ დაეაქნია თავი და თითქოს საფლავში მიდიოდა, საწყალობლად შეხედა თავის კეთილისმსურველებს.

— ვასილიჩ, შეიძლება ვეღარა გნახოთ, ერთი სათხოვარი მაქვს,

ვიცი, ხვალ-ზეგ ხალხი გაიმარჯვებს, ჩვენი სახელიც არ დაივიწყოთ... მშვიდობით!

— მშვიდობის მგზავრობა მოგცეს!

მშრალი თოვლი აჭრიალდა, მარხილი გაცურდა და ავადმყოფი თან გაიტაცა.

მეხუთე თავი

კიდევ მოვა გაზაფხული

1.

ზამთრის ცივი დღეები ერთიმეორეს გადაეება. ისედაც ჯავრით გათანგულ ხსართაგს გული გადაელია. ხანდახან ნაღველი ისე მოეძალება, ჰგონია გაზაფხული აღარასდროს დადგება. მახეში გაბმული ნადირივით აწყდება აქეთ-იქით, მაგრამ თავზევით რა ძალა აქვს. მოთმინებაა საჭირო და ისიც ითმენს. ერთ საღამოს ამ ფიქრში იყო, რომ გარედან წივილ-კივილი მოესმა. ქალი განწირული ხმით კიოდა:

— მომკლა, მიშველეთ!.. მიშველეთ!.. ვინა ხართ ქრისტიანი!

ხსართაგი გარეთ გამოვარდა. ხმა მედუქნე ტროფიმ პეტროვიჩის ეზოდან მოდიოდა. იქით გაიქცა და რას ხედავს. ვაჭრის ცოლს, მარფას წელამდე თოვლში ვიღაც წაუქცევია და გამეტებით სცემს.

მეზობლებმაც მოირბინეს, მაგრამ წაქცეულს არავინ მიეხმარა.

„მოკლავს ნამდვილად“, — გაიფიქრა ხსართაგმა და ფეხს აუჩქარა.

— შე კახპავ, შენა, ქმარი გინდა წამართვა? ჰა, ინებე! — და ერთი თუ ორი... გაცოფებულმა ზორბა დედაკაცმა მსხვერპლი ქვეშ მოიქცია და საცაა სულს ამოხდის.

— რად კლავ, რა დაგიშავა ისეთი? — ხსართაგმა ხელები დაუჭირა გამარჯვებულს და მსხვერპლს ძლივს ააგლიჯა.

— იქით, უღმერთო, ბუსურმანო, მე შენთან არაფერი მესაქმება, გამიშვი, მოვკლა... — ხსართაგს გაუჭირდა დედა ვეფხვივით გაავებული დედაკაცის გაკავება.

ამასობაში ტროფიმ პეტროვიჩი საიდანღაც გაჩნდა და ცოლს ეცა.

— გეყოფა, უსირცხვილო, რა ქვეყანა შეყარე! — მარფა თითქოს ამას ელოდაო, ქალს თავი გაანება და ქმარს მიუბრუნდა.

ხსართაგმა ნაცემი დედაკაცი წამოაყენა და შინ წაიყვანა. ის საცოდავი სულ ერთიანად ცახცახებდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

— ცეცხლთან ახლოს მიიწიე, შე საბრალოვ, — უთხრა ვასილიჩმა და სკამი ღუმელთან სულ ახლოს დაუდგა. — ხსართაგ, არიქა, ჩაიდანი შემოდგი ცეცხლზე.

ხსართაგმა ჩაი აადუღა. ხმელი პურის ნატეხი და ჭიქა ჩაი მიუტანა მოსულიერებულ დედაკაცს.

— რაო, რაზე გკლავდა ის აფთარი? — წიგნიდან თავი არ აუღია, ისე ჰკითხა ვასილიჩმა.

— ბებერი ძროხა.. ქმარზე ეკვიანობს. მიმიფურთხებია ორივესთვის. მშიოდა და მივედი, იქნებ მაჭამონ-მეთქი. ის ძროხა კი... ქმრის წართმევისა შეეშინდა, ნეტავ რა თავში ვიხლი ბებერ ვირს. თვითონ აღარ მეშვება, რა ვქნა. არც საჭმელი, არც ჩასაცმელი. გაჭირვება თურმე რას არ აკადრებინებს ადამიანს. ვკვდებოდი. ტროფიმ პეტროვიჩმა მომაქცია ყურადღება, მაჭამა, ჩამაცვა, გამათბო. მას შემდეგ თავს ნებას აძლევს... რო დათვრება, მოდის.. ჯერ იმისი ერთი დანახვა წლის სიცოცხლეს მაკლებს, ახლა მისი ძროხა... რა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი. შიმშილი და სიცივე თუ არაფერს დამაკლებს, ის ძროხა მაინც მომკლავს.

— შენც პატიმარი ხარ? — გაბედა ხმის ამოღება ხსართაგმა.

— ჰო.

— საკვირველია, ქალი და ციმბირში გადასახლება? შენ რაღა დაუშავე მეფეს?

— სახლ-კარი გადავუწვი ერთ ოხერს.

— რა დაგიშავა ისეთი?

— მომატყუა, ნამუსი შემიგინა და ვერ მოვითმინე.

ადრე წაიბორძიკა ადამიანმა. უდროოდაც იმიტომ შეეჭირხლა თმა. სახეზე ოდესღაც მწიფე ატამივით მკვრივი და ხაოიანი კანი ახლა წვრილ ნაოჭებს დაუფარავს. ფოსოებში ღრმად ჩაცვენილ თვალებს საწვიმრად დაბურულ ცასავით ნისლი გადაჰკვრია.

იმ ღამეს ხსართაგი და ვასილიჩი ტახტზე მოთავსდნენ, ის საბრალო კი ღუმელზე აგზავნეს.

დილით კარი ძლივს გააღეს. ქარიშხალს მთელი სახლი წაენამქრა, ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ.

ნატაშამ წასვლა დააპირა.

— ასეთ ამინდში სად წახვალ, საცოდავო, გზაში ან გაიყინები, ან მგლის ლუკმა გახდები.

— თქვენი შეწუხებისა მერიდება, თანაც მეშინია, ჟანდარმმა არ მომიკითხოს და იქ რომ არ დავხვდები, გაქცეულად არ ჩამთვალოს.

— ჩვენ სულაც არ ვწუხდებით. იყავი, არაფერს გვიშლი, ნურც ჟანდარმი გაფიქრებს. ამ მეორედ მოსვლაში იმას შენი ღარდი სულაც არა აქვს.

და დარჩა ნატაშა.

2.

ქარიშხალმა გადაიარა. ამინდი გამოკეთდა, მაგრამ ნატაშა წასვლას აღარ აპირებს. არც ხსართაგსა და ვასილიჩს უნდათ მისი წასვლა. შეეჩვივნენ, ასე ჰგონიათ, უიმისოდ ახლა ცხოვრება გაუჭირდებათ.

იმ დღეს ვასილიჩი შინ არ იყო. ხსართაგმა შეშა დააპო და მთელი იღლია შემოიტანა. ნატაშა სარკმელთან იჯდა და სარკის ნატეხში იყურებოდა. ხსართაგის დანახვაზე დაირცხვინა და სარკე დამალა. ხსართაგს არც შეუმჩნევია ეს, ცეცხლს შეშა შეუმატა და ტახტზე წამოწვა.

ნატაშამ ღუმელის წინ დაყრილი ნაგავი ცოცხით მოგავა და ცეცხლში შეყარა. მერე მივიდა და ისიც ტახტის ბოლოში ჩამოჯდა. ხსართაგმა უხალისოდ შეხედა და გაოცებული დარჩა.

— ნატაშა, დღეს რაღაც სხვანაირი მეჩვენები, აი თურმე რა ლამაზი ყოფილხარ.

ნატაშას შერცხვა, ღაწვებზე ცეცხლი წაეკიდა. შავი, გრძელი წამწამები დაბლა დახარა.

— დღეს ჩემი დაბადების დღეა.

— მართლა? გილოცავ, მაგრამ რა გაჩუქო?

— ნუ წუხდები, ხსართაგ, რა გაქვს, რა უნდა მაჩუქო.

— ამჯერად ასე იყოს, თუ აქედან წასვლა გვეღირსა, მაშინ...

— იცი რა, ხსართაგ, მას შემდეგ, რაც ასე პირუტყვულად მომექცნენ, შემიბღალეს წმინდა ოცნება, ტალახში ამოსვარეს ჩემი სინდისი, ჩემი თავი ადამიანად აღარ მიმაჩნია.

— შენ ჯავრი მაინც ამოიყარე. მე რაღა ვთქვა, არ ვიცი, ვინ იყო და რისთვის ჩამცა ზურგში დანა.

— მაშ, რა შეუბრალებელია ცხოვრება. რა მუხთალი ყოფილა წუთისოფელი, სიცოცხლე მომძულდა. კარგს არაფერს ველი. ვიცი, ხვალინდელი დღეც არაფერს მომიტანს სასიკეთოს.

ნატაშას გრძელ წამწამზე ცრემლი დაეკიდა.

— მერე როგორ მიყვარდა სიცოცხლე. რა ლამაზი მეჩვენებოდა ქვეყანა... როგორ ვოცნებობდი საკუთარ ჭერზე, იცი? ქალიშვილობაში ძალიან უდარდელი და მხიარული ვიყავი. ვუყვარდი სოფელს. გაჭირვების ტალკვესს მეძახდნენ. ყველა იმას ამბობდა, ბედნიერი იქნება ის, ვისაც ნატაშა გაჰყვებაო. ერთხელ ერთმა ბოშა ქალმა მიმკითხავა და მითხრა, ისეთი ბედნიერი იქნები, ქალბატონებს შეშურდებათ შენიო. წადი და ელოდე. ჯერჯერობით ყველაზე უბედური ვარ და... იცი, როგორ მიყვარდა ოცნება? ჩვენი სახლის დერეფანში დავჯდებოდი საღამოთი და ვუყურებდი, როგორ ქრებოდა ცაზე ვარსკვლავები. იმ ვარსკვლავებში ჩემსას ვეძებდი.

— გული ნუ გაგიტეხია, ნატაშა, იპოვი, აუცილებლად იპოვი შენს ვარსკვლავს.

— ეჰ, ბარემ, მაგრამ რომ აღარაფერი მჯერა, აღარაფერი მწამს!

იმ დღიდან ნატაშა სულ შეიცვალა, ხსართაგთან მორცხვობდა, ხანდახან კი თვალს ვეღარ აცილებდა. თუ მათი მზერა ერთმანეთს შეხვდებოდა, ნატაშა მორცხვად დახრიდა გრძელი წამწამებით შემოჯარულ მტრედისფერ თვალებს.

ერთ დილით ნატაშა და ხსართაგი შინ მარტონი დარჩნენ, ისხდნენ ჩუმად, საკუთარ ფიქრებში გართულნი. მოულოდნელად დუმილი ნატაშამ დაარღვია.

— ხსართაგ, მაპატიე ცნობისმოყვარეობა, ძალიან მაინტერესებს, ოჯახი გაქვს?

— როგორ არა...

სახეზე ჩრდილმა გადაჰკრა ნატაშას, ერთხანს უჩუმრად იყო. იდგა და უაზროდ იყურებოდა ფანჯარაში. როდის-როდის ამოიღო ხმა.

— ლამაზია შენი ცოლი?

— ცოლი ჯერ არა მყავს, მხოლოდ დედა და მამა.

შვებით ამოისუნთქა ქალმა.

— არც შეყვარებული გყავს?

— მყავს.

ნატაშა ისევ მოიღუშა.

— რად მკითხე?

— ისე... ლამაზია?

— ძალიან.

— გაგონდება?

— ჰმ, მაგონდება? ლამის გავგიჟდე.

— კი მაგრამ, როდემდის გეხსომება. მაპატიე, არ გეწყინოს ჩემი სიტყვა, მაგრამ ვითომ უკეთესი არ იქნება, დაივიწყო?

— მე? ეგ რა თქვი? როგორ შეიძლება?

— ათი წელი არ მოგიცდის.

— მომიცდის...

— ვინ იცის, თუ მართლა წრფელი სიყვარულით უყვარხარ... მაინც რატომ უნდა გაწიროს თავისი ახალგაზრდობა. ხომ იცი, ყვავილივითაა ქალი, მხოლოდ ერთხელ გაიშლება და მერე ჭკნება, ასე დაემართება იმასაც, შენს დანიშნულს. ათი წელი ათი თვე ხომ არა გგონია.

— არა, არა, პირობას არ გატეხს... ვიცი, მამის კერაზე იჯდება, თუნდაც თმა გაუჭაღარავდეს, მაინც დამელოდება.

— ჯერ ერთი, არ დავიჯერებ მაგას. მეორეც ის, დავუშვათ თვითონ თანახმაა, რომ მთელი სიცოცხლე გელოდოს, შენ რა სინდისით აკეთებ ამას?

თითქოს სილა გააწნესო, ისე მოხვდა ხსართაგს ნატაშას სიტყვა. აქამდის ამაზე არასოდეს უფიქრია. მართლა რა ცოდვაა, ამდენი წელი იჯდეს და ელოდოს ახალგაზრდა ქალიშვილი. ცოლი რომ იყოს, შვილი ჰყავდეს, კიდევ ჰო. მაგრამ ხსართაგი სულაც არ აპირებს

ციმბირში ათ წელიწადს დარჩენას. არა, არა, ამას ხომ სიკვდილი სჯობია.

— რატომ არაფერს იტყვი, ხსართაგ?

— გავიქცევი. აუცილებლად გავიქცევი!

— განუხორციელებელი ოცნებები. დაკარგული იმედი, ჰოო, ოდესღაც ბავშვივით მეც ეგრე ვიტყუებდი თავს. დრო მკაცრად გამისწორდა. მძიმე ურმის თვლებმა ზედ გადაუარეს ჩემს ლამაზ ოცნებას, ჩემს ახალგაზრდობას და აი ხომ ხედავ. ზამთრის ჭირხლმა მომიჭირა უკვე. რა ვიცი, მეშინია, რომ შენც ჩემსავით... თუმცა შენ ღმერთმა დაგიფაროს. რაც გულში ამოგიჭრია, ოცნებაა ჯერ, ოცნება კი ღრუბლის ქულასავით არის, გინდა ხელი შეახო, მაგრამ ვერა, ვერასოდეს მისწვდები.

— შენ მე არ მიცნობ, ნატაშა, თუ რამ ჩავითქვი გულში, მოვკვდები და ავისრულებ კი.

— იმედი, იმედი. ბედნიერი ხარ, რომ კიდევ გჯერა, მე კი აღარაფრის მჯერა და იმიტომ მომბეზრდა სიცოცხლე. შენ არა... შენ... შენ მე ნუ მიყურებ, გწამდეს... აუცილებლად გჯეროდეს. როცა აღარაფერი გწამს და აღარაფერი გჯერა, სიკვდილს ნიშნავს.

თითქოს ხსართაგის ოცნებებს ვიღაც თხილივით სათითაოდ ამტვრევდა, ისე ესმოდა ღუმელში შეკეთებული ფიჭვის შეშის ტკაცატკუცი.

3.

მარტი მიიწურა. ჩრდილოეთის ქარი კი იხტიბარს მაიხ'ც არ იტეხდა. მაგრამ მერე და მერე თავისდა უნებურად მაინც მოლბა, ისე ძლიერ აღარ ჭინჭყლობდა.

ერთ დილით ვასილიჩმა მხარზე თოფი გადაიკიდა და სანადიროდ წავიდა. საღამოს შინ არ დაბრუნებულა. ღამე ხსართაგი შფოთავდა. ხშირ-ხშირად გამოდიოდა გარეთ. ვასილიჩი არ ჩანდა. დილით ხსართაგი ტყეში წავიდა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნო. მესამე დღეს დაბრუნდა ვასილიჩი, ძალიან კმაყოფილი იყო.

— რა გიხარიათ, ვასილიჩ, ორი დღე ნადირობდით და ხელცარიელი კი დაბრუნდით.

— მაგას ვინ ჩივის, რაკი უვნებელი დაბრუნდა. ნაწყენი ვარ, ვასილიჩ, რა არ ვიფიქრე, თუკი ასე იყო საქმე, უნდა გეთქვათ მაინც, — საყვედურგარეული კილოთი უთხრა ნატაშამ.

— თავის მართლებას არ ვაპირებ ვტყუი, მაგრამ ღამე დარჩენას არ ვაპირებდი... კაზბიჩთან ვიყავი. ხომ გითხარი, ხსართაგ, ის იქნება-მეთქი.

— ვინ ის?

ვასილიჩი იღიმებოდა. ხსართაგი მიხვდა ვისზეც იყო ლაპარაკი. ახლა კი ნამდვილად დარწმუნდა ხსართაგი, რომ ძანგს შეეძლო გაქცევა მოეწყო.

მეორე დღეს ახლა ხსართაგი მოემზადა წასასვლელად. დერეფანში გაჰყვა ნატაშა.

— ხსართაგ, მეც წამიყვანე.

— აბა რას ამბობ, ნატაშა, მონადირე ქალი ვის გაუგონია.

— გეხვეწები, მომბეზრდა ღუმელთან ჯდომა, კვამლმა ლამის თვალები დამთხაროს, წამიყვანე, იქნება დარდი გადამეყაროს გულიდან.

იმ დღეს მართლა ბედნიერი იყო ნატაშა. ის ხან გვერდიგვერდ მიჰყვებოდა ხსართაგს, ხან წინ გაუსწრებდა, ხანაც უკან ჩამორჩებოდა, ხან თოვლს დასწვდებოდა, დააგუნდავებდა და ხსართაგს ზურგში ესროდა. ბავშვივით ცმუტავდა, უბრალო რამეზე იცინოდა.

მზე უკვე საკმაოდ აცხუნებდა. თოვლი სწრაფად დნებოდა. ადგილ-ადგილ შავად გამოჩნდა დედამიწა. ბუჩქის ძირებში გაზაფხულის პირველ მახარობელს გაღვიძებოდა. ეს პირველად ხსართაგმა შეამჩნია.

ერთგან ჩაიმუხლა, რამდენიმე ლურჯთვალა ენძელა მოწყვიტა და ნატაშას მიართვა.

— რა ლამაზია! — სიხარულით გაიბადრა ნატაშა, — პირველად მომართვეს ყვავილები... დიდი მადლობა, ხსართაგ.

მზე ჩასვლას აპირებდა, ძანგის სამფლობელოს რომ მიაღწიეს. ძანგი შინ არ დახვდათ. სანადიროდ იქნებაო, თქვა ხსართაგმა და ღუმელში ცეცხლი დააგუგუნა. მზემ უკანასკნელი სხივიც აიკალთა დ, გორას მიეფარა. ხსართაგმა კვარს მოუკიდა.

ვახშმობა გადავიდა. ძანგი კი მაინც არ ჩანდა. ხსართაგი შეშფოთდა. აქამდის სად უნდა იყოსო. საძებნელად წავიდოდა, მაგრამ რომ არ იცის, სად ეძებოს.

ტახტზე წამოწვა. თავქვეშ ხელი ამოიდო და ჭერს მიაშტერდა. ნატაშამ მის ახლოს მიიდგა სკამი.

— ხსართაგ, შენ რაღაც გაწუხებს.

— მოხუცის დაგვიანება მაფიქრებს. სად უნდა იყოს ამ დროს?

— ის არსად დაიკარგება. იცი რამდენი მეგობარი ჰყავს? ალბათ, ვინმესთან შეჰყვა მუსაიფს.

— მეგობრები? ამ უღრან ტყეში ვინ მეგობარი უნდა ჰყავდეს?

— რატომ ტყეში? სოფლებში. თუნდაც არყიჭალაში. იქაურებს მართლა წრფელი გულით უყვართ ბერიკაცი, განსაკუთრებით ტუნღუზებს. იმათი საუკეთესო მეგობარია. თურმე ამ რამდენიმე წლის წინ მოძალადეებისაგან გადაარჩინა. მას შემდეგ თვალში რომ ვისმეს ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამენ. ხსართაგ, ნუ ხარ მოწყენილი, თორემ ისედაც, ლამის გული გამისკდეს.

— არა ვარ მოწყენილი.

— თვალებზე გეტყობა. წინათ უფრო მხიარული იყავი. ეს რამდენიმე დღეა, რაღაცას იხვევ გულში. მე ვიცი მიზეზი... გითხრა?

ხსართაგმა არაფერი უპასუხა, ისევ ნატაშამ განაგრძო ლაპარაკი.

— იქ, თქვენს მთებში დარჩენილი სატრფოს ნახვის სურვილი მოგეძალა, მართალს ვამბობ, თუ არა?

— მართალს ამბობ, ნატაშა.

— დღეს შენ ნადირობა განგებ მოიგონე. ბერიკაცის ნახვა გინდოდა.

— ეგეც მართალია.

— ხედავ? როგორ გულთმისანიერით ვკითხულობ შენს აზრებს. ხსართაგ, ეგ ფიქრი თავიდან ამოიგდე.

— რა ფიქრი?

— გაქცევა ადვილი ნუ გგონია. მაშინ აქ ერთი პატიმარიც არ დარჩებოდა.

— მე მაინც ვცდი.

— ვერ ჩააღწევ...

— ვნახოთ, ვცდი, ხომ გაიქცა ვიღაც და ხომ მიაღწია მიზანს. ყველა ხომ მგლის ლუკმა არ გამხდარა?

— ასში ერთს შეიძლება გაუმართლოს ბედმა, და ის ერთი რაღა შენ იქნები!

— რა არ ხდება, იქნებ მე ვიყო.

— ღმერთმა ქნას, მაგრამ რომ დაიღუპო, იცოდე ჩვენ ორივეს გული გაგვისკდება.

— ვინ თქვენ ორივეს?

— მე და იმას, მთების ჯეირანს, ვინც შენი გული სამუდამოდ დაატყვევა. თუმცა იმან შეიძლება უკვე გამოგიტირა კიდეც. შეიშრო ცრემლი და... შენს მაგიერ ახლა სხვას ღიმის. თუ ჯერ არა, აღრე თუ გვიან მაინც გაუღიმებს ვიღაცას. მაგრამ მე? მაპატიე, ხსართაგ. — ნატაშა ხსართაგის წინ მუხლებზე დაეცა და ვაჟის თავი მკერდში ჩაიხუტა. — მიყვარხარ... პირველი წმინდა სიყვარული შენ მაგრძნობინე... დიდი ხნის მიძინებული გრძნობა ქარიშხლით აღელვებული ზღვასავით მაწვება და მახრჩობს. არ ვიცი, როგორია შენი სატრფო, მართლა უყვარხარ თუ არა, ღმერთმა იცის, მაგრამ ჩემსავით არავინ შეგიყვარებს.

— ნატაშა, მომისმინე, შენ კარგი ადამიანი ხარ, ძალიან კარგი. მაგრამ მე სხვა მიყვარს, სხვას ეკუთვნის ჩემი გული. ის ჩემი დანიშნულია. აგერ უკვე მერამდენე წელია ზის და მელოდება. მე არ შემიძლია მისი დავიწყება, სანამ ის თვითონ არ იტყვის ჩემზე უარს, მე სხვა ქალს არ შევხედავ.

— ათ წელიწადს არ დაგიცდის... გაიგე... ნუ გაქვს იმედი.

— გავიქცევი... გავიქცევი-მეთქი, ხომ გითხარი.

— ვერ გააღწევ...

— გავაღწევ.

— კარგი, დავუშვათ, გაიქეცი, მერე? სად იცხოვრებ? როგორ იცხოვრებ? ტყეში როდემდის იწანწალებ? იქნებ ნახო კიდეც შენი სატრფო, შვილებიც გეყოლოთ. როგორ გაზრდით? რით? სად? ისევ

დაგიჭერენ და აქ გადმოგასახლებენ. არ გეცოდება ქალი? ნუთუ ასეთი ეგოისტი ხარ? თუკი გიყვარს, რატომ მის მომავალზე არ ფიქრობ? რატომ არ გეცოდება? მის მაგიერ მე შემიყვარე... აგერ უკვე პატიმრობის ვადა მითავდება, ვიცხოვრებთ აქ. მერე შენც გაგათავისუფლებენ, ჯერ ახალგაზრდები ვართ. სადმე დავსახლდებით და ვიცხოვრებთ, ისე, როგორც ათასი ჩვენისთანა ცხოვრობს. ორივე ვიმუშავებთ, შევქმნით ოჯახს. მერე თუ შინაობა მოგენატრება, წავალთ და მამის კერას განვაახლებთ...

— მაპატიე, ნატაშა. მე კარგად მესმის შენი. ვიცი არ თაღლითობ, წმინდა გულს მიძღვნი, გმადლობ... იცოდე, გენდობი, მჯერა შენი. მიხარია, რომ ღირსეულ მეუღლედ მირჩევ, მაგრამ არც მე შემიძლია შენი მოტყუება. ნალყუთა სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, არ შემიძლია მისი ღალატი გავივლო გულში. ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება, მისი უსაზღვრო სიყვარული მაძლევს ძალას, უამისოდ აქამდე ნამდვილად დავიღუპებოდი. გამიგე, ნატაშა, ის არის ჩემი პირველი და ალბათ, უკანასკნელი სიყვარული.

— მესმის, ხსართაგ, ყველაფერი მესმის, — ამოიგმინა ნატაშამ. — მესმის, ძალად სიყვარული არ შეიძლება. თანაც ჩემნაირებს აღარ უღიმით ბედი.

— ნუ, მაგას ნუ ამბობ! თავს ნუ იმცირებ. ხომ გითხარი, შენ კარგი ადამიანი ხარ, ძალიან, ძალიან კარგი. მართალია, წაიბორძიკე, წაიბორძიკე კი არა, წაიქეცი ცხოვრებაში, მაგრამ შენი ბრალი არ არის. პატიმრობის ვადა გითავდება, ჩქარა წახვალ, არ შეიძლება, რომ ღირსეულ ადამიანს არ შეხვდე. ისევ გაგიღიმებს ბედი, გჯეროდეს, ნატაშა, ისევ მოვა ბედნიერება.

— არ მოვა, აღარასოდეს მოვა, ჩემი ბედი დაიწვა, ერთხელ, მეორედ, ხედავ? შენ არ მიკადრე. სხვაც ეგრე... რატომ? რატომ ვარ ღვთისგან შერისხული? რატომ არა მაქვს უფლება, უსაზღვროდ წმინდა სიყვარულით სავსე გული ვუძღვნა სასურველ ადამიანს? კი მაგრამ, ამ წყეულ ქვეყანაზე იმის უფლებაც არა მაქვს, რომ ვინმე მიყვარდეს? ვინ წამართვა ეს უფლება, ვინ?

— ნატაშა!

— სუ, გაჩუმდი! დამყაყებული ჭაობიდან თავის დაღწევა ვცადე, დასახმარებლად ხელი არ გამომიწოდე, მე გვერდით ჩამიარე და იქ ეჭიდები, სადაც სულაც არ არის საჭირო შენი ხელი. გამიგე, შენ ახლა ყველაზე მეტად მჭირდები, ვიღუპები. ხვალ ისევ იქ მომიხდება დაბრუნება, საიდანაც თავის დაღწევა გადავწყვიტე, — თითქოს გულის ძარღვებს თითო-თითოდ აგლეჯენო, ისე წარმოთქვამდა ყოველ სიტყვას ნატაშა. ძალიან შეეცოდა ხსართაგს. წაქცეული, ბედისაგან დაწიხლული ქალი დახმარებას ითხოვს და მას, მხოლოდ მას შეუძლია დაეხმაროს, მაგრამ რა ქნას? ნალყუთას სიყვარულით სავსე გულს სხვას ვერ შესთავაზებს. ნატაშას დიდ სიყვარულს ვერ გამოეპასუხა. წლების მანძილზე, დაჩაგრულ, სულიერად განადგურებულ ადამიანს

ტკბილი სიტვა უთხრა. გულის სითბო აგრძნობინა და აი შედეგიც. ქალის გულში იფეთქა მწველმა სიყვარულმა. ცეცხლი წაეკიდა და თუ ხსართაგი არ მიეშველა, ხანძარი დაბუგავს.

სიყვარული და სიბრალული. აი, ამ ორ დიდ გრძნობას შორის ჩავარდა ხსართაგი და აღარ იცის, როგორ მოიქცეს.

— კმარა, ხსართაგ, ვხედავ, დიდ უხერხულობაში ჩაგაყენე, ახლა წუხხარ, არ არის საჭირო. ვიცი, არ გიყვარვარ, ისიც ვიცი, რომ ძალად სიყვარული არ შეიძლება. ვგრძნობ, გეცოდები. არ მიყვარს, როცა ვინმეს ვეცოდები. ჩემს გულში ჩახედვა რომ შეგეძლოს, გაიგებდი რა ხდება იქ. სიბრალული თავმოყვარეობას ლახავს, მხოლოდ სიბრალულით თუ ვისმე შეეწირები, არ მოიტანს სიკეთეს მსხვერპლი. მომავალი მაინც არ იქნება სასიკეთო. რა ვქნა, ალბათ ასეთია ჩემი ბედი. მაპატიე, ხსართაგ! მძიმედ წამოდგა, თექის ფეხსაცმელები წაიძრო და ღუმელის თავზე აძვრა. გაუხდელად ჩაწვა ძანგის ლოგინში.

ჩაიწვა კვარი. ოთახში წყვდიადი გამეფდა. სამარისებური დუმილი ჩამოწვა, არ ეძინება ნატაშას. ამ ღამესავით ბნელია მისი წარსული და მომავალიც. რა არის მისი სიცოცხლე? ნამდვილ ქალობის ასაკს მიაღწია და რა ნახა კარგი? არაფერი, რას უნდა ელოდოს მომავალში? ისევ არაფერს. ამ ქვეყანაზე ის ახლა ზედმეტია, მაშ რისთვის არის ცოცხალი? ვის სჭირდება იგი? ჯერ თავისი სიყვარული არავისთვის უწილადებია, არც არავის მოუთხოვია. ახლა თვითონ შესთავაზა სიყვარული ადამიანს, რომელიც მართლა შეუყვარდა და იმანაც არ ინდომა, აქაც დაასწრეს. ვაჟის გულს მასზე ადრე სხვა დაეპატრონა. ეჰ, ასე იქნება ყოველთვის და ნატაშას წარსული სულ გადაავიწყდა. ახლა მომავლისა უფრო მეტად შეეშინდა.

არ იკადრეს. არავის უნდა.

და აკანკალდა. თითქოს სიცოცხლეს ეთხოვებოდა, წამოჯდა და ერთხანს ასე დარჩა.

არც ხსართაგს ეკარება რული. გვიან წასთვლიმა და სიზმარში ჯერ ნალყუთა ნახა, მერე ნატაშა, შემდეგ კი ორივე ერთად. კარის ჭრიალმა გამოაღვიძა...

წამოხტა. არავინ იყო. ღუმელის თავზე აიხედა. ლოგინში არ იწვა ნატაშა. ცოტა ხანს დაელოდა, მაგრამ ქალი იგვიანებდა. ხსართაგმა თავისი ქურქი წამოისხა და გარეთ გავიდა.

რიჟრაჟი იფანტებოდა.

ეზოში არავინ ჩანდა. მხოლოდ მოყინულ თოვლს აჩნდა ნატაშას ნაფეხურები. კვალი ტყეში შევიდა. ასე შორს რისთვის წავიდოდა. შეშფოთდა ხსართაგი და კვალს სირბილით გაჰყვა. დიდი ნაძვის ქვეშ შეწყდა კვალი, ხსართაგმა მიიხედ-მოიხედა და გული ყინულივით გაუცივდა. ნატაშა ხეზე კონწიალობდა.

— ვაი, — იყვირა მან და ტყემ გაიმეორა მისი ხმა. თვითონაც აღარ ახსოვდა, როგორ ჩამოხსნა ქალი ხიდან.

ნატაშა ისევ თბილი იყო. ხსართაგმა თოვლით დაუზილა სახე, ხელები, მერე ხელში აიყვანა და შინისაკენ გააქანა. კარგა ხნის შემდეგ გაახილა ქალმა თვალი.

— ნატაშა, რა ჰქენი ეს? არა გრცხვენია, რაზე იღუპავდი თავს, ან მე რაზე მღუპავდი? — უსაყვედურა ხსართაგმა.

ნატაშას უცნაურად გაეღიმა.

— დიდი ხანია მე დაღუპული ვარ. იცი შენ ეს კარგად... ხომ ხედავ, იმდენად ვარ განწირული, თავის მოკვლაც ვერ მოვახერხე.

— არ მეგონა თუ ასეთი სუსტი და უღონო იქნებოდი, ნატაშა. გრცხვენოდეს, თავის მოკვლას ვინც გაიფიქრებს, ის რა ადამიანია, მშიშარა, არაფრის მაქნისი... ყველაზე ადვილი თავის მოკვლაა, გაჭირვებასთან ბრძოლას კი მტკიცე ადამიანი შეძლებს მხოლოდ.

— დავიღალე! დავიღალე! ღონე გამომელია, აღარ შემიძლია! — აქვითინდა ნატაშა და მის გულამოსკვნილ მოთქმას თითქოს ხმა მისცა შემჭვარტლული ოთახის კედლებმა. — აღარავის ვჭირდები ასეთი. აღარც მე მინდა ჩემი თავი. მეზიზღება... წყეულიმც იყოს ღმერთი, რომელმაც ასეთი ბედი დამანათლა! — მერე პირქვე დაემხო და ისევ ატირდა. ხსართაგი ნატაშას გვერდით დამნაშავესავით იდგა და ვერ მოეხერხებინა მისი დამშვიდება.

— რატომ გაგიცანი, რატომ? რატომ გამოჰგლიჯე ჩემი თავი ტროფიმ პეტროვიჩის ცოლს ხელიდან? დაე ჩაემტვრია ნეკნები, — მომირჩებოდა. შენ შინ წამიყვანე, ადამიანურად მომეპყარი და მე თითქოს ხელახლა ვიპოვე საკუთარი თავი. ჩემი ცოდვა გედოს, რატომ გააკეთე ეს, რატომ? რატომ შთამაგონე, რომ ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის! იმ წუმპეში ცხოვრება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ახლა...

— ყველაფერი მესმის, ნატაშა, მაგრამ დახმარება არ შემიძლია. ხომ ხედავ, მე თვითონაც რა დღეში ვარ.

ნატაშამ გული იჯერა ტირილით. ტახტზე წამოჯდა და თმა შეისწორა.

— მე მაინც მიყვარხარ, ხსართაგ. იყავი ნალყუთას ერთგული, მაგრამ ნუთუ ერთ კოცნას დამამადლი? ერთხელ მაინც მაკოცე.

ხსართაგი შეკრთა, მიხვდა, რასაც ითხოვდა მისგან ქალი. სიყვარულზე არ უპასუხა, უარი უთხრა, ახლა რა ქნას? კოცნაზე უარი უთხრას, სულ გაგიუდება. ამ სურვილის შეუსრულებლობა ნამდვილად არ ივარგებდა. დაიხარა საკოცნელად. ნატაშამ მის ტუჩებს თავისი ვნებიანი ბაგე შეაგება. ყელზე ჩამოეკიდა, მერე უცბად ხელი ჰკრა, გვერდზე გახტა და თვალებზე ხელი აიფარა. ატირდა, მაგრამ ეს ცრემლები შვებისა იყო.

— ეჰ, ხსართთაგ, ბავშვი ხარ ისევ, ბავშვი უეშმაკო, პირდაპირი. მაგრამ მე ზღაპრებისა აღარაფერი მჯერა... — გაჩუმდა ნატაშა. გვიან დაარღვია დუმილი. — შინ წასვლის დროა, ხსართაგ.

— სად არის აქამდის ჩვენი მასპინძელი. სად წავიდოდა?

— ისე აქაურობას ეტყობა, კარგა ხნის წასული რომ არის.

— არაფერი შეემთხვეს...

— არა, ის ისეთი გამოუცდელი არ არის, რომ უბრალოდ დაიღუპოს.

კარი გამოკეტეს და სოფლის გზას დაადგნენ.

4.

ორი კვირის შემდეგ ხსართაგი კვლავ ესტუმრა ძანგს. არც ახლა დახვდა შინ. მხოლოდ ამჯერად ღუმელში ცეცხლი ენთო. ცხადი იყო, ღამე შინ გაეთენებინა.

ხსართაგი ცოტათი დამშვიდდა და ძანგს დაელოდა.

შუადღე გადავიდა, ძანგი არა და არ ჩანდა, ხსართაგს მობეზრდა შინ ჯდომა და გარეთ გავიდა.

გაზაფხული ჯერ მთლიანად არ იყო ძალაში შესული, მაგრამ მიწა, მძიმე ავადმყოფობა გამოვლილივით, მთელი გულით სუნთქავდა. თეთრი არყის ტოტებზე კვირტები დაბერილიყო. ბალახსაც წვერი ამოეყო, მოლი მწვანედ ბიბინებდა, ჩიტები ჭიკჭიკით აყრუებდნენ გაღვიძებულ ბუნებას. ქვემოთ ჭალაში მდინარე მთელი ზამთარი რომ ყინულის არტახებში იყო გაქაჩული, ახლა თავისუფალი და ამაყი, დაძრულიყო და ჩრდილოეთისაკენ მიიჩქაროდა, ამის დანახვაზე შვება იგრძნო ხსართაგმა. ნელ-ნელა ჩაჰყვა ბილიკს და მდინარის ნაპირზე გავიდა. ყინულის ბორკილები დაემსხვრია მდინარეს და ახლა თითქოს ეჩქარება ამ ნამსხვრევების მოშორებაო, სწრაფად მიაქანებდა დაღმა. ხსართაგმა მდინარეს აუწყო ფეხი. მიდის, თვითონაც არ იცის საით. უცებ გაოცებული შედგა, ძანგი დაინახა. მდინარის ნაპირზე მიწას თხრიდა. კარგა ხანს უყურა შორიდან. ამოთხრის ძანგი მიწას, უშველებელ საცერში ჩაყრის და წყალში გარეცხავს, მერე, აი ისე, ქალები ფქვილს რომ ცრიან, დარჩენილ ქვიშას ხან იქით გადაყრის, ხან აქეთ. რაღაცას აიღებს და იქვე ჯამზე ალაგებს.

უკვირს ხსართაგს, რამ გააგიჟა ბერიკაცი, რას აკეთებს?

— რა ვქნა, მართლა არ გაგიჟდეს, — თავისთვის ჩაილაპარაკა და ფეხს აუჩქარა.

— დილა მშვიდობისა, ძანგ. რას აკეთებ აქ?

ძანგი შეკრთა. წერაქვი ხელიდან გააგდო და თოფს ეცა.

ხსართაგი დამეხილივით იდგა.

— ძანგ, რა ამბავია? მე ვარ...

ძანგი მისკენ შეტრიალდა. თოფი თავის ადგილზე დადო და ხსართაგს უსაყვედურა:

— შენ რა გითხრა, კინაღამ მოგკალი. როგორ შეიძლება ასე ჩუმად მიპარვა?

ხსართაგი ისევ ისე იდგა, ვერაფერი გაიგო.

— არ მესმის, რა ხდება. მაპატიე, თუ შეგაწუხე, გავბრუნდები უკან.

— არა, ახლა ვეღარსად წახვალ, მოდი ახლოს და მომეხმარე.

ძანგმა მიწა ამოთხარა და საცერზე დაყარა, მერე წყალში გარეცხა.

— იცი რას ვაკეთებ?

— ღმერთმანი, ვერაფერს ვხვდები.

საცერი ახლოს მიუტანა, რაღაც ბრჭყვიალა ქვები აჩვენა.

— ეს იცი რა არის?

— რა?

— ოქრო...

ხსართაგს თვალები გაუფართოვდა.

— ოქრო? მერე სადა გქონდა?

— აი, აქაურობას ხომ ხედავ, ოქროს საბადოა. ამ რამდენიმე წლის წინ სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე. ამ მხარეში მოვხვდი. დავიღალე და სწორედ აქ შევისვენე. მაშინ სხვაგან ვცხოვრობდი. ჰო. წამოვწექი და ჩემ წინ ბრჭყვიალა კენჭი დავინახე. ხელში ავიღე... პირველად ყურადღება არც მივაქციე. მერე თითქოს თავში რაღაცამ დამკრა, დავაკვირდი. მივხვდი, ოქროს საბადო ვიპოვე. იმიტომ დავსახლდი აქ. ჩემს მეტმა არავინ იცის.

— მერე რად გინდა ეგ ოქრო, ძანგ? — ჯერაც ვერ მოსულიყო ხსართაგი გონს. ხან ოქროს მარცვლებს უყურებს, ხან ბერიკაცს.

— მაშ, ამ ჯოჯოხეთიდან როგორ დააღწევ თავს?

— ვითომ?

— მერე გაიგებ ყველაფერს, ახლა კი მომეხმარე. შუადღე გადავიდა და ჯერ ვერაფერი გავაკეთე.

ძანგმა ასწავლა ხსართაგს ოქროს გარეცხვა და ისიც დიდი მონდომებით შეუდგა საქმეს.

საღამოს გვიან დაბრუნდა შინ. ვახშმის თადარიგში გართულმა ბერიკაცმა ხსართაგს ჰკითხა:

— დღევანდელი ამბავი ძალიან გაგიკვირდა?

— სიმართლე გითხრა, ძალიან.

— რა არის გასაკვირი, ჩემო მზეო, ეს ყვითელი ქვები ეშმაკის სულია, სიკვდილია მათში ჩაბუდებული.

— სიკვდილი? არაფერი მესმის.

— დიდია მისი ძალა, ჩემო ხსართაგ, ზოგჯერ კაცს ისე აღაზევებს, ისე განადიდებს, რომ ქვეყანა მის წინ მუხლებზე ხოხავს, რასაც მოისურვებს, იმას შეისრულებს. ადამიანი და თვით მეფეც კი ამ ბრჭყვიალა ქვების წინაშე უძლურია. მას უბედურების მოტანაც ისევე შეუძლია, როგორც ბედნიერების. ადამიანს აკარგვინებს სინდისს, ნამუსს, ჭკუას. შეუძლია პატიოსანი კაცი მკვლელად აქციოს. ეშმაკის დაწყევლილია. ვისაც შეუჩნდება. თავის სურვილზე ათამაშებს. ძმა ძმას არ დაინდობს, თუკი იქ ოქრო იქნება ჩარეული. აი მაგალითად

დღეს, შენს გარდა სხვა რომ ყოფილიყო, აუცილებლად მოვკლავდი, ან ის მომკლავდა. ასეთი ჯადოსნურია ეს ოხერი ყვითელი ქვა.

— კაცო, თუკი იცი, ეგეთი საშიშია, უბედურებას რაღაზე ეძებ?

— შენ მართალი ხარ, შვილო, მაგრამ ისიც ვიცი, რა ძალა აქვს, შეუძლია კაცი სახრჩობელადან ჩამოხსნას.

— მაინც არ მესმის, შენ რისთვის გინდა?

— ამ ყვითელი ეშმაკის წყალობით ამ ხუთ წელიწადში იცი, რამდენმა კარგმა ადამიანმა დააღწია თავი ამ ჯოჯოხეთს? ამით ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ქაღალდი, რომლის წყალობითაც შეგეძლება აქედან გასვლა, კაცი, რომელიც გაგაცილებს, ვინც იკისრებს შენს წაყვანას და ათასი სხვა. ერთი სიტყვით, შეგიძლია მოისყიდო ბოქაულიდან დაწყებული მეფემდის...

— და თქვენ ამ ქვებით შეძელით ვინმეს მოსყიდვა?

— რამდენიც გინდა. იცი რა ხალხს მოვუწყვე გაქცევა? მეფის წინააღმდეგ მებრძოლებს...

— შენც იმათ მხარეზე ხარ?

— რა თქმა უნდა. მათი აზრი, მათი ოცნება ვიწამე და გვერდშიც ამოვუდექი. მე შეიძლება ვერც მოვესწრო იმ დროს, რომლის აშენებასაც ისინი აპირებენ, მაგრამ ჩემს შემდეგ ვინც დარჩება, შენ, ჩემი შვილიშვილი, კიდევ სხვები, ხომ მოესწრებით. ეს ყვითელი ქვები ძნელი საშოვარია, სოფელში იმიტომ არ დავსახლდი. ვიღაც აუცილებლად მიხვდებოდა, რომ აქ რაღაც იმალება... ახლა ჩემს მეტმა სულიერმა არ იცის ამ მადნის არსებობა, ჰოდა, დილიდან დაღამებამდე ვშრომობ. ნამცეც-ნამცეც ვაგროვებ ამ ყოვლისშემძლე ლითონს.

— ძანგ, მითხარი, რისთვის გინდა, ვისთვის აგროვებ?

— რისთვის მინდა? შენთვის, ვასილიჩისათვის...

ხსართაგს მოულოდნელობისაგან თვალთ დაუბნელდა. მერე ძანგისადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობა დაეუფლა, მოხუცს გადაეხვია და ლამის ატირდა.

ამ დიდ ამაგს არასოდეს დაგივიწყებ, არასოდეს, სანამ ცოცხალი ვიქნები. შენზე ვილოცებ, შენ გიწამებ ღმერთად...

— რას ამბობ, ხსართაგ. შენ ხომ ჩემი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ხარ. მე ხომ მამაშენისა და ხასანას მეტი ნათესავი არ გამაჩნია ქვეყნად. კაცი ვარ, ადამიანი, არასოდეს დამავიწყდება მათი დიდსულოვნება. ჩემი ტიტველ-შიშველი ზარინა არ დაიწუნეს, ოჯახში შეიყვანეს. სანამ დამიჭერდნენ, შორიდან ვადევნებდი თვალს. მამაშენსა და ჩემს სიძეს ყველა აქებდა. კარგი ხალხია, ბედნიერია ზარინა, მათ ხელში რომ ჩაიარდაო. ჰოდა, ახლა შენ, მათი შვილი, აქ გაჭირვებაში დაგტოვო? რას ამბობ, ხსართაგ, რაზე მიხდი მადლობას? მოვალეობას ვიხდი შენი მამა-ბიძის წინაშე, მხოლოდ იცოდე, დღეს რაც აქ ნახე, დაივიწყე, არავინ გაიგოს. თუ არ გინდა, ერთ დღეს თავგაჩეხილს მომასწრო.

ხსართაგი ერთ კვირაზე მეტხანს დარჩა მოხუცთან, ეხმარებოდა.

ოქროს მოპოვება იოლი როდია. ზოგჯერ მთელ დღეს ერთ მარცვალსაც ვერ პოულობდნენ. ახლა რა მუყაითობას იჩენდა ხსართაგი? მისი სიცოცხლის მიზანი იმ ყვითელი ქვის მოპოვება გახდა. დილიდან დაღამებამდე რეცხავდა მიწას. და როგორ უხაროდა, როცა ეს წყეული ყვითელი ეშმაკი გაბრწყინდებოდა და თვალებში შესციცინებდა.

იმ დილით ადრე ადგა და ძანგს გაესაუბრა.

— რას იტყვი, ძანგ, არ წავიდე? რა ვიცი, ჟანდარმმა არ მომაკითხოს, გაქცეული არ ვეგონო.

— წადი, შვილო, წადი. როცა დრო იხელთო, ჩამომაკითხე.

გაზაფხულის თბილი ამინდი იდგა. მზეს ძალა ემატებოდა და მაცოცხლებელ სხივებს უხვად აყრიდა დედამიწას. ნაკადულები ღუღუნ-ლიკლიკით მისრიალებდნენ გალიპულ კალაპოტში.

მიდის და მიიმღერის ხსართაგი. ეს მისი პირველი სიმღერაა იმ უბედურების მერე. ფრთები შეასხა ძანგის დანაპირებმა. აი, კიდევ ცოტაც და აქაურობას გაეცლება. პირდაპირ ნალყუთასთან ჩავა, როგორ გაუკვირდება. ნეტავ რას იტყვის? ალბათ, პირველად არც დაიჯერებს, რომ მის წინ ხსართაგია. მერე სიხარულით ატირდება. ხსართაგი ცრემლებს შეუმშრალებს, თვალებს დაუკოცნის... ისიც ისე გაიღიმებს, როგორც ნაწვიმარზე მზე...

5.

იმ დილით ადრე გაიღვიძა ხსართაგმა. ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. ბუნება იღვიძებდა, ჩიტები, თითქოს დღის დაბადება უხარიათო, სტვენით აყრუებდნენ არემარეს.

ხსართაგს გულზე გადაეყარა, გაზაფხული რაღაცის იმედს აძლევდა. გორაკზე ავიდა. იქიდან ჭალა ხელისგულივით მოჩანდა.

მძიმე ზამთარი უკან დარჩა. აგერ დედამიწამ უკვე გაიღვიძა. ტყეს ეტყობა, რომ მალე შეიმოსება ზურმუხტისფერი ფარჩით, მხოლოდ ნაძვები დგანან ამაყად. არც ზამთარი აშინებთ და ზაფხულში ხომ უკეთესი. დგანან მარად მწვანით შემოსილნი და თითქოს ტანსაცმელშემოგლეჯილ არყის ხეებს დასცინიან. ახლა კი არყის ხემაც გაიღვიძა, საცაა კვირტები დასდება. ისევ ლამაზად შეიმოსება და მაშინ ერიდოს ყველა, სილამაზეში ტოლს არავის დაუდებს.

ჩქარობს გაზაფხული. ყველაფერი უნდა მოასწროს. ჯერ კი თავისი ჯადოსნური ფუნჯით ტაიგას აფერადებს.

ხსართაგი ერთ დიდ არყის ხეზე ჩამოჯდა. ეტყობოდა ეს ხე ამ ზამთარს ქარიშხალს ამოეგდო ძირფესვიანად. და აი მოდის გაზაფხული. ყველაფერი ისევ ისეა ტყეში, მხოლოდ მას დაუბნელდა მზე, მისი დობილები ისევ მოირთვებიან, აგერ კიდევაც კოპწიაობენ. ეს კი ვეღარაფერს იგრძნობს. აღარც ნიავი გაუგრილებს შუბლს, აღარც ქარიშხლისა ეშინია. ხსართაგმა თავი ამ ამოგლეჯილ ხეს შეადარა.

სწორედ ასე მოსწყდა ის სოფელს, თავის ნალყუთას. იქ არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ მათი ოჯახი დაიღუპა, ხსართაგი გამოაკლდა ტოლებს...

თავი გაიქნია, თითქოს ავ ფიქრებს იშორებსო. ტყიდან ფეხის ხმა გაიგონა. წამოდგა, ყური მიუგდო, ვიღაც მოიჩქაროდა. ცოტა ხნის შემდეგ ნატაშა დაინახა.

— სადა ხარ, ხსართაგ, ვასილიჩმა გამომგზავნა. ჟანდარმი მოვიდა, სხვაგან მიჰყავს, ჩქარა...

ხსართაგს ელდა ეცა. ხმის ამოუღებლად გაჰყვა ნატაშას, რომელმაც გააგებინა, ვასილიჩი, როგორც განსაკუთრებით საშიში პიროვნება, უფრო შორს მიჰყავთ, რადგან მას შეუძლია აქედან გაიქცესო. — ასე თქვეს... — ნატაშა ტიროდა.

ერთი ნაბიჯით მიასწრეს, უკვე მზად იყვნენ წასასვლელად.

ვასილიჩმა ხსართაგი განზე გაიყვანა.

— კაზბიჩს გადაეცი, ჩემს ამბავს შევატყობინებ, სანამ პეტერბურგიდან ამბავი არ მოვა, საცხოვრებელი ადგილი არ შეიცვალოს. შენ, ჩემო ხსართაგ, არ გაჩერდე, თუ დროს იხელთებ, გაიქეცი, კაზბიჩი დაგეხმარება. მხოლოდ გახსოვდეს, შინ ნუ გამოჩნდები, ისევ დაგიჭერენ, ქალაქში, სადმე ქარხანაში მოეწყვე მუშად. იქ იპოვი გზას, მუშები გასწავლიან ცხოვრებასაც და ბრძოლასაც. არ დაანებო სწავლას თავი. იცოდე, უსწავლელი ფონს ვერ გახვალ, წიგნი გიჩვენებს გზას. ჰო, შეიძლება ჩვენ კიდევ შევხვდეთ. არადა... შენი იმედი მაქვს... — ამ სიტყვებით ვასილიჩმა საკუთარი შვილივით ჩაიკრა გულში. გადაჰკოცნა. მერე ნატაშას გადაეხვია. ის კი ხმამაღლა ქვითინებდა.

— ნუ, ნატაშა, რა საჭიროა ცრემლები, — დაამშვიდა ვასილიჩმა.

ჟანდარმმა ვასილიჩი ნავში ჩასვა და ჩრდილოეთის გზას გაუყენა.

დარჩნენ ობლებივით ნატაშა და ხსართაგი. არც ერთი იღებს ხმას. გაბრუებულებივით დაბორიალობენ. ნატაშა ჩუმ-ჩუმად ისევ იცრემლება. ხსართაგი ძანგთან დაბრუნდა, ვასილიჩის ამბავი მიუტანა.

— წყეულები. ეშინიათ მისი, შორს იმიტომ გადაკარგეს, მაგრამ ჩემთან ეს ფანდი არ გაუვათ. მე მაინც მივაკვლევ.

ხსართაგმა დაწვრილებით გადასცა ვასილიჩის დანაბარები.

— რას წარმოვიდგენდი, ასე ჩქარა თუ მოაკითხავდნენ, თორემ რამეს მოვიფიქრებდი, ეს დღეები არც ვიყავ აქ.

— სად იყავი? ორჯერ ჩამოვედი. არც ერთხელ არ დამიხვდი სახლში.

— შენს საქმეზე წავედი. ხომ არ დაგავიწყდა, გაქცევას რომ აპირებ? როგორ გგონია, უსაბუთოდ შეიძლება აქედან გაქცევა?

— რა ქენი, გამოდის რამე?

— ძლივძლივობით ჩავიგდე ხელში. ძალიან ბევრს ითხოვდა ის ღორისშვილი. ჩემი ორი თვის შრომა ერთ ფარატინა ქაღალდს მოუნდა. მაგრამ ეს არაფერი... ახლა ის უნდა მოვიფიქროთ. აქედან უახლოეს რკინიგზის სადგურამდე როგორ ჩახვალ. ფეხით? არ შეიძლე-

ბა. ნავით, ისიც მდინარის საპირისპიროდ — სიგიჟე იქნება. დარჩა ერთი გამოსავალი, დიდი ბარჟა ან გემი. გემი ორი-სამი კვირის შემდეგ გამოივლის. ყურეში ჩაუშვებს ღუზას. მერე მცირე ნავებს გაგზავნის სოფლებში. შეისყიდის რაც ზამთარში ძვირფასი ბეწვეული დაამზადეს მონადირეებმა და ისევ გაბრუნდება უკან. აი ამაზე დავდივარ ხსართაგ, როგორმე იმ გემით უნდა გაგგზავნო, მეტი გზა არ არის.

სამ კვირაზე მეტი გავიდა. გემი იგვიანებდა. ხსართაგმა მოსვენება დაკარგა. მდინარეს აღარ აშორებს თვალს და აი ერთ დღეს სადილობა გადასული იქნებოდა, რომ სოფელი გემის საყვირმა შეძრა. უცნაური ღრიალით მოადგა გემი არყიჭალას, მთელი სოფელი დიდიან-პატარიანად მდინარის პირას გამოეფინა. გემმა ყურეში ჩაუშვა ღუზა. აქედან ნავებზე დატვირთეს აუცილებელი მოხმარების საგნები — ფქვილი, მარილი, შაქარი, სანთელი, ნავთი, ასანთი, ფართლეული, ტანსაცმელი, ცელები, წერაქვები, დანები, ტაიგაში გამოსაყენებელი ათასი საჭირო ნივთი, სოფლის ბოლოს საამისოდ განკუთვნილ ველზე გაშალეს კარვები და ვაჭრები მაშინვე დახლებში ჩადგნენ.

არყიჭალელებისათვის ამ გემის გამოჩენა ყოველ გაზაფხულზე დიდი დღესასწაულია. მთელი წლის უზრუნველი ცხოვრება ამ გემზეა დამოკიდებული. რასაც ახლა შეიძენენ, ის ექნებათ მომავალ წლამდე. აქაურებსაც აქვთ გასაყიდი საქონელი. ეს არის ზამთრის პერიოდში დაგროვილი ნანადირევი, ძვირფასი ციმბირული ბეწვეული.

6.

იმ ღამეს თვალი არავის მოუხუჭავს. ძანგი სამგზავროდ ამზადებდა ხსართაგს. თვითონ ხსართაგი და ნატაშა კი მდინარის პირას ისხდნენ.

მეტად ლამაზი იყო ციმბირის გაზაფხულის ის ღამე. მდინარის ტალღები, თითქოს შეჯიბრი აქვთო, ერთიმეორეს ასწრებდნენ და გაფოთებულები ქაფს ნაპირზე ანთხევდნენ. შიშველი მთვარე წყალში ჩახტა და ოქროს თმას ტალღების სავარცხლით ივარცხნის.

სულ ახლოდან იკივლა ჭოტმა. ალბათ, ნაძვის ტოტებში გახლართულმა მთვარის სხივებმა მოსვენება დაუკარგა და დედამიწიდან უნდა ხმა მიაწვდინოს.

ნიავი არ იძვრის. მხოლოდ მდინარის ტალღების სუნთქვით წარმოქმნილი სიო ესალბუნება გულს და რაღაც გამოუცნობ ნეტარებას აგრძნობინებს.

ციმბირული გაზაფხულის ღამე ასე ლამაზი რომ იყო, მხოლოდ ახლა შეამჩნია ხსართაგმა. თუმცა შეიძლება ახლაც არ შეემჩნია, მის გულზე მდებარე უზარმაზარი ლოდი ადგილიდან რომ არ დაძრულიყო.

უკანასკნელი ღამეა აქ, ხვალ ამ დროს უკვე შორს იქნება.

მისი გაქცევის ჟამმა დაჰკრა.

დღეს იყო საპატიმროს სამმართველოში, არყიჭალიდან ეს სამმართველო ოცი ვერსითაა დაშორებული. ზამთარში აქედან არყიჭალაში ძალიან იშვიათად თუ ვინმე ჩავა, საშიშროება იმისა, რომ პატიმარი გაიქცეს, გამორიცხულია. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, თავზეხელაღებულებს ზამთარშიც უცდიათ ბედი, მაგრამ ადგილამდე არავის ჩაუღწევია.

პატიმრები ზაფხულში კვირაში ერთხელ აუცილებლად ცხადდებიან სამმართველოში. დროდადრო ჟანდარმიც ამოწმებს.

ნატაშა და ხსართაგი იმ დღეს საღამოთი ჩამოვიდნენ ძანგთან. ის უკვე ელოდა. ათასი რამ არის გზაში საჭირო, იცის ძანგმა. აგერ ახლაც ეზოში ზის და მთვარის შუქზე ხსართაგისათვის არყის ქერქის ქალამნებს ასხამს.

ძალიან მოუსვენრობს ძანგი. არც ლაპარაკის ხასიათზეა. ხან სულ უაზროდ დაბორიალობს. ერთით უხარია, რომ ხსართაგს ისტუმრებს, მაგრამ თან ღელავს, არ უნდა მისი გაშვება, ვაითუ გზაში ხიფათს გადაეყაროს, უბრალოდ დაიღუპოს ბიჭი.

დიდხანს ისხდნენ მდინარის პირას ნატაშა და ხსართაგი. ხმას კი არც ერთი არ იღებდა. ორივე თავთავის ფიქრში იყო გართული.

მთვარის ნათელს გაეცისკროვნებინა ნატაშას სანდომიანი სახე და წყლის ფერიას ჰგავდა.

— ნატაშა, რატომ არაფერს იტყვი, ხვალ ამ დროს აქ აღარ ვიქნები.

— მეც ეგ მაწუხებს, რა მეშველება უშენოდ?

— ნატაშა, ძალიან გთხოვ, არ იტირო.

— მე შენი მადლიერი ვრჩები, ხსართაგ.

— რისთვის?

— ყველაფრისთვის. თუნდაც იმისათვის, რომ შენ დამაჯერე, მე რომ კვლავ ადამიანი ვარ, კიდევ იმისათვის, რომ კეთილი გული გაქვს და იმ გულის სითბო მეც მიწილადე. შენი სიწმინდით ჩემი მიძინებული ნამუსი გამოაღვიძე. თავდაცვის ინსტინქტი გამიღვიძე. კიდევ იმისათვის, რომ კვლავ ცხოვრებას დავუბრუნდი. იცოდე, სიკვდილამდე არ დაგივიწყებ. შენი სიკეთე ყოველთვის სიკეთისაკენ გამინათებს გზას. ყოველთვის ვეცდები, ისეთივე ალალი და სპეტაკი ვიყო, როგორც შენ ხარ...

— მეც მადლობელი ვარ, ნატაშა. არც მე დაგივიწყებ, თუმცა არც ვიცი, ხვალ რა მელის. ძნელი სათქმელია... მაგრამ რაც უნდა მოხდეს, პირველ რიგში ადამიანად დავრჩები.

— ნურაფერს იტყვი, ვიცი, რისი თქმაც გინდა. ჩვენს გრძნობას ჩვენსავით ბორკილები ადევს. ჯერ ამ ბორკილების დამსხვრევაა საჭირო, ასე ამბობდა ვასილიჩი, მერე ჩვენი სიყვარულიც ლამაზი და თავისუფალი იქნება...

— მართალს ამბობ, შვილო, — სიტყვა ჩამოართვა ძანგმა, რომ-

ლის მოსვლა ვერც ერთმა ვერ გაიგო, — ბორკილების ყღარუნი აქრობს სიყვარულს. ღმერთმა ორივეს მოგცეთ სიყვარული ისეთი, როგორიც მე და ჩემს უდროოდ დაფერფლილ მეუღლეს გვქონდა. მაგრამ იმ სიყვარულს არ დასცალდა გაფურჩქვნა, ისე ჩაქრა. გაისრისა ალდარის ბორკილებქვეშ. შენ მართალი თქვი, შვილო, ნატაშა, ასე ამბობდა ვასილიჩი, თავისუფლებისათვის ბრძოლის ცეცხლში გამოიჭედება სიყვარული.

— მე რა? აი ხსართაგი... თუ...

— არა, არა ხარ მართალი, შენი საქმე უფრო იოლია, როგორც კი პატიმრობის ვადა გაგითავდება, პეტერბურგში გაგგზავნი. იქ ბევრი ნაცნობი მყავს. ისინი დაგეხმარებიან, სამსახურში მოგაწყობენ, მერე კიდევ... გასწავლიან, როგორ იბრძოლო თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

— გმადლობთ, პაპა, ბედისწერას ვერსად წაუვა კაცი.

მთვარე სულ მაღლა აგორდა. გათენება ახლოვდებოდა. სამივე ისევ წყლის პირზე ისხდნენ. სალაპარაკო არა და არ ილეოდა. მერე ნატაშა ადგა, დასაძინებლად წავიდა. ჭოტიც, ალბათ, დაიღალა, ხის ტოტზე თუ ჩამოეძინა, აღარ ისმოდა მისი კივილი. ძანგი მერამდენედ უმეორებდა ხსართაგს:

— გახსოვდეს, შვილო, აულში არ გამოჩნდე. სანამ შენ იქ ჩახვალ, აქედან დეპეშას გაგზავნიან და წინდაწინ ეცოდინებათ შენი გაქცევის ამბავი. პირდაპირ ქალაქში ჩადი. შურისძიების გზას არ დაადგე, არ ივარგებს. დავუშვათ, მოკალი ის, ვინც შენ გაგამწარა, რა გამოვა აქედან. დაგიჭერენ და ისევ აქ მოგიყვანენ. ქარხანაში დაიწყე მუშაობა, მერე თვითონვე მიხვდები, რაც უნდა გააკეთო. ჰო, კიდევ რას გეუბნები. ზარინასა და ხასანას ჩემს შესახებ ნურაფერს ეტყვი. არ არის საჭირო. მე იმათთვის დიდი ხანია მკვდარი ვარ, რა საჭიროა მკვდრეთით აღდგომა, უკვე დავიწყებულის გახსენება.

იცოდე, მალე დადგება შურისძიების დრო. მომზადებული უნდა შეხვდეთ მას. მე მაშინ, ალბათ, აღარ ვიქნები, ვერ მოვესწრები ბედნიერ ხანას. შენ მოესწრები. მთელი სიცოცხლე ვიბრძოლე, ვხოცე ალდარები, ბოქაულები, ჩაფრები, მდიდრებს ვართმევდი და ღარიბებს ვაძლევდი. მაგრამ არაფერი გამოვიდა. აგერ, ხომ ხედავ, ოცი წელი ამ ტიალ ციმბირში ბორკილებქვეშ ვგმინავ. ახლა, კიდევაც რომ დავბრუნდე ჩვენში, მაინც ვერაფერს გავაკეთებ. ჩემი ბრძოლა უსაფუძვლო იყო, ამას აქ მივხვდი. შენ ამ მცდარ გზას არ დაადგე, თანაც მარტო. ხომ იცი ერთეულების მოთოკვა იოლია. ბუნების ძალას ვთხოვ, ის, რის გაკეთებაც მე ვერ შევძელი, შენ შეგაძლებინოს. რა ვქნა, კი არ ვნანობ, მეტი არ შემეძლო, ჭკუა მეტს არ მიჭრიდა. ახლა ბარემ რაღაც-რაღაცები გავიგე, მაგრამ ძალიან დამიგვიანდა და აი, შვილო, ხსართაგ, ჩემი შურისძიების მახვილი შენთვის გად-

მომიცია. ამ მახვილით იბრძოლე შენი და შენისთანების ნათელი მომავლისათვის. ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ! ახლა წამოდი და დაისვენე. ხვალ გრძელი და ხიფათიანი გზა გველის. სამი დღე-ღამის სავალია დათვების სავანემდე. ისიც როგორ გზაზე?

— ო, მართლა, ჩემს მიერ გახერხებული საბუთები, მხოლოდ გზაში გამოგადგება. მერე მორჩა. იმათ ადგილობრივ პოლიციას ვერ წარუდგენ, მაშინვე გაგიგებენ. ჰოდა, იქ შენ თვითონ უშველე თავს.

რიჟრაჟზე გაუდგნენ გზას. ნატაშამ მდინარემდე მიაცილა. აქ ვეღარ შეიკავა თავი, ძანგისაც აღარ მოერიდა, ხსართაგს გადაეხვია და ერთხანს აღარ უშვებდა...

ნავი დგაფუნით აუყვა მდინარეს, ნატაშა კი იდგა და ვერც კი გრძნობდა, ცრემლები რომ ჩასდიოდა საყელოში.

— ღმერთო დიდებულო, დედაო ღვთისმშობელო, შენ დაიფარე და მშვიდობის გზაზე ატარე... — ჩაიჩურჩულა მან, როცა ნავი თვალთაგან მიეფარა.

ხსართაგმა დაასრულა თავისი გრძელი ამბის თხრობა.

— ერთი სიტყვით, ჯოჯოხეთი გამოვიარე აძიბე, ძალიან ვეწამე და აი ისევ აქა ვარ.

მეექვსე თავი

ბულბულმა ბალობა დაივიწყა

1.

სოლიმი არ მოელოდა, რომ ასე მოხერხებულად მოაკვარახჭინებდა საქმეს. ქონებით გატენილი სახლი ახლა მშვენიერი ნალყუთათი დააგვირგვინა, ყველაფერი უფრო ნარნარი და საამო იქნებოდა, ნალყუთა ერთთავად საავდრო ღრუბელივით დაღვრემილი რომ არ იყოს. ქმარი გრძნობს, ნალყუთა ხსართაგს გლოვობს, რომ მას მხოლოდ ჩაფერფლილი გულის ნაცარი შერჩა ხელში. მაგრამ ითმენს, ელის, ნალყუთა დროთა განმავლობაში აუცილებლად დაივიწყებს პირველ სიყვარულს და უფრო ალერსიანი გახდება. ელის, თანაც ცდილობს ქალის გულის მონადირებას. მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს ხდება. პირველი სიყვარულით დამწვარი გულის კარის გასაღები დაკარგულია. ნალყუთასათვის სულ ერთია ყველაფერი, არც არაფერი აღელვებს, არც არაფერი ახარებს, ერთთავად დაღონებულია და გაზაფხულის თოვლივით დნება.

ქმარმა რომ ვერაფრით მოინადირა ქალის გული, გაცოფდა. ახლა

სხვა ზომა იხმარა, ტკბილი სიტყვის მაგიერ მუშტი მოიშველია. ამან უფრო გააკერპა ქალი. დამუნჯდა, აღარც ავს ამბობს, აღარც კარგს.

ერთ საღამოს სოლიმი შინ ნასვამი დაბრუნდა. დაღონებული ნალაყუთას დანახვაზე ცეცხლი წაეკიდა.

— რას ჩამოგტირის თავბედი? თითქოს ოჯახში ცხედარი გვესვენოს, ერთხელ მაინც გამხადე შენი ღიმილის ღირსი.

— ნაძალადევი ღიმილი და სიცრუე რისთვისაა საჭირო?

— ვიცი, ვისთვისაც გიძგერს ეგ გული, აქამდის ხმას არ ვიღებდი, მაგრამ ახლა კი მიფრთხილდი.

— ვისთვის? თქვი, დაე საკუთარმა სინდისმა გამხილოს.

— მიმიფურთხებია იმისთვისაც და შენთვისაც! მე აქ იმიტომ არ მომიყვანიხარ, რომ შენი კუროები იგლოვო. იცოდე, ან იყავი როგორც ცოლი, ან... მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია...

სოლიმი გადაირია, გაავდა, ერთხელაც ვეღარ მოითმინა და ნალაყუთას სილა გააწნა. ეგონა, შეშინდება და ჯიუტობას მოიშლისო, მაგრამ მოტყუვდა, იმ ღამეს ნალაყუთა თავის სახლში გაიქცა. სოლიმმა მისი წასვლა არაფრად ჩააგდო. მობეზრდება და თვითონვე შემეხვეწებაო. ახლა აღარაფრისა ეშინია, თავისი გაინაღდა, მხოლოდ მისი მოთვინიერებაღაა საჭირო. ეგონა, რამდენადაც მეტ სიმკაცრეს გამოვიჩენ, იმდენად ჩქარა მოვდრეკო, მაგრამ ნალაყუთა ქმრის ოჯახში დაბრუნებას არ აპირებდა. სოლიმმა ხელი ჩაიქნია.

ერთ საღამოს ბულათიყომ სიძის ეზოში შემოაგელვა ცხენი. სოლიმი მიხვდა, რისთვისაც იყო მოსული, ვითომ ვერ დაინახა და სალამიც არ აღირსა.

ბულათიყო ახლოს მივიდა.

— რატომ აწყენინე ჩემს დას?

— სოლიმი დაუმსახურებლად არავის აწყენინებს...

— შენ რა, უპატრონო ხომ არ გგონია, თუ მკვდრად ჩამთვალე?

— ჩემს ცოლთან თუ უსიამოვნება მომივიდა, ეგ ჩემი საქმეა, შენ კი სხვის ცხოვრებაში ცხვირს ნუ ყოფ. როგორ? ცოლი ჩემია, ის კი ბარსაგის ლეკვს გლოვობს! ჰოდა, გეუბნები, არ მოვითმენ.

— ხომ გითხარი, ხელს არ მოგცემს-მეთქი, რად გააუბედურე?

— ჩემამდეც არ იყო წმინდანი...

ბულათიყოს ცეცხლი წაეკიდა.

— ვისზე ამბობ მაგას? ახლა ის აირჩიე მსხვერპლად, ვირიშვილო?! — იყვირა მან და სიძეს ისეთი ალიყური აჭამა, რომ მიწაზე გაგორა. — დედას გიტირებ, რომ გავიგო, ხელი ახლე, უყურეთ, ერთი ამ ძაღლისშვილს, ხსართაგის დაღუპვა შეგრჩა, მაგრამ ახლა მიფრთხილდი!

— ვის უბედავ, შენი დედა... — წამოხტა სოლიმი და ბულათიყოსკენ ხანჯალამოღებული გაიქცა. ბულათიყომ კიდევ უმარჯვა, სიბრტყივ დაჰკრა თავში პაპისეული ხანჯალი, სოლიმს თვალთ დაუბნელდა.

— ეს ერთი მიპატიებია, თუ ჩემი დისთვის თითიც დაგიკარებია, იცოდე, სიცოცხლეზე ვიღებ ხელს, ან მოგკლავ ან ზედ შემოგაკვდები, ყელს გამოგჭრი, ღორისშვილო, დანიშნული ციმბირს გადაუკარგე, მერე ხმა გაავრცელე ციმბირში მომკვდარაო, ოჰ, შენი დედა... შენი, მცოდნოდა, მე გაჩვენებდი, მაგრამ შხამიანი გველივით შემოგვიძვერი და შეგვაცდინე. ახლა საქმე რომ დაიარხეინე, ცემასაც უბედავ? მე გაცემინებ... ერთი გავიგო, გავიგო და კაცი არ ვიყო, თუ შენი ნაწლავები ხელზე არ დავიხვიო. — დაემუქრა ბულათიყო სოლიმს, ერთი წიხლი კიდევ უთავაზა და მარდად მოევლო ცხენს.

გაჯავრებულმა წელი ძლივს აათრია. ახალუხის კალთები ჩამოიბერტყა, ის იყო შინ შესვლა დააპირა, რომ ყაზის ხმა გაიგონა:

— სოლიმ, სად მიიპარები, ხომ ხედავ სტუმარი გეწვია.

— ჰა, თქვი, რა მოხდა?

— ბარსაგის ლეკვი ციმბირიდან გამოქცეულა...

— როდის? — თითქოს გველმა უკბინაო, ისე დაიღრიჯა სოლიმი.

— ღმერთმა იცის.

— შენ საიდან გაიგე?

— ქაღალდი მივიღე. ბრძანებაა, დავაკავო და უკანვე დავაბრუნო.

— მერე რაღას ელოდები?

— შენ გელოდები.

— მე რა შუაში ვარ?

— აბა ვინ არის შუაში? როგორ ფიქრობ, ციმბირიდან გამოქცევა ვინც მოახერხა, ის ისეთი გიჟია, პირდაპირ კამეჩივით მოვიდეს, რომ რქებზე ბაწარი წავაბათ და ისევ ციმბირში ვუკრათ თავი? არა, ის მელასავით ხაფანგში უნდა გავაბათ. ხაფანგი კი მოფარებულში თუ არ დააგე, ისე ვერაფერს დაიჭერ, მერე კიდევ ხაფანგს ვინც უდარაჯებს, იმას თავის მოქონვა დასჭირდება თუ არა? დასჭირდება. მოსაქონიც შენა გაქვს — უშნოდ გაიღრიჭა და ყვითელი ღრჯოლები გამოაჩინა ყაზიმ.

— რამდენი?

— ჯერ ათასი მანეთი.

— ეგ ბევრია.

— არ დაგავიწყდეს, იმას შენთან ექნება საქმე.

სოლიმი გაშრა.

— ჰა, რას იტყვი?

— ჰო, თანახმა ვარ, — თავი დაუქნია სოლიმმა.

— გიშველა ღმერთმა. ჰო, კიდევ ერთი ამბავი...

— რაღა დაგრჩა სათქმელი, თქვი.

— ახლა თუ ხსართაგი დაბრუნდა, შეიძლება პირდაპირ აქ არ ჩამოვიდეს. რა თქმა უნდა, არ ეცოდინება დანიშნულის ამბავი. აუცილებლად შეეცდება მის ნახვას. ბულათიყოს ძმაღნაფიცია, არ და-

გავიწყდეს. თუ მათ ერთი მიზანი დაისახეს, შენი საქმე წასულია. აღარაფერი გიხსნის. დაიღუპე და ეგ არის. გავიგე, ცოლი გიცემია. გაფრთხილდი! ჰო, მომაოხრე თუ რამეს იძლევი, ხაფანგის საქმე მოვაწესრიგო. ცოლმა არაფერი გაიგოს, დაიღუპები.

მეორე დღეს სოლიმი ცოლეურს ეწვია. ბულათიყომ შინ არ შეუშვა. სოლიმმა ხერხი იხმარა, უფროსები მიუჩინა. ფეხქვეშ ჩაუვარდა ნალაყუთასა და ბულათიყოს, პატიება სთხოვა.

ბულათიყომ შორს დაიჭირა. მე შენთან ნათესაობა არ მინდაო. ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. მაგრამ ისევ ნალაყუთამ დათმო, შეეშინდა ძმა ხიფათში არ გავახვიოო.

სოლიმმა წამოიყვანა ცოლი. მას შემდეგ მართლა სანთელივით მოიღვენთა, შაკრად დადნა. უკადრისი სიტყვა აღარ წამოსცდენია. ის კი არა, ერთხელ ასეთი საუბარიც გაუმართა:

— ნალაყუთა, რას იტყვი, ის ობოლი რომ წამოგვეყვანა... ხასანას ბიჭზე გეუბნები. ხალხი მოწმეა, საწყალი ზარინას დასაფლავების დღესაც მომყავდა, აძიბემ არ დამანება. ხსართაგი, ღმერთმა აცხონოს, უცხო არ იყო. არა, იმას კი არ ვამბობ, თითქოს აძიბე ცუდად ექცეოდეს. არა, მაგრამ ჩვენთან უკეთესად იქნება. აძიბე თვითონაც ხელმოკლეა. დაფიქრდი, თუ ჩემი წინადადება ჭკუაში დაგიჯდეს, ვიშვილოთ, კარგი ბავშვია.

ნალაყუთა საფიქრებელმა წაიღო: რად დასჭირდა სოლიმს ვიღაცის ობლის შინ მოყვანა? ხან ისე იფიქრა, ხან ასე, მაგრამ ვერაფერს მიხვდა. რატომ იჩენს ამდენ მზრუნველობას? აქამდის ხსართაგის ხსენება აცოფებდა, ახლა რა მოხდა? მრავალი კითხვა უპასუხოდ რჩებოდა. აცირუხსს ჰკითხა, იმანაც ხელები გაატატანა:

— ღმერთმა იცის, რა განიზრახა!

— კი მაგრამ, რას უშლის უთვისტომო ობოლი?

— არ ვიცი. მე მხოლოდ იმას ვხედავ, რომ თუ სოლიმი კეთილ საქმეს აკეთებს, რაღაც მნიშვნელოვანი აქვს ჩაფიქრებული, ვიღაცას ჩასცემს მკერდში მახკილს.

აცირუხსი კარგად იცნობდა გერს. მისი საქმეებიც იცოდა, მაგრამ არც ის ავიწყდებოდა, თუ გაბედავდა და ერთი სიტყვაც დასცდებოდა — სოლიმი გველეშაპივით პირს გააღებდა და აცირუხსი გაქრებოდა. ახლაც იმიტომ შეკრთა. იცის, სოლიმი უბრალოდ არ ცდილობს ხასანას ობლის შინ მოყვანას. მაგრამ ნალაყუთას პირდაპირ ვერაფერს ეუბნება. რა ურჩიოს, თვითონაც არ იცის, მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

— რა ვიცი, შვილო, შენი ნებაა, როგორც გინდა ისე მოიქეცი.

ნალაყუთამ პატარა ბაბე შინ მოიყვანა. აძიბე უარზე იყო, მაგრამ ნალაყუთას ცრემლებმა მოულბო გული.

— აძიბე, შენ მაინც შემიბრალე, ხომ იცი, ხსართაგის შემდეგ ჩემი სიცოცხლე აღარ ღირს. მოკვდა გული. იქნებ ამ ამბავმა ცოტა-

თი მაინც მომიშუშოს წყლული. საკუთარი შვილივით გავზრდი. მომეცით, თორემ დიდხანს ვერ გავაღწევ, მოვკვდები.

აძიბეს შეებრალა მწუხარე ქალი. იგრძნო, ნალაუთას გულში სამუდამოდ დაისადგურა ხსართაგის „დაღუპვით“ გამოწვეულმა ტკივილმა, რომ ის მხოლოდ წარსულითღა ცოცხლობდა და დათანხმდა.

პატარა ბაბე წამლად ექცა ნალაუთას. გამხიარულდა, ხმა ამოიღო, გულში გაჩენილ აინულს ლხობა შეეპარა. გამოიცვალა ქალი.

სოლიმს გაუმართლა განზრახვამ, რის მიღწევაც აქამდის ვერაფრით შეძლო, ახლა ბავშვის საშუალებით მოახერხა. აინულმა ლხობა დაიწყო. ახლა ნალაუთა ხშირად იცინოდა. ბავშვის სიყვარულმა გული გაუთბო. სოლიმიც გამოიცვალა, აღარაფერს იშურებს არც ნალაუთასთვის, არც ბაბესთვის. ისე არსაიდან დაბრუნდება, რომ ბავშვი რამეთი არ გაახაროს. თუ შინ არის, ხელში უჭირავს, ეფერება, ჰკოცნის. ნალაუთა ხედავს ამას და თანდათან მოლბა. ისე ცივად აღარ ექცევა ქმარს. თვითონ კი ხსართაგის სიყვარული ამ პატარა ბავშვზე გადაიტანა და მის გულში სრულიად ახალმა, ძალზე ძლიერმა დედობის გრძნობამ გაიღვიძა.

სოლიმიც კარგ ხასიათზეა. მისი ცხვრის ფარები ერთიორად გამრავლებული დაბრუნდა საზამთრო საძოვრებიდან, შარშან შემოდგომით რომ მოჯამაგირე აიყვანა, ძალიან შრომისმოყვარე და მარდი ბიჭი გამოადგა.

— მე კმაყოფილი ვარ შენი, ამიტომ ხელფასს გარდა ერთი თოხლი მიჩუქებია, — დიდსულოვნება გამოიჩინა სოლიმმა.

— გადღეგრძელა ღმერთმა, შენს სიკეთეს არ დავივიწყებ. მაგრამ თოხლის მაგიერ ცოტა ქერს თუ მომცემდი, მეტად დაგიმადლიდი. შემოდგომით მამაჩემი უჭირნახულოდ დავტოვე.

ამ ცოცხალ, შრომისმოყვარე მოჯამაგირესთან რომ არაფერი დაეკარგება, იცის სოლიმმა.

— კარგი, როგორც გინდა. ხვალ ჩამოდი და საპალნეს გაგიხერხებ. ბერე კიდევ, ზურგით არ ეწვალო, ცხენს გათხოვებ. წადი, მამასაც ნახავ, მხოლოდ დიდხანს არ შეგვიანდე. ხო? იცი, ცხვარს დროზე უნდა მიხედო.

— გმადლობთ, სოლიმ, შენი პატივისცემა დაუვიწყარი იქნება. ცხვრის დარდი ნუ გაქვს, მალე დავბრუნდები.

დილით წასასვლელად მომზადებულმა სოლიმმა აცირუხსს დაუბარა:

— მე აქ არ ვიქნები. მოჯამაგირე მოვა და ერთი-ორი ფუთი ქერი მიეცი.

მოვიდა მოჯამაგირე, ჭიშკარი შემოაღო. აცირუხსმა გახედა.

— ქალბატონო, სოლიმი თუ ბრძანდება შინ.

— არა, არ გახლავთ.

— მაშ რა მეშველება. მოჯამაგირე ვარ თქვენი, ქერს შემპირდა...

— ვიცი, ვიცი. შემოდი, შვილო.

— გიშველა ღმერთმა.

აცირუხსმა ხურჯინის ერთი თვალი ქერით გაავსო და მოჯამაგირეს შეხედა. დახეული შარვლიდან მუხლი მოუჩანდა ჭაბუკს.

— შარშან, ჩვენთან დადექი თუ არა, მაშინვე ყიზლარში მოგიხდა წასვლა და ვერც კი მოვასწარი მეკითხა, სადაური ხარ, ვისი გვარისა!

— აქაური არა ვარ, ყამფალგომი თუ გაგიგონიათ?

— ყამფალგომში ბევრი აულია.

— ხარდისარელი ვარ.

— ქალს თვალები გაუფართოვდა.

— ვისი ბიჭი ხარ?

— დოლათისა.

— ვისი? — ყურებს არ დაუჯერა აცირუხსმა.

— მალძიგათი დოლათისა.

— რამდენი წლისა ხარ?

— გაზაფხულზე ოცისა გავხდი.

— რა გქვია?

— თაიმურაზი.

აკანკალდა აცირუხსი. თვალს ვეღარ აშორებს ჭაბუკს და უცბად, ჰოი, საკვირველებავ, ჭაბუკის ნატანჯი და დარდიანი სახე დაპატარავდა, დაპატარავდა და აკვნიდან ჩვილმა შემოსცინა. აი პატარა ცაცებს იშვერს დედისაკენ. დაიხარა აცირუხსი და ბავშვს არტახები მოუფონა. მერე თვითონ გარეთ გამოვიდა, ჩვილმა დედას თვალი გააყოლა, აკვანში ჩაბჟირდა. აცირუხსი ისევ მიბრუნდა.

და გულმა დაიკვნესა „შვილო“. იქვე ჩაიკეცა. თაიმურაზი გარეთ გამოვარდა, მშველელს უხმო. ნალყუთამ მოირბინა. გულწასული ქალი გარეთ გამოიყვანეს და დერეფანში ტახტზე მიაწვინეს. გვიან გაახილა თვალი. ჭაბუკი მოჰქებნა.

— რა იქნა? — იკითხა მისუსტებული ხმით.

— წავიდა, — უპასუხა ნალყუთამ.

— ჩემო წილო გამჩენო ღმერთო! ამაზე მეტად ნუღარ გამაუბედურებ! — დაიკვნესა და ატირდა.

— რა დაგემართა, აღარ იტყვი? — ჩაეკითხა ნალყუთა.

— არაფერი, არაფერი, შვილო...

— დედამთილო, ძალიან გთხოვ, ნუ დამიმალავ, მითხარი რა მოხდა?

— გეტყვი, თავს შემოგევლე, გეტყვი. შენი რჩევა მჭირდება...

აცირუხსმა გვერდით მოისვა ნალყუთა. მძიმე-მძიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოუთხრო თავისი ამბავი. დიდი ხნის ბოლმით გასიებული გული გადაუხსნა.

— ჰე, შვილო, ასე იყო ჩემი საქმე... დღეს ამ გასახმობმა გულმა იგრძნო შვილის სიახლოვე. აკვანში დატოვებული ჩვილი ვაჟკაცად დამიბრუნდა. დიდება შენდა, ღმერთო. ახლა გინდაც მოვკვდე, იქ

მაინც იქნება დამშვიდებული ჩემი ნაწამები გული. დედა გენაცვალოს, დედის ხელ-გულნაკლულო, შვილო... ნუთუ იძულებით ჩადენილ დანაშაულს არასოდეს მაპატიებ.

ნალაუთა გრძნობდა, რომ აცირუხსს რაღაც გამოუცნობი დარდის თუ სინდისის ქენჯნა აწუხებდა, თითქოს მას ნალაუთასი ეშინოდა, ერიდებოდა. ცდილობდა მისი კეთილგანწყობა დაემსახურებინა. არც სოლომისა და აცირუხსის დამოკიდებულებაში იგრძნობოდა მაინცდამაინც დიდი დედაშვილური სითბო. გულჩათხრობილ აცირუხსს ერთი ზედმეტი სიტყვა არ დასცდებოდა. სოლომსაც ერიდებოდა და ნალაუთასაც. Ეაგრამ რაკი აგრე რიგად არც ნალაუთას ცხოვრება აეწყო, იმას უფრო მიენდო და აი ახლა ნალაუთამ თავიდან ბოლომდე მოისმინა აცირუხსის აღსარება. ყოველივე ეს ისე მძიმედ მოხვდა გულზე, რომ თავისი გაჭირვება შედარებით იოლად მოეჩვენა. ძალიან შეებრალა სვეგამწარებული დედამთილი. მშობელ დედასავით ჩაეკრა გულში და ატირდა.

— იტირე, შვილო, იტირე, ცრემლით განბანე ჩემი გაჭირვებული წარსული! ჩვენი უდროოდ დაღუპული სიყვარული. იტირე, რძალო, სხვა ძალა ჩვენს ხელთ არ არის. ცხოვრებამ ხომ ხედავ, როგორ დაგვწიხლა, ფეხქვეშ გათელა ჩვენი წმინდა გრძნობა.

მეშვიდე თავი

სამჭედლო ფამეგისა, სამჭედლო გედნიერაგისა

1.

ქალაქი. რკინიჭის საამქრო.

— ძინგ-ძინგ!.. ძინგ-ძინგ!.. ისმის ძველ სამჭედლოში ურიოების მონოტონური ბაგაბუგი. გავარვარებულ რკინაზე ჩაქუჩის ყოველი დაცემის შედეგად უამრავი წითელი ნაპერწკალი იფრქვევა გარშემო.

— აფ-უფ!.. აფ-უფ! — ქშინავენ უშველებელი საბერველები.

— ფალუ-ფალუ! ფალუ-ფალუ! — თუხთუხებენ რკინის სადნობი უშველებელი ღუმელები. ხელის ურიკებით მოაქვთ და მოაქვთ რკინის ნამსხვრევები და ღუმელის წინ სპეციალურ პირგანიერ ციცხვში ჩაყრიან. როცა ციცხვი გაივსება, მუშა, რაღაც ღილისმაგვარს დააჭერს თითს, ციცხვი ნელ-ნელა გაცურდება, ღუმლის ღია ხახაში გადაუძახებს ტვირთს და ისევ ისე დინჯად უკან გამოცურდება.

გამდნარი რკინა უკანასკნელად გრდემლზე ხვდება. უშველებელი ჩაქუჩი ამოძრავდება და ატყდება ბაგაბუგი.

კვნესის, კივის რკინა.

საამქროში უამრავი მუშა ირევა.

იმ არეულ-დარეულ ხმაურში მძიმე ჩაქუჩების ბაგაბუგში ხსარ-

თაგის ჩაქუჩის სიმფონიაც ურევია. აგერ მთელი წელია ყოველ დილით შვიდ საათზე ათასობით მუშასთან ერთად გამოუძინებელი მოდის და ღამემდე უბაგუნებს გრდემლზე ჩაქუჩს. უფორმო რკინა თანდათან რელსის სახეს იღებს. მერე მზა პროდუქცია გადის საამქროდან.

მძიმე სამუშაოა. ხელფასი კი — მინიმუმი. იმასაც სრულად ვინ იძლევა, ეს ჯარიმაო, ეს ისაო და თვის ბოლოს რაღაც კაპიკები რჩება. ხანდახან ამ საამქროდან წასვლასაც ფიქრობს, მაგრამ გულმართალი ამხანაგები არ ეთმობა. მართლა კარგი ამხანაგები ჰყავს, ისინიც მასავით უქონელნი და ღატაკები არიან. მაგრამ მათზე დანდობა შეიძლება, იცის ხსართაგმა, არ უღალატებენ. ამ საამქროშიც მათი დახმარებით მოვიდა. აძიბეს რომ დაემშვიდობა და აქეთ გამოსწია, გზაში ურსთვალელ ილარს შეხვდა. ბავშვობიდან იცნობდა მას ხსართაგი, ბარსაგის ოა ხასანას ძმადნაფიცი იყო და მათ ოჯახში ოიაარებოდა. თავისი ამბავი თავიდან ბოლომდე უამბო, არაფერი დაუმალავს.

ილარი, გამოცდილი და გაგებული კაცი, ღრმად ჩააფიქრა ხსართაგის ნაამბობმა.

— რაიმე საბუთი გაქვს?

— ციმბირიდან გამოქცეულ პატიმარს რა საბუთი მექნება.

— მაშ ბაქოში ვერ წახვალ. უსაბუთოდ სამუშაოზე არ მიგიღებენ, მერე კიდევ უცხო ხალხში უფრო გაგიჭირდება კვალის დაფარვა და ისევ ციმბირში ამოგაყოფინებენ თავს.

საგონებელში ჩავარდა ხსართაგი. სასო წარეკვეთა.

— მაშ რა გზას დავადგე?

— ჩემთან წამოდი. თბილისში რკინიგზის საამქროში ვმუშაობ. კარგი ამხანაგები მყავს, მოგიხერხებ რამეს.

ხსართაგი დარჩა თბილისში. ილარის ამხანაგებმა საბუთები უშოვეს და საამქროში მუშად დაიწყო მუშაობა. ახლა ის სხვა გვარითა და სახელით ცხოვრობს.

პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა ხსართაგს. გამოუცდელი ყმაწვილისათვის ილარის გვერდით მუშაობა ადვილი როდი იყო, განსაკუთრებით სიცხეში — ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მკლავში ძალა ეცლებოდა.

ილარი ერთ ბნელ სარდაფში ცხოვრობდა ცოლ-შვილით. სამი ქალიშვილი ჰყავდა და როცა საღამოთი ყველანი მოგროვდებოდნენ, ოთახში ფეხად ძლივს ეტეოდნენ. ხსართაგი ხედავდა მათ გაჭირვებას და მართალია, ილარი არ უშვებდა, ის მაინც გადავიდა სხვაგან. პაწაწინა ოთახი იქირავა, მეტი არც უნდოდა. დიდი ხანია მის გულს აღარაფერი ახარებს. მის ლამაზ ოცნებებს ფრთები შეეკვეცა და სადღაც გულის სიღრმეში ღრმად ჩაიმარხა. ახლა მხოლოდ ფიზიკური არსებობისათვის ჯახირობს.

და აი დღესაც ჩვეულებრივად ზის და ფანჯარაში იყურება. გარეთ თოვს, მსხვილი ფანტელები ფრთებდამტვრეული ჩიტებივით ფარ-

ფატით ეფინება ქუჩას, სახლების სახურავს. მისი ფიქრები ამ თოვლის მსხვილი ფანტელებივით ცივ ჩიტებად იქცნენ და თავიანთი სველი ფრთებით მშობლიური მთები გადაატარეს და თედოთიყაუში ამოყო თავი. თვალწინ დაუდგა თავიანთი სახლი. აგერ ფანჯარასთან ზის დედა და მწუხარებით დანისლული თვალებით უყურებს, როგორ ბარდნის, მერე უცბად ქარი შემოუბერავს და თითქოს უშველებელი ცოცხი მოუსვამ, თოვლს ღობის ძირებში მიხვეტავს. მამა კი კერასთან კალათჯინში ზის და ისიც მძიმე-მძიმედ სველი შეშის თითოთითო ნაპობს უმატებს შუა ცეცხლს.

თოვს... თოვს... და ეს თოვლი ისევე ათოვს ხსართაგის გულს, როგორც იქ, სოფელში, დედ-მამისას...

საამქროში შესვენება დაიწყო. სანდრომ ხელკავი გამოსდო ხსართაგს და გვერდით გაიყვანა.

— ხსართაგ, რატომ ხარ ერთთავად დაღონებული? ილარმა მითხრა შენი ამბავი, მაგრამ მაინც არ გამართლებ. ერთი ბრძენი პოეტი გვყავდა ქართველებს და იმას უთქვამს: „ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა ვით ქვითკირსა“. კითხვა რომ იცოდე, ერთ ძალიან საინტერესო წიგნს გათხოვებდი.

— რუსული წერა-კითხვა ვიცი. გადასახლებაში მასწავლა ერთმა კარგმა ადამიანმა.

— აგაშენა ღმერთმა, მაგას რა სჯობია. მუშაობის დამთავრების შემდეგ უჩემოდ არ წახვიდე.

საღამოთი საამქროდან რომ გამოვიდნენ, სანდრომ ხსართაგს უბეში რაღაც წიგნი ჩაუდო.

— არავის აჩვენო, ეს აკრძალული ლიტერატურაა და მაგისთვის ხელმეორედ გიკრავენ ციმბირში თავს.

იმ ღამეს არ დაუძინია ხსართაგს, სანთლის შუქზე ჩარბად კითხულობდა სანდროს მიერ საიდუმლოდ მიცემულ საოცარ წიგნს.

ბევრი რამ ვერ გაიგო, მაგრამ რაც მთავარი იყო, ის უკვე კარგად ესმოდა, რომ ქვეყნად უსამართლობაა გამეფებული, ერთნი ოფლს ღვრიან და შიმშილით იხოცებიან, მეორენი კი მათი ნაოფლარით სუქდებიან.

ეს აზრები მან, ციმბირშიც მოისმინა ვასილიჩისაგან. იცოდა, რომ დიდ ქალაქებში მრეწველობაში დასაქმებული მუშები ეკონომიურ სივიწროვეს განიცდიან, ასევე გაჭირვებაშია სოფლად გლეხობაც.

ხსართაგი ვასილიჩის აზრებს იზიარებდა, ღატაკი ხალხის მდგომარეობა აუტანელია და დახმარება აუცილებლად სჭირდებათ, მაგრამ მაშინ მუშათა კლასისა არაფერი გაეგებოდა, არ იცნობდა, ან საიდან უნდა სცოდნოდა, როცა მშობლიურ ხუჭუჭა მთებს არ გასცილებოდა. არც ის იცოდა, რომ ათასობით დღიური მიწა ისევ მებატონეს ეკუთვნოდა. ვასილიჩის ნალაპარაკევს თავის აულის პირობებით საზღვრავდა. იქ, მართალია, ყუნცელი და სოლიმი სხვებზე ბევრად უკე-

თესად ცხოვრობენ, მაგრამ არც იმათა აქვთ მთელი აულის საკმარი მიწა.

ახლა ამ საოცარმა წიგნმა სერიოზულად ჩააფიქრა. მიხვდა, რატომ არის ქვეყნად უსამართლობა და რა არის ამის წამალი, არსებული წყობილების საფუძველი დაინგრეს და მის ნანგრევებზე ახალი საზოგადოება აშენდეს. ეს იქნება ისეთი საზოგადოება, სადაც ადამიანი ადამიანის ძმა და მეგობარი გახდება, სადაც ადგილი არ ექნება ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრას, სადაც ადამიანებს ერთნაირი უფლება ექნებათ. ხსართაგი თანახმაა იბრძოლოს ასეთი საზოგადოების აშენებისათვის. მხოლოდ ერთი საკითხი აფიქრებს: ვინ წაუძღვება ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში? მაგალითად, მუშებმა მოსპეს მეპატრონეები, მერე? რანაირადღა იმუშავებენ, ხელფასს ვინ მისცემს? ვინ იქნებ_ საწარმოოს პატრონი? ვიღაც ხომ უნდა იყოს ხელმძღვანელი. ერთნი იმუშავებენ, მეორენი მაინც უფროსები იქნებიან. ეგ რაღა თანასწორობაა?

მეორე დღეს ხსართაგმა აკრძალული წიგნი სანდროს მოუტანა და აი იმ გაუგებარ საკითხებზეც ელაპარაკა.

— მაგ საკითხებზე სახალხოდ ლაპარაკი არ შეიძლება, საღამოსათვის გადავდოთ.

2.

ადრე დაიძინეს ბავშვებმა, ღუმელთან მარტო ქეთო ზის და ისიც თვლემს. მაგრამ სანდროსა და ხსართაგს სალაპარაკო აღარ შემოელიათ. სანდრო მოთმინებით უხსნის უკულმართი წყობილების დამხობის გზებს. როგორ და რა გზით შეიძლება მეფის ტახტიდან გადმოგდება. ვინ იქნება ახალ საზოგადოებაში ხელმძღვანელი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მუშები და გლეხები ერთიანი ძალით შეებრძოლონ ძირმომპალ მონარქიულ წყობილებას. იმისათვის, რომ ჩაგრულმა ხალხმა ადამიანური უფლებები მოიპოვოს, საჭიროა ბრძოლა, შეუპოვარი ბრძოლა.

— ლაპარაკი გაგვიგრძელდა, ხსართაგ, დილით ადგომა დაგეზარება. აი ახალი წიგნი, წაიკითხე. რაც ვერ გაიგო, ჩაინიშნე. — წიგნი ხსართაგმა უბეში ჩაიდო და უხმაუროდ გამოვიდა თოვლით გადაპენტილ ვიწრო შუკაში.

მას შემდეგ დაუმეგობრდა სანდროს, ისიც სულ ახალ-ახალ ლიტერატურას აწვდის ბეჯით შეგირდს, რომელიც საოცარი სისწრაფით იზრდება. ახლა უკვე ბევრი რამ იცის. ზოგჯერ სანდროს აღარც ეკითხება გაუგებარ საკითხებზე, თვითონ ეძებს პასუხს. ეძებს წაკითხულ წიგნებში, გაზეთებში. დრო კი უკან მოუხედავად გარბის. ხსართაგი დავაჟკაცდა, მის გულში გრდემლზე გამოსაჭედად დადებული გავარვარებული რკინასავით შეიჭრა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლი.

ცხოვრება სულ სხვანაირად ეჩვენება, თითქოს აქამდის დიდი ლოდის ქვეშ ღრმა ძილში იყო, ახლა გაიღვიძა, შეინძრა, ზურგიდან გადაიგდო ლოდი, ხელ-ფეხზე დადებული ბორკილები გასწი-გამოსწია და აი სადღაც გაწყდა ტიალი ჯაჭვი. იმედი მიეცა. არა, არ დამთავრებულა სიცოცხლე, არც მისი გაზაფხული დამთავრებულა. ის გაზაფხული, რომელსაც ხსართაგი იცნობდა, ასე ლამაზი და საოცნებო არ ყოფილა. მართალია, ეს გაზაფხული ჯერ შორს არის, მისი გზა მოუკირწყლავი და ეკლიანია, მაგრამ ეს ვერ შეუშლის ხელს, მოვა იგი. ხსართაგისათვის ამ გაზაფხულის პირველი მერცხალი სანდროა, ზღაპარში გაუგონია დევგმირზე, რომელიც მშიერ-მწყურვალი ხალხის ცხრაკლიტულში დამარხული ბედნიერებისათვის ჯოჯოხეთში წასვლას არ შეუშინდა და ხალხს ბედნიერება და სიხარული დაუბრუნა. აი დევგმირად წარმოიდგინა სანდრო და ხსართაგი მზად არის თავის ქართველ მეგობარსა და მასწავლებელს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში თან გაჰყვეს.

პატარაობიდანვე ჭკვიანი იყო ხსართაგი. მამა-ბიძის მოხერხება და გამჭრიახი გონება დაჰყვა თავიდანვე. ადრე იგრძნო, ცხოვრება რომ რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. მაგრამ თავისით ვერ გაერკვა, რად იყო ასე და როგორ უნდა ყოფილიყო. პირველად ციმბირში ვასილიჩმა აუხილა თვალი, სინათლის სხივი ჩაუგდო გულში, ახლა კი აგერ სანდრომ ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა, ისიც, როგორ მიაგნოს სინათლეს.

ძველმა ჭრილობამ მოშუშება იწყო. გულში ჩამარხული დარდები ნელ-ნელა იცრიცება, სამაგიეროდ ახალი საფიქრებელი, უფრო მძიმე და საქვეყნო იჭერს ძველის ადგილს.

სანდრომ ხსართაგი თავის ამხანაგებს გააცნო. მალე ის არალეგალური რევოლუციური ჯგუფის წევრი გახდა. ორგანიზაციის სხდომებზე ხშირად იხილავდნენ მუშათა ეკონომიური მოთხოვნების, პოლიტიკური ბრძოლის, გაფიცვების და სხვა საჭირბოროტო საკითხებს. ერთ-ერთ სხდომაზე ხსართაგმა პირველად იხილა ცნობილი რევოლუციონერი ალილუევი, რომელიც არალეგალურ ორგანიზაციას აკრძალული ლიტერატურით ამარაგებდა. ხსართაგმა პირველად იმავე ალილუევისაგან გაიგონა უცნაური სიტყვები: „ლენინი“, „ბოლშევიკი“, „მენშევიკი“.

თანდათან ხშირად აგონდება ვასილიჩი. ყველაზე მეტად ახლა გამოადგა ის განათლება, რომელიც ხსართაგმა ვასილიჩის დაჟინებითა და ხელმძღვანელობით მიიღო.

— ისწავლე, შვილო, სამუდამოდ აქ არ დარჩები. შინ რომ დაბრუნდები, სწავლა ძალიან გამოგადგება. სწავლა ის დიდი ძალაა, რომლითაც ბნელ ღამეშიც კი გაიგნებ გზას სინათლისაკენ. — ხშირად უთქვამს ვასილიჩს და მართლაც რა ბედნიერია ხსართაგი, რომ დამოუკიდებლად შეუძლია წიგნის კითხვა. რევოლუციურ ჯგუფში ბევრი რამ შეისწავლა, აქვე გაიგო, რომ რუსეთ-იაპონიის ომში მილი-

ონობით ადამიანი გაიმეტეს საზარბაზნე ხორცად. ქვეყანა დაიმშა. მუშათა კლასი ღელავს, დიდ სამრეწველო ქალაქებში გახშირდა მუშათა ორგანიზებული გამოსვლები, პეტერბურგში მეფემ მოატყუა ხალხი. მათი გამოსვლა სისხლში ჩაახშო და ამ დღეს, 9 იანვარს, ხალხმა სისხლიანი კვირა უწოდა.

არალეგალურმა რევოლუციურმა კომიტეტმა მორიგ სხდომაზე წინადადება წამოაყენა, რკინიგზის საამქრომ გაფიცვა გამოაცხადოსო და ამით მხარი დაუჭიროს პეტერბურგელ ამხანაგებს, რომელთა სისხლიც უდანაშაულოდ დაღვარა მეფემ.

სრულიად საიდუმლო ვითარებაში მომზადდა მუშათა გაფიცვა, დანიშნულ საათზე გაისმა ქარხნის საყვირის საგანგაშო ღრიალი. მუშები ქარხნის ეზოში შეგროვდნენ. პოლიცია და ჟანდარმერია ფეხზე დადგა. მათ მუშების დაშინებას მიმართეს, სამუშაოს დაკარგვით დაემუქრნენ. გაფიცულებს სხვა ქარხნების მუშებიც შეუერთდნენ. მთიდან წამოსული ზვავივით იზრდებოდა ტალღა. გაფიცულები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, რვასაათიანი სამუშაო დღის დაწესებას, მუშათა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

პოლიციას ჯარი მიეხმარა და გაყიცვა სისხლის ღვრით დამთავრდა. დააპატიმრეს გაფიცვის ორგანიზატორები, მათ შორის სანდროც.

იმ ღამეს ხსართაგი შინ არ მისულა. ადრევე შეატყობინეს, რომ მის ოთახში ჩხრეკა ჩაეტარებინათ და რაღაც ლიტერატურა წაეღოთ.

ერთი თვე იმალებოდა კონსპირაციულ ბინაზე.

3.

კარზე ფრთხილად მიაკაკუნეს. ბულათიყო შვილს ეთამაშებოდა. კაკუნის გაგონებაზე ბიჭი ძირს დასვა და კარი გამოაღო. სიბნელეში ვერ იცნო მოსული.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ბულათ... — თითქმის ჩურჩულით უპასუხა უცნობმა.

— ხსართაგ! შენა, ბიჭო?! — შესძახა ბულათიყომ და ძვირფას სტუმარს გადაეხვია.

— სსს, რა გაყვირებს, მე ხსართაგი კი არა, ყასაი ვარ, ასე მიცნობენ ახლა ამხანაგები.

ბულათიყო გაოცებული შეჰყურებდა.

— ნუ გიკვირს, ბულათიყო, მოგვიანებით ყველაფერს აგიხსნი. ახლა კი ერთი რამ მაინტერესებს. გახსოვს, ძმად რომ გავიფიცეთ? შარშანაც გამიმეორე ძმადნაფიცი ვარ შენი და თუ ოდესმე ჩემი თავი დაგჭირდეს, ნუ დამზოგავ, ჩემი სახლის კარი შენთვის ყოველთვის ღია იქნებაო. თუმცა წინდაწინ გაფრთხილებ, ჩემი სტუმრობა შეიძლება სახიფათოც იყოს, ჰოდა, თუ შენი დანაპირები გადათქვი, მაშინ მე სხვაგან მოვძებნი მასპინძელს.

— შეურაცხმყოფ, ხსართაგ, — იწყინა ბულათიყომ.

— ეგრე ნუ იფიქრებ, ბულათიყო, მე ვიცი, რასაც ვამბობ.

— შინ შევიდეთ, თუ ისეთი მნიშვნელოვანი საქმეა, აქ სალაპარაკო ადგილი არ არის.

ხსართაგი შინ შეჰყვა ბულათიყოს.

— ღმერთო დიდებულო, შენ მიშველე, როგორ გამოცვლილხარ, ხსართაგ, გაჭაღარავებულხარ, ბიჭო. სადა ხარ, სად დაიკარგე? ერთხელ აღარ მოგვაკითხე, — წრფელი გულით გაიხარა ქირქისამ.

— ქალო, ჯერ ნახე რამე, თითო ჭიქით სტუმრის მშვიდობით მოსვლა დავლოცოთ, შეკითხვები კი მერეც შეიძლება.

ქირქისა მაშინვე მეორე ოთახში გავიდა და მალე ხსართაგმა საცერზე მისი ხელების ტყაპა-ტყუპი გაიგონა.

— ხსართაგ, კი არ გეწყინოს და მაინტერესებს, რა გაგიჭირდა და მე რა დახმარება შემიძლია?

— არაფერი, ბულათიყო, შენ მხოლოდ იმაში დამეხმარე, რომ ჩემი ადგილსამყოფელი არავინ იცოდეს.

— მარტო ხარ?

— მარტო.

— სად არიან შენი ამხანაგები?

— ამხანაგები ჯერ არა მყავს. პირველი შენ იქნები...

ბულათიყომ ვერაფერი გაიგო და კვლავ შეეკითხა:

— ვის წინააღმდეგ იქნება ჩვენი ბრძოლა მიმართული?

— მეფის წინააღმდეგ, სოლიმის, ყუნცელის, პაპაშენი ბორსას წინააღმდეგ.

— მერე, მარტო ორნი რას გავხდებით?

— მარტო რად ვიქნებით. ჩაგრული ხალხი გამოგვყვება.

— კი მაგრამ, ამდენი ყაჩაღი ტყეშიც არ დაეტევა.

— ყაჩაღებთან რა გვესაქმება? მე ყაჩაღი არასოდეს ვყოფილვარ და არც ვიქნები. — „ყაჩაღი ვგონივარ", — გაიფიქრა ხსართაგმა. — ბულათიყო, მართლა ყაჩაღი ხომ არ გგონივარ? არა, ძმაო, ვისიმე საქონლის გასატაცებლად ან ვინმეს მოსაკლავად არ მითხოვია დახმარება. მე ახლა მთავრობისათვის ყაჩაღზე საშიში ვარ. სხვა გზა ავირჩიე, ბულათიყო, სხვა გზა. ჩემთვის ახლა ერთნაირად საძულველი მტრები არიან სოლიმი, ყაზი, ყუნცელი, პაპაშენი ბორსა და სხვები, რომლებიც ხალხის სისხლს წოვენ. მათ წინააღმდეგ იქნება ჩემი ბრძოლა მიმართული.

— კი მაგრამ, თანამოაზრედ მაიინცდამაინც მე რატომ ამომირჩიე?

— იმიტომ, რომ გენდობი და დახმარების იმედიც მაქვს.

— მაგაზე დიდი მადლობა, ხსართაგ, მაგრამ რაღაც საშიშ ამბებს ყვები, ბიჭო, ბუნტოვჩიკი ხომ არა ხარ?

— მიხვდი, ბულათიყო. მუშათა რევოლუციურმა ორგანიზაციამ მოშავლინა მთაში.

ოთახში ქირქისა შემოვიდა. ფინგზე ცხელ-ცხელი ხაჭაპურებით სავსე თაბაღი დადგა, ცივად მოხარშული ქათამი და არაყიც მოაყოლა და სტუმარს შეეპატიჟა.

— მობრძანდით, მხოლოდ რაც უჩემოდ ილაპარაკეთ, ხელახლა გათქმევინებთ.

— შენთან რა მაქვს დასამალი, ქირქის, — გაიცინა ხსართაგმა.

— ჯერ ივახშმეთ და მერე რამდენიც გინდათ იმდენი ილაპარაკეთ. ღამე დიდია.

ქვეყანა აირია. მთაშიც გამოჩნდნენ რაზმელები. ისინი ხალხს აგულიანებენ, მხარი დაუჭირონ მუშათა კლასს. თედოთიყაუშიც მოიტანეს ამბავი, ბარის სოფლებში ხალხი ღელავს, მემამულეებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ გამოდიანო. აღარც ღალას იხდიან და აღარც ბეგარაზე მუშაობენ. ალდარებსა და ჩაფრებს ხოცავენო.

ისიც თქვეს, ქალაქიდან კაცი ამოსულა, სახელად ყასაი, ვინც კი პირადად შეხვდა, უკვირთ, თურმე ხალხს აქამდე ჭურში ეძინა. მიწა მემამულისა და ალდარისა კი არა, ვინც ამუშავებს, მისიაო. ხან ერთ აულში გამოჩნდება, ხან მეორეში, ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებს. მეფეს უპირებს, თურმე, ტახტიდან გადმოგდებას. ბოქაული დასდევს დასაჭერად, მაგრამ ხალხი ინახავს. იმ დღეს ეგზეკუცია ჩაუყენა, ყაჩაღებს ინახავთო, რომ ვერაფერი გაუვიდათ, ჯავრი აულის თავკაცზე იყარეს, მათრახით სცემეს. სად იყო, სად არა, ყასაი არწივივით დასცემია ბოქაულს და ხალხმა თვალის დახამხამება ვერ მოასწრო, ისე გადმოიღო ცხენიდან. ამით გათამამებული გლეხებიც ჩაფრებს დარევიან და იარაღი აუყრიათ.

იმასაც ამბობდნენ, იმ დღეს ალდარი სიღდიყაუში მისულა ღალის ასაკრებად. გაღატაკებულ გლეხებს რა ღალის გადახდის თავი აქვთ? ჰოდა, ალდარის კაცები დარევიან აულს, კერიის წაბილწვასაც კი არ დაერიდნენ თურმე. რასაც მოასწრეს, ყველაფერი წაიღეს.

ყასაის შეატყობინეს ამბავი. ხეობის ვიწროში ჩაუსაფრდა და ალდარი სიცოცხლეს გამოასალმა. ნაძარცვი კი ისევ აულს დაუბრუნა.

— ყასაის სახელი ელვასავით გაიჭრა ხალხში. მის ვაჟკაცობასა და კაცურკაცობაზე ლეგენდები ითხზვეოდა. მადლიერი თანამემამულენი მასზე ლოცულობდნენ. ახალგაზრდობა ხომ მთლად გადაირია. თითქმის ყველა მზად იყო ყასაის გაყოლოდა.

ხმა დაირხა, ყასაი თედოთიყაუშიც მოვაო. სოლიმსა და ყუნცელს ზედმეტ მიწას წაართმევს და ღარიბებს დაურიგებსო.

ყველაზე მეტად აძიბეს აფორიაქებდა სახელოვანი ყასაის საგმირო საქმეები. მოსვენება დაკარგა, პირისპირ შეხვედრა მოიწადინა ამ მოუხელთებელ ადამიანთან, მაგრამ რომ არ იცის, ვინ არის, სად იმალება? ვინ მიიყვანს მასთან?

და ყველაფერი თავისთავად მოხდა...

ერთ საღამოს აძიბეს ცორას დისწული ასლანბეგი ეწვია.

— აძიბე, თუ გცალია, დილით სანადიროდ წავიდეთ.

ასლანბეგის წინადადება როგორღაც საეჭვოდ მოეჩვენა აძიბეს. ჯერ ერთი, ნადირობის დრო არ იყო, ნაზამთრალი და ნაშიმშილევი ნადირის ხორცი საჭმელად არც ვარგა, მეორეც ის, თუ მართლა ყონაღს ეძებს ასლანბეგი, თავის აულში რატომ არ ამოირჩია? ერთი ხეობიდან მეორეში ამხანაგის საძებნელად ჩამოსვლა, მართლაც იმსახურებდა ყურადღებას. მიუხედავად ამისა, აძიბე დათანხმდა.

მეორე დილით უთენია გავიდნენ შინიდან. მყინვარს შეუყვნენ, მთის ძირში ასლანბეგი შეჩერდა და აძიბეც შეაჩერა. პირდაპირ მიწის გულიდან ამომდინარე წყაროს გვერდით ჩაიმუხლა.

— დაჯექი, აძიბე, შევისვენოთ პატარა.

— რა დროს შესვენებაა, ბიჭო, როდისღა ავაღწევთ მყინვარამდის.

— დაჯექი, ვითომ არ იცი, რომ ახლა ნადირობის დრო არ არის. სხვა საქმე მაქვს შენთან.

— რა საქმე? — ვითომც გაიკვირვა აძიბემ, მაგრამ სიხარული ვერ დაფარა, ამხანაგის ჩანაფიქრს ადრევე რომ მიხვდა.

— ერთ ვიღაცას შენი ნახვა სურს.

— ჩემი ნახვა სურს? მერე სად არის?

-- ჩვენთან, შინ.

— აქ რისთვის წამომიყვანე?

— აქ სჯობია, ეჭვს აღარავინ აიღებს.

— ვინ არის? რა უნდა ჩემგან?

— ყასაი.

— ყასაი? — გაიკვირვა აძიბემ. — კი მაგრამ, საიდან მიცნობს.

— გიცნობს და შენც იცნობ.

— გეფიცები, გარდა იმისა, რომ მის შესახებ ზეპირი გადმოცემები მესმის, თვალიც არ დამიკრავს.

— ნუ გეჩქარება, ყველაფერს გაიგებ.

ღამის სიბნელეში შეჰყვნენ ცარგასბადანში. ასლანბეგმა გაბოს სახლის ძველი ჭიშკარი რომ შეაღო, აძიბემ გაკვირვებით აიჩეჩა მხრები და ასლანბეგს ჩურჩულით ჰკითხა:

— აქ რისთვის მომიყვანე?

— აქ არის...

აძიბეს ბულათიყოსთან შეხვედრა არ უნდოდა. ხსართაგთან ჩხუბის შემდეგ შეიძულა იგი და ახლაც უსიამოვნო გრძნობამ გაჰკრა გულში და ხასიათწამხდარი უხალისოდ შეჰყვა ეზოში ასლანბეგს. წინ ბულათიყო შეეგება მათ, შინ შეუძღვა და მაშინვე მოუბოდიშა, ცოტა ხნით დაგტოვებთო.

— ასლანბეგ, სტუმარს შენ გიტოვებ, აგერ პატარა საქმე მაქვს...

ასლანბეგს არ გამოჰპარვია, აძიბემ საეჭვო მზერა გააყოლა ბულათიყოს.

— ნუ გიკვირს, აძიბე, დღისით იმალება ყასაი, დასაჭერად დასდევენ. ახლავე აქ გაჩნდებიან.

მართლაც ჩქარა დაბრუნდა ბულათიყო. სანამ ქირქისა აძიბეს ბიძების ამბავს ეკითხებოდა, ბულათიყოც მოვიდა და თან უცნობი მოიყოლა.

ასლანბეგი ფეხზე წამოდგა, იმ უცნობს გადაეხვია.

— შენი სურვილი შესრულებულია, — თვალით აძიბეზე ანიშნა ასლანბეგმა.

უცნობიც რაღაც უცნაურად ათვალიერებს. თვალი თვალში გაუყარა. „რა ვქნა, ვინ არის, ასე რატომ მიყურებს“.

— ვერ მიცანი? — ხმადაბლა ჩაეკითხა უცნობი.

— ვერა, ვერ გიცანით.

— ეჰ, ძმადნაფიცო, ძმადნაფიცო, ეგ იმედი მაქვს შენი? — აძიბეს თითქოს მეხი დაეცაო, ელვამ დაჰკრა თავში და ფეხამდის გაუარა.

— ღმერთო დიდებულო! ხსართაგ! — შეჰყვირა მან და ორი ძმადნაფიცი ერთმანეთს გადაეხვია. — შე ეშმაკის კერძო, შენა, ლოდინი დავიღალე, სად დაიკარგე, არა გრცხვენია, ამბავიც რომ არ შემატყობინე. ვალაი, სად იყავ აქამდის? — საყვედური ერია აძიბეს კილოში.

— ეგ გრძელი ამბავია, მერე მოგიყვები.

ვახშმის შემდეგ ძმადნაფიცებმა საბძელში ისურვეს მოსვენება. ასე აჯობებს, უფრო დამშვიდებით ვიქნებით და საფრთხეც ნაკლებია მოსალოდნელიო, ახალი თივის სურნელი ცხვირში უღიტინებდათ და ამას განსაკუთრებით ხსართაგი გრძნობდა.

— ჰა, თქვი რამე, რას გაჩუმებულხარ! — იდაყვი გაჰკრა გვერდში აძიბემ ძმადნაფიცს.

— ალბათ, გაინტერესებს ამდენ ხანს სად ვიყავი, ჰა, აძიბე? — გვერდი იცვალა ხსართაგმა, მოხერხებულად მოეწყო თავის საწოლში და მეგობარს ჩურჩულით უამბო თავის ამბავი.

— მაშ, ყასაი შენა ხარ? — თივაბე წამოჯდა აძიბე.

— მე ვარ. მაგრამ, აძიბე, იცოდე ჩემი სახელი უნდა დაივიწყო. ხსართაგი დიდი ხანია მოკვდა და საჭირო აღარ არის მისი მკვდრეთით აღდგომა. წავიდა, გაქრა ის დრო, უეშმაკო და წმინდა გულის ხსართაგს რომ სწამდა. ახლა ახალი ადამიანია შენს წინაშე, აძიბე. ყასაი ვარ მე. ყასაი, ვინც მახვილით და ტყვიით ეძებს ჯოჯოხეთის მოციქულებს. სხვა დროება დადგა, ძმაო, დაბეჩავებული ხალხი ხმას იმაღლებს მჩაგვრელების წინააღმდეგ. აივსო მოთმინების ფიალა. ჯავრის ამოყრის დრო მოვიდა. აი, თუნდაც შენ, ან ჩვენი აულიდან სხვა უმიწაწყლო ღატაკები რითი ხართ გაუმაძღარ სოლიმზე ნაკლებნი?

— ალბათ, ღვთის განგებაა ეგ, ხსართაგ.

— არა, აძიბე. მანდ ღმერთი არაფერ შუაშია. დამნაშავე წყობილებაა. ჰოდა, ეს წყობილება უნდა დავანგრიოთ და ახალი ავაშე-

ნოთ. ისეთი, სადაც ხალხი თავისუფლად იცხოვრებს თანასწორი უფლებებით, სადაც ალდარი და ყმა აღარ იქნება.

ხსართაგი გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ აძიბეს შეშფოთებულმა ჩურჩულმა დაარღვია დუმილი.

— სახიფათო გზას დასდგომიხარ, ძმაო, სისხლი დაიღვრება.

— დაიღვრება, აძიბე, თავისუფლებას უსისხლოდ ვერ ვეღირსებით, სისხლის ნიაღვარში უნდა გამოიკვეთოს ლამაზი მომავლისაკენ მიმავალი გზა. ერთი დაეცემა, მეორე დადგება მის ადგილზე. სხვა გზა არ გვაქვს. ქართველებს ერთი დიდი პოეტი ჰყავდათ და იმას უთქვამს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო“, ჰოდა, ჩვენც ან გავიმარჯვებთ. ან არადა ბრძოლის ველზე დავიხოცებით. ასეთ სიცოცხლეს მაინც სიკვდილი სჯობია, ჩვენზე უკეთესად არც ქალაქის მუშები ცხოვრობენ. ისინიც მეფის წესწყობილების წინააღმდეგ გამოდიან. ხალხს შეიარაღებული აჯანყებისათვის მოუწოდებენ. მე ამხანაგებმა აქეთ გამომგზავნეს. აძიბე, ჩემი მიზანია მთიელები ავაჯანყო... ამ საქმეში შენი დახმარება მჭირდება.

— სიმართლე რომ არ დაგიმალო, ხსართაგ, შენი ნათქვამიდან ყველაფერი ვერ გავიგე, მაგრამ ჩემი მოკლე ჭკუით ვხვდები, რომ დიდ საქმეს დასდგომიხარ. არ ვიცი, ეგ გზა როგორ დასრულდება, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მე შენთან ვიქნები. თქვი, რის გაკეთებაა საჭირო, რას მოითხოვ ჩემგან?

— ჩვენებურებთან შეხვედრა მინდა.

— ხსართაგ, ჩვენი ახალგაზრდობის სრული იმედი იქონიე. ჯოჯოხეთშიც გამოგყვებიან. ყასაის გმირობაზე სიმღერები შეთხზეს, ლეგენდები გავრცელდა, ყველა მასთან შეხვედრაზე ოცნებობს. რა დაგიმალო, თვითონ მეც... მშობლების დარდი ნუ გექნება, სანამ ცოცხალი ვარ, იმათ არაფერს გავუჭირვებ.

— ხასანას ბიჭი როგორღაა?

— ნალაუთა ზრდის. ძალიან შემეხვეწა, მომეციო. შენი სიყვარული იმაზე გადაიტანა...

— თვითონ ნალაუთა რაღას იქმს?

— ე, ე, ხსართაგ, სადღაა ნალაუთა, დადნა, ზეზეურ ჩამოხმა. ჰო, მართლა, ნალაუთას ძმა, ბულათიყო... იცი, არასოდეს მომწონდა. არ მესმის, რაღა გაკავშირებს მასთან. რატომ ხარ აქ?

— უსაფრთხოებისათვის.

— კი მაგრამ, ამაზე უსაფრთხო ადგილი სხვაგან ვერ მოძებნე? არ ვენდობი, მე მგონი სოლიმზე უკეთესი არც ეს ბრძანდება.

— არა, აძიბე, ეგრეც არ არის საქმე. შენ ხომ სრულიად არ იცნობ. ნანობს თავის საქციელს. რაღაც დიდი ჯავრი აწუხებს. ისე, დიდად დამეხმარა, ამ ხეობის ახალგაზრდობასთან დამაკავშირა. ყოჩაღი ბიჭია, მხოლოდ ვერ მივმხვდარვარ, რა დარდი უღრღნის გულს.

მამალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და ყივილით ამცნო ქვეყანას, რომ კიდევ ერთი დილა იბადებოდა. აულის ბოლოდან ფხიზელი

ძაღლი ყეფით გამოეპასუხა მამლის ყივილს. საბძლის კარმაც დაიჭრიალა.

— ასლანბეგია. აქედან ისე უნდა გავიდეთ, რომ არავინ დაგვინახოს. საღამოს ფასრაღში კრება მაქვს დანიშნული, მელოდებიან.

აულის თავში დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

მეორე დღეს შუაღამისას დაბრუნდნენ ხსართაგი და ასლანბეგი. აულის თავში ერთიმეორეს ღამე ნებისა უსურვეს და დაცილდნენ. ხსართაგი ბულათიყოს გაღვიძებას მოერიდა და საბძელში კარი ფრთხილად შეაღო. ის იყო, თვალი მილულა, რომ ფეხის ხმა შემოესმა. ხსართაგის თითებმა თავისით მოძებნეს დამბაჩა.

— გძინავს, ხსართაგ? — ხმაზე იცნო ბულათიყო.

— ჯერ არა, რა არის?

— არაფერი, მაპატიე, რომ ძილი არ დაგაცადე. სალაპარაკო მაქვს შენთან.

— მოდი, ბიჭო, რა ბოდიშებს იხდი.

თივაზე აძვრა ბულათიყო. ხსართაგი მიხვდა, რომ ამ დროს უბრალოდ არ შეაწუხებდა მეგობარი და რაღაც მნიშვნელოვანი ამბის მოსასმენად მოემზადა.

— არ გაგიკვირდეს, ჩემი ახირება, ხსართაგ, — სამი ღამეა გელოდები..

— აღარ იტყვი, რა ამბავია?

— ხსართაგ, შენ რომ გგონია, ის არ ვარ, შეცდი, რომ მენდე, — ამოიგმინა ბულათიყომ.

— გამაგებინე, რა გინდა, ბულათიყო?

— მომისმინე და გაიგებ. მხოლოდ ძალიან გთხოვ; სანამ თხრობას არ დავამთავრებ, ნურაფერს მკითხავ.

ბულათიყომ ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოაყოლაო. მერე დაიწყო თავისი ამბავი, ამდენი ხნის მანძილზე მის სინდისს გველივით რომ შემოხვეულია. ხსართაგი მშვიდად უსმენს, თითქოს ის, რაზეც ბულათიყო ასე აღელვებული ლაპარაკობს, მისთვის დიდი ხანია ცნობილი ყოფილიყო.

— ხსართაგ, დამნაშავე ვარ შენს წინაშე, — ხმა უთრთოდა ბულათიყოს. — რა ვქნა, ჩემი ბრალიც არ არის, ადრე ავცდი სწორ გზას. ამაში პაპაჩემი ბორსაა დამნაშავე. ერთ დანაშაულს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე... მამის მკვლელი ვარ. მერე რისთვის? მას შემდეგ მოსვენება დავკარგე. ჩემი უკუღმართობით, რატომ მოვუსწრაფე სიცოცხლე? აქაც სოლიმია დამარხული. რა ვიცოდი, ის ბოროტი გველი საკუთარ გზას რომ იკაფავდა. მერეღა გავიგე, ნალაუთას ხელში ჩაგდებისათვის გამწირა მეც, შენც, საწყალი ხასანაც. ის უხამსი ჭორიც იმიტომ მოიგონა. პირდაპირ ვერაფერი გაგიბედა და ჩუმად გამოგითხარა ძირი. რამდენჯერ დავაპირე ჯავრის ამოყრა, მაგრამ ნალაუთას გამწარებას მოვერიდე. ამდენი ხანია, სინანული ღრღნის ჩემს გულს. კაცად აღარ ვვარგივარ, ზვავი რომ ნერგს გა-

დათელავს, ისე გამთელა ბედმა. გული შემიჭამა ჯავრმა. შენმა გამოჩენამ კიდევ უფრო ამიშალა ძველი ჭრილობები. ძმობა შემომთავაზე და ვერ გითხარი უარი. მაგრამ ვარ კი შენი ძმობის ღირსი? ძმობისა კი არა, სიკვდილის ღირსი უფრო ვარ. ნუ დამინდობ, ხსართაგ, ჩემსავით არარაობა და ლაჩარი მომავალშიც ვერ გიძმობს. შენ საოცრად ძლიერი და კარგი ადამიანი ხარ. ჰაი გიდი, რა ბედნიერი ვიქნებოდი, სუფთა სინდისით და პირნათელს რომ შემეძლოს შენთვის თვალებში შემოხედვა. მაგრამ ყველაფერი გათავებულია. მე დაღუპული კაცი ვარ. სინანულმა გამიტეხა გული, დამაბეჩავა. მამაჩემი, ჩემი და... მერე შენ... სინდისი მტანჯავს, სიცოცხლე ჩირად აღარ მიღირს. დიდი ცოდვა აჩრდილივით სულ თან დამდევს. პატიებას არ გთხოვ, არცა ვარ ღირსი. მაგრამ აღარ შემიძლია, გული ვეღარ უძლებს ამდენ წამებას, რომ არ მეთქვა, შემეშინდა, ვაითუ მოვკვდე და საფლავში ჩამყვეს-მეთქი ჯავრი. ეს არის ჩემი ამბავი და ველი შენს მკაცრ განაჩენს.

— საშინელი აღსარება მითხარი, ბულათიყო, — კბილები დააღრჭიალა ხსართაგმა. — დიდი ხანია ვეძებ ჩემი ტანჯვა-წამების ავტორს. თუმცა, მიხვედრილი ვიყავ... ასე გვიან რატომ მითხარი, ბულათიყო, ძალიან დაიგვიანე, ბიჭო...

— მე თვითონ გვიან მივხვდი. ბარემ კარგი იქნებოდა, თავის დროზე მეთქვა, ან ის მაინც მცოდნოდა, რომ შენი სიკვდილის ამბავი სოლიმმა მოჭორა, ჩემს უბედურ დას არ გავათხოვებდი. მე გავაუბედურე ერთადერთი და, ნეტავ შეიძლებოდეს რაიმეს შეცვლა და სიკვდილსაც არ დავერიდებოდი. რომ ვიცოდე, ის ბედნიერი იქნება, ამ წუთში ცეცხლს წავიკიდებდი და ერთი კვნესაც არ დამცდებოდა.

— არა, ბულათიყო, არა, აღარ არის საჭირო, გათავდა ყველაფერი. აღარც მე და აღარც შენი და ბედნიერი აღარასოდეს ვიქნებით. ჩვენი ბედნიერება ვიღაცის ჭუჭყიანმა ხელმა მოახრჩო.

— ჩემი ბრალია ყველაფერი, ხსართაგ, მომკალი, რა სასიცოცხლო ვარ, — აქვითინდა ბულათიყო.

— დამშვიდდი, ბულათიყო, შენი რა ბრალია, ალბათ, ასეთი ბედი გვქონდა ორივეს. რაც მოხდა, მოხდა. წამხდარ საქმეს აღარაფერი ეშველება. მკვდრეთით ვეღარავინ აღმიდგენს მამასავით მოამაგე ბიძას, მის საბრალო ცოლს — ანკარა წყაროსავით წმინდა ზარინას. მაინც მადლობელი ვარ, რადგან იმდენი ადამიანობა შეგრჩა, რომ ყველაფერი მითხარი. მამაშენზე კი ნურაფერს იტყვი. ნალყუთამ რომ გაიგოს, გული ეტკინება. ავადმყოფი იყო, იქნებ, შენ სულაც არ მიგიძღვის ბრალი, ბედისწერას ვერ გაექცა...

— არა, ხსართაგ, არა, სანამ სოლიმს მზეს არ დავუბნელებ, მანამ ჩემი სიცოცხლე ჩირადაც არ ღირს.

— ნუ ჩქარობ, ბულათიყო, მალე დამჭირდები. წადი ახლა, დაიძინე, საცაა გათენდება.

ბულათიყოს წასვლის შემდეგ ხსართაგს ნაღველი მოეძალა, გარ-

დასულ დღეთა წუხილი განუახლდა. ეშმაკის დახვლანჯულ გორგალს როგორც იქნა აურთო პირი, გაიგო თავისი უბედურების მიზეზი, მიაკვლია იმას, ვისაც პასუხი უნდა მოსთხოვოს. რამდენი ეძება და როგორ გვიან იპოვა! იპოვა, მაგრამ რა? წამხდარ საქმეს რა ეშველება. რა შეიცვლება მის ცხოვრებაში? მხოლოდ ხასანას პატარა ბაბეს გახსენებამ ბნელ ოთახში შეტანილი მბჟუტავი სანთელივით გაიკიაფა მის გულში, ჰო, მაგრამ, ვინ იცის!.. რა არ ხდება...

4.

მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე სიბნელეში ცხენით მოდის სოლიმი. მთაში შეაგვიანდა. არ უყვარს უდროო დროს სიარული. სადაც შემოაღამდება, იქ მოძებნის მასპინძელს, მაგრამ დღეს მოულოდნელად უსიამოვნება შეემთხვა და შიშმა უბიძგა შინ წასასვლელად. მოჯამაგირეები, რომლებსაც ის ადამიანადაც არ თვლის, აუხირდნენ, ჯამაგირი მოგვიმატეო. სოლიმი, რა თქმა უნდა, გაჯიუტდა, დაემუქრა, საციმბიროდ გაგხდითო. მაშინ თაიმურაზმა, აქამდე სოლიმისათვის თვალის გასწორებას რომ ვერ ბედავდა, მუშტი ცხვირწინ დაუტრიალა და უყვირა:

— შენი დრო მოდის, ხარბო მგელო! მალე მოვა ყასაი და შებრალებას ნუ ელოდები!

ყასაის ხსენებაზე სოლიმს მკვდრის ფერი დაედო. მიხვდა მოჯამაგირეების აბუნტების მიზეზს.

აბრაგი ყასაის სახელი დიდი ხანია ესმის სოლიმს. თქვეს, რომ აულაულ დადის და თავისიანებს იკრებს, ხალხს მეფის წესწყობილების წინააღმდეგ ამხედრებსო. გაგებული ჰქონდა, ბოქაულს რა ღონე აყარა, მერე კი ალდარი თავის მოურავით როგორ აწრუწუნა. ალბათ, იმაზე დიდი მტერი ახლა სოლიმს არავინა ჰყავს. მართალია, ოედოთიყაოში ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ მაინც ეშინია. თავის შეკავება არ ჩია. მოჯამაგირეებს ჯამაგირის მომატებას შეჰპირდა, თვითონ კი ცხენს მოახტა და შინ წამოვიდა. უხვირო გზაზე, ისიც სიბნელეში, სახიფათოა სიარული. ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი ოა ვაი შენს დამაწყევარს, უფსკრულში გადაეშვები. მაგრამ არც დარჩენა შეუძლია, ვაითუ თავი ვერ შეიკავოს, მოჯამაგირეები არ აპატიებენ და მისი ცხედარი საკაცით წამოსაღები გახდება.

ბრაზით გულგასიებული ბრუნდება შინ. არ ეჩქარება, პირიქით, უნდა. მეტად გაგრძელდეს გზა.

ვახშმობა გადასული იქნებოდა, აულს რომ მიატანა. შინისაკენ გახვევა დაეპირა, სიბნელეში ორი აჩრდილი დაინახა. ლაპარაკით მოდიოდნენ, სოლიმის დანახვისთანავე გაჩუმდნენ და მთისკენ ქნეს პირი.

„ძალიან გახშირდნენ ეს ღამით მოსიარულენი. ვინ არიან? რას ეძებენ ამ უდროო დროს? — დაეჭვდა სოლიმი. — არა, აქ რაღაც ამ-

ბავია. უმიზეზოდ არ იქნება, უნდა გავიგო“. — გაიფიქრა და ცხენიდან ჩამოხტა, მგზავრებს თვალი მიატანა, ცხენი ხეზე მიაბა და ძალიან ფრთხილად მიჰყვა კვალზე.

მგზავრებმა მალე ზემო უბნისაკენ გადაუხვიეს. დარწმუნდა სოლიმი, მისი ეჭვი ფუჭი რომ არ იყო. უკან მიჰყვა. მგზავრებმა ცოტა ხანს შეიცადეს, მიდამო დაზვერეს და საეჭვო რომ ვერაფერი შეამჩნიეს, აულში შევიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ აძიბეს ეზოდან ძაღლების ყეფა მოისმა.

— რას ეძებენ, რა უნდათ აძიბესაგან? — ჩაფიქრდა სოლიმი. ღობის ძირში მიიმალა. დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. კიდევ გამოჩნდა რამდენიმე კაცი. ისინიც აძიბეს ჭიშკარში გაუჩინარდნენ.

ახლა საეჭვო აღარაფერი იყო. მიხვდა სოლიმი, აძიბესთან რომ რაღაც საიდუმლო ხდებოდა. უნდა გაიგოს, მაგრამ როგორ? ბოსტანში გაოაძვრა და უკნიდან მოუარა აძიბეს მიწურს. აქედან კედელს სანათური ჰქონდა დატანებული, მაგრამ ზედ ცხვრის ტყავი ჩამოეფარებინათ და აღარაფერი ჩანდა. სოლიმმა ყურადღება დაძაბა, თვალებად და ყურებად იქცა და პაწაწინა ჭუჭრუტანას გაეკრა. აულის ახალგაზრდობა იქ იყო. წვერიანი უცნობი კაცი შუაში ჩაესვათ და მის ლაპარაკს ისე ისმენდნენ, როგორც მორწმუნენი ქადაგებას. „რაზე ლაპარაკობს?“ — გაიფიქრა სოლიმმა და უფრო დაძაბა ყურადღება. „...ამხანაგებო, დადგა შურისძიების დრო. ერთად უნდა აღვსდგეთ და ბოლო მოვუღოთ საერთო მტერს. ჩვენი მიზანია, მეფის ხელისუფლება დავამხოთ, ალდარები გავრეკოთ, მიწა იმას მივცეთ, ვინც მას ამუშავებს, ვინც ოფლით აპოხიერებს. ყუნცელისა და სოლიმის მიწები დავინაწილოთ... ჩვენი, ღარიბების მთავრობა შევქმნათ, ისეთი მთავრობა, სადაც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას არ ექნება ადგილი“. უცნობი კაცი შეუმჩნეველად ლაპარაკობს, მაგრამ სოლიმს აღარაფერი ესმის.

„ბუნტოვჩიკია ვიღაც. მაგრამ თუ კაცი ვარ, დედას გიტირებ. სანამ შენ ჩემთვის მიწის ჩამორთმევას მოახერხებ, მანამ გამოგჭრი ყელს!“ — დაავიწყდა, თავხეზე რომ იყო დაკიდებული და ხელი იტაცა დამბაჩაზე, მაგრამ ვერ მოასწრო, ცალი ხელით ვერ შეიმაგრა თავი და ქვებზე მოადინა ზღართანი. თითქოს ხერხემალი გაუტყდაო, ისე დაიგმინა. აძიბეს ძაღლმა ახლა კი იყნოსა უცხო ადამიანის სუნი. ყეფით მივარდა წაქცეულს. იმას აულის ძაღლებიც წამოეშველნენ, ატყდა ერთი გნიასი.

— სი, სი, — ვიღაცამ წააქეზა ისედაც გაავებული ოთხფეხები და სოლიმი, ძაღლების ხროვამ გადათელა.

უბედურება დაატყდა თავს. ვერც მშველელის მოხმობას ბედავს, ვერც თვითონ უმკლავდება გაავებულ ძაღლებს. „შემჭამენ... დავიღუპები“, — უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ძლივძლივობით აითრია წელი.

— სი, სი! დაიჭი! არ გაუშვა! — აქეზებს ვიღაც ძაღლებს.

— ქურდი! ქურდი! დაიჭი, დაიჭი! — დასჭყივიან აქეთ-იქიდან. ვიღაცამ თოფიც დაცალა. ტყვიამ ყურთან გაუზუზუნა სოლიმს და იქვე კედელზე ნაპერწკლები გაყარა.

— მე ვარ, ვირებო, რაზე მკლავთ! — აღრიალდა ის.

ვიღაცამ ყელში სტაცა ხელი.

— კი მაგრამ, რა ცეცხლი წაეკიდა შენს სახლ-კარს, შუაღამისას აქ რას აკეთებ? — ეკითხებიან აქეთ-იქიდან.

— ცხენი დამეკარგა და იმას ვეძებ... მომაშორეთ ძაღლები.

— მერე, შე კაი კაცო, რა ხმა ჩაგიწყდა, დაიძახებდი, ქურდივით რას მოიპარები? ან ჩემს ეზოში რატომ ეძებ შენს ოხერ ცხენს?

ჯავრით გულგახეთქილი მივიდა სახლში.

დიდი ქონების პატრონია სოლიმი, მაგრამ რაღაც უცნაური შიში შეეპარა გულში... რომ რამე დაემართოს, ვის დარჩება მისი ნაწვავ-ნადაგი? უშვილოა ნალყუთა. ქალიმათს ჰყავდა ბავშვები, მაგრამ უპატრონობით დაიღუპნენ. ახლა უკვე დიდი შვილები ეყოლებოდა. ნანობს, მაგრამ რაღა დროს.

მერვე თავი

ჩაბრულო ხალხო, გამოფხიზლდით, შურის საძიებლად აღსდეჭით!

1.

აული შეიძრა. ამდენი ხალხი არასოდეს შეკრებილა ნიხასში. დილით ხმა დაირხა, სახელოვანი ყასაი ჩამოვიდა და ხალხთან შეხვედრა და ლაპარაკი უნდაო. საქმეზე აღარავინ წასულა. აქამდის ვის სახელზეც ლოცულობდნენ, ის იბარებდათ, და რა გასაკვირია, თუ დიდი და პატარა მის ნახვას მოისურვებდა.

ამბავი ყაზის ყურამდეც მივიდა. გადაწყვიტა, მთავრობისათვის შეეტყობინებინა საქმის ვითარება, მაგრამ როგორც კი ცხენზე შეჯდა და წასვლა დააპირა, აძიბემ აღვირში უტაცა ცხენს ხელი.

— ჩამოდი, ყაზი, ჩამოდი, ახლა ვეღარსად გაგვექცევი. შენთან გვაქვს საქმე.

— იქით!.. გზა მომეცი, მშივრისშვილო! — იღრიალა ყაზიმ, — აქ ჯერ მე ვარ უფროსი და სად წავალ, რას გავაკეთებ, შენ არ გეკითხები!

— ნუ ღრიალებ! ჩამოხე ცხენიდან! — ყაზის ყურში გაეჩხირა აძიბეს ბოხი ხმა. — აქამდის იყავი უფროსი, ახლა კი გაგვიდა ყავლი და ხალხი პასუხს გთხოვს ჩადენილ დანაშაულზე.

— მე პასუხს მეფის მთავრობის წინაშე ვაგებ. ღატაკების მთავ-

რობასთან არაფერი მესაქმება! გზიდან ჩამომეცალე, თორემ ამ მათრახს ხომ უყურებ, ზურგზე აგიცეკვებ. — ყაზიმ მათრახი შემართა, მაგრამ დარტყმა არ დასცალდა, ვიღაცამ მუშტი უთავაზა ზურგში და არაყით სავსე ტიკივით დაახეთქა მიწას.

— ადე ზეზე, ღორისშვილო, ბევრი მათრახი გაცვითე ჩვენს ზურგზე, ახლა შენ მოგიხდება ცხელი მათრახები, მაგრამ რა გიყო, უფროსზე ხელის აღმართვა წესი არ არის. — აძიბეს თვალებმა სადგისივით გახვრიტა ყაზის გული. — კანცელარიაში იყავი და არ გაბედო იქედან გამოსვლა, თორემ შენი დღე დაბნელდება. იცოდე, რამდენიმე თოფის ლულა შენსკენაა მომართული.

ყაზი მიხვდა, აძიბე არ ხუმრობდა. აგერ რამდენი თვეა, რაღაც საშინელს ელოდება და აი მოვიდა კიდეც. ის არის, რასაც ელოდა, ის! კბილები დააღრჭიალა და კანცელარიაში შევიდა. ფანჯრიდან გაიხედა, ხალხი მოდის და მოდის. უყურებს ყაზი და მათ შორის თანამოაზრეებს ეძებს.

აგერ სოლიმი და ყუნცელიც გამოჩნდნენ. ძაქოს გვერდით თავიანთ ამოჩემებულ ადგილზე გაჩერდნენ. ყუნცელის განწყობილების ამოცნობა არ შეუძლია ყაზის, სამაგიეროდ სოლიმს იცნობს კარგად. გარეგნულად ვითომ არაფერს იმჩნევს, იცინის, ხუმრობს კიდეც, მაგრამ ეტყობა წინანდებურად საკუთარი სურვილით არ მოსულა აქ. თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. ეტყობა ვიღაცას ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს და ალბათ იმიტომ ღელავს.

უცებ ხალხი შეჩოჩქოლდა. ახალგაზრდობა ვიღაცას შემოეხვია და გაისმა მხიარული შეძახილები. მალე მათ ორი კაცი გამოეყო და უფროსებისკენ წამოვიდნენ.

აძიბემ ხსართაგს რაღაც უჩურჩულა. იმანაც თავი დაუქნია. აძიბემ მაშინვე კანცელარიის დერეფანი გაიარა და კარებზე მიაკაკუნა.

— ყაზი, ხალხი შენ გელოდება და იკადრე გამობრძანება.

— მე თქვენთან არაფერი მესაქმება, — შემოუტია შიგნიდან ყაზიმ.

— გააღე კარი და ნებით გამოდი, თორემ... — აძიბეს მკაცრი ხმის გაგონებაზე ყაზის ელეთმელეთი მოუვიდა, იგრძნო, სახუმაროდ არ იყო საქმე. წინააღმდეგობასაც აზრი არა ჰქონდა. კარი გააღო და წარბშეკრული გამოვიდა. ხალხს ბოროტი მზერა ესროლა, მერე მივიდა და ძაქოს გვერდით დაჯდა.

აძიბე კანცელარიის დერეფნის მოაჯირზე შედგა.

— ხალხო, ბედნიერი დილა გაგვითენდა დღეს. ქალაქიდან ძვირფასი სტუმარი გვეწვია. ჩვენსავით საწყალი ხალხის გამოგზავნილია. მოვუსმინოთ, გავიგოთ, რას აპირებენ ჩვენი ქალაქელი ძმები:

— თქვას, თქვას! — ახმაურდა ხალხი.

— სანამ მთავრობის ქაღალდს არ მაჩვენებთ, სიტყვის უფლებას არ მივცემ არავის! — ფეხზე წამოდგა ყაზი და ხსართაგს შეუბღვირა.

— თქვას! თქვას! — ისევ ახმაურდა ხალხი.

— თქვენ არ გეკითხებიან!

— უფლება არა აქვს!

აირია ხალხი.

— ეგ ბუნტოვჩიკია, ძაქო, და მაგის ადგილი აქ კი არა — სახრჩობელაზეა! — გაცხარდა ყაზი, — ეგ ხალხის დამღუპველია, დიდი ხელმწიფის წინააღმდეგ ამხედრებს.

— კაცო, ჯერ არაფერი უთქვამს და შენ წინდაწინ საიდან იცი, რას იტყვის, დაე, ილაპარაკოს, ისე უპკუოები არა ვართ, რომ ავი და კარგი ვერ გავარჩიოთ. — მერე ძაქომ ხსართაგი მოძებნა და თვალით ანიშნა — დაიწყე, თქვი შენი სათქმელიო.

ყაზი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ძაქომ არ აცალა, ჯოხის წვერით ანიშნა დაჯექი შენს ადგილზე და ჩუმად იყავიო.

ყაზი დაჯდა.

ხსართაგი ნელი ნაბიჯით გაემართა ამაღლებული ადგილისაკენ. ერთ წუთს ხმის ამოუღებლად იდგა და თანამემამულეებს ხარბად უყურებდა. რამდენი წელი გავიდა, რაც პირისპირ არ შეხვედრია ძათ? ახლა მოვიდა და ისიც, სხვისი სახელით. მაგრამ გულისთქმა სწრაფად დაიოკა. ყელში მოწოლილი მღელვარება ჩახველებით განდევნა და მერეღა დაიწყო ლაპარაკი.

— ხალხო და ჯამაათნო, უფროსებო და უმცროსებო, მაპატიეთ, რომ ძვირფასი სამუშაო დღე დაგაკარგვინეთ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია საკითხი, რომელზედაც დღეს ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ. თბილისელმა მუშებმა მე დამავალეს ეს საქმე.

— თქვი, ჩემო მზეო, თქვი, გისმენთ! — სიტყვა შეაშველა ძაქომ სტუმარს.

— მაშ, აგერ, ყაზიდან დავიწყებ. ხომ გაიგონეთ, სიტყვის უფლებას არ მაძლევდა. იმიტომ, რომ მთავრობის კაცია და აქვს ამის უფლება. ესაა ჩვენი უბედურებაც. მთავრობამ, ალდარებმა, მოხელეებმა წაგვართვეს ადამიანური უფლებები. პირში წყალი ჩაგვიგუბეს და ხმას არ გვაღებინებენ. ეშინიათ, ხალხმა სიმართლე არ გაიგოს, თორემ იგივე ხალხი ყაზისა და მისთანებს შეეკითხება, ვინ ხართ, რა უფლება გაქვთ, რომ პირუტყვად აქციეთ ხალხი?

— ხელმწიფის კაცი ვარ მე!

— ხელმწიფისა! თქვას ვინმემ, ვის უნახავს იგი? ვის დახმარებია გაჭირვებაში. ვის შეუმსუბუქა გაჭირვებული მდგომარეობა?

— ნეტავ თავს დაგვანებებდნენ და დახმარებას ვინ ჩივის. — გაისმა ხალხიდან ვიღაცის მთრთოლვარე ხმა.

— არ დაგეხსნებიან, ძმაო, არა. ხელმწიფე და ალდარები თქვენისთანების საუბედუროდ გაჩნდნენ. სისხლსაც იმიტომ გწოვენ.

— ხელმწიფის ლანძღვას არ მოგითმენ! — დაიღრიალა ყაზიმ და დამბაჩას ეცა, მაგრამ დაასწრეს და ის თვალის დახამხამებაში განაიარაღეს.

— მომისმინე, ხელმწიფის ფინიავ! დამბაჩა აღარ დაგჭირდება.

წავიდა შენი დრო. შენ აქ მთავრობამ დაგნიშნა, რომ ხალხს სული ამოართვა. ამათ არ აურჩევიხარ წესრიგის დამცველად, არც არავის სჭირდები. შენ მხოლოდ უბედურების მოციქული ხარ.

— კი მაგრამ, რას ჩაციავდი, კაცს, მამასახლისია, წესრიგის დამცველი... — გამოექომაგა სოლიმი უაზის.

— წესრიგის დამცველი? მერე იცავს წესრიგს? თავისთვის რომ არაფერი იცის, რა წესრიგს დაიცავს. წესრიგის დამცველი კი არა, ეგ წესრიგის დამრღვევი უფროა.

— ხალხო, მოდით, გამოვცვალოთ. ეყოფა, რაც სისხლი გვწოვა! — ერთხმად დაიძახა რამდენიმე ხმამ.

— სწორი აზრია. ხალხმა თვითონ უნდა აირჩიოს უფროსი. — მხარი დაუჭირა წინადადებას ხსართაგმა. — უფროსი ისეთი უნდა იყოს, ვინც ხალხისათვის სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს.

— ძაქო ავირჩიოთ, ჭკვიანიც არის და სამართლიანიც.

— მართალია, მართალი, ძაქო პატიოსანი და სამართლიანია, ავირჩიოთ, ავირჩიოთ!

ძაქო წამოდგა, აივნის ბოძს ჯოხი მიუკაკუნა.

— კეთილო ხალხო, მადლობელი ვარ, რომ ნდობას მიცხადებთ. ხალხის მეურვეობა და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება დიდად საპატიო საქმეა, მაგრამ მე სამაგისოდ აღარ გამოვდგები, დავბერდი. ჩვენს აულში სხვებიც არიან, ვისაც ჭკუაც უჭრის და სამართლიანიც არიან.

— შენს მეტი არავინ გვინდა, ძაქო, აგერ, სოსეს ბიჭი, აქო დავნიშნოთ მწერლად და არაფერი გაგიჭირდება.

— დათანხმდი! დათანხმდი!

— სხვა არავინ გვინდა.

— უკეთესი არავინ არის!

ახმაურდა ხალხი.

— ყურმანის ძევ, მოგვეცი ბეჭედი და კანცელარიის გასაღები.

— შენც, მწერალო ძიუ, შენი საქმეები გადმოგვაბარე. დღეის შემდეგ აღარ გვჭირდებით.

— მე ხელმწიფის არჩეული ვარ და გამოცვლითაც ის გამომცვლის. — ისევ წამოყო თავი უაზიმ, მაგრამ ყოველი მხრიდან მრისხანე თვალთაგან ნასროლი ისრებით დაიჩხვლიტა და ხმას დაუწია, — ძალადობთ ხელმწიფის მსახურზე ხომ? ჰოდა, ვნახოთ, ხელმწიფის რისხვა რომ დაგატყდებათ, აღარავის დაემდუროთ!

სოლიმი აქამდის ნაძალადევ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. გულის ფანცქალით ელოდა, რა მოხდებოდა. გრძნობს, უაზის დასაცავად თავს თუ გამოიდებს, ხალხი მას მიუბრუნდება.

ხალხი ისევ აჩოჩქოლდა. სოლიმი გრძნობაზე მოვიდა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო, უაზის შეხედა. უაზიც ალბათ ამას ელოდა, თვალით ანიშნა „რა იქენ, შე ოხერო მომეხმარე, დამიცავი, თო-

რემ ჩემი დაღუპვა იგივე შენი დაღუპვაო". სოლიმი ახლა კი დარწმუნდა, საბუმაროდ აღარ იყო საქმე და თვითონაც ვერ გაიგო, როგორ წამოხტა.

— ხალხო და ჯამაათნო, უფროსებო და უმცროსებო! — დაიწყო დაშაქრული სიტყვების ფრქვევა, — რეები მესმის ეს, ღვთის საგმობმა სიტყვებმა გული მატკინა. ეს რამ გაფიქრებინათ, ნებაყოფლობით იკიდებთ ცეცხლს და არც კი იცით, რა მოგელით? დაღუპვის გზაზე დამდგარხართ და არ ფიქრობთ, რას აკეთებთ. რა დაგეცათ, თქვენ გეკითხებით? ვის უსმენთ? ვის უჯერებთ? ვინ არის ეგ გზადაბნეული ბუსტოვჩიკი? როგორ აგირიათ ჭკუა? ნუ უსმენთ! ნუ გჯერათ მისი! ჭკა მაგას და გააგდეთ აქედან, გააძევეთ, თორემ დაიღუპებით. სისხლის წვიმა მოვა.

სოლიმის სიტყვებმა ბევრი ჩააფიქრა. მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება კარგს რომ არ მოასწავებდა, ეს ისეც იცოდნენ. ხალხი მეხდაცემულივით დარჩა, ხმას აღარავინ იღებდა.

აქ ყუნცელმა წამოყო თავი.

— მართალს ამბობს სოლიმი. — ოფლით დაცვარული მოტეტალეპილი თავი ხელისგულებით ჩამოიწმინდა და ალაპარაკდა, — ხელმწიფის გმობა ღვთის გმობაზე მეტი მკრეხელობაა. სოლიმს დაუჯერეთ. ჭკვიანი და გამოცდილი კაცია. მაპატიოს ჩვენმა სტუმარმა, მაგრამ მოლიპულ გზაზე რომ გვიბიძგებს, ამით დანაშაულს ჩადის როგორც ხალხის, ისე საკუთარი თავის წინაშეც. თუ მამასახლისის არჩევის უფლება აქვს აულს, ავირჩევთ კიდეც. შენ კი, სტუმარო, აქ არაფერი გესაქმება. შენ წახვალ და ხვალ სისხლის წვიმას ჩვენ უნდა შევუშვიროთ თავი. დაგვეხსენი, ნუ გადაგვირიე ახალგაზრდობა, ჩვენი გაჭირვებაც გვეყოფა, გაღატაკებული ხალხი სისხლის ცრემლებს იწურავს და შენ უარესს ნუღარ გადაგვკიდებ. არ დაუჯეროთ, მეზობლებო, იცოდეთ, უბედურებას გადაეყრებით!

ხალხი ორად გაიყო. ერთნი სოლიმს მიემხრნენ, მეორენი — ხსართაგს. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არც ერთს ემხრობოდნენ. ხსართაგი მიხვდა, რომ მისი საქმე თარაზოსავით იყო, თუ სოლიმისკენ გადასძალავდა, მაშინ წაგებული თვითონ დარჩებოდა.

— ხალხო, — სიმტკიცე მოემატა ხმაში ხსართაგს. — აი სოლიმი და ყუნცელი გვარიგებენ, ხელმწიფის წინააღმდეგ ხმა არავინ ამოიღოს, თორემ სისხლის წვიმა წაგვლეკავსო. მაგრამ მითხარით, როდის არ მოდიოდა ჩვენთვის სისხლის წვიმა? როდის იყავით უშფოთველნი და უდარდელნი? მიპასუხეთ, როდის არ ტიროდნენ მშიერი ბავშვების დედები? როდის გაპატიათ ხელმწიფემ მძიმე გადასახადი? ბეგარა და სხვა უბედურება? ხალხს აღარ შეუძლია ამ მძიმე უღლის ტარება, ყუნცელ, მონობაში სიცოცხლეც აღარ სურთ.

— შენ არაფერი გესაქმება ხალხთან. თავიანთი საქმე თვითონ უფრო უკეთესად იციან. მოგვშორდი თავიდან, — ხმა აიმაღლა სოლიმმა, — შენ სისხლს მოითხოვ და ჩვენ არ მოგცემთ ხალხის დაღუ-

პვის უფლებას! გირჩევ, ენა დაიმოკლო და აქედან დაიკარგო!

— სოლიმ, შენ სისხლი ახსენე, ხომ არ დაგავიწყდა, თვითონ რომ გაქვს სისხლში ნაბანი ხელები? მარტო ხელები კი არა სახეც, ნამუსიც, მთლიანად ყელამდე სისხლში ხარ დამარხული. ხალხმა არ იცის კაცისმკვლელი რომ ხარ, თორემ აქამდე საძაღლე კლდიდან გადაგჩეხავდა.

— ვინ არის კაცისმკვლელი? მე? ვის უბედავ ძაღლიშვილო? არ გაპატიებ! — სოლიმმა ხსართაგზე გაიწია.

— შენა ხარ კაცისმკვლელი, მამის მკვლელი ხარ, ხასანას მკვლელი ხარ, ზარინას მკვლელი ხარ...

სოლიმმა დაჭრილი დათვივით დაიღრიალა.

— სიცრუეა! ვინ დამიმტკიცებს.

— მე! — გაისმა ხალხში და სოლიმმა თვალით მოძებნა მისი მთქმელი. ხალხს ბულათიყო გამოეყო და წინ წამოდგა. სოლიმს მუხლები მოეკვეთა.

— კეთილო ხალხო! მაპატიეთ, რომ აქამდის ლაჩარივით ვდუმდი. მე ვიცი, ხასანას ოჯახი ვინც დაღუპა, ვინც ხსართაგი ციმბირში გადაკარგა. ერთმა უსინდისო ადამიანმა ამოწყვიტა პატიოსანი ოჯახი.

— ვინ არის, ბულათიყო, გვითხარი მისი სახელი! — ჩაეკითხა გაოგნებულ ბულათიყოს აძიბე.

— ეს არის, — ბულათიყომ სოლიმზე მიუთითა, — ბოროტი ადამიანი, რომელიც აგერ, თქვენს წინაშე, ბუზს არ ისვამს თავზე. რამდენი ადამიანი გააუბედურა, თავისი უწმინდური სურვილი რომ შეესრულებინა. თქვენ იცით, ჩემი და ნალყუთა ხსართაგმა დანიშნა. თურმე ამ უნამუსოსაც თვალი ეჭირა გოგოზე. ხსართაგის თავიდან მოცილების მიზნით გაავრცელა უხამსი ჭორი. საფლავში ჩაიყვანა ორი კარგი ადამიანი, მესამე ციხეში ამოალპო, მეოთხე — ჩემი და დაბეჩავა.

— სტყუი, ვირიშვილო! მამაშენს ხომ შენ მოუღე ბოლო? მე კი მიგონებ ყველაფერს!

— ეგეც შენი ენით იყო და მამაჩემს უნდა შეგწირო, შე სისხლისმსმელო შენა. — ბულათიყომ ხანჯალი იძრო და სოლიმისკენ გაიწია. აძიბემ გააკავა.

— მოიცა, ბულათ, ეშმაკის აწეწილ გორგალს პირი აერთო მგონია. — სოლიმ, წინ წამოდექი და შენი დანაშაული მოგვახსენე.

— მე სათქმელი არაფერი მაქვს, — მკვდარივით გაფითრებული სოლიმი რაღაცის თქმას ცდილობს, მაგრამ ენა არ ემორჩილება, როგორც იყო ამოილუღლუღა. — რაც იმათ უბედურებაზე მე ვიდარდე, ხალხმა კარგად იცის. მე დავასაფლავე ორივე, იმათ ბავშვსაც მე ვზრდი! ხსართაგის მშობლებს რომ ვეხმარები, ამასაც ხედავს აული. ამ ჩემს მოყვარე ვირისშვილს დიდი ურვათი არ მივეცი და ის ალაპარაკებს, ცილს მწამებს.

აქამდის განმარტოებით იდგა აცირუხსი. იდგა და რასაც ხედავდა და რაც ესმოდა, საგონებელში აგდებდა. თაიმურაზის ამბის გასაგებად გადმოვიდა და ბიჭი რომ უვნებელი დაინახა, იმ უცნობი კაცის ლაპარაკს მიუგდო ყური. უსმენს აცირუხსი და ცრემლები ღაპაღუპით სცვივა. სიმართლეს ამბობს, სრულ სიმართლეს. გაჭირვებულ ხალხს მეტის მოთმენა აღარ შეუძლია. როცა იმ უცნობმა სოლიმის ჩადენილ დანაშაულზე დაიწყო ლაპარაკი, შვება იგრძნო. თითქოს მის გულში დამარხულ საიდუმლოებას ფარდა აეხადა. თავისდა გასაოცრად, აცირუხსმა ხალხი მისწი-მოსწია და წინ წადგა.

— ხალხო, მეზობლებო, სიმართლეს ამბობს ბულათიყო. ის სამწუხარო ამბავი მაგის მოწყობილი იყო. ხასანას და ბარსაგის ოჯახის განხეთქილება სოლიმის ბრალია. ის ბოროტი ხმები ქალიმათს გაავრცელებინა. ცოლად შერთვას ჰპირდებოდა, მაგრამ ისიც მოატყუა. ქალიმათი მერე მიხვდა, რაც ჩაიდინა. ყაზისთან უჩივლა სოლიმს. სამართალი ყაზიმ გაარჩია და ქალიმათი საკუთარი ხელით ჩაახრჩო წისქვილის ღარში. გასამრჯელო სოლიმისაგან აიღო! ვფიცავ მაღალ ღმერთს, თუ არ გჯერათ, ხატზე დავიფიცავ. ვტყუივარ, აქამდის რომ ვინახე ეს საიდუმლო, ვტყუივარ. მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, მეშინოდა. სოლიმისა მეშინოდა, მერე კიდევ ზედმეტი სისხლისღვრისაც მეშინოდა. ახლა ეს პირშავი ცდილობს დაფაროს დანაშაული, მაგრამ აღარაფერი უშველის. დაე, ხალხი იყოს მსაჯული.

სოლიმი დატყვევებული ნადირივით აცეცებდა თვალებს. მორჩა, დაიღუპა. მისი ბნელი საქმეების მჭიდროდ თავმოკრულ გუდას ძირი გაეხა და დღის სინათლეზე გადმოიყარა ყველაფერი. ხალხის განაჩენი მკაცრი და დაუნდობელი იქნება. სოლიმს თავის დაძვრენის იმედი გადაუწყდა და უკანასკნელად გაიბრძოლა. ხანჯალი იძრო და აცირუხსისაკენ გადახტა.

— ო, ო, კახპავ! მე შენ გიჩვენებ, — მაგრამ ბულათიყომ იმარჯვა და სანამ სოლიმი ჩანაფიქრს შეასრულებდა, შიგ გულში ტარამდის ჩასცა ხანჯალი.

ხალხი აირია. ატყდა გნიასი. ვიღაც მოაგონდა ყაზი. იმანაც არეულობით ისარგებლა, შეუმჩნევლად გაძვრა-გამოძვრა და ხეობისაკენ თავქვე დაეშვა.

სოლიმის სიკვდილის შემდეგ ნალყუთა აღარ გაჩერდა ქმრის დაწყევლილ სახლში. პატარა ბაბე წაიყვანა და სამშობლოში წავიდა... აცირუხსმა და თაიმურაზმა რის ვაი-ვაგლახით დაასაფლავეს სოლიმი. არავინ მისულა სამძიმარზე, არავის დაუტირებია მისი ცხედარი. ძალლი იყო და ძაღლურად მოკვდაო, ამას იძახდა ყველა. ხალხმა სასაფლაოზეც კი არ მისცა ბინა. თაიმურაზმა ხევში გაუჭრა საფლავი და უზიარებელ მიწას მიაბარა.

ყასაიმ და აძიბემ სოლიმის მიწები ხალხს დაუნაწილეს. ყასაი შვილივით შეიყვარა ხალხმა. მისი იმედით სულდგმულობენ, მომავლის რწმენა მიეცათ. მზად იყვნენ ყასაისათვის თავი გაეწირათ. ხეობის ახალგაზრდები დარაზმა. ახლა მათი შეიარაღება იყო საჭირო. ამაზე მუშაობდნენ დღე და ღამე აძიბე და ხსართაგი.

თედოთიყაუს აჯანყების ამბავმა გორის მაზრამდე მიაღწია. მაზრის უფროსმა ცოფები ყარა თურმე. დამსჯელი რაზმის გაგზავნა ბრძანა.

ყასაიმ რაზმელებს შეატყობინა ეს ამბავი.

— ამხანაგებო, ცხინვალიდან შეგვატყობინეს, რომ ხვალ ან ზეგ დამსჯელი რაზმი დაგვეცემა თავს. ორი გზა გვაქვს, ან იარაღი დავყაროთ და ცხვრებივით ჩავბარდეთ, ან ცეცხლითა და მახვილით შევხვდეთ მომხდურ მტერს. ამ ორი გზიდან ერთი უნდა ამოვირჩიოთ.

რაზმელები ჩააფიქრა ამ ცნობამ. სიტყვა აძიბემ აიღო.

— ყასაი, შენ იცი, გაშიშვლებულ მახვილს ვაი და უი აღარ შეელის. მართალია, ჩვენი ძალები ძალზე მცირეა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ხალხი ღრმა ძილიდან გამოერკვა. მომავლის იმედი მიეცა. გაგვიძეხ წინ!

— თავისუფლებას მხოლოდ ბრძოლით მოვიპოვებთ, ყასაი, შენ გვითხარი ეს პირველად. — ასლანბეგმა სიტყვა ჩამოართვა აძიბეს. — თავისუფლებისაკენ სწრაფვა დიდია, ძმაო, ამორჩეულ გზას არ ვუღალატებთ. გვწამს, რომ დასახულ მიზანს მივაღწევთ.

მაცნეები ცხენებს მოახტნენ და მთის აულების მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებზე გაიფანტნენ.

2.

ხსართაგს გული ავს უთქვამს. ვაითუ ბრძოლის ველიდან ცოცხალი ველარ დავბრუნდეო, ფიქრობს და ნალყუთას უნახავად სიკვდილისა შეეშინდა;

ხასანას პატარა ბაბეს ნახვაც ძალიან ენატრება.

პატარა ბაბე ეზოში თამაშობდა. თხილის ჯოხზე გადამჯდარიყო და წკეპლის მათრახით დააჯირითებდა ცხენს.

ამასობაში ბაბეს ცხენმა ხსართაგისკენ გამოიჯირითა. ხსართაგმა ბავშვი ხელში აიტაცა და გულში ჩაიკრა. ბაბემ უნდობლად შეხედა უცნობ ძიას.

— შენ აქ რა გინდა, ქათმებს ხომ არ იპარავდი? — ატიტინდა პატარა.

— ეგ რა სთქვი, მოპარვა როგორ შეიძლება. ქურდები იპარავენ, მე კი სულაც არა ვარ ქურდი.

— მაშ აქ რად იმალებოდი?

— სულაც არა, მე შენ გიყურებდი. კარგად აჯირითებ ცხენს.

— ჩემი ცხენი ტირიფისაა. ნანამ მაჩუქა.

ხსართაგი მიხვდა, რომ ბავშვი ნანას ნალყუთას ეძახდა. გული სიხარულით აუჩქროლდა.

— ძალიან გიყვარს შენი ნანა?

— ჰო, ძალიან.

— მაინც?

— ერთი გუდა.

— მეტი არა? — სიცილი აუტყდა ხსართაგს.

— რას იცინი, პატარა გუდა კი არა, დიდი გუდა. ნანასაც ძალიან ვუყვარვარ. წელან მითხრა, ცხენი რომ მაჩუქა.

— მე რომ ნამდვილი ცხენი გაჩუქო, ბაბე!

— ნამდვილი? სად არის შენი ცხენი?

— აგერ, გარეთ, მარგილზე აბია.

ბავშვი ცოცხლად გადახტა ხსართაგის მუხლებიდან და გარეთ გავარდა. ისევ მალე შემობრუნდა. დიდი წყლიანი თვალები ხსართაგს შეანათა.

— მართლა მაჩუქებ?

— აუ, მოტყუება ვის ეკადრება, შენნაირ კაცს ვინ არ აჩუქებს ცხენს?

— მათრახსაც მომცემ?

— რა თქმა უნდა, აბა უმათრახოდ სად გაგონილა ნამდვილი ცხენი? ჰა, დაიჭი.

ბიჭი ციბრუტივით დატრიალდა. მათრახი ფუნჩულა ხელებში ჩაბღუჯა და შინისაკენ გაიქცა.

— ქირქის, ქირქის, გამოიხედე, სტუმარმა ცხენი მაჩუქა.

სახლიდან ქირქისამ გამოიხედა. ბავშვმა მასთან მიირბინა:

— ქირქის, აი ნამდვილი მათრახი, ცხენიცა მყავს, ისიც სტუმარმა მაჩუქა.

— ვინ სტუმარია, სად არის, გენაცვალე?

—აგერ, ეზოში, ვერ ხედავ?

ქირქისამ ხსართაგი დაინახა. შინ შეიპატიჟა. პატარა ბაბე კი ისევ ეზოში გავარდა.

— უბედური ამის მშობლები, ასეთი ანგელოზის ცქერით რომ ვერ გაძღნენ.

— ბედი არა ჰქონდათ... ქირქის, ნალყუთა შინ არის?

— არა, წელან სასაფლაოზე წავიდა. თავის დედ-მამის გვერდით შენთვისაც გაათხრევინა საფლავი,[1] ყოველდღე მიდის და იმ ცარიელ საფლავს დასტირის. შინ შემოდი. საცაა მოვა.

— ქირქის, მაპატიე, ორი სიტყვა უნდა გითხრა. დრო ცოტა მაქვს, მეჩქარება.

— შემოდი შინ, გარეთ ხომ არ ვიდგებით?

ხსართაგი მასპინძლის ნებას დაჰყვა.

---

[1] ოსური წესია, სხვაგან დაღუპულს სამშობლოშიც საფლავს უთხრიან.

ყოველივე ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო. ყველაფერი სიზმარივით გაქრა. ნეტავ ახლა ნალყუთამ რომ გაიგოს, უცნობი ყასაის მაგიერ ხსართაგი ზის აქ, რას იზამდა? საბრალო, სულ მარტო დარჩა. აღარავინ ჰყავს, აღარავის ელოდება. აღარაფერი ახრებს. მამა რომ მოუკვდა და ბულათიყო ახლოს არ გაეკარა, მაშინაც მარტო იყო, მაგრამ ხსართაგი ჰყავდა და იმედიც ჰქონდა. ახლა აღარავის იმედი აქვს და ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა. ნეტავი შეიძლებოდეს მაშინდელივით მოეფეროს. კოცნით ამოუშროს მწველი ცრემლები, მაგრამ რომ არ შეიძლება, ხვალ ომში მიდის. თავისუფლებისათვის იქნებ სიცოცხლის გაწირვაც მოუხდეს. ბნელსა და უკუღმართ წყობილებას შეებრძოლება. ხსართაგისა და ნალყუთას ბედი დაიფერფლა. მაგრამ ქვეყნად რომ სხვებმაც არ გაიზიარონ მათი ბედი, სიცრუისა და ორპირობის მოსპობაა საჭირო, ადამიანის ბედი უნდა გამოსტაცოს ქაჯებს. ვინ იცის, ხვალ რა მოხდება, რა საჭიროა გაუახლოს ძველი ჭრილობა. დაე, ყველაფერი ისევე დარჩეს, როგორც აქამდის იყო. ცოდვაა, ოცნებები რომ ხელახლა ჩაუქრეს. ისიც ერთ დღეში. არა, არა, სჯობია, არაფერი იცოდეს. ველარ გადაიტანს ამდენ მწუხარებას.

კარმა გაიჭრიალა. ქირქისამ თაბახით ხაბიძგინები შემოიტანა. ფინგზე დაალაგა, ქოთნით შუშხუნა კუმალიც[1] არ დაავიწყდა.

— ქირქის, და არა მყავს, მაგრამ შენ ხომ ხარ ჩემი და, მეც ძმად მიგულე. ძალიან გთხოვ, ნალყუთა გებრალებოდეს. ის პატარა ბალღიც თქვენი სინდისისათვის მომინდვია.

— ხსართაგ, მეც ჩემი ასლანბეგივით მიყვარხარ. მაგრამ ნალყუთას რატომ მაბარებ, ბიჭო, უცხო ხომ არ არის. ჯერ ერთი, დებივით ვართ შეზრდილები, მეორეც, მულია ჩემი. არცარას ბაბეს გავუჭირვებთ...

— გმადლობ, დაო, გმადლობ.

— იცი რა, ხსართაგ, ნალყუთას წინაშე არა ხარ მართალი. შეკაი კაცო, რას ემალები გულმოკლულ ქალს, გშურს, ორიოდ დღე ბედნიერად იცხოვროს? შენ გაგყვა მაგის სიცოცხლეც და სიხარულიც. განსაკუთრებით მაშინ მოკვდა, როცა გაიგო, რომ შენი უბედურების მიზეზი სოლიმი იყო. ბულათიყოს არ აპატია, სიმართლე რომ დაუმალა, ლაჩარს უწოდებს. სასაფლაოზე ყოველდღე შენს საფლავს დასტირის. ხსართაგ, ხომ მითხარი ძმა ვარ შენიო, ძალიან გთხოვ, გამოუჩნდი ნალყუთას. ნუ დგები მაგის ცოდვაში, ისედაც საკმაოდ დაისაჯა. რა დააშავა, რისთვის?

— ქირქის, გამიგე, შენ გგონია ჩემთვის ადვილია? მაგრამ ასე უკეთესი იქნება ნალყუთასათვის. თუ რატომ, ამასაც მალე გაიგებ. ისეთ საქმეში ვარ ჩაბმული, რომ არ ვიცი ცოცხალი დავბრუნდები?

— მესმის, ბულათიყომ მითხრა ყველაფერი. ო, როგორ მეშინია.

---

[1] კუმალი — ბურახისმაგვარი სასმელია.

— მეტი გზა არ არის, ქირქის. ასე დაბეჩავებულ სიცოცხლეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში სიკვდილი სჯობია. შენ ნუ გეშინია, ბრძოლაში იმიტომ კი არ ვებმებით, რომ დავიხოცოთ, არა, დაო, ჩვენ გამარჯვება გვინდა, გამარჯვება. ხალხის მზე უნდა ამობრწყინდეს, ქირქის. ქვეყანაზე ბოროტება აღარ იქნება. შენ, ნალყუთა, ყველა ქალი განთავისუფლდებით, გარდასულ ადათ-წესებს აღარ დაეძონებით. ნალყუთას რომ ვემალები, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი ტკივილი და მწუხარება ავაცილო.

— რა გითხრა, იმდენი ჭკუა არა მაქვს, რომ შენს ჩანაფიქრს ჩავწვდე. ისე კი ვგრძნობ, რომ დიდ საქმეს დასდგომიხარ. კეთილ გზაზე გატაროს ვასთირჯიმ. ერთს გეხვეწები მხოლოდ. ბულათიყო და ჩემი ძმა ასლაწბეგი შენთან იქნებიან, გაუფრთხილდი, იცოდე ორი ოჯახი დაიღუპება.

ხსართაგი ქირქისას დაემშვიდობა, კარებში ნალყუთას შეეჩეხა. გულმა ჩამოჰკრა, მუხლები მოუდუნდა, თითქოს დამბლა დაეცაო. ადგილიდან დაძვრა ვეღარ მოახერხა. უყურებს ნალყუთას და უნდა იყვიროს, ქვეყანას გააგებინოს, რომ აქ არის. ისევ უყურებს ძვირფას სახეს. მაგრამ დროზე შეიკავა თავი. ნალყუთას სახეს ააცილა მზერა და უაზროდ ააცეცა თვალები.

— გამარჯობა, ყასაი, მიბრძანდებით?

— კი, მეჩქარება...

— ჰკითხე, ნანა, ჰკითხე, — კალთაზე ჩამოსწია ნალყუთას პატარა ბაბემ, — ნანას არა სჯერა, რომ ცხენი მართლა მაჩუქე, უთხარი.

— შენია, ჩემო პატარა მზეო, შენი. — ხსართაგმა ხელში აიყვანა ბავშვი და ფუნჩულა ლოყაზე აკოცა, — მხოლოდ ფრთხილად იყავი, ცხენმა წიხლი იცის.

— ჩემია, ჩემია, — წამოიძახა გახარებულმა ბაბემ და ისევ ეზოში გავარდა.

— ცხენი მართლა ვაჩუქე ბაბეს.

— რად შეწუხდით, მერე თქვენ როგორ ივლით?

— ფეხი აქვს ნატკენი, თანაც ქვეითად მირჩევნია. დიდი მადლობა ყველაფრისათვის. ჩემს შემდეგ სიკეთე და ბედნიერება შემოვიდეს თქვენს ოჯახში.

— მოიცადე, ყასაი, აგერ ბულათიყოს ცხენი. ქირქის, შეუკაზმე ქურანა.

ქირქისამ ქურანას უნაგირი დაადგა, მოსართავები გადაუჭირა და სტუმარს მიართვა.

ყასაი ქურანას მოახტა. მხარ-ბეჭი, მარცხენა ხელის თავისებური შემართვა, მერე კიდევ ვაჟკაცს ირიბი გამოხედვა. რაღაც ძალზე ნაცნობი მოეჩვენა ნალყუთას. სანამ ცხენს მოახტებოდა, მანამდეც ეცნო მისი მარცხენა ხელის კისერზე შემოდება. ნალყუთას გული გაეყინა. ასე იცოდა ხსართაგმა. ის ბხარბეჭი, ის სიმარდე...

„ოი, დედაო მარიამ, ვინ არის ეს უცნობი ვაჟკაცი?“ — ფიქრები

მოეძალა და ისე აერია ყველაფერი ერთმანეთში, რომ აზროვნების უნარი დაეკარგა.

— ყასაი, ყასაი. მოითმინე ერთ წუთს. — მიაძახა მხედარს შეშფოთებულმა ქალმა, მაგრამ ყასაიმ მოასწრო, ცხენს მათრახი გადაუჭირა და უკვე შორიდან მოისმა ფლოქვების თქარა-თქური.

— ქირქის, ჩემო ქირქის, — აღელვებული ნალყუთა რძალს გადაეხვია, — მითხარი, ვინ არის ეს უცხო კაცი.

— ყასაი, ბულათიყოს მეგობარი. — ქირქისა მიხვდა, რომ ნალყუთამ ეჭვი აიღო.

— როდის დამეგობრდნენ, საიდან გაიცნეს ერთმანეთი? ან ახლა რისთვის მოვიდა. — კიდევ უფრო აღელდა ნალყუთა.

— რაზე მეკითხები, ნალყუთა, არაფერი მესმის?

ნალყუთამ, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, მძიმედ ამოიოხრა.

— ვიღაცას მივამსგავსე.

— შენ რა გითხრა, აღარ უნდა დაივიწყო? შენი ფიქრი ისევ იმას დასტრიალებს.

— რა ვქნა, ქირქის, არ შემიძლია დავიწყება, — ცრემლი მოერია ნალყუთას.

— ნუღარ იტანჯავ თავს, ალბათ ეგ იყო შენი ბედი. რას იზამ, ღვთის განგებას ვერავინ გაექცევა... შემოდი შინ, დილას აქეთია გელოდები, შიმშილით მოკვდები, გოგო.

— ქირქის, ჩემო რძალო და დაზე უტკბესო მეგობარო. დედ-მამას გაფიცებ, ნურაფერს დამიმალავ. ვინ არის ის უცნობი? — მთელი ტანი უცახცახებდა და ციებიანივით კბილს კბილზე აცემინებდა.

— რა დაგემართა, გოგო?

— არა, ქირქის, შენ რაღაცას მიმალავ...

— საიდან მოიგონე, რას გიმალავ. რომ არაფერი ვიცი?

— იცი, გული მეუბნება, რომ შენ რაღაც იცი. დედ-მამას გაფიცებ, მითხარი.

დამუნჯდა ქირქისა. ხსართაგს სიტყვა მისცა, რომ არაფერს იტყოდა. მაგრამ ნალყუთას ტანჯვას ვეღარ გაუძლო და თავისდა უნებურად წამოსცდა.

— ის არის...

— ?!

— ჰო, ხსართაგი, შენი წილი დაკარგული მზე... საიქიოდან დაბრუნდა.

— ხსართაგი?!.. ვიცანი, ვიცანი! ჩემი ცოდო გედოთ სუყველას, რა შეუბრალებლად მომექეცით, როგორ დამტანჯეთ! — ამოიკვნესა ნალყუთამ და ამ კვნესას თითქოს სულიც ამოაყოლაო, მოეშვა. მიიბნიდა და გრძნობა დაკარგა. ქირქისამ წიოკი ატეხა, წყალი ასხურა, ყურები ძმრით დაუზილა და ძლივს მოაბრუნა.

— რა შეუბრალებლები ყოფილხართ, ქირქის... ყველა... — და ნალყუთა რამდენიმე ხნის შემდეგ შვების ცრემლებით ატირდა.

— სად წავიდა? რატომ გამექცა? მითხარი, საით წავიდა? მემალება არა? მაშინ მე წავალ მასთან, — თავშალს წამოავლო ხელი.

— ნალაუთა, დამშვიდდი, გოგო, სად უნდა წახვიდე, არ ვიცი სად იქნება. თუ ცოცხალი გადარჩა, თვითონ მოგვაკითხავს.

— არა, ქირქის, არა, ჯაჭვითაც რომ დამაბა, გავწყვეტ და მაინც წავალ. ვერავითარი ძალა ვერ დამაკავებს: თვითონ მემალება, მაგრამ მე ვიპოვნი.

არ შეისმინა ქირქისას ხვეწნა-მუდარა ნალაუთამ. უბეში მამისეული ხანჯალი დამალა და ღამის სიბნელეს მისცა თავი.

3.

ხეობის ვიწროებში, მდინარის გასწვრივ ქვაღორღიან მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე თოკივით გაიბა ყაზახ რუსების დამსჯელი რაზმი, რომელსაც კაპიტანი ნეთუდიხატა მეთაურობს. იგი სუფთა არაბული სისხლის თეთრ იაბოს მიათოხარიკებს და ხანდახან უკან მომავლებს ცალყბად მიუგდებს.

— Быстрее, хлопцы, быстрее!

რაზმი ხეობის სიღრმეში მოსახვევს გაუსწორდა. აქ სალი კლდე თითქოს დანით შუაზე გაუჭრიათო, ბილიკის ორივე მხარეს გუშაგებად დგანან. თან ისე ახლოს მისულან ერთმანეთთან, რომ გზიდან მხოლოდ ხელისგულისოდენაღა ჩანს ცა. ზედ გზაზე გადმოკიდებული ლოდები თითქოს საცაა მოსწყდებიან და რაც წინ შეხვდებათ, პირწმინდად წალეკავენ. ამ ჩაბნელებულ უფსკრულში შიშის გრძნობა იპყრობს.

— ცოტა კიდევ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ და მივალთ, — ვითომ უნდა გაემხნევებინა ყაზის ნეთუდიხატა, მაგრამ სიტყვის დასრულება აღარ დასცალდა, თოფის გრიალში ჩაიკარგა მისი სათქმელი. მუნჯი კლდეები ეშმაკების სამყოფელად იქცნენ. ყოველი მხრიდან წვიმასავით წამოვიდა ტყვია.

ნეთუდიხატა ახლა კი მიხვდა, მამა რომ აფრთხილებდა, მთების ვიწროებს ერიდეო, სწორედ იმ ვიწროში მოხვდა.

— უკან დაიხიეთ! — გასცა ბრძანება.

მაგრამ სად იყო უკან დასახევი. ყაზახთა დამსჯელი რაზმი ხეობის ვიწროში შეჯგუფდა და აღარც წინ წასვლა შეეძლო და აღარც უკან დახევა. ყაზახები ტყაპა-ტყუპით ცვივიან მთის აზვირთებულ მდინარეში.

მაღლა, კლდის ნაპრალში დაიდეს ბინა საჯილქომის ახალგაზრდებმა, ესენი იყვნენ ყასაის რაზმელები. ტყვიას ტყვიაზე უგზავნიდნენ თავგზაარეულ შავრაზმელებს.

— ბიჭებო, ტყვია-წამალს გაუფრთხილდით, — გასცა ბრძანება ყასაიმ. და სალი კლდის ლოდები შექანდნენ. კლდის ზვავი ხმაურით

დაიძრა და ხეობაში შეჯგუფებული კაცის ყვირილმა და ცხენის ჭიხვინმა შესძრა ქვეყანა. გაწყდა კაც-ცხენი. თავიანთი მხრივ, მათაც ბევრი ოჯახი დაარჩინეს უმარჩენლოდ, ბევრს დაუბნელეს მზე და აი ახლა თავზე დაატყდათ ხალხის რისხვა, ობოლი და მშიერი ბავშვების ცოდვა და იხდიან ხარკს.

კლდის თავიდან თოფები ქუხს. ტყვიები წუილით მიფრინავენ ხეობაში. ცხენები უმხედრებოდ დარჩნენ. ყაზახებიდან ვინც ცოცხალი გადარჩა. მოიფიქრეს და კლდის ძირს მიეფარნენ. იქიდან ხანდახან ისვრიან, ტყვიები მხოლოდ სალ კლდეს ხვდება.

ყაზი პირველი მოეფარა კლდის ქიმს. დარწმუნდა, რომ საქმე სახუმარად არ იყო, რაღაც უნდა მოიფიქროს, თორემ დაღუპვა არ ასცდება. დრო იხელთა და მდინარეში გადაეშვა. აქ მან მდინარის ტალღებს მიანდო თავისი სიცოცხლე. იმანაც კარგა ხანს ათრია ქვებზე, სამშვიდობოს რომ დაიგულა თავი, რის ვაი-ვაგლახით გახოხდა ნაპირზე. ბუჩქებში დაიმალა. წყლულები მოიბანა, ცოტა შეისვენა, ძალა მოიკრიბა და ისევ ცხინვალის გზას დაადგა.

ვიწრო ხეობაში ხსართაგის რაზმის გამარჯვების ამბავი სწრაფად გავრცელდა. ხალხს მეტი სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდა. თავისუფლებისათვის პირველი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, ხალხს იმედი მიეცა. აულიდან აულში მახარობლებს გზავნიდნენ.

ხსართაგის რაზმელებს ფრთები შეესხათ. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა სიხარული ნაადრევია, მტერს ისე იოლად ვერ დაამარცხებენ. მწვავე ბრძოლა ჯერ წინ არის, იცის ეს ხსართაგმა და დიდი ბრძოლისათვის გამალებით ამზადებს რაზმს. ნადავლი იარაღი ახლა საკმაოდ ჰქონდათ. ბიჭები თითქმის ყველა შეიარაღდა.

ერთი დღე კიდევ დაღამდა. ღამემ თავისი ჯადოსნური ზეწარი გადააფარა დედამიწას და უშფოთველი ძილით მიაძინა.

არ ძინავთ რაზმელებს. ვიწრო ხეობაში გუშაგები ფხიზლობენ, დანარჩენები კი ისვენებენ.

არც იმ დღეს, არც მეორე დღეს არავინ გამოჩენილა. იატაკქვეშა ბოლშევიკური ორგანიზაცია ცხინვალიდან იტყობინებოდა, გარნიზონში სიწყნარეა, თავი ისე უჭირავთ, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო.

კიდევ გავიდა რამდენიმე დღე. რაზმელები ლოდინით დაიღალნენ. პირველი გამარჯვების აღმაფრენა თანდათან დაცხრა. რაზმელებს მოეზრდათ უსაქმოდ ყოფნა. სწორედ თივის დამზადების ცხარე დღეები იდგა. ბიჭები საღამოთი თითო-თითოდ ტოვებდნენ რაზმს და შინ ბრუნდებოდნენ.

საგონებელში ჩავარდა ხსართაგი. რა ქნას?

ცენტრიდან ამბავი იგვიანებს. შეიარაღებული აჯანყების დაწყება როგორღაც ჭიანურდება, ახლა ხსართაგმა არ იცის, როგორ მოიქცეს. რაზმის დაშლა დაღუპვას ნიშნავს. რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც ხსართაგის ხელმძღვანელობით შეიქმნა, დიდი საქმე გააკეთა.

ჯერ ერთი, თედოთიყაუში ყუნცელისა და სოლიმის მიწები თანასწორად გაუყო ღარიბ გლეხობას. ახლა კიდევ, დამსჯელი რაზმი არ შეუშვა ხეობაში. ამან ხალხზე დადებითად იმოქმედა, იმედი მიეცათ, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა მოინდომა ყველამ. აულებიდან ხალხმა იხუვლა და ხსართაგის რაზმში ჩაწერა მოითხოვა.

— როცა მტერზე გავიმარჯვებთ, მერე შევიყრებით ერთად, როგორც უკეთესი იქნება, ისე გადავწყვეტთ ყველა საკითხს.

ხუთი დღე, მხოლოდ ხუთ დღეს იყო თავის თავის ბატონ-პატრონი საუკუნეობით დაჩაგრული ხალხი. თავმოყვარეობამ გაიღვიძა მათში, ძალა მოემატათ მკლავში.

მაგრამ ჯერ ნაადრევია სიხარული. არავინ იცის, როგორ წარიმართება საქმე. ცხინვალიდან მაცნე იგვიანებს, არალეგალური პარტიული ორგანიზაცია არაფერს იტყობინება. რა ქნას, როგორ მოიქცეს? ეს კითხვები აღარ ასვენებს ხსართაგს. გადაწყდა, კაცი გაიგზავნოს ცენტრში. მაგრამ ვინ? ასლანბეგზე შეჩერდა არჩევანი.

— ასლანბეგ, ცენტრის დუმილი ძალიან მაფიქრებს. შენ გავალებ ცხინვალში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროსთან კავშირის დამყარებას. ისინი გეტყვიან, როგორ მოვიქცეთ შემდგომში. დაგვიანება არ ივარგებს. დღესვე წახვალ. მტრის დუმილი არ მომწონს, შეტევისათვის ემზადებიან.

— ყველაფერს გავაკეთებ, მელოდეთ! — ასლანბეგმა ცხენი დაძრა.

— აბა, შენ იცი, ფრთხილად იყავ!

მოსაღამოვდა. მტრის გამოჩენა აღარ არის მოსალოდნელი. რაზმელები ისვენებენ. ჯგუფ-ჯგუფად სხედან და ზოგი მხიარულად მასლაათობს, ზოგი მღერის. ერთმა რაზმელმა შინიდან ფანდირიც მოიტანა. ღამის სიბნელეში მთელ ხეობას ეფინება ნაღვლიანი მელოდია.

ხსართაგმა და აძიბემ რაზმელებს ჩამოუარეს. განწყობილება დამაკმაყოფილებელია. ერთად მოუყრია თავი თედოთიყაუელ ახალგაზრდებს. შუაში სოლიმის მოჯამაგირე თაიმურაზი ჩაუყენებიათ და რაღაც სასაცილოს, ვინ იცის, მერამდენედ ამეორებინებენ. მათი სიცილი შორს ისმის.

— აძიბე, ჩვენც დავისვენოთ, — უთხრა ხსართაგმა მეგობარს. — იცი რა, აძიბე, გუშაგებმა არ დაგვაღალატონ, წუხანდელივით სახლებში არ დაიფანტონ.

— წადი, შენ დაიძინე, მე შევამოწმებ. — აძიბე საგუშაგოსაკენ წავიდა.

ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე საღამო მთვარე ამოცურდა. სახელდახელოდ გაკეთებული ქოხი შტაბიც არის და ხსართაგის საძინებელიც. ახლაც იქ მიდის, ზურგს უკან ფეხის ხმა მოესმა. მკვეთრად შეტრიალდა.

უკან მოსდევდა სრულიად ახალგაზრდა ვაჟი. ხსართაგი რომ შებრუნდა, იმანაც შეაჩერა ნაბიჯი.

აგერ მეოთხე საღამოა, სულ უკან დასდევს ეს ბიჭი. ვისია, სა-

დაურია, არაფერი იცის. მხოლოდ ღამით ხედავს, დღე სადღაც იკარგება. წუხელის ფეხებთან მიუწვა. ხსართაგმა რომ გაიღვიძა, ბიჭი უკვე ქოხიდან გადიოდა. და ახლა მისმა გამოჩენამ დააეჭვა.

— რა გინდა, ბიჭო? — ჰკითხა.

— არაფერი.

— მაშ რა უკან დამდევ?

— გიცავ...

— ვისგან?

— მტრისგან.

— შენა? — სიცილი ვერ შეიკავა ხსართაგმა. — მერე, ვინ დაგავალა ჩემი დაცვა?

— არავინ.

— დღე სადა ხარ?

— შინ მივდივარ.

— რათა?

— ვიძინებ ხოლმე.

— ჰა-ჰა-ჰა, საოცარი ბიჭი ხარ. წამოდი ჩემთან. ხსართაგმა ბიჭს ხელი გადახვია, — წამოდი, ქოხში და დაიძინე.

— მე დღეს უკვე მეძინა.

— რა გქვია?

ბიჭმა პასუხი შეაგვიანა, მერე თითქმის ჩაიჩურჩულა.

— ხსართაგი.

ხსართაგი შეკრთა.

— ხსართაგი?.. მაშ არ გეძინება, ჰა?

— არა...

— წადი შინ.

— გეხვეწები, არ გამაგდო, შენთან ყოფნა მწადია...

— ან შიგნით შემოდი და დაიძინე, ან წადი შინ. ხომ გაიგონე? შენ გეუბნები, ბიჭო!

მეტი რაღა გზა ჰქონდა, ბიჭი ქოხში შეჰყვა ხსართაგს.

— ჰო, ასე. აგერ ნაბადი, გაიშალე და დაიძინე.

ბიჭი ნაბადში გაეხვია და ხმა აღარ ამოუღია.

დადუმდა ფანდირი. შეწყდა სიმღერაც. ხეობის უბეში მთვარის ნაზ სხივებზე მიიძინა ბუნებამ. ღამის მყუდროებას ხანდახან მხოლოდ მიკიოტის თავგამოდებული კივილი არღვევდა.

4.

ხსართაგს აძიბეს ყვირილი ჩაესმა ძილში:

— ყასაი, ჩქარა, რა იქენ, ყაზახები გამოჩნდნენ.

ხსართაგმა ისკუპა და ქოხიდან ტყვიასავით გამოვარდა.

— სად არიან?

— ხევიდან გუშაგებმა მოგვცეს ნიშანი.

— ჩქარა, გააღვიძე ბიჭები!

ხსართაგი გზადაგზა ისხამდა იარაღს და ვიწრო ხეობისაკენ გარბოდა.

მზე კარგად იყო ამოსული, ყაზახები რომ ხეობაში შემოვიდნენ. მოდიოდნენ მშვიდად, ნელ-ნელა, თითქოს ნაბიჯებს ითვლიანო. ზედ ხეობის მოსახვევში ვიწრო ყელს როგორც კი მოატანეს, შეჩერდნენ. დაელოდნენ კლდის ნაპრალებში ჩასაფრებული რაზმელების ამოქმედებას. კლდე კი ავის მოლოდინში გატრუნულიყო.

მოულოდნელად რაღაც ბოლი ავარდა. მერე ისე საშინლად დაიქუხა, რომ მთები შეზანზარდა. სალი კლდის ნამსხვრევები ხრიალით ჩახვავდა ხევში. ზედიზედ კიდევ სამჯერ იქუხა.

ხსართაგს რა მიხვედრა უნდა, რომ მტერი ზარბაზნით ცდილობდა გზის გაკაფვას. მაგრამ მტკიცედ იყო დაიმედებული. კლდის კარებს ზარბაზნით ვერაფერს დააკლებენ. მთავარია მათი ვიწროში შეტყუება და მერე თვითონ იცის, ქვის ზვავს დაუშვებს ზემოდან და კაცცხენს ქვეშ დაატანინებს. მაგრამ ადგილიდან დაძვრას არც ფიქრობენ ყაზახები. მხოლოდ ზარბაზანს უშენენ სალ კლდეს.

— არიქათ! ზურგიდან გვეპარებიან! — მოესმა ხსართაგს შეშინებული ქალის ხმა. უკან მიიხედა და ის ბიჭი დაინახა, გუშინ რომ მას „იცავდა".

რაზმელებმა დაინახეს, მთის ფერდობზე ტყიდან ყაზახები ეპარებიან. დამეხილებივით დარჩნენ. საცაა სათოფეზე მოახლოვდებიან.

ეჭვი არ იყო, ამ მთებში გაზრდილმა გამცემმა ასწავლა გზა ყაზახებს. ეს გზა მეტისმეტად სახიფათო და შორიდან მოსავლელია, უცხო კაცი იქ გავლას ვერ გაბედავს. ყოველ ამოსასვლელში გუშაგები დააყენეს, მაგრამ ამ გზაზე არც უფიქრიათ, რას წარმოიდგენდნენ. და აი შედეგიც.

წითელი რაზმი ორად არის გაყოფილი. ერთ მათგანს აძიბე ხელმძღვანელობს და ხეობის გაღმა მხარეს იცავს, მეორე — ხსართაგის ხელმძღვანელობით აქეთა მხარეს. აძიბეს რაზმელებისათვის მოცდა უაზრობა იქნებოდა. მერე კიდევ ხეობიდან გასასვლელ კარებს ღიად ვერ დატოვებდნენ. ხსართაგი მიხვდა მტრის ჩანაფიქრს და გადაწყვიტა დიდი ქედის გადმოსასვლელში შებმოდა ყაზახებს.

რაზმელებმა საბრძოლო პოზიცია დაიკავეს. ყაზახები კი მიწას გართხმიან და ხოხვით მოიწევენ წინ. რაზმელები ბრძოლის დაწყებას ჩქარობენ, მაგრამ ხსართაგი სროლის ნებას არ აძლევს.

როცა სულ ახლოს მოვიდნენ ყაზახები, ერთ-ერთი მათგანი წამოხტა და იღრიალა:

— За мной, в атаку!

ხიშტებმომარჯვებული ყაზახები „ურას" ძახილით წინ გამოქანდნენ.

იგრიალა რაზმელთა თოფებმა და რამდენიმე მეწინავე ყაზახი დაეცა. სხვები ისევ მიწას გაერთხნენ. სროლა ატეხეს, მაგრამ მათი ტყვიები ნიშანს ვერ ხვდება. ისევ შეტევაზე გადმოვიდნენ.

რაზმელებმაც არ დააყოვნეს. კვლავ რამდენიმე ყაზახი გამოესალმა სიცოცხლეს, მაგრამ სხვები ისევ წინ მოიწევენ. თითო-თითოდ გამოდიან მწყობრიდან, ქერის ძნასავით წვებიან ლოდებს შუა, სხვები კი მაინც წინ მოიწევენ. სულ ახლოს მოუშვეს და მერე წამოიმართა ხსართაგი.

— მომყეთ, ბიჭებო, ან სიკვდილი, ან გამარჯვება! — და ხმალმომარჯვებული ეკვეთა მტერს.

აძიბე თავისი რაზმით ხეობის მეორე მხარეს არის ჩასაფრებული. თოფების ქუხილი რომ გახშირდა. მიხვდა, რაღაც მოხდა. მალე მეკავშირემ ამბავი მოიტანა.

— ყაზახებმა ზურგიდან მოგვიარეს. ყასაიმ გიბრძანა, ხეობის კარებში ჩიტიც არ გაატარო.

სწორედ ამ დროს ცხენოსანი ჯარი ქვის კარის ყელს მოადგა. მაშინვე ზარბაზანმაც იქუხა. სალ კლდეს ნაპირი ჩამოემტვრა. ნამსხვრევებით სამი რაზმელი მძიმედ დაიჭრა.

— დასცხეთ, ბიჭებო, თორემ გავლენ კარებში! — ყაზახების ერთი ნაწილი ქვის ზვავქვეშ მოექცა, ისევ ზარბაზნების ზათქმა გააყრუა ხეობა. ისროდნენ განუწყვეტლივ, რაზმელებს თავის წამოწევის საშუალება აღარ მისცეს. ქვის ზვავს გადარჩენილი ყაზახები კი წინ მიიწევდნენ. გასცდნენ კიდეც რაზმელთა საიმედო სიმაგრეს — ქვის კარს.

რაღა აზრი ჰქონდა კარის დაცვას. აძიბე მიხვდა, ახლა მთავარი იყო, ხსართაგის რაზმს შეერთებოდა.

— მომყეთ! ყასაის რაზმს უჭირს — გასცა ბრძანება აძიბემ.

რაზმელებმა პირველი შეტევა მოიგერიეს. მტერმა უკან დაიხია. სულ მალე ყაზახებს მაშველი მოუვიდა და ისევ შეტევაზე გადმოვიდნენ. პირველი წარმატებით ფრთებშესხმულმა რაზმელებმა ახლაც ივაჟკაცეს, მტერი დაჯაბნეს. სწორედ ამ დროს ქვის კარებიდან გამოჭრილმა ყაზახთა ცხენოსანთა ნაწილმა გვერდიდან დაუარა რაზმელებს. ვერაგმა მტერმა მათი ალყაში მოქცევა განიზრახა.

— ან სიკვდილი, ან გამარჯვება! თავისუფლებისათვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ბრძოლა! — ეს იყო ხსართაგის უკანასკნელი ბრძანება. მერე ლოდს მოეფარა და არც ერთი ტყვია არ ააცილა. დამეხილი ჩიტებივით ცვიოდნენ ცხენებიდან ყაზახები. რაზმელებიც შეცოტავდნენ. სალი კლდის თავზე ერთიმეორის გვერდით მიწვნენ საუკუნოვანი ბორკილების გაგლეჯის სურვილით ანთებული ლომგულები.

აგერ ცხენოსანი ყაზახი მახვილგაშიშვლებული მოსდევს გუშინდელ ბიჭს. საცაა წამოეწევა და გასხეპს შუაზე. ბიჭის შეშინებული კივილი მისწვდა ხსართაგის სმენას. დაუმიზნა ყაზახს თოფი და შიგ შუბლში გაუტარა ტყვია. ბურთივით გადმოგორდა უნაგირიდან და ლოდს დაეზღერთა. ბიჭი კი გაქრა, ვეღარ დაინახა ხსართაგმა, ხელ-

ჩართული ბრძოლა გახურდა. ვიღაცის ნაცნობ თვალებს წააწყდა ხსართაგი. ყაზი იცნო.

— აა, ძაღლის დაგდებულო, შენა ხარ? მაშ, როგორც ძუკნამ, შენ მოიყოლე ეს სისხლისმსმელები? — თვალებში სისხლი მოაწვა ხსართაგს, ეკვეთა ბობოლას და ხალხის სისხლისმსმელს. ყაზი მამაცურად დაუხვდა. იმძლავრა ხსართაგმა, შუა გასხიპა საძულველი ადამიანი.

— ყასაი, აძიბეს რაზმი შემოგეშველა. — შორიდან ყვიროდა ის ბიჭი, ხსართაგად რომ გაეცნო ყასაის. სწორედ ამ დროს მკერდი აეწვა ხსართაგს, ტყიდან მოფრენილი მტრის ტყვია ბეჭში მოხვდა.

— აძიბე, ძმაო, დასცხე!.. დასცხე!.. — გაიფიქრა ხსართაგმა და გულაღმა გადავარდა.

— ვაიმე, მოკლეს! — კიოდა ქალი, მაგრამ ხსართაგს აღარაფერი გაუგონია.

აძიბეს რაზმი მტრის შუაგულში შეიჭრა. შეუბრალებლად კაფავდნენ მტრის სალდათებს, მაგრამ თვითონაც კარგი დღე არ ადგათ. გამოუცდელი მებრძოლები ერთიმეორის მიყოლებით იცელებოდნენ.

აძიბემ დაინახა, როგორ დაეცა ბულათიყო. მერე კიდევ, კიდევ, კიდევ და როცა თავის გარშემო მიმოიხედა, მარტოღა იყო დარჩენილი.

„მოვიდა აღსასრული, მაგრამ ასე არა!“ — ყაზახები შეათვალიერა მაღლიდან. უფროსს დაადგა თვალი, კლდის თავს მოსწყდა და მტრის ოფიცერი თან გადაიყოლა უფსკრულში.

უთანასწორო ბრძოლაში გაწყდნენ რაზმელები. შეწყდა სროლა. ბრძოლის ველზე სიკვდილი ზეიმობდა. მაღლა აჭრილი თოფის წამლის კვამლი შავად გადაჰფარებოდა ბრძოლის ველს. ადამიანთა უბედურების ცქერით დაღლილი და შერცხვენილი სისხლში ამოსვრილი მზე ჩქარობდა, რაც შეიძლება, სწრაფად გასცლოდა ქვეყანას და დასავლეთისაკენ მარდად მიგორავდა.

მეცხრე თავი

ჯერ არ დამთავრებულა ბრძოლა!

1.

მთელი ღამე გულსაკლავად ყმუოდნენ ძაღლები და ავის მოლოდინში გარინდებულ აულს შიშით სული ეპარებოდა. გუშინ ზარბაზნის ქუხილი გაიგონეს. მერე თითქოს ყველაფერი მიყუჩდა. სწორედ

ამიტომ გარინდებულა აული. ავისმომასწავებელი სიწყნარე აშინებს ხალხს. რა მოხდა? რა იქნენ ბიჭები?

ქირქისა არ დაწოლილა. იჯდა და ღამის სიბნელისათვის მიეშტერებინა თვალები. ბულათიყოსი და ასლანბეგის დარდი აღარ ასვენებდა. ან ის გოგო რა იქნა. გაიკლა თავი და ხსართაგის საძებნელად წავიდა. აგერ რამდენი ხანია, აღარ გამოჩნდა. ხიფათს არ გადაეყაროს.

ძაღლების ყმუილი აყრუებს ქვეყანას. რაღაც დიდი უბედურებაა მოსალოდნელი. წუხს ქირქისა. რამდენჯერმე გარეთაც გაიხედა. თითქოს ჩამკვდარა სიცოცხლე.

შუაღამე გადავიდა. მამალმა მეორედ იყივლა. ცხენის ფლოქვების თქარათქური მოესმა ქირქისას, მაშინვე ფეხზე წამოიჭრა. ფანჯარას ეცა. ვიღაც იყო. კარი გამოაღო და გაიხედა. ჭიშკარი უცნობმა შემოაღო. ცხენზე გადაკიდებული კაცი რომ დაინახა, იკივლა ქირქისამ.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ქირქის, მომეშველე, ჩქარა. — ქირქისამ ნალყუთა იცნო.

— ვაი ჩემს თავს! რა მოხდა? რომელია?

— ის არის...

ქალებმა რის ვაი-ვაგლახით ჩამოიღეს ცხენიდან დაჭრილი და შინ შეიყვანეს. ქირქისამ კვარი აანთო. ხსართაგის უსიცოცხლო სახე რომ დაინახა, თავში ირტყა ხელი:

— რა მოხდა. მითხარი, ნალყუთა. სად არიან ჩვენები?

— უბედურება მოხდა, ქირქის, ჩვენი ხეობის რჩეული ახალგაზრდობა ყაზახებმა დახოცეს. ეშმაკის ხეობის სალი კლდეები სისხლით ჩამოირეცხა. ამ საცოდავის გამოყვანა როგორ შევძელი, ახლაც მიკვირს.

— ვაიმე, დაღუპულო ოჯახო, ბულათიყო, ასლანბეგ!

— არც ერთი მინახავს. ბულათიყო აძიბეს რაზმში იყო, ასლანბეგი მგონი ცხინვალში გაგზავნეს. ქირქის, გენაცვალე, არ დაიზარო, შამაშენთან გადაირბინე, იმან ხომ იცის ჭრილობის წამლობა. იქნებ, არ გამწიროს ღმერთმა.

ქირქისა მაშინვე მამის მოსაყვანად გაიქცა. ნალყუთამ ჯამით წყალი შემოიტანა და ხსართაგს სახე მობანა. დაჭრილმა წამით თვალები გაახილა და ძლივგასაგონად ჩაიჩურჩულა:

— სადა ვარ?.. რა იქნენ ბიჭები?.. — ისევ დაკარგა გონება.

— ხსართაგ, ჩემო დაკარგულო სიხარულო, შენ მომატყუე, მგლის ხახაში ჩამაგდე. მაგრამ მე არ მოგცილდები. სიკვდილსაც არ დავანებებ შენს თავს! ო, დედაო წმინდა მარიამ, გადააფარე შენი წყალობის კალთა, მაჩუქე ბედნიერება! — ქვითინებდა ნალყუთა.

ამასობაში ქირქისაც მოვიდა, თან მოიყვანა მამა — მთაში სახელგანთქმული ჯარა ექიმი დოდთი.

გათენდა. მზის პირველი სხივი სისხლით შეღებილ ქედს დაეცა. გუშინ დატრიალებული ცოდვის ამბავი მთელს ხეობას მოედო. ხალხი იმ ადგილისკენ დაიძრა, სადაც მათმა ახლობლებმა თავი დადეს. რაზმელთაგან გადარჩენილები ტყეში გახიზნეს, დაღუპულები კი პატრონებმა მოთქმა-გოდებით შინ წაასვენეს.

ქვეყანა ცოდვით აივსო. დედების მოთქმამ შეძრა მთები.

ყაზახებმაც აკრიფეს თავიანთი ამხანაგები. ერთი უშველებელი სამარე გათხარეს და ყველა ერთად დამარხეს.

რაზმელთაგან ვინც ხელში ჩაუვარდათ, გაბაწრეს და ცხინვალში გაგზავნეს. მერე მთელი ხეობა შემოიარეს. აულებში მამაკაცის სინსილა გაწყვიტეს, ვინც დამალვა ვერ მოასწრო, ყველას იჭერდნენ და ციხეში ისტუმრებდნენ. რაც კი წასაღებად გამოდგა, მოხვეტეს და თან წაიღეს და ახლა სხვა ხეობისაკენ ქნეს პირი. მათ რევოლუციის სისხლში ჩახრჩობა ჰქონდათ დავალებული.

ცუდი დროება იდგა...

2.

რამდენი ხანი ებრძოდა სიკვდილს ხსართაგი, — არც თვითონ იცის, რამდენჯერ მოესმა მისი ხარხარი, ახლა ხომ გავიმარჯვეო, მაგრამ იმაზე მტკიცე გამოდგა ხსართაგის სული, ვიდრე თვითონ ფიქრობდა. არ დამორჩილდა სიკვდილს, პირდაპირ საფლავიდან გამოექცა და პირში ჩალაგამოვლებული დატოვა თითქმის უკვე გამარჯვებული. სიცოცხლემ დაჯაბნა სიკვდილი. ბაგე შეირხა:

— წყალი!

მზრუნველმა ხელმა თავი წამოუწია, წყალი ასვა. მკერდზე დაცემულმა ცრემლმა ნაპერწკალივით აუწვა კანი. თვალი გაახილა და ჰოი, დიდება შენდა ღმერთო, თვალები, ნაღვერდალივით მოელვარე თვალები! მოეჩვენა, რომ ამ თვალების მოელვარე ცეცხლი ოდესღაც ჩაქრა. მაგრამ, აგერ, თითქოს ნაღვერდალს ნავლი მოსცილდა, ისევ აკიაფდა შუქი. გაცოცხლდა და ბედნიერების ზღვის ტალღაზე დაიწყო ტივტივი. ხედავს ხსართაგი იმ უსაზღვროდ ბედნიერ თვალებს, რომლებიც დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ დაკარგა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავიწყებია მათი სინაზე და შიგ ჩაგუბებული სიყვარული... უყურებს, უყურებს, მაგრამ არაფერს ამბობს, იქნებ სიზმარია.

— დედაო ღვთისმშობელო, მარად ქალწულო მარიამ, შენთვის მომინდვია მისი სიცოცხლე. გულთამხილავი ხარ და გამიგებ, როგორ ვიტანჯები. — ესმის ხსართაგს... ესმის... ნალყუთას ხმაა. მკვდარიც რომ იყოს, ათას ხმაში გამოარჩევს ამ ხმას. ნალყუთა... ორ მოკიაფე ნაღვერდალს აარიდა თვალი და სახეზე გადაიტანა მზერა. ყორნისფერ დალალებში აქა-იქ თეთრი სიმები გაბმულა. თოვლივით თეთრი სახე ნაბდიძველასავით მოსთელია. აბურცული, პატარა ბაგეები უცნაურად თრთიან. შხვართი თითები ხსართაგის შუბლზე ცახცახებენ.

— ხსართაგ, ჩემო დაკარგულო ბედნიერებავ!

— ნალყუთა... — ამოთქვა ხსართაგმა ძვირფასი სახელი, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე გულში უთვალავჯერ გაუმეორებია.

ორივე დადუმდა. ამაზე შეწყდა მათი ბევრი სათქმელი. მხოლოდ ერთმანეთს უყურებენ.

— როგორ დაბერებულხარ, ხსართაგ.

— შენც, ნალყუთა.

ისევ დუმილი.

— რითი დამთავრდა ბრძოლა?

— დაიღუპა შენი რაზმი.

ხსართაგმა თვალები დახუჭა.

— მე ვინ გადამარჩინა?

— მე.

— შენა?

— ჰო, მე, აღარ გახსოვს, კარავში ძალით რომ შემიყვანე? ან შიგნით შემოდი, ან შინ წადიო.

ხსართაგს თვალწინ დაუდგა თავისი მცველი ყრმა და შერცხვა.

— გმადლობ, ნალყუთა...

კარები ფრთხილად შემოაღო ასლანბეგმა.

— ასლანბეგ, ძმაო! — თვალები გაუბრწყინდა ხსართაგს. წამოდგომა მოიწადინა.

— წყნარად, წყნარად! ბეჭი გაქვს დამსხვრეული და შენი წამოდგომა არ შეიძლება. ნალყუთამ ისევ ბალიშზე მიაწვინა ხსართაგი და თვითონ გარეთ გავიდა.

დუმილი ასლანბეგმა დაარღვია.

— დაიღუპნენ ჩვენი ამხანაგები. მათთან ერთად დავასაფლავეთ თავისუფლების უკიდეგანო სურვილიც. — ცრემლები ვერ შეიკავა და ბავშვივით ატირდა ასლანბეგი. ხსართაგიც ტიროდა.

— ასლანბეგ, ჩვენი ამხანაგები დაიღუპნენ, მაგრამ მათ მიერ დაღვრილი სისხლი ადიდდება, ადიდდება და ქვეყნად არსებულ ბოროტებას წალეკავს. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ჩვენს მიერ დაცლილმა თოფის გრიალმა ოსეთის მთები შესძრა, ჩაგრული ხალხი საუკუნოვანი ძილიდან გამოარკვია. დღეს დავმარცხდით, მაგრამ იგივე ხალხი ხვალ გაიმარჯვებს. ახლა მთავარია, ვინც იმ შეტაკებას გადაურჩა, თავი მოაფარონ, იარაღიც გადამალეთ. ხელმწიფის ლაქიებმა თუ დღეს ნაცარტუტად აქციეს ბარზჯინქომი, გჯეროდეს, ნაცარში ნაპერწკალია გახვეული. ხვალ წამოუქროლებს ზენა ქარი. ის ნაპერწკალი ცეცხლად იქცევა და მტარვალებს წალეკავს. ჯერჯერობით კი ხალხს გავუფრთხილდით. უბრალოდ სისხლის ღვრას მოვერიდეთ.

— ჰაი გიდი, მეტნი რომ ვყოფილიყავით, ბარემ ვერაფერს დაგვაკლებდნენ.

— ხალხი მთლიანად ვერ გავიყოლეთ, ასლანბეგ. ბევრი ჯერ უნდობლად გვეკიდება. ხვალ ყველა გამოგვყვება...

3.

დარჩა მარტო აცირუხსი. დამარხა ის, ვისი მიზეზითაც ამდენი წელი იტანჯა. ახლა მიწაშია სოლიმი. რა შეიცვალა აცირუხსისათვის? ნალყუთა, რომელიც სალოცავი ხატივით მოევლინა, საძულველი ქმრის სიკვდილის შემდეგ სამშობლოში გადაიხვეწა. აღარც მისი ერთადერთი პირმშო გამოჩნდა. თუმცა აქვს კი უფლება თაიმურაზს პირმშო უწოდოს? სოლიმის დასაფლავებაში მიეხმარა, მას შემდეგ წავიდა და წავიდა. სად არის? იმ სისხლის ღვრაში ხომ არ მოჰყვა? მაშინ რაღად ეღირება აცირუხსის სიცოცხლე?

ამ დიდ სახლში მარტო დარჩა აცირუხსი. როგორ ოცნებობდა ოდესღაც ამაზე! მაშინ ასე მდიდრები არ იყვნენ. ახლა ყველაფერი მისია. რასაც უნდა, იმას გააკეთებს. ნეტავ ის ბიჭი მაინც გამოჩნდებოდეს. ახლა მაინც გააბედნიეროს ობლობით გატანჯული შვილი.

მაგრამ რომ არ ჩანს ბიჭი. რა იქნა, სად წავიდა? ვაითუ ისიც დაიღუპა და სადღაც სისხლში ცურავს. ან, იქნებ, დამმარხავიც არ გამოუჩნდა... ამ ფიქრებმა ისე ააფორიაქა, რომ ლოგინიდან წამოდგომა ვეღარ შეძლო. მუხლი ეკვეთებოდა, გული უჩოჩქოლებდა.

მთელი ღამე თეთრად გაათენა. გადაწყვიტა, წასულიყო და მოეძებნა შვილი, ამბავი გაეგო.

დილით ადრიანად გამოეცხადა თაიმურაზი, წვერმოშვებული, სისხლიანი ტანსაცმლით. საქიოდან გამოქცეულსა ჰგავდა. გამხდარიყო, ისეთი ფერი ადგა, თითქოს მძიმე ავადმყოფობა გადაეტანა.

— უიმე, კერა ხომ არ გამიცივდა, ბიჭო, ეგ რა ფერი გადგას, დაჭრილი ხომ არა ხარ შვილო?

— არა ცოტა გამკაწრა. არაფერია, მომირჩება.

— შენც იმათთან იყავი?

— ჰო.

— რამ წაგიყვანა, თამუ. ხომ შეიძლებოდა შენც...

— ქვეყანა იქ იყო და მე ხომ არ დავიმალებოდი.

— შინ შემოდი, თავს შემოგევლე.

— გმადლობთ, მეჩქარება.

— შემოდი, შემოდი, არსადაც არ გაგიშვებ. ტანსაცმელი გამოიცვალე. პური ჭამე და წახვალ მერე. — აცირუხსმა ძალით შეიყვანა თაიმურაზი სახლში. მერე სკივრს თავი ახადა და ახალთახალი ჩოხა-ახალუხი მიაწოდა.

— გაიხადე ეგ ძონძები და აი ესენი ჩაიცვი.

— არ არის საჭირო, სოლიმისა ოქროც არ მინდა.

— ჩაიცვი, ჩაიცვი, სოლიმისა არ არის. მე და ნალყუთამ შენთვის

შეეკერეთ. — უარი აღარ გაუვიდა და თაიმურაზი ახალ ტანსაცმელში გამოეწყო.

ერთად ისადილეს. თაიმურაზი წასასვლელად მოემზადა.

— მაპატიე, ქალბატონო, დედაზე მეტი ამაგი გაქვთ ჩემზე, თქვენცა და ნალყუთაც საოცრად კეთილი გულის ადამიანები ხართ. თქვენ რომ არა, სოლიმს არ მოვუთმენდი დაჩაგვრას. ამდენ ხანსაც თქვენი ხათრით გავჩერდი. ახლა კი მეტი გზა არა მაქვს, უნდა წავიდე.

— სადა, შვილო? — შეკრთა აცირუხსი.

— შინ მივდივარ, მამაჩემია ავად. თუ რამე მეკუთვნის... არ გამოგართმევდი, მაგრამ ავადმყოფის პატრონი ვარ და მიჭირს.

— მე რაღა მეშველება?

— სხვა ვინმე გამოჩნდება. ამ გაჭირვებაში მოჯამაგირის მეტი რა არის. ბარემ კარგი იყო, რომ დავრჩენილიყავ. მაგრამ მამაჩემი მეცოდება. მარტოა. მერე, რა დაგიმალო, ხელმწიფის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეებს იჭერენ, მეც იქ ვიყავი და არც მე დამინდობენ. დამიჭერენ და ციმბირში გადამასახლებენ. ჰოდა, აქაურობას თუ არ გავეცალე...

აცირუხსს თითქოს მიწა გამოეცალა ფეხქვეშ. რა ქნას? თვითონ კი იცის, რომ თამუ მისი შვილია, მაგრამ ბიჭმა რომ არაფერი იცის. აგერ რამდენი წელია უყურებს. შეჰხარის და ვერ კი გაუბედია სიმართლის გამხელა. როდემდის შეიძლება საიდუმლოს შენახვა. ეშინია, ვაითუ არ აპატიოს შვილმა, ვაითუ სამუდამოდ დაკარგოს ერთხელ დაკარგული და ნაპოვნი შვილი. მაგრამ ახლა მეტი გზა არა აქვს. მიდის ბიჭი. რომ ვეღარასოდეს ნახოს? მერე ცოდვა არ არის აცირუხსი? საფლავში ჩაიტანოს სიდუმლო? „ღმერთო დიდებულო, რისთვის დამსაჯე ასე სასტიკად, სიბერის დროს რატომ მომეკითხა ცოდვები? ვის გავანდო ჩემი გულის დარდი? ვინ გამიგებს? ან ვინ მაპატიებს?“ — ეს ფიქრები უტრიალებს თავში და ლამის გული გაუსკდეს. მიიღო გადაწყვეტილება: „რაც მოსახდენია, მოხდეს, ვეტყვი ყველაფერს, თუ მაპატია, ხომ კარგი, თუ არა კლდეზე გადავიჩეხები“...

— თამუ, შვილო, სიტყვა მაქვს შენთან...

— დიდი ხნის წინათ იყო ეს. ერთ სოფელში მოსიყვარულე ცოლქმარი ცხოვრობდა. ძალიან ღარიბები იყვნენ. ცა საბნად ეფარათ და დედამიწა ლეიბად ჰქონდათ. მაგრამ ერთმანეთი უყვარდათ და სიღარიბეს არად აგდებდნენ. მერე ბიჭი შეეძინათ. უსაზღვროდ გაიხარეს. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მათი ბედნიერება. ცხოვრების მძიმე პირობებმა, სიღარიბემ და აუტანელმა გაჭირვებამ დედას პატარა შვილი მიატოვებინა და ქალაქში უკრა თავი. იქ ერთ მდიდარ ვაჭარს ძიძად დაუდგა... ლაპარაკობდა აცირუხსი, გაჭირვებულ დღეებს იხსენებდა და მწარე ცრემლებს ბოლმასთან ერთად ყლაპავდა.

ყვებოდა ოცი წლის მანძილზე რაც ცხოვრებაში გაჭირვება შეხვედრია იმაზე, თუ როგორ დასცინა ბედმა, როგორ ახადა ნამუსი, მე-

რე შემოდგომის ხმელი ფოთოლივით მოსრისა და სანაგვეში გადაუ-ძახა. მაგრამ სიკვდილი მაინც არ ისურვა, ბოლოს მაინც გაბედა და შეებრძოლა ამ ცრუ და მუხთალ წუთისოფელს. აქაც წაიბორძიკა, ადრე დააკარგვინეს ჯანი, საცაა მოკვდება და თან გაიყოლიებს ყველაზე დიდ დარდს... აცირუხსს ყელში თითქოს ბურთი დაეცო, ვეღარ შოახერხა ლაპარაკის გაგრძელება.

— უფრო დიდი დარდი? ამაზე დიდი რაღა უნდა იყოს? — გაიკვირვა თაიმურაზმა.

— არის, არის. ქალმა ნახა, იპოვა შვილი, რომელიც ძუძუდან მოიწყვიტა და მოხუცებულ დედამთილს მიუგდო გასაზრდელად. მას შემდეგ მოსვენება დაკარგა.

— კი, მაგრამ, რატომ?

— ვინ იცის, აპატიებს შვილი დედას? თუნდაც აპატიოს, დედა როგორ იმართლებს შვილის წინაშე თავს? ვთქვათ და შენ... აპატიებდი? — როგორც იყო ამოთქვა აცირუხსმა კითხვა, რომელიც ასე აწამებდა წლების მანძილზე.

თაიმურაზს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.

— მე რატომ მეკითხებით მაგას?

— ისე, მინდა გავიგო შენი აზრი...

ერთხანს ორივე დუმდა. ჭაბუკი ხედავს, ქალბატონი მკვდარივით გაფითრდა და ერთიანად აცახცახდა.

— მე?.. მგონი ვაპატიებდი. მაგრამ არ მესმის, ვიღაცის თავგადასავალი ასე ძლიერ რატომ მიგაქვთ გულთან.

— სხვისი არ არის, ჩემია...

— შენი შვილი? ვინ არის შენი შვილი? სად არის?

— ჩემი შვილი შენა ხარ, თამუ!

— მე?!

აცირუხსმა ვეღარაფერი თქვა, ფეხზე წამოდგა, უნდოდა შვილი გულში ჩაეკრა, მაგრამ ძალამ უმტყუნა, დაბარბაცდა და თაიმურაზს რომ ხელი არ შეეშველებინა, ძირს დაეცემოდა. როცა თვალი გაახილა, თაიმურაზი დაინახა, გვერდით უჯდა და დედის გაძვალტყავებულ ხელებს ეფერებოდა, ისევ დახუჭა თვალი. აი, პაწია თამუ პატარა ხელებს დედისკენ იშვერს. იმ ხელების სითბო გადადის დედის ორგანიზმში და უკვდავების მალამოსავით ედება გულზე. ეს იმ შვილის დაკოჟრებული ხელებია, ვინც დედის ალერსი ვერ იგემა, ღირსი კია დედა ამ ნეტარების? ადრე დაკარგა პირმშო და ძალიან გვიან იპოვა.

— ნანა! — გაიგონა აცირუხსმა და ცრემლის ნიაღვარი წასკდა თვალთაგან.

— ო, წმინდაო მარიამ, დიდება შენდა, ისე არ ჩამიყვანე მიწაში, რომ ამ სიტყვის ძალა არ მეგრძნო. პირველად დაუძახეს ნანა, კიდევ მითხარი, შვილო, ო, შენ გენაცვალოს ნანა, ჩემო ერთადერთო.

— ნანა რაც იყო, იყო, ნუღარ იტანჯავ თავს. ვიცი, შენ არაფერ

შუაში ხარ, შენი უბედურების მიზეზი შავბნელი ცხოვრებაა, მამაჩემი რომ გაჭირვებული არ ყოფილიყო, ქალაქში ძიძად არ დაგაყენებდა, არც უბედურებას გადაეყრებოდი. მადლობა ღმერთს, გიპოვნე, ახლა შენ თავს აღარავის დავაჩაგვრინებ.

აცირუხსს ძალა შემატა ამ სიტყვებმა, ტახტზე წამოჯდა, თაიმურაზის ხუჭუჭთმიანი თავი გულში ჩაიხუტა.

— შვილო, ჩემო დაკარგულო შვილო!..

თაიმურაზი გაინაბა დედის მკერდში. ბავშვობაში სულ დედაზე ოცნებობდა, მამას აწუხებდა, თუკი სხვა ბავშვებს ჰყავთ დედები, მე რატომ არა მყავსო. საწყალი მამა. დედის აუგი არ უთქვამს. პირიქით. თაიმურაზს შიმშილი რომ შეაუწხებდა. ამშვიდებდა, მალე დედა ქალაქიდან დაბრუნდება და ბევრ პურს მოგვიტანსო. თაიმურაზიც შეწყვეტდა ტირილს. დედას ელოდებოდა. მაგრამ დედა იგვიანებდა. როცა წამოიზარდა, მამამ დაარწმუნა, დედა მოკვდა და აღარასოდეს მოვაო. თაიმურაზმა თავის ოცნებაში თვითონ შექმნა დედის სახელამაზ, კეთილ ქალს რომ ნახავდა, თავის ოცნებაში შექმნილ დედის სახეს შეუდარებდა. პირველად რომ აცირუხსი ნახა, მაშინაც რაღაც გამოუთქმელი პატივისცემა იგრძნო, დედის სახეს შეუდარა და წარმოიდგინეთ, მიამსგავსა კიდეც. ახლა გაეხარდა, რომ ის კეთილი ქალი, ვისგანაც პირველად იგრძნო დედის სითბო, მისი ნამდვილი დედა გამოდგა.

დიდი ტანჯვა გამოუვლია, გრძნობს ამას შვილი, არაფერს საყვედურობს. პირიქით, ეცოდება. რაც შეეძლება, არაფერს გაუჭირვებს. დროებაა დამნაშავე ყველაფერში და თაიმურაზს სანამ პირში სული უდგას, შეეგრძოლება ამ უკუღმართ ცხოვრებას, რომელმაც სულ პატარა მოსწყვიტა დედის ძუძუს, დედამისი კი მოურიდებლად გასრისა და ნაგავში გადაისროლა.

— ნანა, ჩემო ძვირფასო, როგორ მენატრებოდი. იცი, რამდენი რამ მაქვს სათქმელი? მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. ამხანაგები შელოდებიან.

— აღარსად გაგიშვებ, შვილო, ჩემთან უნდა დარჩე სამუდამოდ. აგერ სახლ-კარი, ქონება.

— არა, ნანა, არც ეს სახლი მინდა და არც ქონება. ხალხის სისხლით, მშიერი ბავშვების ცრემლების ფასად არის აქ ყველაფერი შეძენილი. არა, შენს შვილს არ შეერგება არამი.

— ჩემი შრომაც ბევრია, შვილო, აქ შევალიე ჩემი ჯანი, ჩემი ახალგაზრდობა, აქ დავსნეულდი.

— მერე მამაჩემი?

ქალმა ხმა ვეღარ ამოიღო. მართლაცდა როგორ იქნება ის იქ მარტო? აქვს უფლება შვილი წაართვას იმ მამას, რომელსაც აკვანში დაუტოვა პატარა და დღემდის მამაც ის არის მისი და დედაც?

— მართლა... მამაშენი...

— წამოდი ჩვენთან, ნანა, ეს სახლი ღვთისგან არის დარისხული. ჩემი საწყალი ქოხი მირჩევნია.

აცირუხსს ნათლად წარმოუდგა თვალწინ ქოხი, სადაც ის პატარძლად შევიდა. რა ტკბილი და ძვირფასი იყო იქ ყველაფერი. ახლა კერის პირზე წევს მისი ყოფილი ქმარი და წყლის მიმწოდებელი არავინა ჰყავს. ე, დოლათ, დოლათ, შენ თვითონა ხარ ყველაფერში დამნაშავე! უკანასკნელად რომ იყო ქალაქში, რამდენი ეხვეწა აცირუხსი შინ წამიყვანეო. შერცხვენა ხომ ასცდებოდა ორივეს. მაგრამ არც ის ტყუოდა, ოჯახს უპირდა და მეტი გამოსავალი ვერა ნახეს. რცხვენია აცირუხსს, რა პირით ეჩვენოს ქმარს?..

— არა, თავს შემოგევლე, არ შემიძლია. დამნაშავე ვარ მის წინაშე...

— მამამ შენს შემდეგ აღარავისთან ისურვა შეუღლება. აქამდის ვერ ამოგიგდო გულიდან. შეიბრალე, შენი ნახვა ძალიან გაახარებს, შენი აუგი არასოდეს უთქვამს, ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგონია. წამოდი, ნანა, ორი დღის სიცოცხლე დარჩენია, ახლა მაინც იგრძნოს სიხარული. ხომ წამოხვალ?

— წამოვალ, გენაცვალე, თუკი შენ გინდა.

— საღამოსთვის მოემზადე. მე მთაში ავალ ბიჭებთან, დავემშვიდობები.

იმ ღამით სოლიმის სახლს ხანძარი გაუჩნდა. აულში გვიან გაიგეს. ბარემ შეეცადნენ ცეცხლის ჩაქრობას, მაგრამ ვერაფრის გადარჩენა ვერ შეძლეს. დილამდის ნაცრად იქცა ხალხის სისხლით შეძენილი ქონება. აცირუხსი არსად ჩანდა. აულში ხმები დაირხა — აცირუხსმა წაუკიდა სოლიმის სახლს ცეცხლი და თვითონაც შიგ გამოიწვაო. მთებიდან სოლიმის ფარებიც გაქრა. აღარც არავის მოუკითხავს და არც არავის უნაღვლია მათი დაკარგვა.

4.

თედოთიყაუში, ჩრდილოეთით, ზედ ხეობის პირზე, პატარა ქოხში ცხოვრობენ ბარსაგი და ფარდიგი. დიდი ხანია ხალხს აღარ ეკარებიან. იმ ბოროტი და სამარცხვინო ჭორის შემდეგ ხალხში აღარ გამოესვლებათ, სირცხვილით პირს არიდებენ ხალხს. აღარც ლხინის სუფრაზე მიესვლებათ და აღარც ჭირისაზე. არავინ წაგვაყვედროსო, ამის შიშით კარები ჩაირაზეს და თითქოს სიცოცხლეს გაეყარნენ. ბარსაგს არ სჯერა ის ბინძური ჭორი, მაგრამ წადი და ხალხს სიმართლე უმტკიცე. იტანჯებიან, წვალობენ, მაგრამ არ იხოცებიან. აძიბემ დიდი ამაგი დასდო, საკაცო საქმეს ის უკეთებს. ზამთარში შეშას არ აკლებს. ზაფხულში საქონლის საკვებს კარებზე ჩამოუტანს. მაგრამ რა, დარდმა დარია ხელი ცოლ-ქმარს და უდროოდ დააბერა. აღარც ჯანი მოსდევთ და აღარც სიცოცხლისადმი სწრაფვა.

სამი წლის წინ შუაღამისას ყაზიმ გააღვიძა, ჩაფრებით შეეჭრა

შინ და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. რას ეძებდნენ, რა უნდოდათ, ვერაფერი გაიგეს. არც იმ ოჯახდაქცეულმა ყაზიმ უთხრა რამე. იმ ღამიდან ორ თვეზე მეტი ორი ჩაფარი ყარაულობდა იმათ ქოხს.

ცოლი და ქმარი საგონებელს მიეცა. რა იყო მთავრობის ასეთი ყურადღების მიზეზი? კიდევ რა უბედურებაა მათ თავზე მოსალოდნელი? მაგრამ კითხვები უპასუხოდ რჩებოდა.

ერთ ღამეს ძალიან ცუდი დარი დაიჭირა. კოკისპირული წვიმა თითქოს ყველაფერს წალეკვას უქადდა. წვიმას მტრედის კვერცხისსიმსხო სეტყვა მოჰყვა. გუშაგმა ალბათ ვეღარ გაძლო გარეთ და ქოხის კარზე მიაკაკუნა. ქათამივით გალუმპული ჩაფარი შინ შეიყვანეს. ცეცხლი გააჩაღეს და სველი ტანსაცმელი გაუშრეს. როგორც შეეძლოთ, გაუმასპინძლდნენ კიდეც. მერე ფარდიგმა გაბედა და ჰკითხა:

— შენი დედ-მამის სიკეთეს, ნუ დამიმალავ, შვილო, ერთხელ უკვე ჩამოიქცა ჩვენთვის ცა, კიდევ რა უბედურება გველის? გვითხარი, ვიცოდეთ მაინც, რა ღვთის რისხვაა ჩვენს თავს.

ჩაფარი დუმდა, მაგრამ ფარდიგი რომ მის წინაშე დაეცა და მუხლებზე შემოეხვია, ვეღარ გაუძლო მის ცოდვას და საიდუმლო გაუმჟღავნა.

— მხოლოდ იცოდეთ, კლდის ნაპრალშიც არ შეიძლება დაიჩქამოთ... მთავრობაში ქაღალდია მოსული, თქვენი შვილი ციმბირიდან გამოქცეულა.

ფარდიგს გული შეუწუხდა. როცა გონებაზე მოვიდა, სიხარულით ატირდა:

— დიდება შენდა ღმერთო, რომ არ გამწირე. ცოცხალია ის დედამკვდარი?

— ცოცხალია.

— სიხარული ნუ გამოლიოს ღმერთმა შენს ოჯახში. თაფლი შენს ენას, შვილო.

— ჰოდა, იცოდეთ, თუ გამოჩნდა, გააფრთხილეთ, წავიდეს აქედან, თავი მოაფაროს სადმე...

ჩაფრები მოხსნეს საგუშაგოდან, მაგრამ ყაზის რა მოასვენებს, ყოველდღე შეივლის, დაათვალიერებს ბებრებს. მერე იმასაც მობეზრდა და აღარც ის გამოჩენილა.

მას შემდეგ ელოდებიან ბარსაგი და ფარდიგი შვილს, გარეთ კატამაც რომ გაირბინოს, არ გამოეპარებათ, თვალები გზისკენ დააწყდათ, მაგრამ არ გამოჩნდა მათი ხსართაგი.

მერე აძიბემ მოიტანა ამბავი, ის უხამსი ჭორი სოლიმის შეთითხნილი გამოდგაო, ნალყუთას ძმამ, ბულათიყომ და აცირუხსმა დაამოწმესო ეს.

ორ თვეზე მეტი გავიდა ამ ამბიდან, მაგრამ აულში ისევ გლოვის ზარი იდგა.

ვიღაცამ კარზე ფრთხილად მოაკაკუნა.

— რომელი ხარ?

— სტუმარი! — მოისმა სიბნელიდან უცნობი ხმა.

— შინ მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა.

— აქა მშვიდობა, მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ.

— რას ამბობ, ჩემო მზეო, რო გვიკადრე, ჩვენ თვითონ ვართ მადლობლები, აი, ამ ბუნაგში ვცხოვრობთ და ახლოს აღარავინ გვეკარება.

— მე გოსას ბიჭი ვარ.

— შემოგევლე, შვილო, ასლანბეგ, როგორ დავაქაცებულხარ, ჩემი ხსართაგი და შენ ერთ კვირაში ხართ დაბადებულები. რა ქარმა გადმოგაგდო. გენაცვალე.

— ხდება ხოლმე, მოვედი, რომ გაგახაროთ.

— ჩვენ რაღა გაგვახარებს, შვილო, ჩვენი მზე დიდი ხანია ჩაესვენა. თქვი, შვილო, თქვი.

— გავიგე, რომ ხსართაგი ცოცხალი ყოფილა.

— ვინ გითხრა, სად გაიგე, ასლანბეგ, თუ ცოცხალია. სად არის მერე, რატომ აღარ გვკითხულობს.

— აქ არის... გარეთ... ნალყუთაც მოგიყვანათ...

— შვილო... — ჩაიჩურჩულა ფარდიგმა და თითქოს ერთ ადგილზე მილურსმესო. განძრევა ველარ მოახერხა. ბარსაგი ვარეთ გავარდა.

ფარდიგი ცახცახებდა, თვალებიდან თხილისსისხო ცრემლები სცვიოდა. ბარსაგი შემობრუნდა შინ, უკან მოსდევდნენ ხსართაგი, ნალყუთა და პატარა ბაბე.

— შვილებო... — სამივეს ერთად გადაეხვია ფარდიგი, — ღმერთო, ღმერთო, რა ბედნიერი ვყოფილვარ და მე კი როგორ გსაყვედურობდი. შვილო, ხსართაგ, ასე როგორ მოგვიძულე, ხმა როგორ არ მოგვაწვდინე, შე ულმერთოვ!

— მაპატიე, ნანა, სხვა გზა არა მქონდა. შენ და ბაბამ ერთხელ გამომიტირეთ და აღარ მინდოდა, მეორედ გამოგეცადათ სიმწარე. მაპატიეთ, ნანა, ბაბა, ხომ გახსოვთ, რა ბინძური ცილი დამწამეს. რაღა გამოსაჩენი ვიყავი ხალხში, სანამ თავს არ გავიმართლებდი, არც მიფიქრია თქვენთან მოსვლა. მრცხვენოდა. ვერა ვბედავდი თქვენთვის თვალებში შემომეხედა, ჩემო ნანა, ჩემო ბაბა. აგერ რძალი მოგიყვანეთ, ჩვენი ბავშვიც დავიბრუნე, დაგვლოცეთ.

— ო, თქვენ გენაცვალეთ. დედაო ღვთისმშობელო, სიკვდილის წინ როგორ გამაბედნიერე. ნალყუთა, შვილო, ჩემო თვალის ჩინო, არ გაგვწირა ღმერთმა. ლოდინში თვალები ამომიღამდა, ვერ გავბედე შენთან მოსვლა...

ერთი კვირა დარჩნენ მამის სახლში. მაგრამ დრო არ ითმენდა. და აი სამგზავროდ გამოეწყვნენ სამნი — ხსართაგი, ნალყუთა და ბაბე.

ფარდიგი ტიროდა.

— წაუსვლელობა არ ივარგებს, ნანა, აქ რომ მომასწრონ, დამიჭერენ და ისევ ციმბირში მიკრავენ თავს.

ფარდიგი უფრო ატირდა.

— დავბერდით, შვილო, ვაითუ დავიხოცოთ და ვინ არის ჩვენი პატრონი?

ბარსაგი გრძნობდა, რომ მისი შვილი დიდ საქმეს იყო შეჭიდებული, მართალია, ყველაფერი არ ესმოდა, მაგრამ იმას მიხვდა, არ ეგებოდა გზის გამრუდება, იცოდა, მტკიცე ხასიათის ხსართაგი სიტყვას არ უღალატებდა.

— დაეხსენ, დედაკაცო, ალბათ, ასეა საჭირო. თავისი საქმისა თვითონ იცის. გზა დავულოცოთ.

ეპილოგი

თენდებოდა. მთის წვერზე შეეგებნენ მზის ამოსვლას ხსართაგი, ნალყუთა, ასლანბეგი და პატარა ბაბე.

ქედზე შეჩერდნენ და მზის სხივებით გაბრწყინებულ ხეობას გადმოხედეს.

აულის თავში პატარა მიწურიდან კვამლი ამოდიოდა. ბანზე ფარდიგი და ბარსაგი იდგნენ.

— ძვირფასო მშობლებო, — ხელი დაუქნია ხსართაგმა, — გველოდეთ, დაგიბრუნდებით, ადრე გაზაფხულზე აუცილებლად დავბრუნდებით, ჯერ კი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაა საჭირო, გველოდეთ, გველოდეთ!..

აღმოსავლეთი კი, თითქოს ანთებული მუგუზალი ესროლესო, წითლად შეიღება.

მგზავრებმა პირი იბრუნეს და განთიადს მტკიცე ნაბიჯით შეეგებნენ.

1968—1969.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პირველი ნაწილი
ჯანღი იწვა ხეობებში . . 3

მეორე ნაწილი
ღამე დღისკენ გადაიხარა . 229

ГАГЛОИТИ ВЛАДИМИР МИХАЙЛОВИЧ

ПРОБУЖДЕНИЕ

Роман

(на грузинском языке)
Издательство «Мерани», пр. Руставели, 42
Тбилиси 1987

რედაქტორი ნ. ფხაკაძე
მხატვარი ჯ. ზენაიშვილი
მხატვრული რედაქტორი მ. დედანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი დ. ბაცაცაშვილი
კორექტორები: ნ. ლომაძე, თ. ფირცხალავა, რ. გოცირიძე
გამომშვები ნ. კვატაშიძე

ს. ბ. — 911

ჩაბარდა წარმოებას 22.12.86 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 15.12.87 წ. ფორმატი 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 21,62. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 23,44. პირობითი საღებავგატარება 21,97. ტირაჟი 10 000 ეგზ. შეკვ. № 199.

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. 42, თბილისი, 1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა, სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.